საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი

წიგნი მეოთხე

ვალდებულებითი სამართალი
კერძო ნაწილი

ტომი I

მუხლები 477-754

გამომცემლობა «სამართალი»
თბილისი 2001

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ხუთ წიგნად

წიგნი მეოთხე

სარედაქციო კოლეგია: ლადო ჭანტურია (მთავარი რედაქტორი)
ბესარიონ ზოიძე (პასუხისმგებელი მდივანი)
თედო ნინიძე
რომან შენგელია
ჯონი ხეცურიანი

სამოქალაქო კოდექსის კომენტარის მეოთხე წიგნი მოამზადეს:

მუხლები:

477-523 (დოც. მ. კახაძემ),
524-530 (პროფ. რ. შენგელიამ),
531-575 (პროფ. შ. ჩიკვაშვილმა),
576-580 (დოც. მ. კახაძემ),
581-606 (დოც. თ. ჩიტოშვილმა),
607-614 (პროფ. ჯ. ხეცურიანმა),
615-628 (პროფ. რ. შენგელიამ),
629-656 (დოც. ზ. ძლიერიშვილმა),
657-667 (დოც. მ. ცისკაძემ),
668-708 (დოც. ტ. ზამბახიძემ),
709-723 (დოც. მ. ცისკაძემ),
724-729 (პროფ. ჯ. ხეცურიანმა),
730-743 (დოც. ტ. ზამბახიძემ),
744-754 (დოც. თ. ნინიძემ),
755-762 (დოც. მ. კახაძემ),
763-798 (დოც. დ. სუხიტაშვილმა),
799-858 (დოც. მ. ცისკაძემ),
859-929 (პროფ. რ. შენგელიამ),
930-940 (დოც. თ. ჩიტოშვილმა),
941-950 (დოც. ზ. ძლიერიშვილმა),
951-952 (პროფ. რ. შენგელიამ),
953-968 (პროფ. ჯ. ხეცურიანმა),
969-975 (დოც. თ. ნინიძემ),
976-991 (პროფ. რ. შენგელიამ),
992-1008 (პროფ. შ. ჩიკვაშვილმა).

© გამომცემლობა „სამართალი“, 2001

წინათქმა

ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის წინამდებარე კომენტარით მთავრდება სამოქალაქო კოდექსის პირველი მრავალტომეული კომენტარის გამოცემა, რომლის პირველი წიგნი 1999 წელს გამოვიდა. მკითხველი უკვე გაეცნო კომენტარის სხვა წიგნებს. ბევრისთვის ისინი სამაგიდო წიგნებად იქცა. დარწმუნებული ვარ, იგივე ბედი ეწევა ამ წიგნსაც.

ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის პრაქტიკული მნიშვნელობა განსაკუთრებულია: იგი აწესრიგებს ჩვენი ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვან სფეროებს. მასში თავმოყრილია თითქმის მთელი სახელშეკრულებო სამართალი, რომელიც კლასიკურ ხელშეკრულებებთან ერთად (როგორიცაა ნასყიდობა, გაცვლა, ნარდობა, ქირავნობა, იჯარა და ა.შ.), მოიცავს ჩვენი სამართლისათვის სრულიად ახალ ინსტიტუტებსაც (ლიზინგი, ფრენშაიზინგი, საბანკო მომსახურების ხელშეკრულებები და ა.შ.).

ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელშეკრულებო სამართლით. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები თავისი იმპერატიული ნორმებით მტკიცედ დგანან კანონიერი უფლებებისა და სამართლიანი ინტერესების დასაცავად. საზიარო უფლებები, უსაფუძვლო გამდიდრება და დელიქტური ვალდებულებები ამ სფეროს უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტებია.

სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე უკვე შეიქმნა დიდძალი სასამართლო პრაქტიკა. იგი ნაწილობრივ აისახა კიდეც სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში, თუმცა სრულყოფილ შესწავლასა და გაანალიზებას სასამართლო პრაქტიკა ჯერ კიდევ ელოდება.

წინამდებარე კომენტარის მომზადებაში მონაწილეობდნენ ქართული სამოქალაქო სამართლის მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები. შესაძლოა წერის მანერა და სტილი ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ეს ბუნებრივია, როცა ნაშრომი ავტორთა კოლექტივის მიერ იქმნება. ავტორებმა უდავოდ დიდი შრომა გასწიეს და ქართველ მკითხველს კიდევ ერთი საინტერესო წიგნი აჩუქეს.

კვლავაც მინდა მადლიერება გამოვხატო ჩვენი უცხოელი მეგობრების მიმართ, რომლებმაც დიდი თანადგომა და მხარდაჭერა აღმოგვიჩინეს ამ კომენტარის მომზადებაში. ხაზგასმით აღვნიშნავ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის სამინისტროს – გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებისა (GTZ) და ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს – საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ცენტრის (CILC) ხელშეწყობას.

დაბოლოს, საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ მე წილად მხვდა ბედნიერება, ვყოფილიყავი პირველი ქართული სამოქალაქო კოდექსის პირველი მრავალტომეული კომენტარის მთავარი რედაქტორი. ეჭვი არ მეპარება, მკითხველთა წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით ეს კომენტარი მომავალში მრავალ გამოცემას გაუძლებს.

ლადო ჭანტურია

FOREWORD

The publication of the first multi-volume commentaries on the civil code ends with the present commentary of the Special Part of Law of Obligations. The first volume was published in 1999. The reader has already become familiar with the other volumes of commentaries. They have become a bench book for many people. I am sure that this volume will share the same fortune.

The practical importance of the Special Part of Law of Obligations is obvious: it regulates very important areas of our lives. It includes the law of contracts, which is composed by both the classical contracts (such as contracts of sale, barter, works and services, lease, rent etc) and new institutions of our law (financial leasing; franchise, agreements on bank services, etc)

The special part of the law of obligations is not limited to the law of contracts. Non-contractual obligatory relationships with their imperative norms are equally important in protecting legal rights and legal interests. The collective rights, unjust enrichment and tort obligations are the most important institutions of this sphere.

The court practice is based on civil legislation. Partly described in the commentaries on the Civil Code, it remains to be fully studied and analyzed.

The best scientists of Georgian civil law participated in the preparation of the present commentaries. It may occur that the methodology and style do not always coincide, but this is not surprising, given that a group of authors elaborated them. All in all the authors made a

great effort to dedicate one more interesting book to the Georgian reader.

I would like to thank once again our foreign colleagues, who supported us in the preparation these commentaries. I would like to give my special thanks to the German Ministry of Cooperation and the Office of Technical Cooperation (GTZ) as well as the Ministry of Foreign Affairs of the Netherlands and the Center for International Legal Cooperation (CILC) for their assistance.

Concluding, I would especially like to mention the fact that I was so fortunate to be the editor in chief of the first multi-volume Georgian Civil Code commentaries. I am sure that based on the reactions of the readers, more commentaries like these will be published in the future.

LADO CHANTURIA

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა 3
FOREWORD 5

კ ე რ ძ ო ნ ა წ ი ლ ი

კარი პირველი

სახელშეკრულებო სამართალი

თავი პირველი

ნასყიდობა. გაცვლა

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 477. ცნება. შინაარსი 21
მუხლი 478. მოძრავი ნივთის გაყიდვის ხარჯები 24
მუხლი 479. უძრავი ნივთის გაყიდვის ხარჯები 25
მუხლი 480. გამყიდველის მოვალეობანი საქონლის გაგზავნისას .. 25
მუხლი 481. მიწის ნაკვეთის გამყიდველის ვალდებულებანი 27
მუხლი 482. ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკის გადასვლა 27
მუხლი 483. საქონლის მიღების ვარაუდი 28
მუხლი 484. ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი 29
მუხლი 485. საქონლის მიყიდვა რამდენიმე პირისათვის 30
მუხლი 486. გაყიდული საქონლის მიწოდება ნაწილ-ნაწილ 30
მუხლი 487. უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობა 31
მუხლი 488. ნივთობრივად უნაკლო ნივთი 32
მუხლი 489. უფლებრივად უნაკლო ნივთი 33
მუხლი 490. გამყიდველის მოვალეობანი ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას 34
მუხლი 491. მყიდველის მიერ ხელშეკრულების მოშლის უფლება 35
მუხლი 492. ფასის შემცირების მოთხოვნა 36
მუხლი 493. უარის უფლება საქონლის მიღებაზე 37

მუხლი 494. ნასყიდობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების წესი 38
მუხლი 495. ნაკლის მქონე ნივთის მიღება მყიდველის მიერ 39
მუხლი 496. ნივთის ვარგისიანობის ვადა 41
მუხლი 497. გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვა 41
მუხლი 498. უფლების ან სხვა ქონების გადასვლა 42
მუხლი 499. ნივთის გაყიდვა რამდენიჯერმე 43
მუხლი 500. ნივთის დაკავების უფლება 44
მუხლი 501. ნივთის უკან დაბრუნება მყიდველის მიერ 45
მუხლი 502. ნივთის შენახვის ხარჯები 46
მუხლი 503. ნივთის შენახვის უფლება 47
მუხლი 504. მალფუჭადი ნივთის შენახვის თავისებურებანი 48

II. ნასყიდობა გაღახდის განვადებით
მუხლი 505. ცნება 49
მუხლი 506. განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა 50
მუხლი 507. ნივთის გადაცემის მომენტიდან ხელშეკრულების დადების პრეზუმფცია 51
მუხლი 508. ორმხრივი რესტიტუცია ვალდებულებია შეუსრულებლობისას 51

III. გამოსყიდვა
მუხლი 509. ცნება 52
მუხლი 510. გამოსყიდვის ფასი 52
მუხლი 511. საკუთვნებლის ბედი ნასყიდობისას 53
მუხლი 512. გამოსყიდვამდე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება 54
მუხლი 513. გამოსყიდვამდე ნივთის გასხვისების ბათილობა 54
მუხლი 514. გამოსყიდვის უფლების ხანდაზმულობა 55
მუხლი 515. ოფცია 56

IV. უპირატესი შესყიდვის უფლება
მუხლი 516. ცნება 57
მუხლი 517. ნივთის მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ შეტყობინების მოვალეობა 58

მუხლი 518. უპირატესი შესყიდვის უფლების
გამოუყენებლობაზე შეთანხმების ბათილობა 59
მუხლი 519. დამატებითი ვალდებულების შესრულება 60
მუხლი 520. ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით 61

V. ᲒᲐᲪᲕᲚᲐ

მუხლი 521. ცნება 62
მუხლი 522. გასაცვლელი ქონების არატოლფასოვნება 63
მუხლი 523. გაცვლის მიმართ გამოყენებული წესები 63

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

ᲩᲣᲥᲔᲑᲐ

მუხლი 524. ცნება 64
მუხლი 525. ჩუქების ხელშეკრულების დადება.
საჩუქრის დაპირება 67
მუხლი 526. ჩუქების დაუშვებლობა 71
მუხლი 527. გაჩუქებული ქონების ნაკლი 72
მუხლი 528. შეწირულობა 73
მუხლი 529. ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის
უმადურობის გამო 76
მუხლი 530. გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა 78

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲥᲘᲠᲐᲕᲜᲝᲑᲐ

მუხლი 531. ცნება 80
მუხლი 532. ქირავნობის ნივთის გადაცემა ვარგის
მდგომარეობაში 84
მუხლი 533. უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობა 86
მუხლი 534. უფლებრივად უნაკლო ნივთი 87
მუხლი 535. ნივთობრივად უნაკლო ნივთი 88
მუხლი 536. ქირის შემცირება ნივთის ნაკლის გამო 90
მუხლი 537. ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი ზიანის
ანაზღაურება 94

მუხლი 538. ნივთის ნაკლის გამო პრეტენზიის განუცხადებლობის შედეგები 97
მუხლი 539. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ შეთანხმების ბათილობა 99
მუხლი 540. ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება სადგომის ქირავნობისას 100
მუხლი 541. ხელშეკრულებაზე უარის უფლება 101
მუხლი 542. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა დამქირავებლის მიერ 104
მუხლი 543. დამქირავებლის მოვალეობანი დაქირავებული ნივთის ნაკლის აღმოჩენისას 105
მუხლი 544. გაქირავებულ ნივთზე არსებული უფლებრივი ტვირთის ბედი 106
მუხლი 545. გამქირავებლის ვალდებულება 107
მუხლი 546. დამქირავებლის უფლება ქირავნობის ნივთისათვის მიმატებულ ნივთზე 108
მუხლი 547. პასუხისმგებლობა ნივთის რეალური ცვეთისათვის 111
მუხლი 548. მიმდინარე რემონტის ხარჯები 112
მუხლი 549. გამქირავებლის თანხმობა ქვექირავნობაზე 115
მუხლი 550. გამქირავებლის უარის დაუშვებლობა ქვექირავნობაზე 120
მუხლი 551. ქვექირავნობის ბედი ქირავნობის ურთიერთობის დასრულებისას 121
მუხლი 552. ქირავნობის ურთიერთობის უზრუნველყოფის ოდენობა 121
მუხლი 553. ქირის გადახდის წესი 122
მუხლი 554. დამქირავებლის ბრალით ქირის გადაუხდელობის შედეგები 124
მუხლი 555. ხელშეკრულებას ვადამდე მოშლა საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის ინიციატივით 125
მუხლი 556. დამქირავებლის საპირისპირო მოთხოვნები გამქირავებლის მიმართ 126

მუხლი 557. ხელშეკრულების მოშლა გამქირავებლის
ინიციატივით 126
მუხლი 558. ხელშეკრულების მოშლა ქირის
გადაუხდელობის გამო 128
მუხლი 559. ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტა
ვადის გასვლით 129
მუხლი 560. განუსაზღვრელი ვადით ქირავნობის ხელშეკრულების
გაგრძელების მოთხოვნის უფლება 131
მუხლი 561. ხელშეკრულების მოშლის ვადა 132
მუხლი 562. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის
ხელშეკრულების შეწყვეტა პატივსადები
მიზეზების არსებობისას 133
მუხლი 563. ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმა 136
მუხლი 564. დამქირავებლის მოვალეობანი ქირავნობის
ხელშეკრულების შეწყვეტისას 136
მუხლი 565. დაკავების უფლების დაუშვებლობა 138
მუხლი 566. დაქირავებული ქონების გადაცემა
მესამე პირისათვის 138
მუხლი 567. გაქირავებული ნივთის დაუბრუნებლობის გამო
წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება 139
მუხლი 568. გირავნობის უფლება დამქირავებლის ნივთებზე 140
მუხლი 569. მიწის ნაკვეთის ქირავნობის
ხელშეკრულების ფორმა 141
მუხლი 570. ათ წელზე მეტი ვადით დადებული
ხელშეკრულების მოშლის წესი 142
მუხლი 571. დამქირავებლის უფლებების გადასვლა
მისი ოჯახის წევრებზე 143
მუხლი 572. უფლებამონაცვლეობა დაქირავებული ნივთის
გასხვისებისას 144
მუხლი 573. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის
ხანდაზმულობა 145
მუხლი 574. დავა მეუღლეებს შორის განქორწინებისას 146
მუხლი 575. დამქირავებლის უფლებების დაცვა 146

თავი მეოთხე

ლიზინგი

მუხლი 576. ცნება. შინაარსი 147
მუხლი 577. ლიზინგის ხელშეკრულების ფორმა 150
მუხლი 578. ლიზინგის გამცემის პასუხისმგებლობა 152
მუხლი 579. ლიზინგის მიმღების პასუხისმგებლობა 153
მუხლი 580. ლიზინგის მიმართ გამოყენებული სხვა წესები 154

იჯარა

მუხლი 581. ცნება 154
მუხლი 582. ათ წელზე მეტი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულების მოშლა 162
მუხ. 583. მიწის იჯარა ინვენტართან ერთად. 163
მუხ. 584. ინვენტარის შემთხვევით დაღუპვის რისკი 165
მუხლი 585. ინვენტარის ცალკეული ნაწილების განკარგვის აკრძალვის დაუშვებლობა 168
მუხლი 586. გირავნობის უფლება ინვენტარზე 169
მუხლი 587. ქვეიჯარა 171
მუხლი 588. საიჯარო ქონების უკან დაბრუნება ვადამდე 174
მუხლი 589. იჯარის უვადო ხელშეკრულების მოშლა 175
მუხლი 590. ხელშეკრულების მოშლა მოიჯარის გარდაცვალების გამო 178
მუხლი 591. ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების დაუბრუნებლობისათვის. 179

თავი მეექვსე

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა

მუხლი 592. ცნება 181
მუხლი 593. ხელშეკრულების ფორმა 183
მუხლი 594. საიჯარო ქონების ნუსხა 184
მუხლი 595. საიჯარო ქონების მდგომარეობა. მისი რემონტი 185
მუხლი 596. გირავნობის უფლება ნაყოფზე. 187
მუხლი 597. საიჯარო ქირის შემცირების მოთხოვნა 188

მუხლი 598. აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა. 189
მუხლი 599. მეიჯარის თანხმობით გაწეული ხარჯების ანაზღაურება 190
მუხლი 600. აუღებელი მოსავლის ანაზღაურება 191
მუხლი 601. მოიჯარის მოვალეობა ახალი მოიჯარის წინაშე 192
მუხლი 602. საიჯარო ქონების დაბრუნების მოვალეობა. 194
მუხლი 603. მოიჯარის უფლებები საიჯარო ქონების ცალკეულ ნაწილებზე 195
მუხლი 604. საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების მოთხოვნა 197
მუხლი 605. საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტა ვადის გასვლის გამო. 199
მუხლი 606. საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტა უვადო ხელშეკრულების შემთხვევაში 200

თავი მეშვიდე

ფრენშაიზინგი

მუხლი 607. ცნება 202
მუხლი 608. ფრენშაიზის მიმცემის ვალდებულებანი 203
მუხლი 609. ფრენშაიზის მიმღების ვალდებულებანი 205
მუხლი 610. განდობილი ინფორმაციის შენახვის ვალდებულება 207
მუხლი 611. ხელშეკრულების ფორმა 208
მუხლი 612. ხელშეკრულების ხანგრძლივობა 210
მუხლი 613. ლოიალური კონკურენცია 211
მუხლი 614. ფრენშაიზის მიმცემის პასუხისმგებლობა 212

თავი მერვე

თხოვება

მუხლი 615. ცნება 213
მუხლი 616. გამნათხოვრებლის პასუხისმგებლობა 216

მუხლი 617. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ნივთის ნაკლის დაფარვის გამო 217
მუხლი 618. ნათხოვარი ნივთით მიზნობრივი სარგებლობა 219
მუხლი 619. ჩვეულებრივი ხარჯის გაწევის ვალდებულება 220
მუხლი 620. ნათხოვარი ნივთის ცვეთა 222
მუხლის 621. ნათხოვარი ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება 223
მუხლი 622. მონათხოვრის გარდაცვალების შედეგები 225

თავი მეცხრე

სესხი

მუხლი 623. ცნება 226
მუხლი 624. სესხის ხელშეკრულების ფორმა 229
მუხლი 625. პროცენტი სესხისათვის 231
მუხლი 626. ხელშეკრულების შეწყვეტა და ვალის დაბრუნება 232
მუხლი 627. ვალის დაუყოვნებლივ მოთხოვნის უფლება 234
მუხლი 628. სესხის შეპირება 236

თავი მეათე

ნარდობის ხელშეკრულება

მუხლი 629. ცნება 237
მუხლი 630. შეთანხმება ანაზღაურებაზე 242
მუხლი 631. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შედეგები 244
მუხლი 632. სამუშაოს პირადად შესრულების ვალდებულება 247
მუხლი 633. შემკვეთის მიერ ანაზღაურების ვალდებულება 251
მუხლი 634. გირავნობის უფლება მოძრავ ნივთზე 254
მუხლი 635. იპოთეკის უფლება სამშენებლო მიწის ნაკვეთზე 257
მუხლი 636. ხელშეკრულების მოშლა 258
მუხლი 637. ხელშეკრულების მოშლა მენარდის ინიციატივით 260

მუხლი 638. გასამრჯელოს ნაწილის მოთხოვნის შესახებ 262
მუხლი 639. უნაკლო ნივთის წარდგენის ვალდებულება 262
მუხლი 640. უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა 263
მუხლი 641. ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობა 264
მუხლი 642. დამატებითი შესრულების მოთხოვნა 265
მუხლი 643. ნაკეთობის ნაკლის გამოსწორება შემკვეთის მიერ 267
მუხლი 644. ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო 269
მუხლი 645. საზღაურის შემცირება ნაკეთობის ნაკლის გამო 270
მუხლი 646. სამუშაოს შესრულება მენარდის მასალით 271
მუხლი 647. გაფრთხილების ვალდებულება 274
მუხლი 648. საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსათვის 277
მუხლი 649. სამუშაოს მიღება 279
მუხლი 650. მენარდის პასუხისმგებლობა შემკვეთის ქონების დაღუპვისას 281
მუხლი 651. მენარდის რისკი 283
მუხლი 652. ნაკლის მქონე ნაკეთობის მიღების შედეგები 286
მუხლი 653. საგარანტიო ვადა 287
მუხლი 654. მენარდის მიერ ნაკლის განზრახ დაფარვის შედეგები 288
მუხლი 655. ხანდაზმულობის ვადა 289
მუხლი 656. ხანდაზმულობის ვადის ათვლა სამუშაოს ნაწილ-ნაწილ მიღებისას 291

თავი მეთერთმეტე

ტურისტული მომსახურება

მუხლი 657. ცნება 292
მუხლი 658. მესამე პირი მოგზაურობაში 295
მუხლი 659. მოგზაურობის ხარჯები 297
მუხლი 660. ღირებულების შემცირება მოგზაურობის ხარვეზის გამო 299

მუხლი 661. ხარვეზის გამო ხელშეკრულების შეწყვეტა ტურისტის ინიციატივით 300
მუხლი 662. მოგზაურობის ხარვეზით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება 303
მუხლი 663. მოგზაურობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა. 304
მუხლი 664. პასუხისმგებლობის შეზღუდვა 306
მუხლი 665. უარი ხელშეკრულებაზე მოგზაურობის დაწყებამდე 308
მუხლი 666. დაუძლეველი ძალა 309
მუხლი 667. მოგზაურის საზიანო შეთანხმებათა დაუშვებლობა 310

თავი მეთორმეტე

გადაზიდვა-გადაყვანა

I. გადაზიდვის ხელშეკრულება

მუხლი 668. ცნება 311
მუხლი 669. გადამზიდველის პასუხისმგებლობა 317
მუხლი 670. ხელშეკრულების დადების ვალდებულება 319
მუხლი 671. გადაზიდვა რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებით 320
მუხლი 672. გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმა 321
მუხლი 673. ზედნადების შედგენის წესი 323
მუხლი 674. ზედნადების რეკვიზიტები 325
მუხლი 675. გამგზავნის პასუხისმგებლობა 329
მუხლი 676. გადამზიდველის ვალდებულება ტვირთის მიღებისას 330
მუხლი 677. გადაზიდვის ხელშეკრულების დადების პრეზუმფცია 333
მუხლი 678. გამგზავნის პასუხისმგებლობა ტვირთის უხარისხო შეფუთვით გამოწვეული ზიანისათვის 334
მუხლი 679. გამგზავნის მიერ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება 335

მუხლი 680. გამგზავნის უფლებები 337
მუხლი 681. მიმღების უფლებები ტვირთის გადაცემისას 342
მუხლი 682. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა 343
მუხლი 683. ტვირთის გადაცემის ხელისშემშლელი გარემოებები 346
მუხლი 684. გამგზავნის მითითებათა საფუძველზე წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურების უფლება 348
მუხლი 685. გირავნობის უფლება ტვირთზე 351

II. პასუხისმგებლობა

მუხლი 686. ცნება. შინაარსი 352
მუხლი 687. მტკიცების ტვირთი 359
მუხლი 688. ტვირთის მიტანის ვადის გადაცილება 363
მუხლი 689. ტვირთის დაკარგვის პრეზუმფცია 364
მუხლი 690. დანამატის მიღების მოთხოვნის უფლება 367
მუხლი 691. საფრთხეშემცველი ტვირთის გაგზავნის წესი 367
მუხლი 692. ტვირთის ღირებულება ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისას 369
მუხლი 693. ზიანის ანაზღაურება ტვირთის დაზიანებისას 371
მუხლი 694. განსაკუთრებული დაინტერესების აღნიშვნა ზედნადებში 372
მუხლი 695. პროცენტის მოთხოვნა უზრუნველყოფილ ზიანის ანაზღაურებაზე 373
მუხლი 696. არასახელშეკრულებო მოთხოვნები გადაზიდვებისას. 374
მუხლი 697. პასუხისმგებლობისაგან გადამზიდველის გათავისუფლების დაუშვებლობა 376

III. რეკლამაცია (პრეტენზია) და სარჩელი

მუხლი 698. ცნება. შინაარსი 377
მუხლი 699. გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადა 381
მუხლი 700. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება 383

IV. გადაზიდვები ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების მიერ
მუხლი 701. პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმდევარი გადაზიდვების შემთხვევაში ... 385
მუხლი 702. სათანადო საბუთების გადაცემის ვალდებულება ... 387
მუხლი 703. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველებისაგან ... 388
მუხლი 704. რეგრესის უფლება ზიანის ანაზღარებისას ... 389
მუხლი 705 გადამზიდველის გადახდისუუნარობის შედეგები ... 390
მუხლი 706. შედავება განხორციელებული რეგრესის უფლების გამო ... 391
მუხლი 707. ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების ურთიერთშეთანხმება ... 392
მუხლი 708. კანონსაწინააღმდეგო შეთანხმების ბათილობა ... 392

თავი მეცამეტე

დავალება

მუხლი 709. ცნება ... 394
მუხლი 710. გასამრჯელო დავალებისათვის ... 399
მუხლი 711. დავალების გადანდობა მესამე პირისათვის ... 400
მუხლი 712. მარწმუნებლის მითითებიდან გადახვევა ... 402
მუხლი 713. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ... 404
მუხლი 714. საიდუმლოების შენახვის ვალდებულება ... 405
მუხლი 715. დავალების შესასრულებლად გადაცემულის უკან დაბრუნების მოვალეობა ... 406
მუხლი 716. მარწმუნებლის ქონების პრეზუმფცია ... 408
მუხლი 717. ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა ... 408
მუხლი 718. ბრალის გარეშე დამდგარი ზიანის ანაზღაურება ... 409
მუხლი 719. ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ... 411
მუხლი 720. დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა ... 411
მუხლი 721. მარწმუნებლის გარდაცვალების შედეგები. ... 413
მუხლი 722. რწმუნებულის გარდაცვალების შედეგები ... 414
მუხლი 722. კომისიის ხელშეკრულება ... 415

თავი მეთოთხმეტე

საკუთრების მინდობა

მუხლი 724. ცნება 416
მუხლი 725. მინდობილი მესაკუთრის უფლება-მოვალეობანი 417
მუხლი 726. საკუთრების მინდობის ხარჯების ანაზღაურება 419
მუხლი 727. საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ფორმა
საკუთრების მინდობის ხელშეკრულება იდება
წერილობით. 420
მუხლი 728. მინდობილი მესაკუთრის პასუხისმგებლობა 420
მუხლი 729. დავალების ხელშეკრულების წესების
გამოყენება 421

თავი მეთხუთმეტე

სატრანსპორტო ექსპედიცია

მუხლი 730. ცნება 422
მუხლი 731. კეთილსინდისიერების მოთხოვნა
ექსპედიტორისაგან 426
მუხლი 732. შემკვეთის მოვალეობანი 427
მუხლი 733. ტვირთის ცალობრივი შემოწმება 431
მუხლი 734. ტვირთის დაზღვევის მოვალეობა 431
მუხლი 735. ექსპედიციის დაზღვევის ხელშეკრულება 433
მუხლი 736. ზიანის დროულად შეტყობინების მოვალეობა 433
მუხლი 737. ტვირთის მიუღებლობის შედეგები 434
მუხლი 738. ტვირთის მდგომარეობის შემოწმების
შეუძლებლობა მისი მიღებისას 435
მუხლი 739. საკუთარი ძალებით ტვირთის გადაზიდვის
უფლება 436
მუხლი 740. ექსპედიტორის პასუხისმგებლობა 437
მუხლი 741. მესამე პირის მიერ გამოწვეული ზიანი 438
მუხლი 742. ექსპედიტორის ბრალეული მოქმედებით
გამოწვეული ზიანის ანაზღაურება 439
მუხლი 743. პროვიზიის გადახდის წესი 440

თავი მეთექვსმეტე

შუამავლობა

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 744. ცნება 441

მუხლი 745. მაკლერის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება 443

მუხლი 746. ექსკლუზიური დავალება 446

მუხლი 747. საშუამავლო ხელშეკრულების მოშლა 449

მუხლი 748. მაკლერისათვის გასამრჯელოს მიცემის დაუშვებლობა 451

II. შუამავლობა ბინის ქირავნობისას

მუხლი 749. საბინაო მაკლერი 454

მუხლი 750. გასამრჯელოს მიღების დაუშვებლობა 455

III. შუამავლობა სესხებისას

მუხლი 751. სასესხო მაკლერი 457

მუხლი 752. ხელშეკრულების ფორმა 457

მუხლი 753. გასამრჯელოს გადახდის მოვალეობა 459

მუხლი 754. სავაჭრო მაკლერი 460

კერძო ნაწილი

კარი პირველი
სახელშეკრულებო სამართალი

ნაწილი მეორე

თავი პირველი
ნასყიდობა. გაცვლა

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 477. ცნება. შინაარსი

1. ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი.

2. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

3. თუ ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ არაა მითითებული, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე.

ნასყიდობის ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და უძველესი ინსტიტუტია. ჯერ კიდევ რომის სამართლის კონტრაქტების კლასიკურ სისტემაში მას ძირითადი ადგილი ეკავა. შემდგომშიც, თუ თვალს გადავავლებთ სამართლებრივი სისტემების განვითარების ისტორიას, დავინახავთ, რომ მრავალი ხელშეკრულება აღმოცენდა და განვითარდა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, უფრო მეტიც, ნასყიდობის ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში სახელშეკრულებო სამართლის ფორმირებას.

ამჟამად ნასყიდობის ხელშეკრულება ყველაზე მეტად გავრცელებული და მოქმედი ხელშეკრულებაა. იგი სასაქონლო ფულადი ურთიერთობის უნივერსალური ფორმაა.

საბჭოთა პერიოდში სასაქონლო წარმოება ემყარებოდა რა წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრებას, მოქცეული იყო გეგმიურობის ჩარჩოებში, რაც ხელს უშლიდა ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის ნორმალურ განვითარებას.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში კერძო საკუთრების დამკვიდრებას, საკუთრების უფლების პრიორიტეტულ უფლებად აღიარებას მოჰყვა კანონმდებლობის, კერძოდ, სამოქალაქო კანონმდებლობის ძირფესვიანად შეცვლა და, შესაბამისად, ნასყიდობის ინსტიტუტის თანამედროვე კანონმდებლობის დონეზე დამუშავება.

ნასყიდობის ხელშეკრულებას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებშიც წამყვანი ადგილი უკავია. მის რეგულირებას ემსახურება მრავალი საერთაშორისო კონვენცია, რომელთა შორის მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია, საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დაიდო ვენაში 1980 წ. 11 აპრილს და ამიტომაც მას ვენის კონვენციას უწოდებენ. ვენის კონვენციის დებულებებმა ასახვა ჰპოვეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, კერძოდ ნასყიდობის ხელშეკერულების თავში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, იზიარებს რა ნასყიდობის ხელშეკრულების საყოველთაოდ მიღებულ განმარტებას, ადგენს, რომ „ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება (სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი). ამასთან, კანონმდებელი, ეყრდნობა რა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, არ ადგენს ხელშეკრულოების მხარეთა მოქმედების რეგლამენტს.

ნასყიდობის ხელშეკრულება ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა.

მხარეებს ნასყიდობის ხელშეკრულებაში წარმოადგენენ გამყიდველი და მყიდველი, რომლებიც შეიძლება იყვნენ, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები (კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირები).

საერთო წესის თანახმად ნივთის საკუთრებაში გადაცემა შეუძლია მხოლოდ მესაკუთრეს. მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში კანონმდებელი უშვებს არამესაკუთრე მფლობელის მიერ ნივთის გაყიდვის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 503-ე მუხლი, კერძოდ: მხარეს, რომელიც ინახავს ნივთს, შეუძლია გაყიდოს ეს ნივთი სათანადო წესების დაცვით, თუ მეორე მხარე აყოვნებს ნივთის მიღებას ან შენახვის ხარჯების ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევაში ნივთს ყიდის არამესაკუთრე.

ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული ნებისმიერი ქონება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის მიხედვით, ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

ნასყიდობის ხელშეკრულების ყველაზე გავრცელებულ ობიექტს წარმოადგენს ნივთები. ქონება, საქონელი შეიძლება ეწოდოს ნებისმიერ ნივთს, კერძოდ: მოძრავსა და უძრავ ნივთებს; გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ ნივთებს; მოხმარებით და არამოხმარებით ნივთებს და ა.შ. ნასყიდობის ხელშეკრულების ობიექტი არ შეიძლება იყოს ფული, რადგანაც ის საყოველთაო ეკვივალენტს წარმოადგენს, იგი განსაკუთრებით შეუცვლელია ნასყიდობის ხელშეკრულებაში.

ხელშეკრულების საგანთან ერთად ნასყიდობის ხელშეკრულებ-

ის აუილებელი პირობაა ფასი. ნასყიდობის ხელშეკრულებაში ფასი მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. თუ ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ არ არის მითითებული, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე (სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი). მაგალითად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ გადახდა მოხდეს საბირჟო კურსის გათვალისწინებით ანდა გადახდა მოხდეს გადახდის მომენტისათვის დამკვიდრებული ფასის მიხედვით და ა.შ.

მუხლი 478. მოძრავი ნივთის გაყიდვის ხარჯები

გაყიდული ნივთის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ, აწონის, გაზომვისა და შეფუთვის ხარჯები, ეკისრება გამყიდველს, ხოლო ხელშეკრულების დადების ადგილიდან სხვა ადგილზე საქონლის მიღებისა და გადაგზავნის ხარჯები – მყიდველს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ თვითონ განსაზღვრონ ნასყიდობის ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულების ძირითად პირობებთან ერთად, როგორიცაა საქონლის დახასიათება, ფასი, ოდენობა, ხარისხი, ასორტიმენტი და ა.შ. შეიძლება განისაზღვროს გაყიდული ნივთის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები კერძოდ, აწონის, გაზომვის და შეფუთვის ხარჯები. ასევე საქონლის მიღებისა და სხვა ადგილზე გადაგზავნის ხარჯები, მათი შესრულების წესი და პირობები, მაგრამ, თუ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ეს პირობები არ არის გათვალისწინებული, მაშინ, სამოქალაქო კოდექსის 478-ე მუხლიდან გამომდინარე, გამყიდველს ეკისრება გასწიოს გაყიდული ნივთის გადაცემათან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ, აწონის, გაზომვისა და შეფუთვის ხარჯები, ხოლო ხელშეკრულების დადების ადგილიდან სხვა ადგილზე საქონლის მიღებისა და გადაგზავნის ხარჯები ეკისრება მყიდველს.

მუხლი 479. უძრავი ნივთის გაყიდვის ხარჯები

მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ნივთის მყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საკუთრების უფლების გადაცემის სანოტარო დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები.

უძრავი ნივთის, კერძოდ, მიწის ნაკვეთის, შენობა-ნაგებობების და სხვა უძრავი ქონების მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება, აღნიშნულის გარდა, მყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საკუთრების უფლების გადაცემის სანოტარო დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯების გაწევა.

მუხლი 480. გამყიდველის მოვალეობანი საქონლის გაგზავნისას

1. თუ გამყიდველი ხელშეკრულებით გადამზიდველს გადასცემს საქონელს და ეს საქონელი არც ამოსაცნობი ნიშნით, არც გადაზიდვისათვის საჭირო საბუთებით და არც სხვა რაიმე საშუალებით არ არის გამოკვეთილად აღნიშნული, მაშინ გამყიდველმა უნდა შეატყობინოს მყიდველს საქონლის გადაგზავნის თაობაზე და, ამასთანავე, გაუგზავნოს ტვირთის დაწვრილებითი ჩამონათვალი.

2. თუ გამყიდველს ევალება საქონლის გაგზავნა, მან უნდა დადოს ხელშეკრულებები, რომლებიც აუცილებელია ტვირთის დათქმულ ადგილზე გადაზიდვისა და ასეთი გადაზიდვისათვის ჩვეული პირობებისათვის.

3. თუ გამყიდველი არ არის ვალდებული დააზღვიოს ტვირთი ტრანსპორტირებისას, მაშინ მან მყიდველის თხოვნით უნდა გადასცეს მას მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, რომელიც

აუცილებელია დაზღვევის ასეთი ხელშეკრულების გაფორმებისათვის.

თუ გამყიდველი ხელშეკრულებით გადამზიდველს გადასცემს საქონელს და ეს საქონელი არც ამოსაცნობი ნიშნით, არც გადაზიდვისათვის საჭირო საბუთებით და არც სხვა რაიმე ნიშნით არ არის გამოკვეთილად აღნიშნული, ასეთ შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია საქონლის იდენტიფიკაციისათვის გასაგზავნ დოკუმენტში, კერძოდ, კონოსამენტში, სარკინიგზო ზედნადებში შეიტანოს მონაცემები გამყიდველისა და მყიდველის შესახებ, გადასატანი ტვირთის რაოდენობისა და შეფუთვის სახის შესახებ. თუ ჩაბარებული ტვირთი დაზიანებულია ან რაიმე ნაკლი აქვს, ამის შესახებ გასაგზავნ დოკუმენტში უნდა გაკეთდეს სპეციალური აღნიშვნა. გასაგზავნი დოკუმენტი უნდა შეიცავდეს იმ პუნქტებს, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 674-ე მუხლით.

გამყიდველმა ტვირთის გადაგზავნის თაობაზე მყიდველს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება. მასში მითითებული უნდა იყოს გადამზიდველისათვის საქონლის ჩაბარების ვადა და ჩაბარების ხელშეკრულების ნომერი, საქონლის დასახელება, რაოდენობა, ტვირთის დაწვრილებითი ჩამონათვალი; თუ საქონელი რკინიგზით იგზავნება – ვაგონის ნომერი, სარკინიგზო ზედნადების ნომერი. ტვირთის მანქანით გაგზავნის შემთხვევაში გადამზიდველის ან მისი წარმომადგენლის გვარი და მანქანის ნომერი.

სამოქალაქო კოდექსის 480-ე მუხლი შეტყობინების გაგზავნის ვადას არ ითვალისწინებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ შეტყობინება უნდა გაიგზავნოს გონივრულ ვადაში ისე, რომ მყიდველმა იგი მიიღოს ტვირთის მიღებამდე.

თუ გამყიდველი არ არის ვალდებული დააზღვიოს ტვირთი ტრანსპორტირებისას, მაშინ მან მყიდველის თხოვნით უნდა გადასცეს მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია დაზღვევის ასეთი ხელშეკრულების გაფორმებისათვის.

მუხლი 481. მიწის ნაკვეთის გამყიდველის ვალდებულებანი

1. მიწის ნაკვეთის გამყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ამ ნაკვეთის ათვისებისა და მსგავსი ღონისძიებების გატარებისათვის ხელშეკრულების დადებამდე გაწეული ხარჯები, მიუხედავად გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტისა.

2. მიწის ნაკვეთის გამყიდველი პასუხს არ აგებს იმ საჯარო ვალდებულებებისათვის, რომელიც შეიძლება არ აიყოს რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

აღნიშნული მუხლი მიუთითებს იმ ვალდებულებაზე, რომელიც გამყიდველს შეიძლება წარმოეშვას უძრავი ქონების, კერძოდ, მიწის ნაკვეთის გაყიდვის შემდეგ.

მიწის ნაკვეთის გამყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მიწის ნაკვეთის ათვისებისათვის და მსგავსი ღონისძიებების გატარებისათვის გაწეული ხარჯები, თუნდაც ამ ხარჯების გადახდის ვადა დადგეს მიწის ნაკვეთის გაყიდვის შემდეგ.

აღნიშნულ მუხლში მთავარი ის არის, რომ ხარჯები გაწეული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე, ხოლო ხარჯების გადახდის ვადა დადგა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ. მიუხედავად ამისა, მიწის ნაკვეთის გამყიდველს არ ეხსნება გაწეული ხარჯების გადახდის ვალდებულება.

მუხლი 482. ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკის გადასვლა

1. გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

2. თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გაგზა-

ვნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს.

ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი მაშინაც დააწვება მყიდველს, თუ იგი აფერხებს ნივთის მიღებას.

თუ გამყიდველი ნივთის მყიდველის მოთხოვნით გაგზავნის სხვა ადგილზე, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს.

მაგალითი:

ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველს ევალებოდა ნივთის გადაგზავნა თელავში, მაგრამ მყიდველის მოთხოვნით ნივთი გადაიგზავნა ქუთაისში, ამ შემთხვევაში ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი მყიდველზე გადავა იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს – სატრანსპორტო ორგანიზაციის ან მყიდველის წარმომადგენელს.

მუხლი 483. საქონლის მიღების ვარაუდი

საქონელი მიღებულად ჩაითვლება, თუ მყიდველი შეასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოწმობს მის მიღებას.

მყიდველი ვალდებულია მიიღოს გამყიდველის მიერ მიწოდებული ქონება. ქონების მიღებად ჩაითვლება ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც მოწმობს მის მიღებას. მაგალითად, სატ-

ტრანსპორტო საშუალებით ტვირთის მიღებისას მყიდველი ვალდებულია გადმოტვირთოს ტვირთი, მოათავსოს საწყობში, შეამოწმოს იგი, მიიღოს სათანადო საბუთები – ზედნადები, კონოსამენტი და ა.შ.

საქონლის მიღების კონკრეტული პირობები, როგორც წესი, ხასყიდობის ხელშეკრულებით ან სპეციალური ნორმატიული აქტითაა განსაზღვრული, ასევე შესაძლებელია ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და თავისუფლებების განსაზღვრისას მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვევები და ტრადიციები (სამოქალაქო კოდექსის 339-ე მუხლი).

მუხლი 484. ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი

1. ხელშეკრულების ყოველ მხარეს შეუძლია უარი თქვას თავისი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდა, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მეორე მხარე თავის მოვალეობათა მნიშვნელოვან ნაწილს არ შეასრულებს.

2. უარი დაუშვებელია, თუ ამ მხარის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია.

სამოქალაქო კოდექსის 484-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც მხარეებს შეუძლიათ უარი თქვან თავიანთი ვალდებულების შესრულებაზე, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდა, რომ რომელიმე მხარე მოვალეობას ვერ შეასრულებს. კანონმდებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ უნდა არსებობდეს ამის რეალური და არა მოჩვენებითი საშიშროება. ასე მაგალითად, რეალური საშიშროება იქმნება იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი გამოცხადდა გადახდისუუნაროდ; ან ის ქონება, რომელიც მყიდველს უნდა მიეწოდებინა, განადგურდა, აღარ არსებობს; ანდა, თუ შესრულება გათვალისწინებული იყო პირადად მყიდველისათვის, მაგრამ მყიდ-

ველი გარდაიცვალა (სამოქალაქო კოდექსის 453-ე მუხლი); აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ მყიდველი იყო იურიდიული პირი და მოხდა მისი ლიკვიდაცია (სამოქალაქო კოდექსის 454-ე მუხლი).

ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუკი მხარეთა უსაფრთხოება უზრუნველყოფილია გირაოთი, იპოთეკით, საბანკო გარანტიით და ა.შ.

მუხლი 485. საქონლის მიყიდვა რამდენიმე პირისათვის

თუ გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამდენიმე პირს მიჰყიდა, უპირატესობა ეძლევა იმ მყიდველს, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა იგი, ხოლო, თუ საქონელი არც ერთს არ გადასცემია, მაშინ – მას, ვისთანაც ხელშეკრულება უფრო ადრე დაიდო.

იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამდენიმე პირს მიჰყიდა, ე.ი. რამდენიმე პირთან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება (სულერთია, რა მიზანი ამოძრავებდა გამყიდელს, საქონლის უფრო მომგებიანად გაყიდვა, მყიდველის მოტყუება თუ სხვა), გამყიდველის სურვილის მიუხედავად, უპირატესობა ეძლევა იმ მყიდველს, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა საქონელი, ხოლო, თუ საქონელი არც ერთს არ გადასცემია, მაშინ მას, ვისთანაც ხელშეკრულება უფრო ადრე დადო.

მუხლი 486. გაყიდული საქონლის მიწოდება ნაწილ-ნაწილ

გაყიდული საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდებისას, თუ ერთი მხარის მიერ მიწოდების მხოლოდ ერთი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო შეიქმნა რეალური საშიშროება იმისა, რომ მომავალი მიწოდების ვალდებულებებიც არ შესრულდება, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

აღნიშნული მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 484-ე მუხლისაგან განსხვავებით, მიუთითებს იმ შემთხვევაზე, როდესაც პროდუქციის ნაწილ-ნაწილ მიწოდების შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ ერთი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ შეიქმნა იმის რეალური საშიშროება, რომ მომავალი მიწოდების ვალდებულებაც არ შესრულდება.

მაგალითი:

საკონსერვო ქარხანამ დადო ნასყიდობის ხელშეკრულება მიმწოდებელთან იმის თაობაზე, რომ მაისიდან აგვისტოს ჩათვლით, ყოველთვიურად მიაწოდებდა მარწყვს. მიმწოდებელმა პროდუქციის პირველი პარტიის მიწოდების ვალდებულება არ შეასრულა. გაირკვა, რომ შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მარწყვის მოსავლის განადგურებით, შეიქმნა რეალური საშიშროება იმისა, რომ მომავალი მიწოდების ვალდებულებებიც არ შესრულდებოდა. ასეთ შემთხვევაში მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

სამოქალაქო კოდექსის 486-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს, როგორც წესი, წარმოადგენენ მეწარმეები.

მუხლი 487. უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობა

გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი.

მოთხოვნა იმის შესახებ, რომ გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი, ეს ნასყიდობის ხელშეკრულების ჩვეულებრივი პირობაა, იგი იმპერატიული ხასიათის ნორმაა და არ შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებებით.

487-ე მუხლის მოთხოვნას, რომ გამყიდველმა მყიდველს გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივ-

თი, შეესაბამება მყიდველის უფლება მოითხოვოს გამყიდველისაგან ამ ვალდებულების შესრულება.

ნივთი ნივთობრივად ნაკლის მქონედ ჩაითვლება, თუკი იგი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხს, ან თუ უვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

ნივთი უფლებრივად ნაკლის მქონედ ჩაითვლება, თუ მესამე პირს შეუძლია განუცხადოს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. მაგალითად, ნივთი უფლებრივი ნაკლის მქონედ ჩაითვლება, თუ მესამე პირი პრეტენზიას აცხადებს ნივთის საკუთრების უფლებაზე. უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება (სამოქალაქო კოდექსის 489 მუხლი).

მუხლი 488. ნივთობრივად უნაკლო ნივთი

1. ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

2. ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე.

ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. ე.ი. მოთხოვნა ნივთის ხარისხის შესახებ გათვალისწინებული უნდა იყოს ხელშეკრულებაში. გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს ისეთი ხარისხის ნივთი, როგორიც ნასყიდობის ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. ნივთობრივად უნაკლოდ ჩაითვლება ნივთი, თუკი იგი შეესაბამება ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხს.

თუკი ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნივთის ხარისხი არ არის გათვალისწინებული, ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

ჩვეულებრივი სარგებლობისათვის უვარგისად ჩაითვლება ისეთი ნივთი, რომელიც უხარისხოა და ამის გამო ფაქტიურად შეუძლებელია მისი გამოყენება ანდა მისი გამოყენება შესაძლებელია გარკვეული დანახარჯების გაწევის შემდეგ.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში ნივთის ხარისხი არ არის გათვალისწინებული, გამყიდველი მოვალეა მყიდველს გაუწიოს ჩვეულებრივი სარგებლობისათვის გათვალისწინებული საქონელი, ხოლო თუ მხარეებს ერთმანეთთან ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ, ნივთის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის მოთხოვნები და სავაჭრო ტრადიციები, რაც წარმოიშვა მათი ურთიერთობის შედეგად (სამოქალაქო კოდექსის 339 მუხლი).

ნივთობრივად ნაკლის მქონედ ჩაითვლება ნივთი, თუ გამყიდველი მყიდველს გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ არა მთლიან ნივთს (საქონელს), არამედ ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, ან სულ სხვა ნივთს, ანდა მცირე რაოდენობით.

თუ გადაცემული ქონებიდან ნივთის (საქონლის) ნაწილი ნაკლის მქონეა, მაშინ მთელი საქონელი ჩაითვლება ნაკლის მქონედ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე.

მუხლი 489. უფლებრივად უნაკლო ნივთი

1. ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო.

2. უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება.

ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. აღნიშნული პირობა დაირღვევა იმ შემთხვევაში, თუ გასაყიდი ნივთი დატვირთულია მესამე პირის სანივთო ან ვალდებულებითი უფლებებით, რომელმაც შეიძლება შემდგომში გამოიწვიოს ამ ***ნივთის ევიქცია,*** ე.ი. შესაძლებელია მესამე პირმა სასამართლოს საშუალებით გაანაცხადოს პრეტენზია იმ მოტივით, რომ იგი მისი მესაკუთრეა.

უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არასებული უფლება.

მაგალითი:

თუ ნასყიდობის ხელშეკრულების საგანია მიწის ნაკვეთი ან სახლი და საჯარო რეესტრში ეს ქონება რეგისტრირებულია როგორც იპოთეკით დატვირთული, თუგინდ ეს სინამდვილეს არ შეეფერებოდეს, იგი ჩაითვლება უფლებრივად ნაკლის მქონე ქონებად.

მუხლი 490. გამყიდველის მოვალეობანი ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას

1. თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში.

2. გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის, ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯები.

3. გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს.

4. თუ გამყიდველი ნაკლის გამოსწორების მიზნით მყიდველს გადასცემს უნაკლო ნივთს, მაშინ მას შეუძლია მყიდველს მოსთხოვოს ნაკლის მქონე ნივთის უკან დაბრუნება.

ამ მუხლის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, იცოდა თუ არა მყიდველმა ნივთის ნაკლის შესახებ. თუკი ნივთის ნაკლის შესახებ გამყიდველმა წინასწარ შეატყობინა მყიდველს, ამ უკანასკნელს არა აქვს გამყიდველისათვის პრეტენზიის წაყენების უფლება, მაგრამ, თუ გაყიდული ნივთის ნაკლის შესახებ მყიდველმა წინასწარ არაფერი იცოდა და ნაკლი აღმოაჩინა ნივთის ყიდვის შემდეგ, ეს გარემოება წარმოშობს გამყიდველის მოვალეობას გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი, ხოლო, თუ ნაკლი აღმოაჩნდა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთს, იგი უნდა შეიცვალოს საამისოდ აუცილებელ ვადაში.

გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის აუცილებელი ხარჯების გაწევა, კერძოდ, ნივთის ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯების გაღება. მაგრამ, თუ ნივთის გამოსწორებისა და შეცვლის ხარჯები შეუსაბამოდ დიდია და გამყიდველისათვის არ არის ხელსაყრელი ასეთი ხარჯების გაწევა, მაშინ მას დაეკისრება ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

თუ გაყიდული ნივთის ნაკლის გამოსწორების მიზნით გამყიდველი მყიდველს გადასცემს უნაკლო ნივთს, მაშინ მას შეუძლია მოსთხოვოს მყიდველს ნაკლის მქონე ნივთის უკან დაბრუნება.

მუხლი 491. მყიდველის მიერ ხელშეკრულების მოშლის უფლება

1. მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლის მიხედვით.

2. გამყიდველმა უნდა აუნაზღაუროს მყიდველს გაწეული დანახარჯები.

მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო 490-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, მოითხოვოს ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლა, თუკი გამყიდველი არღვევს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას.

მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველმა მყიდველს გადასცა ნივთი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაკლი, რის გამოც მყიდველმა მას წარუდგინა პრეტენზია. გამყიდველმა საამისოდ აუცილებელ ვადაში არ გამოასწორა ნივთის ნაკლი და არც შეცვალა დაზიანებული ნივთი სხვა ნივთით. ასეთ შემთხვევაში მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა, ხოლო მხარეებს უნდა დაუბრუნდეს მიღებული შესრულება და სარგებელი (ნატურით დაბრუნება).

გამყიდველს ასევე ევალება აუნაზღაუროს მყიდველს ნივთის ტრანსპორტირებასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები.

მუხლი 492. ფასის შემცირების მოთხოვნა

თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მზედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი.

მყიდველს უფლება აქვს მიმართოს კომერციულ საქმიანობაში მეტად გავრცელებულ წესს, როგორიცაა ფასის შემცირების მოთხოვნა. ეს წესი ხშირად გამოიყენება მყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში. თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მხარეები სხვა თანხაზეც შეთანხმდნენ.

სამართლებრივი დაცვის ამ საშუალებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ფასის შემცირების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნას იმისდა მიუხედავად, გადახდილი იყო თუ არა ნივთის ფასი.

უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკული შედეგების მიხედვით ეს ნორმა ზიანის ანაზღაურების ანალოგიურია, ორივე ემსახურება მხარეთა უფლებების დაცვას, მაგრამ ამ შემთხვევაში დარღვეული უფლებების დაცვის ამორჩევის საშუალება აქვს მყიდველს. თუ ზიანის ანაზღაურების შედეგად იგი მეტ თანხას მიიღებს, მაშინ დაცვის ამ საშუალების გამოყენება მყიდველისათვის ხელსაყრელი არ არის.

მუხლი 493. უარის უფლება საქონლის მიღებაზე

1. მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას საქონლის მიღებაზე, თუ გამყიდველმა მას მიაწოდა საქონელი იმაზე ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. თუ მყიდველი მიიღებს ასეთ საქონელს, მაშინ ფასს გადაიხდის სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად.

2. თუ საქონლის რაოდენობა აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულს, მაშინ მყიდველს შეუძლია მიიღოს ეს რაოდენობა და მოვალეა გადაიხადოს სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად, ან მიიღოს მხოლოდ ის რაოდენობა, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, ხოლო ზედმეტი დააბრუნოს უკანვე გამყიდველის ხარჯზე.

ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობის საფუძველია კონტრაჰენტების შემხვედრი მოქმედება, რაც გამოიხატება გამყიდველის მხრიდან საქონლის გადაცემაში და მყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მისი ღირებულების გადახდაში. საქონლის მიღების კონკრეტული პირობები, როგორც წესი, ნასყიდობის ხელშეკრულებით ან სპეციალური ნორმატიული აქტებით განისაზღვრება. კანონით განსაზღვრულ ზოგიერთ შემთხვევაში, მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას საქონლის მიღებაზე, თუ გამყიდველმა მას მიაწოდა საქონელი იმაზე ნაკლები რაოდენობით, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალ-

ისწინებული. თუკი მყიდველი უარს არ იტყვის ასეთი საქონლის მიღებაზე, მაშინ ფასი უნდა გადაიხადოს საქონლის რაოდენობის გათვალისწინებით, სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად.

შესაძლებელია ასევე, რომ მიწოდებული საქონლის რაოდენობა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რაოდენობას, თუკი მყიდველი ამაზე თანახმაა, მას შეუძლია მიიღოს მიწოდებული საქონელი და გადაიხადოს თანხა სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად, ან მიიღოს მხოლოდ ის რაოდენობა, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, დანარჩენი დააბრუნოს უკანვე გამყიდველის ხარჯზე.

მუხლი 494. ნასყიდობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების წესი

1. ნივთის ნაკლით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ზოგადი წესების მიხედვით.

2. მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ნივთის ნაკლის გამო, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამის შესახებ.

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზიანის ანაზღაურებას. ზიანის ანაზღაურება გამოიყენება ვალდებულების ყოველგვარი დარღვევის დროს. ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ან უმოქმედობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დგება. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შეიძლება მხოლოდ ზიანის მიმყენებლის ბრალეული მოქმედების შემთხვევაში. პასუხისმგებლობა დგება განზრახი ან გაუფრთხილე-

ბელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუმცა სამოქალაქო სამართალი იცნობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასაც.

ნასყიდობის ხელშეკრულების შეუსრულებლობისას პასუხისმგებლობა განისაზღვრება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით ან სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით. პასუხისმგებლობა დგება, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, ასევე არაჯეროვანი შესრულებისათვის.

ნასყიდობის ხელშეკრულებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზიანის ანაზღაურების ორ შემადგენელ ნაწილს – დადებით ზიანს (მხარეთა მიერ გაწეული ხარჯები) და ნაცდურ გამორჩენას (მიღებული შემოსავალი), ე.ი. იმ მოგებას, რომელიც უნდა მიეღო ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ მხარეს, მეორე მხარეს თავისი ვალდებულება რომ შეესრულებინა. პირველ შემთხვევაში ზიანი ანაზღაურდება ფაქტიურად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, მეორე შემთხვევაში კი მიუღებელი შემოსავლისათვის. ორივე შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება მიმართულია დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის აღსადგენად, ზიანის მიმყენებლის ქონების ხარჯზე.

კანონით აკრძალულია ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა წინასწარი შეთანხმებით (სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლი).

ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას უნდა გაირკვეს, იცოდა თუ არა მყიდველმა ნივთის ნაკლის შესახებ. თუ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამის შესახებ და ნივთი მაინც მიიღო, მაშინ მას ნივთის ნაკლის გამო არ წარმოეშობა პრეტენზია.

მუხლი 495. ნაკლის მქონე ნივთის მიღება მყიდველის მიერ

1. თუ მყიდველი მეწარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი; თუკი იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო

მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს მყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება.

2. თუ გამყიდველი შეგნებულად დუმდა ნივთის ნაკლზე, მაშინ მას არ შეუძლია დაეყრდნოს ამ მუხლით გათვალისწინებულ უფლებას.

კანონი მყიდველს არ ავალებს ნივთის ყიდვისას დაუყოვნებლივ შეამოწმოს მისი ხარისხი, ამ მხრივ გამონაკლისია დაწესებული იმ მყიდველისათვის, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. კანონი მეწარმეს ავალებს ნივთის ყიდვისას დაუყოვნებლივ შეამოწმოს იგი. მეწარმე ვალდებულია ან თვითონ შეამოწმოს ნივთი ან უზრუნველყოს მისი შემოწმება (დათვალიერება), სიტუაციის შესაბამისად მაქსიმალურად მოკლე დროში. თუ ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე მეწარმე (მყიდველი) ვერ ახერხებს ჩვეულებისამებრ შეამოწმოს საქონელი, მაგალითად, არ გააჩნია ამისათვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობა, მაშინ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი არ ასრულებს ნივთის შემოწმებასთან დაკავშირებულ თავის მოვალეობას.

თუ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს ნივთი მყიდველს, მაშინ მყიდველმა ნივთი უნდა დაათვალიეროს დანიშნულების ადგილზე მიტანისთანავე.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მყიდველი გამოდის შუამავლის როლში, ფაქტიურად ნივთს (საქონელს) ყიდულობს იმ მიზნით, რომ მოახდინოს მისი საბითუმო წესით ხელახალი რეალიზაცია. იმის გამო, რომ ნივთი შეფუთულია, ტარაშია მოთავსებული, შუამავალი მყიდველი გაუხსნელად უგზავნის მას ახალ მყიდველს. ასეთ შემთხვევაში შუამავალი მყიდველი ვერ ახერხებს ნივთის დათვალიერებას, თავისთავად ნივთის შემოწმების პროცესი ყოვნდება, ამიტომაც სასურველია, რომ ეს პროცესი გათვალისწინებული იყოს ნასყიდობის ხელშეკრულებაში, ანდა გამყიდველმა იცოდეს ამის შესახებ.

თუ მყიდველი ნაკლს აღმოაჩენს შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა და არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას (რეკლამაციას), მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება.

თუ გამყიდველი შეგნებულად დუმდა ნივთის ნაკლზე, მასზე არ გავრცელდება 495-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მუხლი 496. ნივთის ვარგისიანობის ვადა

თუ გამყიდველი ნივთის ვარგისიანობის ვადას განსაზღვრავს, მაშინ ივარაუდება, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს აძლევს მოთხოვნის უფლებას.

სამოქალაქო კოდექსი არ საზღვრავს ნივთის ვარგისიანობის თაობაზე პრეტენზიის წარდგენის ვადას, ე.ი. იმ ვადას, რომლის განმავლობაშიც მყიდველს უფლება აქვს განაცხადოს პრეტენზია ნივთის ნაკლის შესახებ, მაგრამ მიუთითებს გონივრულ ვადაზე, რომელიც უნდა გამოიყენოს მყიდველმა პრეტენზიის წარსადგენად ნივთის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ნივთის დამამზადებელი, შესაბამისად გამყიდველი, თვითონ განსაზღვრავს ნივთის ვარგისიანობის ვადას (საგარანტიო ვადას). ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს აძლევს მოთხოვნის უფლებას.

მუხლი 497. გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვა

ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას,

მაგრამ ასეთი შეთანხმება ბათილი იქნება, თუ გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ.

ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ გაყიდული ნივთის ნაკლისათვის გამყიდველი ნაწილობრივ ან საერთოდ არ აგებს პასუხს. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ მყიდველისათვის ნივთის გადაცემის დროს, მისი დათვალიერებისას ნაკლი არ უნდა იყოს შესამჩნევი. ასეთი შეთანხმება ბათილი იქნება, თუ დადგინდა, რომ გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ.

მუხლი 498. უფლების ან სხვა ქონების გადასვლა

1. ნივთის ნასყიდობის მომწესრიგებელი წესები შესაბამისად გამოიყენება უფლების ან სხვა ქონების ნასყიდობის მიმართაც.

2. უფლების გაყიდვის შემთხვევაში გამყიდველი კისრულობს ამ უფლების ნამდვილობის დასაბუთებასა და გადაცემის ხარჯებს.

3. თუ გაყიდულია უფლება, რომელიც იძლევა ნივთის ფლობის შესაძლებლობას, მაშინ გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.

სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად ქონება არის ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლითაც სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენა შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით და არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

არამატერიალური ქონებრივი სიკეთეებიდან ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ქონებრივი უფლებები (გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს საწარმოს გაყიდვის შემთხვევა, სადაც უფლებებთან ერთად შეიძლება მოვალეობებიც გაიყიდოს).

ნივთის ნასყიდობის წესები გამოიყენება უფლების ნასყიდობის

მიმართაც. ქონებრივი უფლებების გაყიდვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველის მიერ შესრულებულია უფლებების გადაცემასთან დაკავშირებული მოვალეობანი. ამასთან გამყიდველი ვალდებულია იკისროს იმ უფლების ნამდვილობის დასაბუთება, რომელსაც იგი ყიდის, ხოლო, თუ ამისათვის ხარჯების გაწევაა საჭირო, მაშინ ხარჯები მანვე უნდა გასწიოს.

თუ გაყიდულია უფლება, მაგალითად იჯარის უფლება (სამოქალაქო კოდექსის 583-ე მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთი იჯარით გადაიცემა ინვენტართან ერთად), რომელიც იძლევა უფლებასთან ერთად ნივთის ფლობის შესაძლებლობასაც, მაშინ გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.

მუხლი 499. ნივთის გაყიდვა რამდენჯერმე

თუ ნივთი რამდენჯერმე იყიდება, ვალდებულების უზრუნველმყოფი უფლება გადაეცემა ყოველ მომდევნო მყიდველს. მყიდველს შეუძლია თავისი უფლებების ფარგლებში მოთხოვნები წარუდგინოს შესაბამის გამყიდველს ნასყიდობათა ამ რიგში.

სამოქალაქო კოდექსის 499-ე მუხლი ვრცელდება, როგორც მოძრავ, ისე უძრავ ნივთებზე. სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლი განსაზღვრას უძრავი ნივთის ცნებას. ყველა დანარჩენი ნივთი, რომელიც არ განეკუთვნება 149-ე მუხლით განსაზღვრულ ნივთებს, მოძრავი ნივთებია.

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებანი იყოფიან უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივ საშუალებებად. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებას მიეკუთვნება გირავნობა და იპოთეკა. გირავნობაუნარიანი სიკეთეებია მოძრავი ნივთები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები, ხოლო იპოთეკაუნარიანი სიკეთეებია უძრავი ნივთები. სწორედ ეს სამართლებრივი საგანი განასხვავებთ მათ ერთმანეთისაგან. ორივე უფლებისათვის დამახას-

იათებელია ის, რომ უფლება ნივთს თან მიჰყვება. აქედან გამომდინარე გირავნობით ან იპოთეკით დატვირთული ნივთის გასხვისება დასაშვებია ვალდებულების უზრუნველმყოფ უფლებასთან ერთად.

როგორც 499-ე მუხლშია აღნიშნული, თუ ნივთი რამდენიმეჯერ იყიდება, ვალდებულების უზრუნველმყოფი უფლება გადაეცემა ყოველ მომდევნო მყიდველს. ე.ი. ნივთის ხელახალი გაყიდვის შემთხვევაში სანივთო უფლება ნივთთან ერთად გადავა მომდევნო მყიდველზე. მყიდველს შეუძლია თავისი უფლებების ფრგლებში მოთხოვნები წარუდგინოს შესაბამის გამყიდველს. კერძოდ, დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული ნივთის თაობაზე პრეტენზიის წაყენების უფლება მომდევნო მყიდველს აღმოუცენდება წინა მყიდველის მიმართ.

მაგალითად, გაიყიდა იპოთეკით დატვირთული სახლი. ვინაიდან იპოთეკა აქცესორული უფლებაა, სახლთან ერთად მყიდველზე გადავა იპოთეკაც, მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ 289-ე მუხლის მოთხოვნა, რომ იპოთეკა წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად. თუ სახლი რამოდენიმეჯერ გაიყიდა, იპოთეკის შესახებ აღნიშვნა უნდა გაკეთდეს ყოველ ახალ დოკუმენტში და გატარდეს საჯარო რეესტრში, ხოლო, თუ ბოლო მყიდველს ნასყიდობის თაობაზე რაიმე პრეტენზია წარმოეშობა, მან პრეტენზია უნდა წარუდგინოს იმას, ვისგანაც იყიდა სახლი და არა პირველ გამყიდველს.

მუხლი 500. ნივთის დაკავების უფლება

თუ მყიდველი დროულად არ მიიღებს ნივთს ან თავის დროზე არ გადაიხდის მის ფასს, გამყიდველი ვალდებულია შეინახოს ნივთი; გამყიდველს უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი ან დააკავოს გზაში მანამ, ვიდრე მყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს.

აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულია შემთხვევა, რომელსაც ეწოდება კრედიტორის მიერ გადახდის ვადის გადაცილება.

თუ მყიდველმა გადააცილა ნივთის მიღების ვადას ან თავის დროზე არ გადაიხადა მისი ფასი, ე.ი. არ შეასრულა ის მოთხოვნა, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლით, მაშინ გამყიდველი, რომელთანაც იმყოფება ნივთი, ანდა ახორციელებს მასზე კონტროლს, ვალდებულია შეინახოს იგი. რა თქმა უნდა, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, მის მიერ გატარებული ზომები უნდა შეესაბამებოდეს გონივრულობის კრიტერიუმს (აქ გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ნივთი მყიდველის საკუთრება ხდება ხელშეკრულების დადების მომენტიდანვე).

მე-500 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ივარაუდება, რომ გამყიდველმა შეასრულა ნივთის მიწოდების თაობაზე მის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი. მყიდველის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიხატება იმაში, რომ მან დროულად არ მიიღო ნივთი ან თავის დროზე არ გადაიხადა მისი ფასი.

არსებულ სიტუაციაში გამყიდველის უფლების დაცვის გარანტიაა მისთვის კანონით მინიჭებული უფლება შეინახოს, დაიტოვოს ან დააკავოს გზაში ნივთი მანამდე, სანამ მყიდველი არ აუნაზღაურებს მას შესაბამის ხარჯებს.

მუხლი 501. ნივთის შეძან დაბრუნება მყიდველის მიერ

თუ მყიდველმა მიიღო ნივთი, მაგრამ სურს მართლზომიერად მისი უკან დაბრუნება, მან უნდა იზრუნოს ნივთის შენახვისათვის; მყიდველს უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი მანამდე, ვიდრე გამყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს.

თუ მე-500 მუხლით გათვალისწინებულია გამყიდველის მიერ გაყიდული ნივთის (საქონლის) შენახვის მოვალეობა იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი დროზე არ მიიღებს ნივთს და დროულად არ გადაიხდის ფასს, 501-ე მუხლი ითვალისწინებს ანალოგიურ სიტუაციას, მაგრამ ამ შემთხვევაში შენახვის მოვალეობა ეკისრება მყიდველს.

კერძოდ, თუ მყიდველმა მიიღო ნივთი, მაგრამ სურს მართლზომიერად მისი უკან დაბრუნება, იმის გამო, რომ გამყიდველმა არ შეასრულა თავისი მოვალეობა, ნივთის უკან დაბრუნებამდე მან უნდა იზრუნოს ნივთის შენახვისათვის.

ნივთის უკან დაბრუნების განზრახვა მყიდველმა უნდა გამოამჟღავნოს ნივთის მიღების მომენტში. ფაქტიურად მაშინ, როდესაც მან დაათვალიერა ნივთი, აღმოაჩინა მისი ნაკლი და გადაწყვიტა მისი უკან დაბრუნება. ამ მომენტიდან აღმოცენდა მყიდველის ვალდებულება შეინახოს ნივთი. ნივთის შენახვის ვადა უნდა განისაზღვროს დროის იმ პერიოდით, რომელიც საჭიროა პრეტენზიის გაგზავნისა და მასზე პასუხის მიღებისათვის.

მყიდველს, ისევე როგორც ანალოგიურ სიტუაციაში გამყიდველს, უფლება აქვს მოითხოვოს იმ გონივრული დანახარჯების კომპენსაცია, რომელიც მან გასწია ნივთის შენახვისათვის, ამასთან მას უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი მანამდე, ვიდრე გამყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს.

მუხლი 502. ნივთის შენახვის ხარჯები

მხარეს, რომელიც ვალდებულია შეინახოს ნივთი, შეუძლია მეორე მხარის ხარჯზე ნივთი შეინახოს მესამე პირის საწყობში, თუ აქედან არ წარმოიშობა არამართლზომიერი ხარჯები.

აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულია ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა, კერძოდ, გამყიდველისა და მყიდველის ვალდებულება შეინახოს ნივთი მეორე მხარის ხარჯზე, მესამე პირის საწყობში.

უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირის საწყობში ნივთის ჩაბარება ვალდებული მხარის უფლებაა და არა მოვალეობა. მხარე ამას მიმართავს იმიტომ, რომ დაიცვას საკუთარი ინტერესები და კანონის მოთხოვნა, ამასთანავე უზრუნველყოს კონტრაჰენტის ინტერესების დაცვა.

თუ სხვადასხვა მიზეზების გამო ვალდებული მხარე ნივთს არ აბარებს საწყობში, მაგალითად, იმის გამო, რომ საწყობში არ არის შენახვისათვის სათანადო პირობები, ან ნივთის შენახვა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაშინ მან დამოუკიდებლად უნდა უზრუნველყოს მისი შენახვა.

ნივთის შენახვის ხარჯები (საწყობში ნივთის მიბარების ხარჯები), რომელიც ვალდებულმა მხარემ გაიღო, შემდგომში უნდა აანაზღაუროს კონტრაჰენტმა. ამიტომაც, კანონმდებელი იცავს რა კონტრაჰენტის იტერესებს, მიუთითებს, რომ შენახვამ არ უნდა გამოიწვიოს არათანაბარზომიერი ხარჯები, ფაქტიურად ხარჯი გონივრულად უნდა იქნეს გაწეული.

მუხლი 503. ნივთის შენახვის უფლება

1. მხარეს, რომელიც მე-500 და 502-ე მუხლებში აღნიშნული წესების მიხედვით ინახავს ნივთს, შეუძლია გაყიდოს ეს ნივთი სათანადო წესების დაცვით, თუ მეორე მხარე აყოვნებს ნივთის მიღებას ან შენახვის ხარჯების ანაზღაურებას, ამის შესახებ მან უნდა აცნობოს მეორე მხარეს.

2. მხარე, რომელიც ნივთს ყიდის, უფლებამოსილია ნავაჭრიდან დაიტოვოს თანხა, რომელიც შეესაბამება ნივთის შენახვისა და გაყიდვის ხარჯებს; დანარჩენი თანხა კი უნდა გადასცეს მეორე მხარეს.

აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ნივთს ყიდის არამესაკუთრე. გამყიდველი (მე-500 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში) და ვალდებული მხარე (502-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში), რომლებიც 500-502-ე მუხლებში აღნიშნული წესების მიხედვით ინახავენ ნივთს, შეუძლიათ გაყიდონ იგი სათანადო წესების დაცვით. ეს უფლება მათ წარმოეშობათ მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი აყოვნებს ნივთის მიღებას ანდა ნივთის შენახვის ხარჯების ანაზღაურებას. 503-ე მუხლით მინიჭე-

ბული უფლების რეალიზაციისათვის საჭიროა, რომ მათ აცნობონ კონტრაჰენტს ნივთის შესაძლო გაყიდვის შესახებ. კონტრაჰენტისაგან შეტყობინების მიღების შემდეგ ნივთი შეიძლება გაიყიდოს.

რაც შეეხება ნივთის გაყიდვას სათანადო წესების დაცვით – აქ უნდა გავითვალისწინოთ ასეთი შემთხვევებისათვის ჩვენთან დამკვიდრებული პრაქტიკა.

მხარეს, რომელმაც მართლზომიერად, გონივრული გადაწყვეტილების ფარგლებში გაყიდა ნივთი, უფლება აქვს ნავაჭრიდან დაიტოვოს თანხა, რომელიც შეესაბამება ნივთის შენახვისა და გაყიდვის ხარჯებს, დანარჩენი თანხა კი უნდა გადაეცეს მეორე მხარეს.

მუხლი 504. მალფუჭადი ნივთის შენახვის თავისებურებანი

თუ მე-500 და 501-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნივთი მალფუჭადია, ან მას გაუფასურება მოელის, ანდა მისი შენახვა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მხარე, რომელსაც ეკისრება ნივთის შენახვა, ვალდებულია იგი გაყიდოს 503-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

განსხვავებული წესებია დადგენილი სამოქალაქო კოდექსის 500-501-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მალფუჭადი ნივთის (საქონლის) შენახვისათვის. აქ ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას, თუ 500-501-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ნივთის მიმღები ვალდებულია შეინახოს ნივთი, 504-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როცა ნივთი მალფუჭადია ანდა მისი შენახვა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მხარე, რომელსაც ეკისრება ნივთის შენახვა, ვალდებულია გაყიდოს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში ნივთს გაუფასურება მოელის.

აღნიშნულ შემთხვევაში მხარეს არ ევალება ნივთის გაყიდვის თაობაზე შეტყობინება გაუგზავნოს კონტრაჰენტს, რადგანაც ეს

პროცესი გარკვეულ დროს საჭიროებს, რომლის განმავლობაშიც ნივთი შეიძლება გაუფასურდეს.

ნივთის გაყიდვა უნდა მოხდეს 503-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, კერძოდ, გამყიდველს, რომელსაც მართლზომიერად, გონივრული გადაწყვეტილების ფარგლებში გაყიდა ნივთი, უფლება აქვს ნავაჭრიდან დაიტოვოს თანხა, რომელიც შეესაბამება ნივთის შენახვისა და გაყიდვის ხარჯებს, დანარჩენი თანხა უნდა გადასცეს მეორე მხარეს.

II. ნასყიდობა გადახდის განვადებით

მუხლი 505. ცნება

განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ნივთის ფასის გადახდამდე. ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ ხდება ნაწილ-ნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედებში.

ნასყიდობა გადახდის განვადებით ნასყიდოის ხელშეკრულების ნაირსახეობას წარმოადგენს. აღნიშნული ხელშეკრულება ძირითადად მომხმარებელთა უფლებების დაცვას ემსახურება.

განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებაში ხელშეკრულების მხარეებად გამოდიან გამყიდველი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და ყიდის ნივთს საცალო წესით და მყიდველი, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.

აღნიშნული ხელშეკრულების თავისებურებად ჩაითვლება ის, რომ ჩვეულებრივი ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, განვადებით ნასყიდობისას, გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე, ხოლო შემდგომ მყიდველის მიერ ნივთის ფასის გადახდა უნდა მოხდეს ნაწილ-ნაწილ დროის გან-

საზღვრულ შუალედებში, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს ხელშეკრულებით.

მუხლი 506. განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა

1. განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით.

2. ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს: ა. ნაღდი გადახდის ოდენობა; ბ. ნაწილ-ნაწილ გადასახადი თანხის ოდენობა და გადახდის დრო; გ. წლიური პროცენტის ოდენობა.

3. გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნასყიდობის საბუთების ასლი.

აღნიშნული მუხლით დადგენილია განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების სპეციალური ფორმა, რომელიც უნდა დაიდოს წერილობით. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა. ნაღდი გადახდის ოდენობა, ე.ი. ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს ის თანხა, რომელიც მყიდველმა გადაიხადა ხელშეკრულების დადების მომენტში. ფაქტიურად ნივთის მთლიანი ღირებულების ნაწილი;

ბ. ნაწილ-ნაწილ დროის გარკვეულ შუალედში გადახდილი თანხის ოდენობა და მხარეთა მიერ დადგენილი გადახდის დრო;

გ. წლიური პროცენტების ოდენობა, აქ იგულისხმება გარკვეული პროცენტი, რომელიც მყიდველმა უნდა გადაიხადოს ნივთის განვადებით ყიდვისათვის.

გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნასყიდობის საბუთების ასლი.

საერთო წესის მიხედვით ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, დაიცავენ თუ არა მხარეები კანონით გათვალისწინებულ ფორმას. ამ შემთხვევაში ჩამოთვლილი რეკვიზიტების დაუცველობა არ გამოიწვევს ხელშეკრულების ბათილობას.

ხელშეკრულების მოთხოვნათა დაუცველობის შედეგები გათვალისწინებულია 507-ე მუხლში, რომელიც ითვალისწინებს ნივთის გადაცემის მომენტიდან ხელშეკრულების დადების პრეზუმფციას.

მუხლი 507. ნივთის გადაცემის მომენტიდან ხელშეკრულების დადების პრეზუმფცია

თუ ხელშეკრულება დადებულია 506-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, მაშინ ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება ნივთის გადაცემის მომენტიდან. ამ შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ ნივთის ფასი პროცენტების გარეშე.

როგორც 505-ე მუხლშია აღნიშნული, განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე ე.ი. შეთანხმების მომენტიდან. თუ ხელშეკრულების მხარეებმა არ გაითვალისწინეს 506-ე მუხლში ჩამოთვლილი მოთხოვნები ან დაარღვიეს იგი, მაშინ ხელშეკრულება დადებულად ჩათვლება არა მხარეთა შეთანხმების მომენტიდან, რასაც ითვალისწინებს განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება, არამედ ნივთის გადაცემის მომენტიდან, ე.ი. იმ წესით, რაც ნასყიდობის ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ ნივთის ფასი პროცენტების გარეშე.

მუხლი 508. ორმხრივი რესტიტუცია ვალდებულების შეუსრულებლობისას

თუ გამყიდველი იტოვებს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ შემთხვევაში, როცა მყიდველი არ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, უარის თქმისას ყოველი მხარე ვალდებულია დაუბრუნოს ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს. ამის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია.

თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გამყიდველის უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ შემთხვევაში, როცა მყიდველი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს (მაგალითად, ხელშეკრულებით დათქმულ დროში არ იხდის ფასს, ან აყოვნებს პროცენტების გადახდას), გამყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე. უარის თქმისას ორივე მხარე ვალდებულია დაუბრუნოს ერთმანეთს ის, რაც მათ ხელშეკრულებით მიიღეს, ე.ი. ხელშეკრულების მხარეები უნდა აღდგნენ წინანდელ მდგომარეობაში, რასაც ეწოდება ორმხრივი რესტიტუცია (ლათინურად რესტიტუტიო – აღდგენა).

III. გამოსყიდვა

მუხლი 509. ცნება

თუ გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გამოსყიდვის უფლება, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე.

გამოსყიდვის ხელშეკრულებაში მხარეებს უფლება აქვთ გაითვალისწინონ პირობა, რომლის თანახმადაც გამყიდველს მიეცემა უფლება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ გამოისყიდოს ნივთი. გამოსყიდვის უფლება გამყიდველის უფლებაა და არა მოვალეობა, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე, ე.ი. მის სურვილზეა დამოკიდებული გამოისყიდის თუ არა ნივთს.

მუხლი 510. გამოსყიდვის ფასი

გამოსყიდვა ხდება თავდაპირველი ფასით. ამასთან, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ის თანხა, რომლითაც გაიზარდა საქონლის ღირებულება გამოსყიდვის მომენტამდე სასარგებლო დანახ-

არჯების შედეგად, ხოლო გამომსყიდველს შეუძლია მოითხოვოს იმ თანხის გამოკლება, რომლითაც შემცირდა საქონლის ღირებულება მის გამოსყიდვამდე.

საქონლის გამოსყიდვა ხდება თავდაპირველ ფასში. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ფასის გაზრდა ან შემცირება იმის გათვალისწინებით, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება საქონელი. მყიდველს უფლება აქვს გაზარდოს საქონლის ფასი, თუკი მან გამოსყიდვის მომენტამდე სასარგებლო დანახარჯების შედეგად გააუმჯობესა იგი, მაგალითად, ჩაუტარა კაპიტალური რემონტი, ანდა სხვა ისეთი მოქმედება, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა მისი ღირებულება. თავის მხრივ გამომსყიდველსაც შეუძლია მოითხოვოს საქონლის ღირებულების შემცირება, თუკი მან ნახა, რომ საქონელი არ არის სათანადოდ მოვლილი, მაგალითად, მას არ ჩაუტარდა მიმდინარე რემონტი, რის გამოც მან თავისი პირვანდელი ღირებულება დაკარგა. ასეთ შემთხვევაში გამომსყიდველს შეუძლია მოითხოვოს იმ თანხის გამოკლება, რომლითაც შემცირდა საქონლის ღირებულება.

მუხლი 511. საკუთვნებლის გედი ნასყიდობისას

მყიდველი ვალდებულია ნაყიდი ნივთი დააბრუნოს საკუთვნებელთან ერთად.

მყიდველი ვალდებულია ნაყიდი ნივთი დააბრუნოს საკუთვნებელთან ერთად. საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის. საკუთვნებელი შეიძლება იყოს მხოლოდ მოძრავი ნივთი, მთავარი ნივთი კი, შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ასევე უძრავი. საკუთვნებელი თავისთავად დამოუკიდებელი ნივთია, მაგრამ სივრცობრივად დაკავშირებულია მთავარ ნივთთან და ამიტომაც ითვლება საკუთვნებლად.

მაგალითად, თუ ნასყიდობის ხელშეკრულების საგანია საწარ-

მო, რომელშიც იგულისხმება შენობა, მანქანა-დანადგარებითა და მოწყობილობით, მისი გამოსყიდვისას, მყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს გამომსყიდველს საწარმო მთლიანობაში, კერძოდ, შენობა, მანქანა-დანადგარებითა და მოწყობილობით, რომლებიც საწარმოს საკუთვნებელს წარმოადგენენ.

მუხლი 512. გამოსყიდვამდე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება

თუ მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე ნაყიდი ნივთი გააფუჭა (დააზიანა) ან შეცვალა, მან უნდა აანაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი.

საერთო წესის თანახმად, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შეიძლება მხოლოდ ზიანის მიმყენებლის ბრალეული მოქმედების შემთხვევაში. პასუხისმგებლობა, როგორც წესი, დგება განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის.

512-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ნივთის გაფუჭება (დაზიანება) მოხდა მყიდველის ბრალით. რაც შეეხება შეცვლას, აქ ივარაუდება, რომ ნივთი შეიცვალა იმავე დასახელების, მაგრამ უფრო დაბალი ხარისხის ნივთით, ან სხვა ნივთით, რომლის მიღებაც გამომსყიდველს არ სურს. აღნიშნულ შემთხვევაში მყიდველმა უნდა აანაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი. ნივთის შემთხვევით გაფუჭების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა.

მუხლი 513. გამოსყიდვამდე ნივთის გასხვისების ბათილობა

თუ მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე გაასხვისა ნაყიდი ნივთი, ასეთი გასხვისება ბათილია.

თუკი მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე გაასხვისა ნაყიდი ნივთი (გაყიდა, გააჩუქა და ა.შ.) ასეთ გასხვისებას კანონი ბათილად მიიჩნევს. გარიგების ბათილობა კი ნიშნავს, რომ გარიგებას არ მოჰყვება ის იურიდიული შედეგი, რასაც მხარეები ითვალისწინებდნენ გარიგების დადებისას. მოსალოდნელი შედეგიდან გამომდინარე, კანონი განასხვავებს ბათილობის სხვადასხვა ფორმებს. ისეთი გარიგება, რომელიც დადებისთანავე ბათილია, ე.ი. დასახულ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს, უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ეწოდება.

ჩვენს შემთხვევაში, თუკი მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე გაასხვისა ნაყიდი ნივთი, ასეთი გარიგება უცილოდ ბათილ გარიგებად ჩაითვლება და გამომსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა, მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

მუხლი 514. გამოსყიდვის უფლების ხანდაზმულობა

გამოსყიდვის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ხუთ წელს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა.[1] კანონი ხანდაზმულობის საერთო ვადას განსაზღვრავს ათი წლით, ზოგიერთი მოთხოვნისათვის კანონი ადგენს სპეციალურ და სხვადასხვა ვადებს. სწორედ ასეთ ვადას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 514-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, გამოსყიდვის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ხუთ წელს. ე.ი. ნასყიდობის ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულია ნივთის გამოსყიდვის უფლებით, გამოსყიდვის უფლებ-

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 2001, გვ. 316.

ის ხანდაზმულობა არ უნდა აღემატებლოდეს ხუთ წელს. ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

მუხლი 515. ოფცია

მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მყიდველს ცალმხრივად აქვს უფლება, ესა თუ ის საგანი შეიძინოს განსაზღვრულ დრომდე ან განსაზღვრულ მოვლენამდე (შესყიდვის ოფცია), ანდა, იმავე პირობებში, გამყიდველს უფლება აქვს საგნის მყიდველს მიჰყიდოს (გაყიდვის ოფცია). ოფციის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების ნორმები, თუკი მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

სახელშეკრულებო სამართალში ოფცია არის ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება, რომლითაც ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთ მხარეს, ხელშეკრულებით დათქმული პირობებიდან გამომდინარე, ეძლევა შესაძლებლობა ამოირჩიოს ვალდებულების შესრულების ხერხი ან მოცულობა ანდა უარი თქვას მის შესრულებაზე.

ოფციის დროს ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე შესაძლებელია იმ ხელშეკრულების განხორციელება, რომლის შინაარსიც სხვა ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული.

ნასყიდობის ხელშეკრულებაში გვხვდება სხვადასხვა ოფციური უფლებები, კერძოდ: შესყიდვის, გაყიდვის და გამოსყიდვის ოფცია.

მაგალითი:

საწარმოს თაობაზე დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეებმა გაითვალისწინეს პირობა, რომლის თანახმადაც, თუ მყიდველი საწარმოს არ გამოიყენებს დანიშნულებისამებრ სამი წლის განმავლობაში, გამყიდველს მიეცემა საწარმოს გამოსყიდვის უფლება (გამოსყიდვის ოფცია). თუ ხელშეკრულებაში აღნიშნული პირობა დადგა, მყიდველს უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული გამოისყიდოს საწარმო.

მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ ოფცია არის უფლება და არა ვალდებულება.

ნასყიდობის ხელშეკრულებაში არსებული ოფციური უფლებების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების ნორმები, თუკი მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ.

IV. უპირატესი შესყიდვის უფლება

მუხლი 516. ცნება

1. უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ უფლების განხოციელება, თუ ვალდებული პირი მესამე პირთან დებს მოცემული ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებას.

2. უპირატესი შესყიდვის უფლება არც სხვა პირს გადაეცემა და არც მემკვიდრეობით გადადის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

უპირატესი უფლების მიმნიჭებელ ხელშეკრულებებს განეკუთვნება ყველა ხელშეკრულება, რომლითაც ხელშეკრულების ერთერთ მხარეს ენიჭება უპირატესი უფლება სხვებთან შედარებით, თუკი კონტრაჰენტი მოინდომებს სხვა ხელშერკულების დადებას.[2]

უპირატესი შესყიდვის უფლება მდგომარეობს იმაში, რომ ასეთი უფლების მქონე პირს, უფლება აქვს სხვებისგან უპირატესად იყიდოს ესა თუ ის ქონება. სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის უპირატესი უფლება განსაზღვრული უნდა იყოს კანონით. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 209-ე მუხლი ითვალისწინებს ბინის უპირატესი შესყიდვის უფლებას, კერძოდ, ბინის დამქირავებლის, რომელმაც სამ წელზე მეტ ხანს იცხოვრა ბინაში, აქვს ბინის უპირატესი შესყიდვის უფლება, ხოლო სამოქალაქო კოდექ-

[2] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2001, გვ. 101.

სის 1470-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამემკვიდრეების მიერ თავისი წილის განკარგვისას სხვა თანამესაკუთრეებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება.

516-ე მუხლის თანახმად, უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე მხარეს მაშინ წარმოეშობა ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობა, თუ ვალდებული პირი მესამე პირთან დებს მოცემული ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებას. 209-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბინის დამქირავებელს, რომელმაც სამ წელზე მეტ ხანს იცხოვრა ბინაში, შეუძლია გამოიყენოს უპირატესი შესყიდვის უფლება, თუ ბინის მესაკუთრე მესამე პირთან დებს ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებას. ამ შემთხვევაში უპირატესი შესყიდვის უფლებით სარგებლობს მხოლოდ დამქირავებელი. ეს უფლება დამქირავებელმა არ შეიძლება სხვას დაუთმოს, ან ვინმეს გადასცეს მემკვიდრეობით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 517. ნივთის მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ შეტყობინების მოვალეობა

1. ვალდებულმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს იმ ხელშეკრულების შინაარსი, რომლის დადებასაც ის აპირებს მესამე პირებთან.

2. უპირატესი შესყიდვის უფლება ხორციელდება ვალდებული პირისათვის შეტყობინებით. შეტყობინების მეშვეობით უფლებამოსილ პირსა და ვალდებულ პირს შორის იდება ნასყიდობის ხელშეკრულება იმ პირობებით, რომლებიც ვალდებულმა პირმა მესამე პირს შესთავაზა.

3. უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ უფლების განხორციელება მხოლოდ ვალდებული პირის მიერ დადგენილ ვადაში.

ამ მუხლის განმარტებისათვის მივმართოთ მაგალითს. პირი

ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს სამ წელზე მეტ ხანს, ბინის მესაკუთრემ (ვალდებულმა პირმა) გადაწყვიტა ბინის გაყიდვა. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამქირავებელს (უპირატესი შესყიდვის მქონე პირს) ბინის მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ და გააცნოს ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსი იმ პირობებით, რომელიც ბინის მესაკუთრემ მესამე პირს შესთავაზა. თუ დამქირავებელი ამ პირობებზე თანახმაა, მესაკუთრემ, როგორც ვალდებულმა პირმა უნდა დაადგინოს ვადა, რომლის განმავლობაშიც დამქირავებელს უფლება მიეცემა განახორციელოს უპირატესი შესყიდვის უფლება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მესაკუთრეს შეუძლია მესამე პირთან დადოს ნასყიდობის ხელშეკრულება.

მუხლი 518. უპირატესი შესყიდვის უფლების გამოუყენებლობაზე შეთანხმების ბათილობა

ვალდებულ პირსა და მესამე პირს შორის არსებული შეთანხმება ბათილია, თუ ამით ნასყიდობის ხელშეკრულება დამოკიდებული ხდება უპირატესი შესყიდვის უფლების გამოუყენებლობაზე, ან ვალდებულ პირს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი გამოყენებული იქნება უპირატესი შესყიდვის უფლება.

ამ შემთხვევაში მივმართოთ ჩვენს მიერ 517-ე მუხლში მოყვანილ მაგალითს, კერძოდ, თუ ბინის მესაკუთრემ (ვალდებულმა პირმა) გადაწყვიტა გაქირავებული ბინის გაყიდვა და ამის თაობაზე შეუთანხმდა მესამე პირს ისე, რომ ამის შესახებ არ შეატყობინა დამქირავებელს, რომელსაც ამ ბინაზე აქვს უპირატესი შესყიდვის უფლება, ასეთ შემთხვევაში ბინის ნასყიდობის თაობაზე, მესამე პირთან არსებული შეთანხმება ბათილად ჩაითვლება, რადგანაც იგი ხელს უშლის დამქირავებელს გამოიყენოს უპირატესი შესყიდვის უფლება.

ბათილად ჩაითვლება ნასყიდობის ხელშეკრულება მაშინაც, თუ

მესაკუთრე შეუთანხმდება მესამე პირს იმაზე, რომ იგი უარს ეტყვის დამქირავებელს ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, თუკი დამქირავებელმა გამოიყენა უპირატესი შესყიდვის უფლება.

მუხლი 519. დამატებითი ვალდებულების შესრულება

1. თუ მესამე პირმა ხელშეკრულებით იკისრა დამატებითი ვალდებულება, რომლის შესრულების შესაძლებლობაც უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს არა აქვს, მაშინ მან დამატებითი ვალდებულების ნაცვლად უნდა გადაიხადოს მისი ღირებულება.

2. თუ შეუძლებელია დამატებითი ვალდებულების ფულადი შეფასება, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება დაუშვებელია; დამატებითი ვალდებულების თაობაზე შეთანხმება ძალას კარგავს, თუ ხელშეკრულება დაიდო უპირატესი შესყიდვის უფლებისათვის გვერდის ასახვევად.

შესაძლებელია ნასყიდობის ხელშეკრულებით ვალდებულმა პირმა ნივთის ფასის გადახდის გარდა მოითხოვოს რაიმე დამატებითი ვალდებულების შესრულება, რომლის შესრულებასაც ნივთის ფასის გადახდასთან ერთად კისრულობს მესამე პირი. თუ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს დამატებითი ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა არა აქვს, მაშინ მან დამატებითი ვალდებულების ნაცვლად უნდა გადაიხადოს მისი ღირებულება. თუ შეუძლებელია დამატებითი ვალდებულების ფულადი შეფასება, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება დაუშვებელია.

მაგალითად, ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი (ვალდებული პირი) ბინის დამქირავებელს, რომელსაც აქვს ბინის უპირატესი შესყიდვის უფლება, ბინის ფასის გადახდასთან ერთად, დამატებით ვალდებულებად მოითხოვს მანქანის თხოვების ხელშეკრულების გაფორმებასაც, რომლის შესაძლებლობაც უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს არა აქვს. ამასთან ასეთი მოთხ-

ოვნის ფულადი შეფასება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში დამქირავებელი კარგავს უპირატესი შესყიდვის უფლებას, გამყიდველს კი წარმოეშობა უფლება ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება ასეთი პირობით დადოს მესამე პირთან, მაგრამ, თუ ხელშეკრულება დაიდო უპირატესი შესყიდვის უფლებისათვის გვერდის ასახვევად, მაშინ დამატებითი ვალდებულების თაობაზე შეთანხმება ძალადაკარგულად ჩაითვლება.

მუხლი 520. ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით

ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება ნივთის მოწონების პირობით დაიდოს, თუ მყიდველი შეთანხმებულ ვადაში არ დაიწუნებს ნივთს. დაწუნების შემთხვევაში მხარეები მოვალენი არიან დაუბრუნონ ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს.

ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ იმაზე, რომ მათ შორის ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდოს, მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში ნივთის მოწონების პირობით. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ მყიდველი მოიწონებს ნივთს, ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში დარჩება.

მაგალითი:

მხარეთა შორის საწარმოს ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო იმ პირობით, რომ მყიდველი საწარმოს დაიტოვებს იმ შემთხვევაში, თუ ერთი წლის განმალობაში საწარმოში არსებული მანქანა-დანადგარები ექსპლოატაციის შემდეგ მწყობრიდან არ გამოვა. აქედან გამომდინარე, თუ მყიდველი შეთანხმებულ ვადაში მოიწონებს საწარმოს, ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში დარჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ის, რაც მათ ხელშეკრულებით მიიღეს.

მუხლი 521. ცნება

1. გაცვლის ხელშეკრულებით მხარეებს ეკისრებათ ქონებაზე საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემა.

2. გაცვლის ხელშეკრულების ყოველი მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად, რასაც ცვლის, და იმის მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს.

გაცვლის ხელშეკრულებით თითოეული მხარე ვალდებულია გადასცეს მეორე მხარეს ქონება საკუთრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ გაცვლის ხელშეკრულება ისტორიულად წინ უსწრებდა ნასყიდობის ხელშეკრულებას, გაცვლამ (პერმუტაციო), როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთმა სახემ, რომის სამართლის კონტრაქტების კლასიკურ სისტემაში ადგილი ვერ ჰპოვა, თუმცა შემდგომ რომის სამართლის განვითარების ეპოქაში ნასყიდობასა და გაცვლას მკვეთრად განასხვავებდნენ ერთმანეთისაგან.

საბჭოთა პერიოდში, გაცვლის, „გაცვლილობის“ ხელშეკრულება ფართოდ გამოიყენებოდა სახელმწიფო ფონდში შემავალი ბინების გაცვლისას. იგი ფაქტიურად სახელმწიფო ფონდის ბინების ნასყიდობის ერთგვარ საფარს წარმოადგენდა.

თანამედროვე სამოქალაქო ურთიერთობებში გაცვლის ხელშეკრულების გამოყენების სფერო ერთობ შეზღუდულია, თუ არ ჩავთვლით „ბარტერს“, რომელიც გაცვლის ხელშეკრულების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს და დღეისათვის ფართოდ გამოიყენება.

გაცვლის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი და კონსენსუალური ხელშეკრულებაა.

გაცვლის ხელშეკრულება ახლოს დგას ნასყიდობის ხელშეკრულებასთან, მაგრამ თავისი სამართლებრივი ბუნებით მაინც განსხვავდება მისგან.

ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსახვავებით, გაცვლის ხელშეკრულების ყოველი მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად, რასაც ცვლის, და იმის მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს. ფაქტიურად ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით გასაყიდი ფასის ადგილს იკავებს ნივთი.

გაცვლის ხელშეკრულების სუბიექტები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები, ხოლო გაცვლის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს.

მუხლი 522. გასაცვლელი ქონების არატოლფასოვნება

თუ გასაცვლელი ქონება არატოლფასოვანია, მხარეთა შეთანხმებით ქონების ნაწილი შეიძლება ანაზღაურდეს ფულით.

გაცვლის ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გადასცენ ერთმანეთს ქონებაზე საკუთრების უფლება. არის შემთხვევები, როდესაც გასაცვლელი ქონება ტოლფასოვანი არ არის, ასეთ შემთხვევაში ქონების ღირებულების ნაწილი შეიძლება ანაზღაურდეს ფულით.

უძრავი ქონების გაცვლისას, გაცვლის ხელშეკრულებაში არ არის აუცილებელი დამატებით თანხაზე მითითება ფულადი ერთეულებით, რადგანაც გაცვლის ხელშეკრულებაში ერთი ქონების ღირებულება განისაზღვრება მეორე ქონებით. მხარეები მიმართავენ რა გაცვლას, ამით თავისთავად განსაზღვრავენ გასაცვლელი ქონების ღირებულებას.

მუხლი 523. გაცვლის მიმართ გამოყენებული წესები

გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის შესაბამისი წესები.

გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის შესაბამისი წესები, თუკი ისინი არ ეწინააღმდეგებიან გაცვლის ხელშეკრულების წესებსა და გაცვლის ხელშეკრულების არსს, კერძოდ, 521-523-ე მუხლებს. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ თავისი სამართლებრივი ბუნებით გაცვლის ხელშეკრულება მეტად წააგავს ნასყიდობის ხელშეკრულებას. იგი, ისევე როგორც ნასყიდობის ხელშეკრულება, ორმხრივი, სასყიდლიანი და კონსენსუალურია. როგორც გაცვლის, ასევე ნასყიდობის ხელშეკრულების საგანია ქონება და ქონებრივი უფლებები, მაგრამ მათ შორის არსებობს ისეთი განსხვავება, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, რომ გაცვლის ხელშეკრულება დამოუკიდებელ ხელშეკრულებად ჩაითვალოს. ამიტომაც „გაცვლა“ სამოქალაქო კოდექსში ცალკე თავადაა შეტანილი.

თავი მეორე

ჩუქება

მუხლი 524. ცნება

ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით.

ჩუქება ისეთი გარიგებაა, რომელიც ეფუძნება ურთიერთთანხმობას და არა მხოლოდ მჩუქებლის ნებას. დასაჩუქრებულის მიერ საჩუქრის მიღებამდე ჩუქება ძალაში შესულად არ ჩაითვლება, რადგან სამართლებრივი ურთიერთობა ორი, ურთიერთგანპირობებული ნების საფუძველზე წარმოიშობა. ამიტომ წარმოადგენს ჩუქება ხელშეკრულებას. მართალია, ჩუქება მიმართულია ერთი პირიდან მეორეზე საკუთრების უფლების გადაცემისაკენ და ეს ხდება მათ შორის შეთანხმების მიღწევის მომენტიდან, რაც მას საკუთრების

შეძენის საშუალებად აქცევს, მაგრამ, ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ ჩუქებას ასეთი მიზანი არა აქვს ან საკუთრების უფლების გადასვლა მხარეთა შორის შეთანხმებას არ ემთხვევა. ასეთ შემთხვევებში ჩუქება ვალდებულებითი ურთიერთობის ნაირსახეობად მიიჩნევა. ეს მომენტი ჩუქებაში უფრო გამოკვეთილია და სწორედ ამიტომაა, რომ ჩუქება არა სანივთო, არამედ ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტად იქნა მიჩნეული და მისი ადგილი სახელშეკრულებო სამართალში განისაზღვრა.

ჩუქების ხელშეკრულების ძირითად თავისებურებას მისი უსასყიდლო ხასიათი წარმოადგენს. იურიდიული თვალსაზრისით უსასყიდლობა იმაში ვლინდება, რომ საჩუქარი არ არის განსაზღვრული ეკვივალენტობის მატარებელი. მაგალითად, არ შეიძლება ჩუქება სასყიდლიანად ჩაითვალოს იმის გამო, რომ ზოგიერთი ნივთის ჩუქებისას (ცხვირსახოცი, დანა და სხვ.) ხალხში გავრცელებული შეხედულების მიხედვით დასაჩუქრებულმა საჩუქრის სიმბოლური საფასური უნდა გადაიხადოს. ჩუქება სასყიდლიანი არ არის მაშინაც, როცა პირის დასაჩუქრება მოყვა ამ უკანასკნელის მიერ მჩუქებლის მიმართ პირადი ხასიათის სიკეთის (სიცოცხლის გადარჩენა, ავადმყოფობისას დახმარება და სხვ.) გამოვლენას. ჩუქების მოტივს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება ანგარებითაც იყოს განპირობებული, იურიდიული თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. შესაძლებელია მჩუქებელს თავისი საჩუქრებით რომელიმე ცნობილი პირის ნდობის მოპოვება ანდა მისი მხარდაჭერა სჭირდებოდეს მემკვიდრეობის მიღებაში ან სამსახურებრივ დაწინაურებაში. ამგვარად, ჩუქების უსასყიდლობა ნიშნავს იმას, რომ მჩუქებელს არა აქვს უფლება მოითხოვოს დასაჩუქრებულისაგან შემხვედრი დაკმაყოფილება. თუ ჩუქება ასეთ პირობას შეიცავს, იგი თვალთმაქცურ გარიგებად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როცა ბაჟის შემცირების მიზნით ნასყიდობის ხელშეკრულება ფორმდება როგორც ჩუქება.

უსასყიდლოდ ამა თუ იმ საგნის ნებისმიერი გადაცემა სხვა

პირისათვის შეიძლება ჩუქებად არც ჩაითვალოს. მაგალითად, სიგარეტის მიწოდება, ყვავილის მირთმევა, ადრესის გადაცემა, გრანტის ან სტიპენდიის გაცემა, პრემიის ან დახმარების მიცემა და ბევრი სხვა. ასეთი აქტები სამოქალაქო სამართლის სფეროს სცილდება და ზნეობრივი ნორმებით ან სამართლის სხვა დარგებით რეგულირდება.

ჩუქების დანიშნულებას წარმოადგენს დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა და, შესაბამისად, მჩუქებლის ქონების შემცირება. ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს გაცვლილობის დროსაც, როცა ამ დროს ერთი მხარე უფრო მეტად რჩება მოგებული, ვიდრე მეორე. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩუქება არაა სახეზე, რადგან ქონებრივი უპირატესობა შემთხვევითი ელემენტია და შეთანხმების მთავარ მიზანს არ წარმოადგენს. ჩუქებას არა აქვს ადგილი მაშინაც, როცა მოვალე კრედიტორს გირაოდ გადასცემს თავისი ქონების ნაწილს. ამ შემთხვევაში ქონების გადაცემას კრედიტორის ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება კი არა აქვს მიზნად, არამედ მოთხოვნის უფლების უზრუნველყოფა. დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა შესაძლებელია სხვადასხვა გზით. მათ შორის: ნივთის საკუთრებაში გადაცემით, მოთხოვნის უფლების მიკუთვნებით, საკუთრების უფლების შეზღუდვის მოხსნით და სხვა.

დასაჩუქრებულის ქონების ზრდას უნდა შეესაბამებოდეს მჩუქებლის ქონებრივი მდგომარეობის შემცირება. ამით ჩუქება განსხვავდება ანდერძისაგან, რომლის დროსაც მამკვიდრებელი მთელ თავის ქონებას ან მის ნაწილს უტოვებს სხვა პირს. მაგრამ მისი ქონება არ მცირდება მანამ, სანამ იგი ცოცხალია. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გადადის იგი მემკვიდრეზე. აქ არ შეიძლება მამკვიდრებლისა და მემკვიდრის ქონების შესაბამის შემცირება-გაზრდაზე ლაპარაკი, რადგან მათი ქონება ერთმანეთს შეერწყმება ფასეულობათა ერთი პირიდან მეორის ხელში გადასვლის მომენტში. ასევე არ შეიძლება ჩუქებად ჩაითვალოს სიცოცხლის დაზღვევა მესამე პირის

სასარგებლოდ, რადგან ამ უკანასკნელის ქონების გაზრდა არაა დაკავშირებული დამზღვევის ქონების შემცირებასთან.

ერთი პირის ქონებრივი მდგომარეობის შემცირება და, შესაბამისად, მეორე პირის ქონების გაზრდა სრულებითაც არ ნიშნავს ჩუქებას. ამასთან, საჭიროა სხვა პირის დასაჩუქრების სურვილიც. სწორედ ასეთი სურვილის გამოვლენის საფუძველზე უნდა მოხდეს მჩუქებლის ქონების შემცირება და დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა. ამიტომ არ შეიძლება ჩუქებად ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როცა ერთ პირს სურს დელიკატური ფორმით დაეხმაროს მეორეს და მისგან შეგნებულად ყიდულობს სახლს ან ავტომანქანას შედარებით მაღალ ფასებში. აქ არ არის დასაჩუქრების სურვილი და ბუნებრივია, გამოჩენილი დელიკატობაც ვერ თავსდება ჩუქების შინაარსში.

ჩუქების შინაარსის განმსაზღვრელი ზოგადი დებულებანი შეიძლება გამოვლინდეს სპეციფიკურ სახელწოდებებშიც. მაგალითად, ჩუქებას წარმოადგენს ნიშნობა ან მზითვი ქორწინებისას, შეწირულობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მიზნებისათვის და სხვ. ყველა შემთხვევაში სახეზეა ჩუქების ხელშეკრულება.

მუხლი 525. ჩუქების ხელშეკრულების დადება. საჩუქრის დაპირება

1. ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან.

2. თუ ჩუქების საგანს წარმოადგენს ისეთი ქონება, რომელზედაც საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, ჩუქების ხელშეკრულებისათვის სავალდებულოა ამ ფორმის დაცვა.

3. საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი სანოტარო წესითაა დადასტურებული.

ჩუქების ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. ისინი, ყველა შემთხვევაში, უნდა იყვნენ სამართალსუბიექტურნი. მაგალითად, არასრულწლოვანს არ შეუძლია გაასაჩუქროს ქონება ან მიიღოს საჩუქარი მზრუნველის ნებართვის გარეშე, რადგან შესაძლებელია ჩუქება მისი ინტერესების საწინააღმდეგო შინაარსს შეიცავდეს. ასევე აუცილებელია იურიდიულ პირს გააჩნდეს უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მარტო შეთანხმება არაა საკმარისი ჩუქებისათვის. საჭიროა საჩუქრის რეალურად გადაცემა დასაჩუქრებულისათვის. სწორედ ამ მომენტიდან უნდა ჩაითვალოს ჩუქების ხელშეკრულება დადებულად, ამიტომაც ჩუქების ხელშეკრულება რეალური ხასიათისაა. იგი ცალმხრივი ხელშეკრულებაა და ითვალისწინებს მხარეთა შორის ურთიერთგანპირობებულ უფლება-მოვალეობათა განაწილებას.

ჩუქების საგანი შეიძლება მრავალგვარი იყოს. უპირველეს ყოვლისა, აქ ბრუნვაში არსებული ნივთები იგულისხმება. ის ნივთები, რომელთა ბრუნვა შეზღუდულია, შეიძლება საჩუქრად იქნეს გადაცემული ასეთი ნივთის სამართლებრივი რეჟიმისთვის დამახასიათებელ თავისებურებათა გათვალისწინებით. მაგალითად, თუ ასეთი ნივთის შესაძენად საჭიროა სპეციალური ნებართვა, იგი უნდა გააჩნდეს დასაჩუქრებულს. ჩუქების ობიექტის ღირებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა ამ მხრივ გარკვეული შეზღუდვები შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კანონით (მაგ. საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ„ – მე-12 მუხლი). ჩუქების ობიექტი შეიძლება იყოს ცალკეული უფლებებიც. ისეთ შემთხვევებში, როცა ხელშეკრულების საგანი უფლებაა, ჩვეულებრივ ხდება მისი დათმობა. მხედველობაშია მისაღებია ის გარემოება, რომ ვალდებულებით ურთიერთობებში, როცა კრედიტორის შეცვლა ხდება, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კრედიტორის მოთხოვნის უფლების სხვისთვის გადაცემის აკრძალვა.

ასეთ შემთხვევაში მოვალის ნებართვის გარეშე დასაჩუქრებულზე მოთხოვნის უფლების გადაცემა შეიძლება ჩუქების ხელშეკრულების გაბათილების საფუძველი გახდეს. როცა ჩუქების ობიექტი მოთხოვნის უფლებაა, ყველა შემთხვევაში მოვალე გაფრთხილებულ უნდა იქნეს ამის თაობაზე. ამ ვალდებულების დარღვევის რისკი დასაჩუქრებულზე უნდა გადავიდეს. ჩუქების ობიექტად არ შეიძლება ჩაითვალოს ზოგიერთი პირადი ხასიათის უფლება. მაგალითად, ალიმენტის მიღების უფლება, ავტორობა, მემკვიდრედ ყოფნის უფლება და სხვ.

მოთხოვნის უფლების დათმობა მესამე პირისაგან ქონებრივი დაკმაყოფილების მიღების შესაძლებლობას ქმნის დასაჩუქრებულისათვის. ამასთან, შესაძლებელია ჩუქების ობიექტად ისეთი უფლების ჩათვლა, რომელიც თვით მჩუქებელთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ისეთ ურთიერთობებში, რომლებშიც დასაჩუქრებული მოვალედ გამოდის, მჩუქებელს უფლება აქვს დასაჩუქრებული გაათავისუფლოს მის წინაშე წარმოშობილი ქონებრივი ვალდებულებისაგან (ვალის პატიება) ან მესამე პირის წინაშე არსებული ვალის გადახდა მჩუქებელმა თავის თავზე აიღოს. უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელია დასაჩუქრებულის კრედიტორის თანხმობა.

ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად ისე წერილობით. კონკრეტული ფორმა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. ჩვეულებრივ, მოძრავი ნივთების ჩუქება ხდება ზეპირი ფორმით, ხოლო უძრავისა – წერილობით. ჩუქების ხელშეკრულების ფორმის განსაზღვრის ზოგად საფუძვლად კანონის მიერ აღიარებულია კონკრეტულ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის წესი. თუ ჩუქების საგანს ისეთი ქონება წარმოადგენს, რომელზეც საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, მაშინ ასეთი ქონების საჩუქრად გადაცემის ხელშეკრულებაც იმავე ფორმის დაცვით უნდა მოხდეს. მაგალითად, თუ ჩუქების საგანი იქნება მიწის ნაკვეთი ან საცხოვრებელი სახლი, ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს უძრავი ნივთების შეძენ-

ისათვის კანონით დადგენილი წესით. კერძოდ, ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით, დამოწმდეს სანოტარო წესით და რეგისტრირებულ იქნეს საჯარო რეესტრში. იგივე შეიძლება ითქვას ავტომანქანაზე, რომლის შეძენა მიუხედავად იმისა, რომ იგი მოძრავი ნივთია, წერილობითი დოკუმენტების შედგენის გარეშე შეუძლებელია. ბუნებრივია, ავტომანქანის ჩუქების ხელშეკრულებაც რთული წერილობით ფორმით უნდა იქნეს დადებული და რეგისტრირებული. ამ წესის დარღვევა გამოიწვევს ჩუქების ხელშეკრულების გაბათილებას.

ჩუქების ხელშეკრულების შესრულება ნიშნავს საჩუქრის გადაცემას დასაჩუქრებულისათვის. ეს შეიძლება მოხდეს საჩუქრის ჩაბარებით, სიმბოლურად გადაცემით (ავტომანქანის ან ბინის გასაღების გადაცემა), უფლების წარმომშობი დოკუმენტის გადაცემით (სასაწყობო ზედდებულის ან ვარატის გადაცემა) და სხვ. რაც შეეხება დასაჩუქრებულის ნებართვას საჩუქრის მიღებაზე, იგი შეიძლება გამოიხატოს კონკლუდენტური მოქმედებით ან ხელშეკრულების წერილობით გაფორმებისას, მასზე ხელმოწერით.

განსახილველი მუხლის ბოლო პუნქტი ეხება ჩუქების განსაკუთრებულ სახეს, რაც იმაში გამოიხატება, რომ საჩუქრის დაპირებამ შეიძლება წარმოშვას ჩუქების ვალდებულება. ასეთი ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საჩუქრის დაპირება წერილობითაა გაფორმებული და სანოტარო წესითაა დადასტურებული, სხვაგვარი დაპირება არავითარ ვალდებულებას არ წარმოშობს. საჩუქრის დაპირება წინასწარი ხელშეკრულების ნაირსახეობაა და იგი მომავალში ჩუქების ხელშეკრულების დადების საფუძველი ხდება. ამ გაგებით იგი წინასწარ შეთანხმებას წარმოადგენს. ამიტომ, ჯერ კიდევ არ შეიძლება მისი დამოუკიდებელ ჩუქების ხელშეკრულებად მიჩნევა. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩუქრის დაპირება ჩუქების კონსენსუალურ ხელშეკრულებად უნდა ჩათვლილიყო. ეს შესაძლებელია ჩუქების შინაარსის მხოლოდ ფართოდ გაგების შემთხვევაში. მაგალითად, თუ ერთი პირი მეორეს

დაპირდა, რომ დასასვენებელი სეზონის დამთავრების შემდეგ აგარაკს აჩუქებს და ასეთი დაპირება დადასტურებულია სანოტარო წესით – ეს წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას. მართალია, შემპირებელს შეუძლია უარი თქვას ჩუქებაზე, მაგრამ მასვე დაეკისრება იმ ზიანის ანაზღაურება, რაც უარის თქმას მოყვა. თუ უარის თქმა განპირობებულია საპატიო მიზეზით – მაგალითად ჩუქება საარსებო წყაროს მოუსპობს მჩუქებელს, მაშინ, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა არ დადგება. აქედან გამომდინარე, შესაძლებლად უნდა იქნეს მიჩნეული დაპირებულ საჩუქარზე უარის თქმაც. ე.ი. საჩუქრის დაპირება ყოველთვის არაა გარანტირებული ჩუქების საფუძველი. ამიტომ საჩუქრის შეპირება რეალურად ჩუქების განხორციელებას არ ნიშნავს. იგი მომავალში ჩუქების ხელშეკრულების დადების ვალდებულებას წარმოშობს. მაგალითად, თუ მამა შვილს დაპირდა უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემთხვევაში თავისი ავტომანქანის ჩუქებას და ეს სანოტარო წესით გააფორმა, ჩუქების ვალდებულების რეალიზაცია უნდა მოხდეს ჩუქების ახალ ხელშეკრულებაში, რაც წერილობით უნდა გაფორმდეს, სანოტარო წესით დამოწმდეს და გატარდეს რეგისტრაციაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩუქება ყოველთვის დასაჩუქრებულისათვის საჩუქრის რეალურად გადაცემას ნიშნავს.

მუხლი 526. ჩუქების დაუშვებლობა

პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

მოქმედი კანონმდებლობით მჩუქებელი შეიძლება შეიზღუდოს თავისი უფლებების განხორციელებაში. ეს ძირითადად დაკავშირებულია თავისი ქონების სამართლებრივ სტატუსთან. მაგალითად, თუ ჩუქების ობიექტია ისეთი ქონება, რომელიც საერთო თანაზიარ საკუთრებაშია, მისი გასაჩუქრება შესაძლებელია თანამესაკუთრის

ნებართვით. ან კიდევ, თუ ხდება მოთხოვნის უფლების გაჩუქება, საჭიროა იმ წესების დაცვა, რაც ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლასთანაა დაკავშირებული. იგივე შეიძლება ითქვას მესამე პირებთან ურთიერთობისას დასაჩუქრებულის ვალის მჩუქებლის მიერ თავის თავზე აღების შემთხვევაში. ამ დროს ვალდებულებაში მოვალის შეცვლა ხდება და გათვალისწინებულ უნდა იქნეს დასაჩუქრებულის კრედიტორის ინტერესები. განსაზღვრული შეზღუდვა საჩუქრის ობიექტის ოდენობასთან დაკავშირებითაც არსებობს.

ჩუქების შეზღუდვასთან ერთად კანონმდებლობა ითვალისწინებს ჩუქების დაუშვებლობას. ასეთი ნორმაა სწორედ მოცემული განსახილველ მუხლში. ჩუქების აკრძალვის საფუძველს წარმოადგენს მჩუქებლის ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობა. თუ მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირს საარსებო წყარო მოესპობა თავისი ქონების გაჩუქებით, ჩუქების ხელშეკრულება არ შეიძლება დაიდოს, ხოლო უკვე დადებული ხელშეკრულება აუცილებლად უნდა გაბათილდეს. მაგალითად, არ შეიძლება იმ მეწველი ძროხის გასაჩუქრება, რომელიც მჩუქებლისა და მის კმაყოფაზე მყოფი პირების ძირითად საარსებო საშუალებას წარმოადგენს ან იმ აგარაკის გაჩუქება, რომელიც გაქირავებულია და აქედან მიღებული შემოსავლით ცხოვრობს ოჯახი.

ამგვარად, თუ ჩუქების შეზღუდვა ძირითადად დასაჩუქრებულისა და მესამე პირის ინტერესების დაცვას გულისხმობს, ჩუქების დაუშვებლობა მჩუქებლის ინტერესებითაა განპირობებული.

მუხლი 527. გაჩუქებული ქონების ნაკლი

თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩუქების ხელშეკრულება უსასყიდლო ხასიათისაა, მჩუქებელი ვალდებულია განსაზღვრული მოვალეობა-

ნი შეასრულოს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ჩუქების ობიექტის ხარისხობრივ მხარეს. ქონების ყოველგვარი გადაცემა სხვა პირისათვის გულისხმობს ასეთი შემთხვევებისათვის კანონის მოთხოვნათა დაცვის აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, საჩუქარი უნდა იყოს ხარისხიანი და დასაჩუქრებულისათვის გარკვეული სარგებლობის მომტანი, მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძველი. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი დადგება დღის წესრიგში. კერძოდ, თუ საჩუქარმა ზიანი მიაყენა დასაჩუქრებულის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან მის საკუთრებაში არსებულ ქონებას, მჩუქებელს დაეკისრება მისი ანაზღაურება. მჩუქებლის ქონებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებით დადგენილი საფუძვლების არსებობა, რომლებიც დელიქტურ ვალდებულებებს ეხება. მჩუქებელი პასუხს აგებს თავისი არამართლზომიერი (მართლსაწინააღმდეგო) და ბრალეული ქმედობისათვის. ე.ი. მჩუქებელმა განზრახ დამალა საჩუქრის ნაკლი, რომელიც წარმოიშვა გაჩუქებამდე და მიეკუთვნება ისეთ აშკარა ნაკლოვანებებს, რომლებიც მჩუქებელმა იცოდა და რომელთა შესახებაც უნდა გაეფრთხილებინა დასაჩუქრებული. საჩუქრის გადაცემამდე ნაკლის აღმოჩენის ფაქტის მტკიცების ტვირთი დასაჩუქრებულზე უნდა გადავიდეს, ხოლო მჩუქებელზე კი – ის, რომ მან არ იცოდა ასეთი ნაკლის შესახებ ან იცოდა და აცნობა კიდეც დასაჩუქრებელს. პრაქტიკაში მჩუქებლის პასუხისმგებლობის გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საზიანო წამალ-ქიმიკატების, ავი და მოუთვინიერებელი ცხოველების, ცეცხლსაშიში ნივთების ჩუქება და სხვ. ყველა შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს სრულად.

მუხლი 528. შეცილება

1. მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია ამა თუ იმ პირობის შესრულებაზე

ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე. ეს მიზანი შეიძლება იყოს საერთო-სასარგებლოც (შეწირულობა).

2. პირობის შესრულება, გარდა მჩუქებლისა, შეუძლია მოითხოვოს იმ პირმაც, ვის ინტერესებშიც იგი იქნა დათქმული.

3. თუ დასაჩუქრებული პირობას არ შეასრულებს, მაშინ მჩუქებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

ჩუქება, როგორც უსასყიდლო ხელშეკრულება, არ უნდა შეიცავდეს ისეთ პირობას, რომელიც დასაჩუქრებულის მხრივ ქონებრივი ვალდებულების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული. მაგალითად, ბინის გაჩუქებისას არ შეიძლება დასაჩუქრებულისაგან ბინაში ჩატარებული ახალი რემონტის ღირებულების მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება უსასყიდლო ხასიათს კარგავს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშავს იმას, რომ ჩუქების ხელშეკრულებით საერთოდ არ შეიძლებოდეს რაიმე პირობის გათვალისწინება. ეს შესაძლებელია, მხოლოდ იგი მჩუქებლისათვის რაიმე ეკვივალენტის მიღებას არ უნდა ითვალისწინებდეს. ამის საფუძველს წარმოადგენს განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ იმაზე, რომ ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებული იყოს რომელიმე კონკრეტული პირობის შესრულებაზე ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე. პირობა შეიძლება ეხებოდეს საჩუქრად მიღებული ქონების სარგებლობის ან მართვის წესს. მაგალითად, შეიძლება მჩუქებელმა დასაჩუქრებული დაავალდებულოს საჩუქრად მიღებული მიწის ნაკვეთის შემოსავლების განსაზღვრული ნაწილი გადასცეს რომელიმე ცნობილ პიროვნებას ან ნაჩუქარი სახლის ერთი ოთახი დატოვოს კონკრეტული პიროვნების სარგებლობაში. პირობით დადებული ხელშეკრულება უნდა გაბათილდეს, თუ პირობა არ იქნა შესრულებული. ჩუქების ხელშეკრულების დადებას შეიძლება საფუძვლად დაედოს განსაზღვრული მიზნის მიღწევაც. მაგალითად, მჩუქებელმა

შეიძლება ქონება გაასაჩუქროს იმ პირობით, თუ დასაჩუქრებული მას გამოიყენებს ოჯახის ავადმყოფი წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. *ხელშეკრულების მიზანი შეიძლება იყოს საერთო-სასარგებლოც. ასეთ ჩუქებას შეწირულება ეწოდება.* მის მაკვალიფიცირებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ დასაჩუქრებული არის პირთა გარკვეული ჯგუფი, ჩვეულებრივ, იურიდიული პირი, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა გააჩნია. ჩუქების მიზანია კეთილი საქმის, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის წახალისება, ქველმოქმედების განხორციელება. ამიტომ ქონების ჩუქება სახელმწიფოსათვის, ქალაქისათვის, სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებებისათვის, ბავშვთა და ინვალიდთა სახლისათვის, რელიგიური დაწესებულებისათვის და ა.შ. ჩაითვლება შეწირულობად. აქედან გამომდინარე, არ იქნება სახეზე შეწირულობა იმ შემთხვევაში, როცა ჩუქება მართლა ხდება პირთა წრის მიმართ, მაგრამ მათ კერძო ინტერესი გააჩნიათ. ასეთია, მაგალითად, ნათესაური კავშირი ან მეგობართა წრე.

შეწირულობის გაკეთება შეუძლია ნებისმიერ ქმედუნარიან პირს. სასურველია ასეთი პირი იყოს დადებითი რეპუტაციის მქონე და არა ისეთი, რომელიც მხოლოდ მსგავსი აქტით ცდილობს ღირსეული ადგილის დაკავებას საზოგადოებაში.

შეწირულობის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომლის განკარგვა თავისუფლადაა შესაძლებელი. ამიტომ არ შეიძლება საგვარეულო ქონების, აგრეთვე სამისდღემშიო სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთებისა და კაპიტალის შეწირულობის გზით გაჩუქება. შეწირულობისათვისაც საჭიროა იმათი თანხმობა, ვის მიმართაც კეთდება იგი. შეწირულობით სარგებლობა უნდა შეესაბამებოდეს იმ მიზნებს, რისთვისაც გაკეთდა იგი. შეწირულობის მიზნობრივი პრინციპის დარღვევით გამოყენება ხელშეკრულების გაბათილების საფუძველია. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა შეწირულობის მიმღები ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია მოხდა და ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი ქონების

გამოყენების ალტერნატიულ მიზანზე. ასეთ შემთხვევაში ქონების შემწირველი განსაზღვრავს მისი გამოყენების კონკრეტულ მიზანს, ხოლო თუ იგი ცოცხალი არ არის, მაშინ ორგანიზაციის სალიკვიდაციო ან სხვა კომპეტენტური სტრუქტურა. პირობის შესრულება, ჩვეულებრივ, მჩუქებელმა უნდა მოითხოვოს და გააკონტროლოს მისი მიმდინარეობა. ასევე შეიძლება იმ პირმაც განახორციელოს ეს უფლება, რომლის ინტერესებშიც იქნა იგი დათქმული. მჩუქებლის ან დაინტერესებული პირის კონტრაგენტად ყოველთვის გამოდის დასაჩუქრებული. სწორედ მან უნდა უზრუნველყოს პირობის შესრულება. თუ დასაჩუქრებული პირობას არ შეასრულებს, ეს ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად და მისი გაბათილების მნიშვნელოვან საფუძვლად.

მუხლი 529. ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო

1. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

2. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ.

3. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

ჩუქების გაუქმება არამარტო მაშინაა შესაძლებელი, როცა იგი პირობითია და პირობა არ სრულდება, არამედ მაშინაც, როცა ჩუქების ხელშეკრულება რაიმე პირობას არ ითვალისწინებს. ერთერთი სპეციფიკური საფუძველი ჩუქების გასაუქმებლად შეიძლება იყოს დასაჩუქრებულის უმადურობა, რომელიც სხვადასხვა კონკრეტულ ფორმებში გამოიხატება. კანონი ხაზს უსვამს მჩუქებლის

მიმართ მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისა და დიდი ანუ აშკარა უმადურობის გამოჩენის შემთხვევებს. მჩუქებელთან ერთად მის ახლო ნათესავების მიმართაც მიუღებლადაა მიჩნეული უმადურობის გამოხატვა. კანონი არ იძლევა იმის განმარტებას, თუ რა შედის უმადურობის ცნებაში ან ვინ წარმოადგენს მჩუქებლის ახლო ნათესავებს. სამოქალაქო სამართლებრივი კომპარატივისტიკა კი გარკვეულ პასუხს იძლევა ამ კითხვებზე. მიღებულია, რომ დასაჩუქრებულის უმადურობად ითვლება: 1. არამართლზომიერი მოქმედება, რომელიც მიმართულია მჩუქებლის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის წინააღმდეგ. 2. განზრახი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს მჩუქებლისათვის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენებას, 3. კანონით განსაზღვრულ მოვალეობაზე – არჩინოს ან იზრუნოს იმაზე, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს მჩუქებელი – უარის თქმა და სხვა. სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულია განსაზღვროს დასაჩუქრებულის უმადურობის ხარისხი მჩუქებლის ქცევის გათვალისწინებით. მანვე უნდა გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, რომ საბოლოოდ წარმოადგენს თუ არა გამოვლენილი უმადურობა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველს.

ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება სხვა საფუძვლითაც გაუქმდეს. მაგალითად, თუ მჩუქებელზე ადრე გარდაიცვალა დასაჩუქრებული, ხელშეკრულებით შეიძლება მჩუქებლისათვის ჩუქების გაუქმების უფლების მინიჭება; სამეწარმეო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის მიერ იმ ქონების გაჩუქება, რომელიც მან გაკოტრებულად გამოცხადების წინა პერიოდში არამართლზომიერად განახორციელა და სხვა. ცხადია, ჩუქების გაუქმების აღნიშნული საფუძვლები არ გამოიყენება უმნიშვნელო ღირებულების, ჩვეულებრივი საჩუქრების მიმართ.

თუ ჩუქება გაუქმებულ იქნა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მჩუქებელი უფლებამოსილია მოითხოვოს გაჩუქებუ-

ლი ქონების უკან დაბრუნება. ეს პროცესი გაცილებით მარტივია, როცა სახეზეა გასაჩუქრებული ქონება. ამ დროს მოხდება ქონების ნატურით დაბრუნება. სხვა შემთხვევაში დასაჩუქრებულმა უნდა დააბრუნოს საჩუქრის ღირებულება, რისი განსაზღვრაც გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. გაჩუქებული ქონების უკან დაბრუნება შესაძლებელია სასამართლოს მიერ ჩუქების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან. რაც შეეხება თვით ჩუქების გაუქმებას, იგი შესაძლებელია მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა მჩუქებელს წარმოეშობა ჩუქების გაუქმების საფუძველი. ნაჩუქარი ქონების დაბრუნებისას დასაჩუქრებულს არა აქვს უფლება მჩუქებლისაგან მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ნაჩუქარი ქონების უკან დაბრუნების გამო.

მუხლი 530. გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა

1. თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში.

2. გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.

კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როცა ჩუქების გაუქმება გამოწვეულია არა დასაჩუქრებულის უმადურობით, არამედ თვით მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობით. დასაჩუქრებულის „ბრალი„ ამ დროს გამორიცხულია. მჩუქებელს ხელშეკრულების დადების დროს არავითარი მატერიალური ხასიათის პრობლემა არ გააჩნია. იგი ნებაყოფლობით გადასცემს სხვა პირს ქონე-

ბას, რომელსაც ნივთის სახე აქვს. გაჩუქების შემდეგ, განსაზღვრული დროის განმავლობაში, თუ მჩუქებელი აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, როცა არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი. იგულისხმება, რომ საჩუქრის უკან მოთხოვნის უფლება მჩუქებელს გააჩნია იმ დროის განმავლობაში, ვიდრე გაჩუქებული ნივთი რეალურად არსებობს დასაჩუქრებულის მფლობელობაში. თუ დასაჩუქრებულმა ნაჩუქარი ნივთი უკვე გაასხვისა ან სხვაგვარად გამოიყენა, მაშინ მჩუქებელს მისი მესამე პირებისაგან გამოთხოვის ან დასაჩუქრებულისაგან მისი ღირებულების კომპენსაციის მიღების უფლება არ გააჩნია. გარდა აღნიშნულისა, მჩუქებელს აღნიშნული უფლება მხოლოდ მაშინ წარმოეშობა, თუ საჩუქრის დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. ე.ი. დასაჩუქრებულთან ნაჩუქარი ნივთის რეალურად არსებობის მარტო ფაქტი საკმარისი არ არის. აუცილებელია კანონის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნის დაცვაც – დასაჩუქრებული არ უნდა ჩავარდეს დაახლოებით იგივე მედგომარეობაში, რამაც მჩუქებელს გაუჩინა საჩუქრის უკან მოთხოვნის ფორმალური საფუძველი. ამით დასაჩუქრებული პირის ინტერესის დაცვა ხდება. ამგვარად, მძიმე მატერიალური მდგომარეობა, რომელიც მჩუქებელს საფუძველს უქმნის მოითხოვოს გაჩუქებული ნივთის უკან დაბრუნება, უფლებას აძლევს დასაჩუქრებულს უარი თქვას საჩუქრის უკან დაბრუნებაზე. ორ, ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობით დაკავშირებულ და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილ პირს შორის კანონი უპირატესობას მაინც დასაჩუქრებულს ანიჭებს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩუქება აუნაზღაურებელი და რეალური გარიგებაა. საჩუქრის უკან გამოთხოვა ჩვეულებრივ, ზნეობრივადაც გაუმართლებელია.

გამჩუქებელს უფლება არა აქვს დასაჩუქრებულს უკან მოთხოვოს ნაჩუქარი ნივთი, თუ ასეთი მოთხოვნის საფუძველი მან ხელოვნურად შეიქმნა. კერძოდ, თუ მძიმე მდგომარეობა, რომელ-

შიც იგი აღმოჩნდა, გამოწვეულია მისი განზრახი მოქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით. მძიმე მდგომარეობის ხარისხი, რამაც სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება შეცვალოს ჩუქებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, ყველა შემთხვევაში სასამართლომ უნდა განსაზღვროს.

თავი მესამე

ქირავნობა

მუხლი 531. ცნება

ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა.

531-ე მუხლი გვაძლევს ქირავნობის ხელშეკრულების ტრადიციულ განსაზღვრებას, რომლიდანაც შეიძლება ჩამოყალიბდეს მოცემული ხელშეკრულების სამი ძირითადი ნიშანი. პირველი: ეს არის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც გამქირავებლის მიერ ხდება ნივთის გადაცემა დამქირავებლისათვის სარგებლობის უფლებით. არ შეიძლება ქონების საკუთრებაში გადაცემა. უფრო მეტიც, გადაცემული ქონებით სარგებლობაც კი შეზღუდულია ქონების დანიშნულებისამებრ გამოყენების ფარგლებით; მეორე: ქირავნობა ყოველთვის ატარებს დროებით ხასიათს და ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე ნივთი უნდა დაუბრუნდეს გამქირავებელს, ე.ი. ქონებით სარგებლობის უფლება ერთიდან მეორე პირზე გადადის არა მუდმივად, არამედ განსაზღვრული დროით. ნივთის მუდმივ სარგებლობაში გადაცემა გამორიცხულია, რადგან ეს მესაკუთრის მიერ საკუთრების უფლების დაკარგვას

ნიშნავს; მესამე: ქირავნობის ხელშეკრულება ყოველთვის სასყიდლიანია. დამქირავებელი ვალდებულია გადაუხადოს გამქირავებელს დაქირავებული ქონების ქირა ნივთის სარგებლობისათვის.

რადგანაც უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა როგორც გამქირავებელს, ისე დამქირავებელს, ქირავნობის ხელშეკრულება არის ორმხრივი.

თავისი იურიდიული ბუნებით ქირავნობის ხელშეკრულება განეკუთვნება კონსენსუალურ ხელშეკრულებათა რიცხვს. ე.ი. იგი დადებულად ითვლება მხარეთა შორის დადგენილი ფორმით შეთანხმების მიღწევის მომენტიდან (კონსენსუსი – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შეთანხმებას), მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდება ნივთის გადაცემა. მხარეთა ნების თანხვედრა ნიშნავს ხელშეკრულების დადებას, ხოლო ნივთის გადაცემა წარმოადგენს უკვე ხელშეკრულების შესრულებას.

ქირავნობის ხელშეკრულების მხარეები – გამქირავებელი, რომელიც გადასცემს და დამქირავებელი, რომელიც იღებს ნივთს დროებით სარგებლობაში, შეიძლება იყვნენ როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები.

როდესაც კანონმდებელმა ქირავნობის ხელშეკრულების ცნების ფორმულირებისას განსაზღვრა ამ ხელშეკრულებით გამქირავებლის ვალდებულება დამქირავებლისათვის გადაეცა სარგებლობაში ნივთი განსაზღვრული ვადით (ქირის მიღების უფლებით), რა თქმა უნდა, მხედველობაში ჰქონდა ის, რომ ნივთის გაქირავება წარმოადგენს მისი განკარგვის ფორმას. შესაბამისად, გამქირავებელს წარმოადგენს ის, ვინც უფლებამოსილია განკარგოს შესაბამისი ქონება, უპირველეს ყოვლისა, ამ უფლებით სარგებლობს მესაკუთრე, რადგანაც საკუთრების უფლება მოიცავს უფლებამოსილების ისეთ ძირითად ელემენტსაც, როგორიცაა ქონების განკარგვა.

სხვა პირები (არამესაკუთრეები) კი, რომლებიც გამოდიან გამქირავებლებად, კანონით ან თავად მესაკუთრის მიერ (მაგალითად, ნივთის გაქირავება დავალების ხელშეკრულებით შეიძლება მიენ-

დოს რწმუნებულს), უნდა იყვნენ აღჭურვილნი უფლებით – გააქირავონ ნივთი.

სარგებლობის ქვეშ გაგებულ უნდა იქნეს ნივთის სასარგებლო თვისებების გამოყენება.

ქირავნობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ინდივიდუალურად განსაზღვრული და მოუხმარებადი ნივთი (ე.ი. ნივთები, რომლებიც გამოყენების პროცესში არ კარგავენ თავიანთ თვისებებს, გარდა ბუნებრივი ცვეთისა). ეს გამომდინარეობს დამქირავებლის ვალდებულებიდან, დააბრუნოს სწორედ მისთვის გადაცემული ნივთი იმავე მდგომარეობაში, რომელშიც მიიღო, ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით. ამ ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ნივთი. არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ქირავნობის ხელშეკრულების საგანი. გასაქირავებელ ნივთთა წრე არ არის შეზღუდული კანონით, მთავარია, რომ ისინი ბრუნვიდან არ იყოს ამოღებული. ამ ნივთებით სარგებლობა და განკარგვა უნდა შეეძლოთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და მათი შეძენა შეუზღუდავად უნდა შეიძლებოდეს (თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით და არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს). ზოგიერთ შემთხვევაში ნივთი არ შეიძლება იყოს ქირავნობის ხელშეკრულების საგანი არა მისი ბუნებრივი თვისებების გამო, არამედ სწორედ იმიტომ, რომ იგი აკრძალულია კანონით. ცხადია, ამ დროს ნივთი ვერ გაქირავდება განსაკუთრებული იურიდიული რეჟიმის გამო, რაც ამ ნივთისათვის კანონითაა დადგენილი. ქირავნობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ნივთები, მაგალითად, საცხოვრებელი სადგომი, ავტომანქანა, მუსიკალური ინსტრუმენტი, არასაცხოვრებელი ნაგებობები და ა.შ. კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს განსაზღვრულ ნივთთა გაქირავებისათვის შესაბამისი შეზღუდვები. მაგალითად, იარაღის გაქირავება და დაქირავება შეიძლება მხოლოდ იმ გამქირავებლებისა და დამქირავებლების მიერ, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ნებართვა. კანონით შეიძლება ასევე დადგ-

ინდეს მიწის ან სხვა ბუნებრივი რესურსების გაქირავების თავისებურებანი. ეს თავისებურებანი გამომდინარეობს, უპირველეს ყოვლისა, ამ ბუნებრივი რესურსების უნიკალურობით და ამიტომაც აუცილებლობით – სპეციალურად განისაზღვროს ის ზომები, რომლებიც მიმართულია მათი რაციონალური გამოყენებისაკენ. ამიტომ, ამ ნივთებზე ქირავნობის ხელშეკრულების დადებისას არ არის საკმარისი მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის გამოყენება. აუცილებელია მივმართოთ სპეციალურ კანონმდებლობასაც.

ქირავნობის ხელშეკრულების არსებით პირობად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მისი საგანი. ხელშეკრულებაში ისეთი მონაცემების არარსებობა, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ნივთი, რომელიც დამქირავებლისათვის უნდა იქნას სარგებლობაში გადაცემული, ნიშნავს რომ ქირავნობის ხელშეკრულების საგანზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული მხარეთა შორის, შესაბამისად – ქირავნობის ხელშეკრულება ვერ დაიდო.

ქირავნობის ხელშეკრულების ფასი (ქირა), ისევე როგორც ვადა, არ მიეკუთვნება არსებით პირობას. თუ ქირა ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის, შეთანხმებულად ითვლება ამ ნივთისათვის არსებული ჩვეულებრივი ქირა. რაც შეეხება ვადას – იგი შეიძლება იყოს როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი.

კანონით განსაზღვრული არ არის ქირავნობის ხელშეკრულების ფორმა, ამიტომ შესაძლებელია მისი დადება როგორც ზეპირად, ისე წერილობით. შესაბამისად, არც ქირავნობის ხელშეკრულების ფორმა არ არის არსებითი პირობა. თუმცა, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ იმაზე, რომ ხელშეკრულება დადონ წერილობითი ფორმით. ამ შემთხვევაში ქირავნობის ხელშეკრულების მოცემული ფორმა გახდება არსებითი პირობა ხელშეკრულების დასადებად.

გარდა ქირავნობის ხელშეკრულებისა, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ურთიერთობებს აწესრიგებს 1998 წლის 25 ივნისის კანონი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“. თუმცა, უნდა ითქვას ის,

რომ ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს.

მუხლი 532. ქირავნობის ნივთის გადაცემა ვარგის მდგომარეობაში

გამქირავებელი მოვალეა გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა.

ქირავნობის ხელშეკრულებით მხარეებს ერთმანეთის მიმართ განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები აქვთ.

გამქირავებლის უპირველესი მოვალეობა – დროზე გადასცეს ნივთი დამქირავებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში – იმპერატიული მოთხოვნაა.

გამქირავებელის მიერ დამქირავებლისათვის გაქირავებული ნივთის გადაცემაში იგულისხმება როგორც დამქირავებლის მფლობელობაში ნივთის გადაცემა, ისე დამქირავებლისათვის ნივთით სარგებლობის უფლების მინიჭება – მფლობელობის გადაცემის გარეშე (მაგალითად, მუსიკალური ინსტრუმენტის სარგებლობაში გადაცემა, რომელიც გამქირავებელთან არის). ქირავნობის საგანი გადაცემული უნდა იყოს იმ ვადაში, რაც მითითებულია ხელშეკრულებაში, ხოლო ასეთი ვადის მითითების არარსებობისას – იმ ვადაში, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების შინაარსსა და მიზანს (მაგალითად, ნივთის გადაცემა გამქირავებლისათვის იმ მომენტიდან, როცა დამქირავებელი გავა შვებულებაში).

თუ გამქირავებელი არ გადასცემს დამქირავებელს გაქირავებულ ნივთს სარგებლობისათვის, დამქირავებელს უფლება აქვს ან გამოითხოვოს მისგან ეს ქონება და მოითხოვოს ქონების ჩაბარების დაყოვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, ან თავის მხრივ

უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

ნივთის იძულებით გამოთხოვას შეიძლება მაშინ ჰქონდეს ადგილი, როცა ნივთი, რომელიც ქირავნობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, არ არის მესამე პირთათვის გადაცემული, რომელთაც აქვთ დამქირავებლის მსგავსი უფლებანი.

ერთდროულად შეიძლება არსებობდეს ქირავნობის რამდენიმე ხელშეკრულება, ოღონდ იმ პირობით, რომ ნივთზე ფლობის უფლება რჩებოდეს გამქირავებელს. ე.ი. შეიძლება არსებობდეს რამდენიმე ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც დამქირავებელს აძლევს მხოლოდ ნივთის სარგებლობის უფლებას. თუ გამქირავებელმა ქირავნობის ხელშეკრულება დადო რამდენიმე კონტრაჰენტთან ერთი და იმავე ნივთის მფლობელობაში გადაცემით, მაშინ ნივთის გამოთხოვის უფლება ნატურით შეუძლია იმ დამქირავებელს, რომელსაც მფლობელობაში გადაეცემა ნივთი; თუ ნივთი ჯერ გადაცემული არ არის, მაშინ იმას, ვის სარგებლობაშიც პირველად გადავიდა ეს ნივთი. ხოლო თუ ამის დადგენაც შეუძლებელია, იმას ვინც პირველმა წარადგინა სარჩელი. დანარჩენებს უნარჩუნდებათ უფლება მოითხოვონ ხელშეკრულების მოშლა და ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

იმისათვის, რომ დამქირავებელმა შეძლოს დაქირავებული ნივთით სარგებლობა, გამქირავებელი ვალდებულია არამარტო გადასცეს დამქირავებელს ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში, არამედ უზრუნველყოს გაქირავებული ნივთის შენარჩუნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ამით დამქირავებლისათვის დაქირავებული ნივთით სარგებლობის შესაძლებლობის გარანტიის შექმნა იმ მოცულობით, რაც გამქირავებელზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარეობს გამქირავებლის ვალდებულება შეიკავოს თავი ისეთი ქმედებისაგან, რომელიც ამა თუ იმ ხარისხით არღვევს დაქირავებული ნივთის მშვიდად და სრულად

სარგებლობას. დამქირავებლის ინტერესების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც მისი მფლობელობის უფლების დარღვევით, ისე სარგებლობის უფლების დარღვევითაც. ამიტომ, კანონით დაცულია არა მარტო დამქირავებლის მფლობელობა, არამედ სარგებლობის უფლებაც.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგისი მდგომარეობის დადგენა უნდა მოხდეს დამქირავებლის თანდასწრებით, კერძოდ, გაქირავებული ნივთი დამქირავებელს უნდა გადაეცეს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება მის მიზნობრივ დანიშნულებას და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს (მაგალითად, მუსიკალური ინსტრუმენტი უნდა იყოს აწყობილი). ნივთის დანიშნულება უნდა განისაზღვროს ქირავნობის ხელშეკრულებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნივთის მიზნობრივი დანიშნულება განისაზღვრება მისი ჩვეულებრივი სარგებლობის ხასიათით. უფრო მაღალი ხარისხის ნივთის წარდგენა შეიძლება მოთხოვნილ იქნას მაშინ, როცა სპეციალურადაა დათქმული ხელშეკრულებით. ნივთის შესაბამისობა ხელშეკრულების მოთხოვნებთან გამომდინარეობს ხელშეკრულებაში ჩართული პირობების საფუძველზე. თუ ხელშეკრულებაში არ არის დათქმული ეს პირობები, ის გამომდინარეობს ნივთის დანიშნულებიდან.

მუხლი 533. უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულება

გამქირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

ქირავნობის ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებისათვის ერთერთი მოთხოვნა, სხვა მოთხოვნებს შორის ისიცაა, რომ გამქირავებელმა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად (იხ. 534-ე მუხლის კომენტარები) და ნივთობრივად უნაკლო ნივთი. უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთის გადაცემა ნიშნავს იმას, რომ დამქირავებელს გადაეცემა ხარვეზებისაგან თავისუფალი ნივთი, ე.ი.

ისეთი თვისებებისაგან თავისუფალი ნივთი, რომლებიც აუარესებენ მის ხარისხს.

ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაუცემლობის შემთხვევაში, ჯეროვანი შესრულებისათვის აუცილებელი მოთხოვნა არ ჩაითვლება განხორციელებულად. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება კი უარყოფით შედეგს იწვევს არა მხოლოდ დამქირავებლისათვის, არამედ გამქირავებლისთვისაც. არაჯეროვანმა შესრულებამ დამქირავებელი შეიძლება მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს, ანდა საერთოდ არ მისცეს დაქირავებული ნივთით სარგებლობის შესაძლებლობა. თავის მხრივ, გამქირავებელს, რომელმაც არაჯეროვნად შეასრულა ვალდებულება, უფლება არა აქვს პრეტენზია განუცხადოს შემხვედრ დაკმაყოფილებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობით, თუ არაფერს ვიტყვით ქონებრივ პასუხისმგებლობაზე, რომელიც მას დაეკისრება.

მუხლი 534. უფლებრივად უნაკლო ნივთი

გაქირავებული ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს დამქირავებელს მოთხოვნები ამ ნივთის გამო.

ნივთის გაქირავება არ იწვევს მესამე პირთა უფლებების შეწყვეტას ან შეცვლას ამ ნივთზე. ასეთი უფლება ნარჩუნდება ქირავნობის ხელშეკრულების დადების შემდეგაც. ამასთან, მესამე პირთა უფლებები შეიძლება იყოს საკმაოდ ფართო. რიგ შემთხვევებში, დამქირავებელს რომ სცოდნოდა მესამე პირთა მოთხოვნების შესახებ დაქირავებულ ნივთზე, არასოდეს დადებდა ქირავნობის ხელშეკრულებას. ამიტომ გამქირავებლის მიერ მისი ვალდებულების შესრულება, რაც მოიცავს იმას, რომ შეატყობინოს დამქირავებელს მესამე პირთა უფლებების შესახებ, აუცილებელია იმისათვის, რომ დამქირავებელმა მშვიდად ისარგებლოს ნივთით.

იმისათვის, რომ ნივთი ჩაითვალოს უფლებრივად უნაკლოდ, მესამე პირებს არ უნდა გააჩნდეთ მასზე თავიანთი მოთხოვნები. თუ

მესამე პირს შეუძლია წაუყენოს დამჭირავებელს მოთხოვნები ამ ნივთის გამო, გაქირავებული ნივთი ჩაითვლება უფლებრივად ნაკლის მქონედ.

მესამე პირი ისეთი პირია, რომელიც არც უშუალოდ და არც წარმომადგენლის მეშვეობით ხელშეკრულების დადებაში არ მონაწილეობს. კანონი არ მოიცავს მესამე პირთა იმ უფლებების ჩამონათვალს, რომელთა შესახებაც გამქირავებელმა უნდა აცნობოს დამჭირავებელს (იხ. 535-ე და 536-ე მუხლები).

მუხლი 535. ნივთობრივად უნაკლო ნივთი

გაქირავებული ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს დათქმული თვისებები. თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.

გასაქირავებელი ნივთის მდგომარეობა, კერძოდ კი, ამ ნივთის თვისებები, ხელშეკრულებით უნდა იყოს დათქმული. თუ ხელშეკრულებით ეს თვისებები დათქმული არ არის, მაშინ ნივთის მდგომარეობა განისაზღვრება მისი დანიშნულებით, რაც თავის მხრივ, შეიძლება ასევე განისაზღვროს ხელშეკრულებით ან გამომდინარეობდეს ამ ნივთის მიზნობრივი დანიშნულებისაგან, რისთვისაც მოცემული ნივთი ჩვეულებრივ გამოიყენება. თუ ნივთი აკმაყოფილებს ამ პირობებს, იგი ჩაითვლება ვარგისად ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის და მიიჩნევა ნივთობრივად უნაკლოდ. გასაქირავებელი ნივთის მდგომარეობის განსაკუთრებული (არაჩვეულებრივი) მოთხოვნები სპეციალურად უნდა იყოს დათქმული ხელშეკრულებით, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ნივთი გადაცემული უნდა იყოს ხარვეზების გარეშე, რომელიც ამა თუ იმ ზომით აფერხებს ნივთის გამოყენებას მისი დანიშნულებისამებრ.

ისეთი ნივთის გამოყენება, რომელიც არ შეესაბამება მის მიზნობრივ დანიშნულებას ან ხელშეკრულებით დათქმულ პირობებს, განიხილება როგორც დამქირავებლისათვის ნივთის გადაუცემლობა და იწვევს ისეთ შედეგებს, რაც გათვალისწინებულია ვალდებულების შეუსრულებლობისთვის.

გამქირავებლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვალეობას წარმოადგენს დამქირავებლისათვის ნივთთან ერთად, მასთან დაკავშირებული და აუცილებელი დოკუმენტებისა და საკუთვნებლის გადაცემა. ნივთის გადაცემა დოკუმენტებისა და საკუთვნებლის გარეშე უთანაბრდება ნივთის არასათანადო მდგომარეობაში წარდგენას. სათადარიგო ნაწილის, გასაღების, ინსტრუქციის ან ტექნიკური პასპორტის გადაუცემლობამ შეიძლება აზრი დაუკარგოს ქირავნობის შინაარსს. ამ მოვალეობის შეუსრულებლობა ხშირად იწვევს დამქირავებლის მიერ დაქირავებული ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენების შეუძლებლობის ან არადანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობის შემთხვევაში – ასეთი გამოყენების ინტერესის დაკარგვას. ორივე შემთხვევაში შეიძლება დადგეს ხელშეკრულების გაუქმების საკითხი; ბუნებრივია ქონებრივი პასუხისმგებლობის დადგომაც.

თუ დოკუმენტები და საკუთვნებელი არ არის გადაცემული და მათ გარეშე კი დამქირავებელს მნიშვნელოვნად ეზღუდება სარგებლობის უფლება, რომელზეც უფლებამოსილი იყო ეფიქრა ხელშეკრულების დადებისას, მას შეუძლია მოითხოვოს ამ დოკუმენტებისა და საკუთვნებლის გადაცემა. ასეთ შემთხვევაში, ნივთი, რა თქმა უნდა, ჩაითვლება ნაკლის მქონედ.

თუ აღნიშნულის გადაუცემლობა მიიჩნევა მნიშვნელოვან ნაკლად, რომელიც ამცირებს ნივთის ვარგისიანობას, დამქირავებელს ეძლევა უფლება მოითხოვოს ქირის შემცირება ნაკლის გამო სამოქალაქო კოდექსის 536-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე; ხოლო 537-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული შემთხვევის არსებობისას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. მასვე შეუძლია აღმოფხვრას ნივთის ნაკლი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამ-

ქირავებელი აყოვნებს ნივთის ნაკლის გამოსწორებას და მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება. ქირის შემცირებისას უნდა გაირკვეს, ცნობილი იყო თუ არა დამქირავებლისათვის ის ფაქტი, რომ დაქირავებულ ნივთს გააჩნდა ასეთი ნაკლი. თუ დადგინდება, რომ დამქირავებლისათვის ეს ფაქტი ცნობილი იყო და მან ნივთის ამ ნაკლზე არ განაცხადა პრეტენზია, მაშინ მას არ წარმოეშობა 536-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება, კერძოდ კი, ქირის შემცირების უფლება ნივთის ნაკლის გამო.

იბადება კითხვა, განიცდის თუ არა დამქირავებელი მისთვის არასასურველ შედეგებს, თუ გაქირავებული ნივთი შეიძლება გამოყენებულ იქნას დანიშნულებისამებრ ამ დოკუმენტებისა და საკუთვნებლის გადაცემის გარეშე, მაგრამ მათი გადაცემა ქირავნობის ხელშეკრულებით მაინც არის გათვალისწინებული. ცხადია, დამქირავებელი განიცდის უარყოფით შედეგებს, რადგანაც გამქირავებელმა დაარღვია ნაკისრი ვალდებულება – გადაეცა ნივთი დათქმული მდგომარეობის შესაბამისად. დამქირავებელს, ამ შემთხვევაში, შეუძლია მოითხოვოს ამ დოკუმენტებისა და საკუთვნებლის გადაცემა.

გამქირავებლის ვალდებულებისაგან – გადასცეს დამქირავებელს ხელშეკრულებით დათქმული თვისებების მქონე ნივთი, ხოლო ასეთი დათქმის არარსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის ვარგისი ნივთი – გამომდინარეობს დამქირავებლის ვალდებულება – ისარგებლოს ნივთით ხელშეკრულებისა და მისი დანიშნულების შესაბამისად, მაგალითად, საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს არ აქვს უფლება გამოიყენოს იგი არასაცხოვრისად.

მუხლი 536. ქირის შემცირება ნივთის ნაკლის გამო

1. **თუ გაქირავებულ ნივთს აღმოაჩნდება ნაკლი, მაშინ დამქირავებელს ქირა შეუმცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც**

შემცირდა ნივთის ვარგისიანობა ნაკლის გამო. ნაკლის გამოსწორებისას ეს უფლება ძალას კარგავს. უმნიშვნელო ნაკლი მხედველობაში არ მიიღება.

2. საცხოვრებელი სადგომის დაქმირავებლისათვის აშკარად საზიანო ქირავნობა ბათილია.

გამქირავებელი პასუხს აგებს დამქირავებლის წინაშე ყოველგვარი ნაკლისათვის, რაც ხელს უშლის დაქირავებული ნივთის გამოყენებას. გამქირავებელი ნაკლისათვის პასუხს აგებს მაშინაც კი, როცა ხელშეკრულების დადების დროს არ იცოდა ნივთის ნაკლის შესახებ. ამასთან, ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება შეიძლება წარმოიშვას როგორც უბრალო შემთხვევის გამო, ისე დაუძლეველი ძალის გამო. როგორც ჩანს, გამქირავებლის პასუხისმგებლობა მოცემულ შემთხვევაში რისკის საწყისებზე დგება. რისკის საწყისის განვრცობა გაქირავებული ნივთის ნაკლის გამო შეიძლება აიხსნას იმით, რომ გამქირავებელი, როგორც წესი, ხშირად არის მესაკუთრე შესაბამისი გაქირავებული ნივთისა და მას აწევს (ეკისრება) ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი, მათ შორის, ამ ნივთში ამა თუ იმ ნაკლის აღმოჩენის რისკიც. ამ დროს მთავარია, რომ ნაკლი იყოს მნიშვნელოვანი, რადგანაც უმნიშვნელო ნაკლი მხედველობაში არ მიიღება. გაქირავებულ ნივთში მნიშვნელოვანი ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მანამ, სანამ ეს ნაკლი გამოსწორებული არ იქნება, დამქირავებელს შეუმცირდება ქირა. ნაკლის გამოსწორებისას ეს უფლება ძალას კარგავს. ამასთან, ნაკლის გამოსწორება უნდა მოხდეს დაუყონებლივ. ნაკლის გამოსწორების დაყოვნების შემთხვევაში დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც ისე, რომ არ ეკარგება ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება (იხ. მუხლი 537-ის კომენტარი).

ნივთის ნაკლის გამო ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა კანონით გათვალისწინებული არ არის, თუმცა მხარეთა მიერ ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ამგვარი შესაძლებლობა.

კანონი ქირის შემცირების ოდენობის ზომაზეც არაფერს ამბობს. უბრალოდ ნათქვამია, რომ ქირა შემცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდება ნივთის ვარგისიანობა.

ნივთის ვარგისიანობის შემცირების ხარისხისა და დროის იმ მონაკვეთის გათვალისწინების შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც გრძელდება ნივთის ვარგისიანობის შემცირება, მხარეები თანხმდებიან ურთიერთშორის ქირის ოდენობის შემცირების თაობაზე. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, სადავო საქმე გადაწყდება სასამართლოს მიერ.

კოდექსის ამ მუხლში მხოლოდ ქირის შემცირებაზეა საუბარი, მაგრამ აქ საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როცა ნივთის სარგებლობა დამქირავებელს შეუძლია, მაგრამ უფრო ნაკლები ხარისხით. ქირის გადახდისაგან განთავისუფლებისას კი საქმე გვაქვს ნივთის უსარგებლობასთან საერთოდ. მაგალითად, სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, თუ რომელი მხარე აწარმოებს კაპიტალურ რემონტს, ქირა რემონტის განმავლობაში გამქირავებლის მიერ მოთხოვნილი არ უნდა იყოს. ნივთის სარგებლობის შეუძლებლობის გამო, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს არა მარტო ქირის გადახდისაგან განთავისუფლება, არამედ ზიანის ანაზღაურებაც იმის გამო, რომ ვერ სარგებლობს დაქირავებული ნივთით.

დამქირავებელი ქირის გადახდისაგან არ გათავისუფლდება, თუ დაქირავებული ქონებით სარგებლობაში ხელი არ ეშლება არა გამქირავებლის, არამედ საკუთარი მიზეზებით.

536-ე მუხლში საუბარია „ნაკლის აღმოჩენაზე" – ე.ი. იგულისხმება, რომ ხელშეკრულების დადებისას ნაკლი ცნობილი არ იყო დამქირავებელისათვის და მხოლოდ შემდგომში აღმოაჩინა, რომ ისეთი ნაკლი არსებობს, რაც ამცირებს ნივთის ვარგისიანობას. ქირის შემცირება ნივთის ნაკლის გამო არ მოხდება იმ შემთხვევაში, თუ გაქირავებული ნივთის ნაკლი შეთანხმებული იყო დამქირავებელთან და ამასთან ერთად, ასეთი ნაკლი ზეგავლენას არ

ახდენს იმაზე, რომ ეს ნივთი გამოყენებული იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ ნივთის მნიშვნელოვან ნაკლს, რაზეც პასუხს აგებს გამქირავებელი, მიეკუთვნება არა ყველა სახის მნიშვნელოვანი ნაკლი, რაც შეიძლება ნივთს აღმოაჩნდეს, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის გამოც მცირდება ნივთის ვარგისიანობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის.

ნივთის მნიშვნელოვან ნაკლად არ ჩაითვლება ის, რომ დაქირავებული ნივთი არ არის ახალი, თუ ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული პირობა – დამქირავებლისათვის ახალი ნივთის სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

მაშასადამე, იმისათვის, რომ წარმოიშვას ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება ნივთის ნაკლის გამო, უნდა არსებობდეს შემდეგი პირობები: 1) ნაკლი უნდა იყოს მნიშვნელოვანი; 2) ნაკლი უნდა ამცირებდეს ნივთის ვარგისიანობას; 3) ნაკლი ხელშეკრულების დადებისას დამქირავებლისათვის ცნობილი არ უნდა იყოს. ამ სამი პირობიდან ერთ-ერთის არარსებობის შემთხვევაში არ წარმოიშობა ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება.

ნივთის მნიშვნელოვან ნაკლს უთანაბრდება მისი სარგებლობის ისეთი გაუარესება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ნივთის გამოყენების შესაძლებლობას, რაშიც დამქირავებელს ბრალი არ მიუძღვის.

მნიშვნელოვან ნაკლად ცნობილი უნდა იქნეს ნივთის ან მისი სარგებლობის პირობების ისეთი გაუარესება, რაზეც დამქირავებელი უფლებამოსილი იყო მიეღო ხელშეკრულების დადებისას. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს, რომ ქირის ოდენობის შემცირება არ შეიძლება განხილულ იქნას ნივთის ან ნივთით სარგებლობის გაუარესების დროსაც. გამქირავებელს რჩება ერთადერთი შესაძლებლობა, რომ აიცილოს ეს ნეგატიური შედეგი – ამისათვის, როგორც კი დამქირავებლისაგან იგი შეიტყობს იმის თაობაზე, რომ გაქირავებულ ნივთს გააჩნია მნიშვნელოვანი ნაკლი, რომელიც ამცირებს ნივთის ვარგისიანობას, მან უნდა გამოას-

წროს ნაკლი. მაგრამ ამ დროის განმავლობაშიც, სანამ გამოსწორდება ნივთის ნაკლი, მცირდება ქირა. ქირავნობის ხელშეკრულების ნორმებით, მნიშვნელოვანი ნაკლის აღმოჩენისას, არაა გათვალისწინებული გამქირავებლის შესაძლებლობა, შეცვალოს გაქირავებული ნივთი სხვა ანალოგიური ნივთით. მაგრამ მხარეთა შეთანხმებით შეიძლება მოხდეს ქირავნობის ხელშეკრულების საგნის შეცვლა სხვა ანალოგიური ნივთით. თუ დამქირავებელი უარს ამბობს, ნივთის შეცვლა არ შეიძლება. ამ შემთხვევაში, გამქირავებელმა უნდა გამოასწოროს ნივთის ნაკლი.

ნივთის მნიშვნელოვანი ნაკლის შემთხვევის გამოვლენა დამქირავებელს აძლევს მხოლოდ ქირის შემცირების მოთხოვნის შესაძლებლობას. ნივთის მნიშვნელოვანი ნაკლის შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას კანონი არ იძლევა. 536-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლისათვის საზიანო ქირავნობის ხელშეკრულების ბათილობას. თუმცა, იმისათვის, რომ ეს ხელშეკრულება ბათილად ჩაითვალოს, აუცილებელია, რომ ხელშეკრულება დამქირავებლისათვის აშკარად საზიანო იყოს. არის თუ არა საცხოვრებელი სადგომი ქირავნობის ხელშეკრულების დამქირავებლისათვის აშკარად საზიანო, სასამართლოს შეფასების საფუძველზე უნდა დადგინდეს.

მუხლი 537. ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება

1. თუ ნაკლი, რომელიც ნივთის ვარგისიანობას ამცირებს, ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებობს ან შემდგომში აღმოჩნდება იმ გარემოებათა გამო, რაზედაც გამქირავებელი პასუხს აგებს, ან, თუ გამქირავებელი ნაკლის გამოსწორებას დააყოვნებს, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ისე, რომ არ ეკარგება ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება.

2. თუ გამქირავებელი აყოვნებს ნივთის ნაკლის გამოსწორებას,

დამქირავებელს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას იგი და მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება.

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება. ამასთან, იმისათვის, რომ დამქირავებელმა მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, არ არის აუცილებელი რომ დაქირავებული ნივთის ნაკლი იყოს მნიშვნელოვანი. ასეთი 537-ე მუხლით გათვალისწინებული არ არის. მთავარია, რომ იგი ამცირებდეს დაქირავებული ნივთის ვარგისიანობას. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმას თუ როდის წარმოიშობა ასეთი ნაკლი. იგი შეიძლება არსებობდეს როგორც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, ისე ხელშეკრულების დადების შემდგომაც შეიძლება წარმოიშვას. მთავარია, რომ ნაკლი არსებობდეს იმ გარემოებათა გამო, რაზეც გამქირავებელი აგებს პასუხს. შესაძლებელია, რომ დაქირავებული ნივთის ნაკლისათვის გამქირავებელი პასუხისმგებელი არც იყოს, მაგრამ გამქირავებელი აყოვნებდეს ნაკლის გამოსწორებას. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ორივე შემთხვევაში, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება, კერძოდ, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია ნივთით სარგებლობის შეუძლებლობის გამო, ნივთის ნაკლის გამოსწორებამდე არსებული პერიოდის განმავლობაში. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ეს ნაკლი ამცირებდეს ნივთის ვარგისიანობას. ზიანის ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა არ გამორიცხავს დამქირავებლის ქირის შემცირების მოთხოვნის უფლებასაც. მაგრამ თუ ზიანის ანაზღაურების უფლება დამქირავებელს აქვს როგორც ნივთის მნიშვნელოვანი, ისე არამნიშვნელოვანი ნაკლის გამო (მთავარი, როგორც აღვნიშნეთ, არის ის, რომ ნაკლი ამცირებს ნივთის ვარგისიანობას), ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება დამქირავებელს არ ეკარგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნაკლი

მნიშვნელოვანია და იგი ამცირებს ნივთის ვარგისიანობას.

გამქირავებლის მიერ ნივთის ნაკლის გამოსწორების დაყოვნების შემთხვევაში, დამქირავებელს შეუძლია თავად აღმოფხვრას ეს ნაკლი და მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება.

ზიანის ანაზღაურებისაგან განთავისუფლება 537-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დროს შეიძლება შეთანხმდეს მხარეთა მიერ. მოვალე, ზოგადი წესის თანახმად, პასუხისმგებელია მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს. მხარეთა შეთანხმებით გამქირავებელი შეიძლება გათავისუფლდეს ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ მისი პასუხისმგებლობა დადგა გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანის გამო. ხოლო, რაც შეეხება მხარეთა წინასწარ შეთანხმებას, გამქირავებლის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი განთავისუფლების შესახებ, ეს დაუშვებელია სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

თუ ნივთით სარგებლობის პერიოდში გამქირავებლის ბრალით ნივთი გახდა გამოუსადეგარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ან ნივთი დაიღუპა, დამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა. დამქირავებელი, ამ შემთხვევაში, იღებს უფლებას მოითხოვოს იმ პერიოდის ქირის უკან დაბრუნება, რომლის განმავლობაშიც ნივთი ვერ გამოიყენა. გამქირავებლის ბრალის არსებობისას, რომელმაც გამოიწვია ნივთის გამოუსადეგრობა, გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებელს აუნაზღაუროს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეული ზიანი.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება ქირავნობისას ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების დროს წარმოშობილ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ

სამოქალაქო სამართლებრივ დებულებათა და ქირავნობის ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით შესაბამისი დასკვნების გაკეთება მაინც შესაძლებელია. ცნობილია დებულება, რომ ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი აწევს მესაკუთრეს. ქირავნობისას წარმოშობილ ურთიერთობაში ასეთი რისკი აწევს გამქირავებელს (თუ გამქირავებელი მესაკუთრეა). ამ ზოგადი დასკვნიდან შეიძლება რამდენიმე გამონაკლისის გაკეთება, რომელთა საერთო საფუძველს დამქირავებლის სუბიექტური ფაქტორი წარმოადგენს. მათ მიეკუთვნება ისეთი შემთხვევები, როცა ნივთის შემთხვევითი დაღუპვა ან დაზიანება მოხდა ხელშეკრულებით განსაზღვრული დანიშნულებისა და პირობების გაუთვალისწინებლად, გამოყენების ან გამქირავებლის ნებართვის გარეშე ნივთის სხვა პირისათვის გადაცემის შემთხვევაში. გარდა ამისა, იგივე მდგომარეობა უნდა შეიქმნას მაშინაც, როცა დამქირავებელს, ფაქტობრივ მდგომარეობათა გათვალისწინებით, შეეძლო დაქირავებული ნივთის დაღუპვის ან დაზიანების თავიდან აცილება საკუთარი ქონების ხარჯზე, მაგრამ ეს არ გააკეთა და ამჯობინა საკუთარი ქონების შენარჩუნება რისკის გარეშე. აღნიშნულ შემთხვევაში, გამქირავებელს უფლება აქვს დამქირავებლისაგან მოითხოვოს ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების შედეგად მიღებული ზიანის ანაზღაურება, ანდა დაღუპული ან დაზიანებული ნივთის პირვანდელი სახით აღდგენა. მხარეთა შეთანხმებით ასევე შეიძლება ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკი გადატანილ იქნას მესაკუთრიდან დამქირავებელზე.

მუხლი 538. ნივთის ნაკლის გამო პრეტენზიის განუცხადებლობის შედეგები

თუ ხელშეკრულების დადებისას დამქირავებლისათვის ცნობილია ნივთის ნაკლი და იგი არ განაცხადებს პრეტენზიას ამის გამო, მაშინ მას არ წარმოეშობა 536-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება.

სამოქალაქო კოდექსის 536-ე და 538-ე მუხლები ადგენენ იმ შემთხვევებს, როდესაც არ დაიშვება ქირის ოდენობის შემცირება. კერძოდ, ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა, თუ ნაკლი უმნიშვნელოა ან თუ ხელშეკრულების დადებისას დამქირავებლისათვის ცნობილია ნივთის ნაკლი და იგი არ განაცხადებს ამის შესახებ; კერძოდ, 1) გამქირავებლის მიერ ნივთის ნაკლი შეიძლება შეთანხმებული იყოს დამქირავებელთან. მაგალითად, შენობის გაქირავება, რომელიც მოითხოვს კაპიტალურ რემონტს, ითვლება მართლზომიერად, თუ გამქირავებელი ნაგებობის დეფექტს შეათანხმებს დამქირავებელთან. შეთანხმება შეიძლება გაქირავებულ საგანზე როგორც მთლიანად, ისე მის ზოგ ხარვეზზე. მაგალითად, რადიომიმღებს უნდა შეეცვალოს რამდენიმე ნაწილი. კანონი არ ითვალისწინებს მითითებას იმის თაობაზე, თუ რა ფორმით უნდა დაფიქსირდეს ფაქტი იმის შესახებ, რომ დამქირავებლისათვის ცნობილია ნივთის ნაკლი და, მიუხედავად ამისა, არ აცხადებს ამის თაობაზე. ალბათ, იგულისხმება, რომ იგი უნდა განხორციელდეს იგივე ფორმით, რა ფორმითაც ხდება ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმება; 2) ნაკლი შეიძლება არ იყოს შეთანხმებული დამქირავებელთან, მაგრამ მან იცოდეს ნივთის ნაკლის შესახებ. მაგალითად, მისთვის ცნობილია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან ან დაქირავებული აქვს იგივე ნივთი და იცოდა იმ ხარვეზების შესახებ, რაც ნივთს აქვს; 3) დამქირავებელს უნდა აღმოეჩინა ნივთის ნაკლი მისი დათვალიერების და შემოწმებისას, ქირავნობის ხელშეკრულების დადებისას, ან ნივთის გადაცემის დროს (აშკარა ნაკლი).

კანონი განასხვავებს აშკარა და ფარულ ნაკლს; გამომდინარე იქიდან, თუ როგორი სახისაა ნაკლი, განსხვავებული სამართლებრივი შედეგები დგება.

აშკარა ნაკლის ქვეშ იგულისხმება ისეთი ნაკლი, რაც დამქირავებლის მიერ შენიშნული უნდა იქნას ნივთის ჩვეულებრივი დათვალიერებისას. მაგალითად, გატეხილი ან გაბზარული მინები

თუ ფარები. ამასთან განსხვავდებიან დამქირავებლები. უნდა განვასხვავოთ პროფესიონალი დამქირავებლები – ასეთები, როგორც წესი, არიან იურიდიული პირები, ფიზიკური პირები, რომლებიც სპეციალურ ცოდნას ფლობენ დასაქირავებელი ნივთის შესახებ. აშკარაა, რომ ამ დამქირავებლების წინდახედულობის ზომა ნივთის ქირავნობისას განსხვავებულია და ის, რაც პროფესიონალი დამქირავებლისათვის ჩაითვლება აშკარა ნაკლად, არაპროფესიონალისათვის შეიძლება ჩაითვალოს ფარულად. ეს ფაქტი უნდა იქნას გათვალისწინებული იმ საკითხის გარკვევისათვის, თუ როგორ ნაკლს მიეკუთვნება ხარვეზი.

სამართლებრივი შედეგი, რაც ფარულ თუ აშკარა ნაკლს უკავშირდება, ისაა, რომ დამქირავებელმა აღმოაჩინა რა ასეთი აშკარა ნაკლი ნივთის დათვალიერებისას, დაუყონებლივ უნდა აცნობოს გამქირავებელს. ნივთის მიღება და პრეტენზიის განუცხადებლობა ნაკლის გამო მას ართმევს უფლებას მომავალში მოითხოვოს 536-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების განხორციელება. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურებას, ამის უფლებას ეს მუხლი დამქირავებელს არ ართმევს.

მუხლი 539. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ შეთანხმების ბათილობა

ბათილია შეთანხმება, რომლითაც გამქირავებელი გაქირავებული ნივთის ნაკლისათვის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ან იგი ეზღუდება, თუკი გამქირავებელმა ნაკლი განზრახ დამალა.

გამქირავებელი გაქირავებული ნივთის ნაკლისათვის პასუხისმგებლობისაგან შეიძლება განთავისუფლდეს დამქირავებელთან შეთანხმებით. მას ასევე შეიძლება შეეზღუდოს პასუხისმგებლობა გაქირავებული ნივთის უფლებრივი და ნივთობრივი ნაკლის გამო. თუმცა, დაუშვებელია ასეთი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ან პასუხისმგებლობის შეზღუდვა იმ შემთხვევაში, თუკი

გამქირავებელმა განზრახ დამალა ნივთის ნაკლი. თუ ასეთი შეთანხმება მაინც მოხდა, იგი ჩაითვლება ბათილად.

შეთანხმების ბათილად ცნობისათვის აუცილებელია დადგინდეს, რომ გამქირავებელმა ნივთის ნაკლი განზრახ დამალა. სხვა შემთხვევებში, კერძოდ, განზრახვის არსებობის დადგენისას, ეს შეთანხმება არ მიიჩნევა ბათილად. ბათილ გარიგებას არ მოჰყვება დასახული მიზანი სწორედ იმის გამო, რომ მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ასეთ განხორციელებულ ქმედობას (გამქირავებლის დამქირავებელთან შეთანხმება პასუხისმგებლობის განთავისუფლების შესახებ, როცა მან იცოდა ნივთის არსებული ნაკლი ან ის, რომ მომავალში ნივთს გაუჩნდებოდა ნაკლი და მიუხედავად ამისა ნაკლი განზრახ დამალა) სამართლებრივად უვარგისად მიიჩნევს. ასეთი შეთანხმება დადებისთანავე ბათილია და მონაწილეთა მიერ დასახულ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს არც გარიგების უშუალო მონაწილეების მიმართ და არც მესამე პირთათვის. ასეთი გარიგება არის უცილოდ ბათილი (არარა გარიგება).

მუხლი 540. ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება სადგომის ქირავნობისას

სადგომის დამქირავებელმა უნდა ითმინოს ქირავნობის ნივთის მიმართ გატარებული ზემოქმედებანი, რომლებიც აუცილებელია გაქირავებული საცხოვრებელი სადგომის ან შენობის შესანახად. გამქირავებელმა ამ ღონისძიებების შესახებ, თუ ეს შესაძლებელია, უნდა შეატყობინოს დამქირავებელს და არ დაუშვას ისეთი მოქმედებები, რომლებიც აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

ქირავნობის ნივთის მიმართ გატარებული ზემოქმედებანი, რომელთაც გამქირავებელი ატარებს, უნდა ითმინოს დამქირავებელმა. ასეთი ზემოქმედებანი უნდა ითმინოს არა ყველა დამქირავებელმა, არამედ იმან, რომელიც ქირაობს სადგომს. სადგომში იგულისხმება არა მარტო საცხოვრებელი სადგომი, არამედ ნები-

სმიერი შენობა. დამქირავებელი ვალდებულია ითმინოს ქირავნობის ნივთის მიმართ გატარებული მხოლოდ ისეთი ზემოქმედებანი, რომლებიც აუცილებელია გაქირავებული საცხოვრებელი სადგომის ან შენობის შესანახად, ე.ი. გამქირავებლის მიერ ქირავნობის ნივთის მიმართ გატარებული ზემოქმედებანი გაქირავებული საცხოვრებელი სადგომის ან შენობის შენახვის აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული. გამქირავებელი ვალდებულია არ დაუშვას ისეთი მოქმედებები, რომლებიც აუცილებლობით არ არის გამოწვეული. გამქირავებელი ვალდებულია აგრეთვე შეატყობინოს დამქირავებელს ამ ღონისძიებების შესახებ. თუმცა, ასეთი მან უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შესაძლებელია. შეუძლებლობის შემთხვევაში, გამქირავებელი თავისუფლდება დამქირავებლისათვის ამ ღონისძიებათა შეტყობინების ვალდებულებისაგან.

მუხლი 541. ხელშეკრულებაზე უარის შფლება

1. თუ დაქირავებული ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცემა დამქირავებელს მოგვიანებით, ან თუ შემდგომში მას წაერთვა სარგებლობის უფლება, მაშინ დამქირავებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ ვადის დაცვის გარეშე, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მოშლისათვის. უარი ხელშეკრულებაზე დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ გამქირავებელი დამქირავებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღკვეთს სარგებლობისათვის ხელშემშლელ გარემოებებს.

2. ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ იმ გარემოებათა შედეგად, რომლებიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევა, დამქირავებელმა დაკარგა ინტერესი ამ ხელშეკრულებისადმი.

3. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის შეთანხმება, რომელიც კრძალავს ან ზღუდავს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოშლის უფლებას, ბათილია.

ქირავნობის ხელშეკრულება ერთ-ერთი სახესხვაობაა იმ ხელშეკრულებებისა, რომლებიც ითვალისწინებენ ნივთის სარგებლობაში გადაცემას. დამქირავებლის ძირითადი უფლება – ისარგებლოს დაქირავებული ნივთით, წარმოიშობა ქირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად და ამ უფლების წართმევა (მაგალითად, გამქირავებელმა ჩაკეტა გაქირავებული გარაჟის კარები და არ აძლევს სარგებლობის შესაძლებლობას დამქირავებელს) ან ნივთის გადაცემა დაგვიანებით, აძლევს მას უფლებას უარი თქვას ხელშეკრულებაზე. კერძოდ, ვადა რომლის განმავლობაშიც დამქირავებელს უნდა გადაეცეს ნივთი, წინასწარ განისაზღვრება ხელშეკრულებით. თუ ხელშეკრულებაში ამ ვადის შესახებ მითითებული არ არის, მაშინ ნივთი გადაცემული უნდა იქნას გონივრულ ვადაში ან პირველი მოთხოვნისთანავე. თუ დაირღვა ნივთის დროულად გადაცემის პირობა – დამქირავებელმა ნივთი მიიღო დაგვიანებით, მას უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ ვადის დაცვის გარეშე, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მოშლისათვის. ასეთივე უფლება აქვს დამქირავებელს იმ შემთხვევაშიც, თუ დამქირავებელმა მიიღო ნივთი დროულად, მაგრამ შემდგომში მას წაერთვა ამ ნივთით სარგებლობის უფლება. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმას, დაქირავებული ნივთის სარგებლობის უფლება მთლიანად წაერთვა დამქირავებელს თუ ნაწილობრივად. მნიშვნელობა არა აქვს იმასაც, დამქირავებელს ნივთი მთლიანად გადაეცა დაგვიანებით თუ ნაწილობრივ. აღსანიშნავია, რომ უარი ხელშეკრულებაზე დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ გამქირავებელი დამქირავებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღკვეთს სარგებლობისათვის ხელშემშლელ გარემოებებს. თუ დამქირავებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში გამქირავებელი აღკვეთს ხელშემშლელ გარემოებას, კერძოდ, გადასცემს ნივთს ან დამქირავებელს აღუდგენს ნივთის სარგებლობის უფლებას, მაშინ ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია. სარგებლობისათვის ხელშემშლელი გარემოებების აღკვეთა შეიძლება დამქირავებლის სარგებლობაში მსგავსი ნივთის წარდგენითაც, თუკი მხარეთა შორის ამის შესახებ არის შეთანხმება. რაც

შეეხება ზიანის ანაზღაურებას – გამქირავებელს დაეკისრება ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დაყოვნებით შესრულებისათვის.

541-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გამქირავებელი არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, რის გამოც დამქირავებელს ეძლევა საშუალება ცალმხრივად თქვას უარი ხელშეკრულებაზე მის მიერ განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც გამქირავებელს შეეძლო აღეკვეთა სარგებლობისათვის ხელშემშლელი გარემოებები. ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ იმ გარემოებათა შედეგად, რომლებიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევიან, დამქირავებელმა დაკარგა იტერესი ამ ხელშეკრულებისადმი.

ხელშეკრულების მოშლასთან ერთად დამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურება. გამქირავებელს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ ქირავნობის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს.

მხარეებს შეუძლიათ წინასწარ შეთანხმდნენ ისეთ პირობებზე, რომლითაც მათ ეკრძალებათ ან ეზღუდებათ ხელშეკრულების მოშლის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ დაქირავებული ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცემა დამქირავებელს დაგვიანებით ან, თუ შემდგომში მას წაერთმევა ნივთით სარგებლობის უფლება. დამქირავებელსა და გამქირავებელს შეუძლიათ ასევე შეთანხმდნენ, რომ 541-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გამქირავებელი თავისუფლდება ზიანის ანაზღაურებისაგან. ასეთი შეთანხმება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამქირავებელმა ვალდებულება დაარღვია გაუფრთხილებლობით. მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი გათავისუფლების შესახებ დაუშვებელია.

ხელშეკრულების მოშლის უფლების აკრძალვა ან შეზღუდვა მხარეთა შეთანხმებით არ შეიძლება საცხოვრებელი სადგომის ქირავნობისას. თუ ასეთი შეთანხმება მაინც დაიდო, იგი ჩაითვლება ბათილად,

თავისთავად, დამქირავებელი ვალდებულია მიიღოს ნივთი დროულად. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამქირავებელს უფლებას აძლევს მოთხოვოს დამქირავებელს მიიღოს ნივთი სარგებლობისათვის და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაც შესრულების დაყოვნებითაა გამოწვეული. მასვე ეძლევა უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია დამქირავებლის ვალდებულების შეუსრულებლობით, სათანადო წესების დაცვით.

მუხლი 542. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა დამქირავებლის მიერ

თუ საცხოვრებელი ან ადამიანთა სამყოფად გათვალისწინებული სხვა სადგომი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი გამოყენება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას, დამქირავებელს შეუძლია მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება ვადის დაცვის გარეშე. ეს უფლება დამქირავებელს აქვს მაშინაც, თუ ხელშეკრულების დადებისას მან იცოდა საფრთხის თაობაზე, მაგრამ არ განუცხადებია პრეტენზია.

ამ მუხლით გათვალისწინებულია დამქირავებლის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის უფლება ნებისმიერ შემთხვევაში – მაშინაც, როცა არ იცოდა საფრთხის შესახებ ხელშეკრულების დადებისას და მაშინაც, როცა იცოდა ასეთი საფრთხის არსებობა, მაგრამ არ განუცხადებია პრეტენზია. ამ დროს მთავარი ის არის, რომ საცხოვრებელი ან ადამიანთა სამყოფად გათვალისწინებული სხვა სადგომი ისეთ მდგომარეობაში იყოს, რომ მისი გამოყენება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდეს ჯანმრთელობას. ამასთან, საფრთხე აუცილებლად უნდა იყოს მნიშვნელოვანი. თუ რა ჩაითვლე-

ბა ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან საფრთხედ, სასამართლო შეფასების საფუძველზე უნდა დადგინდეს.

542-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება ხელშეკრულების მოშლის თაობაზე ვადის დაცვის გარეშე ეხება არა მარტო იმ შემთხვევებს, როცა ქირავნობის ხელშეკრულების საგანი არის საცხოვრებელი, არამედ ისეთი შემთხვევებსაც, როცა ქირავნობის ხელშეკრულების საგანი არის ადამიანთა სამყოფლად გათვალისწინებული სხვა სადგომიც (ე.ი. არასაცხოვრებელი სადგომები). მთავარია, რომ ქირავნობის საგანი იყოს ადამიანთა სამყოფლად გათვალისწინებული სადგომი. ხოლო იმ ფაქტს, რომ ეს სადგომი საცხოვრებლად გამოიყენება თუ არასაცხოვრებლად, მნიშვნელობა არა აქვს.

მნიშვნელოვანი საფრთხე შეიძლება ადგებოდეს არა მხოლოდ დამქირავებლის ჯანმრთელობას, არამედ დაქირავებული სადგომით მოსარგებლე ნებისმიერი პირის ჯანმრთელობასაც.

გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოებაც, რომ ხელშეკრულების მოშლის უფლება ამ დროს ეძლევა დამქირავებელს და არა გამქირავებელს, თანაც ხელშეკრულების მოშლის ვადის (შეადგენს სამ თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმის გარემოებიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს) დაცვის გარეშე.

მუხლი 543. დამქირავებლის მოვალეობანი დაქირავებული ნივთის ნაკლის აღმოჩენისას

თუ გაქირავებული ნივთს აღმოაჩნდება ნაკლი, ან წინასწარ გაუთვალისწინებელი საფრთხისაგან ნივთის დასაცავად საჭირო იქნება აუცილებელი ზომების მიღება, მაშინ დამქირავებელმა ამის შესახებ დაუყონებლივ უნდა აცნობოს გამქირავებელს. იმავე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ მესამე პირი განაცხადებს თავის უფლებებს ნივთზე.

დაქირავებულ ნივთს შეიძლება აღმოაჩნდეს ნაკლი. დამქირავებელმა ამის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აცნობოს გამ-

ქირავებელს და, თანაც, დაუყონებლივ. დამქირავებელმა გამქირავებელს დაუყონებლივ უნდა აცნობოს ისეთი შემთხვევაც, როცა წინასწარ გაუთვალისწინებელი საფრთხისაგან ნივთის დასაცავად საჭირო იქნება აუცილებელი ზომების მიღება. ეს წესი გამოიყენება როგორც ნივთობრივი ნაკლის, ისე უფლებრივი ნაკლის არსებობის შემთხვევაში, კერძოდ კი, იმ დროს, როცა მესამე პირი განაცხადებს თავის უფლებებს ნივთზე.

მუხლი 544. გაქირავებულ ნივთზე არსებული უფლებრივი ტვირთის ბედი

გაქირავებულ ნივთზე არსებული უფლებრივი ტვირთის მატარებელია გამქირავებელი.

თუ გაქირავებული ნივთი უფლებრივად დატვირთულია, ეს იმას ნიშნავს, რომ მასზე მოთხოვნები შეუძლიათ განაცხადონ მესამე პირებმა. მესამე პირთა პრეტენზიები გაქირავებული ნივთის მიმართ უნდა დააკმაყოფილოს გამქირავებელმა, რადგანაც თვითონ არის გაქირავებულ ნივთზე უკვე არსებული უფლებრივი ტვირთის მატარებელი. გაქირავებული ნივთი კი, თუ უფლებრივად დატვირთულია, ე.ი. იგი უფლებრივი ნაკლის მქონეა, თუ ნივთი დაგირავებულია, დატვირთულია იპოთეკით და ა.შ., ასეთი ნივთი თავის სტატუსს ინარჩუნებს დამქირავებლის ხელშიც. ამიტომ დამქირავებლისათვის სულერთი არ არის, მაგალითად, დაქირავებული ნივთი დაგირავებულია, თუ არა. ამიტომ, უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთის წარდგენა დამქირავებელს უფლებას აძლევს მოითხოვოს 536-ე მუხლით, ზოგიერთ შემთხვევებში კი 537-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების განხორციელება. ამასთან, 536-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების წარმოშობისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტი, ცნობილი იყო თუ არა დამქირავებლისათვის ხელშეკრულების დადებისას ნივთის უფლებრივი ნაკლი და განაცხადა თუ არა მან ამის გამო პრეტენზია.

მუხლი 545. გამქირავებლის ვალდებულება

1. გამქირავებელი ვალდებულია დაქმირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯები.

2. სხვა ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების შესაბამისად.

გამქირავებლის მიერ ნივთის სათანადო მდგომარეობისათვის აუცილებელი ხარჯების გაუღებლობისას, დამქირავებელს შეუძლია გასწიოს ხარჯები ნივთის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. დამქირავებელს უფლება ეძლევა ამ შემთხვევაში, გამქირავებლისაგან მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება. ამასთან, გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯები. სხვა ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების შესაბამისად. აღნიშნული მუხლის ეს ნაწილი ასეთი მითითებითი ხასიათის ნორმას შეიცავს. კაპიტალური ხარჯების გაწევა კანონით დამქირავებელს არ ეკისრება. ასეთი მას შეიძლება ეკისრებოდეს ხელშეკრულებით ან არც ეკისრებოდეს, მაგრამ გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული კაპიტალური რემონტის ჩატარებისას მას უფლება აქვს გამქირავებლისაგან მოითხოვოს რემონტისათვის აუცილებელი ხარჯები. სხვა შემთხვევაში, როცა მაგალითად, კაპიტალური ხარჯების გაწევა დამქირავებელს არ ეკისრება, მისი ჩატარება გადაუდებლობით არ არის გამოწვეული და დამქირავებელი მას მხოლოდ თავისი ინიციატივის საფუძველზე ატარებს, მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, მან საქმე კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს. ამასთან, შემსრულებელი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე აცნობოს გამ-

ქირავებელს, რომ იკისრა განსაზღვრულ სამუშაოთა შესრულება. დამქირავებელი დაწესებულ სამუშაოს ასრულებს მანამდე, ვიდრე გამქირავებელს არ შეეძლება თვითონ ჩაებას შესრულებაში. შესაძლებელია, აგრეთვე, მხარეთა შეთანხმებით, დამქირავებელმა გააგრძელოს საქმე ნივთის გამქირავებლის აქტიურად ჩარევის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, დამქირავებელი ვალდებულია წარუდგინოს გამქირავებელს ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ და გადასცეს მას ყველაფერი, რაც შესრულების შედეგად მიიღო. დამქირავებელს, თავის მხრივ, უფლება აქვს მოითხოვოს იმ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომელიც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნება მიჩნეული. დამქირავებელს არა აქვს უფლება მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ სამუშაოს შესრულება ეწინააღმდეგება გამქირავებლის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს. თუ დამქირავებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებით გამოწვეული ზიანი. დამქირავებლის ნება, ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ მიიღება მხედველობაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს.

მუხლი 546. დამქირავებლის უფლება ქირავნობის ნივთისათვის მიმაგრებულ ნივთზე

1. დამქირავებელი უფლებამოსილია დაიტოვოს ის, რითაც მან დაქირავებული ნივთი აღჭურვა.

2. საცხოვრებელი სადგომის გამქირავებელს შეუძლია აღნიშნული უფლების განხორციელება შეცვალოს შესაბამისი კომპენსაციით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დამქირავებელი, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, არ ეთანხმება გამქირავებელს.

დამქირავებელმა დაქირავებული ნივთით ისე უნდა ისარგებლოს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ შეძლოს გამ-

ქირავებელს დაუბრუნოს ნივთი სათანადო მდგომარეობაში. პრაქტიკამ იცის არაერთი შემთხვევა, როცა დამქირავებელი არათუ აუარესებს, არამედ აუმჯობესებს დაქირავებული ნივთის მდგომარეობას იმასთან შედარებით, როგორიც იყო იგი სარგებლობაში გადაცემისას.

გაუმჯობესებაში იგულისხმება ნივთის აღჭურვა ისეთი ახალი, მისთვის მანამდე არარსებული სასარგებლო თვისებებით, რომლებიც მის სამომხმარებლო ღირებულებას, ეფექტურობას ამაღლებს. გაუმჯობესება უნდა განვასხვაოთ რემონტისაგან, რომელიც აღადგენს ნივთის უკვე ადრე არსებულ სასარგებლო თვისებებს ან მიმართულია იმისაკენ, რომ შეინარჩუნოს ნივთის სასარგებლო თვისებები. თუმცა, შეიძლება ნივთის რემონტი მისი გაუმჯობესებითაც ჩატარდეს.

546-ე მუხლში მითითებული წესი ეხება სწორედ ნივთის ისეთ ცვლილებებს, რაც ატარებს გაუმჯობესების ხასიათს, ე.ი. ამაღლებს ნივთის გამოყენების ეფექტურობას, აფართოებს მისი გამოყენების შესაძლებლობას ან სხვა სახით აუმჯობესებს დაქირავებული ნივთის ღირებულებას. სხვა ცვლილებას, რაც დაკავშირებული არაა დაქირავებული ნივთის გაუმჯობესებასთან, ადგილი შეიძლება ჰქონდეს გამქირავებლის თანხმობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ნივთის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და ზიანის ანაზღაურება.

გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, უნდა განისაზღვროს, აქვს თუ არა დამქირავებელს უფლება შესაბამის კომპენსაციაზე იმ გაუმჯობესებისათვის, რაც დამქირავებელმა დაქირავებულ ნივთში განახორციელა.

დამქირავებლის მიერ ჩატარებული გაუმჯობესების ბედი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ როგორი ხასიათისაა მოცემული გაუმჯობესება. ნებისმიერი გაუმჯობესება, რაც შეიძლება გამოეყოს დაქირავებულ ნივთს მისი დაზიანების გარეშე (გამოყოფილი გაუმჯობესება), ითვლება დამქირავებლის საკუთრებად. კერძოდ, 546-ე

მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ დამქირავებელი უფლებამოსილია დაიტოვოს ის, რითაც მან დაქირავებული ნივთი აღჭურვა. მაგალითად, დაქირავებულ ბინაში აბაზანის დადგმა. გამქირავებელი უფლებამოსილია დაიტოვოს ეს აღჭურვილი ნივთი და დამქირავებელს მისცეს კომპენსაცია. ე.ი. სათანადო ანაზღაურებით დაიტოვოს ის, რითაც დამქირავებელმა დაქირავებული ნივთი აღჭურვა მიუხედავად იმისა, რომ დამქირავებელი ამის წინააღმდეგია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ქირავნობის საგანი არის საცხოვრებელი სადგომი (და არა ადამიანთა სამყოფლად გათვალისწინებული სხვა სახის სადგომი, შენობა თუ ნებისმიერი სხვა რამ), გამქირავებელს არ შეუძლია აღნიშნული უფლების განხორციელება შეცვალოს შესაბამისი კომპენსაციით, თუ დამქირავებელი, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, არ ეთანხმება გამქირავებელს. ამ შემთხვევაში გამქირავებელს არა აქვს უფლება დაიტოვოს გაუმჯობესება (ის, რითაც დამქირავებელმა დაქირავებული ნივთი აღჭურვა) კომპენსაციის სანაცვლოდ.

განუყოფადი გაუმჯობესება ისეთი გაუმჯობესებაა, რომლის გამოყოფაც ამ ნივთისაგან ზიანის მიყენების გარეშე არ შეიძლება. რადგანაც კანონი არ აკეთებს არანაირ დათქმას იმის თაობაზე, თუ როგორი ზომის ზიანის მიყენებისას ჩაითვლება გაუმჯობესება განუყოფლად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ განუყოფელ გაუმჯობესებად ითვლება ისეთი გაუმჯობესება, რომელთა გამოყოფა შეუძლებელია ნივთისათვის ნებისმიერი ზომით ზიანის მიყენების გარეშე.

განუყოფადი გაუმჯობესების ჩატარების დროს დამქირავებელს შესაბამისი კომპენსაციის მიღების უფლება აქვს მხოლოდ ორი პირობის ერთდროულად არსებობისას: ა) გამქირავებელმა თანხმობა განაცხადა განუყოფადი გაუმჯობესების ჩატარებაზე; ამასთან, თანხმობა შეიძლება გამოთქმული იყოს როგორც თავად ქირავნობის ხელშეკრულებაში ისე დამოუკიდებლად. მისი დადების შემდეგ იმ ფორმით, რაც ქირავნობის ხელშეკრულებითაა გათვალისწინებ-

ული ასეთი თანხმობისათვის. თუ ფორმა წინასწარ შეთანხმებული არ არის მხარეთა მიერ, იგი შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ფორმის გამოყენებით. გამქირავებლის თანხმობა გაუმჯობესების ანაზღაურებაზე, რაც მისი ჩატარების შემდეგ განხორციელდა, უთანაბრდება წინასწარ თანხმობას. თუ გაუმჯობესების ხასიათი ამ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ნებადართულია ნებისმიერი სახით გაუმჯობესება, რაც ქირავნობის ხელშეკრულების საგნის დანიშნულებას არ ცვლის; ბ) დამქირავებლის მიერ გაუმჯობესების ჩატარებისას საკუთარი ხარჯების გაწევა.

თუ აღნიშნული ორი პირობა ერთდროულად სახეზე არ არის, მაშინ განუყოფადი გაუმჯობესება გამქირავებელს ეკუთვნის შესაბამისი კომპენსაციის გარეშე.

შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ისეთი გაუმჯობესების ჩატარების შეზღუდვა, რომლის განხორციელება დამქირავებელს არ შეუძლია განახორციელოს გამქირავებლის თანხმობის გარეშე. კერძოდ, შეიძლება აიკრძალოს ისეთი გაუმჯობესების ჩატარება, რაც განუყოფადია ან თუნდაც გამოყოფადია, სასურველია დამქირაებლისათვის, მაგრამ არასასურველია სხვათათვის.

მუხლი 547. პასუხისმგებლობა ნივთის რეალური ცვეთისათვის

გამქირავებელი ნივთის ცვლილების ან გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობით, დამქირავებელი პასუხს არ აგებს.

დაქირავებული ნივთით სარგებლობისას შესაძლებელია, და ეს ბუნებრივიცაა, რომ მოხდეს მისი ცვეთა. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს ნივთის გარეგნული ან შინაგანი ცვლილება ანდა მისი გაუარესება და სამეურნეო დანიშნულების შემცირება. მსგავს შემთხვევაში, დამქირავებლის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება

დადგეს, თუ ნივთის გამოყენება ეწინააღმდეგება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. სხვა შემთხვევაში, ცვეთა ითვლება ბუნებრივად და არ შეიძლება ამისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს დამქირავებელს. მაშასადამე, დამქირავებელი პასუხს არ აგებს, თუ იგი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად იყენებს ნივთს, მაგრამ ის მაინც გაუარესდა ან განიცადა ცვლილებები.

მუხლი 548. მიმდინარე რემონტის ხარჯები

1. მიმდინარე რემონტის ჩატარება, ჩვეულებრივ, ევალება დამქირავებელს. მას არა აქვს საცხოვრებელი სადგომის გადაკეთების ან რემონტის უფლება გამქირავებლის თანხმობის გარეშე.

2. დამქირავებელი მოვალეა ეს სამუშაოები შეასრულოს საკუთარი ხარჯებით.

3. გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია დამქირავებლის მიერ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობით.

ნივთით სარგებლობა ქირავნობის ხელშეკრულებით ატარებს დროებით ხასიათს, თუმცა ნივთით სარგებლობის დრო შეიძლება განისაზღვროს წლებით. ნივთი ხანგრძლივი სარგებლობის შედეგად, ბუნებრივია, საჭიროებს რემონტს. მხარეთა შეთანხმებით რემონტის ჩატარების ვალდებულება (კაპიტალური, მიმდინარე) შეიძლება დაეკისროს როგორც დამქირავებელს, ისე გამქირავებელს. თუ ხელშეკრულებით ეს განსაზღვრული არ არის, მაშინ მიმდინარე რემონტის ჩატარება, ჩვეულებრივ ევალება დამქირავებელს. კაპიტალური რემონტის ჩატარების ვალდებულება კანონით დამქირავებელს არ აკისრია; ლოგიკურია, რომ მისი ჩატარების ვალდებულება გამქირავებელს ევალება. თუ დამქირავებელმა ნივთს არ

ჩაუტარა მიმდინარე რემონტი, გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია დამქირავებლის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობით. ე.ი. დამქირავებელს, ამ შემთხვევაში, დაეკისრება პასუხისმგებლობა მიმდინარე რემონტის ჩაუტარებლობის გამო, თუ მისმა ასეთმა უმოქმედობამ გამქირავებელს ზიანი მიაყენა. ზიანი კი გამქირავებელს შეიძლება მიადგეს იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე რემონტის ჩაუტარებლობამ გამოიწვია ნივთის გაუარესება ან გაფუჭება.

კანონით არ არის დადგენილი, თუ რა ითვლება კაპიტალურ და მიმდინარე რემონტად. დავის შემთხვევაში სასამართლო დაადგენს, თუ რა ითვლება, კონკრეტულ შემთხვევაში, კაპიტალურ რემონტად ან მიმდინარე რემონტად, რომელიც თავის მხრივ დანიშნავს ექსპერტიზას ამის გასარკვევად. ყოველ შემთხვევაში უნდა გამოვდიოდეთ იქიდან, რომ კაპიტალური რემონტი ტარდება გამქირავებლის ინტერესებისათვის, რადგანაც იგი გამიზნულია მნიშვნელოვანი (არსებითი) ნგრევის ან ნივთის ძირითადი ნაწილების დანგრევის აცილებისაკენ. ამ დროს ხდება ძირითადი ნაწილების ისეთი აღდგენა, რის გარეშეც ეს უკანასკნელი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას დანიშნულებისამებრ. ამასთან, კაპიტალურ რემონტად ცნობილი უნდა იქნეს ისეთი რემონტი, რომლისთვისაც საჭიროა ისეთი ხარჯები, რასაც მოცემული ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დამქირავებელი დაქირავებული ნივთის სარგებლობით ვერ აანაზღაურებს. სწორედ ამიტომ, კაპიტალური რემონტის ჩატარების ვალდებულება გამქირავებელს ეკისრება.

მიმდინარე რემონტი მიმართულია ნივთის დროული დაცვისაკენ, რომ არ მოხდეს მისი უდროო გაფუჭება, აცილებული იყოს დაზიანებები და გაუმართაობა (ჭერის, იატაკის რემონტი, შეთეთრება); მიმდინარე რემონტს მიეკუთვნება სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ქონების ყოველდღიურ გამოყენებასთან. მიმდინარე რემონტის ჩატარება ხდება დამქირავებლის ინტერესების დაცვისათვის და გამოწვეულია ნივთის სათანადოდ სარგებლობის მოთხ-

ოვნილებით. ამიტომაც კანონით მიმდინარე რემონტის ჩატარების ვალდებულება დამქირავებელს ეკისრება.

კაპიტალური რემონტი გამქირავებელმა უნდა ჩაატაროს მისი ხარჯით და მისი ძალებით, ან მის მიერ მოწვეული პირების ძალებით იმ დროში, რაც დადგენილია ხელშეკრულებით. თუ ასეთი ვადა ქირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის, ან წარმოიშვა გადაუდებელი აუცილებლობა კაპიტალური რემონტის ჩატარებისა, გამქირავებელმა კაპიტალური რემონტი უნდა ჩაატაროს განსაზღვრულ ვადაში. გამქირავებლის მიერ გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული კაპიტალური რემონტის ჩაუტარებლობის შემთხვევაში დამქირავებელს შეუძლია ჩაატაროს კაპიტალური რემონტი, შემდგომში კი იგი უფლებამოსილია მოითხოვოს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. გამქირავებელი კი ვალდებულია დამქირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე გაწეული ხარჯები 545-ე მუხლის საფუძველზე.

გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული რემონტის ქვეშ გაგებული უნდა იქნას ისეთი რემონტი, რომლის გარეშეც შეუძლებელი ხდება დაქირავებული ნივთის შემდგომი გამოყენება მისი დანიშნულებით.

გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული კაპიტალური რემონტის ჩატარების შესახებ დავისას, მტკიცების ტვირთი როგორც მის ჩატარებაზე, ისე ღირებულებაზე, დამქირავებელს ეკისრება.

მხარეთა ურთიერთობა კაპიტალური რემონტის ჩატარების დროს დარეგულირებული უნდა იყოს ქირავნობის ხელშეკრულებით. კერძოდ, ამ უკანასკნელმა შეიძლება დაადგინოს დამქირავებლის ვალდებულება შეაჩეროს ან შეზღუდოს დაქირავებული ნივთით სარგებლობა კაპიტალური რემონტის ჩატარებისას ან მისი უფლება მოსთხოვოს გამქირავებელს კაპიტალური რემონტის ჩატარების განმავლობაში ანალოგური ნივთით სარგებლობის უფლება. კაპიტალური რემონტის ჩაუტარებლობა დამქირავებელს უფლებას აძლევს აგრეთვე მოშალოს ხელშეკრულება და მოითხოვოს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

რემონტის ჩატარების ხარჯების გარდა, დამქირავებელმა უნდა გასწიოს დაქირავებული ნივთის მოვლისათვის საჭირო ჩვეულებრივი ხარჯები. ასეთ ხარჯებში იგულისხმება მიმდინარე ხარჯები – მაგალითად, მანქანა-იარაღების ექსპლოატაციის ან პირუტყვის კვების ხარჯები და სხვა. მიმდინარე ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დამქირავებელს არა აქვს.

დამქირავებლს უფლება არა აქვს გადააკეთოს ან რეკონსტრუქცია გაუკეთოს საცხოვრებელ სადგომს გამქირავებლის თანხმობის გარეშე. გამქირავებლის თანხმობა აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ქირავნობის ხელშეკრულების საგანი საცხოვრებელი სადგომია. თუ თანხმობა გამქირავებლისაგან მიღებული არ ყოფილა, გამქირავებელს შეუძლია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ხოლო თუ ამ გადაკეთებით ან რეკონსტრუქციით მას ზიანი მიადგა, შეუძლია აგრეთვე მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

საცხოვრებელი სადგომის რეკონსტრუქციაში უნდა გვესმოდეს ოთახების, ცალკეული საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობების გადაგეგმარება (გასასვლელი და მომიჯნავე ოთახების იზოლაცია, ტიხარების მოწყობა საერთო ოთახებში და სხვ.).[1]

მუხლი 549. გამქირავებლის თანხმობა ქვექირავნობაზე

დამქირავებელს არა აქვს უფლება გაქირავებული ნივთი გამქირავებლის თანხმობის გარეშე გადასცეს მესამე პირს (ქვექირავნობა). მესამე პირად არ მიიჩნევიან დამქირავებლის ოჯახის წევრები.

გაქირავებული ნივთის სარგებლობაში გადაცემა გულისხმობს მის გამოყენებას უშუალოდ დამქირავებლის მიერ. დაქირავებული

[1] საცხოვრებელი სადგომის დანიშნულების შეცვლასთან (საცხოვრებელი სადგომის დამხმარედ გადაკეთება ანდა პირიქით) ან კიდევ სხვა სახის გაუმჯობესებასთან (აბაზანის დადგმა, სანიტარული კვანძების მოწყობა და სხვ.)დაკავშირებით იხილეთ: შ. ჩიკვაშვილი „საბინაო სამართალი“, თბილისი 1989 წ. გვ. 306

ნივთის სხვა პირისათვის სარგებლობაში გადაცემა დაუშვებელია და ეწინააღმდეგება სარგებლობის ცნებას. დამქირავებლის მიერ დაქირავებული ნივთის სხვისთვის გადაცემა განკარგვას ნიშნავს გამქირავებელთან მიმართებაში. ამ წესიდან შეიძლება გამონაკლისის დაშვება. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა დამქირავებელი გამქირავებლის თანხმობით სხვა პირს გადასცემს ნივთს სარგებლობაში. დამქირავებელს არ შეუძლია დაქირავებული ნივთით სხვაგვარად ისარგებლოს, ვიდრე ეს ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. მას არა აქვს უფლება ნივთი სარგებლობისათვის გადასცეს მესამე პირს გამქირავებლის თანხმობის გარეშე (მესამე პირად არ მიიჩნევიან დამქირავებლის ოჯახის წევრები). ყველა შემთხვევაში, დაქირავებული ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენების პრინციპი დაცული უნდა იქნას. დამქირავებლის მიერ სხვა პირისათვის გამქირავებლის ნებართვით ნივთის სარგებლობაში გადაცემისათვის აუცილებელია ქვექირავნობის ხელშეკრულების დადება დამქირავებელსა და მესამე პირს შორის. ქვექირავნობის ხელშეკრულებით დამქირავებელი ქვემოქირავნეს დაქირავებულ ნივთს ან მის ნაწილს გადასცემს დროებით სარგებლობაში სასყიდლით. დამქირავებელი მესამე პირთან ურთიერთობაში გამქირავებლის როლში გამოდის, ქვემოქირავნე კი დამქირავებლისა. ძირითადი ხელშეკრულების დამქირავებელი არავითარ სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფება დამატებითი ხელშეკრულების დამქირავებელთან (ქვემოქირავნესთან). მესამე პირისათვის ნივთის სარგებლობაში გადაცემის ყველა შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება დამქირავებელს (როგორც საკუთარი ქმედებისათვის, ისე ქვემოქირავნის ქმედებისთვისაც), როგორც მის უშუალო კონტრაჰენტს. დამქირავებელსა და ქვემოქირავნეს შორის ურთიერთობას არავითარი მნიშვნელობა გამქირავებლისათვის არა აქვს. კერძოდ, ქვემოქირავნის მიერ დამქირავებლისათვის ქირის გადახდის დაგვიანება და ა.შ. არ ათავისუფლებს დამქირავებელს გამქირავებლის წინაშე ქირის გადახდის პასუხისმგებლობისაგან.

ქვექირავნობა იზიარებს ქირავნობის ხელშეკრულების ბედს. თუ ქირავნობის ხელშეკრულებას ბათილად მივიჩნევთ, ნამდვილი ვერც ქვექირავნობის ხელშეკრულება ვერ იქნება, რომელიც ქირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად არის დადებული.

ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ნებისმიერი საფუძვლით იწვევს მის საფუძველზე დადებული ქვექირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტასაც, თუმცა ამ უკანასკნელის დრო ჯერ არ ამოწურულა. ქირავნობის ხელშკერულების შეწყვეტა დამქირავებლის ბრალით ქვემოქირავნეს უფლებას აძლევს მოითხოვოს ქვექირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

ქვექირავნობის ხელშეკრულება არ შეიძლება დაიდოს იმაზე მეტი ვადით, რა ვადითაც დადებულია ქირავნობის ხელშეკრულება. ე.ი. ქვექირავნობის ხელშეკრულება არ უნდა აფერხებდეს ქირავნობის ხელშეკრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შესაბამის ნაწილში ნამდვილი არ იქნება. ეს წესი გამომდინარეობს საერთოსამართლებრივი პრინციპიდან, რომლის თანახმად არავის არ შეუძლია სხვას გადასცეს იმაზე მეტი უფლება, რასაც თავად ფლობს. შესაბამისად – ქვემოქირავნე არ შეიძლება ფლობდეს იმაზე მეტ უფლებას, ვიდრე თავად დამქირავებელი. მაგალითად, თუ დამქირავებელს ეკრძალება რაიმე ქმედების ჩადენა, არ შეიძლება ამის უფლება მან ქვემოქირავნეს მისცეს. ამასთან, არაა აუცილებელი, რომ ვალდებულება, რომელიც დამქირავებელს აკისრია, ქვემოქირავნისთვისაც იგივე იყოს. უფრო მეტიც, დამქირავებელი, მაგალითად, შეიძლება იხდიდეს უფრო მეტ ქირას, ვიდრე ქვემოქირავნე.

თანხმობა ქვექირავნობაზე გამქირავებლის მიერ შეიძლება სხვადასხვა საშუალებით იყოს გამოხატული – პირდაპირ ქირავნობის ხელშეკრულებით, დამატებითი შეთანხმებით, აგრეთვე, ცალმხრივი ქმედებით (მაგალითად, წერილობითი თანხმობა). გამქირავებელს ასეთი თანხმობის მიცემისას შეუძლია განსაზღვროს იმ უფლებამოვალეობათა მოცულობა, რომელიც დამქირაცებლის მიერ ქვემო-

ქირავნეზე უნდა იქნას გადაცემული. განაცხადა რა თანხმობა ქვექირავნობის ხელშეკრულების დადებაზე, გამქირავებელმა ამით შეიზღუდა, „შეიბოჭა“ საკუთარი თავი.

ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას, კანონით ქვემოქირავნეს არა აქვს მინიჭებული უფლება, მოსთხოვოს ძირითადი ხელშეკრულების გამქირავებელს მასთან ქირავნობის ხელშეკრულების დადება იმ ნივთზე, რომელიც ქვექირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე მის სარგებლობაში იყო.

ქვექირავნობა უნდა განვასხვავოთ ისეთი შემთხვევისაგან, როცა ხდება დამქირავებლის შეცვლა. ამ დროს, მესამე პირს გადაეცემა დამქირავებლის ყველა უფლება და მოვალეობა. ე.ი. იცვლება დამქირავებელი. ახალ დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის მყარდება ქირავნობის ურთიერთობა წინათ არსებული ქირავნობის პირობების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, დამქირავებლის შეცვლას გამქირავებლის თანხმობა არ სჭირდება. 555-ე მუხლის მიხედვით, დამქირავებელი მხოლოდ მოვალეა გააფრთხილოს გამქირავებელი ერთი თვით ადრე ამის შესახებ და შესთავაზოს გადახდისუნარიანი და მისაღები დამქირავებელი, რომელიც თავის მხრივ თანახმა იქნება ქირავნობის დარჩენილ დროში იყოს დამქირავებელი.

გამქირავებლის თანხმობის გარეშე ქვექირავნობის ხელშეკრულების დადება კი დამქირავებლის მიერ ქვემოქირავნესთან საფუძველია ქვექირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისათვის, რადგანაც დამქირავებელმა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად მნიშვნელოვნად დაარღვია, რაც გამქირავებელს აძლევს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას.

ცხადია, როცა ძირითადი ხელშეკრულების გამქირავებელი შეწყვეტს ქირავნობის ხელშეკრულებას, წყდება ქვექირავნობის ხელშეკრულებაც, მაგრამ რა ბედი ელის ქვექირავნობის ხელშეკრულებას, როცა სახეზე გვაქვს 555-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა. იწვევს თუ არა დამქირავებლის მიერ

ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა ქვექირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე მის შეწყვეტას, თუ იგი ინარჩუნებს ძალას? უნდა ითქვას, რომ მოცემულ შემთხვევაში ერთი დამქირავებელი იცვლება მეორე დამქირავებლით, რომელზეც გადადის ყოფილი დამქირავებლის ყველა უფლება და მოვალეობა, ამდენად, მისთვის, როგორც დამატებითი ხელშეკრულების დამქირავებლისათვის, ქვექირავნობის ხელშეკრულება ძალაში რჩება.

ქვემოქირავნეთაგან უნდა განვასხვაოთ დროებითი მდგმურები. თუმცა დღესდღეობით მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამ ცნებას არ იცნობს, პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით ამ ცნების გამოყენების შემთხვევებს.

დროებით მდგმურებად ითვლებიან დამქირავებლის ნათესავები, ნაცნობები, მეგობრები, მასთან დროებით შესახლებული პირები, საცხოვრებელ სადგომში შესახლებული მეურვე და მზრუნველი, აგრეთვე მეურვეობაში მყოფნი, თუ არ შეიძლება მათი ცნობა მეურვის ან მზრუნველის ოჯახის წევრად. დროებით მდგმურებს უთანაბრდებიან აგრეთვე, შინამოსამსახურენი, ძიძები და სხვა პირნი, რომლებიც შრომით ურთიერთობაში იმყოფებიან დამქირავებელთან და მისი ოჯახის წევრებთან.

დროებით მდგმურების შესახლება საცხოვრებელ სადგომში ხდება ქვექირავნობის ხელშეკრულების დაუდებლად. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დამქირავებელთა და დროებით მდგმურთა ურთიერთობებში საერთოდ გამორიცხულია ყოველგვარი სახელშეკრულებო საწყისი. ვფიქრობთ, რომ დამქირავებლის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომში დროებით მდგმურების შესახლება ეფუძნება ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობის ხელშეკრულების საწყისებს[1].

[1] იხ. შ. ჩიკვაშვილი „საბინაო სამართალი", თბილისი. 1989 წ. გვ. 306

მუხლი 550. გამქირავებლის უარის დაუშვებლობა ქვექირავნობაზე

გამქირავებელს არ შეუძლია უარი თქვას საცხოვრებელი სადგომის ქვექირავნობაზე, თუ საპატიო მიზეზის არსებობისას დამქირავებელს სურს მიაქირაოს მესამე პირს დაქირავებული საცხოვრებელი სადგომი მთლიანად ან მისი მაწილი. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, თუ გამქირავებლისათვის ქვემოქირავნე წარმოადგენს მისთვის არასასურველ პიროვნებას, ან საცხოვრებელი სადგომი ზედმეტად გადაიტვირთა, ან თუ სხვა მიზეზების გამო გამქირავებლისათვის მიუღებელია ქვექირავნობა.

დამქირავებელს ყოველთვის სჭირდება გამქირავებლის თანხმობა იმისათვის, რომ მან მესამე პირს გადასცეს ნივთი, რომელიც მას აქვს დაქირავებული. გამქირავებელს თავის მხრივ, ყოველთვის შეუძლია უარი თქვას გაქირავებული ნივთის ქვექირავნობის წესით მესამე პირისათვის გადაცემაზე. ამ წესიდან არის ერთი გამონაკლისი. კერძოდ, მაშინ, როცა ქირავნობის ხელშეკრულების საგანი არის საცხოვრებელი სადგომი, გამქირავებელს არ შეუძლია უარი თქვას საცხოვრებელი სადგომის ქვექირავნობაზე, თუ დამქირავებელს აქვს საპატიო მიზეზი, რის გამოც მას სურს მიაქირავოს დაქირავებული საცხოვრებელი სადგომი მესამე პირს მთლიანად ან მისი ნაწილი. გამქირავებელი არ არის ვალდებული დათანხმდეს საცხოვრებელი სადგომის ქვექირავნობაზე (რაც დისკომფორტს ქმნის ბინის და მისი ნაწილების სარგებლობის დროს), ქვემოქირავნე წარმოადგენს არასასურველ პიროვნებას, ან საცხოვრებელი სადგომი ზედმეტად გადაიტვირთა, ან თუ სხვა მიზეზების გამო გამქირავებლისათვის მიუღებელია ქირავნობა.

მუხლი 551. ქვექირავნობის ბედი ქირავნობის შრთიერთობის დასრულებისას

თუ ქვექირავნობა მიზნად ისახავს ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის გარანიტიებისათვის გვერდის ავლას, მაშინ ქირავნობის ურთიერთობის დასრულებისას გამქირავებელი თავის თავზე იღებს იმ უფლებასა და მოვალეობას, რომლებიც არსებობდა დამქირავებელსა და ქვემოქირავნეს შორის.

იმ შემთხვევაში, თუ ქირავნობა მიზნად ისახავს ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის გარანტიებისათვის გვერდის ავლას, მაშინ ქირავნობის ურთიერთობის დასრულებისას გამქირავებელს შეუძლია თავის თავზე აიღოს ის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც არსებობდა დამქირავებელსა და ქვემოქირავნეს შორის. ე.ი. ქვემოქირავნე ხდება დამქირავებელი; დამქირავებელი, რომელიც ქვემოქირავნისათვის გამქირავებელს წარმოადგენდა, გადის ურთიერთობიდან და მის ადგილს იკავებს გამქირავებელი, ამ შემთხვევაში, გამქირავებელი ვალდებულია დაეთანხმოს პირობებს, რომელიც დამქირავებელს ჰქონდა განსაზღვრული ქვემოქირავნისათვის, რადგანაც იგი ამ დროს, თავის თავზე იღებს იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც არსებობდა დამქირავებელსა და ქვემოქირავნეს შორის.

მუხლი 552. ქირავნობის შრთიერთობის უზრუნველყოფის ოდენობა

1. თუ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებით დამქირავებელს ეკისრება ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალების წარდგენა, მაშინ უზრუნველყოფის თანხა არ უნდა აღემატებოდეს ერთი თვის ქირის სამმაგ ოდენობას. თუ ფულადი თანხა წინასწარ არის გადასახდელი, მაშინ დაქირავებული უფლებამო-

სილია გადაიხადოს იგი ყოველთვიურად თანაბარ ნაწილებად სამი თვის განმავლობაში.

2. წინასწარ გადახდილ უზრუნველყოფას უნდა დაერიცხოს კანონით დადგენილი პროცენტები და ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდეს დამქირავებელს პროცენტებთან ერთად.

3. დამქირავებლის საზიანოდ დადებული სხვაგვარი შეთანხმება ბათილია.

აღნიშნული მუხლი ეხება საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ურთიერთობის უზრუნველყოფის ოდენობას. უზრუნველყოფის თანხა არ უნდა აღემატებოდეს ერთი თვის ქირის სამმაგ ოდენობას. თუ ფულადი თანხა წინასწარ არის გადასახდელი, დამქირავებელს უფლება აქვს გადაიხადოს იგი ყოველთვიურად თანაბარ ნაწილებად სამი თვის განმავლობაში. ეს არ არის ფულადი თანხა, რომელსაც დამქირავებელი აძლევს მომავალი გადასახდელის ანგარიშში.

დამქირავებელს წინასწარ გადახდილი უზრუნველყოფის თანხა უბრუნდება ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ დარიცხულ პორცენტებთან ერთად. კერძოდ, წინასწარ გადახდილ უზრუნველყოფას უნდა დაერიცხოს კანონით დადგენილი პროცენტები და ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდეს დამქირავებელს.

დამქირავებლის საზიანოდ დადებული სხვაგვარი შეთანხმება ბათილია. მაგალითად, ბათილად ჩაითვლება შეთანხმება იმის შესახებ, რომ დამქირავებელს დაუბრუნდება ვალდებულების უზრუნველსაყოფად გადახდილი თანხა პროცენტების გარეშე.

მუხლი 553. ქირის გადახდის წესი

1. ქირა გადახდილი უნდა იქნას ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას. თუ ქირის გადახდა დროის მონაკვეთებით

განისაზღვრება, მაშინ იგი გადახდილი უნდა იქნას დროის ამ მონაკვეთების გასვლის შემდეგ.

2. დამატებითი ხარჯების გადახდა მხოლოდ მაშინ არის სავალდებულო, თუ ამის თაობაზე მხარეთა შორის ასრებობს შეთანხმება.

ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ნივთით სარგებლობა ატარებს სასყიდლიან ხასიათს. ამიტომ, დამქირავებლის ძირითად ვალდებულებას შეადგენს ქირავნობის ხელშეკრულების საგნის სარგებლობისათვის ქირის დროულად გადახდა.

ქირა შეიძლება გადახდილ იქნას დროის განსაზღვრული მონაკვეთის გასვლის შემდეგ ან ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას. იმისათვის, რომ მოხდეს ქირის გადახდა დროის მონაკვეთების გასვლის შემდეგ, მხარეთა შორის უნდა არსებობდეს შეთანხმება. თუ ასეთ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონდა, ქირა გადახდილი უნდა იქნას ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას. თუ ქირის გადახდა დროის განსაზღვრული მონაკვეთების გასვლის შემდეგ ხდება, ქირის გადახდას აქვს პერიოდული ხასიათი. ხოლო, თუ ასეთს არა აქვს ადგილი, მაშინ ქირის გადახდას ერთდროული ხასიათი გააჩნია.

ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც მთლიანი ქირავნობის ხელშეკრულების საგნის მიმართ, ისე მის ცალკეულ შემადგენელ ნაწილებზე. ქირა შეიძლება გადახდილ იქნას როგორც ფულადი ფორმით, ისე ნატურითაც. დამქირავებელმა ქირის სახით შეიძლება იკისროს გამქირავებლისათვის რაიმე მომსახურების გაწევა ან ამა თუ იმ ქონების საკუთრებაში გადაცემა ან ქირავნობაში გადაცემა. ქირის ზოგიერთი ამ ფორმის გამოყენება ნიშნავს ქირავნობის ხელშეკრულების გარდაქმნას შერეულ ხელშეკრულებად, რომელიც ითვისებს ნასყიდობის ხელშეკრულების ან ნარდობის ხელშეკრულების ნიშნებს.

მხარეებს შეუძლიათ ქირავნობის ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ ქირის ამ ფორმების ერთდროულად გამოყენება.

თუ ქირის გადახდის კონკრეტული ფორმა ხელშეკრულებით გასაზღვრული არ არის, ქირა გადახდილი უნდა იქნეს თანხის სახით.

ქირავნობის ხელშეკრულებაში შეიძლება არსებობდეს წესი იმის შესახებ, რომ ქირა წარმოადგენს მტკიცე თანხას და არ შეიძლება იყოს განხილვის საგანი, ისე იმგვარი წესიც, რომ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ქირის შეცვლა ცალმხრივად და მეორე მხარის უარის შემთხვევაში, ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტის უფლება მიეცეს. თუ ამგვარი წესი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის, ქირა მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს.

კანონი ქირის გადახდის წესის შესახებ სპეციალური ფორმის არსებობას არ ითხოვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქირის გადახდის წესის შესახებ შეთანხმების დადებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მარტივი წერილობითი ფორმა, ისე რთულიც ან უბრალოდ, მხარეთა შორის ქირის გადახდის შესახებ შეთანხმება დაიდოს ზეპირი ფორმით.

დამატებითი ხარჯების გადახდა სავალდებულოდ არის მიჩნეული, თუ ამის თაობაზე მხარეთა შორის არსებობს შეთანხმება.

მუხლი 554. დამქირავებლის ბრალით ქირის გადაუხდელობის შედეგები

თუ დამქირავებელს ხელი ეშლება სარგებლობაში თავისი მიზეზით, იგი ქირის გადახდისგან არ თავისუფლდება.

დამქირავებელი უფლებამოსილია მოითხოვოს არა მარტო ქირის შემცირება (536-ე მუხლის საფუძველზე), არამედ საერთოდ გათავისუფლება ქირის გადახდისაგან, თუ იგი დაქირავებული ნივთით ვერ სარგებლობს და ამაში მას ბრალი არ მიუძღვის. თუ დამქირავებელს დაქირავებული ნივთის მიღების შემდეგ თავისი მიზეზით ხელი ეშლება სარგებლობაში, იგი ქირის გადახდისაგან არ

თავისუფლდება. კერძოდ, თუ დამქირავებელი ნივთის მიღების შემდეგ იყო სხვაგან, რის გამოც ვერ ისარგებლა ნივთით, იგი არ თავისუფლდება ქირის გადახდის ვალდებულებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ მოკლებული იყო შესაძლებლობას ესარგებლა ნივთით.

მუხლი 555. ხელშეკრულების ვადამდე მოშლა საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის ინიციატივით

საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი უფლებამოსილია ხელშეკრულება ვადამდე მოშალოს, თუ იგი ერთი თვით ადრე გააფრთხილებს ამის შესახებ გამქირავებელს და შესთავაზებს მას გადახდისუნარიან და მისაღებ დამქირავებელს, რომელიც თანახმაა ქირავნობის დარჩენილ დროში იყოს დამქირავებელი.

555-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დამქირავებელი, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაშია გამქირავებელთან, უფლებამოსილია გამოვიდეს ამ ურთიერთობიდან და მისი ადგილი დაიკავოს ახალმა დამქირავებელმა, რომელზეც გადადის ქირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ყოფილი დამქირავებლის ყველა უფლება და მოვალეობა. ამ დროს ხდება მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება. ქირავნობის ხელშეკრულება გრძელდება, ოღონდაც ვალდებულებაში ხდება პირთა შეცვლა. შესაბამისად, დამქირავებელი გადის ქირავნობის ურთიერთობიდან, შლის რა ხელშეკრულებას ვადამდე. თუმცა, თავდაპირველი დამქირავებლის მხრიდან ხელშეკრულების მოშლა და ამ ურთიერთობიდან გასვლა არ ნიშნავს თავად ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას. ქირავნობის ურთიერთობა ამ დროს გრძელდება და იგი შეწყდება იმ ვადის გასვლის შემდეგ, რა ვადითაც იგი იყო დადებული.

იმისათვის, რომ საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელმა მოშალოს ხელშეკრულება ვადამდე: 1) მან ერთი თვით ადრე უნდა შეატყობინოს ამის შესახებ გამქირავებელს; 2) ამასთან ერთად,

უნდა შესთავაზოს გამქირავებელს გადახდისუნარიანი დამქირავებელი; 3) შეთავაზებული დამქირავებელი მისაღები უნდა იყოს გამქირავებლისათვის; 4) ახალი დამქირავებელი თანახმა უნდა იყოს გახდეს დამქირავებელი ქირავნობის დარჩენილ დროში.

მუხლი 556. დამქირავებლის საპირისპირო მოთხოვნები გამქირავებლის მიმართ

თუ ბინის ქირის მოთხოვნის საპირისპიროდ, დამქირავებელს აქვს დაკავების ან ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე სხვა მოთხოვნების გაქვითვის უფლება, დამქირავებელს შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება მაშინაც, როცა ხელშეკრულებით სხვა რამ არის გათვალისწინებული, თუ ამის შესახებ იგი წინასწარ გააფრთხილებს გამქირავებელს.

დამქირავებელს აქვს დაკავების ან სხვა მოთხოვნების გაქვითვის უფლება. ამასთან, დაკავების ან სხვა მოთხოვნების გაქვითვის უფლება ქირავნობის ურთიერთობებიდან უნდა გამომდინარეობდეს. კერძოდ, დამქირავებელს აქვს დაკავების ან, ქირავნობის ურთიერთიბიდან გამომდინარე, სხვა მოთხოვნების გაქვითვის უფლება ბინის ქირის მოთხოვნის საპირისპიროდ. დამქირავებელს ამ უფლებით შეუძლია ისარგებლოს როგორც მხარეთა შორის შეთანხმების არსებობის დროს, ისე ასეთი შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაშიც, თუ ამის შესახებ იგი წინასწარ გააფრთხილებს გამქირავებელს.

მუხლი 557. ხელშეკრულების მოშლა გამქირავებლის ინიციატივით

გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამქირავებელი, გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, გაქირავებულ ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვან დაზიანების რეალურ საშიშრებას.

ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას, დამქირავებელი ვალდებულია გამქირავებელს დაუბრუნოს ნივთი იმ მდგომარეობაში, როგორშიც მისგან მიიღო. დამქირავებლის მხრიდან ნივთით ისეთი სარგებლობა, რაც იწვევს დაქირავებული ნივთის მნიშვნელოვან დაზიანებას ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას (მაგალითად, დამქირავებელი ინსტრუმენტს ინახავს ნესტიან სარდაფში; ველოსიპედს იყენებს შეშის გადასაზიდად), გამქირავებელს უფლებას აძლევს მოშალოს ხელშეკრულება ვადამდე. მაგრამ ამის უფლება მას აქვს მას შემდეგ, რაც დამქირავებელს გააფრთხილებს, რომ მისი მხრიდან ნივთით ამგვარი სარგებლობის შემთხვევაში, იგი მოშლის ხელშეკრულებას ვადამდე. ამასთან, გამქირავებელი უფლებამოსილია მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება ვადამდე, თუ გაქირავებული ნივთი ზიანდება მხოლოდ მნიშვნელოვნად, ან იქმნება მისი მნიშვნელოვანი დაზიანების საშიშროება. დაზიანების საშიშროება უნდა იყოს რეალური.

გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაქირავებული ნივთის დაზიანებით მიღებული ზიანის ანაზღაურება. იგი უფლებამოსილია, აგრეთვე, მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც.

დამქირავებელი პასუხს აგებს არა ყველა სახის დაზიანებაზე, არამედ იმაზე, რაშიც მას ბრალი მიუძღვის გამქირავებლის წინაშე. იგი პასუხს აგებს აგრეთვე მისი დაქირავებული მუშების, მოსამსახურეთა, სტუმრების მიერ მიყენებულ ზიანზეც. აღნიშნულ პირებს საშუალება აქვთ დაქირავებულ ნივთთან შემხებლობისა დამქირავებელთან ახლო საოჯახო ან სხვა ურთიერთობის გამო. ამ შემთხვევაში გამქირავებელი პასუხს აგებს იმაზე, რომ მან განზრახ დაუშვა ნივთთან პირები, რომლებმაც დაქირავებული ნივთით სარგებლობის წესების უცოდინარობის ან სხვა მიზეზის გამო გააუარესეს ნივთის მდგომარეობა.

თუ დაზიანება ან დაზიანების რეალური საშიშროება გამოწვეულია ნორმალური ცვეთის გამო, დამქირავებელი ამაზე პასუხს არ აგებს

და გამქირავებელს არ ეძლევა უფლება მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება ვადამდე.

მუხლი 558. ხელშეკრულების მოშლა ქირის გადაუხდელობის გამო

გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამქირავებელმა ქირა არ გადაუხადა სამი თვის განმავლობაში.

558-ე მუხლი ეხება შემთხვევებს, როცა ქირის გადახდა დროის მონაკვეთებით განისაზღვრება. ამ შემთხვევაში ქირა გადახდილ უნდა იქნას ამ მონაკვეთების გასვლის შემდეგ, მაგრამ ხდება ისეც, რომ დამქირავებელი არ იხდის ქირას დროზე. როცა დამქირავებელმა ქირა არ გადაიხადა სამი თვის განმავლობაში, გამქირავებელს უფლება ეძლევა მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება ვადამდე.

გამქირავებლის უფლება – შეწყვიტოს ხელშეკრულება – ცალმხრივად ხორციელდება, მაგრამ საჭიროა შეტყობინება, იმის თაობაზე, რომ იგი შლის ხელშეკრულებას. დაცული უნდა იყოს ხელშეკრულების მოშლის ვადა.

ხელშეკრულების მოშლის შემდეგ გამქირავებელი უფლებამოსილია მიიღოს ზიანის ანაზღაურება შეუსრულებლობისათვის. გამქირავებელს შეუძლია იძულების წესით მოითხოვოს გადაუხდელი ქირის გადახდა. გამქირავებელს სასამართლო წესით ქირის გადახდის მოთხოვნის უფლება აქვს ხელშეკრულების მოშლამდეც. ხელშეკრულებით შეიძლება მხარეთა შორის შემდეგაც იქნას მიღწეული შეთანხმება იმის თაობაზე, რომ დამქირავებლის მიერ ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, გამქირავებელს მიეცეს უპირატესი უფლება შეცვალოს ქირის გადახდის წესი (მაგალითად, თუ ქირის გადახდა დროის განსაზღვრული მონაკვეთების გასვლას უკავშირდება, შეცვალოს ეს წესი და უკვე ქირის გადახდა წინასწარ მოითხოვოს, თუნდაც რამდენიმე თვით ადრე ან შეთანხმებაში მათვე შეიძლება გაითვალისწინონ ისეთი პუნქტი, რომლითაც დამქირავებლის მიერ

ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, ქირის გადახდის წესის შეცვლისას, მხარეთა შორის აუცილებელი იყოს მხარეთა შეთანხმება, რითაც დადგინდება ქირის გადახდის ახალი წესი). ქირის გადახდის წესის შეცვლის შეუთანხმებლობისას, დავას მხარეთა შორის ქირის გადახდის წესის შეცვლის თაობაზე გადაწყვეტს სასამართლო. რა თქმა უნდა, გამქირავებელი მისივე ნებით უარს ამბობს ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლაზე და დამქირავებლისათვის ამ ნეგატიურ შედეგს ცვლის დამქირავებლისთვისვე უფრო ნაკლებ ნეგატიური შედეგით, კერძოდ, ქირის გადახდის წესის უფრო გამკაცრებით.

მუხლი 559. ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტა ვადის გასვლით

1. ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ.

2. თუ დამქირავებელი სარგებლობს ნივთით ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც და გამქირავებელი ამაზე არ ედავება, მაშინ ხელშეკრულება განახლდება განუსაზღვრელი ვადით.

3. თუ ქირავნობის ხელშეკრულების ვადა არ არის განსაზღვრული, ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება ხელშეკრულების მოშლის შესახებ განცხადების გაკეთებით.

ქირავნობის ხელშეკრულებით ნივთით სარგებლობას ყოველთვის აქვს დროებითი ხასიათი. დრო, რომლის განმავლობაშიც დამქირავებელს უფლება აქვს ისარგებლოს დაქირავებული ნივთით, მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. თუმცა, ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი ვადითაც. ე.ი. ხელშეკრულებაში შეიძლება მითითებული იყოს, რომ ხელშეკრულება დადებულია განსაზღვრული

ვადით ან განუსაზღვრელი ვადით. თუ ვადაზე ხელშეკრულებაში მითითება საერთოდ არ არსებობს, ითვლება, რომ იგი განუსაზღვრელი ვადით არის დადებული. ქართული სამართალი საერთოდ არ იცნობს უვადო, მუდმივ ხელშეკრულებებს. ამიტომ ქირავნობის ხელშეკრულება ვადის მიუთითებლად დადებულად ითვლება განუსაზღვრელი ვადით და ნებისმიერ მხარეს შეუძლია ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულებაზე. მხარე, რომელსაც ხელშეკრულების შეწყვეტა სურს, წინასწარ აკეთებს განცხადებას იმის შესახებ, რომ სურს შეწყვიტოს ქირავნობის ურთიერთობა.

ხელშეკრულების მოშლის შესახებ განცხადების გაკეთებას ის მიზანი აქვს, რომ მხარეები შესაძლო არასასურველი შედეგებისაგან დაიცვას, რაც შეიძლება ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტასთან იყოს დაკავშირებული. შეტყობინებას ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ძალა, თუ იგი მიღებულია კონტრაჰენტის მიერ.

განსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლა ნიშნავს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას. თუმცა მხარეებს უფლება აქვთ განაახლონ ქირავნობის ხელშეკრულება, თუ დამქირავებელი სარგებლობს ნივთით ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც და გამქირავებელი ამაზე არ ედავება, ამ შემთხვევაში, ხელშეკრულება განახლდება განუსაზღვრელი ვადით, რომელიც თავის მხრივ ნებისმიერი მხარის სურვილის შესაბამისად შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების მოშლის შესახებ განცხადების გაკეთებით. მთავარი ქირავნობის ხელშეკრულების განახლებისათვის ისაა, რომ დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ნივთით სარგებლობას გამქირავებელი არ ედავებოდეს. ე.ი. ქირავნობის ხელშეკრულების განახლების სურვილი მარტო დამქირავებლის მხრიდან საკმარისი არ არის. აუცილებელია გამქირავებლის ნებაც – განაახლოს ქირავნობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დამქირავებელს არანაირი უპირატესობა არ გააჩნია სხვა პირებთან

შედარებით კვლავ დადოს ახალი ხელშეკრულება გამქირავებელთან იმ ნივთზე, რომლითაც ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობდა.

კანონი არანაირ სპეციალურ ფორმას არ მოითხოვს ქირავნობის ხელშეკრულების განახლებისათვის. თუ მხარეთა შორის ქირავნობის ხელშეკრულება მარტივი წერილობითი ფორმით არის დადებული, ან თუნდაც რთული წერილობითი ფორმით, ეს არ ავალდებულებს მხარეებს განაახლონ ქირავნობის ხელშეკრულება იმავე ფორმით. ამ დროს, მხოლოდ ერთადერთი ფაქტია სავალდებულო – დამქირავებელმა გააგრძელოს დაქირავებული ნივთით სარგებლობა ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო გამქირავებელი ამაზე არ მიედავოს. სხვა დამატებითი პირობის არსებობას ქირავნობის ხელშეკრულების განახლებისათვის კანონი არ მოითხოვს. გამქირავებლის თანხმობა ქირავნობის ხელშეკრულების განახლებაზე შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, ქირის მიღებაში.

მუხლი 560. განუსაზღვრელი ვადით ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელების მოთხოვნის უფლება

თუ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით არის დადებული, მაშინ დამქირავებელს შეუძლია არაუგვიანეს ორი თვისა ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტამდე წერილობითი განცხადებით მოითხოვოს ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით, თუკი გამქირავებელი ამის თანხმობას განაცხადებს.

კანონმდებელი განსაზღვრული ვადით დადებული საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების განსხვავებულ წესს ადგენს. განსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელებისათვის დამქირავებელმა ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტამდე ორი თვით ადრე უნდა მოითხოვოს ქირავნობის

ხელშეკრულების გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით. დამქირავებლის განცხადება უნდა იყოს წერილობითი. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება გაგრძელებულად ჩაითვლება, თუ გამქირავებელი ამის თანხმობას განაცხადებს. გამქირავებლის თანხმობა შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი ფორმით. კანონი სპეციალურ ფორმას ამ თანხმობისათვის არ ითვალისწინებს. თუ დამქირავებელმა ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელება არ მოითხოვა განუსაზღვრელი ვადით და ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ აგრძელებს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობას, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება გაგრძელებულად ვერ ჩაითვლება. დამქირავებლის მიერ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ, მიიჩნევა როგორც დაქირავებული ნივთის უკან დაუბრუნებლობის ფაქტი, რაც გამქირავებელს უფლებას აძლევს მოითხოვოს დაყოვნების განმავლობაში დადგენილი ქირის გადახდა, როგორც ზიანის ანაზღაურება (მუხლი 567).

ხელშეკრულებით მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელების განსხვავებულ წესზე. 560-ე მუხლით გათვალისწინებული წესი გამოიყენება მაშინ, როცა ხელშეკრულებით სხვა შეთანხმება ამ საკითხთან დაკავშირებით. განსაზღვრული არ არის.

მუხლი 561. ხელშეკრულების მოშლის ვადა

ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს სამ თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმის გარემოებებიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

თუ ქირავნობის ხელშეკრულება დადებულია ვადის განუსაზღვრელად, იგი შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების მოშლის შესახებ განცხადების გაკეთებით. ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა კი შეადგენს სამ თვეს. სამი თვის ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა

მეორე მხარემ შეიტყო ან უნდა შეეტყო ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. ხელშეკრულების მოშლის სამთვიანი ვადა არ მოქმედებს მაშინ, როცა საქმის გარემოებიდან გამომდინარე ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

მუხლი 562. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა პატივსადები მიზეზების არსებობისას

1. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა გამქირავებელს შეუძლია მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას.

2. პატივსადებია მიზეზი, თუ:

ა. დამქირავებელმა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად მნიშვნელოვნად დაარღვია;

ბ. გამქირავებელს საცხოვრებელი სადგომი სჭირდება უშუალოდ თვითონ ან ახლო ნათესავებისათვის;

გ. დამქირავებელი უარს ამბობს გადაიხადოს გამქირავებლის მიერ შემოთავაზებული გაზრდილი ქირა, რომელიც შეესაბამება ბაზარზე არსებულ ბინის ქირას;

დ. დამქირავებელმა გამქირავებლის მიმართ ჩაიდინა ისეთი მართალსაწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედება, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ შორის ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებას.

3. თუ ქირავნობის საგანს შეადგენს ავეჯით გაწყობილი ბინა, მაშინ გამქირავებელს ყოველთვის შეუძლია ხელშეკრულების მოშლის ვადის დაცვით მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება.

შეიძლება დღის წესრიგში დადგეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა და დაქირავებული ნივთის დაბრუნების

საკითხი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს სპეციალურ ნორმას ამ საკითხზე. კერძოდ, 562-ე მუხლით გათვალისწინებულია საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა პატივსადები მიზეზების არსებობისას. მხარეებმა ხელშეკრულებაში შესაძლებელია გაითვალისწინონ მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის სხვა კონკრეტული პირობებიც, რაც თავის მხრივ, კოდექსის ნორმათა შინაარსის ლოგიკურ გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს.

გამქირავებლის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა ანუ ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა დამქირავებელი თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს მნიშვნელოვნად აღრვევს. მას მიეკუთვნება: დაქირავებული ნივთის არადანიშნულებისამებრ გამოყენება, ნივთის მოვლა-პატრონობისათვის დადგენილი მოვალეობების შეუსრულებლობა, ნივთის არსებითი გაუარესება, მესამე პირისათვის ნივთის გადაცემა სარგებლობაში გამქირავებლის ნებართვის გარეშე. სახელშეკრულებო ვალდებულებების მნიშვნელოვანი დარღვევა უნდა იყოს დამქირავებლის ბრალით გამოწვეული, კერძოდ, როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი ბრალით. სახელშეკრულებო ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა მხედველობაში არ მიიღება. იგი არ ჩაითვლება ისეთ პატივსადებ მიზეზად, რაც ხელშეკრულების მოშლის უფლებას მისცემს გამქირავებელს.

გამქირავებელს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეუძლია შეწყვიტოს იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს ისეთი პატივსადები მიზეზი, როგორიცაა გაქირავებული საცხოვრებელი სადგომის საჭიროება უშუალოდ თავისთვის ან ახლო ნათესავისათვის.

შესაძლებელია დამქირავებელი უარს ამბობდეს გამქირავებლის მიერ შეთავაზებული გაზრდილი ქირის გადახდაზე. ამ შემთხვევაში, ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა გამქირავებლის მხრიდან კანონიერია. დამქირავებლის მიერ გაზრდილი ქირის გადაუხდელობა არის ის პატივსადები საფუძველი, რაც გამქირავებელს

აძლევს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას. ამასთან, შეთავაზებული ქირა უნდა შეესაბამებოდეს ბაზარზე არსებულ ბინის ქირას.

ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის კანონით გათვალისწინებული კიდევ ერთი პატივსადები მიზეზია, აგრეთვე, დამქირავებლის მიერ გამქირავებლის მიმართ ისეთი მართალსაწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედების ჩადენა, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ შორის ურთიერთობის გაგრძელებას. საუბარია მხოლოდ გამქირავებლის მიმართ ჩადენილ მართალსაწინააღმდეგო ან ამორალურ მოქმედებაზე და არა გამქირავებლის ნათესავების თუ ახლო ნათესავების მიმართ დამქირავებლის მხრიდან მართალსაწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედების ჩადენაზე. ამასთან, განხორციელებულმა მართალსაწინააღმდეგო ან ამორალურმა მოქმედებამ შეუძლებელი უნდა გახადოს დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის ურთიერთობის შემდგომი გაგრძელება.

თუ ქირავნობის საგანს შეადგენს ავეჯით გაწყობილი ბინა, მაშინ გამქირავებელს ყოველთვის შეუძლია ხელშეკრულების მოშლის ვადის დაცვით მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება. არანაირი პატივსადები მიზეზი ამ შემთხვევაში არაა საჭირო, რომ გამქირავებელმა მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება.

ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მაშინაც კი, როცა დამქირავებელი ფიზიკური პირი გარდაიცვლება ან განხორციელდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია. იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ქირავნობის ხელშეკრულება უნდა შეწყდეს, რადგან არ არსებობს ხელშეკრულების მხარე. სხვა შემთხვევაა, როცა რეორგანიზაციის დროს სახეზეა თითქმის იგივე სტრუქტურული ერთეული, მხოლოდ შეცვლილი სტატუსით. ამ დროს, ფაქტობრივად იცვლება ვალდებულების სუბიექტი და ხელშეკრულებაც თავიდან უნდა დაიდოს. გამონაკლის შემთხვევებში, როცა იურიდიული პირიდან ხდება ახალი იურიდიული პირის გამოყოფა, სახელშეკრულებო ურთიერთობაში ძველი იურიდიული პირი კვლ-

ავაც შეიძლება იყოს შენარჩუნებული. აღნიშნული წესი არ ვრცელდება გამქირავებელზე. მისი უფლება-მოვალეობები სავალდებულო წესით გადადის გამქირავებელი ფიზიკური პირის მემკვიდრეზე ან ლიკვიდირებული იურიდიული პირის უფლებამონაცვლეებზე.

მუხლი 563. ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმა

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს.

563-ე მუხლის მიხედვით ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა გაფორმდეს წერილობით. კერძოდ, ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ქირავნობის ხელშეკრულების საგანი საცხოვრებელი სადგომია. ადამიანთა სამყოფლად გათვალისწინებული სადგომი, ნებისმიერი სხვა შენობის, სხვა ნივთის ქირავნობის შეწყვეტისას კანონი წერილობით ფორმას არ მოითხოვს. ამ შემთხვევებში ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ზეპირადაც, ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის წერილობითი გაფორმების გარეშე.

თუ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების წერილობითი შეწყვეტის ფორმა მხარეებმა არ დაიცვეს, მაგრამ ხელშეკრულება ფაქტიურად შეწყვიტეს, ასეთი შეწყვეტა არ იქნება ბათილი, ვინაიდან ეს ის შემთხვევაა, როცა ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ფორმის ხარვეზი. ეს გამონაკლისი ისეთი შემთხვევაა, როცა ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე იგი საფრთხეს არ უქმნის სამოქალაქო ბრუნვის წესრიგს.

მუხლი 564. დამქირავებლის მოვალეობანი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას

ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას დამქირავებელი მოვალეა დაუბრუნოს გამქირავებელს ნივთი იმ მდგომარეობაში, რომელშიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალ-

ისწინებით, ან იმ მდგომარეობაში, რაც ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული.

კანონი იცავს რა დამქირავებლის უფლებებს, აკისრებს მას ვალდებულებებსაც. კერძოდ, ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას დამქირავებელი მოვალეა დაუბრუნოს გამქირავებელს ნივთი იმ მდგომარეობაში, რომელშიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, ან იმ მდგომარეობაში, რაც ხელშეკრულებით იქნა განსაზღვრული. ნივთთან ერთად დამქირავებელმა უნდა დაუბრუნოს გამქირავებელს მისი ყველა დოკუმენტი და საკუთვნებელი, რომელიც მიიღო მისგან.

დაქირავებული ნივთი გამოყენებული უნდა იქნას დანიშნულებისამებრ. მაგალითად, თუ გაქირავებულია საცხოვრებელი სადგომი, იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას არასაცხოვრებელ სადგომად; თუ გაქირავებულია მსუბუქი ავტომანქანა, არ შეიძლება მისი გამოყენება ტვირთის გადასაზიდად. დამქირავებლის ეს ვალდებულება გამომდინარეობს ნივთით სარგებლობის დროებითი ხასიათიდან და დამქირავებლის ვალდებულებიდან, ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას დაუბრუნოს გამქირავებელს ნივთი იმ მდგომარეობაში, რომელშიც მისგან მიიღო. დამქირავებელს გამქირავებლის მიერ უნდა გადასცემოდა ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი. ე.ი. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას გამქირავებელს უნდა დაუბრუნდეს ასევე უნაკლო ნივთი. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოაჩნდება ნაკლი, რაც დამქირავებლის ბრალით არ იყო გამოწვეული, დამქირავებელი ნივთს დააბრუნებს რა ამ ნაკლით, ჩაითვლება, რომ ხელშეკრულება არ შესრულდა ჯეროვნად და იგი შეწყდება.

მხარეთა შორის შესაძლებელია არსებობდეს შეთანხმება იმის თაობაზე, თუ როგორ მდგომარეობაში უნდა იქნას ნივთი დაბრუნებული. მათ შორის ამის თაობაზე შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ნივთი უნდა დაბრუნდეს იმ მდგომარეობაში, რომელშიც გამ-

ქირავებელმა გადასცა დამქირავებელს ნივთის ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

მუხლი 565. დაკავების უფლების დაუშვებლობა

მიწის ნაკვეთის დამქირავებელს არა აქვს მისი დაკავების უფლება თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

დამქირავებელს, თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, აქვს ქირავნობის საგნის დაკავების უფლება. ამ წესიდან 565-ე მუხლი უშვებს გამონაკლისს – კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ მიწის ნაკვეთის დამქირავებელს არა აქვს მისი დაკავების უფლება თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა გამქირავებელი არ ასრულებს რაიმე ვალდებულებას დამქირავებლის სასარგებლოდ, არ ანაზღაურებს დამატებით ხარჯებს, რაც მას ხელშეკრულებით ეკისრება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კანონი არ აძლევს დამქირავებელს უფლებას დააკავოს მიწის ნაკვეთი და არ გადასცეს გამქირავებელს.

მუხლი 566. დაქირავებული ქონების გადაცემა მესამე პირისათვის

თუ დამქირავებელმა ნივთი სარგებლობისათვის მესამე პირს გადასცა, გამქირავებელს შეუძლია ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მესამე პირს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

დაქირავებული ნივთი დამქირავებელმა სარგებლობისათვის შეიძლება გადასცეს მესამე პირს, რა თქმა უნდა, გამქირავებლის თანხმობით. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, გამქირავებელს უფლება აქვს მესამე პირებს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, მიუხედავად იმისა, თუ რა დროით იქნა ნივთი მესამე

პირისათვის სარგებლობისათვის გადაცემული. მესამე პირები ვალდებულნი არიან ნივთი გამქირავებელს დაუბრუნონ მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მათ ნივთი სარგებლობით მიიღეს პირადად დამქირავებლისაგან. გამქირავებელმა მესამე პირთაგან ნივთის დაბრუნება შეიძლება მოითხოვოს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტამდე გამქირავებელს ამის უფლება არა აქვს.

მუხლი 567. გაქირავებული ნივთის დაუბრუნებლობის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება

1. თუ დამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ უკან არ აბრუნებს გაქირავებულ ნივთს, მაშინ გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს დაყოვნების განმავლობაში დადგენილი ქირის გადახდა, როგორც ზიანის ანაზღაურება.

2. ბათილია შეთანხმება, რომლითაც დამქირავებელს ეკისრება ზიანის ანაზღაურება იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე მიყენებული იყო.

ქირავნობის ურთიერთობის შემდეგ, თუ დამქირავებელი უკან არ დაუბრუნებს გამქირავებელს დაქირავებულ ნივთს, გამქირავებელს უფლება აქვს გამოითხოვოს ნივთი. თუ ნივთი არსებობს ნატურაში, მაშინ იგი უფლებამოსილი არაა მოითხოვოს მისი ღირებულების ანაზღაურება. მას უფლება აქვს მოითხოვოს უკანონო მოსარგებლისათვის მისი ჩამორთმევა და მისთვის გადაცემა.

თუ ქირავნობის ხელშეკრულების საგანი დაიღუპა ან ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი ექსპლოატაცია შეუძლებელია, დგება ვალდებულების შეუსრულებლობის ზოგადი შედეგები.

ნივთის გამოთხოვისა და მისი ღირებულების ანაზღაურების გარდა, დამქირავებლის მიერ შეიძლება მოთხოვილ იქნას დაყოვნების განმავლობაში დადგენილი ქირის გადახდა, როგორც ზიანის ანაზღაურება. ე.ი. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დამქირავებლის მიერ ნივთის დაუბრუნებლობის გამო, დამქირავებელს

უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და არა ქირის გადახდა, რადგანაც ქირის გადახდას ადგილი აქვს მაშინ, როცა ქირავნობის ურთიერთობა ჯერ კიდევ არსებობს. მისი შეწყვეტის შემდეგ ქირის გადახდაზე საუბარი უკვე აღარ არის. ამ დროს გამქირავებელმა შეიძლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დაყოვნებისათვის იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოხდებოდა ქირის გადახდა დაყოვნების განმავლობაში დამქირავებლის მიერ. ქირის გადახდის, როგორც ზიანის ანაზღაურების მოხერხებულობა იმაშია, რომ დამქირავებელს დაქირავებული ნივთის არადროული დაბრუნებისას არ სჭირდება მტკიცება მის მიერ განცდილი ზიანის ზომის დადგენისათვის. უბრალოდ, მოთხოვს დაყოვნების განმავლობაში დადგენილი ქირის გადახდას, როგორც ზიანის ანაზღაურებას. შესაძლებელია ზიანი გაცილებით მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე დაყოვნების განმავლობაში ქირის ოდენობით ზიანის ანაზღაურება. ამ შემთხვევაში, გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სრული მოცულობით და არა იმ ოდენობით, რასაც დაყოვნების განმავლობაში ქირის სახით მიიღებდა. ზიანის ანაზღაურების დაკისრება დამქირავებელზე იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე მიყენებული იყო, დაუშვებელია. თუ ასეთი შეთანხმება მაინც არსებობს, იგი ბათილად ჩაითვლება.

დამქირავებელი პასუხს არ აგებს, თუ ნივთი ვერ დააბრუნა დადგენილ დროში მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (მაგალითად: დაუძლეველი ძალის გამო, საავადმყოფოში სტაციონალური მკურნალობის გამო და ა.შ.).

მუხლი 568. გირავნობის უფლება დამქირავებლის ნივთებზე

ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნების უზრუნველსაყოფად მიწის ნაკვეთის, სახლის ან ბინის გამქირავებელს აქვს გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ იქ შეტანილ ნივთზე.

გირავნობის უფლება ძალას კარგავს დაქირავებული ფართობიდან ნივთების მოცილებასთან ერთად, თუკი ეს განხორციელდება ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ურთიერთობების შესაბამისად.

თუ დამქირავებლის მიერ გამქირავებლის წინაშე არ შესრულდა რაიმე ვალდებულება, რომელიც მას ეკისრებოდა ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე, გამქირავებელს, შესაბამისად, მისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად აქვს გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ ქირავნობის საგანში შეტანილ ნივთებზე. ქირავნობის საგანი, რომელშიც შეტანილ ნივთებზე გამქირავებელს აქვს გირავნობის უფლება არის: მიწის ნაკვეთი, სახლი ან ბინა. თუ მოცემული დაქირავებული ფართობებიდან ნივთები მოცილებული იქნება, მაშინ გამქირავებლის გირავნობის უფლება შეტანილ ნივთებზე ძალას კარგავს. მაგრამ, ეს მოცილება განხორციელებული უნდა იყოს ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ურთიერთობების შესაბამისად. მაგალითად, გამქირავებლის გირავნობის უფლება ძალას კარგავს, თუ დამქირავებელმა მიწის ნაკვეთიდან გაიტანა თავისი ნივთები და გამოიყენა ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. თუ ქირავნობის საგნიდან წაღებულ იქნა ნივთები იმ მიზნით, რომ გამქირავებელს არ წარმოეშვას ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება დამქირავებლის მიერ ქირავნობის საგანში შეტანილ ნივთებზე, მაშინ გირავნობის უფლება ძალას არ კარგავს.

მუხლი 569. მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულების ფორმა

მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულება ერთ წელზე მეტი ვადით უნდა გაფორმდეს წერილობით. ფორმის დაუცველობის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული. ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ქირავნობის პირველი წლის დამთავრების შემდეგ.

ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობით. კანონი ქირავნობის ხელშეკრულების დასადებად სპეციალურ ფორმას არ ითვალისწინებს. მხოლოდ 569-ე მუხლშია საუბარი ქირავნობის ხელშეკრულების სპეციალურ წერილობით ფორმაზე. კერძოდ, მიწის ნაკვეთის ქირავნობა ერთ წელზე მეტი ვადით უნდა გაფორმდეს წერილობით. წერილობითი ფორმის დაუცველობა არ გამოიწვევს ხელშეკრულების ბათილობას, მაგრამ ივარაუდება, რომ იგი განუსაზღვრელი ვადით არის დადებული. ე.ი. თუ მიწის ნაკვეთის ქირავნობისას მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქირავნობის ხელშეკრულების ვადა არის ხუთი წელი, მაგრამ მათი ეს შეთანხმება ვადის თაობაზე არ გააფორმეს წერილობით, ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად არა ხუთი წლით, არამედ განუსაზღვრელი ვადით და იგი შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის განცხადებით ნებისმიერ დროს. ოღონდ, ამ შემთხვევაში, მიწის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ქირავნობის პირველი წლის დამთავრების შემდეგ. სხვა შემთხვევაში, როცა მიწის ქირავნობა განსაზღვრულია ვადით, იგი შეწყდება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ. ასე რომ, განუსაზღვრელი ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების მინიმალური ვადა ყოველთვის ერთი წელია.

მუხლი 570. ათ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულების მოშლის წესი

თუ ქირავნობის ხელშეკრულება ათ წელზე მეტი ვადით დაიდო, ათი წლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება 561-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

ათი წლის გასვლის შემდეგ ქირავნობის ხელშეკრულება იღებს განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების სახეს, რადგანაც ამ ვადის გასვლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება 561-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

მუხლი 571. დამქირავებლის უფლებების გადასვლა მისი ოჯახის წევრებზე

თუ ქირავნობის ხელშეკრულება დადებულია საცხოვრებელ სადგომზე და იქ დამქირავებელი თავის ოჯახის წევრებთან ერთად წარმართავს ერთიან საოჯახო მეურნეობას, დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის წევრები სამართლებრივ ურთიერთობაში შედიან გამქირავებელთან. მათ უფლება აქვთ ქირავნობის ხელშეკრულება მოშალონ კანონით დადგენილ ვადაში.

ქირავნობის უფლება არ გადადის მემკვიდრეობით, მაგრამ პირვანდელი დამქირავებლის გარდაცვალების შემდეგ მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრებს, რომლებთანაც ერთად დამქირავებელი წარმართავდა საოჯახო მეურნეობას, საცხოვრებელ სადგომზე უფლება ყოველთვის რჩებათ. ამ დროს, ხელშეკრულება მოქმედებას არ წყვეტს. პირვანდელი დამქირავებლის ადგილს იკავებს გარდაცვლილის ოჯახის წევრები. გასაგებია, რომ აქ არა გვაქვს მემკვიდრეობითი სამართალისათვის დამახასიათებელი უფლებამონაცვლეობა. მით უფრო, რომ დამქირავებლის შეცვლა მის სიცოცხლეშიც შეიძლება. თუ გამქირავებელი უარს იტყვის ოჯახის წევრთა შესვლაზე მასთან სამართლებრივ ურთიერთობაში, ეს უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

სამოქალაქო კოდექსის 571-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები. კერძოდ, დამქირავებლის ოჯახის წევრად ცნობისათვის აუცილებელია ორი პირობის არსებობა: 1) დამქირავებელთან ერთად ცხოვრება და 2) მასთან ერთად ერთიანი საოჯახო მეურნეობის წარმართვა. ამასთან, კოდექსით არ არის შეზღუდული იმ პირთა წრე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს დამქირავებლის ოჯახის წევრებად. მთავარია, ერთდროულად არსებობდეს ზემოთ ნახსენები პირობა. როგორც წესი, დამქირავებლის ოჯახის წევრებად ითვლებიან მეუღლე, მათი შვილები და მშობლები. ეს პირები უეჭველად მიეკუთვნებიან ოჯახის წევრებს,

თუმცა ამგვარი კუთვნილება ავტომატურად როდი წარმოშობს საბინაო უფლებებს. რასაკვირველია, არ არსებობს ვალდებულება, რომ მშობლები ცხოვრობდნენ შვილებთან, სრულწოვანი შვილები მშობლებთან, რომ მეუღლეებს ერთი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდეთ სავალდებულო წესით და სხვა. დასახელებული პირები მხოლოდ მაშინ შეიძენენ საბინაო უფლებებს, თუ არსებობს ორივე ზემოთ დასახელებული პირობა.

ოჯახის წევრებად ითვლება არა მარტო მეუღლეთა საერთო შვილები, არამედ მათი შვილები სხვა ქორწინებიდანაც; აგრეთვე, ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის ნაშვილები ბავშვები. ბავშვები განეკუთვნებიან ოჯახის წევრებს იმისდა მიუხედავად, თუ როგორ წარიმართა მეუღლეთა ფაქტიური ურთიერთობა – აწარმოებენ ისინი საერთო მეურნეობას ერთად თუ არა.

დამქირავებლის ოჯახის წევრებად შეიძლება ცნობილი იქნენ სხვა პირებიც. აუცილებელი არაა, რომ ისინი იყვნენ დაქირავებულის ნათესავები. მაგრამ, იმ პირობით, რომ ისინი ცხოვრობენ დამქირავებელთან მუდმივად და მასთან ერთად აწარმოებენ საერთო მეურნეობას.

მუხლი 572. უფლებამონაცვლეობა დაქირავებული ნივთის გასხვისებისას

თუ გამქირავებელი ნივთს მესამე პირზე გაასხვისებს დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდეგ, შემძენი იკავებს გამქირავებლის ადგილს და მასზე გადადის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები.

გამქირავებელს უფლება აქვს გაასხვისოს გაქირავებული ნივთი. ასეთ შემთხვევაში, ახალი მესაკუთრე ქირავნობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში გამქირავებლის ადგილს იკავებს და მასზე გადადის ქირავნობით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები. მისი უფლებები კი ნივთის მიმართ დატვირთული

იქნება დამქირავებლის უფლებებით. სხვა პირზე საკუთრების გადასვლა არავითარ შემთხვევაში არ აკანონებს დამქირავებლის უფლებებს. იგი კვლავაც რჩება დაქირავებული ნივთის მოსარგებლედ.

მუხლი 573. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა

1. გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დამქირავებელს უფლება აქვს წაუყენოს მას პრეტენზია გაწეული ხარჯების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში.

2. ზიანის ანაზღაურების გამო გამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება გაქირავებული ნივთის დაბრუნების მომენტიდან, ხოლო დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა – ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან.

573-ე მუხლით დადგენილია ზიანის ანაზღაურებისა და გაწეული ხარჯების ანაზღაურების ხანდაზმულობის სპეციალური ვადა, კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო, გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დამქირავებელს უფლება აქვს წაუყენოს მას პრეტენზია გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში. ამასთან, ზიანის ანაზღაურების გამო გამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება გაქირავებული ნივთის დაბრუნების მომენტიდან, ხოლო დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადისა – ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან.

მუხლი 574. დავა მეუღლეებს შორის განქორწინებისას

1. როცა განქორწინებისას მეუღლეები ვერ შეთანხმდებიან იმაზე, თუ რომელმა უნდა იცხოვროს დაქირავებულ ბინაში, დავას წყვეტს სასამართლო.

2. სასამართლოსათვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელი მეუღლეა დამქირავებელი. თუ სასამართლო სცნობს იმ მეუღლის უფლებას ბინაზე, რომელიც არ არის დამქირავებელი, მაშინ ეს მეუღლე ხდება ქირავნობის ურთიერთობის მონაწილე.

დაქირავებულ საცხოვრებელ სადგომზე უფლება აქვს დამქირავებელს. როცა საცხოვრებელი სადგომი დაქირავებული აქვთ მეუღლეებს, მასზე, რა თქმა უნდა, ორივე მეუღლეს გააჩნია უფლება. განქორწინების შემთხვევაში, მეუღლეები თავად თანხმდებიან, თუ რომელმა მათგანმა უნდა იცხოვროს დაქირავებულ ბინაში. ხოლო, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს სასამართლო.

სასამართლოსათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი მეუღლეა დამქირავებელი. თუ ბინა დაქირავებული აქვს ერთ-ერთ მეუღლეს, სასამართლოს შეუძლია სცნოს იმ მეუღლის უფლება ბინაზე, რომელიც არ არის დამქირავებელი. ამ შემთხვევაში, ეს მეუღლე ხდება ქირავნობის ურთიერთობის მონაწილე.

მუხლი 575. დამქირავებლის უფლებების დაცვა

დამქირავებელს უფლება აქვს დაიცვას თავისი მფლობელობა ყოველი დარღვევისაგან, მათ შორის, მესაკუთრისაგანაც.

დამქირავებლის სარგებლობის უფლება სარგებლობს სანივთო-სამართლებრივი დაცვის უფლებით და ამით უთანაბრდება საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებებს. თუმცა, ასეთ დაცვას იგი იღებს მაშინ, როცა დამქირავებელი სარგებლობასთან ერთად იძენს ამ

ნივთის ფლობის უფლებას. დამქირავებელს უფლება აქვს დაიცვას თავისი მფლობელობა ყოველი დარღვევისაგან, მათ შორის მესაკუთრისაგანაც. თუ საქმე ეხება სარგებლობის „შიშველ“ უფლებას (მფლობელის გარეშე), მაშინ სანივთო სამართლებრივი დაცვით იგი არ სარგებლობს.

თავი მეოთხე

ლიზინგი

მუხლი 576. ცნება. შინაარსი

1. ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს გადასცეს სარგებლობაში განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით. ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით.

2. ლიზინგის გამცემი ვალდებულია დაამზადოს ან შეიძინოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება.

3. ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღებს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება ან მიენიჭოს უფლება, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იყიდოს ლიზინგის საგანი ან დაიქირავოს იგი, თუკი ხელშეკრულება საგნის სრული ამორტიზაციით არ მთავრდება. საბოლოო ღირებულების გამოთვლისას ყველა შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამორტიზაციის ფაქტი. თუ ხელშეკრულებაში არ არის შესაბამისი დებულება, მაშინ ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია იყიდოს ლიზინგის საგანი.

ლიზინგის ხელშეკრულება, როგორც ეკონომიკაში ფულადი სახსრების ინვესტირების ახალი ფორმა, წარმოიშვა XIX საუკუნეში ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო დასავლეთ ევროპის

ქვეყნებში – XX საუკუნის შუახანებში. ლიზინგი, ლიიზ ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ქონების დროებით გადაცემას.

ლიზინგის ფართოდ გამოყენება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში გამოიწვია სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებამ. საფინანსო კომპანიებმა მიმღები ორგანიზაციების თხოვნით დაიწყეს სატრანსპორტო საშუალებათა და სხვა საჭირო მოწყობილობათა შეძენა მწარმოებლებისაგან, შემდგომში მათთვის ამ ქონების იჯარით გადაცემის მიზნით, სწორედ ამ პერიოდში წარმოიშვა პირველი სალიზინგო კომპანიები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კომერციული ბანკები. ანალოგიური პროცესები განვითარდა დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში.

ქვეყნების უმეტესობაში ლიზინგს განიხილავენ, როგორც იჯარის ხელშეკრულების ნაირსახეობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა აღიარა ლიზინგის კლასიკური ფორმა. ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი (სალიზინგო კომპანია) ვალდებულია ლიზინგის მიმღებს გადასცეს სარგებლობაში განსაზღვრული ქონება (მანქანები, სატრანსპორტო საშუალებები, საწარმოო ნაგებობანი და ა.შ.) ხელშეკრულებით დათქმული ვადით ისე, რომ ინარჩუნებს გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლებას.

ლიზინგის ხელშეკრულებაში მხარეებად გამოდიან ქონების მესაკუთრე ლიზინგის გამცემი (სალიზინგო კომპანია) და ლიზინგის მიმღები, რომელსაც ქონება გადაეცა დროებით სარგებლობაში.

ლიზინგის გამცემის საქმიანობა ხორციელდება კომერციულ საფუძველზე. ლიზინგის გამცემად შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი კომერციული იურიდიული პირი, ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. უფრო ხშირად ლიზინგის გამცემად გამოდიან სალიზინგო კომპანიები. სალიზინგო კომპანია წარმოადგენს კომერციულ ორგანიზაციას, რომელიც იქმნება სააქციო საზოგადოების ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. სალ-

იზინგო კომპანიებში, როგორც წესი, მონაწილეობენ სხვადასხვა კომერციული ბანკები.

ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია დაამზადოს ან შეიძინოს განსაზღვრული ქონება და გადასცეს მიმღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით. ეს პროცესი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: პოტენციური ლიზინგის მიმღები, რომელსაც არ გააჩნია ფინანსური საშუალებანი მიმართავს ლიზინგის გამცემს (სალიზინგო კომპანიას) საქმიანი წინადადებით, რათა ამ უკანასკნელმა დაამზადოს გარკვეული სახისა და რაოდენობის ძვირადღირებული ქონება ან შეიძინოს მისთვის საჭირო ქონება და გადასცეს მას დროებით სარგებლობაში. ორივე შემთხვევაში ლიზინგის გამცემი (სალიზინგო კომპანია) რჩება ქონების მესაკუთრედ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მატერიალური ფასეულობის მწარმოებელი ფირმის შერჩევის უფლება შეიძლება მიეცეს როგორც სალიზინგო კომპანიას, ასევე მიმღებს.

ლიზინგის ხელშეკრულების საგნის საკითხს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად წყვეტს. სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ ლიზინგის ხელშეკრულების საგანი შეზღუდული არ არის, რაც იძლევა საშუალებას ლიზინგის ხელშეკრულებით გაცემულ იქნეს ნებისმიერი ქონება, რომლის ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად.

ამდენად, ლიზინგის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ქონება, მათ შორის საწარმოები, ნაგებობანი, მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებანი, „ნოუ-ჰაუ“ და ა.შ.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ ლიზინგს 576-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ლიზინგის გამცემი ვალდებულია დაამზადოს ან შეიძინოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება.

პირდაპირი ლიზინგის დროს დამამზადებელ-გამსაღებელი საწარმო ლიზინგის მიმღებს შუამავლის გარეშე გადასცემს სარგებლობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონებას. ამ შემთხვევაში სალიზინგო ოპერაციის ჩასატარებლად დამამზადებელი საწარმო თავის სტრუქტურაში მარკეტინგის სამსახურთან ქმნის სპეციალურ ქვეგანყოფილებას, რომელიც შუამავლის გარეშე აწარმოებს სალიზინგო ოპერაციებს.

არაპირდაპირი ლიზინგის დროს ხდება ქონების გადაცემა შუამავლის საშუალებით. შუამავლად გამოდის სალიზინგო კომპანია, რომელიც მწარმოებელი ფირმისაგან ან სხვა ინვესტორისაგან შეისყიდის ლიზინგის მიმღებისათვის საჭირო ქონებას და გადასცემს მას.

ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღებს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება ან მიენიჭოს უფლება, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იყიდოს ლიზინგის საგანი ან დაიქირავოს იგი, თუკი ხელშეკრულების საგანი სრული ამორტიზაციით არ მთავრდება. ამდენად კანონმდებელი ლიზინგის საგანზე ითვალისწინებს ოფციას.

ქონება ლიზინგის მიმღებმა უნდა დააბრუნოს ხელშეკრულებით გათვალისწნებულ ვადებში, ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პირგასამტეხლო. შესაძლოა ხელშეკრულების ვადის გასვლას სხვა შედეგიც მოჰყვეს, მაგალითად, განახლდეს ლიზინგის ხელშეკრულება გარკვეული ვადით ანდა ლიზინგის საგანი დაუბრუნდეს ლიზინგის გამცემს. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ხშირად ლიზინგის ხელშეკრულება ხანგრძლივია და უტოლდება მთლიანად ამორტიზაციის პერიოდს.

მუხლი 577. ლიზინგის ხელშეკრულების ფორმა

ლიზინგის ხელშეკრულება იდება წერილობით. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს: ა. მთლიანად ფასს; ბ. სალიზინგო საზღაურის თანხასა და მისი გადახდის ვადებს; გ. საბოლოო გადახდის თანხას, ხოლო

ხელშეკრულების ვადამდე შესრულებისას მისი გამოთვლის წესს.

აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და დაცული უნდა იქნეს მასში მითითებული მოთხოვნები.

ლიზინგის ხელშეკრულება იდება როგორც მარტივი, ისე რთული წერილობითი ფორმით. იმ შემთხვევაში, როცა ლიზინგის საგანი უძრავი ქონებაა, იგი უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით და გატარდეს საჯარო რეესტრში.

სალიზინგო საზღაური (თანხა) შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა ფორმით: მყარი თანხით, რომელიც შეიძლება გადახდილ იქნეს პერიოდულად გარკვეულ ვადებში, ანდა ერთდროულად; ლიზინგის მიმღების იმ წილის განსაზღვრით, რომელსაც იგი მიიღებს სალიზინგო ქონების გამოყენების შედეგად პროდუქციის, ნაყოფის ან შემოსავლის სახით; ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღების მიერ გადაცემული ქონების გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ჩათვლით.

ლიზინგის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ლიზინგის მიმღების მიერ სალიზინგო საზღაურის გადახდის სხვადასხვა ფორმას, კერძოდ, ავანსით, სადაზღვევო დეპოზიტით და ა.შ.

ლიზინგის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაცემული ქონების მოვლის პირობებს. მაგალითად, ხელშეკრულებით მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ ლიზინგის მიმღების ვალდებულება გადაცემულ ქონებას გაუკეთოს კაპიტალური რემონტი. თუ ხელშეკრულებით ასეთი რამ არ არის გათვალისწინებული, ლიზინგის მიმღებმა ქონებას უნდა გაუკეთოს მიმდინარე რემონტი და დააბრუნოს იგი ნორმალური ცვეთის პირობებში.

ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სალიზინგო ქონების დაზღვევა.

1. ლიზინგის გამცემი ქირავნობის ხელშეკრულების წესების მიხედვით პასუხს აგებს ლიზინგის მიმღების წინაშე ქონების მიწოდების ვადის გადაცილების ან მიუწოდებლობისათვის, აგრეთვე ნაკლის მქონე ქონების მიწოდებისათვის.

2. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ლიზინგის მიმღებმა ლიზინგის გამცემისათვის პრეტენზიის წაყენებამდე უნდა მოითხოვოს დაკმაყოფილება ქონების მიმწოდებლისაგან.

ლიზინგის ხელშეკრულება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება, პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც მასში მკვეთრადაა გამოხატული მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და ავტონომიის პრინციპიდან.

ლიზინგის გამცემი ვალდებულია უზრუნველყოს ლიზინგის მიმღებისათვის ქონების გადაცემა სარგებლობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით. აქ იგულისხმება ქონების მიწოდების წესი, დრო და ადგილი.

სამოქალაქო კოდექსის 578-ე მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ ლიზინგის გამცემი ქირავნობის ხელშეკრულების წესების მიხედვით პასუხს აგებს მიმღების წინაშე ქონების მიწოდების ვადის გადაცილების ან მიუწოდებლობისათვის აგრეთვე ნაკლის მქონე ქონების მიწოდებისათვის. ამ შემთხვევაში გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების შესაბამისი წესები.

თუკი ლიზინგის მიმღებმა მიწოდებულ ქონებაში ნაკლის აღმოჩენის გამო უარი განაცხადა ქონების მიღებაზე, მან ამის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს ლიზინგის გამცემს. ასეთი რეკლამაცია უფლებას აძლევს ლიზინგის გამცემს, თუკი თვითონ არ არის მიწოდებული ქონების დამამზადებელი, შეწყვიტოს მიწოდე-

ბული ქონების თაობაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

ქონების მიწოდება უნდა გაფორმდეს სპეციალური მიღების აქტით, რომელიც დაადასტურებს მიწოდებული პროდუქციის კომპლექტურობას, ასეთი პროდუქციისათვის არსებულ ტექნიკურ პირობებს. ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში ლიზინგის გამცემი ვალდებულია გამოასწოროს ნაკლი განსაზღვრულ ვადებში ან შეცვალოს ქონება თავისი ხარჯებით. ამავე დროს ლიზინგის მიმღებს უნდა აუნაზღაურდეს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი.

მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ლიზინგის მიმღებმა ლიზინგის გამცემისათვის პრეტენზიის წაყენებამდე უნდა მოითხოვოს დაკმაყოფილება ქონების მიმწოდებლისაგან.

მუხლი 579. ლიზინგის მიმღების პასუხისმგებლობა

ლიზინგის მიმღების ბრალით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას ლიზინგის გამცემს არ შეუძლია წაუყენოს მას ისეთი მოთხოვნები, რომლებიც სცილდება შესრულებასთან დაკავშირებულ მის ინტერესებს. მოთხოვნის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სალიზინგო ქონების დარჩენლი ღირებულება, სალიზინგო საზღაურის დარჩენილი პროცენტები და სხვა დაზოგილი ხარჯები.

ლიზინგის მიმღები ვალდებულია თავისდროულად გადაიხადოს ქონებით სარგებლობის გადასახადი, ასევე აუნაზღაუროს ლიზინგის გამცემს ის ხარჯები, რაც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით.

ლიზინგის მიმღების ბრალით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას ლიზინგის გამცემი ვერ მოითხოვს იმაზე მეტს, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. მოთხოვნის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სალიზინგო ქონების დარჩენილი ღირებულება, ქონებით სარგებლობის გადასახადი, საინვესტიციო დანახარჯი და ა.შ.

მუხლი 580. ლიზინგის მიმართ გამოყენებული სხვა წესები

ლიზინგის მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების ის წესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან 576-579-ე მუხლებს.

ლიზინგის ხელშეკრულება თავისი ბუნებით ყველაზე მეტად უახლოვდება ქირავნობის ხელშეკრულებას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, ლიზინგის შედეგების მიხედვით, ნასყიდობის ხელშეკრულებას. ამიტომაც ლიზინგის მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების ის ნორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ლიზინგის ხელშეკრულებას.

თ ა ვ ი

მუხლი 581. ცნება

1. იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფულით ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც.

2. იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

იჯარის ხელშეკრულება არის ორმხრივი, სასყიდლიანი და

კონსენსუალური ხელშეკრულება, რომლის საფუძველზედაც ხდება როგორც მოძრავი ისე უძრავი ქონების გადაცემა. იჯარით შეიძლება გადაეცეს მოუხმარებადი ქონება (ნივთები), რომელიც გამოყენების შედეგად არ კარგავს თავის ღირებულებასა და შესაბამის თვისებებს. ამდენად, იჯარის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთი (როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების) ინვენტარით და ინვენტარის გარეშე; საწარმოები; შენობა-ნაგებობანი; მოწყობილობები; სატრანსპორტო საშუალებები; საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობის მოწყობილობები და ა.შ. კანონით შეიძლება დადგინდეს იმ ქონების ნუსხა, რომელთა იჯარით გადაცემა შეიზღუდება. ძირითადად ასეთი შეიძლება იყოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონება.

ქონების იჯარით გამცემი პირი არის მეიჯარე. მეიჯარე შეიძლება იყოს ქონების მესაკუთრე, ან მესაკუთრის მიერ უფლებამოსილი პირი, რომელიც იჯარით გასცემს სხვის საკუთრებაში არსებულ ქონებას, კანონითა და მესაკუთრის მიერ მითითებული პირობებით. მეიჯარე შეიძლება იყოს, როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი, აგრეთვე სახელმწიფო.

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გაცემის შემთხვევაში, სახელმწიფოს სახელით, მეიჯარის როლში გამოდის შესაბამისი სახელმწიფო ორგანო, კერძოდ ქონების მართვის სამინისტრო. მაგალითად, სახელმწიფო საწარმოების მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების და ა.შ. იჯარით გაცემის შემთხვევაში მეიჯარის როლში გამოდის ქონების მართვის სამინისტრო, რომელიც სახელმწიფოს ფუნქციას ახორციელებს. აღნიშნული ფუნქცია ქონების მართვის სამინისტრომ კანონის საფუძველზე შეიძლება გადასცეს თავის ტერიტორიულ ორგანოს. მიწის ნაკვეთის (როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო მიწების) იჯარით გაცემის შემთხვევაში კი ხელშეკრულებებს დებს და სახელმწიფოს სახელით მეიჯარის როლში

გამოდის მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, ან მისი შესაბამისი სამსახურები რაიონებში (ადგილებზე).

იმ სახელმწიფო ორგანოებს, დაწესებულებებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, სახელმწიფო კომერციულ იურიდიულ პირებს და ა.შ. რომელთაც გარკვეული მიზნით გადაცემული აქვთ მოძრავი და უძრავი ქონება, უფლება არა აქვთ დამოუკიდებლად, თვითნებურად იჯარით გადასცენ ან საერთოდ განკარგონ იგი, თუ არ ექნებათ შესაბამისი ნებართვა. ამასთან, სახელმწიფოს, ე.ი. ქონების მართვის სამინისტროს უფლება არა აქვს ზემოხსენებულ სუბიექტებთან შეთანხმების გარეშე, რომლებსაც გარკვეული მიზნით გადაცემული აქვთ ესა თუ ის ქონება, ჩამოართვას და იჯარით გადასცეს სხვა, სახელმწიფო თუ არასახელმწიფო პირებს.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გაცემა ხდება კონკურსით ან აუქციონის გზით, რომლის დეტალური პირობები წესრიგდება სპეციალური ნორმატიული აქტებით. ფიზიკური პირები დამოუკიდებლად ირჩევენ თავიანთ საკუთრებაში არსებული მოძრავი თუ უძრავი ქონების იჯარით გაცემის წესს, ხოლო იურიდიული (კომერციული თუ არაკომერციული) პირები ქონების იჯარით გაცემას ახდენენ წესდებითა და დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით დადგენილი წესების შესაბამისად.

მოიჯარეს ქონება გადაეცემა დროებით სარგებლობაში. სარგებლობის კონკრეტული ვადა უნდა დადგინდეს მხარეთა შეთანხმებით და მიეთითოს ხელშეკრულებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ითვლება, რომ იჯარის ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით.

მეიჯარე ვალდებულია მოიჯარეს გადასცეს საიჯარო ქონება (ძირითადი თუ საკუთვნებელი ნივთებითა და შესაბამისი დოკუმენტებით) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში, რათა შეიძლებოდეს მისი დანიშნულებით გამოყენება და იჯარის მთელი დროის განმავლობაში უზრუნველყოს მისი ასეთ მდგომარეობაში შენახვა, რისთვისაც უნდა შეასრულოს კანონითა და ხელშეკრულებით

გათვალისწინებული მოვალეობები (მაგალითად, კაპიტალური რემონტის ჩატარება, ინვენტარის შეცვლა და შევსება და ა.შ.), რათა საიჯარო ქონება ყოველთვის იმყოფებოდეს ვარგის მდგომარეობაში და მოიჯარეს, მისი სწორად გამოყენების შედეგად, ჰქონდეს შემოსავლის მიღების შესაძლებლობა. ეს გულისხმობს იმ შემოსავლის მიღების შესაძლებლობას, რომელიც საიჯარო ქონების მიზნობრივად გამოყენების შედეგად არის შესაძლებელი.

მაგალითი:

თუ იჯარით გაიცა საწარმო, სადაც მზადდება (იკერება) ტანსაცმელი, მაშინ მეიჯარე ვალდებულია ყველა საჭირო (მაგალითად, საკერავი, საჭრელი და ა.შ.) მოწყობილობა გადასცეს გამართულ მდგომარეობაში, მოიჯარეც თავის მხრივ ვალდებულია გამოიყენოს იგი დანიშნულებით და შეუნარჩუნოს სათანადო ღირებულება. მოიჯარეს უფლება არა აქვს შეცვალოს ამ საწარმოს მიზნობრივი დანიშნულება და ტანსაცმლის ნაცვლად დაიწყოს ფეხსაცმლის შეკერვა და მეიჯარისაგან მოითხოვოს შესაბამისი მოწყობილობების შეძენა.

მეიჯარე იჯარით გადაცემული ქონების ნაკლისათვის, რომელიც ხელს შეუშლის მოიჯარეს მის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენებაში, მოიჯარის წინაშე პასუხს აგებს ზოგადი ნორმების შესაბამისად, კერძოდ, ვალდებული იქნება გამოასწოროს ნაკლი, ან შეცვალოს იგი ახალი ქონებით, აუნაზღაუროს მოიჯარეს ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეული ხარჯები, აუნაზღაუროს ნაკლიანი ქონების გადაცემით გამოწვეული ზიანი და ა.შ. თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.

მეიჯარეს არ ევალება იმ ნაკლის გამოსწორება და, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება, რომელიც მოიჯარისათვის ცნობილი იყო ხელშეკრულების დადების, ან ამ ქონების გადაცემის მომენტში და მას ამის შესახებ პრეტენზია არ განუცხადებია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოიჯარეს ჩვეულებრივი დათვალიერე-

ბით არ შეუმჩნევია და არც შეეძლო ამ ნაკლის შემჩნევა. საიჯარო ქონება უნდა იყოს აგრეთვე უფლებრივად უნაკლო. თუ იგი დატვირთულია მესამე პირის უფლებით, მაგალითად, სერვიტუტი, იპოთეკა და ა.შ. მეიჯარე ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს მოიჯარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარეს უფლება აქვს შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

მოიჯარის ძირითადი მოვალეობაა დროულად შეიტანოს საიჯარო ქირა დათქმული ოდენობით. იჯარის ქირის განსაზღვრა ხელშეკრულების არსებითი პირობაა. იჯარის ქირა შეიძლება გადახდილი იქნეს, როგორც ფულადი სახით, ისე ნატურით, მათ შორის საიჯარო საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქციის ნაწილით, დაშვებულია სხვა სახეებიც, მაგალითად, შერეული სახით — ე.ი. ფულით და ნატურით ერთად; მომსახურების გაწევით; საიჯარო ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების მოიჯარისათვის დაკისრებით და ა.შ. კანონი არ ადგენს იჯარის ქირის სახეების ამომწურავ ნუსხას.

იჯარის ქირის ოდენობა მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა ვარიანტით. ვინაიდან იჯარით გადაცემული ქონება შეიძლება წარმოადგენდეს მოძრავი და უძრავი ნივთების ერთობლიობას, ან რამოდენიმე მოძრავ ნივთს, რამოდენიმე უძრავ ნივთს, ან მეურნეობას და ა.შ. იჯარის ქირის გამოთვლაც შეიძლება მოხდეს იჯარით გადაცემულ მთელ ქონებაზე ერთად, ან ნაწილ-ნაწილ — თითოეულ ნივთზე ცალ-ცალკე იჯარის ქირის გამოთვლისას შესაძლებელია სპეციალისტების მოწვევაც. საიჯარო ქონებაზე (ერთად თუ ნაწილ-ნაწილ) იჯარის ქირის გამოთვლა მოხდება მხარეთა შეთანხმებით ან კანონით დადგენილი წესით. იჯარის ქირის ოდენობის განსაზღვრა ძირითადად ეფუძნება საიჯარო ქონების ღირებულებას (ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით) და ამ ქონების დანიშნულებით გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლის ოდენობას.

იჯარის ქირის გადახდის ვადა დგინდება მხარეთა მიერ, მხ-

არეები შეიძლება შეთახმდნენ მის პერიოდულ გადახდაზე, მაგალითად: ყოველი საიჯარო წლის ბოლოს, ან ყოველ მეექვსე თვეს და ა.შ. ასეთ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს ყოველი წლის ბოლოს, ან ყოველ მეექვსე თვეს გადასახდელი თანხის ოდენობა, ან შეიძლება დადგინდეს იჯარის ქირის საერთო ოდენობა მთელ საიჯარო ვადაზე, რომელიც შეიძლება გადახდილ იქნეს, როგორც იჯარის ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლისას, ისე ნაწილ-ნაწილ მხარეთა მიერ დათქმულ ვადებში.

მაგალითი:

საწარმო იჯარით გაიცა ხუთი წლის ვადით, შეთანხმებით გადაწყდა, რომ იჯარის ქირის ოდენობა მთელ საიჯარო პერიოდში შეადგენს 5000 ლარს. რაც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთიანად იქნეს გადახდილი იჯარის ვადის დასასრულს, ე.ი. მე-5 საიჯარო წლის ბოლოს, ან პირიქით, შეიძლება შეთანხმდნენ მის ნაწილ-ნაწილ გადახდაზე, ე.ი. ყოველი საიჯარო წლის ბოლოს მოიჯარე გადაიხდის 1000 ლარს.

ხუ იჯარის ხელშეკრულებით არ იქნება დადგენილი ქირის გადახდის ვადები, მაშინ ზოგადი ნორმებიდან გამომდინარე მოიჯარე იჯარის ქირას გადაიხდის საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას. იჯარის ქირის გადახდისათვის დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში მოიჯარეს დაეკისრება კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

თუ დათქმულია იჯარის ქირის პერიოდულად გადახდის ვადები და მოიჯარე ზედიზედ სამჯერ არ გადაიხდის ქირას, მაშინ მეიჯარეს, წინასწარი წერილობითი გაფრთხილების შემდეგ, უფლება აქვს მოშალოს იჯარის ხელშეკრულება, თუ მხარეები ხელშეკრულებით სხვა ვადებზე არ იქნებიან შეთანხმებულნი.

იჯარის ქირის ოდენობა შეიძლება შემცირდეს, ან გაიზარდოს მხარეთა მოთხოვნით. შემცირება შეიძლება მოხდეს საიჯარო ქონების

ღირებულების შემცირებით, გარდა იმ შეთხვევისა თუ ეს მოხდება მოიჯარის ბრალით, მაგალითად, არ ატარებს მიმდინარე რემონტს, არ იცავს მისი მოვლისა და შენახვის საჭირო წესებს და ა.შ.

იჯარის ხელშეკრულებით დადგენილი იჯარის ქირის ოდენობის განსაზღვრის კონკრეტული წესიდან გამომდინარე, იჯარის ქირის შემცირება შეიძლება მოხდეს გარკვეული დროის მონაკვეთით იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება მოუსავლიანობას, ან საიჯარო საქმიანობით მიღებული შემოსავლის სიმცირეს. მაგალითად: ხელშეკრულებით დადგენილია, რომ მოიჯარემ იჯარის ქირა უნდა გადაიხადოს ყოველი საიჯარო წლის ბოლოს, ამასთან, ქირის ოდენობა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა ყოველი საიჯარო წლის ბოლოს მიღებული შემოსავლის საშუალო ოდენობის გათვალისწინებით. თუ მოიჯარემ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემოსავალი ვერ მიიღო, მას უფლება აქვს მოითხოვოს იჯარის ქირის შესაბამისი შემცირება.

იჯარის ქირის შემცირება შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე იჯარით გადაცემული ქონების ღირებულების შემცირებამ. თუ ეს შემცირება მოხდა, მოიჯარის ბრალის გარეშე, ინვენტარის დაკარგვით, დაზიანებით, დანგრევით და ა.შ. და მეიჯარეს ევალებოდა არ უზრუნველეყო მისი შევსება, მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს იჯარის ქირის შესაბამისი შემცირება.

თუ მოხდება საიჯარო ქონების გაუმჯობესება და გაიზრდება მისი ღირებულება, მაშინ მეიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს იჯარის ქირის შესაბამისი გაზრდა. აღნიშნული წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ქონების გაუმჯობესება მოხდა მეიჯარის ხარჯზე, კანონით დადგენილი ზოგადი წესების შესაბამისად. ე.ი. გაუმჯობესების წარმოება გამოწვეული უნდა იქნეს აუცილებლობით, საიჯარო საქმიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, ან მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

მაგალითი:

იჯარით გაცემულია საწარმო. მოიჯარე იხდის საიჯარო ქირას, ყოველწლიურად – 1000 ლარს. შენობა, სადაც განთავსებულია საწარმო, მოიჯარემ მეიჯარესთან შეთანხმებით, მიაშენა დამატებითი ფართი, რომლის საფუძველზეც გაიზარდა საწარმოს კუთვნილი შენობის როგორც საერთო ფართი, ისე საერთო ღირებულება. დამატებით ფართზე გაწეული ხარჯები, მეიჯარესთან შეთანხმებით, მოიჯარეს უნდა აუნაზღაურდეს საიჯარო ურთიერთობის დამთავრებისას. ვინაიდან, საწარმოს გაუმჯობესება, ე.ი. საიჯარო ქონების ღირებულების გაზრდა, მოხდა მეიჯარის ხარჯზე, მეიჯარემ მოითხოვა საიჯარო ქირის შესაბამისი გაზრდა. მხარეთა შეთანხმებით გადაწყდა, რომ მოიჯარე ყოველწლიურად გადაიხდის საიჯარო ქირას მომატებული ოდენობით, კერძოდ, 1200 ლარს.

იჯარის ხელშეკრულება განსხვავდება ქირავნობის ხელშეკრულებისგან, რომლის მიზანი არის მხოლოდ მოხმარება, ნივთით სარგებლობა შემოსავლის მიღების გარეშე. ხოლო იჯარით გადაცემული მოძრავ-უძრავი ქონებით სარგებლობის მიზანი არის წარმოება, როგორც შემოსავლის მიღების წყარო და არსებობის ძირითადი საშუალება. მიუხედავად აღნიშნულისა, იჯარის ხელშეკრულება თავისი არსით წარმოადგენს ქირავნობის ხელშეკრულების სახეობას. როგორც ქირავნობის ისე იჯარის ხელშეკრულების დროს ხდება სხვისი ქონების გადაცემა მფლობელობასა და სარგებლობაში, ორივე ხელშეკრულება სასყიდლიანი და დროებითია. აღნიშნულის გამო საიჯარო ურთიერთობიდან წარმოშობილი საკითხების მოწესრიგება მოხდება ქირავნობის ხელშეკრულების ზოგადი ნორმებით, თუკი სპეციალური წესები 581-606-ე მუხლებით არ იქნება გათვალისწინებული.

მუხლი 582. ათ წელზე მეტი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულების მოშლა

თუ იჯარის ხელშეკრულება იდება ათ წელზე მეტი ვადით, მაშინ ამ ვადის გასვლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია საიჯარო ურთიერთობა მოშალოს 561-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

აღნიშნული წესი ეხება განსაზღვრული ვადით დადებულ იმ ხელშეკრულებებს, რომელთა ვადა აღემატება 10 წელს.

იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის ზოგადი საფუძვლებიდან გამომდინარე ვადიანი ხელშეკრულების ვადამდე მოშლა ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით შეიძლება მოხდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, კერძოდ, თუ რომელიმე მხარე არღვევს ხელშეკრულების პირობებს და ამით შეუძლებელი ხდება საიჯარო მეურნეობის სწორად წარმართვა.

თუ იჯარის ხელშეკრულება დადებულია ათ წელზე მეტი ვადით, მაგალითად, 12, 13, 15 წლით, მაშინ ათი წლის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს, მეიჯარეს ან მოიჯარეს, უფლება აქვს ზემოხსენებული განსაკუთრებული საფუძვლების გარეშეც დააყენოს საკითხი საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, ე.ი. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს მნიშვნელობა არა აქვს.

მოთხოვნა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარემ უნდა დააყენოს საიჯარო წლის დამთავრებამდე, არა ნაკლებ ორი თვით ადრე. მოთხოვნა მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით, ხოლო შეწყვეტა უნდა მოხდეს საიჯარო წლის დამთავრებიდან 3 თვის განმავლობაში. აღნიშნული წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სამი თვე აგრეთვე შეიძლება შეიცვალოს, ე.ი. შემცირდეს ან გაიზარდოს საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.

მუხ. 583. მიწის იჯარა ინვენტართან ერთად.

1. თუ მიწის ნაკვეთი იჯარით გაიცემა ინვენტართან ერთად, მაშინ მოიჯარე პასუხს აგებს ინვენტარის ყოველი ნაწილის მოვლა-პატრონობისათვის.

2. მეიჯარე ვალდებულია გამოცვალოს ინვენტარის ის ნაწილები, რომლებიც გამოუსადეგარი გახდა მოიჯარისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მოიჯარე მოვალეა შეავსოს ინვენტარს მიკუთვნებული პირუტყვის დანაკარგი, მიუხედავად მეურნეობის სწორი გაძღოლისა.

3. მოიჯარემ ინვენტარი ისეთ მდგომარეობაში უნდა იქონიოს და იჯარის დროის განმავლობაში იმ მოცულობით შეავსოს, რომელიც შეესაბამება მოწესრიგებულ მეურნეობას. მის მიერ შეძენილი ცალკეული ინვენტარი საერთო ინვენტართან შეერთებით მეიჯარის საკუთრებად იქცევა.

მიწის ნაკვეთი (როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო) იჯარით შეიძლება გაიცეს, როგორც ინვენტარით, ისე ინვენტარის გარეშე.

ინვენტარი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, როგორც უსულო, ისე სულიერი, მაგალითად: მანქანები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა-იარაღები, სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები, გადასაზიდი საშუალებები, დამხმარე შენობა-ნაგებობანი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, პირუტყვი (როგორც მუშა, ისე პროდუქტიული), ფრინველი და ა.შ.

მოიჯარე ვალდებულია მოუაროს და დაიცვას მისთვის გადაცემული ინვენტარი, გამოიყენოს მიზნობრივად, ჩაუტაროს მიმდინარე რემონტი და შეუნარჩუნოს თავდაპირველი ღირებულება ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია შეავსოს ინვენტარის გამოუსადეგარი ნაწილი ახლით, ან დაზიანებულს აღუდგინოს თავდაპირველი ღირებულება, რაც აუცი-

ლებელია მოწესრიგებული მეურნეობის შესანარჩუნებლად, მეიჯარე ვალდებულია ასევე იზრუნოს იჯარით გადაცემული ინვენტარის სათანადო ღირებულების შესანარჩუნებლად, რათა მოიჯარეს შეეძლოს საიჯარო მეურნეობის წარმოება, დამხმარე შენობა-ნაგებობებს ჩაუტაროს კაპიტალური რემონტი, ახლით შეცვალოს ის მანქანები და ტექნიკა-მოწყობილობები, რომლებიც მოიჯარის ბრალის გარეშე დაზიანდა და გამოუსადეგარი გახდა. აღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება ინვენტარს მიკუთვნებული პირუტყვის დანაკარგს, მნიშვნელობა არა აქვს ეს დანაკარგი გამოწვეული იქნება პირუტყვის დაკარგვით თუ სიკვდილით, მოიჯარე ბრალის მიუხედავად ვალდებულია თავად აგოს პასუხი ამ დანაკარგზე, შეავსოს ინვენტარი ახალი პირუტყვით.

მოიჯარეს უფლება აქვს იჯარის პერიოდში შეიძინოს ახალი ინვენტარი (მანქანა, ტექნიკა-მოწყობილობები და ა.შ.), რაც ხელს შეუწყობს საიჯარო მეურნეობის უკეთ მოწყობასა და წარმართვას. ასეთი ინვენტარი, რომელიც იქცა იჯარით გადაცემული ინვენტარის შემადგენელ ნაწილად, წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებას, რომლის ღირებულება მოიჯარეს უნდა აუნაზღაურდეს საიჯარო ურთიერთობის დამთავრებისას. თუ მეიჯარეს არ ესაჭიროება მოიჯარის მიერ შეძენილი ახალი საგნები, ან არა აქვს მისი ღირებულების გადახდის შესაძლებლობა, მას უფლება აქვს უარი თქვას მასზე და ეს საგნები გადავა მოიჯარის საკუთრებაში.

აღნიშნული წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ამ ინვენტარის შეძენა იჯარით გადაცემული ინვენტარის დანაკლისის, ან მისი შემცირებული ღირებულების შესავსებად და საერთოდ მოწესრიგებული მეურნეობის შესანარჩუნებლად ევალებოდა მოიჯარეს.

მუხ. 584. ინვენტარის შემთხვევით დაღუპვის რისკი

1. თუ მიწის ნაკვეთის მოიჯარე ინვენტარს მიიღებს შეფასებით და იკისრებს ვალდებულებას, იჯარის ხელშეკრულების დამთავრებისას შეფასებითვე დააბრუნოს უკან, მაშინ მას ეკისრება შემთხვევით დაღუპვისა და გაფუჭების რისკი. მეურნეობის სწორი გაძღოლის ფარგლებში, მას შეუძლია ინვენტარის ცალკეული ნაწილების განკარგვა.

2. იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლისას მოიჯარემ უნდა დაუბრუნოს მეიჯარეს ინვენტარი. მეიჯარეს შეუძლია უარი თქვას მოიჯარის მიერ შეძენილი ინვენტარის მიღებაზე, თუ იგი მიწის ნაკვეთზე სწორი მეურნეობის გაძღოლისათვის ზედმეტია ან მეტად ძვირია; უარის თქმასთან ერთად მიუღებულ ინვენტარზე საკუთრების უფლება გადადის მოიჯარეზე. თუკი არსებობს სხვაობა მიღებული და დაბრუნებული ინვენტარის შეფასებებს შორის, ეს სხვაობა ფულით უნდა ანაზღაურდეს. შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს ის ფასები, რომლებიც მოქმედებდა იჯარის ხელშეკრულების დასრულების მომენტისათვის.

მიწის ნაკვეთი მოიჯარეს შეიძლება გადაეცეს ინვენტარით ან ინვენტარის გარეშე. ინვენტარის გადაცემა თავის მხრივ შეიძლება მოხდეს აგრეთვე ორი სახით: შეფასებით და შეფასების გარეშე. ორივე შემთხვევაში ინვენტარი, ისევე როგორც მიწის ნაკვეთი, კვლავ რჩება მეიჯარის საკუთრებად.

შეფასების გარეშე გადაცემის შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია მოუაროს და შეუნარჩუნოს ინვენტარს თავისი ღირებულება, ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით. მოიჯარის ბრალის გარეშე, ინვენტარის დაღუპვის ან დაზიანების შემთხვევაში, მეიჯარე ვალდებულია შეცვალოს იგი სხვა სათანადო სახისა და ღირებულების ინვენტარით, რათა მოიჯარეს ჰქონდეს საიჯარო მეურნეობის სრულყოფილად წარმოების შესაძლებლობა.

დაღუპული ან დაზიანებული ინვენტარის შეცვლა მეიჯარესთან შეთანხმებით შეიძლება მოხდეს თვით მოიჯარის ხარჯებით, რომელიც მას უნდა აუნაზღაურდეს საიჯარო ურთიერთობის დამთავრებისას ან ურთიერთშეთანხმებულ ვადაში. თუ ინვენტარის დაღუპვა ან დაზიანება მოხდება მოიჯარის ან სხვა პირის ბრალეული მოქმედებით, ასეთ შემთხვევაში ინვენტარის აღდგენა და წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება მოხდება ბრალეული პირის მიერ, ზიანის ანაზღაურების შესახებ ზოგადი ნორმების საფუძველზე.

თუ მიწის ნაკვეთის მოიჯარე ინვენტარს იღებს შეფასებით და ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ შეფასებითვე უნდა დაუბრუნოს მეიჯარეს, ასეთ შემთხვევაში მეიჯარისა და მოიჯარის პასუხისმგებლობა ინვენტარის დაზიანების ან დაღუპვის გამო განსხვავებულია, ვიდრე იმ დროს, როდესაც ინვენტარი გადაცემულია შეფასების გარეშე და იგი დაზიანდება ან დაიღუპება.

იჯარით გადაცემული ინვენტარის შეფასება უნდა მოხდეს მოწვეული ექსპერტ-სპეციალისტის მიერ, რომელიც განსაზღვრავს ინვენტარის ღირებულებას. ხელშეკრულების დამთავრებისას მოიჯარე შეფასებითვე აბრუნებს მას, ე.ი. მოიჯარე ინვენტარს ფაქტიურად იღებს საკუთრების უფლებით, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ვალდებული არ არის საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტისას დააბრუნოს ზუსტად იგივე ინვენტარი. ამდენად, მას უფლება აქვს იგი განკარგოს, მაგალითად, გაყიდოს, გაცვალოს და ა.შ. თუმცა უნდა დააბრუნოს იგივე სახისა და ღირებულების ნივთები, მაგალითად, ტრაქტორი, რომელიც იჯარით გადაეცა მოიჯარეს, შეუძლია იჯარის პერიოდში თავისი შეხედულების მიხედვით გაყიდოს, თუმცა იგივე ღირებულების ტექნიკა უნდა შეიძინოს და მეიჯარეს დაუბრუნოს საიჯარო ურთიერთობის დამთავრებისას.

ინვენტარის განკარგვა, როგორც უკვე აღინიშნა, გულისხმობს იმავე ღირებულების მქონე სხვა სახის ინვენტარით შეცვლას, ეს კი უნდა მოხდეს საიჯარო მეურნეობის სწორად წარმართვის ფარგლებში.

მაგალითი:

მიწის ნაკვეთის მოიჯარეს ინვენტარი გადაეცა შეფასებით, მათ შორის ორი სატვირთო ავტომანქანა. საიჯარო მეურნეობის უკეთ წარმართვისათვის კი ასევე აუცილებელია საწამლი მოწყობილობა (შესაწამლი ტრაქტორი), რომელიც არ არის ინვენტარის საერთო შემადგენლობაში. მოიჯარეს შეუძლია გაასხვისოს ერთი სატვირთო ავტომანქანა და მისი ღირებულების ფარგლებში შეიძინოს საწამლი მოწყობილობა. ასეთი შენაძენი არ წარმოადგენს მოიჯარის საკუთრებას და საიჯარო ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდეგ, მეიჯარეს იგი უნდა დაუბრუნოს სხვა ინვენტართან ერთად საერთო ღირებულებით.

საიჯარო ურთიერთობის პერიოდში შემთხვევით დაღუპვისა და დაზიანების რისკიც გადადის მოიჯარეზე და იგი ვალდებულია უზრუნველყოს ამ დანაკლისის შევსება, ან დაზიანების გამოსწორება ბრალის მიუხედავად.

იჯარის განმავლობაში მოიჯარეს შეუძლია შეიძინოს დამატებითი ინვენტარი, რომელიც აღემატება და მკვეთრად ზრდის შეფასებით მიღებული და დასაბრუნებელი ინვენტარის ღირებულებას. შეძენილი ინვენტარი წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებას, ეს უკანასკნელი კი ვალდებულია ღირებულება, რომელიც წარმოადგენს მიღებული და დასაბრუნებელი ინვენტარის ღირებულების სხვაობას, ფულით აუნაზღაუროს მოიჯარეს. ღირებულების შეფასება უნდა მოხდეს იმ ფასებით, რომელიც არსებობს იჯარის ხელშეკრულების დამთავრების მომენტში. ამასთან, მეიჯარეს უფლება აქვს უარი თქვას მოიჯარის მიერ შეძენილ ინვენტარზე, თუ კი მისი ღირებულება ძალიან დიდია, ან მეურნეობის სწორი გაძღოლისათვის არ არის აუცილებელი. ასეთ შემთხვევაში იგი რჩება მოიჯარეს.

მაგალითი:

მოიჯარემ იჯარის პერიოდში მოსავლის ასაღებად შეიძინა კომბაინი. ასეთივე კომბაინი მას მეიჯარისაგან თავდაპირველად მიღებული ჰქონდა ინვენტართან ერთად, რის გამოც იგი საიჯარო მეურნეობის წარმოებისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენდა, ამავე დროს ძვირადღირებულია. ასეთ შემთხვევაში მეიჯარეს საიჯარო ურთიერთობის დამთავრებისას უფლება აქვს მოიჯარეს უარი უთხრას მის მიღებაზე და შესაბამისად ღირებულების გადახდაზე, რის გამოც საკუთრების უფლება გადავა მოიჯარეზე.

შესაძლებელია, საიჯარო მეურნეობის უკეთ წარმოებისათვის მოიჯარის მიერ შეძენილი ინვენტარი საჭიროა და აუცილებელიც, მაგრამ იგი ძვირადღირებულია და მეიჯარეს არა აქვს მისი გადახდის შესაძლებლობა ასეთ დროს მეიჯარეს უფლება აქვს უარი თქვას მის მიღებაზე. ასეთ ინვენტარზე საკუთრების უფლება გადავა მოიჯარეზე.

თუ ძვირადღირებული ინვენტარის შეძენა, რომელიც აუცილებელია საიჯარო მეურნეობის სრულყოფილი წარმოებისათვის, მოიჯარის მიერ მოხდა მეიჯარესთან შეთანხმებით, მაშინ მეიჯარე ვალდებულია საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას დაიტოვოს იგი და აუნაზღაუროს მოიჯარეს მისი ღირებულება. მეიჯარის თანხმობით შეძენილ ინვენტარზე საკუთრების უფლება მოიჯარეს შეიძლება გადაეცეს მხოლოდ მეიჯარის თანხმობით.

მუხლი 585. ინვენტარის ცალკეული ნაწილების განკარგვის აკრძალვის დაშვებლობა

ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც მოიჯარეს აკისრებენ ვალდებულებას არ განკარგონ ინვენტარის ნაწილები, ან განკარგოს მხოლოდ მეიჯარის თანხმობით, ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას შეისყიდოს ინვენტარი საიჯარო ურთიერთობის დასრულებისას საინვენტარიზაციო შეფასებით.

იჯარის ხელშეკრულების განმავლობაში მოიჯარე მოწესრიგებული მეურნეობის შენარჩუნების მიზნით ვალდებულია უზრუნველყოს ინვენტარის ვარგის მდგომარეობაში შენახვა და მისი საჭირო მოცულობით შევსება. ამ მიზნით შეძენილი ცალკეული ინვენტარი წარმოადგენს საერთო ინვენტარის შემადგენელ ნაწილს და იქცევა მეიჯარის საკუთრებად.

გარდა აღნიშნულისა, საიჯარო საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით, მოიჯარეს უფლება აქვს იჯარის პერიოდში შეიძინოს ინვენტარი, რომლის საერთო ინვენტართან შეერთება არ ხდება. ასეთი ინვენტარი წარმოადგენს მოიჯარის საკუთრებას და მას უფლება აქვს, მოიჯარესთან შეთანხმების გარეშე, განკარგოს იგი თავისი შეხედულების მიხედვით. საიჯარო ხელშეკრულებაში შეტანილი ისეთი პირობები, რომლებიც გამოიწვევს მოიჯარის ამ უფლების შეზღუდვას, ბათილია, ე.ი. პირობები, რომლებიც უკრძალავს მოიჯარეს ასეთი ინვენტარის გასხვისებას, ან ეს გასხვისება საჭიროებს მეიჯარის თანხმობას, ბათილია. აღნიშნული შეზღუდვა კანონიერი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მხარეები წინასწარ შეთანხმდებიან, რომ მოიჯარის მიერ შეძენილ ასეთ ინვენტარს მეიჯარე შეიძენს საიჯარო ურთიერთობის დასრულებისას საინვენტარიზაციო შეფასებით.

მუხლი 586. გირავნობის უფლება ინვენტარზე

1. მიწის ნაკვეთის მოიჯარეს აქვს გირვანობის უფლება მის მფლობელობაში არსებულ ინვენტარზე მეიჯარის მიმართ წაყენებული იმ მოთხოვნებისთვის, რომლებიც შეეხება იჯარით მიღებულ ინვენტარს.

2. მეიჯარეს შეუძლია თავიდან აიცილოს მოიჯარის უფლება გირავნობაზე, თუ წარმოადგენს უზრუნველყოფის სხვა საშუალებას. მას შეუძლია ინვენტარის ყოველი ნაწილი დაიხსნას გირავნობის უფლებისგან იმით, რომ შესთავაზოს ამ ნაწილების ღირე-

ბულების შესაბამისი უზრუნველყოფის საშუალება.

იჯარის ხელშეკრულებით მოიჯარეს მიწის ნაკვეთთან ერთად შეიძლება გადაეცეს ინვენტარიც (მაგალითად, დანადგარები, მოწყობილობები, პირუტყვი, გადაზიდვა-გადაყვანისთვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებანი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ა.შ.). იჯარით გადაცემული ინვენტარის მიმართ მეიჯარეს აკისრია როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული სახის ვალდებულებები, რაც აუცილებელია მოწესრიგებული საიჯარო მეურნეობის შესანარჩუნებლად და რაც მოიჯარეს მისცემს ნაყოფის მიღების შესაძლებლობას. კერძოდ, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მეიჯარე ვალდებულია ჩაუტაროს კაპიტალური რემონტი და უზრუნველყოს ყველა იმ ღონისძიების გატარება, რომელიც აუცილებელია ინვენტარის სათანადო ღირებულებისა და დანიშნულების შესანარჩუნებლად, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მათი ახლით შეცვლა, აგრეთვე იმ მოცულობით შევსება, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით და ა.შ. ე.ი. ჩაატაროს ყველა ის სამუშაო, რომელთა შესრულების აუცილებლობა მოიჯარის ბრალით არ არის გამოწვეული.

გარდა აღნიშნულისა, მეიჯარემ იჯარის ხელშეკრულებით შეიძლება იკისროს იმ ინვენტარის შეძენის ვალდებულება, რომელიც მოიჯარემ იჯარის განმავლობაში შეიძინა საიჯარო მეურნეობის უკეთ წარმართვის მიზნით და მისი შეძენა მეიჯარის მიერ უნდა მოხდეს საიჯარო ურთიერთობის დასრულებისას საინვენტარიზაციო შეფასებით.

თუ მეიჯარე არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს ზემოაღნიშნულ და საიჯარო ურთიერთობიდან წარმოშობილ სხვა ვალდებულებებს, რაც უკავშირდება იჯარით მიღებულ ინვენტარს, მოიჯარეს უფლება აქვს გამოიყენოს გირავნობის უფლება და მეიჯარისადმი წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება მოახდინოს თავის მფლობელობაში არსებული მეიჯარის კუთვნილი ინვენტარის

დაგირავებით. აღნიშნულის შესახებ მოიჯარემ წინასწარ უნდა აცნობოს მეიჯარეს, გაფრთხილება უნდა მოხდეს წერილობით.

მეიჯარეს უფლება აქვს, მოიჯარესთან შეთანხმებით, ყველა ის ვალდებულებები, რაც მას ინვენტართან დაკავშირებით აკისრია მოიჯარის მიმართ, შეცვალოს შესაბამისი ღირებულების სხვა საშუალებით, კერძოდ, ფულით, ნატურით ან სხვა სახით, რაც ასევე უნდა მოხდეს წერილობით.

მუხლი 587. ქვეიჯარა

1. მოიჯარეს არა აქვს ქვეიჯარის უფლება მეიჯარის თანხმობის გარეშე.

2. მეიჯარეს შეუძლია უარი განაცხადოს საიჯარო ქონების ცალკეული ნაწილების გაქირავებაზე, თუ ამით მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება.

3. მოიჯარე პასუხს აგებს მეიჯარის წინაშე იმისათვის, რომ ქვემოიჯარემ ან დამქირავებელმა ნივთი სხვანაირად გამოიყენა, ვიდრე ეს მეიჯარის მიერ იყო ნებადართული, მეიჯარეს შეუძლია უშუალოდ შეაჩეროს ქვემოიჯარის ან დამქირავებლის მიერ ქონების ამგვარი გამოყენება.

მოიჯარე ვალდებულია მისთვის იჯარით გადაცემული ქონება გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ამ ქონების დანიშნულების შესაბამისად. საიჯარო ქონების გამოყენების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს მოიჯარის მიერ მისი ქვეიჯარით გადაცემა, რომელიც საიჯარო ხელშეკრულებით მხარეთა მიერ შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული, მაგრამ მოიჯარეს აღნიშნული უფლებით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ დროს, მხოლოდ მეიჯარის თანხმობით. ე.ი. ქვეიჯარის უფლების გამოყენება გარკვეულწილად შეზღუდულია, რაც იმაში გამოიხატება, რომ იჯარით აღებული მიწისა და ინვენტარის ქვეიჯარით

გადაცემის შესახებ მოიჯარემ წინდაწინ წერილობით უნდა შეატყობინოს მეიჯარეს და მხოლოდ მისი თანხმობის საფუძველზე მოახდინოს საიჯარო ქონების ქვეიჯარით გაცემა. მეიჯარის თანხმობა მოიჯარის მიერ მიღებულ უნდა იქნეს, აგრეთვე, წერილობითი ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარეს უფლება არა აქვს ქვეიჯარით გადასცეს იჯარით აღებული ქონება.

მეიჯარის მიერ ქვეიჯარაზე თანხმობის გაცემის აუცილებლობა განპირობებულია იმ მოტივით, რომ იჯარის ხელშეკრულება ატარებს პირად ხასიათს. მესაკუთრის მიერ თავისი ქონების იჯარით გადაცემა ამა თუ იმ პირზე ხდება ნებაყოფლობით, ამ პირის ცოდნისა და გამოცდილების, მისი სპეციალობის გათვალისწინებით, რაც მიმართულია იჯარით აღებულ ქონებაზე, მის გამოყენებაზე. აგრეთვე, გასათვალისწინებელია მესაკუთრის სუბიექტური დამოკიდებულება იმ პირისადმი, რომელსაც ქვეიჯარით უნდა გადაეცეს საიჯარო ქონება. მეიჯარის თანხმობის გარეშე მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების ქვეიჯარით გაცემა შეიძლება გახდეს ძირითადი იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველიც. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი და საერთოდ მთელი საიჯარო ქონება მოიჯარეს შეფასებით აქვს აღებული და იჯარის ხელშეკრულების დამთავრებისას შეფასებითვე უნდა დაუბრუნოს მეიჯარეს.

მიწის ნაკვეთის მოიჯარის უფლებები შეფასებით აღებულ ინვენტართან მიმართებაში თითქმის უთანაბრდება მესაკუთრის უფლებებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოიჯარეს უფლება აქვს განკარგოს შეფასებით აღებული ინვენტარის ცალკეული ნაწილები, ხელშეკრულების დამთავრებისას კი იგი მეიჯარეს უბრუნებს იგივე ღირებულების ინვენტარს. ამით მეიჯარის ინტერესები ფაქტიურად დაცულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის მოიჯარის მიერ შეფასებით აღებული ინვენტარის ქვეიჯარით გაცემაზე მეიჯარის თანხმობა აუცილებელი არ არის.

მეიჯარის თანხმობა არ არის აუცილებელი, თუ მოიჯარე ახდენს იჯარით აღებული არა მთელი ქონების, არამედ მისი ცალკეული

ნაწილების გაქირავებას, მაგალითად, მოიჯარეს უფლება აქვს ნაგებობა (რომელიც წარმოადგენს სათავსოს), ან ავტომანქანა, რომელიც მიეკუთვნება იჯარით აღებულ ქონებათა რიცხვს, მეიჯარის თანხმობის გარეშე ქირავნობის ხელშეკრულებით გადასცეს დამქირავებელს. თუმცა მოიჯარე ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს მეიჯარეს.

მოიჯარის მიერ იჯარით აღებული ქონების ცალკეული ნაწილების გაქირავებაზე მეიჯარემ შეიძლება უარი განაცხადოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ გაქირავებით მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება.

მოიჯარის მიერ იჯარით აღებული ქონების ქვეიჯარით გადაცემა არ ნიშნავს მოიჯარის საიჯარო ურთიერთობიდან გასვლას და მისი, როგორც მოიჯარის, უფლება-მოვალეობების მესაკუთრეზე – მეიჯარეზე გადაცემას. მეიჯარესა და მოიჯარეს შორის დადებული იჯარის ძირითადი ხელშეკრულება თავისი თავდაპირველი პირობებით კვლავ რჩება ძალაში, ე.ი. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე მოიჯარე კვლავ პასუხს აგებს მეიჯარის წინაშე.

მოიჯარესა და ქვემოიჯარეს შორის იდება ქვეიჯარის ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მათ შორის წარმოშობილ უფლება-მოვალეობებს. ქვეიჯარის ხელშეკრულებით მოიჯარე ფაქტობრივად იკავებს მეიჯარის ადგილს, ე.ი. ამ ხელშეკრულების მხარეებად გვევლინებიან ქვემეიჯარე და ქვემოიჯარე. თუ ხდება საიჯარო ქონების მხოლოდ ცალკეული ნაწილის გაქირავება, მაშინ იდება ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის მხარეები არიან გამქირავებელი და დამქირავებელი, სადაც მოიჯარე იკავებს გამქირავებლის ადგილს.

ქვეიჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულების ვადა არ შიძლება აღემატებოდეს ძირითადი იჯარის ხელშეკრულების ვადას. ამასთან, ქვეიჯარითა და ქირავნობით გადაცემული ქონების გამოყენება უნდა მოხდეს მისი დანიშნულების შესაბამისად.

თუ ქვემოიჯარე, ან დამქირავებელი დაარღვევენ ხელშეკრულების პირობებს და მათთვის გადაცემულ ქონებას არ გამოიყენებენ დანიშნულებისამებრ, აგრეთვე აზიანებენ და საფრთხეს უქმნიან მის ღირებულებას, ამის გამო მეიჯარის წინაშე პასუხს აგებს მოიჯარე, თუმცა მეიჯარეს უფლება აქვს თავად აუკრძალოს ქვემოიჯარეს ან დამქირავებელს ქონების ამგვარი გამოყენება. ყველა შემთხვევაში ქვეიჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე ქვემოიჯარე (დამქირავებელი) პასუხისმგებელნი არიან ქვემეიჯარის (გამქირავებლის) წინაშე.

იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა ყოველთვის არ უნდა იწვევდეს ქვეიჯარის ხელშეკრულების შეწყვეტას. მაგალითად, თუ იჯარის ხელშეკრულება ვადამდე შეწყდა მოიჯარის ბრალით (არ იხდის იჯარის ქირას, აზიანებს საიჯარო ქონებას და ა.შ.), მაშინ ქვემოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ შეწყვეტილი იჯარის ხელშეკრულების პირობებით მეიჯარესთან გააგრძელოს საიჯარო ურთიერთობა ქვეიჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. ამით დაცული იქნება ქვემოიჯარის ინტერესები, რომელთანაც ქვეიჯარის ხელშეკრულება დადებულ იქნა მეიჯარის (მესაკუთრის) თანხმობით.

მუხლი 588. საიჯარო ქონების შეძან დაბრუნება ვადამდე

1. თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე ქონებას უკან აბრუნებს, იგი საიჯრო ქირის გადახდისაგან მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, თუ თავის სანაცვლოდ შესთავაზებს ახალ გადახდისუნარიან და მეიჯარისათვის მისაღებ მოიჯარეს. ახალი მოიჯარე თანახმა უნდა იყოს ხელშეკრულება მიიღოს იმავე პირობებით.

2. თუ მოიჯარე ვერ შესთავაზებს ასეთ მოიჯარეს, მან საიჯარო ქირა უნდა იხადოს საიჯარო ურთიერთობათა დასრულებამდე.

განსაზღვრული ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს მოიჯარის მოთხოვნით. ამ შემთხვევაში

მოიჯარე ვალდებულია შეარჩიოს თავისი შემცვლელი მოიჯარე, რომელიც თანახმა იქნება გააგრძელოს საიჯარო ურთიერთობა უკვე არსებული საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, ამავე დროს იგი მეიჯარისათვის მისაღები უნდა იყოს. ამ შემთხვევაში იგულისხმება მეიჯარის პიროვნული დამოკიდებულება მომავალი მოიჯარისადმი, ე.ი. ამ უკანასკნელთა შორის ურთიერთობა არ უნდა იყოს კონფლიქტური. კონფლიქტის წარმოშობის საფუძველს მნიშვნელობა არა აქვს.

თუ მოიჯარე ვერ შეარჩევს მეიჯარისათვის მისაღებ პიროვნებას, იგი ვალდებულია იჯარის ვადის გასვლამდე იხადოს ქირა და შეასრულოს ყველა სახელშეკრულებო ვალდებულება, რაც მომავალი მოიჯარისათვის უზრუნველყოფს საიჯარო მეურნეობის სწორად წარმართვის შესაძლებლობას.

აღნიშნული მოთხოვნები მოიჯარეს არ შეიძლება წაეყენოს იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ხდება მეიჯარის ბრალით, რომელიც არ ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს, რაც მოჯარეს უქმნის მძიმე სამეურნეო პირობებს და მისთვის შეუძლებელი ხდება საიჯარო მეურნეობის სათანადოდ წარმოება და შემოსავლის მიღება.

მუხლი 589. იჯარის უვადო ხელშეკრულების მოშლა

1. თუ მიწის ნაკვეთის ან უფლების იჯარისას არ არის განსაზღვრული იჯარის ვადა, მაშინ ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ საიჯარო წლის ბოლოსათვის; იგი შეიძლება მოიშალოს საიჯარო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

2. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა საიჯარო ურთიერთობა შეიძლება მოიშალოს კანონით დადგენილ ვადაზე ადრე.

დაშვებულია იჯარის ხელშეკრულების როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმა. ზეპირი ფორმის იჯარის ხელშეკრულება

ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულად. წერილობითი ფორმის იჯარის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც განსაზღვრული ვადით, ისე ვადის განუსაზღვრელად. ერთ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულე-ბისათვის სავალდებულოა წერილობითი ფორმა.

იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმით და რა ვადით არის დადებული მიწის ან უფლების იჯარის ხელშეკრულება, მისი შეწყვეტის მოთხოვნისა და შესაბამისად შესრულების ვადებიც სხვადასხვაა.

თუ მიწის ნაკვეთის ან უფლების იჯარის ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული, მისი შეწყვეტის შესახებ დაინტერესებულმა მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს საიჯარო წლის დამთავრებამდე, ხოლო ხელშეკრულება უნდა შეწყდეს საიჯარო წლის ბოლოს. შეწყვეტა შეიძლება გაგრძელდეს საიჯარო წლის დამთავრებიდან არა უმეტეს ერთი თვის განმავლობაში.

თუ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მოთხოვნას აყენებს მოიჯარე, იგი ვალდებულია ამის შესახებ მეიჯარეს აცნობოს წერილობით, საიჯარო წლის დამთავრებამდე, რათა მეიჯარეს ჰქონდეს შესაძლებლობა მონახოს მისთვის მისაღები სხვა მოიჯარე, რომელიც ახალი ხელშეკრულების საფუძველზე გააგრძელებს საიჯარო საქმიანობას.

მეიჯარეს, რომელსაც აქვს პატივსადები მიზეზები, აგრეთვე უფლება აქვს მოითხოვოს განუსაზღვრელი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულების მოშლა. ეს პატივსადები მიზეზები შეიძლება იყოს, თუ:

1. მეიჯარეს შეექმნა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, რომლის დროსაც მას სურვილი აქვს თავისი შეხედულების მიხედვით გამოიყენოს იჯარით გაცემული ქონება (მაგალითად, გაყიდოს, თავად აწარმოოს მეურნეობა და მიიღოს შემოსავალი და ა.შ.);

2. საიჯარო ქონება ესაჭიროება თავისი შვილებისათვის, ან ახლო ნათესავებისათვის.

მეიჯარემ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ასევე წერი-

ლობით უნდა გააფრთხილოს მოიჯარე საიჯარო წლის დამთავრებამდე, მანამდე, ვიდრე მოიჯარე ახალი სამეურნეო წლისათვის განახორციელებს საჭირო სამეურნეო საქმიანობას და გაიღებს გარკვეულ ხარჯებს. ამავე დროს, მოიჯარეს, რომლისთვისაც საიჯარო საქმიანობით მიღებული შემოსავალი იყო ძირითადი არსებობის წყარო, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა წინასწარ უზრუნველყოს მისთვის მისაღები პირობებით ახალი იჯარის ხელშეკრულების დადება სხვა მეიჯარესთან.

მოიჯარე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაატაროს ყველა ის ღონისძიება, რაც აუცილებელია საიჯარო მეურნეობის სათანადო მდგომარეობაში დასატოვებლად.

ამდენად, იჯარის უვადო ხელშეკრულების მოშლა უნდა მოხდეს მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, საიჯარო წლის ბოლოს, რაც შეიძლება გაგრძელდეს საიჯარო წლის დამთავრებიდან ერთი თვის განმავლობაში.

განუსაზღვრელი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულების მოშლის ზემოაღნიშნული წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა საიჯარო ურთიერთობა შეიძლება მოიშალოს კანონით დადგენილ ვადაზე ადრე. კანონით დადგენილი ზოგადი წესის თანახმად კი, მიწის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ქირავნობის პირველი წლის დამთავრების შემდეგ. მიწის ქირავნობის პირველი წლის დამთავრებამდე საიჯარო ურთიერთობა რომელიმე მხარის მიერ შეიძლება შეწყდეს მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას. ამდენად, თუ პატივსადები მიზეზების გამო ხელშეკრულება უნდა მოიშალოს საიჯარო ხელშეკრულების პირველი წლის დასრულებამდე და არა პირველი წლის დამთავრების შემდეგ, როგორც კანონით არის დადგენილი, მაშინ, საიჯარო ურთიერთობა შეწყდება მხოლოდ საიჯარო წლის ბოლოს.

მუხლი 590. ხელშეკრულების მოშლა მოიჯარის გარდაცვალების გამო

1. მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში როგორც მის მემკვიდრეებს, ისე მეიჯარეს შეუძლიათ საიჯარო ურთიერთობა მოშალონ კალენდარული წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში.

2. მემკვიდრეებს შეუძლიათ უარი განაცხადონ ხელშეკრულების მოშლაზე და მოითხოვონ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება, თუ მათ უშუალოდ, ან მესამე პირების მეშვეობით შეუძლიათ იჯარით გადაცემული ქონების სწორი სამეურნეო გამოყენება.

მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში მოიჯარის, როგორც კანონისმიერ, ისე ანდერძისმიერ მემკვიდრეებს უფლება აქვთ გააგრძელონ საიჯარო ურთიერთობა იმავე ხელშეკრულების საფუძველზე. თუ აღნიშნული უფლების განხორციელების სურვილი გამოთქვა რამდენიმე მემკვიდრემ, მაშინ მათ ერთად უნდა აწარმოონ საიჯარო საქმიანობა და უფლება არა აქვთ მოახდინონ საიჯარო მეურნეობის დანაწევრება. მემკვიდრეები გააგრძელებენ თუ არა საიჯარო საქმიანობას, ამის შესახებ მათ უნდა განაცხადონ მოიჯარის გარდაცვალებიდან ექვსი თვის განმავლობაში. საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების, ან შეწყვეტის შესახებ მემკვიდრეებმა აღნიშნულ ვადაში წერილობით უნდა აცნობონ მეიჯარეს. საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტამდე მემკვიდრეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ საიჯარო საქმიანობის განხორციელება და საიჯარო მეურნეობის სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნება.

მემკვიდრეებს უფლება აქვთ საიჯარო ურთიერთობა გააგრძელონ უშუალოდ თვითონ ან დამხმარე პირების მეშვეობით. მემკვიდრეების მიერ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ისიც, რომ მათ უნდა შეეძლოთ იჯარით გადაცემული ქონების სწორი გამოყენება, თუნდაც ადგილი ჰქონდეს მათ მიერ დამხმარე პირების ანუ დაქირავებული შრომის გამოყენებას.

თუ იჯარის ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით არის დადებული, მემკვიდრეების მიერ მოთხოვნის შემთხვევაში იგი უნდა გაგრძელდეს ამ ვადის გასვლამდე და მეიჯარეს უფლება არა აქვს უარი უთხრას მათ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებაზე, თუნდაც იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა მეიჯარის პატივსადები ინტერესებით იყოს განპირობებული, თუ არ იარსებებს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის ზოგადი საფუძვლები.

თუ იჯარის ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული, იგი უნდა მოიშალოს ზოგადი ნორმების შესაბამისად. კერძოდ, თუ მემკვიდრეები მოიჯარესთან ერთად უძღვებოდნენ საიჯარო მეურნეობას და აქედან მიღებული შემოსავალი მათთვის იყო არსებობის ძირითადი წყარო და, ამავე დროს, უფრო მეტად აუცილებელი, ვიდრე მეიჯარისა და მისი ოჯახის წევრებისათვის, მაშინ მეიჯარეს უფლება არა აქვს მოითხოვოს იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა და უარი უთხრას მემკვიდრეებს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებაზე. იგივე წესი უნდა იქნას გამოყენებული განსაზღვრული ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებისას, თუ ამას ითხოვენ მემკვიდრეები.

თუ მოიჯარის მემკვიდრეები არ ეწეოდნენ მასთან ერთად საიჯარო საქმიანობას, მაშინ მეიჯარეს, თავისი და ოჯახის წევრთა ინტერესებიდან გამომდინარე, უფლება აქვს უარი უთხრას მოიჯარის მემკვიდრეებს ხელშეკრულების გაგრძელებაზე და მოითხოვოს მისი მოშლა.

მუხლი 591. ჭიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების დაუბრუნებლობისათვის.

თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს იჯარით აღებულ ქონებას, მაშინ მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბ-

რუნების დაყოვნებისათვის; მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც.

საიჯარო ურთიერთობის დამთავრება შეიძლება მოხდეს: ა) საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლით; ბ) ვადიანი ხელშეკრულების ვადამდე მოშლით, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს სხვადასხვა მიზეზების გამო, მხარეთა მოთხოვნით; გ) განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების მოშლით, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით.

საიჯარო ურთიერთობის დამთავრებისას მოიჯარე ვალდებულია დაუბრუნოს მეიჯარეს იჯარით აღებული ქონება ხელშეკრულებითა და კანონით განსაზღვრული პირობებითა და მდგომარეობაში. მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების მეიჯარისათვის დაბრუნება უნდა მოხდეს იგივე წესით, როგორც გადაეცა იგი მოიჯარეს საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში. ე.ი. უნდა აისახოს წერილობითი ფორმით: შედგეს დასაბრუნებელი საიჯარო ქონების ნუსხა, სადაც აისახება ამ ქონების ოდენობა და მდგომარეობა. ნუსხას ხელს მოაწერს ორივე მხარე თარიღის მითითებით.

თუ საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ მოიჯარე დათქმულ დროში არ დააბრუნებს საიჯარო ქონებას, მაშინ მოიჯარე ვალდებულია მეიჯარის მოთხოვნით გადაიხადოს საიჯარო ქირა გადაცილებული დროის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ქონების დაბრუნების დაყოვნება მოხდა მეიჯარის ბრალით.

თუ მოიჯარე არ დააბრუნებს, ან დაგვიანებით დააბრუნებს საიჯარო ქონებას, მაშინ ეს შეაფერხებს ამ ქონების კვლავ გაქირავებას, ან მეიჯარის ანუ მესაკუთრის მიერ თავისი ინტერესების შესაბამისად გამოყენებას; შეუძლებელი გახდება, აგრეთვე, სათანადო სამუშაოების ჩატარება, რაც არსებითად უარყოფით გავლენას მოახდენს მომდევნო წელს მისაღები შემოსავლის მოცულობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეიჯარეს უფლება აქვს, იჯარის ქირის გარდა, მოიჯარისაგან მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაუ-

რებაც, რომელიც მას საიჯარო ქონების დაბრუნების ვადის გადაცილებით, ან მისი დაუბრუნებლობით მიადგა. ზიანის ანაზღაურება მოხდება ზოგადი ნორმების შესაბამისად.

თავი მეექვსე

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა

მუხლი 592. ცნება

1. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულებით მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო მიზნით გადაეცემა სამეურნეო გამოყენებისათვის განკუთვნილ საცხოვრებელ ან სამეურნეო ნაგებობებთან (საწარმოსთან) ერთად, ან ასეთი ნაგებობის გარეშე.

2. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარაზე ვრცელდება იჯარის წესები, თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარისათვის სხვა რამ არ არის დადგენილი.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ან ამ მიზნით გამოსაყენებელი მიწის იჯარით გადაცემის დროს მოიჯარის მიერ ხდება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო (სურსათის) პროდუქტების წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია. იჯარით აღებული ობიექტების არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მეიჯარესთან შეთანხმებით და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულებით, მოიჯარეს შეიძლება გადაეცეს მხოლოდ მიწის ნაკვეთი ან მიწის ნაკვეთი მასზე გაშენებული ხეხილის ბაღით, ვაზით და ა.შ. ან მიწის ნაკვეთი ინვენტარით (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, მუშა და პროდუქტიული პირუტყვით და ა.შ.) და მასზე არსებული ნაგე-

ბობებით. ეს ნაგებობა შეიძლება იყოს როგორც საცხოვრებელი, რომელიც მოიჯარეს სამეურნეო საქმიანობის პერიოდში შეუძლია გამოიყენოს საცხოვრებლად, აგრეთვე ნაგებობა, რომელიც შეიძლება იქნეს გამოყენებული მიღებული მოსავლის, დამზადებული პროდუქტების, სასუქების, მარცვლეულის, ტექნიკის, პირუტყვის და სხვათა შესანახად.

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა და შესაბამისად იჯარის ხელშეკრულება ზოგადი იჯარის ერთ-ერთი სახეობაა. თავისი იურიდიული ბუნებით სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება ისე, როგორც იჯარის ხელშეკრულება, ორმხრივი, საყიდლიანი და კონსენსუალური ხელშეკრულებაა. ორივე შემთხვევაში მოიჯარეს ქონება გადაეცემა დროებით სარგებლობაში, ადგილი აქვს წარმოებასა და მოიჯარის მიერ მისგან შემოსავლის (ნაყოფის) მიღებას, ამდენად, სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის დროს წარმოშობილ ურთიერთობებზე, რომლებიც არ რეგულირდება სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის სპეციალური ნორმებითა და თვით ხელშეკრულებით, ვრცელდება იჯარის ზოგადი ნორმები. მაგალითად, ურთიერთობები, რომლებიც უკავშირდება მიწის ნაკვეთის ინვენტარითა და ინვენტარის გარეშე გადაცემის წესსა და პირობებს, მათ შორის ინვენტარის შეფასებითა და შეფასების გარეშე გადაცემას, ქვეიჯარას, მოიჯარის გარდაცვალების გამო იჯარის ხელშეკრულების მოშლას და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის დროს შეიძლება წარმოიშვას აგრეთვე ისეთი ურთიერთობები, რომელთა რეგულირება იჯარის წესებით არ ხდება, ამ დროს გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების ზოგადი წესები, რაც განპირობებულია იმით, რომ იჯარა თავისი სამართლებრივი ბუნებით ქირავნობის სახეა. ასეთია, მაგალითად, ნივთის იჯარით გადაცემასთან, ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან, ქირის გადახდისაგან განთავისუფლებასთან და ა.შ. დაკავშირებული ურთიერთობები.

სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. თუ ეს ფორმა არ არის დაცული, მაშინ ივარაუდება, რომ ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით.

ეს მუხლი ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების, როგორც წერილობით, ისე ზეპირ ფორმას. წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ვადას. თუ ვადა არ არის განსაზღვრული, ითვლება, რომ ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით. კანონი არ ადგენს სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების წერილობითი ფორმის სავალდებულო სახეს, ამიტომ მხარეებს უფლება აქვს ურთიერთშეთანხმებით დადონ, როგორც მარტივი, ისე რთული წერილობითი ფორმის ხელშეკრულება. პირველ შემთხვევაში მხარეები, როგორც მეიჯარე, ისე მოიჯარე წერილობით ჩამოაყალიბებენ რა სახელშეკრულებო პირობებს, ადგენენ ხელშეკრულებას ორ ეგზემპლარად, რომლებზედაც საკმარისია მხოლოდ მათი ხელმოწერა. რთული წერილობითი ფორმის დროს კი, ხელმოწერილი ეგზემპლარების გაფორმება მოხდება სანოტარო წესით. წერილობითი ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება როგორც მეიჯარესთან, ისე მოიჯარესთან.

მიწის იჯარით გაცემა საჭიროებს სახელმწიფო რეგისტრაციას საჯარო რეესტრში, სადაც მოცემულია მიწის ნაკვეთის და მასთან უძრავად დაკავშირებული ქონების ობიექტების, საზღვრების, რაოდენობრივ-თვისობრივი და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ აუცილებელი მონაცემები.

ამდენად, მიწის იჯარით გაცემის შემთხვევაში, მესაკუთრის განცხადებით მოცემულ მიწის ნაკვეთზე შექმნილ სააღრიცხვო (სარეგისტრაციო) ბარათის შესაბამის განყოფილებაში (იჯარისა და იპოთეკის (გირავნობის) განყოფილება) აღინიშნება მიწაზე და მასთან დაკავშირებულ უძრავ ქონებაზე წარმოშობილი საიჯარო

უფლება. რეგისტრაცია ხდება სპეციალური კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ზეპირი ფორმის ხელშეკრულება მხარეთა (მეიჯარესა და მოიჯარეს) შორის იდება უშუალოდ სიტყვიერი შეთანხმებით. სიტყვიერი შეთანხმება შეიძლება სხვადასხვა სახით მოხდეს, როგორც პირადი შეხვედრის დროს, ისე სატელეფონო საუბრით, რაც შეეხება სატელეგრაფო შეტყობინებას, კანონი არ მიიჩნევს მას გარიგების წერილობით ფორმად, თუმცა არ გამორიცხავს გარიგების ზოგადი ფორმის სახეებიდან, კერძოდ: ეს იქნება გარიგების ზეპირი ფორმით დადების ერთ-ერთი საშუალება. იჯარის დროს სატელეგრაფო შეტყობინება ყოველთვის არ იქნება იჯარის ხელშეკრულების დადების საფუძველი. სატელეგრაფო შეტყობინება იჯარის ზეპირი ფორმის ხელშეკრულების წარმოშობის საფუძველი იქნება მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში, მაგალითად, თუ მხარეები უშუალო საუბრის დროს სიტყვიერად გაეცნობიან ერთმანეთის პირობებს, თუმცა გადაწყვეტილების მიღება და მასზე შეტყობინება იჯარით აღების მსურველი პირის მიერ, მათივე შეთანხმებით უნდა მოხდეს დათქმულ ვადაში. მხოლოდ ასეთი სატელეგრაფო შეტყობინება იქნება იჯარის ზეპირი ხელშეკრულების წარმოშობის საფუძველი. ამავე დროს, სატელეგრაფო შეტყობინების შინაარსიდანვე უნდა იკვეთებოდეს, რომ მხარეებს შორის წინასწარ მოხდა სიტყვიერი შეთანხმება.

ამდენად, თუ იჯარის ხელშეკრულება დაიდო ზეპირი ფორმით, იგულისხმება, რომ იგი დადებულია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 594. საიჯარო ქონების ნუსხა

მხარეებმა საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას ერთობლივად უნდა შეადგინონ საიჯარო ქონების ნუსხა, რომელშიც აღინიშნება მისი ოდენობა და მდგომარეობა იჯარით გადაცემის მომენტისათვის. იგივე წესი გამოიყენება საიჯარო ურთიერთობის დამთავრებისას. ნუსხას ხელს უნდა აწერდეს ორივე მხარე და მითითებულ უნდა იქნეს მისი შედგენის თარიღი.

საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას მხარეები გარდა ხელშეკრულებისა, ადგენენ აგრეთვე მეორე დოკუმენტს – ქონების ნუსხას, რომელიც აუცილებელი სამართლებრივი დოკუმენტი და ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. აღნიშნულ დოკუმენტში უნდა აისახოს, საიჯარო ქონება (ინვენტარი) მოიჯარეს შეფასებით გადაეცემა თუ შეფასების გარეშე. ქონების ნუსხა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შედგეს აუდიტის (სპეციალისტის) დახმარებით, სადაც აისახება იჯარით გადაცემული ობიექტების ოდენობა და მდგომარეობა ღირებულების განსაზღვრით, რაც შენარჩუნებულ უნდა იქნეს მოიჯარის მიერ საიჯარო ურთიერთობის განმავლობაში, ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით. ასეთივე ნუსხა უნდა შედგეს საიჯარო ურთიერთობის დამთავრებისას. ამ დროს ხდება აგრეთვე იჯარით გადაცემული იმ ქონების (ობიექტების) ოდენობისა და ღირებულების განსაზღვრა, რომელიც მოიჯარის მიერ უნდა დაუბრუნდეს მეიჯარეს. საიჯარო ურთიერთობის როგორც დაწყებისას, ისე დამთავრებისას საიჯარო ქონების ნუსხის შედგენა აუცილებელია და მას ხელს უნდა აწერდეს ორივე მხარე, მათ შორის აუდიტიც (სპეციალისტი), თუკი იგი მონაწილეობს ამ ნუსხის შედგენაში. მასში მითითებულ უნდა იქნეს აგრეთვე მისი შედგენის დრო და ადგილი.

მუხლი 595. საიჯარო ქონების მდგომარეობა. მისი რემონტი

მეიჯარემ საიჯარო ქონება მოიჯარეს უნდა გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის ვარგის მდგომარეობაში და შეინარჩუნოს იგი ამ მდგომარეობაში იჯარის მთელი ვადის მანძილზე. მოიჯარემ საკუთარი ხარჯებით უნდა განახორციელოს ქონების მიმდინარე რემონტი, შეაკეთოს საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები, გზები, თხრილები, მილები, ღობეები. იგი ვალდებულია იჯარით აღებული ქონება გამოიყენოს დანიშნულებით.

მოიჯარემ იჯარით აღებული ობიექტები, კერძოდ, მიწა, ან მიწა და მასთან მყარად დაკავშირებული უძრავი ქონება, ხეხილის ბაღი, გაშენებული ვაზი (ვენახი), აგრეთვე, ინვენტარი (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მოწყობილობები, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი და ა.შ.) უნდა ჩაიბაროს ისეთ მდგომარეობაში, რომ მისი გამოყენება შეეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეურნეო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის. აღნიშნულზე მოიჯარეს უფლება აქვს პრეტენზია გამოთქვას ამ ინვენტარის მიღების, ანუ ნუსხის შედგენის დროს. ე.ი. თუ ობიექტებიდან რომელიმე ისეა დაზიანებული, რომ მისი გამოყენება მიზნობრივად და საერთოდ საიჯარო მეურნეობის წარმოებისათვის შეუძლებელი იქნება, მაშინ მოიჯარემ უნდა მოითხოვოს მისი გამოსწორება, აღდგენა, ან შეცვლა სათანადო სახის ობიექტით. ამავე დროს მოიჯარეს უფლება აქვს მეიჯარესთან შეთანხმებით, თავად მოახდინოს აღნიშნული ნაკლის გამოსწორება, ხოლო მასზე გაწეულ ხარჯებს აუნაზღაუროს მეიჯარე ურთიერთშეთანხმებული წესით. თუ მეიჯარე უარს იტყვის გადასაცემი საიჯარო ქონების ნაკლის გამოსწორებაზე, მაშინ მოიჯარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

მეიჯარე ვალდებულია თავისი ხარჯებით ჩაატაროს კაპიტალური რემონტი, თუკი ამის აუცილებლობა იქნება, მაგალითად, თუ გამოუსადეგარი გახდა იჯარით გადაცემული რომელიმე ობიექტი, კერძოდ, ჩამოინგრა იმ შენობა-ნაგებობის (სათავსოს) სახურავი, რომელიც მდებარეობს იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე, შედის საიჯარო ქონების ნუსხაში და საჭიროებს მის ძირეულ შეცვლას.

კაპიტალური რემონტის ჩატარება მეიჯარის ხარჯებით არ მოხდება, ანდა ეს მოხდება მეიჯარის მიერ, მაგრამ მოიჯარის ხარჯებით იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალური რემონტის ჩატარების აუცილებლობა გამოწვეული იქნება მოიჯარის ბრალით.

მოიჯარე ასევე ვალდებულია შეინარჩუნოს იჯარით აღებული ქონება იგივე მდგომარეობაში, ე.ი. არ უნდა შემცირდეს მისი ღირებულება. მხედველობაში არ მიიღება ღირებულების ისეთი შემცირე-

ბა, რაც მოსალოდნელია მისი ჩვეულებრივი გამოყენების შედეგად. მოიჯარის მოვალეობას შეადგენს აგრეთვე ქონების მიმდინარე რემონტის განხორციელება (საცხოვრებელი და სამეურნეო შენობა-ნაგებობების, მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზების, თხრილების, მილების, ღობეების შეკეთება). მიმდინარე რემონტის წარმოება აუცილებელია საიჯარო ქონების თავდაპირველი ღირებულების, მისი ვარგისიანობის შესანარჩუნებლად.

მოიჯარე ვალდებულია გამოიყენოს საიჯარო ქონება მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეურნეო საქმიანობისათვის. მიზნობრიობის, ე.ი. სახელშეკრულებო პირობების არსებითი შეცვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მეიჯარესთან შეთანხმებით, მაგალითად, მოიჯარეს უფლება არა აქვს მეიჯარესთან შეთანხმების გარეშე აჩეხოს ვაზი და ამ მიწის ნაკვეთზე გააშენოს ლუდის ჩამოსასხმელი საწარმო.

მუხლი 596. გირავნობის უფლება ნაყოფზე.

მეიჯარეს საიჯარო ურთიერთობებიდან გამომდინარე თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აქვს გირავნობის უფლება მოიჯარის მიერ შემატებულ ნივთებსა და საიჯარო ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე (ნაყოფზე).

თუ მოიჯარე არ ასრულებს, ან არასათანადოდ ასრულებს იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრ მოვალეობებს (არ იხდის იჯარის ქირას, არ ატარებს მიმდინარე რემონტს, აგრეთვე კაპიტალურ რემონტს, თუ მისი ჩატარების აუცილებლობა გამოწვეულ იქნა მოიჯარის ბრალით, რაც ამცირებს საიჯარო ქონების ღირებულებას და ა.შ.), მეიჯარეს უფლება აქვს მოიჯარის სახელშეკრულებო მოვალეობების უზრუნველსაყოფად დააგირაოს მოიჯარის კუთვნილი ქონება, ე.ი. მოიჯარის სახსრებით შეძენილი ის ქონება, რომელიც შეემატა საიჯარო ქონებას, და რომელსაც მოიჯარე იყენებს საი-

ჯარო მეურნეობის წარმართვისათვის. აგრეთვე, უფლება აქვს დააგირაოს მოიჯარის მიერ საიჯარო ქონებიდან მიღებული შემოსავალი (ნაყოფი).

მეიჯარე ვალდებულია, წინასწარ წერილობით გააფრთხილოს მოიჯარე მოსალოდნელი გირავნობის შესახებ, ვადის მითითებით.

მუხლი 597. საიჯარო ქირის შემცირების მოთხოვნა

თუ იჯარის შედეგად მიღებული წლიური მოსავლის ნახევარზე მეტი შემთხვევით დაიღუპება, მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს საიჯარო ქირის შესაბამისი შემცირება. ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება მოიჯარეს აქვს მხოლოდ მოსავლის აღებამდე.

დადგენილია, რომ საიჯარო ქირა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გადახდილ იქნეს როგორც ფულით, ისე ნატურით, ან სხვა სახით. საიჯარო ქირის შემცირების მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა მოუსავლიანობას, ან შემთხვევით (გვალვა, წყალდიდობა, სეტყვა, გაყინვა, მეხის დაცემა, გამოფიტვა, ხანძარი და ა.შ.) დაიღუპა მოსავლის ნახევარზე მეტი. აღნიშნულის შესახებ მოიჯარემ წერილობით უნდა მიმართოს მეიჯარეს. ამდენად, უნდა გამოირიცხოს მოიჯარის ბრალი.

თუ მოიჯარე არაჯეროვნად ატარებდა აგრო-ტექნიკურ სამუშაოებს, კერძოდ, დადგენილ ვადებში, ან დადგენილი ნორმებით არ ხდებოდა შხამქიმიკატების გამოყენება, ნიადაგში სასუქების შეტანა ა.შ., რამაც გამოიწვია მოსავლის შემცირება, ანდა მოუსავლიანობა, მაშინ მოიჯარეს უფლება არა აქვს მოითხოვოს საიჯარო ქირის შემცირება.

დაუძლეველი ძალის, ანუ გვალვის, წყალდიდობის, სეტყვის, გაყინვის, მეხის დაცემის, ხანძრის და ა.შ. შემთხვევები უნდა დასტურდებოდეს სათანადო დროს შექმნილი შესაბამისი დოკუმენტითა და მტკიცებულებებით.

ქირის შემცირების, ან მისი გადახდისაგან საერთოდ გათავისუფლება მოიჯარემ უნდა მოითხოვოს მოსავლის აღებამდე. მიწიდან ნაყოფის მოცილების შემდეგ, მიუხედავად იმისა, იგი უკვე რეალიზებულია თუ მოიჯარესთან ინახება, მოთხოვნა ქირის შემცირების, ან მისი გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ აღარ დაკმაყოფილდება.

საიჯარო ქირის შემცირების დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია დაღუპული მოსავლის რაოდენობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ იჯარის ქირა შესაბამისად შემცირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემთხვევით დაიღუპა მიღებული მოსავლის ნახევარზე მეტი. ე.ი. თუ დაიღუპება ნახევარი ან ნახევარზე ნაკლები რაოდენობის მოსავალი, მაშინ მოიჯარის მოთხოვნა საიჯარო ქირის შემცირების შესახებ არ დაკმაყოფილდება.

მუხლი 598. აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა.

მეიჯარე ვალდებულია მოიჯარეს აუნაზღაუროს საიჯარო ქონებაზე გაწეული აუცილებელი ხარჯები.

აუცილებელი ხარჯები შეიძლება გამოწვეულ იქნეს სხვადასხვა საფუძვლით, კერძოდ:

1. როდესაც მეიჯარე საპატიო, ან არასაპატიო მიზეზით ვერ ასრულებს ან არასათანადოდ ასრულებს სახელშეკრულებო მოვალეობებს და მის შესრულებაზე ხარჯების გაწევა უწევს მოიჯარეს (მაგალითად, სათავსოების, მანქანა-იარაღების და სხვა მოწყობილობების კაპიტალური რემონტი).

2. საიჯარო ურთიერთობის პერიოდში მოიჯარეს უფლება აქვს აწარმოოს საიჯარო ქონების გაუმჯობესება. იგი კაპიტალური რემონტისაგან იმით განსხვავდება, რომ კაპიტალური რემონტის დროს ხდება არსებითად დაზიანებული საიჯარო ქონების შეკეთება და მისი თავდაპირველი ღირებულების აღდგენა, ხოლო საიჯარო ქონების

გაუმჯობესება გულისხმობს მისი ღირებულების გაზრდას გარკვეული სიახლის (არ არსებულის) შექმნით, მაგალითად, ახალი სათავსოს მიშენებით (აშენებით) კაპიტალური სარწყავი სისტემის მოწყობით და ა.შ. თუ მოიჯარემ აწარმოა ისეთი გაუმჯობესება, რომლის გამოცალკევება არ შეიძლება მოხდეს საიჯარო ქონებისა და თვით გაუმჯობესების დაუზიანებლად, მასზე გაწეული ხარჯები მოიჯარეს მეიჯარის მიერ აუცილებლად უნდა აუნაზღაურდას იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოიჯარემ აწარმოა ისეთი გაუმჯობესება, რომლის გარეშე შეუძლებელი იყო საიჯარო მეურნეობის სრულყოფილი წარმართვა. მაგალითად, არ იყო და აშენდა სასუქების, მიღებული მოსავლის და სხვათა შესანახი სათავსო; გაკეთდა კაპიტალური სარწყავი სისტემა, ვინაიდან გვალვის გამო ადგილი ჰქონდა ხშირ მოუსავლიანობას და ა.შ.

ბ) წარმოებული გაუმჯობესება თავის დანიშნულებას ინარჩუნებს და საერთოდ ზრდის საიჯარო ქონების ღირებულებას საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც.

ასეთ გაუმჯობესებებზე გაწეული აუცილებელი ხარჯები, მიუხედავად იმისა, მისი წარმოება მოხდა მეიჯარის თანხმობით, თუ მის გარეშე, მოიჯარეს უნდა აუნაზღაურდეს იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ (საიჯარო ურთიერთობის დამთავრებისას).

მუხლი 599. მეიჯარის თანხმობით გაწეული ხარჯების ანაზღაურება

598-ე მუხლში მითითებულის გარდა, სხვა საჭირო ხარჯები, რომლებზედაც მეიჯარემ თანხმობა განაცხადა, მან უნდა აუნაზღაუროს მოიჯარეს საიჯარო ურთიერთობების დამთავრებისას.

საიჯარო ქონების ისეთი გაუმჯობესება (მაგალითად, დამატებითი სათავსოს მოშენება და სხვ.), რომლის წარმოებაც აუცილებლობით არ არის გამოწვეული, ე.ი. მეურნეობის ინტერესებიდან

არ გამომდინარეობს და რომლის გამოყოფაც მისი და საიჯარო ქონების დაუზიანებლად შეუძლებელია, მოიჯარემ უნდა აწარმოოს მხოლოდ მეიჯარის თანხმობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება მეიჯარის ვალდებულებას არ წარმოადგენს.

აღნიშნული გაუმჯობესების წარმოებაზე და მისი შესრულების დეტალებზე მხარეები უნდა შეთანხმდნენ წერილობით.

მეიჯარის თანხმობით წარმოებულ საიჯარო ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯები მოიჯარეს აუნაზღაურდება მხოლოდ საიჯარო ურთიერთობის დამთავრებისას, თუ მხარეები ანაზღაურების სხვა ვადაზე არ შეთანხმდებიან.

ამდენად, ამ მუხლში მითითებული გაუმჯობესება ანაზღაურებას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს, თუ:

ა) იგი მოიჯარემ აწარმოა მეიჯარის თანხმობით;

ბ) მისი მოცილება ძირითადი საიჯარო ქონებიდან, მაგალითად, მიწიდან, შენობა-ნაგებობიდან და ა.შ. შეუძლებელია მის დაუზიანებლად;

გ) წარმოებული გაუმჯობესება თავის ღირებულებას და დანიშნულებას ინარჩუნებს საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც.

მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების მოიჯარისათვის ანაზღაურების სხვადასხვა ფორმებზე, მაგალითად, გაქვითვა მოხდეს იჯარის ქირის ხარჯზე, ე.ი. მოიჯარეს შესაბამისად შეუმცირდეს, ან მოეხსნას იჯარის ქირა.

მუხლი 600. აუღებელი მოსავლის ანაზღაურება

თუ საიჯარო ურთიერთობა წყდება საიჯარო წლის განმავლობაში, მაშინ მეიჯარემ უნდა აუნაზღაუროს მოიჯარეს მეურნეობის სათანადოდ წარმოების წესების თანახმად ჯერ კიდევ აულებელი,

მაგრამ იჯარის მიმდინარე წლის ბოლომდე ასაღები მოსავლის ღირებულება.

სამოქალაქო კოდექსის 606-ე მუხლის თანახმად, საიჯარო ურთიერთობა, თუ მისი ვადა არ არის განსაზღვრული, შეიძლება შეწყდეს საიჯარო წლის დასასრულს, თუმცა მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია სხვა ვადაც, რომლის თანახმად არ არის გამორიცხული, რომ საიჯარო ურთიერთობა შეწყდეს საიჯარო წლის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში, არსებული წესების დაცვით უნდა მოხდეს იმ მოსავლის სავარაუდო ღირებულების დადგენა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მიღებული და რომლის აღებაც უნდა მოხდეს საიჯარო წლის ბოლოს. აღნიშნული ღირებულება მეიჯარემ უნდა აუნაზღაუროს მოიჯარეს.

ამასთან, მოიჯარისათვის ასანაზღაურებელი მოსავლის ღირებულების გამოანგარიშებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს (ე.ი. ამ ღირებულებას უნდა გამოაკლდეს) ის ხარჯები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გაღებული საიჯარო წლის ბოლომდე შესასრულებელ იმ სამუშაოებზე, რომელთა წარმოებაც აუცილებელია მეურნეობის სათანადოდ წარმართვისა და შესაბამისი მოსავლის მისაღებად და რომელსაც საიჯარო წლის ბოლომდე გაიღებდა მოიჯარე საიჯარო ურთიერთობა რომ არ შეწყვეტილიყო.

მუხლი 601. მოიჯარის მოვალეობა ახალი მოიჯარის წინაშე

1. სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარემ თავის შემცვლელ მოიჯარეს უნდა დაუტოვოს ნაგებობა სათანადო მდგომარეობაში, ხოლო მოწყობილობა და სასოფლო სამეურნეო პროდუქცია – იმ ოდენობით, რომელიც აუცილებელია მეურნეობის გასაგრძელებლად მომავალი წლის მოსავლის აღებამდე.

2. თუ მოიჯარე ვალდებულია პროდუქცია დატოვოს მეტი ოდენობით ან უკეთესი ხარისხისა, ვიდრე მან იჯარის დაწყებისას მიიღო, მას შეუძლია მეიჯარეს მოსთხოვოს ღირებულების ანაზღაურება.

იჯარის ხელშეკრულების ვადის და, საერთოდ, საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ, მოიჯარემ შენობა-ნაგებობანი, რომელთაც იგი საიჯარო მეურნეობის წარმართვისათვის იყენებდა, უნდა გადასცეს თავის შემცვლელ მოიჯარეს სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში ისე, რომ მათი გამოყენების შესაძლებლობა კვლავ ჰქონდეს ახალ მოიჯარეს. გარდა ნაგებობისა, აგრეთვე უნდა დაუტოვოს მოწყობილობა, ე.ი. საიჯარო საქმიანობისთვის აუცილებელი საგნები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (მაგალითად, მარცვლეული, ხორბალი, სიმინდი, აგრეთვე სასუქები და ა.შ.) იმ ოდენობით, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ შემცვლელმა მოიჯარემ შეძლოს საიჯარო მეურნეობის სათანადო პირობებში წარმართვა მომდევნო სამეურნეო წლის მოსავლის მიღებამდე.

საიჯარო მეურნეობის სრულყოფილად წარმართვისათვის, ე.ი. მიწის ნაკვეთის დასამუშავებლად, დასათესად და ა.შ., შეიძლება საჭირო იყოს უფრო მეტი მოცულობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, სასუქი, საწვავი და ა.შ. ვიდრე თავდაპირველად მოიჯარეს დაუტოვოს საიჯარო საქმიანობის დაწყებისას. ასეთ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია, მოიჯარე ვალდებულია დაუტოვოს თავის შემცვლელ მოიჯარეს მისთვის აუცილებელი რაოდენობის პროდუქცია. ამავე დროს შესაძლებელია, რომ მოიჯარის მიერ დატოვებული პროდუქცია იყოს უფრო უკეთესი ხარისხის, ვიდრე მან თავდაპირველად მიიღო. ასეთ შემთხვევაში მოიჯარეს შეუძლია ფულადი კომპენსაციის სახით მოითხოვოს მის მიერ თავდაპირველად მიღებული და საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას დატოვებული პროდუქციის რაოდენობრივსა და ხარისხობრივ ღირებულებას შორის სხვაობა.

იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარეს არა აქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ახალი მოიჯარისათვის დატოვების შესაძლებლობა და ამასთან არც თვითონ არ მიუღია იგი საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას, მაშინ არ არის ვალდებული უზრუნველყოს მან საჭირო რაოდენობის პროდუქციის დატოვება.

თუ დაბალმოსავლიანობის ან სხვა მიზეზის გამო შეუძლებელია მოიჯარემ დატოვოს იმ რაოდენობის პროდუქცია, ვიდრე მან საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას მიიღო, ან ეს პროდუქცია არის უფრო ნაკლები ხარისხის, ასეთ შემთხვევაში მეიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს და მოიჯარე ვალდებულია აუნაზღაუროს მიღებული და დატოვებული პროდექციის, როგორც რაოდენობრივ ისე ხარისხობრივ ღირებულებებს შორის სხვაობა.

თუ მოიჯარემ საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას მიიღო (ე.ი. დაუტოვეს), ხოლო იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტისას მას საერთოდ არ გააჩნია ახალი მოიჯარისათვის დასატოვებელი სათანადო სახის პროდუქცია, იგი ვალდებულია შეიძინოს და ისე, ან სხვა გზით უზრუნველყოს მისი დატოვება შემცვლელი მოიჯარისათვის, ან მოახდინოს მისი ფულადი სახით კომპენსაცია.

მუხლი 602. საიჯარო ქონების დაბრუნების მოვალეობა.

მოიჯარე ვალდებულია საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ იჯარით აღებული ქონება დააბრუნოს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფს დაბრუნებამდე არსებული მეურნეობის სათანადოდ გაგრძელებას.

საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ, მოიჯარემ მეიჯარეს უნდა დაუბრუნოს იჯარით აღებული ქონება ვარგის მდგომარეობაში. კერძოდ: მიწაზე ჩატარებულ უნდა იყოს ყველა აგროტექნიკური სამუშაო, რომლებიც შეესაბამება საიჯარო ურთიერთობის დამთავრების პერიოდს და რომელიც შესაძლებელს გახდის შემდგომში სამეურნეო საქმიანობის გეგმაზომიერ გაგრძელებას. შე-

ნობა-ნაგეგობანი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვა მოწყობილობანი უნდა იყოს სათანადო მდგომარეობაში, ე.ი. მოიჯარის მიერ შესრულებული უნდა იყოს მიმდინარე რემონტთან დაკავშირებული ყველა სახის სამუშაო, რომელიც შესაძლებლობას იძლევა აღნიშნული ქონება საიჯარო მეურნეობის გაგრძელებისას შეუფერხებლად იქნეს გამოყენებული სრული დანიშნულებით. მიწაზე გაშენებული ნარგავები (ხეხილის ბაღი, ვენახი და სხვა) ასევე უნდა იყოს მოვლილი და იმყოფებოდეს დროის შესაფერის მდგომარეობაში, ე.ი. შესრულებული უნდა იყოს იმ დროისათვის ჩასატარებელი აუცილებელი აგროტექნიკური სამუშაოები. წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარეს დაეკისრება ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

მუხლი 602. მოიჯარის უფლებები საიჯარო ქონების ცალკეულ ნაწილებზე

1. მოიჯარეს უფლება აქვს გამოაცალკევოს ის მოწყობილობა, რომლითაც მან იჯარით აღებული ქონება აღჭურვა; მეიჯარეს შეუძლია გამოცალკევების უფლება შეცვალოს შესაბამისი ანაზღაურებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოიჯარეს აქვს გამოცალკევებისათვის პატივსადები ინტერესი.

2. შეთანხმება, რომელიც გამორიცხავს მოიჯარის ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ უფლებას, ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ ასეთი შეთანხმება ითვალისწინებს შესაბამის ანაზღაურებას.

საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ მოიჯარეს უფლება აქვს საიჯარო ქონებიდან გამოყოს და თავის მფლობელობაში დატოვოს ის მოწყობილობა, რომელიც მან იჯარის პერიოდში შეიძინა და იჯარით აღებულ ქონებასთან ერთად იყენებდა საიჯარო მეურნეობის წარმართვისას (მაგალითად, ტექნიკა-იარაღები, პირუტყვი,

მარცვლეულის და საერთოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახი მოწყობილობები და სხვა).

თუ მოიჯარის მიერ იჯარის პერიოდში შეძენილი მოწყობილობები, რომლითაც მან იჯარით აღებული ქონება აღჭურვა, საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც ინარჩუნებს თავის დანიშნულებას და მნიშვნელოვნად ზრდის აგრეთვე იჯარით აღებული ქონების საერთო ღირებულებას, მეიჯარეს უფლება აქვს მოიჯარეს უარი უთხრას ასეთი ქონების გამოცალკევებაზე და მოახდინოს მისი კომპენსაცია. ე.ი. მოიჯარეს გადაუხადოს ამ ქონების შესაბამისი ღირებულება. კომპენსაციის უფლება მეიჯარეს არა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს ეწინააღმდეგება მოიჯარის ინტერესებს, ე.ი. იჯარის პერიოდში შეძენილი ქონება მოიჯარეს აუცილებლად ესაჭიროება საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც, საკუთარი მეურნეობის წარმართვისათვის.

მეიჯარეს უფლება აქვს უარი უთხრას მოიჯარეს იჯარის პერიოდში შეძენილი ქონების ანაზღაურებაზე, თუ ამ ქონების ღირებულება მეიჯარისათვის მიუღებელია, ან ეს ქონება მისთვის არ წარმოადგენს აუცილებლობას.

თუ მეიჯარე უარს ეტყვის მოიჯარეს გამოაცალკეოს იჯარის პერიოდში შეძენილი ქონება, რომელსაც საკუთრების უფლებით თვითონ იტოვებს იჯარით გაცემულ ქონებასთან ერთად, ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია აუნაზღაუროს მოიჯარეს ამ ქონების ღირებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში მეიჯარეს არა აქვს უფლება უარი უთხრას მოიჯარეს გამოაცალკეოს ის მოწყობილობა, რომლითაც მან იჯარით აღებული ქონება აღჭურვა.

აღნიშნული მუხლი არ ვრცელდება საიჯარო ქონების იმ ცალკეულ ნაწილებზე (მოწყობილობებზე), რომელთა შეძენა მოიჯარეს ევალებოდა იჯარით აღებული ქონების შევსებისა და საერთოდ მისი ღირებულების აღდგენის მიზნით, კანონისა და სახელშეკრულებო პირობების მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 604. საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების მოთხოვნა

მოიჯარეს შეუძლია მოსთხოვოს მეიჯარეს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება თუ:

ა) მეურნეობის იჯარა მოიჯარის მეურნეობისათვის წარმოადგენს საარსებო საფუძველს;

ბ) მიწის ნაკვეთი სასიცოცხლოდ აუცილებელია მოიჯარის მეურნეობის შესანარჩუნებლად და იჯარის მოშლა, თუნდაც ხელშეკრულების შესაბამისად, მოიჯარისა თუ მისი ოჯახისათვის იმდენად მტკივნეულია, რომ მას არა აქვს გამართლება თვით მოიჯარის პატივსადები ინტერესებითაც კი.

თუ იჯარის ხელშეკრულება დადებულია განსაზღვრული ვადით და ეს ვადა აღემატება სამ წელს, მოიჯარეს უფლება აქვს ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე მიმართოს მეიჯარეს მოთხოვნით საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების შესახებ. ეს მოთხოვნა უნდა იყოს წერილობითი.

მოცემულ მუხლში საყურადღებოა ორი მომენტი: მეურნეობის იჯარა და მიწის ნაკვეთის იჯარა. ამდენად იჯარით აღებულ ქონებას შეიძლება წარმოადგენდეს: ა) მიწის ნაკვეთი; ბ) მიწა და მასთან დაკავშირებული ინვენტარის ცალკეული სახეები (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მოწყობილობები, შენობა-ნაგებობანი და ა.შ.); გ) მთლიანი მეურნეობა, რომელიც შეიძლება არსებობდეს საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობის სახით.

„საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობად ითვლება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს..“ ამდენად, საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობა წარ-

მოადგენს უძრავ-მოძრავი ქონების კომპლექსს. თუ იჯარით აღებულია კომპლექსური ქონება, ანუ საადგილმამულო მეურნეობა და იგი წარმოადგენს მოიჯარის ძირითადი მეურნეობის საარსებო საფუძველს, მაშინ საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს მოიჯარის მეურნეობის საერთოდ მოშლა და ამით თავისთავად მოისპოს მოიჯარის მეურნეობა, როგორც მისი და მისი ოჯახის წევრთა არსებობის ძირითადი წყარო.

თუ მოიჯარის მეურნეობა მოწყობილია, როგორც იჯარით აღებული მეურნეობის, ისე მოიჯარის მფლობელობაში არსებული სხვა ქონების (მიწის ნაკვეთის, ინვენტარის და ა.შ.) საფუძველზე, მაშინ საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტით, შეიძლება მოიშალოს მოიჯარის საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობა, მაგრამ მოიჯარის მფლობელობაში არსებული სხვა ქონების საფუძველზე შენარჩუნებულ იქნეს ჩვეულებრივი მეურნეობა, რომელიც საკმარისი იქნება შემოსავლისა და მოიჯარისა და მისი ოჯახის წევრთა არსებობის წყაროდ.

როგორც უკვე აღინიშნა, იჯარით შეიძლება გადაცემული იყოს აგრეთვე მიწის ნაკვეთი, ან მიწის ნაკვეთი ინვენტართან ერთად, რომელიც წარმოადგენს მოიჯარის მეურნეობის ერთადერთ საფუძველს, ამდენად იგი სასიცოცხლო და აუცილებელია მოიჯარის მეურნეობის შესანარჩუნებლად და იჯარის ხელშეკრულების მოშლა იწვევს მოიჯარის მთლიანი მეურნეობის მოშლას.

თუ მოიჯარის მეურნეობა წარმოადგენს მისი და მისი ოჯახის წევრთა არსებობის ძირითად საშუალებას და მეურნეობისა და მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა იწვევს მოიჯარის მეურნეობის საერთოდ მოშლას, ასეთ შემთხვევაში საიჯარო ურთიერთობის მოშლა, თუნდაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, გაუმართლებელი იქნება და იგი მოიჯარის მოთხოვნით უნდა გაგრძელდეს მეიჯარის მიერ.

მოიჯარის აღნიშნული მოთხოვნა შეიძლება არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებით

მეიჯარე და მისი ოჯახის წევრები უფრო მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ვიდრე მოიჯარე და მისი ოჯახის წევრები. და ამის გამო მეიჯარეს და მისი ოჯახის წევრებს თავად აქვთ სურვილი მართონ მეურნეობა და მიიღონ შემოსავალი. ამდენად, მეიჯარის სხვა პატივსადები ინტერესები, რამაც შეიძლება განაპირობოს მისი უარი მოიჯარის მოთხოვნაზე საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების შესახებ მხედველობაში არ მიიღება. მაგალითად, თუ მეიჯარე უარს ამბობს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებაზე იმის გამო, რომ საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ დაბრუნებული ქონება (მეურნეობა, მიწის ნაკვეთი) იჯარით გადასცეს თავის რომელიმე ახლობელს, ეს არ შეიძლება გახდეს საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 605. საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტა ვადის გასვლის გამო.

საიჯარო ურთიერთობა წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით. სამ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება, შეიძლება გაგრძელდეს განუსაზღვრელი ვადით. თუ ერთი მხარის წინადადებაზე – გაგრძელდეს საიჯარო ურთიერთობა – მეორე მხარე უარს არ იტყვის სამი თვის განმავლობაში. წინადადება და მასზე უარი უნდა გაფორმდეს წერილობით.

თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება დადებულია განსაზღვრული ვადით და არც ერთი მხარე არ დააყენებს მოთხოვნას ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ, მაშინ ხელშეკრულება ძალას კარგავს და საიჯარო ურთიერთობა შეწყდება იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც იგი იყო დადებული.

ხელშეკრულების რომელიმე მხარეს იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დადებულია სამ წელზე მეტი ვადით. მოიჯარის მოთხოვნა ხელშეკრულების ვადის გაგრძელებ-

ის შესახებ, მეიჯარის მიერ აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს, თუ არსებობს 604-ე მუხლის მოთხოვნები. სხვა შემთხვევაში მეიჯარეს შეუძლია არ დააკმაყოფილოს მოიჯარის მოთხოვნა იჯარის ვადის გაგრძელების შესახებ. თუ ხელშეკრულება დადებულია სამ წელზე ნაკლები ვადით (მაგალითად, 2 წლით), ასეთ შემთხვევაში მეიჯარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე მიუხედავად მოიჯარის მოთხოვნის საფუძვლისა.

მეიჯარის მოთხოვნა იჯარის ვადის გაგრძელების შესახებ მოიჯარემ შეიძლება დააკმაყოფილოს მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.

საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების შესახებ, წინადადება დაინტერესებული მხარის მიერ უნდა გაკეთდეს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე.

წინადადება საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების შესახებ, მეორე მხარეს უნდა გაეგზავნოს წერილობით. ამასთან, წინადადების მიმღები ვალდებულია უარი ვადის გაგრძელების შესახებ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამი თვის გასვლის შემდეგ, საიჯარო ურთიერთობა ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 606. საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტა უვადო ხელშეკრულების შემთხვევაში

1. თუ იჯარის ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ხელშეკრულების ყოველ მხარეს შეუძლია, საიჯარო წლის დაწყებიდან არა უგვიანეს ათი დღისა განაცხადოს მომდევნო საიჯარო წლისათვის იჯარის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. საიჯარო წლად ითვლება კალენდარული წელი. თუკი მხარეები შეთანხმდნენ უფრო მცირე ვადაზე, მაშინ საჭიროა ამის წერილობით გაფორმება.

2. **თუ საიჯარო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს კანონით**

დადგენილ ვადაზე ადრე, მაშინ იგი დასაშვებია მხოლოდ საიჯარო წლის დამთავრებისათვის.

იჯარის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს უვადოდ, ე.ი. მხარეთა მიერ არ იყოს მასში მითითებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ასეთი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დაინტერესებულმა მხარემ (მეიჯარემ ან მოიჯარემ) მეორე მხარეს უნდა მიმართოს განცხადებით. განცხადება უნდა გაფორმდეს ახალი საიჯარო წლის დაწყებიდან 10 დღეში. ხოლო ხელშეკრულება შეწყდება მიმდინარე საიჯარო წლის დასასრულს, მომდევნო საიჯარო წლის დაწყებამდე, ე.ი. მომდევნო საიჯარო წლიდან ხელშეკრულება ძალას კარგავს და საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტილად ითვლება. ასეთ შემთხვევაში ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის საფუძველს მეორე მხარისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

საიჯარო წლის ხანგრძლივობა ემთხვევა კალენდარულ წელს. იჯარის ხელშეკრულების მოშლის ზემოაღნიშნული ვადა შეიძლება შეიცვალოს და მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ხელშეკრულების მოშლის უფრო ნაკლებ ვადაზე, ე.ი. საიჯარო ურთიერთობა შეიძლება მოიშალოს არა საიჯარო წლის ბოლოს, არამედ საიჯარო წლის დამთავრებამდე გარკვეული დროით (მაგალითად, 2-3 თვე) ადრე. ასეთი შეთანხმება მხარეთა შორის უნდა გაფორმდეს წერილობით.

წერილობითი ფორმის დაუცველად დადებული ხელშეკრულება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულად. ასეთი ხელშეკრულების შეწყვეტა, კანონის თანახმად, დასაშვებია მხოლოდ იჯარის პირველი წლის დამთავრების შემდეგ. თუ განუსაზღვრელი ვადით დადებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების გაგრძელება რომელიმე მხარის პატივსადები ინტერესების გამო შეუძლებელია, მაშინ საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტა დაუშვებელია პირველი საიჯარო წლის დამთავრებამდე და იგი უნდა შეწყდეს მხოლოდ საიჯარო წლის დასასრულს.

თავი მეშვიდე

ფრენშაიზინგი

მუხლი 607. ცნება

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას.

ფრენშაიზინგი სრულიად ახალი ინსტიტუტია ქართულ სახელშეკრულებო სამართალში. ეტიმოლოგიურად ტერმინი „ფრენშაიზინგი“ ფრანგული „ფრანშიზა“-დან მომდინარეობს, რომელიც „პრივილეგიას“, „შეღავათს“ ნიშნავს, თუმცა ფრენშაიზინგი, როგორც კომერციული საქმიანობის მეთოდი და ხელშეკრულების სპეციფიკური სახეობა, პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოცენდა და აქედან შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ამჟამად იგი მსოფლიოს ოთხმოც ქვეყანაში წარმატებით გამოიყენება.

ფრენშაიზინგის ცნებითი ნიშნები, რომლებიც გადმოცემულია წინამდებარე მუხლში, იმდენად ზოგადი ხასიათისაა, რომ სრულ წარმოდგენას ვერ ქმნიან ამ ინსტიტუტის დანიშნულებაზე, სპეციფიკურ ბუნებასა და გამოყენების სამართლებრივ მექანიზმზე. ამ მხრივ მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ იგი, როგორც აღვნიშნეთ, სრულიად ახალი ინსტიტუტია ჩვენს კანონმდებლობაში და მისი უცხოური სახელწოდებაც ჩვენთვის თითქმის არაფრის მთქმელია. ამიტომ ფრენშაიზინგის ცნების უკეთ გაგებისათვის უპრიანი იქნება გადავხედოთ მისი გამოყენების პრაქტიკას. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების ეს ინსტიტუტი გამოიყენება საქონლის წარმოების, გასაღებისა და მომსახურების თითქმის ყველა სფეროში, განსაკუთრებით ფართოდ კი –

საქონლის გასაღებისა და მომსახურების განხორციელებისას. ამასთანავე, ერთ-ერთ მხარეს, როგორც წესი, წარმოადგენს მსხვილი კომპანია, ხშირად – ტრანსნაციონალური კორპორაცია, რომელიც ბაზარზე სარგებლობს მაღალი საქმიანი რეპუტაციით და გამოირჩევა ძლიერი სამრეწველო ან კომერციული პოტენციალით (მაგალითად, „კოკა-კოლა“, „მაკდონალდსი“, „შერატონი“ და სხვა). ეს კორპორაციები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გააფართოონ თავიანთი წარმოება, განსაკუთრებით კი სხვა ქვეყნებში, თავად (საკუთარი სახსრებით) კი არ ხსნიან საწარმოებს, არამედ სხვის საკუთრებაში არსებულ, დამოუკიდებელ საწარმოებს ხელშეკრულების ვადით გადასცემენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს. ეს უკანასკნელნი თავიდან კი არ იწყებენ ბაზრისათვის ბრძოლას, არამედ მსხვილი კორპორაციების სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნებისა და მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით სწრაფად უზრუნველყოფენ კონკურენტულ გარემოში წარმატების მოპოვებას. ამის გამოა, რომ ლიტერატურაში „ფრენშაიზინგს“ ზოგჯერ „შეღავათიან მეწარმეობას“ უწოდებენ.[1]

მუხლი 608. ფრენშაიზის მიმცემის ვალდებულებანი

1. ფრენშაიზის მიმცემი ვალდებულია ფრენშაიზის მიმღებს წარუდგინოს მის მიერ გამოყენებული ფორმით არამატერიალური ქონებრივი უფლებები, სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები, ნიმუშები, შეფუთვა,საქონლის წარმოების, შეძენის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია, ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა გასაღებისთვის ხელშესაწყობად.

2. ფრენშაიზის მიმცემი ვალდებულია დაიცვას ერთიანი მოქმედების სისტემა მესამე პირების ჩარევებისაგან, განუწყვეტლივ

---

[1] М. Мендельсон. Руководство по франчайзингу, М., 1995, с. 10, 13-40 ფრენშაიზინგის არსისა და როლის შესახებ იხ. ს.ჯორბენაძე. ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, თბილისი, 1999.

განავითაროს იგი და საქმიანი ჩვევების გაზიარებით, ინფორმაციის მიწოდებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით მხარი დაუჭიროს ფრენშაიზის მიმღებს.

წინამდებარე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის, კერძოდ, ფრენშაიზის მიმცემის ვალდებულებებს ხელშეკრულების საგნის გადაცემის თაობაზე.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით ფრენშაიზის მიმცემი უშუალოდ საქონელს ან მომსახურებას კი არ გადასცემს ფრენშაიზის მიმღებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ უფლებებს: სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნებს, სამრეწველო ნიმუშებს, საავტორო უფლებით დაცულ ნაწარმოებებს, ნოუ-ჰაუს, შეფუთვას, აგრეთვე საქონლის წარმოების, შეძენის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფციას და სხვა ინფორმაციას, რომელიც გამოიყენება გასაღებისათვის ხელშესაწყობად.

როგორც ვხედავთ, კოდექსი არ იძლევა ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საგნის ამომწურავ ჩამონათვალს. ამიტომ მასში შეიძლება იგულისხმებოდეს, მაგალითად, კომპიუტერული პროგრამები, მონაცემთა ბაზები, გაფორმება, დიზაინის ელემენტები, უფლებები გამოგონებაზე, სასარგებლო ნიმუშზე და ყოველივე სხვა, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს წარმოადგენენ.

ამასთანავე, ფრენშაიზის მიმცემი ვალდებულია ფრენშაიზის მიმღებს გადასცეს ზემოაღნიშნული უფლებები მის მიერ გამოყენებული ფორმით, რომელიც გულისხმობს საქონლის, მომსახურების, გასაღების, ტექნოლოგიების გამოყენების გარკვეულ სისტემას. ეს სისტემა, თავის მხრივ, მეწარმეობის ამა თუ იმ სფეროში ფრენშაიზის მიმცემის ხანგრძლივი საქმიანობის, დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების შედეგადაა შექმნილი. ფრენშაიზის მიმღები სწორედ ამ სისტემას გადასცემს და მისი გამოყენების უფლებას აძლევს ფრენშაიზის მიმღებს.

ფრენშაიზის მიმცემი ვალდებულია მესამე პირების ჩარევისაგან დაიცვას ერთიანი მოქმედების სისტემა, რომელიც მან ფრენშაიზის მიმღებს გადასცა. ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში შესაძლებელია განისაზღვროს მისი დაცვის ღონისძიებები. ერთიანი მოქმედების სისტემის დაცვა ფრენშაიზის მიმღების ინტერესებშიც უნდა შედიოდეს, რადგანაც სწორედ ამ სისტემის გამოყენების ექსკლუზიური უფლება უქმნის მას პრივილეგირებულ მდგომარეობას კონკურენტებთან შედარებით.

მომხმარებელთა სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით ფრენშაიზის მიმცემი ვალდებულია განუწყვეტლივ განავითაროს და სრულყოს ერთიანი მოქმედების სისტემა. ამასთან, ფრენშაიზის მიმცემმა ფრენშაიზის მიმღებს უნდა გადასცეს ინფორმაცია ერთიანი სისტემის სრულყოფის შესახებ, ხელი შეუწყოს მის დანერგვასა და ათვისებას, მხარი დაუჭიროს ფრენშაიზის მიმღებს კადრების მომზადებაში, კვალიფიკაციის ამაღლებასა და საქმიანი ჩვევების გამომუშავებაში.

მუხლი 609. ფრენშაიზის მიმღების ვალდებულებანი

ფრენშაიზის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური, რომლის ოდენობაც არსებითად გამოითვლება ფრენშაიზინგის სისტემის განხორციელებაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერი მეწარმის გულისხმიერებით აქტიურად განახორციელოს საქმიანობა, მიიღოს მომსახურება და შეიძინოს საქონელი ფრენშაიზის მიმცემის ან მის მიერ დასახელებულ პირთა მეშვეობით, თუკი ეს უშუალო კავშირშია ხელშეკრულების მიზანთან.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება სასყიდლიანია. ამიტომ ფრენშაიზის მიმღების ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს საზღაურის გადახდა ფრენშაიზის მიმცემისათვის. საზღაურის ოდენობა და გადახდის წესი განსაზღვრული უნდა იყოს ხელშეკრულე-

ბაში მხარეთა შეთანხმების შესაბამისად. საზღაურის გამოთვლისას, როგორც წესი, მხედველობაში მიიღება როგორც ფრენშაიზის მიმღების წვლილი ფრენშაიზინგის სისტემის განხორციელებაში, ე.ი. თუ რა მოცულობის ვალდებულებებს იღებს იგი ფრენშაიზინგის სისტემის დანერგვისათვის, ისე ფრენშაიზის მიმცემის საქმიანი რეპუტაცია და სხვა გარემოებები.

ყველაზე მეტად გავრცელებულია საზღაურის გადახდის ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფიქსირებული და პერიოდული გადასახადების შეხამება. ფიქსირებული ანუ ე.წ. „პაუშალური" გადასახადი არის ზუსტად განსაზღვრული ერთიანი თანხა, რომელსაც ფრენშაიზის მიმღები იხდის ხელშეკრულების დადებისთანავე. შეთახმების საფუძველზე შესაძლებელია ამ თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდაც, ხოლო რაც შეეხება პერიოდულ გადასახდელებს ანუ ე.წ. „როიალტს", მას ფრენშაიზის მიმღები იხდის ანარიცხების სახით, რომელიც გამოითვლება საქონლის (მომსახურების) ბრუნვის გარკვეული პროცენტის მიხედვით.

ფრენშაიზის მიმღები ვალდებულია სრულად განახორციელოს ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები, აქტიურად და კეთილსინდისიერად გაუძღვეს სამეურნეო საქმიანობას და უზრუნველყოს საქონლის ან მომსახურების ხარისხის ის დონე, რომელიც გააჩნია ფრენშაიზის მიმცემს ამ სფეროში. ეს, უწინარეს ყოვლისა, შედის მისი, როგორც ახალი საქმიანობის დამწყები მეწარმის ინტერესებში. არანაკლები მნიშვნელობა აქვს მას ფრენშაიზის მიმცემისთვისაც, რადგანაც მისი საქმიანი რეპუტაცია, მის საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნილების შენარჩუნება თუ გაზრდა მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ფრენშაიზის მიმღების კეთილსინდისიერებასა და მონდომებაზე.

სამოქალაქო კოდექსის წინამდებარე მუხლით გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული ფრენშაიზის მიმღებისათვის ხელშეკრულებათა დადების თავისუფლების თვალსაზრისით. კერძოდ, თუ, მაგალითად, ფრენშაიზის მიმღებს ესაჭიროება ესა თუ ის ნედლეული

საქონლის დასამზადებლად, მაშინ მან ნედლეული უნდა შეიძინოს ან ფრენშაიზის მიმცემისაგან ან მის მიერ დასახელებული პირის მეშვეობით მიუხედავად იმისა, რომ სხვა პირებისაგან ანალოგიური ნედლეულის შეძენა მისთვის შესაძლებელია უფრო იაფი იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ ფრენშაიზის მიმღების ეს ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ იმ გარიგებებზე, რომლებიც უშუალო კავშირშია ფრენშაიზინგის ხელშეკრულების მიზანთან.

მუხლი 610. განდობილი ინფორმაციის შენახვის ვალდებულება

ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა დაუფარავად და სრულყოფილად უნდა გააცნონ ერთმანეთს ფრენშაიზინგთან დაკავშირებული საქმის გარემოებანი, განსაკუთრებით კი — ფრენშაიზინგის სისტემა და ერთმანეთს კეთილსინდისიერად მისცენ ინფორმაცია. ისინი ვალდებულნი არიან არ გათქვან მათთვის განდობილი ინფორმაცია მაშინაც კი, როცა ხელშეკრულება არ დაიდება.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების დადებას წინ უძღვის მხარეთა ძოლაპარაკება ფრენშაიზინგის სისტემისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების თაობაზე. ფრენშაიზის პოტენციური მიმცემი ვალდებულია ამომწურავი და ნამდვილი ინფორმაცია მიაწოდოს ფრენშაიზის პოტენციურ მიმღებს თავის სამეურნეო, ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვა მდგომარეობაზე, გააცნოს დოკუმენტები და შეუქმნას მას რეალური წარმოდგენა იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელიც გაუჩნდება ფრენშაიზის მიმღებს ხელშეკრულების დადების შემთხვევაში. იგივე ვალდებულება ეკისრება ფრენშაიზის პოტენციურ მიმღებსაც. ბუნებრივია, მოლაპარაკებების დროს მხარეები აცნობენ ერთმანეთს ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც კონფიდენციალურია და კომერციული საიდუმლოების შემცველია. ამ ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს მეწარმეს. ამიტომ არის, რომ სამოქალაქო კოდექსის წინამდებარე

მუხლი მოითხოვს, ერთის მხრივ, მხარეებმა კეთილსინდისიერად მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია სისტემის შესახებ, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონტრაჰენტის შეცდომაში შეყვანა და, მეორე მხრივ, არ გათქვან მათთვის განდობილი კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია მაშინაც კი, როცა ხელშეკრულება არ დაიდება.

გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, ასეთი მოლაპარაკებების დროს ხდება კონფიდენციალურობაზე წინასწარი ხელშეკრულების დადება. ამ ხელშეკრულებით მხარეები კისრულობენ ვალდებულებას საიდუმლოდ შეინახონ ის ინფორმაცია, რომელიც მეორე მხარემ გაანდო მოლაპარაკების დროს ფრენშაიზინგის ხელშეკრულების დადებამდე. თუ მოლაპარაკებას ხელშეკრულების დადება არ მოჰყვა, მხარეები ვალდებულნი არიან მიღებული ინფორმაცია არ გაავრცელონ და შეინახონ როგორც კომერციული საიდუმლოება.[1] ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია იურიდიული პასუხისმგებლობის ზომები კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ გავრცელებისათვის (მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლი).

მუხლი 611. ხელშეკრულების ფორმა

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება ნამდვილობისათვის საჭიროებს წერილობით ფორმას. გარდა მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების, ხელშეკრულების ხანგრძლივობის მოშლის ან ვადის გაგრძელებისა და ხელშეკრულების სხვა არსებითი ელემენტების თვალნათლივ აღნიშვნისა, მხარეებმა ხელშეკრულების ტექსტში უნდა შეიტანონ ფრენშაიზინგის სისტემის სრულყოფილი აღწერა.

სამოქალაქო კოდექსის წინამდებარე მუხლი ითვალისწინებს

1 იხ. ს.ჯორბენაძე. მით. ნაშრომი, გვ.18

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების გაფორმების სპეციალურ მოთხოვნებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. წერილობითი ფორმის დაუცველობა გამოიწვევს ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ბათილობას (იხ.სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლი).

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების შინაარსი ბევრადაა დამოკიდებული მხარეების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, ფრენშაიზინგის საგანზე, კერძოდ, ფრენშაიზინგის ხელშეკრულება შეეხება საქონლის წარმოებას, გასაღებასა თუ მომსახურების მიწოდებას, აგრეთვე სხვა გარემოებებზე, თუმცა ყველა შემთხვევაში, ამ მუხლის თანახმად, ხელშეკრულებაში მკაფიოდ უნდა აღინიშნოს მხარეთა ორმხრივი ვალდებულებები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულების მოშლის ან ვადის გაგრძელებისა და სხვა არსებითი პირობები. თუ რომელი პირობა ჩაითვლება არსებითად, ამაზე პასუხს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი იძლევა, კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეული უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. სამოქალაქო კოდექსის 611-ე მუხლი, მაგალითად, ფრენშაიზინგის ხელშეკრულების კანონისმიერ არსებით პირობად მიიჩნევს ხელშეკრულების ტექსტში ფრენშაიზინგის სისტემის სრულყოფილ აღწერას. ამიტომ ფრენშაიზინგის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, თუ მხარეები წერილობით შეთანხმდებიან ხელშეკრულების იმ პირობებზე, რომლებსაც ისინი მიიჩნევენ არსებითად და, ამავე დროს, თუკი ხელშეკრულებაში სრულყოფილად იქნება გადმოცემული ფრენშაიზინგის კონკრეტული სისტემა.

მუხლი 612. ხელშეკრულების ხანგრძლივობა

1. ხელშეკრულების ხანგრძლივობა განისაზღვრება მხარეთა მიერ იმ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია მოცემული საქონლისა და მომსახურების გასაღებისათვის.

2. თუ ხელშეკრულების ხანგრძლივობა აღემატება ათ წელს, ყოველი მხარე უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება მოშლისთვის აუცილებელი ერთწლიანი ვადის დაცვით. თუ არც ერთი მხარე არ იყენებს ხელშეკრულების მოშლის ამ უფლებას, ხელშეკრულება გაგრძელდება ორი წლით. ვადის გასვლის გამო ან მხარეთა ინიციატივით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში მხარეები უნდა შეეცადონ საქმიანი ურთიერთობების ფაქტობრივ დამთავრებამდე ურთიერთნდობის პრინციპების დაცვით გააგრძელონ ხელშეკრულება იმავე ან შეცვლილი პირობებით.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ხანგრძლივობის ვადები სამოქალაქო კოდექსით დადგენილი არ არის. ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, როგორც ეს სამოქალაქო კოდექსის 607-ე მუხლშია აღნიშნული, გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა. ამ ხელშეკრულების გრძელვადიანობა, უწინარეს ყოვლისა, გამომდინარეობს მისი საგნის სპეციფიკიდან და მხარეთა უფლება-მოვალეობების თავისებურებებიდან. საქონლის წარმოების, გასაღებისა თუ მომსახურების სფეროში ფრენშაიზინგის სისტემის გადაცემა, განხორციელება და განვითარება, როგორც წესი, დიდ დროს მოითხოვს. ამ დროში, რა თქმა უნდა, იგულისხმება ისიც, რომ ფრენშაიზის მიმღების მიერ განხორციელებულმა დანახარჯებმა გარკვეული მოგებაც უნდა მოიტანოს. ასეთ ვადად, პრაქტიკიდან გამომდინარე, მიჩნეულია, ათი წელი მაინც. თუმცა, წინამდებარე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხოლოდ მხარეები განსაზღვრავენ ხელშეკრულების მოქმედების ვადას იმ მოთხოვნილებათა გათვალ-

ისწინებით, რომლებიც საჭიროა ფრენშაიზინგის კონკრეტული ხელშეკრულების სრულყოფილად განხორციელებისათვის. ხელშეკრულების ვადის გაგრძელების პირობები სამოქალაქო კოდექსის 611-ე მუხლის თანახმად მხარეების მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს თავად ხელშეკრულებაში.

თუ ხელშეკრულების ვადა აღემატება ათ წელს, მაშინ მისი მოშლა შეიძლება ათი წლის გასვლიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო, თუ ამ უფლებას არც ერთი მხარე არ გამოიყენებს, ხელშეკრულება გაგრძელდება კიდევ ორი წლით. ხელშეკრულების მოშლისას მხარეებმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა იზრუნონ საქმიანი ურთიერთობების ფაქტობრივი დამთავრებისათვის, საამისოდ საჭირო ვადაში ისინი უნდა შეეცადონ ურთიერთნდობის პრინციპით გააგრძელონ ხელშეკრულება იმავე ან შეცვლილი პირობებით.

მუხლი 613. ლოიალური კონკურენცია

1. სახელშეკრულებო ურთიერთობების დამთავრების შემდეგაც მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს გაუწიონ ლოიალური კონკურენცია. ამ ფარგლებში ფრენშაიზის მიმღების მიმართ შეიძლება დაწესდეს განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში კონკურენციის აკრძალვა, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ წელს.

2. თუ კონკურენციის აკრძალვამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას პროფესიულ საქმიანობას, ფრენშაიზის მიმღებს უნდა მიეცეს შესაბამისი ფინანსური კომპენსაცია, მიუხედავად ხელშეკრულების ვადის დამთავრებისა.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ მხარეთა შორის ურთიერთობები მომენტალურად არ წყდება. მათ, როგორც დამოუკიდებელ მეწარმე სუბიექტებს, რომლებიც იდენტურ სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდნენ, სახელშეკრულებო ურთიერთობებ-

ის შეწყვეტის შემდეგაც რჩებათ გარკვეული მოვალეობები ერთმანეთის მიმართ, კერძოდ, ისინი ვალდებულნი არიან ერთმანეთს გაუწიონ ლოიალური კონკურენცია. ამისათვის, კანონის თანახმად, ფრენშაიზის მიმღებს ერთ წლამდე ვადით შეიძლება დაუწესდეს გარკვეულ ტერიტორიაზე კონკურენციის აკრძალვა. ტერიტორიის ფარგლებს განსაზღვრავს ფრენშაიზის მიმცემი იმ არეალის მიხედვით, რომელსაც მოიცავდა ფრენშაიზის მიმღების სამეწარმეო საქმიანობა (საქონლის გასაღება, მომსახურების გაწევა).

ამასთანავე, თუ აღმოჩნდება, რომ კონკურენციის ამგვარი აკრძალვა საფრთხეს შეუქმნის ფრენშაიზის მიმღების პროფესიულ საქმიანობას, მაშინ ფრენშაიზის ყოფილი მიმცემი ვალდებულია შესაბამისი ფინანსური კომპენსაცია მისცეს ფრენშაიზის ყოფილ მიმღებს.

მუხლი 614. ფრენშაიზის მიმცემის პასუხისმგებლობა

ფრენშაიზის მიმცემი პასუხს აგებს ფრენშაიზის სისტემით გათვალისწინებული უფლებებისა და ინფორმაციისათვის. თუ იგი ბრალეულად არღვევს სახელშეკრულებო ვალდებულებას, ფრენშაიზის მიმღები უფლებამოსილია შეამციროს საზღაური. შემცირების ოდენობა საბოლოოდ უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნით, რომლის ხარჯებიც ეკისრებათ მხარეებს.

ფრენშაიზის მიმცემი პასუხისმგებელია ფრენშაიზინგის სისტემით გათვალისწინებული უფლებებისა და ინფორმაციის ნამდვილობისათვის. საქმე ისაა, რომ ფრენშაიზინგის ხელშეკრულების დადებისას ხშირია შემთხვევები, როდესაც ფრენშაიზინგის მიმცემი მოქმედებს არაკეთილსინდისიერად და მისთვის ხელსაყრელი პირობებით ხელშეკრულების დადების მიზნით შეცდომაში შეჰყავს კონტრაჰენტი ფრენშაიზინგის სისტემის თაობაზე. არასწორი ინფორმაციის მიწოდება შემდგომში შესაძლებელია ფრენშაიზინგის ხელშეკ-

რულების მოშლის საფუძველი გახდეს და ფრენშაიზის მიმცემს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

ფრენშაიზის მიმცემის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში ფრენშაიზის მიმღებს უფლება აქვს შეამციროს ხელშეკრულებით დადგენილი საზღაური. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, მაშინ საზღაურის შემცირების ოდენობის საბოლოოდ განსაზღვრისათვის ისინი დასკვნისათვის მოიწვევენ დამოუკიდებელ ექსპერტს, რომლის ხარჯებსაც ორივე მხარე აანაზღაურებს. აქ უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზღაურის შემცირების უფლებამოსილება ფრენშაიზის მიმღებს წარმოეშობა ფრენშაიზის მიმცემის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების არა ყოველი დარღვევისათვის, არამედ მხოლოდ ბრალეული დარღვევისათვის.

თავი მერვე

თხოვება

მუხლი 615. ცნება

თხოვების ხელშეკრულებით გამნათხოვრებელი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს მონათხოვრეს ქონება დროებით უსასყიდლო სარგებლობისათვის.

თხოვების ხელშეკრულებაში ორი მხარე მონაწილეობს – გამნათხოვრებელი და მონათხოვრე. როგორც ერთის ისე მეორის როლში შეიძლება გამოვიდეს სამოქალაქო სამართლის ნებისმიერი სუბიექტი. გამნათხოვრებელი ის პირია, რომელსაც საკუთარი ქონება დროებით არ სჭირდება. მონათხოვრე შეიძლება იყოს ის, ვისაც ასეთი ქონება არ გააჩნია და სურს დროებით, სხვისი ქონებით დაიკმაყოფილოს მასზე მოთხოვნილება. ეს კი შესაძლებელია გამ-

ნათხოვრებელსა და მონათხოვრეს შორის შეთანხმების მიღწევის საფუძველზე. მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით გამნათხოვრებელი გადასცემს ქონებას მონათხოვრეს დროებითი სარგებლობისათვის, ხოლო მონათხოვრე სარგებლობის ვადის დამთავრების შემდეგ უკან აბრუნებს ნათხოვარ ქონებას.

თხოვების ხელეკრულება არ მიეკუთვნება სამოქალაქო სამართლის მთავარ ხელშეკრულებათა რიცხვს. ეს იმითაა განპირობებული, რომ საბაზრო მეურნეობის პირობებში ფულად-სასაქონლო ურთიერთობა უმეტესად ანაზღაურებითი და ეკვივალენტური ხასიათისაა. თხოვება უმეტესად ცალკეულ პირებს შორის საყოფაცხოვრებო ხასიათის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დამატებით საშუალებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, იგი ფართოდაა გავრცელებული და სამართლებრივი რეგულირება მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს.

თხოვების ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს მესაკუთრის მიერ სხვა პირისათვის ქონების გადაცემა სარგებლობის უფლებით. არ შეიძლება ქონების საკუთრებაში გადაცემა. უფრო მეტიც, გადაცემული ქონებით სარგებლობაც კი შეზღუდულია ქონების დანიშნულებისამებრ გამოყენების ფარგლებით.

ქონებით სარგებლობის უფლება ერთიდან მეორე პირზე გადადის არა მუდმივად, არამედ განსაზღვრული დროით. ქონების მუდმივ სარგებლობაში გადაცემა გამორიცხულია, რადგან ეს მესაკუთრის მიერ საკუთრების უფლების დაკარგვას ნიშნავს. დროებითი სარგებლობის შინაარსიდან გამომდინარეობს მესაკუთრის უფლება — მოითხოვოს თავისი ქონების იმავე სახითა და მდგომარეობით დაბრუნება, როგორითაც გაიცა იგი. მონათხოვრემ უნდა დააბრუნოს იგივე ქონება და არა მისი მსგავსი იმავე ოდენობისა ან გადაცემული ქონების ღირებულება.

თხოვების ხელშეკრულების ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მისი აუნაზღაურებელი ხასიათი. სარგებლობაში გადაცემული ქონებისათვის მონათხოვრეს საზღაურის გადახდა

არ ეკისრება. თხოვების ხელშეკრულების ობიექტი უმეტესად ნივთის სახეს ატარებს. შესაძლებელია აგრეთვე იგი იყოს ქონებრივი ხასიათის უფლება. განათხოვრება შეიძლება მოუხმარი და ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთისა. ეს განპირობებულია სარგებლობის შემდეგ იგივე ნივთის დაბრუნების აუცილებლობით. თხოვების ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც მოძრავი ისე უძრავი ქონება. ყოფით ურთიერთობაში უმეტესად მოძრავი ნივთების განათხოვრება ხდება. მათ მიეკუთვნება როგორც სულიერი, ისე უსულო საგნები: საოჯახო ნივთები, ტანსაცმელი, სამკაული, შინაური და გარეული ცხოველები, ეგზოტიკური ფრინველები და სხვ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თხოვება კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში. ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის ბიბლიოთეკების მიერ მოქალაქეებისათვის წიგნების თხოვების, გამოფენების მოსაწყობად ცალკეული ექსპონატების, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და სპორტული ინვენტარის უფასო სარგებლობაში გადაცემის შესახებ და სხვ. რაც შეეხება უძრავ ქონებას, იგი შედარებით იშვიათად ხდება თხოვების ხელშეკრულების საგანი. მას უმეტესად ადგილი აქვს იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობაში. თუმცა შესაძლებელია ფიზიკურ პირებს შორისაც დაიდოს თხოვების ასეთი ხელშეკრულება, მაგალითად, როცა მესაკუთრე თავის აგარაკს ნათესავს ან მეგობარს უფასოდ გადასცემს დროებით სარგებლობაში.

თხოვებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა უმრავლესობის სამართლებრივ რეგულირებასთან ერთად შესაძლებელია ზოგიერთი ურთიერთობა, თავისი მცირე მნიშვნელობის ან დროის მოკლე მონაკვეთში არსებობის გამო, არ ატარებდეს სამართლებრივ ხასიათს. მაგალითად, ოჯახის წევრებს შორის ტანსაცმლის ან სტუდენტებს შორის ლექციის კონსპექტის თხოვება და სხვ. ასეთ ურთიერთობათა რეგულირება ზნეობრივი ნორმებით უფრო ეფექტურ ხასიათს ატარებს.

კანონით განსაზღვრული არ არის თხოვების ხელშეკრულების

ფორმა. ამიტომ შესაძლებელია მისი დადება როგორც ზეპირად, ისე წერილობით. ზეპირი ხელშეკრულების დადებისას მისი ნამდვილობა შეიძლება დადგინდეს მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე. წერილობითი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება მხარეთა შეხედულებაზეა დამოკიდებული. წერილობითი ფორმით ხელშეკრულება უმეტესად მაშინ იდება, როცა უძრავი ნივთების განათხოვრება ხდება ან ხელშეკრულება იდება იურიდიული პირების მონაწილეობით. კანონით არც ხელშეკრულების ვადაა განსაზღვრული. მისი განსაზღვრა ხდება მხარეების მიერ. ეს მათი უფლებაა და არა მოვალეობა. შესაძლებელია ხელშეკრულებაში საერთოდ არაფერი იყოს ნათქვამი ვადის შესახებ. მხარეებს ასეთ შემთხვევაში შეუძლიათ მოითხოვონ ვადის შეწყვეტა ნებისმიერ დროს. თხოვების ხელშეკრულება რეალური ხასიათისაა. არ შეიძლება მის კონსენსუალურობაზე მსჯელობა. აქედან გამომდინარე, თხოვების ხელშეკრულება ცალმხრივია და არა ორმხრივი.

მუხლი 616. გამნათხოვრებლის პასუხისმგებლობა

გამნათხოვრებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის.

გამნათხოვრებლის უფლება – უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს სხვას ნივთი ან ქონებრივი ხასიათის რომელიმე უფლება – დატვირთულია მისი მოვალეობით იმის შესახებ, რომ გადასაცემი უფლება უხარვეზო უნდა იყოს, ხოლო ნივთი კი – უნაკლო. ეს აპრიორი გამომდინარეობს კანონის მოთხოვნიდან იმის შესახებ, რომ თუ ასეთ რამეს ექნება ადგილი, მაშინ გამნათხოვრებელს დაეკისრება მონათხოვრისათვის ხარვეზიანი უფლების ან ნაკლიანი ნივთის გადაცემით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ამასთანავე, კანონი ადგენს გამნათხოვრებლის პასუხისმგებლობის ერთ-ერთ აუცილებელ და მთავარი საფუძვლის – ბრალის ხარისხს.

პასუხისმგებლობა დადგება მხოლოდ მაშინ, თუ გამნათხოვრებელმა მონათხოვრეს ზიანი მიაყენა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. სხვა შემთხვევაში გამნათხოვრებლის პასუხისმგებლობა არ დადგება.

მუხლი 617. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ნივთის ნაკლის დაშვარვის გამო

თუ გამნათხოვრებელი შეგნებულად არ უმხელს მონათხოვრეს უფლების ხარვეზს ან ნათხოვარი ნივთის ნაკლს, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

განსახილველ მუხლში ყურადღებაა გამახვილებული გამნათხოვრებლის მიერ მონათხოვრისათვის შეგნებულად ზიანის მიყენების ზოგად საფუძვლებზე და ამისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის აუცილებლობაზე. ეს ზოგადი დებულებანი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცალკეული კონკრეტული ვითარების შეფასების დროსაც. კანონში პირდაპირაა მითითებული, რომ თუ გამნათხოვრებელი შეგნებულად არ უმხელს მონათხოვრეს უფლების ხარვეზს ან ნათხოვარი ნივთის ნაკლს, მაშინ ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება აუცილებლად უნდა დაეკისროს მას. იგივე შეიძლება ითქვას მაშინაც, როდესაც გამნათხოვრებელი განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით აკლებს გასანათხოვრებელ ქონებას განსაზღვრულ ნაწილს, რადგან ასეთმა დაკლებამ შეიძლება მონათხოვრის ქონებრივი ზიანი გამოიწვიოს. მსგავს შემთხვევებში სახეზეა გამნათხოვრებლის არამართლზომიერი და ბრალეული ქმედობა. ამიტომ პასუხისმგებლობა მას უნდა დაეკისროს. სხვა შემთხვევაა, როცა მართალია, უფლებას ხარვეზი ან ნივთს ნაკლი გააჩნია, მაგრამ ამის შესახებ გამნათხოვრებელმა გააფრთხილა მონათხოვრე და ეს უკანასკნელი თანახმაა ამ სახით მიიღოს იგი. ამ დროს მონათხოვრისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება გამნათხოვრებელს არ დაეკისრება.

გამნათხოვრებლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვალეობას წარმოადგენს მონათხოვრისათვის ნივთთან ერთად, მასთან დაკავშირებული და აუცილებელი დოკუმენტებისა და საკუთვნებლის გადაცემა. სათადარიგო ნაწილის, გასაღების, ინსტრუქციის ან ტექნიკური პასპორტის გადაუცემლობამ შეიძლება აზრი დაუკარგოს თხოვების შინაარსს. ამ მოვალეობის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ნათხოვარი ნივთის არადანიშნულებისამებრ გამოყენება ან საერთოდ გამოუყენებლობა. ამიტომ, ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაშიც მონათხოვრისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის დაყენება.

მონათხოვრეს, რომელმაც ნათხოვარი ნივთის ნაკლი აღმოაჩინა, უფლება აქვს მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, გამოიყენოს რამდენიმე შესაძლებლობა. კერძოდ: მოთხოვოს გამნათხოვრებელს აღმოჩენილი ნაკლის აუნაზღაურებლად გამოსწორება; თვითონ გამოასწოროს ნაკლი და გამნათხოვრებლისაგან მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება; მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და რეალური ზიანის ანაზღაურება. გამნათხოვრებლის პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ აღმოჩენილი ნაკლის შეტყობინებისას იგი დაუყოვნებლივ შეცვლის ნაკლიან ნივთს, სხვა ანალოგიური და სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში არსებული ქონებით. გამნათხოვრებელი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ ნაკლი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ხელშეკრულების დადებისას ჩატარებული ან გადაცემისას მომხდარი დათვალიერების დროს. შემდგომ პერიოდში ნაკლის აღმოჩენა მონათხოვრის უყურადღებობასა და დაუდევრობაზე მეტყველებს და არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამნათხოვრებლის პასუხისმგებლობას.

გამნათხოვრებელი ვალდებულია გააფრთხილოს მონათხოვრე იმის შესახებ, თუ განანათხოვრებელი ნივთი სხვა პირის უფლებითაა დატვირთული. ასეთი ნივთი თავის სტატუსს ინარჩუნებს მონათხოვრის ხელშიც. ამიტომ მონათხოვრისათვის სულერთი არაა, მა-

გალითად, ნათხოვარი ნივთი დაგირავებულია თუ არა. ამიტომ, თუ გამნათხოვრებელი მონათხოვრეს არ აცნობებს ნივთზე მესამე პირთა უფლებების შესახებ, ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და ამის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 618. ნათხოვარი ნივთით მიზნობრივი სარგებლობა

მონათხოვრეს არ შეუძლია ნათხოვარი ნივთით სხვაგვარად ისარგებლოს, ვიდრე ეს ხელშეკრულებითაა განსაზღვრული. მას არა აქვს უფლება ნივთი სარგებლობისათვის გადასცეს მესამე პირს გამნათხოვრებლის თანხმობის გარეშე.

ნათხოვარი ნივთის სარგებლობაში გადაცემა გულისხმობს მის გამოყენებას უშუალოდ მონათხოვრის მიერ და იმ მიზნისათვის, რაც ხელშეკრულებითაა განსაზღვრული. ნათხოვარი ნივთის სხვა პირისათვის სარგებლობაში გადაცემა დაუშვებელია და ეწინააღმდეგება სარგებლობის ცნებას. მონათხოვრის მიერ ნათხოვარი ნივთის სხვისთვის გადაცემა განკარგვას ნიშნავს. ამ წესიდან შეიძლება გამონაკლისის დაშვება. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა მონათხოვრე გამნათხოვრებლის თანხმობით სხვა პირს გადასცემს ქონებას სარგებლობაში. ამ დროსაც დაცული უნდა იქნეს ნათხოვარი ქონების დანიშნულებისამებრ გამოყენების პრინციპი. მონათხოვრის მიერ სხვა პირისათვის გამნათხოვრებლის ნებართვით ნივთის სარგებლობაში გადაცემა უნდა გახდეს უსასყიდლოდ. ამისათვის აუცილებელია ხელშეკრულების დადება მონათხოვრესა და მესამე პირს შორის. მონათხოვრე მესამე პირთან ურთიერთობაში გამნათხოვრებლის როლში გამოდის, მესამე პირი კი — მონათხოვრისა. მაგალითად, ბიბლიოთეკებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ერთ ბიბლიოთეკას, რომელიც მეორესთან მიმართებაში მონათხოვრის როლში გამოდის, ამ უკანასკნელისაგან მიღებული

წიგნები შეიძლება ათხოვოს მესამე პირს, რომლის მიმართაც იგი გამნათხოვრებელს წარმოადგენს. სხვა პირისათვის ნივთის სარგებლობაში გადაცემა მონათხოვრის მიერ იმავე პირობებით უნდა მოხდეს, როგორითაც მიიღო იგი მან გამნათხოვრებლისაგან. ძირითადი ხელშეკრულების გამნათხოვრებელი არავითარ სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფება დამატებითი ხელშეკრულების მონათხოვრესთან. მესამე პირისათვის ნივთის სარგებლობაში გადაცემის ყველა შემთხვევაში ნივთის მესაკუთრის ან მასზე უფლებამოსილი პირის წინაშე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება მონათხოვრეს, როგორც მის უშუალო კონტრაგენტს. მესაკუთრეს უფლება აქვს განათხოვრებული ნივთი გაასხვისოს ან სასყიდლიან სარგებლობაში გადასცეს სხვა პირს. ასეთ შემთხვევაში ახალი მესაკუთრე ან ნივთით მოსარგებლე თხოვებასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში გამნათხოვრებლის ადგილს იჭერს და მასზე გადადის თხოვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები. აქედან გამომდინარე, მისი უფლებები ნივთის მიმართ დატვირთული იქნება მონათხოვრის უფლებებით. სხვა პირზე საკუთრების უფლების ან ნივთის სხვა პირზე სასყიდლიან სარგებლობაში გადასვლა არავითარ შემთხვევაში არ აკნინებს მონათხოვრის უფლებებს. იგი კვლავაც რჩება ნათხოვარი ნივთის უსასყიდლო მოსარგებლედ. თხოვებასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლის შემთხვევაშიც ნათხოვარი ნივთით სარგებლობის დადგენილი წესის დარღვევა, თუ ამან გამოიწვია მისი დაზიანება, ახალ კრედიტორს უფლებას აძლევს მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ყველა შემთხვევაში — ნივთის დაბრუნება.

მუხლი 619. ჩვეულებრივი ხარჯის გაწევის ვალდებულება

1. მონათხოვრემ უნდა გასწიოს ნათხოვარი ნივთის მოვლისათვის საჭირო ჩვეულებრივი ხარჯები.

2. გამნათხოვრებლის მოვალეობა სხვა ხარჯების ანაზღაურე-

ბის თაობაზე განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესებით.

მონათხოვრის მნიშვნელოვან მოვალეობას წარმოადგენს ნათხოვარი ნივთის მოვლა-პატრონობა. მან იგი უნდა დაიცვას გაფუჭებისაგან და იზრუნოს იმისათვის, რომ მისგან შეუფერხებლად შეიძლებოდეს სარგებლის მიღება. მართალია, კანონი კონკრეტულად არ განსაზღვრავს ასეთ პირობებს, მაგრამ მხარეებს აძლევს შესაძლებლობას თვითონ განსაზღვრონ ისინი. თუ ხელშეკრულებაშიც კონკრეტული არაფერია ნათქვამი, მაშინ საყოველთაოდ მიღებული წესების დაცვაა სავალდებულო. მონათხოვრე ვალდებულია განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინოს ნათხოვარი ნივთის მიმართ. მისი გაფუჭება იწვევს მონათხოვრის ქონებრივ პასუხისმგებლობას. გამნათხოვრებელს უფლება აქვს მოითხოვოს ნივთის დაბრუნება მისი ღირებულების შემცირების თანხის გადახდით ან ნივთის მთლიანი ღირებულება გაფუჭებული ნივთის მონათხოვრისათვის დატოვებით. ნივთის გაფუჭება ან დაღუპვა დაუძლეველი ძალის მოქმედების დროს, როცა სახეზე არ არის მონათხოვრის ბრალი, მის პასუხისმგებლობას არ იწვევს.

ნათხოვარი ნივთის გაფუჭების თავიდან აცილება მისი კარგი მოვლითაა შესაძლებელი. სწორედ ამიტომაა კანონით დადგენილი ის, რომ მონათხოვრემ უნდა გასწიოს ნათხოვარი ნივთის მოვლისათვის საჭირო ჩვეულებრივი ხარჯები. ასეთ ხარჯებში იგულისხმება მიმდინარე ხარჯები. მაგალითად, მანქანა-იარაღების ექსპლუატაციის ან პირუტყვის კვების ხარჯები და სხვ. მიმდინარე ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მონათხოვრეს არა აქვს. რაც შეეხება სხვა ხარჯებს, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია და კაპიტალური ხასიათი გააჩნიათ, მაგალითად, აგარაკის კაპიტალური რემონტი ან ნათხოვარი ავტომანქანისათვის ძრავის გამოცვლა და სხვა, მისი გაწევა უნდა მოხდეს იმ ნორმების საფუძველზე, რომლებიც ეხება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებ-

ის რეგულირებას. კაპიტალური ხარჯების გაწევა მონათხოვრეს არ ეკისრება და მხოლოდ თავისი ინიციატივის საფუძველზე შეიძლება გაიღოს. ასეთ შემთხვევაში მან საქმე კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს. ამასთან, შემსრულებელი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე აცნობოს გამნათხოვრებელს, რომ იკისრა განსაზღვრულ სამუშაოთა შესრულება. მონათხოვრე დაწყებულ სამუშაოს ასრულებს მანამ, ვიდრე გამნათხოვრებელს არ შეეძლება თვითონ ჩაებას შესრულებაში. შესაძლებელია აგრეთვე მხარეთა შეთანხმებით მონათხოვრემ გააგრძელოს საქმე გამნათხოვრებლის აქტიური ჩარევის გარეშე. ასეთ შემთხვევაში მონათხოვრე ვალდებულია წარუდგინოს გამნათხოვრებელს ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ და გადასცეს მას ყველაფერი, რაც შესრულების შედეგად მიიღო. მონათხოვრეს, თავის მხრივ, უფლება აქვს მოითხოვოს იმ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც საქმის გარემოებიდან გამომდინარე, აუცილებლადაა მიჩნეული. მონათხოვრეს არა აქვს უფლება მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ სამუშაოს შესრულება ეწინააღმდეგება გამნათხოვრებლის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს.

მუხლი 620. ნათხოვარი ნივთის ცვეთა

ნათხოვარი ნივთის ცვლილებებისა თუ გაუარესებისათვის მონათხოვრე პასუხს არ აგებს, თუკი ეს გამოწვეულია ხელშეკრულების შესატყვისი სარგებლობით.

ნათხოვარი ნივთით სარგებლობისას შესაძლებელია და ეს ბუნებრივიცაა, რომ მოხდეს მისი ცვეთა. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს ნივთის გარეგნული ან შინაგანი ცვლილება ანდა მისი გაუარესება და სამეურნეო დანიშნულების შემცირება. მსგავს შემთხვევებში მონათხოვრის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, თუ ნივთის გამოყენება ეწინააღმდეგება ხელშეკრულებით გათვალ-

ისწინებულ პირობებს. სხვა შემთხვევაში ცვეთა ითვლება ბუნებრივად და არ შეიძლება ამისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს მონათხოვრეს.

მუხლის 621. ნათხოვარი ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება

1. მონათხოვრე მოვალეა თხოვების ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ნათხოვარი ნივთი უკან დააბრუნოს.

2. თუ ხელშეკრულებით ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ გამნათხოვრებელს შეუძლია ნივთი დააბრუნოს გამიზნული სარგებლობისათვის საჭირო დროის გასვლის შემდეგ. ხოლო, თუკი მიზანი არ არის განსაზღვრული, მაშინ მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მისი დაბრუნება.

3. მონათხოვრეს შეუძლია ნივთი ნებისმიერ დროს დააბრუნოს უკან.

ნათხოვარი ნივთის უკან დაბრუნება თხოვების ხელშეკრულების შეწყვეტის ძირითად საფუძველს წარმოადგენს. აქ იგულისხმება არა მარტო ნივთის, არამედ ქონებრივი უფლების დაბრუნებაც. ჩვეულებრივ, თხოვების ხელშეკრულებით განისაზღვრება ქონების დაბრუნების ვადა. ზოგჯერ, შესაძლებელია, ვადა ზუსტად არ იყოს განსაზღვრული, მაგრამ იგულისხმებოდა დროის განსაზღვრული მონაკვეთი, რაც საკმარისია ნათხოვარი ნივთის მიზნობრივი გამოყენებისათვის. მაგალითად, ავტომანქანა ან მუშა პირუტყვი პირმა ითხოვა წინასწარ დამზადებული შეშის ტყიდან ჩამოსატანად. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება დადებულად ითვლება იმ დროით, რაც სჭირდება ამ საქმის დასრულებას. ამ მომენტიდან ხელშეკრულება უნდა შეწყდეს. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ნივთის თხოვება რომელიმე კონკრეტული მიზნის მიღწევასთან არაა დაკავშირებული, რაც გამნათხოვრებელს თავის კონტრაგენტთან დამოკიდებულებაში

ერთგვარ პრიორიტეტულ მდგომარეობაში აყენებს. რადგან კონკრეტული ვადა ხელშეკრულებით არაა განსაზღვრული და არც ნათხოვარი ნივთის მიზნობრივ დანიშნულებაზეა მასში ლაპარაკი, გამნათხოვრებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ნივთის დაბრუნება. თუ ნივთი მესამე პირისათვის იყო გადაცემული სარგებლობაში, გამნათხოვრებელს ყველა შემთხვევაში აქვს უფლება მოითხოვოს მისგან ნივთის დაბრუნება მიუხედავად იმისა, მესამე პირს ამოეწურა თუ არა ნივთით სარგებლობის უფლება. რაც შეეხება მონათხოვრეს, მას შეუძლია ნებისმიერ დროს დააბრუნოს ნათხოვარი ნივთი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დაცვა ამ დროს სავალდებულო არ არის.

ზოგჯერ შესაძლებელია დღის წესრიგში დადგეს თხოვების ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისა და ნათხოვარი ნივთის დაბრუნების საკითხი. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რუსული და გერმანული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, სპეციალურ ნორმებს არ შეიცავს ამ საკითხზე, მაგრამ ზოგადი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მაინც იძლევა. პირველ ყოვლისა, მხედველობაში მისაღებია ვალდებულებითი და სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი ნორმები, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას ითვალისწინებს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, გამნათხოვრებლის მიერ თხოვების ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა ანუ ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა მონათხოვრე არღვევს ხელშეკრულების არსებით პირობებს. მათ მიეკუთვნება: ნათხოვარი ნივთის გამოყენება არადანიშნულებისამებრ, ნივთის მოვლა-პატრონობისათვის დადგენილი მოვალეობების შეუსრულებლობა, ნივთის მდგომარეობის არსებითი გაუარესება, მესამე პირისათვის ნივთის გადაცემა სარგებლობაში გამნათხოვრებლის ნებართვის გარეშე. მონათხოვრეს კი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი წარმოეშობა შემდეგ შემთხვევებში: თუ აღმოჩნდა ნივთის ისეთი

ნაკლი, რომლის გამოც მისი გამოყენება შეუძლებელია ან ძალზე რთულია და რომელიც ხელშეკრულების დადების დროს მან ვერ შეამჩნია და არც შეიძლებოდა რომ შეემჩნია; გამნათხოვრებლის მიერ გაუფრთხილებლობა იმის თაობაზე, რომ ნივთზე მესამე პირს გააჩნდა განსაზღვრული უფლება; ნივთის საკუთვნებლის ან აუცილებელი დოკუმენტაციის გადაუცემლობა; მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ნივთის გამოუსადეგარად გახდომა. აღნიშნულ შემთხვევაში ძირითადად სახეზეა გამნათხოვრებლის მიერ თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა. უკანასკნელ შემთხვევაში გამნათხოვრებლის სუბიექტური ფაქტორი არაა განმსაზღვრელი. შეიძლება ნივთი დაუძლეველი ძალით დაზიანდეს და მისი გამოყენება შეუძლებელი გახდეს. ასეთ დროს მონათხოვრეზე არ გადადის ნივთის შემთხვევითი გაფუჭების ან დაღუპვის რისკი და იგი უფლებამოსილია ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა.

მუხლი 622. მონათხოვრის გარდაცვალების შედეგები

თუ მონათხოვრე გარდაიცვალა, ან გამნათხოვრებელი გაუთვალისწინებელი გარემოების გამო საჭიროებს ნივთს, მას შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება.

თხოვების ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მაშინ, როცა მონათხოვრე ფიზიკური პირი გარდაიცვლება. ეს ბუნებრივიცაა. იშვიათია შემთხვევები, როცა მონათხოვრის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრემ მოითხოვოს ხელშეკრულების გაგრძელება ანდა ახალი ხელშეკრულების დადება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არაფერია ნათქვამი ისეთ შემთხვევებზე, როცა მონათხოვრე იურიდიული პირია და მისი ლიკვიდაცია ხდება. ასეთ შემთხვევაში თხოვების ხელშეკრულება უნდა შეწყდეს, რადგან არ არსებობს ხელშეკრულების მხარე. სხვა შემთხვევაა, როცა რეორ-

განიზაციის დროს სახეზეა თითქმის იგივე სტრუქტურული ერთეული, ოღონდ შეცვლილი სტატუსით. ამ დროს ფაქტობრივად იცვლება ვალდებულების სუბიექტი და ხელშეკრულებაც თავიდან უნდა დაიდოს. აღნიშნული წესი არ ვრცელდება გამნათხოვრებელზე. მისი უფლება-მოვალეობები სავალდებულო წესით გადადის გამნათხოვრებელი ფიზიკური პირის მემკვიდრეებზე ან ლიკვიდირებული იურიდიული პირის უფლებამონაცვლეებზე.

კანონით გათვალისწინებულია ხელშეკრულების შეწყვეტა აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა გამნათხოვრებელი გაუთვალისწინებელი გარემოების გამო საჭიროებს განათხოვრებულ ნივთს. მაგალითად, ოჯახის წევრის ავადმყოფობის გამო აუცილებელია განათხოვრებული აგარაკით სარგებლობა. ასეთ შემთხვევაში გამნათხოვრებელი უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება და მოითხოვოს განათხოვრებული ნივთის უკან დაბრუნება.

თავი მეცხრე

სესხი

მუხლი 623. ცნება

სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

სესხი არის ფულის ან სხვა ნივთის დროებით გადაცემა სხვისთვის. ეს უზოგადესი ფორმულა სამართალში ღებულობს კონკრეტულ სახეს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სასესხო ურთიერთობას ორ თავში განიხილავს. მეცხრე თავი ეძღვნება სეს-

ხს, ხოლო ოცდამეერთე თავში ლაპარაკია საბანკო კრედიტზე და ანაბარზე. პირველ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება საყოფაცხოვრებო ხასიათის სასესხო ურთიერთობათა მარეგულირებელ ზოგად ნორმებზე, რომლებიც ამავე დროს შეიძლება გამოიყენონ ყველა სახის სასესხო ურთიერთობათა მიმართ, მიუხედავად მასში მონაწილე სუბიექტებისა და წარმოშობის საფუძვლებისა. მეორე შემთხვევაში კი სესხის სპეციფიკურ სახესთან გვაქვს საქმე – სასესხო ოპერაციებს ახორციელებს საკრედიტო დაწესებულება, რომლისთვისაც სესხის გაცემა ან აღება მის საწესდებო მოვალეობას წარმოადგენს. ეს კი სესხის ნაირსახეობის ფორმას აძლევს ამ დაწესებულებათა მიერ განხორციელებულ საქმიანობას. სესხის მარეგულირებელი ნორმების გამოყენება საბანკო კრედიტის დროსაცაა შესაძლებელი. ამიტომ მიზანშეწონილია კოდექსის მეცხრე თავის ნორმათა შედარებით დეტალური ანალიზი.

623-ე მუხლში ნათლად ჩანს სესხის ხელშეკრულების რამდენიმე ძირითადი თავისებურება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სესხის ხელშეკრულება ცალმხრივი და რეალური ხასიათისაა. მისი მონაწილეებისაგან მხოლოდ ერთი მხარე კისრულობს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას. ესაა სესხად მიღებული ფულის ან გვაროვნული ნივთის უკან დაბრუნება. მეორე მხარეს კი შესაბამისი უფლება გააჩნია – გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებლისაგან მოითხოვოს ნასესხების დაბრუნება. ამიტომ სესხის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როცა გამსესხებელი ფულს ან გვაროვნულ ნივთს გადასცემს მსესხებელს. მარტო შეთანხმება სესხის თაობაზე ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელშეკრულების დადებას. შეთანმხებასთან ერთად აუცილებელია სესხის საგნის გადაცემაც. სესხის ხელშეკრულება გამსესხებლის ნების გამოვლენის საფუძველზე იდება მხოლოდ. მას ამის არავითარი ვალდებულება არ გააჩნია. ამიტომ ითვლება იგი რეალურ და არა კონსენსუალურ ხელშეკრულებად. ამ საკითხის სწორად გადაწყვეტას სერიოზული იურიდიული მნიშვნელობა აქვს,

რადგან სულ ერთი არაა სესხის გადაცემა მსესხებლისათვის გამსესხებლის უფლებაა თუ მოვალეობა.

სესხიდან გამომდინარე ვალდებულების საფუძველს წარმოადგენს ფულის ან გვაროვნული ნივთის გადაცემა. პრაქტიკაში სესხის უფრო გავრცელებულ ობიექტს ფული წარმოადგენს. ქვეყნის შიგნით წარმოშობილ ურთიერთობებში იგი ეროვნული ვალუტის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. საგარეო სასესხო ურთიერთობაში სესხის ობიექტად მხარეთა შეთანხმებით ნებისმიერი ვალუტა შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება ნივთს, არ შეიძლება სესხის ობიექტი იყოს ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ანუ შეუცვლელი ნივთი. სესხად შეიძლება გაიცეს მხოლოდ შეცვლადი ნივთი, რადგან იგულისხმება, რომ მსესხებელმა იგი უნდა მოიხმაროს და, ბუნებრივია, იგივეს დაბრუნება მას არ ევალება.

სესხის ხელშეკრულების მიზანია საკუთრების უფლების მოპოვება ნასესხებ ფულზე ან ნივთზე. მსესხებელს უფლება აქვს ნასესხები ქონება განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ და მის გამცემს უფლება არა აქვს უკანვე მოითხოვოს იგი. ამიტომ სესხის გაცემისას მსესხებელი ხდება ნასესხები ფულის ან ნივთის მესაკუთრე. აქედან გამომდინარე, სესხის დაბრუნებისას მსესხებელმა უნდა დააბრუნოს არა იგივე ნივთი, რომელიც გაიცა, არამედ მსგავსი – იგივე სახის, ხარისხისა და რაოდენობისა. ეს დებულება იქიდან გამომდინარეობს, რომ გაცემულ იქნა გვაროვნული ნივთი და გაიცა საკუთრების უფლებით, რაც ლოგიკურად მის მოხმარებას, განკარგვას გულისხმობს. რადგან სესხის ხელშეკრულება ადგენს მსესხებლის ვალდებულებას დააბრუნოს სესხი. ბუნებრივია, არ შეიძლება სესხზე ლაპარაკი, თუ ფული ან ნივთი მსესხებელს არ ჰქონდა მიღებული. ამიტომ არარად უნდა ჩაითვალოს სესხის ხელშეკრულება, თუ დასტურდება მისი უფულობა, ე.ი. თუ მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას კრედიტორს დაუბრუნოს ის, რაც მისგან არ მიუღია. ამ დებულებას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც. მაგალითად, როცა ვალაუვალობის

შემთხვევაში მსესხებელი თავის ახლობლებთან აფორმებს სასესხო შეთანხმებას იმ მიზნით, რომ თავის ქონებაზე გადახდევინების მიქცევისას სხვა კრედიტორთან ერთად მათაც მიიღონ ქონების გარკვეული ნაწილი, რომ შემდეგ მოვალეს დაუბრუნონ. ასეთ შემთხვევაში, ნამდვილი კრედიტორის ინტერესებიდან გამომდინარე, თუ სესხის უფულობა დადასტურდება, ვითომ-კრედიტორებთან დადებული სესხის ყველა ხელშეკრულება უნდა გაბათილდეს.

მუხლი 624. სესხის ხელშეკრულების ფორმა

სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.

სესხის ხელშეკრულება რომ ნამდვილად ჩაითვალოს, დაცული უნდა იქნეს კანონით განსაზღვრული ფორმა. საერთო წესის მიხედვით გარიგების ფორმა შეიძლება იყოს ზეპირი და წერილობითი. ზეპირია უმეტესად ისეთი გარიგებანი, რომელთა შესრულება მისი დადებისთანავე ხდება. წერილობითი ფორმა თავის მხრივ შეიძლება იყოს მარტივი და რთული. მარტივი წერილობითი ფორმის არსებობისას გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. რთული ფორმა გულისხმობს გარიგების დამოწმებას განსაზღვრული წესით. გარიგების ამა თუ იმ ფორმით გამოყენების საკითხი კანონით უნდა იქნეს განსაზღვრული ან მხარეებმა უნდა აირჩიონ. სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა ურთიერთნდობა საკითხისადმი ცივილური მიდგომის მაგალითს წარმოადგენს და მომავალში ეს ჩვეულებრივი მოვლენა უნდა იყოს. ამ ფონზე ზეპირი გარიგების დადება ლოგიკურს წარმოადგენს. სესხის დროს ასეთი ფორმა უმეტესად შედარებით მცირე ოდენობის ფულის ან სხვა ნივთის მიმართ შეიძლება მიზანშეწონილი

იყოს. ჩვენთან ამის ტრადიციაც არ იყო. ზოგიერთ ქვეყანაში ამჟამადაც ზეპირი გარიგება მხოლოდ განსაზღვრული ღირებულების ფარგლებშია დასაშვები (რუსეთი). გერმანიის კოდექსში სესხის ხელშეკრულების ფორმაზე არაფერია ნათქვამი. შეიძლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ერთგვარი სითამამე და რისკიც ამითაც იყოს განპირობებული, თუმცა კოდექსი იმის განსაზღვრასთან ერთად, რომ სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად, უშვებს ამ ფორმის გამოყენების ალტერნატივასაც. მხარეების სურვილით სესხის ხელშეკრულება ნებისმიერ თანხაზე ან ნებისმიერი ღირებულების ნივთზე შესაძლებელია წერილობითი ფორმით დაიდოს. ამ შემთხვევაში მაინც მოქალაქეთა შორის წარმოშობილი სასესხო ურთიერთობა იგულისხმება. მათ შორის სესხის ხელშეკრულების ზეპირად დადება ნდობის ფაქტორის ხარისხზეა დამოკიდებული. რაც შეეხება ისეთ ურთიერთობებს, რომლებშიც გამსესხებლის ან თუნდაც მსესხებლის სახით იურიდიული პირები მონაწილეობენ, სესხის ხელშეკრულების გაფორმება ტექნიკურად შეუძლებელიცაა წერილობითი ფორმის დაუცველად.

სესხის ხელშეკრულების წერილობითი ფორმა გულისხმობს არა მარტო უშუალოდ მხარეთა ხელმოწერას ხელშეკრულებაზე, არამედ ზოგჯერ მათი შეცვლის შესაძლებლობებსაც (სამოქალაქო კოდექსის 70-ე მუხლი). მხარეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული სესხის ხელშეკრულება დადონ მარტივი წერილობითი თუ იგი ამასთან ერთად დაამოწმონ სანოტარო წესით. ხელშეკრულების იურიდიული ძალის მიხედვით სანოტარო წესით დამოწმებული სესხის ხელშეკრულება არ აღემატება მარტივი წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებას. პრაქტიკაში თუ მას მიმართავენ, მხოლოდ იმიტომ, რომ გამსესხებელი დამატებით იყოს გარანტირებული სესხის სადაოდ გახდომისას. რაც შეეხება ზეპირ და წერილობით ფორმებს, კანონი ამ უკანასკნელს განსაზღვრულ უპირატესობას ანიჭებს. ეს იმაში ვლინდება, რომ სესხის ხელშეკრულების სადაოდ გახდომისას მხარეთა ინტერესების დაცვა უფრო

მეტადაა გარანტირებული. ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობის დასადასტურებლად საკმარისი არაა მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები. აუცილებელია მსესხებლის სავალო ხელწერილის ან სხვა რაიმე დოკუმენტის წარდგენა, რომლითაც დადასტურდება მსესხებლისათვის განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ნივთის გადაცემის ფაქტი. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მოწმეთა ჩვენებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ეს ძველი კოდექსის მოქმედების პერიოდში იყო. ისინი მხედველობაში მიიღება, მაგრამ მარტო ასეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით არ შეიძლება არა მარტო მსესხებლის მიერ სესხის მიუღებლობის ან არასრულად მიღების დადგენა, არამედ გამსესხებლის მიერ ამა თუ იმ პირისათვის სესხის გადაცემის ნამდვილობის განსაზღვრაც. მათთან ერთად წერილობითი მტკიცებულებანი წარმოადგენს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის უტყუარ საფუძველს.

მუხლი 625. პროცენტი სესხისათვის

სესხისათვის მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ პროცენტი, რაც გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან. ამ წესის დარღვევით პროცენტის შესახებ დადებული შეთანხმება ბათილია.

სესხის ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც სასყიდლიანი ისე უსასყიდლო. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ ხელშეკრულების ანაზღაურებითობის საკითხს. თუ მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ სესხით სარგებლობისათვის გათვალისწინებულ იქნეს სასესხო თანხის განსაზღვრული ოდენობა, ამის შესახებ ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული. ამასთან, მხარეთა პრეროგატივას წარმოადგენს პროცენტის ოდენობის განსაზღვრაც. კანონი მხოლოდ მისი ზღვრული ოდენობის რეგულირების საკ-

ითხს ებება, ისიც არა კატეგორიული ფორმით. კანონის მოთხოვნაა, რომ მხარეთა მიერ დადგენილი პროცენტი გონივრულ შესაბამისობაში იყოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან. არაა სავალდებულო პროცენტის მაქსიმუმი ამ მონაცემებს ემთხვეოდეს. შესაძლებელია იგი გადაცდეს კიდეც ოფიციალურად დადგენილ ზღვრულ ოდენობას, მაგრამ ეს არ უნდა ატარებდეს მსესხებლისათვის კაბალურ ხასიათს და გამსესხებელს არ უნდა აყენებდეს განსაკუთრებულად პრივილეგირებულ მდგომარეობაში. თუ ასეთი ხელშეკრულება მაინც დაიდო, შესაძლებელია მისი გაბათილება.

მუხლი 626. ხელშეკრულების შეწყვეტა და ვალის დაბრუნება

1. თუ ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი დაბრუნებულ უნდა იქნეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას.

2. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს. თუ პროცენტები არ არის შეპირებული, მოვალეს შეუძლია ვალი დაუბრუნოს ვადამდე. პროცენტიანი სესხის ვადამდე დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი შეთანხმებით ან გამსესხებლის თანხმობით.

3. პროცენტები გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. თუ სესხი წინასწარა არის ვადით განსაზღვრული, მაშინ ვალიცა და პროცენტიც გადახდილ უნდა იქნეს ვადის დადგომისას.

სესხის ხელშეკრულების შესრულება ნიშნავს მხარეთა მიერ უფლება-მოვალეობების ამოწურვას. ჯეროვანი შესრულება სხვა ფაქტორებთან ერთად დაკავშირებულია შესრულების ვადასთან. სესხის დბარუნების ვადა შეიძლება ზუსტად იყოს განსაზღვრული ხელშეკ-

რულებით. ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია აღნიშნულ ვადაში დააბრუნოს სესხად მიღებული ფული ან ნივთი. როცა სესხის დაბრუნების ვადა წინასწარ არაა აღნიშნული ან მოთხოვნის მომენტითაა განსაზღვრული, მაშინ სასესხო ვალი დაბრუნებულ უნდა იქნეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას. ამ დროს საქმე გვაქვს სესხის ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შემთხვევასთან. უმეტესად სესხის ხელშეკრულება წყდება კრედიტორის მოთხოვნით. იშვიათ შემთხვევებში მოვალესაც შეიძლება გაუჩნდეს სესხის ხელშეკრულების თავისი ინიციატივით შეწყვეტის აუცილებლობა. კანონით სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის ვადად აღიარებულია სამი თვე. ამგვარად, თუ ვადის აღუნიშვნელად დადებული სესხის ხელშეკრულების შეწყვეტა სურს, მაგალითად, კრედიტორს, მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს სესხის დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში მოვალე ვალდებულია მოთხოვნიდან სამი თვის განმავლობაში დააბრუნოს ვალი. იგივე შეიძლება ითქვას მაშინაც, როცა მოვალეს თავისი ინიციატივით სურს სესხის დაბრუნება. მსესხებლის მიერ თავისი ვალდებულების შესრულება გარკვეულ თავისებურებებთანაა დაკავშირებული. ვადიან ხელშეკრულებაში მოვალეს სესხის დაბრუნება ვადის გასვლამდე ყოველთვის შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ პროცენტის გადახდა გათვალისწინებული არ იყო. პროცენტიანი ვალის ვადაზე ადრე დაბრუნება კი შესაძლებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმებით. თუ მხარეთა შორის ასეთი შეთანხმება არ მომხდარა, მაშინ პროცენტიანი ვალის დაბრუნება ვადაზე ადრე შეიძლება მხოლოდ კრედიტორის თანხმობით, რადგან საბოლოოდ ვალის ადრე დაბრუნება ამ უკანასკნელისათვის პროცენტის სახით მისაღები შემოსავლის დაკლებას იწვევს. უკანასკნელი შემთხვევის გარდა, კრედიტორი მოვალეა დაუყოვნებლივ მიიღოს მოვალის მიერ შესრულებული ვალდებულება.

სესხისათვის სარგებლის ოდენობა განისაზღვრება სასესხო თანხის განსაზღვრული პროცენტის სახით მისი მთელი წლის

მანძილზე გამოყენებისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება დადგინდეს ყოველთვიური პროცენტის ოდენობაც. ჩვეულებრივ, მხარეთა შეთანხმებით, ხდება პროცენტის გადახდის წესის განსაზღვრა. თუ ხელშეკრულებაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, კოდექსის 626-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით სესხის სარგებლობისათვის დადგენილი პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. იგულისხმება, რომ ასეთ შემთხვევაში სესხის ხელშეკრულება არ არის დადებული წინასწარ განსაზღვრული ვადით. მაგრამ თუ ხელშეკრულება ვადიანია და გადახდის ვადა არაა დაკავშირებული ერთწლიან პერიოდთან, მაშინ ყოველი წლის გასვლისას მოხდება სარგებლის გადახდა, ხოლო მომდევნო წლის დარჩენილ პერიოდში სესხის დაბრუნებასთან ერთად უნდა მოხდეს ამ პერიოდის შესაბამისი პროცენტის დაბრუნებაც. სესხთან ერთად უნდა დაბრუნდეს პროცენტი იმ შემთხვევაშიც, როცა სესხის ხელშეკრულება ერთი წლის ფარგლებში განსაზღვრული დროით იდება.

მუხლი 627. ვალის დაუყოვნებლივ მოთხოვნის უფლება

გამსესხებელს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე შეექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას. ეს უფლება მაშინაც არსებობს, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას, ხოლო გამსესხებლისათვის იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ.

სესხის დაბრუნების დაყოვნება შეიძლება როგორც ვადიან, ისე უვადო ხელშეკრულებაში თუ, რა თქმა უნდა, კრედიტორმა წინადადება მისცა მოვალეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ. იგულისხმება, რომ განსაზღვრულია ხელშეკრულების

შეწყვეტის ვადა. სესხის დაბრუნების ვადის გადაცილება მოვალისათვის განსაზღვრულ უარყოფით შედეგებთანაა დაკავშირებული. მან გადაცილებული დროისათვის უნდა გადაიხადოს განსაზღვრული პროცენტი, იმავე ოდენობით, რაც ვადაში სესხით სარგებლობისათვის უნდა გადაეხადა. ზოგჯერ შესაძლებელია მხარეები წინასწარ შეთანხმდნენ სესხის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის უფრო მეტი ოდენობით პროცენტის გადახდაზე. ამ დროს გადიდებული პროცენტის გადახდევინება სანქციის ნაირსახეობად უნდა იქნეს მიჩნეული. ყველა შემთხვევაში, დაუშვებელია პროცენტიდან პროცენტის გადახდის მოთხოვნა. ვადის გადაცილებისათვის ჩვეულებრივი პროცენტის ან მისი გაზრდილი ოდენობით გადახდევინებასთან ერთად, შესაძლებელია კრედიტორმა მოითხოვოს სესხის დაბრუნების ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასესხო ვალდებულების შეწყვეტის კანონით განსაზღვრული სამთვიანი ვადა ყოველთვის სრულყოფილად ვერ გამოხატავს კრედიტორის ინტერესებს, რადგან ამ ვადაში სესხის დაბრუნება გამსესხებლისათვის შეიძლება წამგებიანი აღმოჩნდეს ან მისი დაბრუნება საერთოდ უპერსპექტივო გახდეს. ამიტომ გაითვალისწინა სამოქალაქო კოდექსმა ისეთი შემთხვევები, რომელთა არსებობაც სესხის დაუყოვნებლივი დაბრუნების მოთხოვნის საფუძველია. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა – მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე ექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას ან მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას და გამსესხებლისათვის იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ.

სესხის დაუყოვნებლივი დაბრუნების მოთხოვნის უფლების განხორციელების დროს არა აქვს მნიშვნელობა იმას, ხელშეკრულებაში მისი დაბრუნების ვადა მხარეებს შორის განსაზღვრული იყო თუ არა.

სესხის ხელშეკრულებით კრედიტორს ევალება დროულად

მიიღოს იმ ვალდებულების შესრულება, რომლის მოთხოვნის უფლებაც მას გააჩნია. შესრულების მიღების ბრალეულად დაყოვნების შემთხვევაში იგი ვალდებულია მოვალეს აუნაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი.

მუხლი 628. სესხის შეპირება

სესხის შეპირებისას დამპირებელს შეუძლია უარი თქვას სესხის მიცემაზე თუ მეორე მხარის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას ვალის დაბრუნებას. სესხის შეპირება უნდა გაფორმდეს წერილობით.

სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავდება სესხის შეპირება, რომლის დროსაც ერთი პირი პირდება მეორეს, რომ განსაზღვრულ დროს სესხად მისცემს ფულს ან გვაროვნულ ნივთს. ასეთი შეთანხმება იშვიათად იდება პრაქტიკაში, მაგრამ კიდეც რომ დაიდოს იგი, სესხის ხელშეკრულება კი არ იქნება, არამედ სესხის შეპირების ხელშეკრულება. კანონის მიხედვით სესხის შეპირების ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს წერილობით. სესხის შეპირებისას შემპირებელს შეუძლია უარი თქვას სესხის მიცემაზე, თუ მეორე მხარის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას ვალის დაბრუნებას. თუ ასეთი საფრთხე არ არსებობს, შემპირებელს შეუძლია შეპირებულთან დადოს ახალი ხელშეკრულება სესხის თაობაზე, რომლითაც უნდა განისაზღვროს გამსესხებლისა და მსესხებლის უფლება-მოვალეობები და სესხით სარგებლობის პირობები.

თავი მეათე

ნარდობის ხელშეკრულება

ნარდობის ხელშეკრულებას, როგორც ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს, დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი მარეგულირებელი ნორმები მოცემულია ჯერ კიდევ ძველი რომის სამოქალაქო სამართალში. საქართველოს ახალმა სამოქალაქო კოდექსმა ნარდობის ხელშეკრულებას დაუთმო 629-656 მუხლები.

მუხლი 629. ცნება

1. ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

2. თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შეძენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე. თუ დამზადებულია გვაროვნული ნივთი, მაშინ გამოიყენება ნასყიდობის წესები.

3. ნარდობასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის შედგენა არ ანაზღაურდება, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია სამოქალაქო სამართლისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი ნარდობის ხელშეკრულების განმარტება, როგორც განსაზღვრული საზღაურის გადახდის პირობით გარკვეული სამუშაოს შესრულება. განსხვავებით საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 343-ე მუხლისაგან, მასში არ არის მითითება იმის შესახებ, რომ

სამუშაოს შესრულება ხდება მენარდის რისკით. ამასთან, ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ეს ერთ-ერთი არსებითი პირობა მოცემულია სხვა მუხლში (651-ე მუხლი).

რადგან ნარდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს მენარდის მიერ შემკვეთისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას, ამიტომ საჭიროა, რომ ნარდობის ხელშეკრულება განვასხვავოთ შრომის ხელშეკრულებისაგან, რომლითაც ერთი მხარე ასევე ასრულებს სამუშაოს მეორე მხარისათვის. ნარდობის ხელშეკრულებასა და შრომის ხელშეკრულების განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: ა) ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის შრომის შედეგი (რეზულტატი), ამასთან მენარდის შრომა შეიძლება მიმართული იქნეს ნივთების შექმნისაკენ (ნაგებობის აშენება, მანქანების და ა.შ. დამზადება), ნივთების შეცვლის ან აღდგენისაკენ (შეკეთება, გადაკეთება და სხვა), სხვა სამუშაოს შესრულებისაკენ (გარეცხვა, გაწმენდვა და სხვა). შრომის ხელშეკრულებით კი მუშაკი ვალდებულია შეასრულოს განსაზღვრული სამუშაო დაკავებული თანამდებობის, პროფესიის თუ კვალიფიკაციის მიხედვით, მაგრამ სამუშაოს შედეგი, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების საგანს, რამეთუ სამუშაოს შედეგის (რეზულტატის) გადაცემა ხელშეკრულებით არ ხდება.

ბ) ნარდობის ხელშეკრულებაში მენარდე ქონებრივად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელია შემკვეთისაგან და მას არ ექვემდებარება. მენარდე სამუშაოს ასრულებს, როგორც წესი, პირადად და საკუთარი რისკით. შრომის ხელშეკრულებით კი მუშაკი ექვემდებარება ადმინისტრაციას (დამსაქმებელს), ის სამუშაოს ასრულებს შრომის შინაგანაწესის მიხედვით. ქონება, რომელიც შეადგენს მისი შრომის ბაზას, ეკუთვნის საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, მუშაკს არ აწევს ასევე შესრულებული სამუშაოს შემთხვევით დაღუპვის რისკი.

გ) ნარდობის ხელშეკრულების მხარეები, ანუ მენარდე და შემ-

კვეთი, შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი მაშინ, როდესაც შრომის ხელშეკრულებაში მუშაკის სახით შეიძლება გამოვიდნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

ნარდობის ხელშეკრულებასთან ახლოს დგას მომსახურების ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე ასევე ასრულებს სამუშაოს მეორე მხარისათვის. განსხვავება ამ ხელშეკრულებებს შორის მდგომარეობს შემდეგში: ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი (რეზულტატი). მაშასადამე, ნარდობის ხელშეკრულება აგებულია შემდეგი ფორმით: თუ არ არის შედეგი, მაშინ ადგილი აქვს ხელშეკრულების შეუსრულებლობას. რაც შეეხება მომსახურების ხელშეკრულებას, მის საგანს წარმოადგენს მომსახურება, რომელსაც საერთო წესის მიხედვით არა აქვს შედეგი, ანდა მისი შედეგი ატარებს არამატერიალურ ხასიათს. მომსახურების ხელშეკრულების მაგალითს წარმოადგენს სანახაობითი დაწესებულებების, მუზეუმების მიერ მოქალაქეებთან დადებული ხელშეკრულებები და ა.შ.

2. სამუშაოს შესრულებისას მენარდის მასალით, თუკი იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე, საჭირო ხდება, რომ ნარდობის ხელშეკრულება განვასხვაოთ ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან. ეს განსხვავებები მდგომარეობს შემდეგში:

ა) პირველ რიგში, ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს როგორც წესი, ინდივიდუალურად განსაზღვრული ნაკეთობის დამზადება, რაც შეეხება ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს, იგი უმრავლეს შემთხვევაში არის გვაროვნული ნივთი (ამიტომ მიუთითებს სამოქალაქო კოდექსი, რომ თუ ნარდობის ხელშეკრულებით დამზადებულია გვაროვნული ნივთი, მაშინ ანალოგიით გამოიყენება ნასყიდობის წესები).

ბ) მეორე რიგში, ნარდობის ხელშეკრულების პირობები, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია სამუშაოთა შესრულების პროცესში

მხარეების ურთიერთობის განსაზღვრისაკენ, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების ძირითად შინაარსს წარმოადგენს ხელშეკრულების საგნის გადაცემა მეორე მხარისთვის – მყიდველისათვის.

ამ სფეროში წარმოშობილი სხვადასხვა პრაქტიკული სიტუაციის გადასაწყვეტად საჭიროა ასევე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სხვა პირობების განმარტება (ხელშეკრულების სახელწოდება, მხარეები, ანგარიშსწორების წესი, გადაცემა და ა.შ.).

როდესაც ვსაუბრობთ, რომ ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი, ძირითადად, იგულისხმება მენარდის მიერ ერთი განსაზღვრული ნივთის დამზადება და მისი გადაცემა შემკვეთისათვის, მაგალითად, პიჯაკის შეკერვა, სახლის აშენება და ა.შ. ამასთან, ნარდობის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი და იგივე სახის რამდენიმე ნაკეთობის დამზადებას და მის გადაცემას შემკვეთისათვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იბადება კითხვა: ასეთი ხელშეკრულების მიმართ რომელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული – ნარდობის თუ ნასყიდობის? ამ კითხვაზე პასუხს აქვს უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რამეთუ ნარდობის ხელშეკრულების შესახებ ნორმები განსხვავდებიან იმ ნორმებისაგან, რომლებიც აწესრიგებენ ნასყიდობას.

ერთ-ერთი ძირითადი გარემოება, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მოცემულ სიტუაციაში, მდგომარეობს შემდეგში: გამყიდველი რეალიზაციას უკეთებს ნაკეთობას, რომელიც დამზადებულია მისი მასალით, ხოლო მენარდე – კი იმ ნაკეთობას, რომელიც დამზადებულია მისი ან შემკვეთის მასალით. აღნიშნული საკითხი საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ვენის 1981 წლის კონვენციით გადაწყვეტილია შემდეგნაირად: კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რომ იმ საქონლის მიწოდების ხელშეკრულებები, რომლებიც ექვემდებარება დამზადებას ან წარმოებას, ითვლება ნასყიდობის ხელშეკრულებად იმ პირო-

ბით, თუკი საქონლის შემკვეთი მხარე არ კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს მწარმოებელს თუ დამამზადებელს იმ მასალის არსებითი ნაწილი, რომელიც აუცილებელია ასეთი საქონლის დამამზადებლად ან საწარმოებლად.

მაშასადამე, თუკი შემკვეთმა (მყიდველმა), შეკვეთა განსაზღვრული რაოდენობის ნივთები, აიღო თავზე ვალდებულება უზრუნველყოს ნივთების დამზადება მის მიერ მიწოდებული მასალით, ხელშეკრულების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ამ მასალის რაოდენობაზე: არის თუ არა ამ მასალის რაოდენობა არსებითი (და მაშინ სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება), თუ ეს მასალა არ არის საკმარისი და არის არაარსებითი ხასიათის (მაშინ სახეზეა ნასყიდობის ხელშეკრულება).

გარდა ამისა, ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნარდობის ისეთ არსებით ნიშანს, როგორიც არის ის, რომ ნარდობა მოიცავს არა მარტო სამუშაოს შედეგს როგორც ასეთს, არამედ მის შესრულებასაც (მენარდე კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო). აქედან გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ ნარდობის სახელშეკრულებო მოწესრიგება მოიცავს სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობასაც. ნასყიდობაში კი ასეთი რამ არ არის, რამეთუ ხელშეკრულება განსაზღვრავს მხოლოდ სამუშაოს შედეგს (თვითონ ნივთის დამზადება მდებარეობს ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნარდობა შეიძლება ითვალისწინებდეს არა მარტო ახალი ნაკეთობის დამზადებას, არამედ ნივთების გადაკეთებას, შეკეთებას და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გადაკეთებული (შეკეთებული) ნივთი. აღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ნივთთან, რომელსაც მენარდე ღებულობს შემკვეთისაგან (შესაკეთებლად ან გადასაკეთებლად). თუკი მენარდის მიერ ხდება იმ ნივთის გადაკეთება (შეკეთება), რომელიც მან შეიძინა მესამე პირისაგან, ასეთი შემთხვევა განხილული უნდა იქნეს როგორც ნივთის დამზადება.

ნარდობის ხელშეკრულება შეიძლება მიზნად ისახავდეს სხვა სახის სამუშაოს შესრულებასაც, რომელიც არ არის დაკავშირებული არც ნივთის დამზადებასთან, არც ნივთის შეკეთებასთან თუ გადაკეთებასთან. მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოთ სარემონტო სამუშაოები.

3. ნარდობის ხელშეკრულება შეიძლება მიზნად ისახავდეს რთული სამუშაოების შესრულებას. მაგალითად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება. რთული სამუშაოების შესრულებისას ნარდობის ხელშეკრულებას თან ერთვის სამუშაოთა წარმოების ტექნიკური და საპროექტო დოკუმენტაცია (ნარდობის საგნის ტექნიკური დახასიათება), გარდა ამისა, ხელშეკრულების ფასის განსაზღვრისათვის საჭიროა სპეციალური დოკუმენტის – ხარჯთაღრიცხვის შედგენა. ხარჯთაღრიცხვა მოიცავს სამუშაოების ცალკეული ეტაპის, სახეებისა და დანახარჯების მიხედვით ანაზღაურების რაოდენობას ცალ-ცალკე და საბოლოო შეფასებას (ჯამს). თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხარჯთაღრიცხვის შედგენა არ ანაზღაურდება. ხარჯთაღრიცხვა შეიძლება იყოს ორი სახის: ა) მყარი, როცა ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოებისათვის და ბ) მიახლოებითი, რომელიც სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობის პროცესში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს (უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ ამ საკითხზე 631-ე მუხლის კომენტარში).

მუხლი 630. შეთანხმება ანაზღაურებაზე

1. ანაზღაურება უსიტყვოდაც ითვლება შეთანხმებულად, თუ გარემოებების მიხედვით ნარდობა მხოლოდ ანაზღაურებითაა მოსალოდნელი.

2. თუ ანაზღაურების ოდენობა შეთანხმებული არ არის, ტარიფის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი,

ხოლო, თუ ტარიფები არ არსებობს, მაშინ – ჩვეულებრივი ანაზღაურება.

1) ნარდობის ხელშეკრულება ყოველთვის არის სასყიდლიანი ხელშეკრულება. ეს გამომდინარეობს თვითონ ხელშეკრულების ცნებიდან, რომლის თანახმადაც შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. საზღაურის ოდენობა ითვლება შეთანხმებულად, თუ გარემოებების მიხედვით ნარდობა მხოლოდ ანაზღაურებითაა მოსალოდნელი. მაგალითად, შემკვეთმა სამკერვალო ატელიეს შეუკვეთა პიჯაკის შეკერვა, მაგრამ არ შეთანხმებულა საზღაურის ოდენობაზე. მიუხედავად ამისა, საზღაური უსიტყვოდაც ჩაითვლება შეთანხმებულად, რამეთუ სამკერვალო ატელიე უსასყიდლოდ არ კერავს პიჯაკებს. თუ წარმოიშვება დავა საზღაურის ოდენობის შესახებ, ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, თუ ვალდებულებების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ (ჩვენ შემთხვევაში ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს მენარდე – სამკერვალო ატელიე), მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე. თუ მეორე მხარე პირობებს არ მიიჩნევს სამართლიანად (ჩვენს შემთხვევაში შემკვეთი) ან მათი განსაზღვრა ჭიანურდება, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

2) თუ ანაზღაურების ოდენობა შეთანხმებული არ არის, მაგრამ წინასწარ არის დადგენილი ტარიფები (ნიხრები) გარკვეული სამუშაოს შესრულებისათვის (მაგალითად, 1 $მ^2$ აშენება, ფუნდამენტის ჩასხმა, გარკვეული მოცულობის ნივთის შეკეთება, გადაკეთება და ა.შ.), მაშინ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დადგენილი ტარიფების მიხედვით, ხოლო თუ ტარიფები არ არსებობს, მაშინ შემკვეთი ვალდებულია მენარდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისა-

თვის გადაუხადოს ჩვეულებრივი ანაზღაურება (ანუ იმ ოდენობის, რაც დამკვიდრებულია მოცემულ ადგილას ანალოგიური სამუშაოს შესრულებისათვის).

მუხლი 631. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შედეგები

1. თუ მენარდე მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადახარჯვების წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო.

2. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს. თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

1) როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რთული სამუშაოების შესრულებისას ნარდობის ხელშეკრულების ფასის განსაზღვრისათვის საჭიროა სპეციალური დოკუმენტის – ხარჯთაღრიცხვის შედგენა. ხარჯთაღრიცხვა მოიცავს სამუშაოების ცალკეული ეტაპების, სახეებისა და დანახარჯების მიხედვით ანაზღაურების რაოდენობას ცალ-ცალკე და საბოლოო შეფასებას. ხარჯთაღრიცხვა შეიძლება იყოს მყარი (როცა ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა) და მიახლოებითი (რომელიც სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობის პროცესში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს). თუ მენარდე მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული საზღაური (მიახლოებით ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული), გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადახარჯვის წინასწარ

გათვალისწინება შეუძლებელი იყო. საკითხი იმის შესახებ, მნიშვნელოვნადაა გადაჭარბებული ხარჯთაღრიცხვა თუ არა, უნდა გადაწყდეს თითოეული შემთხვევის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, რადგან სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს რაიმე ციფრობრივ მონაცემებს, რომელიც ჩაითვლება მნიშვნელოვან გადაჭარბებად. ამასთან აუცილებელია, რომ ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბება არ იყოს გამოწვეული რომელიმე მხარის ბრალით.

2) მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს. ამას შეიძლება ჰქონდეს ადგილი იმ შემთხვევებში, თუკი ხელშეკრულების დადების შედეგად გარემოება, რომელიც ხელშეკრულების დადების საფძველი გახდა, ისე აშკარად შეიცვალა, რომ მხარეები არ დადებდნენ ხელშეკრულებას, ანდა დადებდნენ სხვა შინაარსით. გარემოებათა აშკარა ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს, რაც იწვევს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბებას, მასალის გაძვირება, მუშახელის გაძვირება, სახელმწიფოს მიერ გაუთვალისწინებელი გადასახადების შემოღება და ა.შ. თუკი შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

მენარდის მიერ შემკვეთის მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ შეტყობინების ვალდებულების დაკისრების არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუკი მენარდე არ შეატყობინებს შემკვეთს ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ და გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდგომში იგი კარგავს უფლებას მოითხოვოს შემკვეთისაგან ფასებს შორის სხვაობის ანაზღაურება. მაგალითად, თუ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ნაგებობის აშენება, რისთვისაც შემკვეთს მენარდისათვის უნდა გადაეხადა 20000 ლარი, მაგრამ მშენებლობის პროცესში გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო (გაიზარდა

სამშენებლო მასალის ღირებულება, მუშახელის ღირებულება და ა.შ.) ნაგებობის ასაშენებლად საჭირო გახდა 40000 ლარი, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ იგი მაინც გააგრძელებს ნაგებობის მშენებლობას, დაკარგავს ფასებს შორის სხვაობის (ანუ 40000 გამოვაკლოთ 20000 ლარი) ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

მას შემდეგ, რაც შემკვეთი მიიღებს მენარდისაგან შეტყობინებას მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შესახებ, შემკვეთს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება, თუ იგი თანახმაა გადაიხადოს გაზრდილი ანაზღაურება. თუმცა კი სამოქალაქო კოდექსი შემკვეთს უფლებას აძლევს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ასეთ შემთხვევაში მენარდეს, განსხვავებით 1964 წლის სამოქალაქო კოდექსისაგან, შეუძლია მოითხოვოს არა მარტო გაწეული ხარჯების ანაზღაურება, არამედ ასევე მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

რაც შეეხება მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის უმნიშვნელოდ გადაჭარბებას, იგი უნდა აანაზღაუროს შემკვეთმა იმ პირობით, თუკი მას დროულად ეცნობა ამის შესახებ. თავის მხრივ, შემკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის შემცირება, თუკი წარადგენს სათანადო მტკიცებულებებს.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი ხარჯთაღრიცხვა, იგი არ ექვემდებარება გადასინჯვას, მიუხედავად მისი გადასინჯვის მოთხოვნის მიზეზისა. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისებიც, როდესაც შესაძლებელია მყარი ხარჯთაღრიცხვის როგორც გაზრდა, ისე შემცირება.

ა) პირველ რიგში, მასალების, მოწყობილობების, მომსახურების ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში, მენარდეს უფლება აქვს მოითხოვოს ანაზღაურების ოდენობის გაზრდა, ხოლო

თუ შემკვეთი უარს განაცხადებს, მაშინ შეწყვიტოს ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის საფუძველზე.

ბ) მეორე რიგში ანაზღაურების ოდენობის შემცირება დაიშვება, თუკი მენარდემ სამუშაო უხარისხოდ შეასრულა.

შესრულებული სამუშაოების გაძვირების არახელსაყრელი შედეგებისა და ამ საკითხთან დაკავშირებით მხარეთა შორის შესაძლო დავების აღმოსაფხვრელად და თავიდან ასაცილებლად სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვაში შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს გაუთვალისწინებელი და დამატებითი სამუშაოების ხარჯების დასაფარავად რეზერვები, ე.ი. დამატებითი ფულადი სახსრები.

მუხლი 632. სამუშაოს პირადად შესრულების ვალდებულება

მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან.

გამომდინარე იქიდან, რომ მენარდეს აქვს გარკვეული გამოცდილება და ცოდნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად, ამიტომ მან, როგორც წესი, სამუშაო უნდა შეასრულოს პირადად (მაგალითად, შემკვეთმა ცნობილ მკერავს შეუკვეთა საქორწინო კაბის შეკერვა).

მენარდეს უფლება აქვს სხვას მიანდოს გარკვეული სამუშაოს შესრულება, რაც ხორციელდება ე.წ. ქვენარდობის ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაში მენარდე გამოდის გენერალური მენარდის როლში. ქვემენარდის დახმარების საჭიროება წარმოიშვება რთული და დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულების დროს, მაგალითად, ნაგებობის აშენება, სატრანსპორტო მაგისტრალების გაყვანა და ა.შ. ქვენარდობის ხელშეკრულების სპეციფიკურობა მდგომარეობს იმაში, რომ სამუშაოს მთლიანი შესრულებისათვის შემკვეთის წინაშე პასუხისმგებელი რჩება გენერალური მენარდე.

არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გენერალური მენარდე დებს ხელშეკრულებას ორ ან მეტ ქვემენარდესთან, რასაც, ძირითადად, ადგილი აქვს რთული სამშენებლო სამუშაოების დროს. ქვენარდობის ხელშეკრულებას, როგორც ნარდობის ხელშეკრულების ერთ-ერთ სახეს, გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, რომლის შინაარსიც უნდა შეესაბამებოდეს ძირითად ნარდობის ხელშეკრულებას, რომელიც იდება შემკვეთსა და გენერალურ მენარდეს შორის. ქვემენარდე უნდა განვასხვაოთ მიმწოდებლისაგან, რომელიც გენერალურ მენარდეს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად აწვდის მასალებსა და მოწყობილობებს. ასეთი მიმწოდებელი გენერალურ მენარდესთან დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას, ხოლო მხარეთა უფლება-მოვალეობები ამ შემთხვევაში განისაზღვრება არა ნარდობის ხელშეკრულებით, არამედ ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებით.

პრაქტიკაში, განსაკუთრებით კი, თუ საქმე ეხება ნარდობის ხელშეკრულებით რთული სამშენებლო სამუშაოების შესრულებას (მაგალითად, მრავალსართულიანი და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება), შესაძლებელია, რომ შემკვეთმა დადოს როგორც გენერალური ნარდობის ხელშეკრულება, ისე მესამე პირებთან დადოს პირდაპირი ხელშეკრულებები. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც შემკვეთი დებს შენობის აშენების ხელშეკრულებას ერთ სამშენებლო ფირმასთან (გენერალურ მენარდესთან) და იმავდროულად დებს პირდაპირ ხელშეკრულებას სპეციალიზებულ ფირმასთან შენობაში ელექტრო გაყვანილობის, გაზსადენი და წყალსადენი მილების შესაყვანად და ა.შ. მაგრამ ასეთ შემთხვევებში დადგენილია, რომ შემკვეთის მიერ მესამე პირთან პირდაპირი ხელშეკრულების დადება დასაშვებია მხოლოდ გენერალური მენარდის თანხმობით და მეორე, მესამე პირი, რომელთანაც შემკვეთმა დადო პირდაპირი ხელშეკრულება

სამუშაოთა ნაწილის შესრულების შესახებ, უშუალოდ თვითონ, დამოუკიდებლად აგებს პასუხს შემკვეთის წინაშე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

როგორც ცნობილია, ნარდობის ხელშეკრულება არის ორმხრივი ხელშეკრულება, ანუ მასში მონაწილეობენ ორი მხარე — მენარდე და შემკვეთი. მაგრამ არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მენარდის მხარეზე გამოდის ორი ან მეტი პირი, რომელთაც თანამენარდეები ეწოდებათ. თანამენარდეების უფლება-მოვალეობათა მოცულობა დამოკიდებულია ნარდობის ხელშეკრულების საგნის თავისებურებებზე: თუკი ხელშეკრულების საგანი არის გაუყოფადი, მაშინ ისინი შემკვეთის მიმართ წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს ვალდებულების შესრულების ნაწილში და სოლიდარულ კრედიტორებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებისათვის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში. თუკი ხელშეკრულების საგანი არის გაყოფადი, მაშინ თანამენარდეების უფლება-მოვალეობათა მოცულობა არის წილობრივი ხასიათის და წილის ოდენობა, როგორც წესი, განსაზღვრულია თვითონ ხელშეკრულებით. თუ ნარდობის ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი თანამენარდეების წილის შესახებ, მაშინ მათი წილი ჩაითვლება თანაბრად. მაშასადამე, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებით მენარდის მხარეზე გამოდის ორი ან მეტი თანამენარდე, მათი ვალდებულება შეიძლება იყოს სოლიდარული ან წილობრივი.

სოლიდარულ ვალდებულებას ადგილი აქვს ხელშეკრულების საგნის განუყოფლობის დროს. მაგალითად, შემკვეთმა დადო ხელშეკრულება ორ სამშენებლო ფირმასთან აგარაკის აშენების შესახებ თითოეულის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ნაწილის მითითების გარეშე. თუკი შემდგომში აღმოჩნდება, რომ ნარდობის ხელშეკრულება არ შესრულდა, ანდა არაჯეროვნად შესრულდა, შემკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება როგორც ორივე თანამენარდის, ისე ერთ-ერთი მათგანისაგან, როგორც

მთლიანად, ისე ნაწილობრივ. თუკი ერთ-ერთმა თანამენარდემ დააკმაყოფილა კრედიტორი (შემკვეთი), მეორე თანამენარდე თავისუფლდება კრედიტორის (შემკვეთის) წინაშე პასუხისმგებლობისაგან. თუკი შემკვეთმა არ აუნაზღაურა თანამენარდეებს შესრულებული სამუშაოს ღირებულება, თითოეულ თანამენარდეს უფლება აქვს მოსთხოვოს მას მთლიანი ანაზღაურება. ამასთან, შემკვეთის მიერ ერთ-ერთი თანამენარდისათვის ანაზღაურების მთლიანად გადახდა, ათავისუფლებს მას მეორისათვის თანხის გადახდისაგან. თუკი შემკვეთმა მთლიანად აუნაზღაურა ერთ-ერთ თანამენარდეს, მან მეორეს უნდა გადაუხადოს მისი კუთვნილი წილი, როგორც წესი, სოლიდარულ კრედიტორებს ერთმანეთთან მიმართებაში ეკუთვნით თანაბარი წილი, თუ სხვა რამ არ არის მათ შორის შეთანხმებვით დადგენილი.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხელშეკრულების საგანი არის გაყოფადი, ადგილი აქვს წილობრივ ვალდებულებას. მაგალითად, შემკვეთმა ორ სამკერვალო ატელიესთან დადო ხელშეკრულება თავისი მასალით 500 ცალი შარვლის შეკერვის თაობაზე. ამასთან, ხელშეკრულებით ერთ ატელიეს უნდა შეეკერა 300 შარვალი (60%), მეორეს კი 200 შარვალი (40%). თუკი ხელშეკრულება არ შესრულდება, ანდა არაჯეროვნად შესრულდება, თითოეული ატელიე, ანუ მენარდე პასუხს აგებს თავისი წილის ფარგლებში. თუკი ერთმა ატელიემ შეასრულა თავისი წილი მოვალეობა, ხოლო მეორემ კი – არა, მაშინ იგი პასუხს არ აგებს მეორის შეუსრულებელი ვალდებულებისათვის და პირიქით, თუკი შემკვეთმა გადაიხადა შესრულებული სამუშაოსათვის ანაზღაურების ნაწილი, მაშინ დარჩენილი თანხის გადახდის მოთხოვნის უფლება თითოეულ ატელიეს აქვს მხოლოდ თავისი წილის ფარგლებში.

მუხლი 633. შემკვეთის მიერ ანაზღაურების ვალდებულება

1. მენარდეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს. შემკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი მაშინაც, როცა იგი არ შეასრულებს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ მოქმედებას.

2. ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება, ერთი მხრივ, ვადის გადაცილების ხანგრძლივობისა და საზღაურის ოდენობის შესაბამისად, ხოლო მეორე მხრივ, – იმისდა მიხედვით, რასაც მენარდე მიიღებდა თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენებით, შემკვეთს რომ ვადისათვის არ გადაეცილებინა.

ნარდობის ხელშეკრულება, როგორც ცნობილია, არის ორმხრივი ხელშეკრულება. ამიტომაც მის მონაწილე მხარეებს – მენარდესა და შემკვეთს გააჩნიათ გარკვეული უფლება-მოვალეობები. შემკვეთის ერთ-ერთ მოვალეობას წარმოადგენს მიიღოს მენარდისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შედეგი, ამიტომაც, თუ შემკვეთი არ ასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, მენარდეს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მენარდეს იმ შემთხვევაშიც გააჩნია, როდესაც შემკვეთი არ ასრულებს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ მოქმედებას. აქ იგულისხმება შემთხვევები, როცა შემკვეთი არღვევს ნარდობის ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობებს, კერძოდ, არ მიაწოდა მენარდეს მასალა, მოწყობილობა, ტექნიკური დოკუმენტაცია და ამით ხელს უშლის მენარდეს სამუშაოს შესრულებაში.

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში შემკვეთის მიერ მენარდისათვის გადასახდელი ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ორი გარემოების მიხედვით: ა) ვადის გადაცილების ხანგრძლივობისა და ბ) საზღაურის ოდენობის შესაბამისად. მაშასადამე, ნარ-

დობის ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას წარმოადგენს სამუშოს შესრულებისა და შესრულებული სამუშაოს მიღების ვადები. ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს სამუშაოთა შესრულების დაწყებისა და დამთავრების ვადა, ასევე მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ სამუშაოთა შესრულების შუალედური ვადებიც. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული შესრულების ვადა, მაშინ ვალდებულება უნდა შესრულდეს გონივრულ ვადაში. მენარდე პასუხს აგებს სამუშაოთა შესრულებისა და წარმოების დადგენილი ნებისმიერი ვადის გადაცილებისათვის. იგი ასეთ შემთხვევაში ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანი. სამუშაოთა შესრულების ვადის გადაცილებისათვის შეიძლება გადახდევინებული იყოს პირგასამტეხლოც, თუკი იგი გათვალისწინებულია ხელშეკრულებით. გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის თანახმად, შემკვეთს შეუძლია უარი თქვას ნარდობის ხელშეკრულებაზე, თუკი მან მენარდეს მისცა დამატებითი ვადა ვალდებულების შესასრულებლად და ეს დამატებითი ვადაც უშედეგოდ გავიდა. თუკი ვალდებულება ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ შემკვეთს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ დაკარგა მისთვის ინტერესი. ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ასევე, თავის მხრივ, შემკვეთის მიერ მიღების ვადის გადაცილებაში, ანდა იმ მოქმედებათა განუხორციელებლობაში, რომელიც საჭიროა სამუშაოს შესრულებისათვის. შემკვეთის მიერ ვადის გადაცილების გამო მან უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მენარდეს მიადგა შესრულებული სამუშაოს მიღების ვადის ბრალეული გადაცილების გამო. შემკვეთის მიერ ვადის გადაცილებისას მენარდე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუკი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა მისი განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო. ამიტომაც, თუკი შემკვეთი დაარღვევს შესრულებული სამუშაოს მიღების ვადას, მის მიერ

მენარდისათვის გადასახდელი ზიანის ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია, ერთის მხრივ, იმაზე, თუ რამდენი ხნით გადააცილა მიღების ვადას (ე.ი. რაც უფრო მეტ ხანს გადააცილებს, მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრება) და მეორეს მხრივ, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების მოცულობაზე (ე.ი. რაც მეტია ხარჯთაღრიცხვის ოდენობა, მით უფრო მეტ ზიანს აანაზღაურებს).

ბ) ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე ის შემოსავალი, რასაც მენარდე მიიღებდა თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენებით, შემკვეთს რომ ვადისათვის არ გადაეცილებინა.

მაგალითი:

შემკვეთმა მენარდეს შეუკვეთა კინოთეატრისათვის 200 ცალი ხის რბილი სკამის დამზადება. მენარდემ სკამები დაამზადა დადგენილ ვადაში და შეატყობინა შემკვეთს. მენარდემ, სანამ შემკვეთი სკამებს წაიღებდა, სხვა შემკვეთისაგან მიიღო შეკვეთა 100 ცალი ხის მერხის დამზადების შესახებ. თავდაპირველმა შემკვეთმა დადგენილ ვადაში არ წაიღო დამზადებული სკამები, რომელიც მენარდეს ავეჯის საამქროში ეწყო და ხელს უშლიდა მეორე შეკვეთის შესრულებაში. თავდაპირველი შემკვეთის მხრიდან ნამუშევრის წაღების ვადის გადაცილების გამო, მენარდემ ველარ შეძლო მეორე შემკვეთთან დადებული ხელშეკრულების შესრულება, რითაც დაკარგა გარკვეული შემოსავალი. ასეთ შემთხვევაში ვადის გადამცილებელი შემკვეთის მიერ ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის მიუღებელი შემოსავალიც, რომელიც მენარდეს უნდა მიეღო შემკვეთს რომ ვადისათვის არ გადაეცილებინა.

მუხლი 634. გირავნობის უფლება მოძრავ ნივთზე

მენარდეს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება.

როგორც ცნობილია, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალებებს. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის არსი ისაა, რომ თუ მოვალე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ვალდებულებას, კრედიტორს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გარდა დამატებით აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სხვა ზომების გამოყენებით აიძულოს მოვალე შეასრულოს ვალდებულებით დაკისრებული მოქმედება. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები შეიძლება გათვალისწინებული იქნეს როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებათა არსებობა დამოკიდებულია რაიმე ვალდებულების არსებობასთან, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც ისინი არსებობენ. ვალდებულება, რომლის უზრუნველყოფაც ხდება, წარმოადგენს მთავარ (ძირითად) ვალდებულებას, ხოლო მისი შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები – დამატებით (აქცესორულ) ვალდებულებებს. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ვალდებულების უზრუნველყოფის რამდენიმე საშუალებას. ესენია: გირავნობა, იპოთეკა, პირგასამტეხლო, ბე, მოვალის გარანტია, საბანკო გარანტია, თავდებობა.

სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლით გათვალისწინებული მენარდის გირავნობის უფლება გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი შემკვეთმა არ გადაიხადა შესრულებული სამუშაოს საზღაური, ასევე სხვა დამატებითი ხარჯები, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც მენარდეს გააჩნია მასა და შემკვეთს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულების ძალით. მაშასადამე, ნარდობის

ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მენარდემ შეიძლება გამოიყენოს ისეთი საშუალება, როგორიცაა გირავნობა. გირავნობის ცნება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლში რომლის თანახმადაც, მოძრავი ნივთი ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა გადაცემაც სხვა პირისათვის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატეს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების ხარჯზე. გირავნობა მოთხოვნის უზრუნველყოფის მეტად გავრცელებული საშუალებაა. ამ დროს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს მოძრავი ნივთი ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. მოძრავია ყველა ნივთი, რომლებიც არ განეკუთვნება სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლით განსაზღვრულ უძრავ ნივთებს. თუმცა ყველა მოძრავი ნივთი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გირაოდ (მაგალითად, პასპორტი, სტუდენტის ბილეთი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დამადასტურებელი დიპლომი და ა.შ.). დაგირავება შეიძლება მხოლოდ იმ ნივთებისა და ქონებრივი სიკეთისა, რომელთა გადაცემაც შეიძლება სხვა პირებისათვის. გირაოდ შეიძლება გამოყენებული იქნეს ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის ლეგალური განმარტებაც მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლში. აღნიშნული მუხლის თანახმად, ,,არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე,,. ე.ი. დაიშვება არა ნებისმიერი მოთხოვნის ან უფლების დაგირავება, არამედ მხოლოდ ქონებრივი ხასიათის გადაცემადი და გასხვისებადი მოთხოვნისა ან უფლებისა.

სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს სახელშეკრულებო გირავნობასა და კანონისმიერ გირავნობას. სახელშეკრულებო გირავნობა გირავნობის ყველაზე გავრცელებული სახეა. ეს ის

შემთხვევაა, როცა მხარეები (დამგირავებელი ანუ მოვალე და მოგირავნე, ანუ კრედიტორი) დებენ ცალკე ხელშეკრულებას ან ძირითადი ვალდებულების ამსახველ ხელშეკრულებაში უთითებენ გირავნობის შესახებ.

კანონისმიერი გირავნობის შემთხვევებს კი სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს. მაგალითად, თუ დამქირავებელმა არ გადაიხადა ბინის ქირა, გამქირავებელს აქვს გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ ბინაში შეტანილ ნივთებზე.

სწორედ კანონისმიერ გირავნობასთან გვაქვს საქმე სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაშიც, როდესაც მენარდეს გააჩნია გირავნობის უფლება თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად შემკვეთის კუთვნილ მოძრავ ნივთზე. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მენარდეს, რომელთანაც იმყოფება შემკვეთისათვის გადასაცემი ნივთი, უფლება აქვს არ გადასცეს იგი მანამ, სანამ შემკვეთი არ შეასრულებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავის მოვალეობებს, ანუ, სანამ არ გადაიხდის სამუშაოს ღირებულებას და სხვა დამატებით ხარჯებს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ამ შემთხვევაში გირავნობა, როგორც კანონით განსაზღვრული უზრუნველყოფის ღონისძიება, განსხვავდება სხვა ისეთი უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან, როგორიცაა პირგასამტეხლო, თავდებობა, ბე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს პირდაპირაა გათვალისწინებული ნარდობის ხელშეკრულებით. მაშასადამე, გირავნობის გამოსაყენებლად ამ შემთხვევაში სულაც არ არის საჭირო, რომ აღნიშნული იქნეს წინასწარ ნარდობის ხელშეკრულებაში. გირავნობა შეიძლება გავრცელდეს მენარდის მიერ დამზადებულ, ანდა შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, ასევე მონარჩენ მასალაზეც, თუკი ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება. გირავნობა ძალას ინარჩუნებს იმ შემთხვევაშიც, თუკი მენარდე მოთხოვნის უფლებას სხვა მესამე პირს დაუთმობს.

იმ შემთხვევაში, თუკი შემკვეთი ხელშეკრულებით გათვალ-

ისწინებული ანაზღაურების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების ვადის დადგომისას არ გადაიხდის თანხას, მენარდეს თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლია გირავნობის საგნის გაყიდვიდან ამ საგნის შესაბამისი სხვაგვარი რეალიზაციით (ამ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 272-282-ე მუხლების მოთხოვნები).

მუხლი 635. იპოთეკის უფლება სამშენებლო მიწის ნაკვეთზე

თუ ხელშეკრულების საგანია ნაგებობა ან ამ ნაგებობის ნაწილები, მაშინ მენარდეს შეუძლია ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნებისათვის მოითხოვოს იპოთეკა სამშენებლო მიწის ნაკვეთზე.

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მეტად გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს იპოთეკა. იპოთეკის ლეგალური დეფინიცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, უძრავი ნივთი შეიძლება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით, პირველ რიგში, მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც გირავნობის, ისე იპოთეკის დროს, უზრუნველყოფის საშუალებად გამოდის განსაზღვრული ნივთი. მაგრამ გირავნობის დროს უზრუნველყოფა ხდება მოძრავი ნივთით ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთით, იპოთეკისას მოთხოვნის უზრუნველყოფა ხდება მხოლოდ უძრავი ნივთით. სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობები, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

სამოქალაქო კოდექსის 635-ე მუხლის თანახმად, მენარდეს თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად შეუძლია მოითხოვოს იპოთეკა შემკვეთის სამშენებლო მიწის ნაკვეთზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ნარდობის ხელშეკრულების საგანია ნაგებობა (მაგალითად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, სასტუმრო და ა.შ.) ან ამ ნაგებობის ცალკეული ნაწილები. თუკი შემკვეთი დაარღვევს ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, მენარდეს უფლება აქვს მოითხოვოს სამშენებლო ნაკვეთის რეალიზაცია იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია იპოთეკის მიმართ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით.

მუხლი 636. ხელშეკრულების მოშლა

შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზარალი.

ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტის ჩვეულებრივ საშუალებას წარმოადგენს მისი მონაწილე მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობათა ჯეროვანი შესრულება. მაგრამ რადგან ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობები ატარებენ, როგორც წესი, ხანგრძლივ განგრძობად ხასიათს, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობას სამუშაოს შესრულების დასრულებამდე როგორც შემკვეთის, ისე მენარდის მოთხოვნით. ამ საფუძვლებს გააჩნიათ სპეციფიკური ხასიათი და გამოხატავენ ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

შემკვეთს შეუძლია უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე მენარდის გამოუსწორებლობის მოტივით. ამას ადგილი შეიძლება ჰქონდეს

იმ შემთხვევაში, თუკი მენარდე დროულად არ შეუდგება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას, ანდა სამუშაოს ისე ნელა ასრულებს, რომ შეუძლებელია მისი დამთავრება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. გარდა ამისა, კანონი შესაძლებლობას ანიჭებს შემკვეთს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე მენარდის ყოველგვარი ბრალის არარსებობის დროსაც. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როცა ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბება, ანდა შემკვეთს სამუშაოს შესრულებამდე ყოველთვის აქვს უფლება ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, შემკვეთმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მენარდეს და აუნაზღაუროს მენარდეს გაწეული ხარჯი და გადაუხადოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოს პროპორციულად, რომელიც მენარდის მიერ შესრულებულია შემკვეთისაგან ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეტყობინების მიღების მომენტამდე. შემკვეთი ასევე ვალდებულია აუნაზღაუროს მენარდეს ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლი მიუთითებს ასანაზღაურებელი ზიანის შემადგენლობის შესახებ, ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ ზოგადი ნორმით, რომ ზიანი მოიცავს არა მარტო რეალურ დანაკარგებს, არამედ, ფაქტობრივად, მიუღებელ შემოსავალსაც. აღნიშნული ზიანი ანაზღაურდება იმ თანხის ზევით, რომელსაც შემკვეთი უხდის მენარდეს ხელშეკრულების მოშლამდე შესრულებული სამუშაოს პროპორციულად. ამასთან, არსებობს გარკვეული შეზღუდვაც, რომლის თანახმადაც, თანხის საერთო ჯამი, რომელიც გადახდილია როგორც შესრულებული სამუშაოსათვის, ისე მიყენებული ზიანის ანგარიშში, არ უნდა აღემატებოდეს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების ოდენობას. თუკი მენარდეს სურს, რომ შემკვეთს არ ჰქონდეს ეს უფლება, მაშინ ხელშეკრულების დადების დროს მხარეებმა აუცილებლად უნდა აღნიშნონ ამის შესახებ და ეს პირობა

შეტანილ უნდა იქნეს ნარდობის ხელშეკრულებაში. კანონით ასევე დაშვებულია, რომ მენარდემ და შემკვეთმა თავიანთი შეთანხმებით გაზარდონ ან შეამცირონ კომპენსაციის ოდენობა, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს მენარდისათვის შემკვეთის მიერ ნარდობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში.

მუხლი 637. ხელშეკრულების მოშლა მენარდის ინიციატივით

მენარდეს შეუძლია სამუშაოს დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი. ამ შემთხვევაში ზიანის ანაზრაურების მოვალეობა გამოირიცხება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამუშაოს დასრულებამდე ნარდობის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს როგორც შემკვეთის, ისე მენარდის მოთხოვნით. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულება წყდება მენარდის მოთხოვნით, კანონი დამატებითი პირობის სახით აწესებს, რომ მენარდეს ისე შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა მენარდეს არ უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი მენარდის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად შემკვეთი განიცდის ზიანს, მენარდემ უნდა აუნაზღაუროს მას მიყენებული ზიანი. მენარდე ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან თავისუფლდება, თუ შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი. თუ რა ჩაითვლება მნიშვნელოვან საფუძვლად, ეს არის ფაქტის შეფასების საკითხი და უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით. მნიშვნელოვან საფუძვლად ჩაითვლება, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, როცა მე-

ნარდეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი შემკვეთი უარს აცხადებს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში ფასებს შორის სხვაობის ანაზღაურებაზე. მნიშვნელოვან საფუძვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევაც, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 647-ე მუხლით, როცა მენარდის გაფრთხილების მიუხედავად, შემკვეთი მაინც არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს (დაწვრილებით ვისაუბრებთ 647-ე მუხლის კომენტირებისას) და ა.შ.

ნარდობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის მნიშვნელოვან საფუძვლად შეგვიძლია ჩავთვალოთ ასევე სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, როგორიცაა ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. ამ მუხლის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ჩვენს შემთხვევაში, თუკი ნარდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ გაძვირდა სამშენებლო მასალები, მუშახელი და ა. შ. ეროვნული ვალუტის ინფლაციის, სახელმწიფოს მიერ გაუთვალისწინებელი გადასახადის შემოღების თუ ა.შ. გამო (ანუ აქ იგულისხმება ისეთი გარემოებები, რომელთა გათვალისწინება ნარდობის ხელშეკრულების დადების დროს არ შეიძლებოდა), მენარდეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი შემკვეთთან ვერ მიაღწევს შეთანხმებას ნარდობის ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ.

მუხლი 638. გასამრჯელოს ნაწილის მოთხოვნის შესახებ

თუ მენარდე ვალდებულებას შეწყვეტს 637-ე მუხლის მიხედვით, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს გასამრჯელოს ნაწილი, რომელიც შეესაბამება მის ადრინდელ მომსახურებას, თუკი შემკვეთს ადრე გაწეული მომსახურების მიმართ აქვს რაიმე ინტერესი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მენარდეს შეუძლია სამუშაოს შესრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს შეწყვეტისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი. ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოვალეობა გამოირიცხება.

როდესაც ხელშეკრულება წყდება ვადამდე მენარდის მოთხოვნით, კანონი მას ცალკეულ შემთხვევებში ანიჭებს უფლებას მოითხოვოს შემკვეთისაგან გასამრჯელოს ნაწილი, რომელიც შეესაბამება მის ადრეულ მომსახურებას. მაგალითად, თუკი ხელშეკრულება შეწყდება ვადამდე იმ საფუძველით, რომ შემკვეთმა მენარდის დროული გაფრთხილების მიუხედავად, არ გამოცვალა უხარისხო მასალა, მენარდეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს გაწეული მომსახურების ანაზღაურება, ოღონდ იმ პირობით, თუკი შემკვეთს ადრინდელი მომსახურების მიმართ აქვს რაიმე ინტერესი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 639. უნაკლო ნივთის წარდგენის ვალდებულება

თუ მომსახურება მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზადებას, მაშინ მენარდემ შემკვეთს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა.

ნარდობის ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას წარ-

მოადგენს მენარდის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ხარისხი. თუკი ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე ამზადებს ნაკეთობას, მაშინ მისი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს. თუ შესრულებული ნაკეთობის ხარისხი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის, მაშინ სამოქალაქო კოდექსის 380-ე მუხლის თანახმად, მენარდემ უნდა შეასრულოს სულ ცოტა საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი.

ზოგჯერ ზოგიერთი ვალდებულების შესრულების ხარისხი კანონითაა განსაზღვრული. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს ნივთიერად და უფლებრივად უნაკლო ნივთი. ანალოგიურ მოთხოვნას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 639-ე მუხლიც, რომელიც მიუთითებს, რომ მენარდემ შემკვეთს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა.

მუხლი 640. უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა

ნაკეთობა უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირებს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე უფლებები შემკვეთის წინააღმდეგ.

ნარდობის ხელშეკრულებით მენარდის მიერ დამზადებული ნაკეთობა უნდა იყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო. მენარდის მიერ დამზადებული ნაკეთობა ჩაითვლება უფლებრივად ნაკლის მქონედ, თუკი მესამე პირი განუცხადებს შემკვეთს პრეტენზიას ნივთის საკუთრების უფლებაზე და სხვა. მაგალითად, მენარდემ ნარდობის ხელშეკრულებით შემკვეთს დაუმზადა წიგნების კარადა. შემკვეთის მიერ დამზადებული ნამუშევრის მიღებისას, მას პრეტენზია განუცხადა მესამე პირმა, რომ ეს კარადა არის მისი საკუთრება, რამეთუ იგი იყიდა მენარდისაგან. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ ნაკეთობა არის უფლებრივად ნაკლის მქონე.

მუხლი 641. ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობა

1. ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს, ხოლო თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.

2. ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას.

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკეთობის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს. ხელშეკრულების საგნის თავისებურებების გათვალისწინებით, სამუშაოს ხარისხი შეიძლება განსაზღვრული იქნეს ან თვითონ ხელშეკრულებით, ან ხელშეკრულებაზე დართული იქნეს სხვა ტექნიკურ ნორმატივზე, მაგალითად, ამა თუ იმ დადგენილი სტანდარტის შესახებ მითითებით. შესაძლებელია ასევე სამუშაოს შესრულება ნიმუშის (ნახატის) მიხედვით.

შესაძლებელია ხელშეკრულებით არ იყოს გათვალისწინებული ნაკეთობის ხარისხი. ასეთ შემთხვევაში ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.

მაგალითი:

შემკვეთმა მენარდეს შეუკვეთა საძინებელი ავეჯის გარნიტურის დამზადება. მხარეები არ შეთანხმებულან ნაკეთობის ხარისხზე. ასეთ შემთხვევაში დამზადებული ავეჯის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ჩვეულებრივ წაეყენება ასეთი სახის ავეჯს.

ნარდობის ხელშეკრულებით დამზადებული ნაკეთობა ჩაითვლება ნივთობრივად ნაკლის მქონედ ასევე იმ შემთხვევებში, თუკი მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ნაკეთობას (მაგალითად, მენარდემ ნაკეთობა დაამზადა სულ სხვა მასალით, ანდა სხვა ფორმით, შემცირებული ან პირიქით გადიდებული მოცულობით და ა.შ.), ანდა თუ დაამზადებს ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას (ხელშეკრულებით მენარდეს უნდა დაემზადებინა 20 ცალი ხორცსაკეპი მანქანა, მან კი დაამზადა მხოლოდ 10 და ა.შ.).

მუხლი 642. დამატებითი შესრულების მოთხოვნა

1. თუ ნაკეთობა ნაკლის მქონეა, შემკვეთს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი შესრულება. მენარდეს შეუძლია თავისი არჩევანით ან აღმოფხვრას ნაკლი, ან დაამზადოს ახალი ნაკეთობა.

2. დამატებითი შესრულების მიზნით მენარდე ვალდებულია გაწიოს აუცილებელი ხარჯები, მათ შორის, ტრანსპორტის, სამუშაოსა და მასალების ხარჯები. მენარდეს შეუძლია უარი თქვას დამატებით შესრულებაზე, თუ იგი მოითხოვს არათანაზომიერ ხარჯებს.

3. თუ მენარდე დაამზადებს ახალ ნაკეთობას, მას შეუძლია შემკვეთს მოსთხოვოს ნაკლის მქონე ნაკეთობის უკან დაბრუნება.

იმ შემთხვევაში, თუკი მენარდემ ნაკეთობა დაამზადა ნაკლის მქონე, რომელიც აუარესებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხს, ანდა ნაკეთობას ხდის გამოუსადეგარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის, შემკვეთს კანონი უფლებას ანიჭებს მოითხოვოს მენარდისაგან დამატებითი შესრულება. ასეთ შემთხვევებში მენარდეს შეუძლია: ა) აღმოფხვრას ნაკლი და ბ) დაამზადოს ახალი ნაკეთობა. ნაკლის გამოსწორების საშუალების არჩევა დამოკიდებულია თვითონ მენარდეზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესასრულებელი სამუშაოს ხასიათიდან

გამომდინარე. მაგალითად, თუკი ნარდობის ხელშეკრულებით მენარდის მიერ დამზადებული წიგნის კარადის ხარისხი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, მენარდეს შეუძლია დაამზადოს ახალი ნაკეთობა. თუკი მენარდე დაამზადებს ახალ ნაკეთობას, მას შეუძლია შემკვეთს მოსთხოვოს ნაკლის მქონე ნაკეთობის უკან დაბრუნება. ე.ი. თუკი ჩვენს მაგალითში მენარდე დაამზადებს ახალ კარადას, მას უფლება აქვს შემკვეთს მოსთხოვოს ნაკლის მქონე კარადის უკან დაბრუნება, ანუ არ შეიძლება, რომ შემკვეთს ერთდროულად დარჩეს როგორც ახალი, ისე ნაკლის მქონე ნაკეთობა.

დამატებითი შესრულება, როგორც წესი, დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, როგორიცაა: ტრანსპორტი (როცა დამზადებული ნაკეთობა მიტანილი უნდა იქნეს შემკვეთთან), სამუშაოსა და მასალის ხარჯები (ახალი ნაკეთობის დასამზადებლად საჭიროა დამატებითი მასალის გამოყენება). ამიტომაც, თუკი მენარდე დაამზადებს ნაკლის მქონე ნაკეთობას, სწორედ ამ საფუძვლით ეკისრება მას დამატებითი ხარჯების გადახდის მოვალეობაც.

სამოქალაქო კოდექსი ერთადერთ შემთხვევაში აძლევს მენარდეს უფლებას უარი თქვას დამატებით შესრულებაზე (ე.ი. ნაკლის აღმოფხვრაზე ან ახალი ნაკეთობის დამზადებაზე), თუკი ეს მოითხოვს არათანაზომიერ ხარჯებს. არათანაზომიერი ხარჯების განმარტებას სამოქალაქო კოდექსი არ გვაძლევს და ჩვენი აზრით, სავსებით სწორადაც, რამეთუ ხარჯი არის თანაზომიერი თუ არათანაზომიერი, უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით. თუკი მენარდე არათანაზომიერი ხარჯების გამო უარს იტყვის დამატებით შესრულებაზე, მაშინ შემკვეთს შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 643. ნაკეთობის ნაკლის გამოსწორება შემკვეთის მიერ

1. თუ მენარდე არათანაზომიერი ხარჯების გამო უარს კი არ იტყვის დამატებით შესრულებაზე, მაგრამ ნაკეთობის ნაკლის გამო დამატებით შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა, მაშინ შემკვეთს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

2. დამატებითი ვადის განსაზღვრა საჭირო არ არის 405-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. შემკვეთს შეუძლია მოსთხოვოს მენარდეს ავანსი ნაკლის აღმოსაფხვრელად საჭირო ხარჯებისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო კოდექსი მენარდეს შესაძლებლობას აძლევს, უარი თქვას დამატებით შესრულებაზე, თუკი ეს მოითხოვს არათანაზომიერ ხარჯებს. მაგრამ თუკი მენარდე არ გამოიყენებს ამ შესაძლებლობას, იგი ვალდებულია შემკვეთის მიერ მიცემულ დამატებით ვადაში განახორციელოს შესრულება. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი მენარდე დამატებით ვადაშიც არ განახორციელებს ნაკლის გამოსწორებას ან ახალი ნაკეთობის დამზადებას, მაშინ შემკვეთს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს მენარდისაგან გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

როდესაც ვსაუბრობთ შემკვეთის უფლებაზე, აღმოფხვრას ნაკლი, აქ იგულისხმება ორი შემთხვევა:

1) ნაკლის აღმოფხვრა თვითონ უშუალოდ შემკვეთის მიერ;

2) ნაკლის აღმოფხვრა მესამე პირების მიერ შემკვეთის დავალებით.

ორივე შემთხვევაში დამატებითი ხარჯების გადახდის მოვალეობა აკისრია მენარდეს. შემკვეთს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს მენარდისაგან წინასწარ ავანსი ნაკლის აღმოსაფხვრელად საჭირო ხარჯებისათვის. მაგალითად, მენარდემ ნარდობის ხელშეკრულებით

დაამზადა ნაკლის მქონე ნაკეთობა. შემკვეთმა ნაკლის აღმოსაფხვრელად მენარდეს მისცა დამატებითი ორკვირიანი ვადა. მენარდემ ვერც ამ დამატებით ვადაში შეძლო ნაკლის აღმოფხვრა. შემკვეთმა ნაკლის აღმოფხვრა დაავალა მესამე პირს, ანდა გადაწყვიტა თვითონ გამოესწორებინა ნაკლი, რომლისთვისაც დამატებითი ხარჯები გახდა საჭირო, დაახლოებით 500 ლარის ოდენობით. შემკვეთს უფლება აქვს წინასწარ მოსთხოვოს ავანსი, ვთქვათ 200 ლარის ოდენობით, რომელიც ჩაითვლება ნაკლის აღმოსაფხვრელად საჭირო დამატებითი ხარჯების ჯამში. ე.ი. თუ დამატებითი ხარჯები მთლიანად შეადგენს 500 ლარს, ავანსი 200 ლარს, ნაკლის აღმოფხვრის შემდეგ მენარდეს ეკისრება შემკვეთისათვის დამატებითი 300 ლარის გადახდის მოვალეობა.

ცალკეულ შემთხვევებში კანონი შემკვეთს უფლებას ანიჭებს, უარი თქვას ნაკლის გამოსასწორებლად დამატებითი ვადის დაწესებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და გაწეული ხარჯების ანაზღაურება. სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აღნიშნული მუხლის თანახმად, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება, თუ: ა) აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება (ვადის დაწესებას ექნება თუ არა შედეგი, უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით), ბ) ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას (ჩვენ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ნარდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადა). მხარეებმა ხელშეკრულებით შეიძლება გაითვალისწინონ სამუშაოთა დაწყებისა და დამთავრების ვადები, ხოლო თუკი სამუშაოს შესრულება ხდება ნაწილ-ნაწილ, მაშინ თითოეული სამუშაოს ნაწილის შესრულების შუალედური ვადები. თუკი ნარდობის ხელშეკრულების თანახმად, შემკვეთის მხრიდან ხელშეკრულების

გაგრძელება დაკავშირებული იქნა სამუშაოთა ნაწილის დადგენილ ვადაში შესრულებასთან და მენარდემ ვერ შეძლო სამუშაოს ნაწილის შესრულება ამ შუალედურ ვადაში, მაშინ შემკვეთს უფლება აქვს, უარი თქვას დამატებითი ვადის დაწესებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, გ) განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა (განსაკუთრებულ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, საომარი მდგომარეობა, რის გამოც მხარეებს აღარ შეუძლიათ გააგრძელონ სახელშეკრულებო ურთიერთობა და სხვა). საერთოდ, თუ რა ჩაითვლება განსაკუთრებულ გარემოებად, უნდა გადაწყდეს საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით.

მუხლი 644. ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო

ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ნარდობის ხელშეკრულებით შემკვეთის ერთ-ერთ უფლებას წარმოადგენს, უარი თქვას ნაკეთობის ნაკლის გამო ხელშეკრულებაზე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს, რომ თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს (ჩვენს შემთხვევაში მენარდე) ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს (ჩვენ შემთხვევაში შემკვეთს) შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას

უთანაბრდება გაფრთხილება (მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდემ უნდა ააშენოს სასტუმრო, მაგრამ სამუშაოებს ისე ნელა ასრულებს, რომ შეუძლებელია მისი დამთავრება ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში), თუ ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს (ჩვენს შემთხვევაში შემკვეთს) შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის ინტერესი დაკარგა (მაგალითად, მენარდემ დადგენილ ვადაში ვერ შეძლო სამუშაოთა დიდი ნაწილის შესრულება, ამიტომაც შემდგომი შესრულების მიმართ კრედიტორმა დაკარგა ინტერესი).

თუკი აღნიშნული საფუძვლებით შემკვეთი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები. ხარჯების ოდენობა განისაზღვრება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით (მასალის ღირებულება, საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციის ხარჯები და ა.შ.).

მუხლი 645. საზღაურის შემცირება ნაკეთობის ნაკლის გამო

შემკვეთს, რომელიც არც ხელშეკრულების დამატებით შესრულებას მიიღებს საამისოდ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ და არც უარს განაცხადებს ხელშეკრულებაზე, შეუძლია იმ თანხით შეამციროს საზღაური, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს ნაკეთობის ღირებულებას.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუკი მენარდე დაამზადებს ნაკლის მქონე ნაკეთობას, შემკვეთს შეუძლია მოსთხოვოს მას დამატებითი შესრულება და დაუნიშნოს ამისათვის გარკვეული ვადა, ანდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. გარდა

ამისა, კანონი შემკვეთს უფლებას აძლევს, რომ მენარდისათვის მიცემული დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ არ მიიღოს დამატებითი შესრულება, თუმცა კი უარი არ განაცხადოს საერთოდ ხელშეკრულებაზე. ასეთ შემთხვევაში შემკვეთს შეუძლია შეამციროს ხელშეკრულებით მენარდისათვის გადასახდელი საზღაურის ოდენობა იმ თანხით, რა თანხითაც ნამუშევარში აღმოჩენილი ნაკლი ამცირებს ნაკეთობის ღირებულებას. თუ რა თანხით ამცირებს ნაკლი ნაკეთობის ღირებულებას, უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით. მაგალითად, თუკი ნარდობის ხელშეკრულებით დამზადებული ნაკეთობისათვის შემკვეთს მენარდისათვის უნდა გადაეხადა 100 ლარი, მაგრამ დამზადებულ ნაკეთობას აღმოაჩნდა ისეთი ნაკლი, რომელიც 25%-ით ამცირებს მის ღირებულებას, შემკვეთს უფლება აქვს შეამციროს მენარდისათვის გადასახდელი საზღაურის ოდენობა 25%-ით. ე.ი. 100 ლარის ნაცვლად გადაიხადოს 75 ლარი.

მუხლი 646. სამუშაოს შესრულება მენარდის მასალით

1. თუ მენარდე სამუშაოს ასრულებს თავისი მასალით, იგი პასუხს აგებს უხარისხო მასალისათვის.

2. მენარდე პასუხს აგებს შემკვეთის მასალის არასწორი გამოყენებისათვის. მენარდე მოვალეა წარუდგინოს შემკვეთს მასალის ხარჯის ანგარიში და დაუბრუნოს მას დარჩენილი მასალა.

აღნიშნულ მუხლში მოცემულია ნარდობის ხელშეკრულებისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი პრინციპი, რომლის თანახმადაც, თუკი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულება ხდება მენარდის მასალით და მისი ძალისხმევით. მენარდეს, თუკი იგი სამუშაოს ასრულებს თავისი მასალით, ეკისრება პასუხისმგებლობა მასალის ხარისხისათვის, ანუ მის მიერ გამოყ-

ენებული მასალა უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო. მასალა უფლებრივად ნაკლის მქონედ ჩაითვლება, თუკი მესამე პირებს გააჩნიათ მასზე უფლებები. მაგალითად, მენარდემ სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენა მასალა, რომელიც იყო დაგირავებული, ანდა სხვაგვარად უფლებრივად დატვირთული, ანდა მასალაზე საკუთრების უფლება ეკუთვნოდა მესამე პირს. ე.ი. მენარდე არ იყო სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებული მასალის მესაკუთრე. მასალა ნივთობრივად უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

იმ შემთხვევაში, თუკი მენარდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენებს ნაკლის მქონე მასალას, რაც გამოიწვევს ნამუშევრის ხარისხის გაუარესებას, იგი პასუხს აგებს შემკვეთის წინაშე. მენარდეს მასალის ნაკლის გამო არ შეუძლია მოითხოვოს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დაამტკიცებს, რომ მას ბრალი არ მიუძღვის შერჩეული მასალის უხარისხობაში, მაგალითად, მასალის ნაკლი გამოწვეულია მისი ფარული თვისებებით.

განსახილველ მუხლში საუბარია მხოლოდ მენარდის პასუხისმგებლობაზე უხარისხო მასალის გამოყენებისათვის, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, თუკი მენარდე სამუშაოთა წარმოებისას გამოიყენებს უხარისხო სამშენებლო მექანიზმებსა და ინვენტარს, მოუმზადებელ და არაკვალიფიკაციურ მუშახელს, არასწორ ორგანიზაციას გაუკეთებს სამუშაოთა შესრულებას და ა.შ. რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ შესრულებული სამუშაოს ნაკლი. ჩვენ ვთვლით, რომ მენარდეს ამ შემთხვევებშიც უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა.

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შეიძლება შესრულდეს შემკვეთის მასალითაც. ასეთ შემთხვევაში მენარდეს ეკისრება გარკვეული მოვალეობები. ერთ-ერთი მოვალეობა, რომელიც გადმოტანილი იქნა 1964 წლის სამოქალაქო კოდექსი-

დან, მდგომარეობს იმაში, რომ მენარდემ უნდა გამოიყენოს შემკვეთის მასალა ეკონომიურად და დანიშნულებისამებრ. ამიტომ, თუკი მენარდე არადანიშნულებისამებრ იყენებს შემკვეთის მიერ გადაცემულ მასალას, იგი პასუხს აგებს მასალის არასწორი გამოყენებისათვის. იმის გასარკვევად, სწორად გამოიყენა თუ არა შემკვეთის მასალა მენარდემ, მან უნდა შეადგინოს წერილობითი ანგარიში მასალის ხარჯის შესახებ, სადაც მითითებული იქნება თუ სად, რატომ, რამდენი და ა.შ. დაიხარჯა და ეს ანგარიში მონარჩენ მასალასთან ერთად უნდა გადაეცეს შემკვეთს.

ნარდობის ხელშეკრულებით შეიძლება მხარეები შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ მონარჩენი მასალა დარჩეს მენარდეს და მისი ღირებულება ჩაითვალოს ხელშეკრულებით გადასახდელი საზღაურის ანგარიშში.

იმ შემთხვევაში, თუკი ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ნაგებობის მშენებლობა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მენარდის მიერ დაზოგილი მასალის, ანუ მის მიერ გაწეული ეკონომიის საკითხი, თუკი სამუშაოთა შესრულება ხდება შემკვეთის მასალით. პრაქტიკაში დამკვიდრებული წესების მიხედვით, ამ დროს გაწეული ეკონომია, როგორც წესი, რჩება მენარდეს. აღნიშნული პრინციპის განხორციელება ხდება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: პირველ რიგში, დადგენილია იმის პრეზუმფცია (ვარაუდი), რომ გაწეულმა ეკონომიამ და დანაზოგმა არ მოახდინა გავლენა ნაგებობის ხარისხზე, ანუ მის სიმტკიცესა და ვარგისიანობაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვა რამის დამტკიცების ტვირთი, ანუ იმისა, რომ მასალის ეკონომიამ გამოიწვია ნაგებობის ხარისხის გაუარესება, აწევს შემკვეთს. მეორე რიგში, რომ დაზოგილი ეკონომია კაპიტალური მშენებლობის დროს ყოველთვის რჩება მენარდეს, ატარებს დისპოზიციურ ხასიათს, რამეთუ მხარეებმა ხელშეკრულებით შეიძლება გაითვალისწინონ სხვა რამე, მაგალითად, როგორ განაწილდეს გაწეული ეკონომია მათ შორის. თუკი მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმ-

დებიან ამ ვარიანტზე, მაშინ სასურველია მიუთითონ, თუ რა პროპორციულობით განაწილდება მათ შორის გაწეული ეკონომია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი წარმოიშობა დავა მხარეთა შორის, მაშინ სასამართლო გადაწყვეტს თითოეული მათგანის წილს საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, სახელდობრ, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, თუ რა გზითაა მიღწეული ეკონომია, დაკავშირებულია თუ არა ეკონომია იმასთან, რომ მენარდემ გამოიყენა სამუშაოთა შესრულების უფრო მეტად ეფექტური მეთოდი, თუ ეკონომია გამოიწვია ბაზარზე სამშენებლო მასალებისა და მოწყობილობების გაიაფებამ და ა.შ.

მუხლი 647. გაფრთხილების ვალდებულება

1. მენარდე ვალდებულია დროულად გააფრთხილოს შემკვეთი, რომ:

ა. შემკვეთისაგან მიღებული მასალა უხარისხო და გამოუსადეგარია;

ბ. თუ შემკვეთის მითითება შესრულდება, ნამუშევარი არამტკიცე და გამოუსადეგარი იქნება;

გ. არსებობს მენარდისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ნამუშევრის სიმტკიცესა და ვარგისიანობას.

2. თუ შემკვეთი მენარდის დროული გაფრთხილების მიუხედავად, შესაბამის ვადაში არ გამოცვლის გამოუსადეგარ ან უხარისხო მასალას, არ შეცვლის მიცემულ მითითებას სამუშაოს შესრულების წესის შესახებ, ანდა არ აღმოფხვრის სხვა გარემოებას, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ნამუშევრის ვარგისიანობასა და სიმტკიცეს, მენარდეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მენარდე აღმოაჩენს რა შემკვეთის მიერ გადაცემულ მასალაში ნაკლს (მაგალითად, შემკვეთმა მენარდეს შეუკვეთა სამზარეულოს ავეჯის დამზადება, რისთვისაც მიაწოდა ხის მასალა, რომელიც გადამუშავების დროს აღმოჩნდა, რომ დაჭიანებული იყო), არ ატყობინებს ამის შესახებ შემკვეთს და განაგრძობს სამუშაოს შესრულებას. ასეთ შემთხვევაში, მენარდე შემდგომ კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ამ გარემოებას, როგორც საფუძველს დამზადებული ნაკეთობის ხარისხის გაუარესებისა.

სხვაგვარად წყდება საკითხი იმ შემთხვევაში, თუკი შემკვეთის მიერ გადაცემულ მასალას აქვს ფარული ნაკლი, რამაც გამოიწვია შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუარესება. ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი აწევს მენარდეს, რომელმაც უნდა დაამტკიცოს, რომ სწორედ მასალის ფარული თვისებებითაა გამოწვეული დამზადებული ნაკეთობის ნაკლი და რომ აღმოჩენა ფარული თვისებების გამო სამუშაოს შესრულების პროცესში შეუძლებელი იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნარდობის ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, მენარდე სამუშაოს ასრულებს შემკვეთის დავალებით. ამიტომაც შემკვეთს უფლება აქვს თავისი ინტერესების დაცვის მიზნით გააკონტროლოს მენარდის მოქმედებები სამუშაოს შესრულების პროცესში და მისცეს მითითებები. ეს დებულება არ ეწინააღმდეგება იმ ძირითად პრინციპს, რომ მენარდე შემკვეთისაგან ორგანიზაციულად და ქონებრივად დამოუკიდებელია, რამეთუ შემკვეთს არა აქვს უფლება მიუთითოს მენარდეს, თუ ვისთან დადოს მან ხელშეკრულებები, დაკავშირებული მოწყობილობებისა და დანადგარების მიწოდებასთან, ქვემენარდეებთან და ა.შ. შემკვეთს უფლება აქვს მისცეს მენარდეს მხოლოდ ისეთი მითითებები, რომლებიც დაკავშირებულია თვითონ სამუშაოს შესრულებასთან (მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებით, მენარდემ უნდა ააშენოს საცხოვრებელი სახლი. შემკვეთს შეუძლია მენარდეს მისცეს მითითებები, რომ ჯერ კედლები შეღებოს, შემდეგ იატაკი დააგოს,

ბუხარი ააშენოს და ა.შ.), მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მენარდე არის სამუშაოთა შესრულების სპეციალისტი, ამიტომაც იგი მოვალეა გააფრთხილოს შემკვეთი, რომ, თუკი მისი მითითება შესრულდება, მაშინ ნამუშევარი არამტკიცე და გამოუსადეგარი გახდება. ასეთ შემთხვევებში მენარდე მოვალეა შეაჩეროს სამუშაოთა წარმოება და დაელოდოს შემკვეთისაგან ახალ მითითებებს. შემკვეთმა მენარდეს გონივრულ ვადაში უნდა მისცეს ახალი მითითებები სამუშაოს წარმოების წესების შესახებ. თუკი შემკვეთი არ შეასრულებს ამ მოვალეობას, მენარდეს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მართალია, სამოქალაქო კოდექსში ამის შესახებ არ არის რაიმე პირდაპირი მითითება, მაგრამ მხედველობაშია მაინც მისაღები ის გარემოება, რომ გადაწყვეტს რა ხელშეკრულების შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ შემკვეთმა არ შეცვალა მითითება სამუშაოთა წარმოების წესის შესახებ, მენარდე თავის თავზე ღებულობს გარკვეულ რისკს: თუკი შემკვეთი დაამტკიცებს, რომ მის მიერ არჩეული სამუშაოთა წარმოების შესახებ მითითება, სინამდვილეში არავითარ არახელსაყრელ შედეგებს არ იწვევს, მაშინ მენარდეს დაეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისათვის.

მენარდე ვალდებულია ასევე დროულად გააფრთხილოს შემკვეთი, რომ არსებობს მენარდისაგან დამოუკიდებელი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ნამუშევრის სიმტკიცესა და ვარგისიანობას (მაგალითად, მენარდეს ნარდობის ხელშეკრულებით უნდა აეშენებინა ნაგებობა, რომელიც გამიზნული იყო სასაქონლო საწყობად. როდესაც მენარდემ შემკვეთის მიერ გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე გათხარა ნაგებობის ფუნდამენტი, აღმოჩნდა, რომ მიწის ნაკვეთი არის დაჭაობებული და თუ იქ აშენდება ნაგებობა, იგი ნესტიანი იქნება და გამოუსადეგარი გახდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის). თუკი მენარდე ამ მოვალეობას არ შეასრულებს და გააგრძელებს სამუშაოთა წარმოებას, იგი კარგავს

შემდგომში უფლებას, რომ დაეყრდნოს ამ გარემოებას, როგორც საფუძველს, რამაც გამოიწვია შესრულებული სამუშაოს ნაკლი.

სამოქალაქო კოდექსის 647-ე მუხლში აღნიშნული ნორმა, რომ მენარდე ვალდებულია „დროულად“ გააფრთხილოს შემკვეთი, არის განუსაზღვრელი ნორმა და ამიტომ დავის შემთხვევაში განმარტებული უნდა იქნეს საქმის ყველა გარემოებების გათვალისწინებით, როგორიცაა შესასრულებელი სამუშაოს ხასიათი და სირთულე, მისი შესრულების ვადები, მენარდისა და შემკვეთის ადგილსამყოფელი, ინფორმაციის მიწოდების საშუალება და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუკი შემკვეთი, მენარდის დროული გაფრთხილების მიუხედავად, შესაბამის ვადაში არ გამოცვლის გამოუსადეგარ ან უხარისხო მასალას, არ შეცვლის მიცემულ მითითებას სამუშაოს შესრულების წესის შესახებ, ანდა არ აღმოფხვრის სხვა გარემოებას, მენარდეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 648. საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსათვის

შემკვეთი მოვალეა მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას.

აღნიშნულ მუხლში მოცემულია შემკვეთის მიერ მენარდისათვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ზოგადი წესი. შემკვეთი მოვალეა გადაუხადოს მენარდეს საზღაური იმ პირობის დაცვით, რომ სამუშაო შესრულებულია ჯეროვნად, ხარისხიანად და დათქმულ ვადაში. ამასთან ერთად მტკიცების ტვირთი აწევს შემკვეთს: თუკი იგი დროულად არ გადაუხდის მენარდეს საზღაურს, მან უნდა დაამტკიცოს, რომ სამუშაო შესრულებულია უხარისხოდ, რაც გამოუსადეგარს ხდის მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის, ანდა ვადის გადაცილებით, რის გამოც

შემკვეთმა სამუშაოს მიმართ დაკარგა ინტერესი. თუკი შემკვეთი ვერ დაამტკიცებს ამ გარემოებას, ის ჩაითვლება ვალდებულების დამრღვევად. რადგან შემკვეთის მიერ მენარდისათვის საზღაურის გადახდის ვალდებულება ატარებს ფულად ხასიათს, ამიტომაც მისი დარღვევის შემთხვევაში დგება სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, რომლის თანახმადაც თუკი შემკვეთი ფულადი თანხის გადახდას გადააცილებს, მაშინ იგი ვალდებულია გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი. იმ შემთხვევაში, როცა მენარდეს უფრო მეტი ზიანი მიადგა და იგი არ იფარება დარიცხული პროცენტებით (მაგალითად, შემკვეთს მენარდისათვის უნდა გადაეხადა 1000 ლარი, გადააცილა გადახდის ვადას ერთი თვე და დაერიცხა თანხას 4%, ე.ი. თანხამ შეადგინა 1000+40=1040 ლარი, ხოლო მენარდემ განიცადა ერთ თვეში 100 ლარის ზარალი), ასეთ შემთხვევაში მენარდეს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება იმ თანხის ოდენობით, რომელიც აღემატება დარიცხულ პროცენტს (ჩვენს მაგალითში ეს თანხა იქნება 100-40=60 ლარი).

ნარდობის ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განსაზღვრული იქნეს ნაწილ-ნაწილ გადახდის ვალდებულებაც სამუშაოთა შესრულების ცალკეული ეტაპების მიხედვით (მაგალითად, შენობა-ნაგებობების მშენებლობის დროს), ასევე შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს მენარდისათვის ავანსის, ანდა ბეს მიცემა.

ავანსის ცნების განმარტებას მოქმედი კანონმდებლობა, მართალია, არ გვაძლევს, მაგრამ მას ფართო გამოყენება აქვს პრაქტიკაში. ავანსი ეს არის ფულადი თანხა, რომელიც წინასწარ გადაიხდევინება ფულადი ვალდებულების ანგარიშში და არ ატარებს იმ უზრუნველყოფის საშუალების ხასიათს, რომელიც დამახასიათებელია ბესთვის. მაშასადამე, ავანსი ძირითადად, ემსახურება მენარდის ინტერესებს, მაშინ როდესაც ბე უზრუნველყოფს როგორც მენარდის, ისე შემკვეთის ინტერესებს, ეს დაკავშირებულია იმას-

თან, რომ თუკი მენარდე უარს განაცხადებს სამუშაოს შესრულებაზე, ანდა შემკვეთი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ, როგორც წესი, ავანსი უკან უნდა იქნეს დაბრუნებული.

სხვაგვარად წყდება საკითხი ბეს შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლის თანახმად, ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი.

თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობას (მაგალითად, შემკვეთმა უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე), მაშინ ბე რჩება მის მიმღებს (ჩვენს შემთხვევაში მენარდეს). ამასთან ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში. მაგალითად, თუ შემკვეთს მენარდისათვის უნდა გადაეხადა 500 ლარი და წინასწარ ბეს სახით დაიტოვა 100 ლარი, ეს თანხა ითვლება მენარდისათვის მიყენებული ზიანის (რომლის ოდენობაც განისაზღვრება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით) ანაზღაურების ანგარიშში. თუკი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია მენარდის ბრალით, მაშინ მან შემკვეთს ბე უნდა დაუბრუნოს უკან ორმაგად. ამასთან, შემკვეთს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ როცა მხარეებს სურთ, რომ წინასწარ გადაცემული თანხა მიჩნეული იქნეს ბედ, მათ ამის შესახებ პირდაპირ უნდა მიუთითონ ხელშეკრულებაში. ყოველგვარი ეჭვი გადაწყდება იმის სასარგებლოდ, რომ წინასწარ გადახდილი ფასის ნაწილი არის ავანსი.

ᲛᲣᲮᲚᲘ 649. ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ

თუ ხელშეკრულების თანახმად, ან შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა მისი გადაცემა, მაშინ შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაო. მიღებისთანავე შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს საზღაური. სამუშაო მიღებულად

ჩაითვლება, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს მენარდის მიერ დადგენილ ვადაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნულ მუხლს მხედველობაში აქვს არა სამუშაოს, როგორც ასეთის, მიღება, არამედ შესრულებული სამუშაოს შედეგის მიღება. მასში ერთმანეთისაგან არის გამიჯნული ორი სტადია: მენარდის მიერ სამუშაოს გადაცემა და შემკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს მიღება. სამუშაოს გადაცემა ერთის მხრივ, წარმოშობს შემკვეთის ვალდებულებას მიიღოს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი, ხოლო მეორე მხრივ, მენარდის უფლებას – მოითხოვოს შემკვეთისაგან შეპირებული საზღაური.

სამუშაოს მიღების ვალდებულება გამოიხატება იმაშიც, რომ შემკვეთმა უნდა შეამოწმოს შესრულებული სამუშაოს შედეგი და თუ მასში აღმოაჩენს ნაკლს, მაშინ ეს გარემოება უნდა გააფორმოს ჯეროვნად. როგორც წესი, სამუშაოს მიღების შესახებ ფორმდება მიღების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მენარდე და შემკვეთი. ამიტომაც, თუკი შემკვეთი აღმოაჩენს შესრულებული სამუშაოს ნაკლს, მან ამის შესახებ აუცილებლად უნდა მიუთითოს ნამუშევრის მიღების აქტში. თუკი შემკვეთი არ შეამოწმებს შესრულებული სამუშაოს ხარისხს და სამუშაოს ისე მიიღებს, იგი კარგავს უფლებას შემდგომში მიუთითოს სამუშაოს იმ ნაკლზე, რომელიც შეიძლება დადგენილი ყოფილიყო ნამუშევრის გარეგნული დათვალიერების შემთხვევაში (ე.წ. ხილული ნაკლი).

მაშასადამე, დამზადებული ნაკეთობის თუ შესრულებული სამუშაოს ნაკლის გამო შემკვეთს მოთხოვნის უფლება წარმოეშობა, თუკი იგი სამუშაოს გადაცემის მომენტში შეამოწმებს მის ვარგისიანობას და აღმოჩენილი ნაკლის შესახებ დაუყოვნებლივ მიუთითებს მიღების აქტში ან სხვა დოკუმენტში. სამუშაოს მიღების აქტი, როგორც წესი, არის ორმხრივი, ანუ მას ხელს აწერენ როგორც მენარდე, ისე შემკვეთი. რაც შეეხება შესრულებული სამუშაოს ფარულ

ნაკლს, ანუ ისეთ ნაკლს, რომლის აღმოჩენაც შესრულებული სამუშაოს გარეგნული დათვალიერებით შეუძლებელი იყო, მისი აღმოჩენის შემთხვევაში შემკვეთმა უნდა შეატყობინოს მენარდეს გონივრულ ვადაში.

ცალკეულ შემთხვევებში (მაგალითად, შენობა-ნაგებობები, ნავთობსადენი და ა.შ.) შეიძლება წარმოიშვას შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის ჩატარების საკითხი. როგორც შემკვეთს, ისე მენარდეს შეუძლიათ მოითხოვონ ექსპერტიზის ჩატარება შესრულებულ სამუშაოში აღმოჩენილი ნაკლოვანებების მიზეზების დასადგენად. როგორც წესი, ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს ის მხარე, რომელიც მოითხოვს ექსპერტიზის ჩატარებას, ხოლო, თუ ამას მოითხოვს ორივე მხარე, მაშინ ხარჯები მათ შორის განაწილდება თანაბრად.

სამუშაო მიღებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს მენარდის მიერ დადგენილ ვადაში. ამ დებულებას პრაქტიკაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია, რამეთუ სწორედ სამუშაოს მიღების მომენტს უკავშირდება შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკის გადასვლა შემკვეთზე, რომელზედაც უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ სამოქალაქო კოდექსის 651-ე მუხლის კომენტირებისას.

იმ შემთხვევაში, თუკი მენარდის მიერ გაფრთხილების შემდეგაც არ წაიღებს შემკვეთი შესრულებულ სამუშაოს დადგენილ ვადაში, მაშინ მენარდეს სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის თანახმად, გირავნობის წესების დაცვით, შეუძლია მოახდინოს შესრულებული სამუშაოს შედეგის რეალიზაცია.

მუხლი 650. მენარდის პასუხისმგებლობა შემკვეთის ქონების დაღუპვისას

მენარდე პასუხს აგებს შემკვეთის ქონების დაღუპვის ან დაზიანებისათვის გაუფრთხილებლობის დროსაც.

ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე ვალდებულია უზრუნველყოს შემკვეთის ქონების დაცვა დაღუპვისა და დაზიანებისაგან. ამიტომაც მენარდე ვალდებულია უზრუნველყოს შემკვეთის ქონების დაცვა იმგვარად, როგორც შემნახველი მოვალეა უზრუნველყოს შესანახად მიბარებული ნივთების დაცვა. მენარდე მოვალეა ქონება დაიცვას გაფუჭებისა და დატაცებისაგან, ანდა ყოველგვარი სხვა საშიშროებისაგან, კერძოდ, მან უნდა განახორციელოს ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული და დაცვის სხვა ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით. მენარდე ვალდებულია ისეთივე კეთილსინდისიერებით შეინახოს შემკვეთის ქონება, როგორც საკუთარ ნივთს შეინახავდა. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ როცა მენარდე არ ზრუნავს თავისი ნივთების შესანახად, მისგან ვერ მოვითხოვთ ზრუნვას შემკვეთის ქონების შენახვაზე, მითითება იმის შესახებ, რომ მენარდემ ისეთივე კეთილსინდისიერებით უნდა დაიცვას შემკვეთის ქონება, როგორც საკუთარი, აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ მენარდე ჩვეულებრივ ზრუნავს თავის ნივთებზე. ამიტომ თავისი ნივთებისადმი უყაირათო დამოკიდებულება არ გაანთავისუფლებს მენარდეს პასუხისმგებლობისაგან, თუ ასევე მოეპყრო შემკვეთის ქონებას.

როგორც ცნობილია, ზიანის მიყენებისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ოთხი საფუძველი არსებობს: ა) ზიანი, ბ) მართლსაწინააღმდეგო ქმედება, გ) მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის, დ) ზიანის მიმყენებლის ბრალი. სამოქალაქო კოდექსის 650-ე მუხლი კიდევ ერთხელ განამტკიცებს სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში გაბატონებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზიანის ანაზღაურებისათვის ბრალის ფორმას კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა (მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 527-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს გამჩუქებლის პასუხისმგებლობაას უხარისხო ნივთის გაჩუქებისათვის, როდესაც მან ნივთის ნაკლი ბოროტი განზრახვით დამალა), მნიშვნელობა არა

აქვს, ე.ი. მენარდე პასუხს აგებს შემკვეთის ქონების დაღუპვის ან დაზიანებისათვის როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობის დროსაც. მენარდე პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება, თუკი დაამტკიცებს, რომ შემკვეთის ქონების დაღუპვაში ან დაზიანებაში ბრალი არ მიუძღვის (ანუ მან მიიღო ყველა აუცილებელი და საჭირო ზომა, მაგრამ ნივთი დაიღუპა ან დაზიანდა დაუძლეველი ძალის ან მენარდისაგან სხვა დამოუკიდებელი გარემოების შედეგად).

აღნიშნული მუხლის კომენტირებისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საუბარია შემკვეთის მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით აღმოჩნდა მენარდის მფლობელობაში, მაგალითად, შესაკეთებლად გადაცემული ნივთი, მოწყობილობები, დანადგარები, სამშენებლო მასალები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ქონება.

მუხლი 651. მენარდის რისკი

1. მენარდეს ეკისრება შესრულებული სამუშაოს შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი შემკვეთისათვის შესრულების გადაცემამდე. გადაცემასთან ერთად შემკვეთზე გადადის შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი. გადაცემას უთანაბრდება ისიც, როცა შემკვეთი აყოვნებს მიღებას.

2. მასალის შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი ეკისრება მასალის მიმცემ მხარეს.

ნარდობის ხელშეკრულებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მენარდე წარმოადგენს შემკვეთისაგან ორგანიზაციულად და ქონებრივად დამოუკიდებელ სუბიექტს, ამიტომაც იგი თავისი შეხედულებისამებრ წარმართავს სამუშაოს შესრულებას და პასუხს აგებს მისი წარმატებით შესრულებისათვის. შემკვეთს უფლება აქვს გაა-

კონტროლოს მენარდის მიერ მისგან შეკვეთილი სამუშაოს შესრულების მიმდინარეობა, მაგრამ უფლება არა აქვს ჩაერიოს მენარდის საწარმოო საქმიანობაში. სახელდობრ, მენარდემ უნდა უზრუნველყოს სამუშაოთა შესრულების უსაფრთხოება.

მენარდის მიერ რისკის ტარება მდგომარეობს იმაში, რომ, თუკი შესრულებული სამუშაოს შედეგი დაიღუპება შემკვეთისათვის გადაცემამდე მხარეთაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (მაგალითად, მენარდემ ნარდობის ხელშეკრულებით ააშენა თავისი მასალით შემკვეთისათვის საცხოვრებელი სახლი, მაგრამ შემკვეთისათვის გადაცემამდე სახლი დაინგრა მიწისძვრის ან სხვა დაუძლეველი ძალის გამო), მენარდეს არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებული სამუშაოსათვის შეთანხმებული საზღაური.

მენარდისათვის შესრულებული სამუშაოს შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკის დაკისრება შემკვეთისათვის შესრულების გადაცემამდე აიხსნება იმით, რომ ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი. ამიტომაც, თუკი შემკვეთი ვერ ღებულობს ამ შედეგს მხარეთაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ამ მიზეზებს პრაქტიკაში ხშირად უწოდებენ ე.წ. ,,ფორს-მაჟორულ გარემოებებს,,), გაუმართლებელი იქნებოდა დაგვევალდებულებინა შემკვეთი აენაზღაურებინა ის სამუშაო, რომლის შედეგითაც მან ვერ ისარგებლა. თუკი სამუშაო შემკვეთის მიერ უკვე ნაწილობრივ იყო ანაზღაურებული, მენარდე ვალდებულია მიღებული საზღაურის ნაწილი უკან დაუბრუნოს შემკვეთს.

შესრულებული სამუშაოს გადაცემის მომენტიდან შემკვეთზე გადადის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი. მაშასადამე, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, თუ რა მომენტიდან ხდება შემკვეთი შესრულებული სამუშაოს შედეგის მესაკუთრე? ამასთან დაკავშირებით ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებით, რომლებიც შეეხება საკუთრების უფლების შეძენისა და წარმოშობის მომენტს. როგორც წესი, შემკვეთი მესაკუთრე

ხდება ნივთის გადაცემის მომენტიდან. მაგალითად, შემკვეთმა სამკერვალო ატელიეს შეუკვეთა პიჯაკის შეკერვა. იგულისხმება, რომ შემკვეთისათვის დამზადებული პიჯაკის გადაცემამდე მისი მესაკუთრეა მენარდე და შესაბამისად, პიჯაკის განკარგვა შემკვეთს შეუძლია მხოლოდ მისი მიღების მომენტიდან. ამ მომენტიდანვე გადადის შემკვეთზე შესრულებული სამუშაოს, ანუ შეკერილი პიჯაკის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი. სამუშაოს გადაცემას უთანაბრდება ისიც, თუკი შემკვეთი აყოვნებს მიღებას. მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებით, მენარდეს შემკვეთისათვის შესრულებული სამუშაოს შედეგი უნდა გადაეცა 5 თებერვალს, შემკვეთმა გადააცილა ნამუშევრის წაღების ვადას. 7 თებერვალს შესრულებული სამუშაოს შედეგი განადგურდა დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად. ასეთ შემთხვევაში, მართალია, შემკვეთმა ვერ ისარგებლა შესრულებული სამუშაოს შედეგით, მაგრამ იგი მაინც მოვალეა გადაუხადოს მენარდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური. ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს ასევე სამოქალაქო კოდექსის 393-ე მუხლი, რომლის „ბ„ პუნქტი მიუთითებს, რომ კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას, მისი ბრალის მიუხედავად, მას ეკისრება ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი. მაშასადამე, შესრულებული სამუშაოს მიღების ვადის გადაცილების გამო შემკვეთზე შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკის გადასვლას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის როგორც 393-ე მუხლი, ანუ ზოგადი ნორმა, ასევე 651-ე მუხლიც, ანუ სპეციალური ნორმა.

სხვაგვარად წყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულებული სამუშაოს დაღუპვა ან დაზიანება გამოწვეულია ერთ-ერთი მხარის ბრალეული მოქმედებით. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრება ბრალეულ მხარეს. თუკი შესრულებული სამუშაოს შედეგის დაღუპვა ან დაზიანება გამოიწვია შემკვეთის ბრალეულმა მოქმედებამ (მაგალითად, შემკვეთმა არ მიაწოდა მენარდეს მასალა, ანდა მიაწოდა უხარისხო მასალა ან არ მიაწოდა

დროულად, ანდა არ შეცვალა მითითება სამუშაოთა წარმოების წესების შესახებ), ასეთ შემთხვევაში მან მაინც უნდა გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური, ანდა შეიძლება ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შერეული ბრალისათვის, სახელდობრ, თუკი ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.

სამოქალაქო კოდექსის 651-ე მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს სპეციალურ ნორმას, რომლის თანახმადაც, მასალის შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი ეკისრება მასალის მიმცემ მხარეს. საკითხის ასეთი გადაწყვეტა დაფუძნებულია ცნობილ პრინციპზე, რომლის თანახმადაც ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი აწევს მის მესაკუთრეს. მოყვანილი ნორმა, ამასთან ერთად, ითვალისწინებს, რომ მასალის მიმცემ მხარეს უფლება აქვს დაამტკიცოს, რომ მასალის დაღუპვა ან დაზიანება გამოწვეულია ხელშეკრულების მეორე მხარის ბრალით.

მუხლი 652. ნაკლის მქონე ნაკეთობის მიღების შედეგები

თუ შემკვეთისათვის ნაკეთობის ნაკლი ცნობილია და იგი მაინც მიიღებს მას პრეტენზიის განუცხადებლად, მაშინ შემკვეთს არ წარმოეშობა მოთხოვნის უფლებები ამ ნაკლის გამო.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლის კომენტირებისას, შემკვეთი მოვალეა ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში მიიღოს შესრულებული სამუშაო (მისი შედეგი) და მენარდესთან ერთად შეამოწმოს მისი ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუკი შემკვეთი აღმოაჩენს, რომ შესრულებულ სამუშაოს გააჩნია

ნაკლი, რომელიც ამცირებს მის ღირებულებასა და ხარისხს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა განუცხადოს მენარდეს პრეტენზია. თუკი შემკვეთი მაინც მიიღებს შესრულებულ სამუშაოს პრეტენზიის განუცხადებლად, მაშინ იგი კარგავს სამოქალაქო კოდექსის 642-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებებს ამ ნაკლის გამო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ იმ ნაკლზე, რომელიც შეიძლება აღმოჩენილი იქნეს შესრულებული სამუშაოს (მისი შედეგის) მიღებისას გარეგნული დათვალიერებით. ეს ნორმა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი შემთხვევის მიმართ, როცა შესრულებულ სამუშაოს გააჩნია ფარული ნაკლი, ანუ რომლის დადგენაც შეუძლებელია გარეგნული დათვალიერებით. ფარული ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მენარდეს უნდა ეცნობოს ამის შესახებ გონივრულ ვადაში (უფრო დაწვრილებით სამოქალაქო კოდექსის 655-ე მუხლის კომენტირებისას).

მუხლი 653. საგარანტიო ვადა

თუ მენარდემ ნაკეთობისათვის იკისრა საგარანტიო ვადა, მაშინ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი წარმოშობს შესაბამის უფლებებს.

საგარანტიო ეწოდება ვადას, რომლის განმავლობაშიც მენარდემ შემკვეთის მოთხოვნით საკუთარი ხარჯებით უნდა გამოასწოროს შესრულებულ სამუშაოში გამოვლენილი ნაკლი, თუკი მენარდე ვერ დაამტკიცებს, რომ ნაკლი წარმოიშვა შემკვეთის მიერ მისთვის გადაცემული შესრულებული სამუშაოს შედეგის არასწორი გამოყენების ან შენახვის შედეგად.

სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებით მენარდემ იკის-

რა დამზადებული ნაკეთობისათვის საგარანტიო ვადა, მაგრამ არაფერს მიუთითებს გარანტიის ვადაზე და მისი გამოთვლის წესზე. საგარანტიო ვადის დაწყების მომენტი განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლით (შემკვეთის მიერ სამუშაოს მიღება), ხოლო მოქმედების ვადა კი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

ამიტომაც, თუკი მენარდე ნაკეთობისათვის იკისრებს საგარანტიო ვადას და ამ ვადაში შემკვეთი მისთვის გადაცემულ ნაკეთობაში აღმოაჩენს ნაკლს, მაშინ შემკვეთს წარმოეშობა მენარდის მიერ სამოქალაქო კოდექსის 642-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება.

მუხლი 654. მენარდის მიერ ნაკლის განზრახ დაფარვის შედეგები

თუ მენარდე ნაკლს განზრახ დაფარავს, მას არ შეუძლია მიუთითოს შეთანხმებაზე, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს შემკვეთის უფლებებს ნაკეთობის ნაკლის გამო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნარდობის ხელშეკრულებით როგორც მენარდეს, ასევე შემკვეთს გააჩნიათ გარკვეული უფლებები და მოვალეობები. მენარდის ერთ-ერთი მოვალეობაა გადასცეს შემკვეთს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობა, თუ მომსახურება მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზადებას. მენარდის ამ მოვალეობას უპირისპირდება შემკვეთის უფლება, მოითხოვოს მენარდისაგან ნაკეთობის ნაკლთან დაკავშირებით დამატებითი შესრულება, ან თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, ანდა ნაკეთობის ნაკლის გამო სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

ნარდობის ხელშეკრულებით არ არის გამორიცხული, რომ მხარეები შეთანხმდნენ მენარდის პასუხისმგებლობის მოცულობის შემცირებაზე, ანდა მისი პასუხისმგებლობისაგან მთლიანად განთავისუფლების შესახებ შესრულებული სამუშაოს შედეგის ნაკლ-

თან დაკავშირებით. მაგრამ სამოქალაქო კოდექსი მიუთითებს, რომ მიუხედავად ასეთი შეთანხმებისა, შემკვეთს მაინც წარმოეშობა კანონით მინიჭებული უფლებები ნაკეთობების ნაკლის გამო იმ პირობით, თუკი იგი დაამტკიცებს, რომ მენარდემ შემკვეთისათვის ნაკეთობის გადაცემის მომენტისათვის იცოდა ნაკეთობის ნაკლის შესახებ, მაგრამ ნაკლი განზრახ დაფარა, ე.ი. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი აწევს შემკვეთს.

მუხლი 655. ხანდაზმულობის ვადა

მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება – 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან.

ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებითი განხორციელება ან დაცვა. უმეტეს შემთხვევაში, დარღვეული უფლების განხორციელების და დაცვის მიზნით, სარჩელით მიმართავენ სასამართლოს, თუმცა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დარღვეული უფლების განხორციელება და დაცვა შეიძლება სხვა ორგანოს მიერაც. ამიტომაც, ხანდაზმულობის ცნება მხოლოდ სასარჩელო ხანდაზმულობას კი არ მოიცავს, არამედ ასევე ვადებს, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს უფლების არასასარჩელო დაცვა.

კანონი ხანდაზმულობის საერთო ვადას განსაზღვრავს 10 წლით. რაც შეეხება სახელშეკრულებო მოთხოვნებს, მათი ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – 6 წელს.

მაშასადამე, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიან ვადას, თუ მოთხოვნა

შეეხება მოძრავ ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს და ექვსწლიან ხანდაზმულობას, თუ მოთხოვნა შეეხება უძრავ ნივთს. ეს არის ზოგადი ვადები. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-3 პუნქტი მიუთითებს, რომ ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

ხანდაზმულობის სხვა ვადებზეა საუბარი სწორედ სამოქალაქო კოდექსის 655-ე მუხლში, რომელიც ითვალისწინებს, რომ მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო, შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე (და არა ზოგადად დადგენილი 3 წლის განმავლობაში), ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას, ანუ უძრავ ნივთს შეეხება, 5 წლის განმავლობაში (და არა ზოგადად 6 წლის განმავლობაში). ნარდობის ხელშეკრულებაში კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები აითვლება შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან. მაგალითად, მენარდემ ნარდობის ხელშეკრულებით ააშენა საცხოვრებელი სახლი და გადასცა შემკვეთს. შემკვეთმა საცხოვრებელ სახლში მისი გადაცემიდან 2 წლის შემდეგ აღმოაჩინა ნაკლი (კედლების უხარისხო შელესვის შედეგად სახლში გაჩნდა ბზარები) და ნაკლის აღმოჩენიდან სამი წლისა და რვა თვის შემდეგ მიმართა სასამართლოს შესრულების ნაკლის გამო მენარდისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. სასამართლომ არ დააკმაყოფილა შემკვეთის მოთხოვნა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. შემკვეთმა გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ სასამართლოში იმ მოტივით, რომ მის მიერ ხანდაზმულობის ვადა გაშვებული არ არის, რამეთუ უძრავ ნივთებთან დაკავშირებით კანონი ადგენს ექვსწლიან ხანდაზმულობის ვადას და მას ოთხი თვე კიდევ აქვს დარჩენილი. ზემდგომმა სასამართლომ უცვლელად დატოვა ძალაში ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება სრულიად სამართლიანად, რამეთუ მიუთითა, რომ, მართალია, უძრავ ნივთებთან დაკავშირებით დადგენილია ხანდაზმულობის ექვსწლიანი ვადა, მაგრამ ნარდობასთან მიმართებაში უპირატესობა უნდა მიეცეს სპეციალურ ვადას – 5 წელს.

მუხლი 656. ხანდაზმულობის ვადის ათვლა სამუშაოს ნაწილ-ნაწილ მიღებისას

თუ ხელშეკრულების მიხედვით სამუშაო მიღებულია ნაწილ-ნაწილ, ნაკლის გამო ხანდაზმულობის ვადა იწყება სამუშაოს მთლიანად მიღების დღიდან.

ნარდობის ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისა და შემკვეთისათვის გადაცემის ვადები. ეს განსაკუთრებით საჭიროა მაშინ, როცა ხელშეკრულებით ხდება დიდი მოცულობისა და რთული სამუშაოების შესრულება. მხარეებმა ხელშეკრულებით შეიძლება გაითვალისწინონ ასევე სამუშაოთა ცალკეული ნაწილების შესრულებისა და გადაცემის ვადები (მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებით შემკვეთმა მენარდეს შეუკვეთა 300 ცალი ხის მერხის დამზადება სამ პარტიად, თითოეული 100 მერხის ოდენობით). სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს, რომ, თუ ნარდობის ხელშეკრულებით სამუშაო მიღებულია ნაწილ-ნაწილ (ჩვენს მაგალითში ერთი პარტია მერხებისა მენარდემ შემკვეთს გადასცა 2000 წლის 15 იანვარს, მეორე პარტია – 15 მარტს, მესამე პარტია – 15 მაისს), ასეთ შემთხვევაში ნაკლის გამო ხანდაზმულობის ვადა იწყება სამუშაოს მთლიანად მიღების დღიდან (ჩვენს მაგალითში, თუკი იანვრის თვეში გადაცემული მერხების ნაწილს აღმოაჩნდება ნაკლი, კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა აითვლება არა იანვრიდან, არამედ – მაისიდან, როდესაც მთლიანად იქნა მიღებული ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შედეგი, ე.ი. სამასივე მერხი).

თავი მეთერთმეტე

ტურისტული მომსახურება

მუხლი 657. ცნება

ტურიზმის ხელშეკრულებით მოგზაურობის მომწყობი (ტურისტული საწარმო) მოვალეა გაუწიოს ტურისტს (მოგზაურს) შეთანხმებული მომსახურება. ტურისტი მოვალეა მოგზაურობის მომწყობს გადაუხადოს შეპირებული ანაზღაურება გაწეული მომსახურებისათვის.

ტურიზმის ხელშეკრულება განსაზღვრავს მომსახურების ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს და იგი საბანკო მომსახურების, გადაზიდვა-გადაყვანის, სატრანსპორტო ექსპედიციის და სხვა მსგავს ხელშეკრულებებთან ერთად არეგულირებს მომსახურების კონკრეტულ სფეროს. ამ ხელშეკრულების საგანია ორგანიზებული, უხარვეზო მოგზაურობის უზრუნველყოფა.

ტურიზმის ხელშეკრულების მხარეებია ერთის მხრივ, მოგზაურობის მომწყობი და მეორეს მხრივ, ტურისტი. სამოქალაქო კოდექსის 657-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ტურისტული საწარმო წარმოადგენს მოგზაურობის მომწყობს. ამდენად, კანონმდებელი ტურისტულ მომსახურებას მიიჩნევს სამეწარმეო საქმიანობად, რის გამოც მოგზაურობის მომწყობი შეიძლება იყოს მხოლოდ საწარმო, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას ტურისტული მომსახურების სფეროში.

ტურისტი კი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელსაც სურს მოგზაურობა.

ეს ხელშეკრულება ორმხრივი ხელშეკრულებაა, რომლითაც ერთი მხარე – ტურისტული საწარმო მოვალეა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მოაწყოს ტურისტუ-

ლი მოგზაურობა, ხოლო მეორე მხარე – ტურისტი კი მოვალეა ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში შეთანხმებული საზღაური გადაუხადოს მოგზაურობის მომწყობს.

აღნიშნული ხელშეკრულება სასყიდლიანი ხელშეკრულებაა, რადგან ტურისტის მიერ შეპირებული საზღაურის გადახდა მოგზაურობის მომწყობისათვის წარმოადგენს ხელშეკრულების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება კონსენსუალური ბუნებისაა, რადგან იგი ძალაშია მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის და ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტიდან. როგორც წესი, ასეთი ხელშეკრულების გაფორმების მომენტი არ ემთხვევა უშუალოდ ტურისტული მომსახურების გაწევას, იგი წინ უსწრებს მოგზაურობის დაწყებას. აღნიშნული ხელშეკრულება ვადიანი ხელშეკრულებაა და იგი ძალაშია მოგზაურობის მთელ პერიოდში, მოგზაურობის დამთავრებისთანავე ხელშეკრულება შეწყდება; ამიტომ მხარეებმა აუცილებლად უნდა მიუთითონ მოგზაურობის დაწყებისა და დამთავრების კონკრეტული დრო.

მართალია, ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები (სამოქალაქო კოდექსის 657-667-ე მუხლები) პირდაპირ მითითებას არ შეიცავენ ხელშეკრულების ფორმის შესახებ, მაგრამ შესაბამისი მუხლების შინაარსით და დამკვიდრებული პრაქტიკით ირკვევა, რომ იგი წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს და მარტივი წერილობითი ფორმაც საკმარისია ასეთი ხელშეკრულების ნამდვილობისათვის. თუმცა დასაშვებია ასევე ასეთი ხელშეკრულების ზეპირი ფორმითაც გაფორმება. მაგრამ, თუ ერთ-ერთი მხარე დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და შემდეგ უარს განაცხადებს მხარეთა შორის ასეთი შეთანხმების არსებობაზე, ხელშეკრულების წერილობითი ფორმით არარსებობის გამო ასეთი დავების გადაწყვეტა პრაქტიკაში მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

მაგალითი:

თამაზ მაისურაძემ გერმანიაში ორკვირიანი მოგზაურობის ხელშეკრულება დადო ტურისტულ ფირმასთან. მხარეთა შორის აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმდა ზეპირად; თამაზ მაისურაძემ გადაიხადა გერმანიის ვიზის, მგზავრობის და სასტუმროს ხარჯები, სულ 3000 ლარი; ტურისტულმა ფირმამ კი მას მისცა ჰოლანდიის ვიზა და უთხრა, რომ ამ ვიზით შეეძლო გერმანიაში შესვლა, ფრანკფურტის აეროპორტში ფირმის წარმომადგენელი მერაბ ერაძე დახვდებოდა და სასტუმროში მიიყვანდა. როცა თამაზ მაისურაძე ჩაფრინდა ფრანკფურტში, სასაზღვრო შემოწმებისას მას განუცხადეს, რომ ჰოლანდიის ვიზით არ ჰქონდა უფლება პირდაპირ გერმანიაში შესულიყო, იგი დააჯარიმეს 1000 გერმანული მარკით, ააღებინეს თბილისში იმავე დღესვე გამოსაფრენი თვითმფრინავის ბილეთი და დააბრუნეს საქართველოში. თამაზ მაისურაძემ თბილისში დაბრუნებისთანავე მიმართა ტურისტულ ფირმას და მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ფირმამ მას უარი უთხრა. ამის შემდეგ თამაზ მაისურაძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ტურისტული ფირმის მიმართ და მოითხოვა ფირმისთვის გადახდილი 3000 ლარის, გერმანიაში მიყენებული ზიანის – 3000 გერმანული მარკის ანაზღაურება. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განაცხადა, რომ მოსარჩელეს განუმარტეს, ფირმის მიერ გაკეთებული ვიზით მხოლოდ ჰოლანდიაში გამგზავრება შეეძლო, მას გერმანიაში თუ სურდა წასვლა, ეს მოპასუხისათვის არ იყო ცნობილი. ასეთი განმარტების მოსმენის შემდეგ მოსარჩელემ მოითხოვა საქმეზე მოწმის სახით ფირმის წარმომადგენლის მერაბ ერაძის დაკითხვა, რომელმაც დაადასტურა პროცესზე, რომ ფრანკფურტის აეროპორტში ელოდებოდა თამაზ მაისურაძეს სასტუმროში მისაყვანად. მოწმის ასეთი განმარტების საფუძველზე სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ მხარეთა შორის შეთანხმების საგანს წარმოადგენდა ტურისტის გერმანიაში გამგზავრების ორგანიზება და მოპასუხეს დააკისრა 6000 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

1. მოგზაურობის დაწყებამდე ტურისტს შეუძლია მოითხოვოს მის ნაცვლად მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობა. მოგზაურობის მომწყობს შეუძლია უარი განაცხადოს მესამე პირის მონაწილეობაზე, თუ იგი არ აკმაყოფილებს მოგზაურობისათვის აუცილებელ პირობებს.

2. მოგზაურობის მომწყობს შეუძლია მოსთხოვოს ტურისტს იმ დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რაც მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობამ გამოიწვია.

ტურიზმის ხელშეკრულების კონსენსუალური ბუნებიდან გამომდინარე, ასეთი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სანამ დაიწყება მოგზაურობა, ტურისტს უფლება აქვს მის ნაცვლად მოგზაურობაში ჩართოს მისთვის სასურველი ნებისმიერი მესამე პირი, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ტურისტული საწარმოს თანხმობა. ამ უკანასკნელს თავის მხრივ უფლება აქვს უარი განაცხადოს ასეთი მესამე პირის ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე, თუ იგი თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა პატივსადები გარემოებების გამო არ აკმაყოფილებს მოგზაურობისათვის საჭირო პირობებს.

მაგალითი:

ტურისტულმა ფირმა „მყინვარმა“ ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა შოთა მუშკუდიანთან ყაზბეგის მთის ალპინიადაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ამ ხელშეკრულების დადების ერთ-ერთი პირობა იყო ფირმის მიერ შოთა მუშკუდიანის ჯანმრთელობის შემოწმება, რომელმაც გაიარა სამდღიანი სპეციალური სამედიცინო გამოკვლევა და მხოლოდ ამის შემდეგ გაფორმდა მასთან ხელშეკრულება. მოგზაურობის დაწყებამდე ერთი დღით ადრე შოთა მუშკუდიანმა ფირმას განუცხადა, რომ თვითონ ვერ ახერხებდა ყაზბეგში გამგზავრებასა და თავისი ძმა მეველად მუშკუ-

დიანის ჩართვა მოითხოვა, მაგრამ ტურისტულმა საწარმომ მას უარი განუცხადა ძმის მოგზაურობაში ჩართვაზე სამოქალაქო კოდექსის 658-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმ საფუძვლით, რომ სპეციალური სამედიცინო შემოწმების გარეშე ალპინიადაში მას მონაწილეობას ვერ მიაღებინებდა, ხოლო სამედიცინო გამოკვლევისათვის კი საკმარისი დრო აღარ იყო.

თუ მესამე პირი აკმაყოფილებს მოგზაურობისათვის აუცილებელ პირობებს და მოგზაურობის მომწყობი უსაფუძვლოდ უარს ეუბნება, ტურისტს უფლება აქვს სარჩელი აღძრას სასამართლოში და 658-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად მოითხოვოს მის ნაცვლად მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობა, მაგრამ, თუ მოგზაურობის მომწყობის უარი მესამე პირის ჩართვაზე პატიესადები მიზეზით არის გამოწვეული, ხოლო ტურისტს კი შემდგომში აღარ სურს მოგზაურობაში მონაწილეობა, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს 665-ე მუხლის წესები, რომლებიც აწესრიგებს მოგზაურობის დაწყებამდე ხელშეკრულების უარის შემთხვევებს (დაწვრილებით 665-ე მუხლის კომენტარი).

მართალია, 657-ე მუხლში მითითებულია, რომ ხელშეკრულების მხარეები შეიძლება იყვნენ მხოლოდ მოგზაურობის მომწყობი და ტურისტი, მაგრამ ტურისტის მიერ მოგზაურობაში მესამე პირის ჩართვის შემთხვევაში ამ მესამე პირზე არ გადადის ტურისტის მოვალეობები. 658-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ტურისტი კვლავ ვალდებულია მოგზაურობის მომწყობის წინაშე, რადგან ყველა ის დამატებითი ხარჯი, რაც მესამე პირის მოგზაურობაში ჩართვის გამო გაიღო ტურისტულმა საწარმომ, უნდა აანაზღაუროს ტურისტმა.

მაგალითი:

თინა კილაძემ უნგრეთში ტურისტული მოგზაურობის ხელშეკრულება გააფორმა ფირმა „დუნაისთან“, მაგრამ მოგზაურობის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მოითხოვა მის ნაცვლად მეგობრის

ჩართვა, ვინაიდან მას ესაჭიროებოდა უნგრეთის ვიზა და ამ ვიზის მიღება კი მოსკოვში უნგრეთის საელჩოს მეშვეობით ხდებოდა, ტურისტულმა ფირმამ თავისი წარმომადგენელი მიავლინა ქალაქ მოსკოვს. მესამე პირის ვიზისათვის მოსკოვში წარმომადგენლის გამგზავრების და ვიზის მისაღებად საჭირო ხარჯები კი, სულ 500 ლარი ფირმამ მოსთხოვა თინა კილაძეს სამოქალაქო კოდექსის 658-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე.

მუხლი 659. მოგზაურობის ხარჯები

1. მოგზაურობის მომწყობი მოვალეა იმგვარად მოაწყოს მოგზაურობა, რომ მას არ ჰქონდეს ისეთი ხარვეზები, რომლებსაც შეუძლიათ გააუფასურონ ან შეამცირონ მოგზაურობის მნიშვნელობა ჩვეულებრივი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

2. თუ მოგზაურობას ასეთი ხარვეზები აქვს, მაშინ ტურისტს შეუძლია მოითხოვოს მათი აღმოფხვრა. მოგზაურობის მომწყობს უფლება აქვს უარი თქვას ხარვეზების გამოსწორებაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს.

3. თუ მოგზაურობის მომწყობი არ აღმოფხვრის ხარვეზებს ტურისტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაშინ ტურისტს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ხარვეზები და მოითხოვოს მათზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი, თუ მოგზაურობის მომწყობი უარს იტყვის ხარვეზების აღმოფხვრაზე, ან თუ ტურისტი დაინტერესებულია ხარვეზის დაუყონებლივი აღმოფხვრით.

ამ მუხლით გათვალისწინებულია მოგზაურობის მომწყობის ერთ-ერთი მოვალეობა — უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოგზაურობა ყოველგვარი ხარვეზების გარეშე.

მაგალითი:

ტურისტულ ფირმა „დუნაიამ“ ხელშეკრულება გააფორმა ვახტანგ ვაშაძესთან ჩეხეთის კურორტ კარლოვი ვარში სამოგზაუროდ. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ვახტანგ ვაშაძის კარლოვი ვარში მინერალური წყლებით მკურნალობის ორგანიზება და უზრუნველყოფა. მაგრამ ჩეხეთში ჩაფრენილ ვახტანგ ვაშაძეს ფირმის თანამშრომელმა განუცხადა, რომ კარლოვი ვარში სასტუმროები გადატვირთულია, პრაღის ერთ-ერთ სასტუმროში დააბინავა და შესთავაზა ყოველდღე ავტობუსით კურორტზე სიარული. ასეთი პირობა ტურისტისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, იგი დაუყოვნებლივ დაბრუნდა საქართველოში, სარჩელი აღძრა სასამართლოში ფირმა „დუნაიას“ მიმართ და მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსის 659-ე მუხლის პირველი ნაწილით, რადგან მოპასუხემ დაარღვია მოგზაურობის კონკრეტული მიზნების უზრუნველყოფის ვალდებულება.

თუ ტურისტული ფირმა ვერ უზრუნველყოფს მოგზაურობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, 659-ე მუხლის მეორე ნაწილით მოგზაურს უფლება აქვს მოითხოვოს ფირმის მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, მაგრამ, თუ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სიტუაცია ისე შეიცვალა, რომ ტურისტულ ფირმას ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის საკმაოდ დიდი ხარჯების გაღება მოუწევს, იგივე ნორმა მოგზაურობის მომწყობს უფლებას ანიჭებს უარი თქვას მოგზაურობის ხარვეზის გამოსწორებაზე.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მოტყუებული მოქალაქეები მოგზაურობის პერიოდში დამატებით, საკუთარი ხარჯებით თვითონ იქმნიან იმ პირობებს, რომელიც ტურისტულ ფირმას უნდა შეექმნა მათ მიერ გადახდილი თანხით; ზოგჯერ ფირმა მოგზაურობაში მყოფ პირს პირდება სათანადო სასტუმროში გადაყვანას ან სხვა შეთანხმებული პირობების უზრუნველყოფას, მაგრამ აჭიანურებს და ამასობაში მოგზაურობის ვადები იწურება, ასეთ

შემთხვევაში ტურისტს შეუძლია გამოიყენოს 659-ე მუხლის მესამე ნაწილის ბოლო წინადადება და დაუყოვნებლივ თვითონ აღმოფხვრას მოგზაურობის ხარჯები, შემდეგ კი მოითხოვოს გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება.

მაგალითი:

ვახტანგ ვაშაძემ ტურისტულ ფირმა „დუნაიასთან" გააფორმა ხელშეკრულება ჩეხეთის კურორტ კარლოვი ვარში სამკურნალო მიზნებისათვის სამოგზაუროდ. მოგზაურობის ვადა 21 დღე იყო. პრაღაში ჩაფრენილ ვახტანგ ვაშაძეს ფირმის თანამშრომელმა უთხრა, რომ კარლოვი ვარის სასტუმრო ერთი კვირით გადატვირთული იყო და დროებით პრაღაში უნდა ეცხოვრა, პრაღიდან კი ავტობუსით შეეძლო კურორტზე სიარული; ვახტანგ ვაშაძე დაეთანხმა ამ პირობას, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ფირმის თანამშრომელმა კვლავ უთხრა, რომ კიდევ ერთი კვირა უნდა ეცხოვრა პრაღაში; ეს პირობა უკვე მიუღებელი აღმოჩნდა მოგზაურობისათვის, რადგან იგი პრაღიდან კურორტზე ავტობუსით მგზავრობისას დღეში სამ საათს უნდებოდა, სამკურნალო პროცედურების მიღების შემდეგ კი მგზავრობა არ იყო სასურველი; ამიტომ იგი თავისი საკუთარი ხარჯებით მოეწყო კარლოვი ვარის ერთ-ერთ სასტუმროში და მოგზაურობის დამთავრების შემდეგ მოითხოვა სასტუროში გადახდილი თანხის ანაზღაურება.

მუხლი ცხრა. ღირებულების შემცირება მოგზაურობის ხარვეზის გამო

1. თუ მოგზაურობა ხარვეზიანია, მაშინ მისი ღირებულება მცირდება იმ დროის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც არსებობდა ხარვეზები.

2. ღირებულება არ შემცირდება, თუ ტურისტი თავისი ბრალით არ შეატყობინებს მოგზაურობის მომწყობს ხარვეზის შესახებ.

ზოგჯერ ტურისტული ფირმა ხელშეკრულებით შეპირებულ, მაგალითად, ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს ნაცვლად ტურისტს სამვარსკვლავიან სასტუმროში აცხოვრებს, ან საზღვარგარეთის ქვეყნის შიგნით თვითმფრინავით მოგზაურობის ნაცვლად ავტობუსით მგზავრობას თავაზობს. ამ დროს, ბუნებრივია, იგი არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრს ვალდებულებებს. მისი მხრიდან ვალდებულების დარღვევის გამო მოგზაურს კანონმდებელი მთელ რიგ უფლებებს ანიჭებს და ერთ-ერთი ასეთი უფლებაა მოითხოვოს მოგზაურმა ტურისტული მომსახურებისათვის გადახდილი საზღაურის ნაწილი, მაგალითად, ოთხვარსკვლავიან და სამვარსკვლავიან სასტუმროებს შორის ღირებულების სხვაობა. იმისათვის, რომ ტურისტის მოთხოვნა მომსახურების საზღაურების ნაწილის დაბრუნების ან კიდევ დარჩენილი საზღაურის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ დაკმაყოფილდეს, 660-ე მუხლის მეორე ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ ტურისტმა მოგზაურობის დამთავრებამდე უნდა შეატყობინოს მოგზაურობის ხარვეზის შესახებ მოგზაურობის მომწყობს. მაგრამ, თუ ტურისტმა აღნიშნული შეტყობინება ვერ შეძლო ამა თუ იმ პატივსადები მიზეზით, ვთქვათ ავადმყოფობის ან სატელეფონო კავშირის უქონლობის გამო, მაშინ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდება.

მუხლი 661. ხარვეზის გამო ხელშეკრულების შეწყვეტა ტურისტის ინიციატივით

1. თუ ტურისტს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა 659-ე მუხლში მითითებული ხარვეზის გამო, მას შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება. ასეთივე წესი გამოიყენება მაშინაც, თუ მას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მოგზაურობაში საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც იცის მოგზაურობის მომწყობმაც.

2. ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია იმ შემთხვევაში, როცა მოგზაურობის მომწყობი პირი არ აღმოფხვრის ხარვეზებს

ტურისტის მიერ დადგენილ ვადაში. ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი, თუ ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია ან მოგზაურობის მომწყობი უარს იტყვის მათ აღმოფხვრაზე, ამ ხელშეკრულების შეწყვეტა გამართლებულია ტურისტის განსაკუთრებული ინტერესებით.

3. ხელშეკრულების შეწყვეტისას მოგზაურობის მომწყობი კარგავს შეთანხმებული ანაზღაურების მიღების უფლებას, მაგრამ მას შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება უკვე გაწეული უხარვეზო მომსახურებისათვის.

4. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ტურისტის უკან მიყვანა, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოგზაურობის მომწყობი მოვალეა უკანვე მიიყვანოს იგი. ამ შემთხვევაში დამატებითი ხარჯები მოგზაურობის მომწყობს ეკისრება.

იმ შემთხვევაში, როცა მოგზაურობის მომწყობი ვერ შეძლებს ტურისტისათვის ისეთი მომსახურების გაწევას, რომელიც შეესაბამება მოგზაურობის მიზნებს და ამის გამო ტურისტს მიადგება ზიანი, ამ უკანასკნელს უფლება აქვს მოითხოვოს ვადაზე ადრე ხელშეკრულების შეწყვეტა. მაგრამ ამით ტურისტისათვის მიყენებული ზიანი მნიშვნელოვანი უნდა იყოს, უმნიშვნელო ზიანისათვის მას არ შეუძლია მოითხოვოს ასეთი ხელშეკრულების შეწყვეტა.

მაგალითი:

ოთარ კაშია თავის მეულლესთან და ორ შვილთან ერთად ტურისტული ფირმის მეშვეობით გაემგზავრა ქობულეთში დასასვენებლად, იგი მოგზაურობის მომწყობს შეუთანხმდა, რომ ქობულეთის დასასვენებელ სახლში ოთხი სულისთვის განკუთვნილ ერთ ნომერში იცხოვრებდა 18 დღე. მაგრამ ადგილზე ჩასვლისას გაირკვა, რომ ორ სულს მეათე სართულზე ორადგილიან ნომერში უნდა ეცხოვრა, ხოლო ორ სულს კი — მესამე სართულზე იმის გამო, რომ ოთხადგილიანი ნომრები დაკავებული იყო. იგი იმ დღესვე

დაბრუნდა თბილისში და მოთხოვა ტურისტულ ფირმას გადახდილი თანხის და მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმის გამო, რომ ფირმამ ვერ უზრუნველყო მისი ოჯახის ერთად დასვენება. ტურისტულმა ფირმამ უარი განუცხადა თანხის დაბრუნებაზე იმ საფუძვლით, რომ ერთ დასასვენებელ სახლში სხვადასხვა სართულზეც შეძლებდა კაშიას ოჯახი ერთად დასვენებას და ასეთი ხარვეზის გამო მათ მნიშვნელოვანი ზიანი არ მიადგებოდათ.

თუ მოგზაურს მოგზაურობის დაწყებამდე ან დაწყების შემდეგ ექნება ისეთი პატივსადები მიზეზი, როგორიცაა ავადმყოფობა, სამსახურებრივი საჭიროებისათვის მოგზაურობის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ოჯახის წევრთა მძიმე მდგომარეობა და ა.შ. და ამის შესახებ აცნობებს მოგზაურობის მომწყობს, მას შეუძლია მოითხოვოს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა.

ტურიზმის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ის, რომ, თუ მოგზაურობის ხარვეზის გამოსასწორებლად ტურისტმა დაუთქვა კონკრეტული ვადა და ამ ვადაშიც ვერ შეძლო ტურისტულმა ფირმამ ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების უზრუნველყოფა, ან კიდევ, თუ მოგზაურობის ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელია და ამის გამო ვადის განსაზღვრას არავითარი აზრი არა აქვს, შეიძლება თვითონ მოგზაურობის მომწყობმა განაცხადოს უარი ხარვეზის აღმოფხვრაზე.

661-ე მუხლის მესამე ნაწილში მოცემულია ტურიზმის ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, თუ მოგზაურობის დაწყებამდე ტურისტის ინიციატივით შეწყდა ხელშეკრულება, მოგზაურობის მომწყობს არა აქვს უფლება მოითხოვოს შეთანხმებული საზღაური; მოგზაურობის დაწყების შემდეგ კი, ტურისტის მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოგზაურობის მომწყობი მოვალეა უკან დაუბრუნოს მიღებული საზღაური, მაგრამ მას იმავე ნორმის საფუძველზე უფლება აქვს დაიტოვოს ან მოითხოვოს საზღაურის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება გაწეულ უხარვეზო მომსახურებას.

661-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებულია ტურისტული მომსახურების გამწევი პირის მოვალეობა ასეთი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც, კერძოდ, თუ იგი მოვალე იყო მოგზაური უკან დაებრუნებინა, მაშინ მოგზაურობის პერიოდში ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც იგი მოვალეა ტურისტი უკანვე მიიყვანოს თავისი ხარჯებით.

მუხლი 662. მოგზაურობის ხარვეზით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

1. თუ მოგზაურობის ხარვეზი წარმოიშვა იმ გარემოებათა შედეგად, რომელზედაც პასუხს აგებს მოგზაურობის მომწყობი, ტურისტს შეუძლია ხარვეზის გამო ანაზღაურების შემცირების ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების შეუზღუდავად მოითხოვოს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

2. თუ მოგზაურობა ჩაიშალა ან იგი არაჯეროვნად იყო ორგანიზებული, მაშინ ტურისტს შეუძლია მოითხოვოს ასევე შვებულების უსარგებლოდ დაკარგვით გამოწვეული შესაბამისი ფულადი ანაზღაურება.

ზოგჯერ მოგზაურობის მომწყობმა შეიძლება ყველანაირი ღონისძიება გაატაროს იმისათვის, რომ მოგზაურობას არ ჰქონდეს ხარვეზი, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მაგალითად, ავიაკომპანიის ან რკინიგზის გაფიცვის, ან კიდევ გუდაურში მცირე თოვლის გამო შეუძლებელი გახდება მოგზაურობის განხორციელება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად. ასეთ პირობებში ტურისტს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტა ან ანაზღაურების შემცირება; მაგრამ თუ მოგზაურობის ხარვეზი გამოწვეულია უშუალოდ მოგზაურობის მომწყობის ბრალით, მაგალითად, იცოდა, რომ ჰოლანდიის ვიზით მოგზაურს პირდაპირ გერმანიაში არ შეუშვებდნენ და

მაინც გააფორმა ხელშეკრულება ასეთი პირობით, მაშინ 662-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მოგზაურს უფლება აქვს მოითხოვოს უხარვეზო მოგზაურობის უზრუნველყოფის ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოგზაურობის მომწყობისაგან. ასეთ მოთხოვნასთან ერთად მას შეუძლია იმავდროულად მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა ან ანაზღაურების შემცირება.

აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი სპეციალურად აწესრიგებს ისეთ შემთხვევას, როცა მოგზაურმა შვებულება აიღო მოგზაურობისათვის და იგი ჩაიშალა ან კიდევ არაჯეროვნად იყო ორგანიზებული. კანონმდებელმა ასეთი შემთხვევა დააკვალიფიცირა როგორც შვებულების უსარგებლოდ დაკარგვა და ამ დროს მოგზაურობის მომწყობი ვალდებულია აუნაზღაუროს ტურისტს შესაბამისი ფულადი ანაზღაურება.

მუხლი 663. მოგზაურობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა.

1. 659-662-ე მუხლებში გათვალისწინებული მოთხოვნები ტურისტს შეუძლია წარუდგინოს მოგზაურობის მომწყობს ხელშეკრულებაში მითითებული მოგზაურობის ვადის გასვლის შემდეგ ერთი თვის მანძილზე. ვადის გასვლის შემდეგ ტურისტს შეუძლია წარადგინოს თავისი მოთხოვნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი არ მიუძღვის მოთხოვნის წარდგენის ვადის გადაცილებაში.

2. ტურისტის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს თვეს. ეს ვადა იწყება იმ დღიდან, როდესაც ხელშეკრულებით მოგზაურობა უნდა დამთავრებულიყო, თუ ტურისტი მოთხოვნებს წარადგენს ხანდაზმულობის ვადის დაწყებამდე, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება იმ დღემდე, რომელ დღესაც მოგზაურობის მომწყობი უარყოფს მოთხოვნას.

მართალია, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა და იგი შეადგენს სამ წელს, მაგრამ იმავე მუხლის მესამე ნაწილში აღნიშნულია, რომ ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. ასეთ ცალკეულ შემთხვევას გვთავაზობს 663-ე მუხლი, რომელიც მოგზაურობის ხელშეკრულებისათვის მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებს ითვალისწინებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგზაურობის ხარვეზის შემთხვევაში ტურისტს მინიჭებული აქვს შემდეგი უფლებები: მოთხოვოს მოგზაურობის მომწყობს ხარვეზის აღმოფხვრა, თვითონ აღმოფხვრას ხარვეზი და მოითხოვოს მასზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, მოითხოვოს ტურისტული მომსახურების ღირებულების შემცირება, მოითხოვოს ასეთი ხელშეკრულების შეწყვეტა, მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ უკან მიყვანა; ასევე მოითხოვოს მოგზაურობის მომწყობის ვალდებულებათა შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება; მოითხოვოს შვებულების უსარგებლოდ დაკარგვით გამოწვეული შესაბამისი ფულადი ანაზღაურება. აღნიშნული მოთხოვნები ტურისტს შეუძლია უშუალოდ წარუდგინოს მოგზაურობის მომწყობს ხელშეკრულებაში მითითებული ვადის გასვლიდან ერთი თვის განმავლობაში, ხოლო, თუ ამ ვადაში ვერ შეძლო ტურისტმა მოთხოვნის წარდგენა, 663-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით მას შეიძლება გაშვებული ერთთვიანი ვადა საპატიოდ ჩაეთვალოს იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი არ მიუძღვის ვადის გადაცილებაში.

მაგალითი:

ია მოდებაძე დასასვენებლად გაემგზავრა ანტალიაში ტურისტული ფირმის მეშვეობით. ხელშეკრულებით ტურისტული ფირმა მოვალე იყო ანტალიაში დასვენების ორგანიზების გარდა, იგი ანტალიაში ჩაეყვანა და უკან თბილისში ჩამოეყვანა თვითმფრინავით.

ხელშეკრულება გაფორმდა 15 დღის ვადით. ხელშეკრულების ვადის დამთავრების დღეს ია მოდებაძეს განუცხადა ფირმის თანამშრომელმა, რომ გაურკვეველი მიზეზების გამო თბილისში ორი კვირა ფრენა არ იქნებოდა და ორი კვირის შემდეგ ჩამოფრინდა თბილისში. თბილისში დაბრუნებული ია მოდებაძე ავად გახდა და ხელშეკრულების ვადის გასვლიდან ორი თვის შემდეგ მიაკითხა ტურისტულ ფირმას და მოითხოვა თბილისში დაგვიანებით ჩამოყვანისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ფირმამ უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე 663-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების საფუძველზე, რომ ტურისტს მხოლოდ ერთ თვეში უნდა წარედგინა მოთხოვნა. ამის შემდეგ ია მოდებაძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ტურისტული ფირმის მიმართ, მოითხოვა გაშვებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის საპატიოდ ჩათვლა და მოგზაურობის ხარვეზით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ მისი მოთხოვნა გაშვებული ვადის საპატიოდ ცნობის თაობაზე დააკმაყოფილა 663-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების საფუძველზე, რადგან ჩათვალა, რომ მოსარჩელეს ბრალი არ მიუძღვოდა მის გადაცილებაში, ხოლო მოთხოვნა მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ კი დააკმაყოფილა 662-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

663-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია ტურისტის მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, რომელიც შეადგენს ექვს თვეს და ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა ხელშეკრულებით მოგზაურობა უნდა დამთავრებულიყო, ე.ი. ტურისტს შეუძლია სასამართლოს მიმართოს თავისი უფლების დასაცავად მოგზაურობის დამთავრების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში.

მუხლი 664. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

მოგზაურობის მომწყობს ტურისტთან შეთანხმებით შეუძლია შეზღუდოს თავისი პასუხისმგებლობა მომსახურების ღირებულების სამმაგი ოდენობით, თუ:

ა. ტურისტისათვის მიყენებული ზიანი არ იყო გამოწვეული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

ბ. მოგზაურობის მომწყობი ერთპიროვნულად მთლიანად არ აგებს პასუხს ტურისტის წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოიშვა მოგზაურობის მომწყობის ვალდებულების შემსრულებელთაგან ერთერთის ბრალის შედეგად.

მართალია, 662-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული პირობების არსებობისას ტურისტს უფლება აქვს მოსთხოვოს მოგზაურობის მომწყობს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მაგრამ 664-ე მუხლი უშვებს მხარეთა შორის შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ მოგზაურობის მომწყობს შეიძლება მიყენებული ზიანის ოდენობის შესაბამისი პასუხისმგებლობა არ დაეკისროს, მაგრამ ეს მუხლი იქვე მიუთითებს მოგზაურობის მომწყობის პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფარგლებზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მომსახურების ღირებულების სამმაგ ოდენობას. მაგალითად, თუ ტურიზმის ხელშეკრულებით მოგზაური მოვალეა მოგზაურობის მომწყობს გადაუხადოს 1000 ლარი და იმავე ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ მოგზაურობის მომწყობის პასუხისმგებლობის შეზღუდვის თაობაზე, მაშინ, თუ ხარვეზიანი მოგზაურობით მიყენებული ზიანი შეადგენს 5000 ლარს, მოგზაური მიიღებს მხოლოდ 3000 ლარს; ზემოხსენებული მუხლი პასუხისმგებლობის შეზღუდვის თაობაზე მხარეთა შეთანხმებას ყოველთვის უშვებს. იმპერატიულად არის განსაზღვრული მხოლოდ ორი შემთხვევა: თუ მოგზაურობის მომწყობმა ტურისტისათვის ზიანის მიყენება განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოიწვია, მაშინ პასუხისმგებლობის შეზღუდვის თაობაზე მხარეთა შეთანხმება ძალას კარგავს; ასეთი შეთანხმება შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებისათვის, რომლითაც მომსახურების მოვალეობა ორ ან რამდენიმე პირს აკისრია მოგზაურის წინაშე.

მუხლი 665. უარი ხელშეკრულებაზე მოგზაურობის დაწყებამდე

1. ტურისტს მოგზაურობის დაწყებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

2. ტურისტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმისას მოგზაურობის მომწყობი კარგავს შეთანხმებული საზღაურის მიღების უფლებას. ამავე დროს, მას შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი ანაზღაურება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება შეთანხმებული ანაზღაურების საფუძველზე იმ თანხის გამოკლებით, რომელიც მას შეეძლო მიეღო თავისი მომსახურების სხვაგვარად გამოყენების შედეგად.

ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების მიუხედავად, სანამ დაიწყება მოგზაურობა, ტურისტს უფლება აქვს უარი თქვას მოგზაურობაზე და შესაბამისად მოითხოვოს ამ ხელშეკრულების მოშლა. 665-ე მუხლის პირველი ნაწილი არ მიუთითებს რაიმე პირობაზე, რომლის არსებობის დროსაც შეუძლია ტურისტს ასეთი უარის განცხადება. აღნიშნული ნორმის თანახმად, მოგზაურს ნებისმიერი მიზეზით, არა აქვს მნიშვნელობა ტურისტული საწარმო ამას საპატიოდ მიიჩნევს თუ არასაპატიოდ, შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა, მაგრამ მას ასეთი უარის განცხადების უფლება აქვს მხოლოდ მოგზაურობის დაწყებამდე.

თუ ხელშეკრულების გაფორმებისას ტურისტმა გადაიხადა მოგზაურობის საზღაური და შემდეგ განაცხადა უარი ხელშეკრულებაზე, მას ეს თანხა დაუბრუნდება; მაგრამ თუ საზღაურის გადახდამდე განაცხადა უარი, ტურისტულ საწარმოს არა აქვს უფლება მოითხოვოს საზღაური. 665-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, მას მაინც შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი ანაზღაურება, რომლის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს როგორც შეთანხმებული ანაზღაურების ოდენობა, ისე ის თანხა, რომელიც მას დარჩებოდა მოგების სახით ტურისტული მომსახურების განხორციელების შედეგად.

მაგალითი:

ტურისტულ ფირმასთან ლელა ეგაძემ გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება იტალიაში სამოგზაუროდ, რისთვისაც მას უნდა გადაეხადა 3500 ლარი, აქედან მოგზაურობის მომწყობს მოგების სახით რჩებოდა 700 ლარი. მოგზაურობის დაწყებამდე ლელა ეგაძემ გადაიფიქრა იტალიაში გამგზავრება, რის თაობაზეც განუცხადა მოგზაურობის მომწყობს, ამ უკანასკნელმა კი მოითხოვა გადასახდელი 3500 ლარიდან 700 ლარის გადახდა იმ მოგების სახით, რომელიც მას უნდა დარჩენოდა გაწეული მომსახურებით.

მუხლი 666. დაუძლეველი ძალა

1. თუ მოგზაურობა არსებითად გაძნელდება, ან წარმოიშობა სხვა საფრთხე, ან ტურისტს მიადგება ზიანი ხელშეკრულების დადებისას გაუთვალისწინებელი დაუძლეველი ძალის დადგომის შედეგად, მაშინ როგორც ტურისტს, ისე მოგზაურობის მომწყობს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტისას გამოიყენება 661-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და მე-4 ნაწილის პირველი წინადადების წესები. თითოეულ მხარეს ეკისრება უკან მიყვანის დამატებითი ხარჯების ნახევარი. სხვა შემთხვევაში დამატებითი ხარჯები ეკისრება ტურისტს.

ზოგჯერ, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მოგზაურობის განხორციელება შეიძლება შეუძლებელი გახდეს დაუძლეველი ძალის შედეგად, მაგალითად, ბუნების დამანგრეველი ძალების გამო, ან პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო იმ ქვეყანაში, სადაც უნდა გაემგზავროს მოგზაური; ამ შემთხვევაში თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, მაგრამ აუცილებელია შემ[illegible]ეგი ერთ-ერთი პირო-

ბის არსებობა: მოგზაურობა არსებითად უნდა გაძნელდეს; უნდა წარმოიშვას რაიმე საფრთხე; გაუთვალისწინებელი დაუძლეველი ძალის დადგომის შედეგად ტურისტს შეიძლება მიადგეს ზიანი.

ასეთ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა ტურისტის უკან დაბრუნება, მისი მგზავრობის ხარჯების ნახევარი უნდა გადაიხადოს მოგზაურობის მომწყობმა, ნახევარი კი ტურისტმა.

მუხლი 667. მოგზაურის საზიანო შეთანხმებათა დაუშვებლობა

ამ თავით გათვალისწინებული წესები არ შეიძლება შეიცვალოს მოგზაურის საზიანოდ.

ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მიმართ, მართალია, უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 657-666-ე მუხლების მოთხოვნები, მაგრამ, ვინაიდან ეს ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებაა, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ასევე სხვა პირობებზეც, რაც ზემოხსენებული მუხლებით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ მხარეები არ შეიძლება შეთანხმდნენ ისეთ პირობებზე, რომლებიც აშკარად საზიანოა მოგზაურობისათვის.

თავი მეთორმეტე

გადაზიდვა-გადაყვანა

I. გადაზიდვის ხელშეკრულება

მუხლი 668. ცნება

გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი ან გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილზე.

სატრანსპორტო საშუალებები მონაწილეობენ ეკონომიკურ ურთიერთობებში და ეწევიან სპეციფიკურ მომსახურებას, რომლის მიზანია ტვირთის, მგზავრებისა და ბარგის გადაადგილება სივრცეში. არსებობს ტრანსპორტის რამოდენიმე დამოუკიდებელი სახე. მათი დაყოფა განპირობებულია სატრანსპორტო საშუალებების განსხვავებით, რომლებიც გამოიყენება ტვირთის გადატანის, მგზავრთა გადაყვანისათვის (საჰაერო ხომალდი, გემი, სარკინიგზო შემადგენლობა, ავტომობილი), ასევე ექსპლუატაციისა და ბუნებრივი გარემოს განსხვავებებით (მაგ.: სამდინარო ან საზღვაო ტრანსპორტი). სატრანსპორტო სისტემა მოიცავს სარკინიგზო, სამდინარო (საქართველოში შიდა წყლის ტრანსპორტი განვითარებული არ არის), საზღვაო, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტს. იურიდიულ ლიტერატურაში არ არის აზრთა ერთიანობა მილსადენის ტრანსპორტის ერთ-ერთ სახედ ცნობის თაობაზე. მიგვაჩნია, რომ მილსადენი არ წარმოადგენს ტრანსპორტის ნაირსახეობას და მილსადენით ნავთობპროდუქტების გადაადგილება სივრცეში არ წარმოადგენს პროდუქციის გადაზიდვას მისი კლასიკური გაგებით. ამ მიზეზით, წინამდებარე მუხლის კომენტირებისას არ იქნება დახასიათებული მილსადენით პროდუქციის გადაადგილების სამართლებრივი საკითხები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში გამოიყენება

ტრანსპორტის ისეთი სახეც, როგორიცაა საჭაპანე ტრანსპორტი (ტვირთის გადატანა ურმით, ურიკით და სხვა), მაგრამ ამ სახის ტრანსპორტით გადაზიდვების მომწესრიგებელ ნორმათა სისტემა არ არის შემუშავებული.

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი სატრანსპორტო საშუალებით განხორციელებული გადაზიდვა-გადაყვანა ხასიათდება გარკვეული სპეციფიკით და რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტებით, რომელთაც განეკუთვნებათ, მაგალითად:

საქართველოს საზღვაო კოდექსი (მიღებულია 1997 წლის 15 მაისს); საქართველოს კანონი „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ (მიღებულია 1995 წლის 4 აპრილს); საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს 1998 წლის 10 ივლისის ბრძანება №42 საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის და ბარგის გადაზიდვის წესის შესახებ; საქართველოს საჰაერო კოდექსი (მიღებულია 1996 წლის 29 ოქტომბერს); 1990 წლის პირველი ივლისის საერთაშორისო შეთანხმება სარკინიგზო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის შესახებ; 1990 წლის პირველი ივლისის საერთაშორისო შეთანხმება სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის შესახებ (ამ ორ შეთანხმებას საქართველო შეუერთდა 1993 წელს). უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად მომზადებულია საქართველოს სარკინიგზო კოდექსის პროექტი, რომელიც ამოქმედების შემდეგ დაარეგულირებს საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტით ტვირთის გადატანის, მგზავრთა გადაყვანის და ბარგის გადატანის ურთიერთობებს.

ტრანსპორტის ყველა სახისათვის მოქმედებს საერთაშორისო კონვენციები, ხელშეკრულებები. მითითებული სამართლის წყაროები სარგებლობენ უპირატესობით საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებაში, თუ საქართველო მიერთებულია საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც საერთოა ყველა სახის გადაზიდვის ხელშეკრულებისათვის.

თანამედროვე პირობებში შეუძლებელია ლაპარაკი გადაზიდვა-გადაყვანის მხოლოდ ერთ ხელშეკრულებაზე, რომელიც კონსტრუირებული იქნება რეალური ხელშეკრულების მოდელის შესაბამისად. ადგილი აქვს ხელშეკრულებათა სისტემას, რომელიც მოიცავს ტვირთის გადატანას, მგზავრთა გადაყვანას და ბარგის გადატანას. მითითებული სისტემა მისაღებია ტრანსპორტის ყველა სახისათვის. მოკლედ დავახასიათოთ ამ სისტემის ცალკეული კონსტრუქციები.

ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების საფუძველზე გადამზიდველი კისრულობს ვალდებულებას გამგზავნის მიერ მისთვის მინდობილი ტვირთი გადაიტანოს დანიშნულების ადგილზე და გადასცეს იგი ტვირთის მიღებაზე უფლებამოსილ პირს (მიმღებს), ხოლო გამგზავნი კი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც რეალური კონსტრუქცია, რადგან გადამზიდველს პასუხისმგებლობა წარმოეშობა მხოლოდ ისეთი ტვირთის მიმართ, რომელიც გადასცა გამგზავნმა და მიიღო გადამზიდველმა დანიშნულების ადგილზე გადასატანად. სახეზეა ორმხრივი სახელშეკრულებო ვალდებულება, რადგან გარკვეული უფლებები და მოვალეობები გააჩნია როგორც გადამზიდველს, ისე გამგზავნს. გადაზიდვის სახელშეკრულებო ურთიერთობებში გამგზავნის და გადამზიდველის გარდა მონაწილეობს ტვირთის მიმღებიც, რომელსაც გააჩნია არა მარტო უფლებები, არამედ გარკვეული ვალდებულებებიც.

მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულების საფუძველზეც გადამზიდველი კისრულობს მგზავრის გადაყვანას დანიშნულების ადგილზე, ხოლო, თუ მგზავრს გადასაზიდად ჩაბარებული აქვს ბარგი, მის გადატანას და ჩაბარებას უფლებამოსილი პირისათვის. მგზავრი კისრულობს მგზავრობის დადგენილი საზღაურის, ხოლო, თუ მას ჰქონდა ასევე ბარგი, მისი გადატანის ღირებულების გადახდასაც. მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულება არის ორმხრივი,

სასყიდლიანი. ეჭვს არ იწვევს მისი კონსენსუალური ხასიათი: გადამზიდველის პასუხისმგებლობა წარმოადგენოს მოძრავი შემადგენლობა მატარებლების, ავტობუსების, საჰაერო ხომალდების, გემების სახით გადაადგილების განრიგის შესაბამისად და გამოუყოს მგზავრს ადგილი შესაბამის სატრანსპორტო საშუალებაში, ასევე მიიღოს მისგან ბარგი, წარმოიშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მგზავრი შეიძენს მგზავრობის ბილეთს.

ფრახტის (ჩარტერის) ხელშეკრულების საფუძველზე ერთი მხარე (გამფრახტველი) კისრულობს ვალდებულებას განსაზღვრულ საფასურად გადასცეს მეორე მხარეს (დამფრახტველს) ერთი ან რამოდენიმე სატრანსპორტო საშუალების მთლიანი ტევადობა ან მისი ნაწილი ერთ ან რამოდენიმე რეისზე ტვირთის, ბარგისა და მგზავრთა გადაზიდვა-გადაყვანისათვის. ფრახტის ხელშეკრულების დადების წესი და ფორმა დგინდება სატრანსპორტო კოდექსებით.

ფრახტის (ჩარტერი) ხელშეკრულება წარმოადგენს ორმხრივ, სასყიდლიან და კონსენსუალურ ხელშეკრულებას. იგი განსხვავდება როგორც ტვირთის გადატანის, ისე მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულებებისაგან. ჩარტერის დროს გამფრახტველი არ იღებს დამფრახტველისაგან ტვირთის განსაზღვრულ რაოდენობას და არ კისრულობს გამოუყოს მგზავრს განსაზღვრული ადგილი სატრანსპორტო საშუალებაში მის მიერ შეძენილი სამგზარო ბილეთის შესაბამისად. ჩარტერის დროს ხდება ერთი ან რამოდენიმე სატრანსპორტო საშუალების მთლიანი ტევადობის ან მისი ნაწილის გამოყოფა ერთი ან რამოდენიმე რეისით. აღსანიშნავია, რომ ჩარტერის ხელშეკრულება არ წარმოადგენს კლასიკური გაგებით გადაზიდვის ხელშეკრულებას. იგი ემიჯნება, როგორც ქირავნობის, ასევე გადაზიდვის ხელშეკრულების კონსტრუქციებს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ხელშეკრულებებს ემიჯნება ისეთი კონსტრუქციებიც, რომლებიც წარმოადგენს შესაბამისი სატრანსპორტო ვალდებულებების წარმოშობის საფუძველს და რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა გადაზიდვა-გადაყ-

ვანის ურთიერთობების სამართლებრივი რეგლამენტაციისას. მაგალითად, ასეთია **შეთანხმებები სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის ტვირთის გადატანის, მგზავრთა გადაყვანის და ბარგის გადატანის ორგანიზების შესახებ**. ამ ხელშეკრულებებით განისაზღვრება ტვირთის, მგზავრთა და ბარგის გადაცემა-მიღება ერთი ტრანსპორტიდან მეორეზე, როდესაც გადაზიდვა ხორციელდება სხვადასხვა ტრანსპორტით ერთი გადაზიდვის დოკუმენტის საფუძველზე (ზედნადები, ბილეთი, ბარგის ქვითარი). ასეთი შეთანხმება იდება სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის და წარმოადგენს შერეულ (კომბინირებულ) გადაზიდვას. მაგალითად, 3000 ტონა ხორბალი უკრაინის ტერიტორიაზე ილიჩოვსკის საზღვაო პორტიდან საქართველოს ტერიტორიაზე ფოთის საზღვაო პორტამდე გადატანილი იქნა გემით, ფოთის საზღვაო პორტიდან ქალაქ თბილისამდე კი – საავტომობილო ტრანსპორტით.

ხელშეკრულება ტვირთის გადატანის ორგანიზების შესახებ წარმოადგენს კონსტრუქციას, რომლის თანახმადაც გადამზიდველი კისრულობს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში მიიღოს, ხოლო ტვირთის მფლობელი კი – გადასცეს გადასაზიდად ტვირთი შეთანხმებული ოდენობით. ამ ხელშეკრულებაში განისაზღვრება ტვირთის ოდენობა, მიწოდების ვადები, ასევე სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფის, გადასაზიდი ტვირთის წარმოდგენის, ანგარიშსწორების და გადაზიდვის ორგანიზაციის სხვა პირობები. ასეთი ხელშეკრულებები, როგორც წესი, ატარებს გრძელვადიან ხასიათს და იდება გადამზიდველსა და ტვირთის მფლობელს შორის ტვირთის სისტემატიური გადაზიდვის უზრუნველსაყოფად. ნათელია, რომ ასეთი ხელშეკრულებები კონსტრუირებულია ორმხრივი სასყიდლიანი, კონსენსუალური სახით.

ხელშეკრულებები ტვირთის გადატანის უზრუნველყოფის სამუშაოების ორგანიზების შესახებ იდება სხვადასხვა სახის სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის სატრანსპორტო კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ასეთი ხელშეკრულებები იდება ტვირთის

გაგზავნის ადგილზე (რკინიგზის სადგური, ნავსადგური, აეროპორტი) ტვირთის მიღების, გადასაზიდად გადაცემის უზრუნველსაყოფად, როცა ტვირთს გადამზიდველს გადასცემს არა თავად გამგზავნი, არამედ სხვა სახის ტრანსპორტის სატრანსპორტო ორგანიზაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტვირთის გადატანის უზრუნველყოფის სამუშაოების ორგანიზების შესახებ ხელშეკრულებით შეიძლება დარეგულირდეს ურთიერთობა სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის, რომელიც წარმოიშობა ტვირთის გადატანის მთელი პროცესის განმავლობაში. ამ ხელშეკრულების განსხვავება სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის ტვირთის გადატანის, მგზავრთა გადაყვანის და ბარგის გადატანის ორგანიზების შესახებ შეთანხმებებს შორის ისაა, რომ მის საფუძველზე რეგულირდება ტვირთის გადატანის ურთიერთობა სხვადასხვა სახის ტრანსპორტის სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის, რომელიც არ არის მოცული ერთიანი სატრანსპორტო დოკუმენტით.

ამდენად, განხილული კონსტრუქციები წარმოადგენს გადაზიდვა-გადაყვანის ჰიპოთეზური ხელშეკრულების ცალკეულ სახეებს, რადგან რეალურ ცხოვრებაში ასეთი ხელშეკრულება არსებობს სწორედ მისი ცალკეული კონსტრუქციების სახით. ასეთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სატრანსპორტო მომსახურება (ტვირთის, ბარგის გადატანა, მგზავრის გადაყვანა), რაც ტრანსპორტირების გარდა სხვა მოქმედებებსაც მოიცავს (ტვირთის შენახვა, ტვირთის მიმღებისათვის გადაცემა და ა.შ.).

ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ ტვირთის გადამზიდველი და ტვირთის გამგზავნი, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. ტვირთის გამგზავნისა და გადამზიდველის გარდა, რომელთა შორისაც იდება ხელშეკრულება, გადაზიდვის ურთიერთობებში მონაწილეობს სხვა პირი — ტვირთის მიმღები. ამასთან, ტვირთის მიმღები შეიძლება თავად იყოს ტვირთის გამგზავნი, ან კიდევ სხვა სუბიექტი. აღსანიშნავია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში არსე-

ბობს აზრთა სხვადასხვაობა ტვირთის მიმღების სამართლებრივი სტატუსის შესახებ. არსებობს მოსაზრება, რომ გამგზავნი და მიმღები არიან ხელშეკრულების ერთი მხარე, ზოგი კი ასეთ გადაზიდვის ხელშეკრულებას იხილავს სამმხრივ კონსტრუქციად, რომლის თითოეულ მხარესაც გააჩნია როგორც უფლებები, ისე მოვალეობები. ამასთან, ცივილურ ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ გადაზიდვა არის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, ანუ ტვირთის მიმღები არის პირი, რომელსაც, მართალია, არც უშუალოდ და არც წარმომადგენლის მეშვეობით არ მიუღია მონაწილეობა ხელშეკრულების დადებაში, მაგრამ იძენს გარკვეულ უფლებებს და მოვალეობებს. გამონაკლისია მხოლოდ საზღვაო გადაზიდვების დროს გაფორმებული კონოსამენტი, რომელიც წარმოადგენს საქონელგანმკარგავ ფასიან ქაღალდს და შეიძლება შედგენილ იქნეს სახელობითი, წარმომდგენზე და საორდერო ფორმით. ამდენად, კონოსამენტის გასხვისებაზე იმოქმედებს შესაბამისი ტიპის ფასიანი ქაღალდების გასხვისების მექანიზმი, ხოლო ტვირთი დანიშნულების ადგილზე გადაეცემა პირს, რომელიც წარმოადგენს კონოსამენტს.

რაც შეეხება მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულებას, მისი მხარეებია გადამზიდველი და მგზავრი, რომელიც უნდა გადაიყვანოს გადამზიდველმა დანიშნულების ადგილზე.

მუხლი ნნე. გადამზიდველის პასუხისმგებლობა

1. გადამზიდველი პასუხს აგებს მგზავრისათვის მიყენებული ზიანისათვის, ასევე მისი ბარგის დაზიანების ან დაკარგვისათვის.

2. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუკი ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ან თვით მგზავრის მიერ, ანდა მისი ბარგით.

3. გადამზიდველის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს ხელშეკრულებით.

სამოქალაქო კოდექსის 669-ე მუხლი არეგულირებს მგზავრის გადაყვანის და ბარგის გადატანის ურთიერთობებს და აწესებს გადამზიდველის პასუხისმგებლობას მგზავრისათვის მიყენებული ზიანისათვის, ასევე მისი ბარგის დაზიანების ან დაკარგვისათვის.

გადამზიდველი ვალდებულია გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილზე სატრანსპორტო კანონმდებლობით ან მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ვადებში. მას ეკისრება პასუხისმგებლობა მგზავრის გადაყვანის დაყოვნებისათვის, ასევე სატრანსპორტო საშუალების მოსვლის დაგვიანებისათვის, რომლითაც უნდა მოხდეს მგზავრის გადაყვანა დანიშნულების ადგილზე.

გადამზიდველის პასუხისმგებლობა მგზავრის სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის განისაზღვრება არა გადაზიდვის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებით, არამედ დელიქტური ვალდებულებების მარეგულირებელი წესებით.

პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, გადამზიდველს დაეკისრება პასუხისმგებლობა უბილეთო მგზავრისათვის, მისი ბარგისათვის მიყენებული ზიანისათვის, თუ არა. აღნიშნულ საკითხზე ცივილურ ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი მოსაზრება. ზოგნი თვლიან, რომ რადგან უბილეთო მგზავრთან სატრანსპორტო კომპანიას არ დაუდია მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულება, გადამზიდველს პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს. სხვათა აზრით კი, რადგან სატრანსპორტო საშუალება წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს, უბილეთო მგზავრისათვის, მისი ბარგისათვის მიყენებული ზიანი გადამზიდველმა მაინც უნდა აანაზღაუროს.

რაც შეეხება ბარგს, ეს არის გარკვეული მატერიალური ფასეულობები, რომლებსაც გზავნის მგზავრი პირადი საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის ცალკე საზღაურის გადახდით თავისი სამგზავრო დოკუმენტის საფუძველზე. ამდენად, ბარგის გადაზიდვისას გადამზიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაიტანოს მგზავრის მიერ მისთვის მინდობილი ბარგი მითითებულ პუნქტში და

გადასცეს იგი ბარგის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, ხოლო მგზავრი კი კისრულობს გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური. ბარგის გადატანის ხელშეკრულება არის ორმხრივი, სასყიდლიანი და განსხვავებით მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულებისაგან, რეალური კონსტრუქცია. იგი დადებულად ითვლება ბარგის გადასაზიდად ჩაბარების მომენტში. ბარგის გადატანა ფორმდება მგზავრისათვის ბარგის ქვითრის გაცემით, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს მგზავრისათვის ბარგის გაცემა დანიშნულების ადგილზე.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის საფუძველზე. პასუხისმგებლობა არ დადგება, როცა ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით, ანუ საგანგებო ხასიათის ობიექტურად აუცდენელი გარემოებით, მოვლენით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი წარმოიშვა საავიაციო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს. საჰაერო ტრანსპორტის მფლობელი არც დაუძლეველი ძალით მიყენებული ზიანისას თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

აღსანიშნავია, რომ გადამზიდველის პასუხისმგებლობა ატარებს ცალმხრივ-ნორმატიულ ხასიათს, ანუ გადამზიდველის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს ხელშეკრულებით.

მუხლი 670. ხელშეკრულების დადების ვალდებულება

პირი, რომელიც საჯაროდ სთავაზობს ტვირთის გადაზიდვასა და მგზავრთა გადაყვანას, ვალდებულია დადოს გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულება, თუ არ არსებობს უარის თქმის საფუძველი.

კოდექსი პირს, რომელიც საჯაროდ სთავაზობს ტვირთის გადაზიდვას და მგზავრის გადაყვანას, ავალებს დადოს ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულება.

როგორც წესი, გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულება არის საჯარო ხასიათის. ამასთან, ხელშეკრულება რომ ჩაითვალოს საჯა-

როდ, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ პირობებს (მაგ.: გადამზიდველი უნდა იყოს სპეციალიზებული კომერციული ორგანიზაცია, რომელიც გადაზიდვა-გადაყვანას ახორციელებს საერთო სარგებლობის ტრანსპორტით; სატრანსპორტო კანონმდებლობის ან ლიცენზიის შესაბამისად ორგანიზაცია აღჭურვილი უნდა იქნეს საზოგადოებრივი გადამზიდველის ფუნქციებით, რომელსაც აკისრია ვალდებულება განახორციელოს გადაზიდვა-გადაყვანა ნებისმიერი პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც სურს ასეთი სახის მომსახურების მიღება).

აღსანიშნავია, რომ კოდექსი პირს, რომელიც საჯაროდ სთავაზობს ტვირთის გადაზიდვასა და მგზავრის გადაყვანას, ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს ისეთ შემთხვევებში, თუ არსებობს უარის თქმის საფუძველი. მაგალითად, უარის თქმის საფუძველი იქნება მატარებლის მიმოსვლის შეწყვეტა სარკინიგზო მაგისტრალის დაზიანების გამო, ასევე, როცა ყველა ბილეთი გაყიდულია, ან ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანომ გასცა განკარგულება, გარკვეულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებით მიმოსვლის დროებით შეწყვეტის შესახებ (ეპიდემიის, ეპიზოოტიის გამო) და ა.შ.

მუხლი 671. გადაზიდვა რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებით

თუ დატვირთული ავტომობილი გზის ერთ მონაკვეთზე გადაზიდული იქნება ზღვით, რკინიგზით ან საჰაერო ტრანსპორტით და 682-ე მუხლში გათვალისწინებული შემთხვევების შესაბამისად ტვირთი არ იქნება გადმოტვირთული, ამ თავის ნორმები მაინც გამოიყენება მთლიანი გადაზიდვისათვის.

პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი ე.წ. შერეულ გადაზიდვებს, ანუ ისეთ ურთიერთობებს, როცა ტვირთის გადაზიდვა ხდება სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით (ზღვით, რკინიგზით, საჰაე-

რო ტრანსპორტით). სამოქალაქო კოდექსის 671-ე მუხლი ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადგილი აქვს დატვირთული ავტომობილის სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვას და ტვირთი არ იქნება გადმოტვირთული (მაგალითად, დატვირთული ავტომობილი ბულგარეთის ნავსადგურ ვარნადან ბორნით იქნა გადმოტვირთული ბათუმის ნავსადგურში, ხოლო იქიდან სარკინიგზო შემადგენლობით იქნა გადაზიდული ქალაქ ქუთაისში ისე, რომ ტვირთი არ იქნა გადმოტვირთული). ამასთან, კანონმდებელი იძლევა ისეთი შემთხვევის რეგლამენტაციას, როცა ტვირთის გადაცემისთვის გათვალისწინებულ ადგილზე ტვირთის მიღების წინ შეუძლებელია ხელშეკრულების შესრულება ზედნადებში აღნიშნული პირობებით. ასეთ დროს კანონმდებელი გადამზიდველს აკისრებს ვალდებულებას მოითხოვოს უფლებამოსილი პირის განკარგულება ტვირთის შესახებ სამოქალაქო კოდექსის 680-ე მუხლის მიხედვით. ამასთან, თუ გარემოებები იძლევიან ზედნადებში მითითებული პირობებისაგან განსხვავებულად გადაზიდვის შესაძლებლობას და გადამზიდველს არ შეეძლო უფლებამოსილი პირის ტვირთის შესახებ 680-ე მუხლით გათვალისწინებულ მითითებათა მიღება სათანადო ვადის განმავლობაში, მან უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც უფლებამოსილი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე საუკეთესოდ იქნება მიჩნეული. ამასთან, თუ ასეთი შემთხვევების შესაბამისად ტვირთი არ იქნება გადმოტვირთული, ამ თავის ნორმები მაინც გამოიყენება მთლიანი გადაზიდვისათვის.

მუხლი 672. გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმა

გადაზიდვის ხელშეკრულება ფორმდება ზედნადების (ან სხვა დოკუმენტის) სახით. ზედნადების არარსებობის, მისი ხარვეზის ან დაკარგვის მიუხედავად, გადაზიდვის ხელშეკრულების შინაარსი და ნამდვილობა განისაზღვრება ამ თავის ნორმებით.

გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულებები მათი ფორმების მიხედ-

ვით შეიძლება დავყოთ შემდეგ სახეებად: ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებები, რომლებიც ფორმდება ზედნადების ან კონოსამენტის სახით (ეს არის კონკრეტული ტვირთის გადაზიდვის რეალური ხელშეკრულებები); ხელშეკრულებები, რომლებშიც ოფერტის აქცეპტირება ხდება კონკლიუდენტური ქმედებებით (სატრანსპორტო ორგანიზაციის მიერ განაცხადების ან სხვა შეკვეთის მიღება ტვირთის გამგზავნისაგან ტვირთის გადასაზიდად ტრანსპორტის გამოყოფის თაობაზე, მგზავრთა გადაყვანის ხელშეკრულება, რომლებიც სამგზავრო ბილეთს იძენენ უშუალოდ ავტობუსში, სამარშრუტო ტაქსში და ა.შ.); ხელშეკრულებები, რომლებიც იდება საერთო წესით. გადაზიდვის ხელშეკრულების ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ზედნადები. ამასთან, გამგზავნი უფლებამოსილია ზედნადებში გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა, რომ მიმღები ტვირთის განკარგვის უფლებას იძენს ზედნადების გაფორმებისთანავე. ასეთ დროს მიმღებს ტვირთის განკარგვა (გასხვისება, დაგირავება) შეეძლება მისი ტრანსპორტირების განმავლობაში.

დადგენილია, რომ ზედნადების არარსებობის, მისი ხარვეზების ან დაკარგვის მიუხედავად, გადაზიდვის ხელშეკრულების შინაარსი და ნამდვილობა განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებით, რომლებითაც გადაზიდვის ხელშეკრულება რეგულირდება.

ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების შესახებ ნორმები მოცემულია საქართველოს საზღვაო კოდექსში. მისი 118-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობები ტვირთის გადამზიდავი (საგულისხმოა, რომ საზღვაო კოდექსი ხმარობს ტერმინს „გადამზიდავი“ და არა „გადამზიდველი“) და მიმღებს შორის განისაზღვრება კონოსამენტით და საზღვაო ზედნადებით. ამასთან, კონოსამენტი არის ტვირთის განმკარგავი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებას და გადამზიდავის მიერ ტვირთის მიღებას ან დატვირთვას და გადამზიდავი ვალდებულია, გასცეს ტვირთი იმ სუბიექტზე, რომელიც წარუდგენს მას კონოსამენტს. მეტად საინტერესოა კონოსამენტის გადაცემის

წესი: სახელობითი კონოსამენტი შეიძლება გადაეცეს სახელობითი გადასაცემი წარწერით ან სხვა რომელიმე ფორმით, რომელიც შეესაბამება სასესხო მოთხოვნის გადაცემისათვის დადგენილ წესს; რაც შეეხება საორდერო კონოსამენტს, მისი გადაცემა შესაძლებელია სახელობითი ან საბლანკო გადასაცემი წარწერით), კონოსამენტი წარმდგენზე კი გადაიცემა ჩვეულებრივად, ანუ თავად დოკუმენტის გადაცემით უფლებამოსილი პირისათვის.

რაც შეეხება საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ურთიერთობებს, საქართველოს საჰაერო კოდექსის 66-ე მუხლი იძლევა სატრანსპორტო საბუთების ჩამონათვალს და მიუთითებს, რომ მგზავრის გადაყვანის, ბარგის, ტვირთისა და საფოსტო გზავნილების გადაზიდვის ხელშეკრულება დასტურდება შესაბამისი ბილეთით, საბარგო, სატვირთო ან საფოსტო ზედნადებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საბუთების ფორმებს ადგენს საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი, საერთაშორისო ნიმუშებისა და სტანდარტების საფუძველზე.

მუხლი 673. ზედნადების შედგენის წესი

1. ზედნადები დგება სამ ცალად, რომელთაც ხელს აწერენ გამგზავნი და გადამზიდველი. პირველი პირი რჩება გამგზავნს, მეორე თან ერთვის ტვირთს, მესამეს კი იტოვებს გადამზიდველი.

2. თუ გადასაზიდი ტვირთი ნაწილდება რამდენიმე ტრანსპორტზე, ან საქმე ეხება სხვადასხვა სახის ანდა ცალკეულ პარტიებად დაყოფილ ტვირთს, როგორც გამგზავნს, ასევე გადამზიდველს შეუძლიათ მოითხოვონ იმდენი ზედნადების შედგენა, რამდენი ტრანსპორტიც ან ტვირთის სახეობაა.

ზედნადები არის დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობას ტვირთის გამგზავნს, გადამზიდველს და მიმღებს შორის. ზედნადების სახით ხდება ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების

გაფორმება და საპირისპიროს დამტკიცებამდე ზედნადები (კონოსამენტი ან გადაზიდვაში მიღებული სხვა ფორმები) არის მტკიცებულება იმისა, რომ დადებულია გადაზიდვის ხელშეკრულება, განსაზღვრულია მისი შინაარსი და ტვირთი გადამზიდველს მიღებული აქვს.

ზედნადები დგება სამ ცალად, რომელთაც ხელს აწერენ გამგზავნი და გადამზიდველი, ანუ გადაზიდვის ხელშეკრულების მხარეები. ზედნადების პირველი პირი რჩება გამგზავნს, მეორე თან ერთვის ტვირთს, მესამეს კი იტოვებს გადამზიდველი. ზედნადების მეორე პირი ტვირთს ერთვის ტრანსპორტირების მთელი პერიოდის განმავლობაში და გადაეცემა ტვირთის მიმღებს დანიშნულების ადგილზე ტვირთთან ერთად. სწორედ ზედნადების მეორე პირის მიმღებისათვის გადაცემით ტვირთი ჩაითვლება გადაცემულად.

შესაძლებელია ტვირთის გადაზიდვამ მოითხოვოს მისი რამდენიმე ტრანსპორტზე განაწილება (მაგალითად, ტვირთი უნდა განაწილდეს რამდენიმე ავტომობილზე) ანდა გადასაზიდია სხვადასხვა სახის და ცალკეულ პარტიებად დაყოფილი ტვირთი. ასეთ შემთხვევაში როგორც გამგზავნს, ისე გადამზიდველს შეუძლიათ მოითხოვონ იმდენი ზედნადების შედგენა, რამდენი ტრანსპორტის ან ტვირთის სახეობაა.

აღსანიშნავია, რომ გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება საზღვაო გადაზიდვების ურთიერთობები. ტვირთი დანიშნულების ნავსადგურში გადაეცემა კონოსამენტის დედნის მფლობელს, ანუ გადაზიდვის დასრულების მომენტში მიმღებს უკვე ხელთ უნდა ჰქონდეს კონოსამენტის დედანი. ამასთან, სახელობითი კონოსამენტის მიხედვით ტვირთი გადაეცემა მიმღებს, რომელიც მითითებულია კონოსამენტში ან პირს, რომელსაც გადაეცა კონოსამენტი სახელობითი გადასაცემი წარწერით ან სასესხო მოთხოვნათა გადაცემისათვის დადგენილი სხვა ფორმით; საორდენო კომერსანტის მიხედვით — მიმღებს ან გამგზავნს, იმის მიხედვით, კონოსამენტი შედგენილია „გამგზავნის ბრძანებით“ თუ „მიმღების ბრძანებით“; ხოლო, თუ

კონოსამენტში არის გადასაცემი ჩანაწერები – პირს, რომელიც მითითებულია უწყვეტი რიგის გადასაცემი წარწერის ბოლოს ან ბოლო საბლანკოწარწერიანი კონოსამენტის წარმდგენს; რაც შეეხება წარმდგენზე გაცემული კონოსამენტის მიხედვით ტვირთის გადაცემას, ბუნებრივია, ტვირთი გადაეცემა მიმღებს, რომელიც ფლობს კონოსამენტს.

მუხლი 674. ზედნადების რეკვიზიტები

1. ზედნადები უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა. გაცემის დღესა და ადგილს;

ბ. გამგზავნის სახელსა და მისამართს;

გ. გადამზიდველის სახელსა და მისამართს;

დ. ტვირთის გადაცემის დღესა და ადგილს, ასევე ტვირთის მიტანის ადგილს;

ე. მიმღების სახელსა და მისამართს;

ვ. ტვირთის სახეობის ჩვეულებრივ სახელწოდებასა და შეფუთვის სახეს, საფრთხეშემცველი ტვირთების დროს, მათ საყოველთაოდ აღიარებულ აღნიშვნას;

ზ. გადასაზიდი ტვირთების რაოდენობას, ნიშნებსა და ნომრებს;

თ. ტვირთის წონას ან სხვაგვარად აღნიშნულ რაოდენობას;

ი. გადაზიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს (გადაზიდვის ფასი, დამატებითი ხარჯები, საბაჟო გადასახადები და სხვა ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა ხელშეკრულების დადებიდან ტვირთის მიტანამდე);

კ. საბაჟო და სხვა მსგავსი სამსახურების აღნიშვნებს;

ლ. აღნიშვნას, რომ გადაზიდვა, მიუხედავად ორმხრივი შეთანხმებისა, მაინც ექვემდებარება ამ თავის ნორმებს.

2. საჭიროებისას ზედნადები უნდა შეიცავდეს დამატებით მონაცემებს:

ა. სხვა ტრანსპორტზე გადატვირთვის აკრძალვას;

ბ. ხარჯებს, რომლებსაც გამგზავნი თავის თავზე იღებს;

გ. ტვირთის გაგზავნის დროს გადასახდელი ფასდანამატის ოდენობას;

დ. ტვირთის ღირებულებას და მიწოდებისადმი განსაკუთრებული ინტერესის აღნიშვნას;

ე. გამგზავნის მითითებებს გადამზიდველის მიმართ ტვირთის დაზღვევის შესახებ;

ვ. შეთანხმებულ ვადას, რომელშიც უნდა დასრულდეს გადაზიდვა;

ზ. გადამზიდველისათვის გადაცემული საბუთების ჩამონათვალს.

3. მხარეებს შეუძლიათ ზედნადებში ჩაწერონ სხვა მონაცემებიც, რომლებსაც ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ.

ზედნადები ადასტურებს უმნიშვნელოვანეს მონაცემებს, რომლებიც ეხება ტვირთის გადატანას. სწორედ ამიტომ, კანონმდებელი პირდაპირ ითვალისწინებს ზედნადების სავალდებულო რეკვიზიტებს: გაცემის დღესა და ადგილს, გამგზავნის, გადამზიდველის და მიმღების სახელს, მისამართს, დანიშნულების ადგილს და ა.შ. ზედნადები უნდა შეიცავდეს ასევე ტვირთის სახეობის ჩვეულებრივ სახელწოდებასა და შეფუთვის სახეს, საფრთხისშემცველი ტვირთის დროს კი მათ საყოველთაოდ აღიარებულ აღნიშვნას. რადგან აუცილებელია ტვირთის დაცვა დაკარგვის, გაფუჭებისა და დაზიანებ-

ისაგან, ამიტომ ტვირთი გადასაზიდად წარმოდგენილი უნდა იქნეს გამართულ ტარაში, რომელიც შეესაბამება სათანადო სტანდარტებს, ან უკიდურეს შემთხვევაში, ისეთი შეფუთვით, რომელიც უზრუნველყოფს მის სრულ დაცვას.

რაც შეეხება გადასაზიდი ტვირთის რაოდენობას, ნიშნებსა და ნომრებს, უნდა აღინიშნოს, რომ ზედნადებში ასეთი სახის ინფორმაცია ზუსტად უნდა იქნეს მითითებული, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გართულდება ზიანის ანაზღაურება ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისას.

ზედნადები ასევე უნდა შეიცავდეს ტვირთის წონას ან სხვაგვარად აღნიშნულ რაოდენობას. წონა შეიძლება განისაზღვროს: ა) აწონვით; ბ) ტვირთის ყოველი ადგილის ტრაფარეტის შესაბამისად; გ) სტანდარტის შესაბამისად, მაგრამ ისეთი ტვირთის გადაზიდვისას, რომელიც შეფუთულია სტანდარტული ტევადობის ტარაში და ანგარიშების მეთოდის გამოყენებით; დ) პირობითად (ცხოველთა, ავტომობილების და ა.შ. გადაზიდვისას). როგორც წესი, წონის განსაზღვრის წესი მიეთითება სატრანსპორტო დოკუმენტებში.

საჭიროებისას ზედნადები უნდა შეიცავდეს ტვირთის ღირებულებას და მიწოდებისადმი განსაკუთრებული ინტერესის აღნიშვნას. ეს აიოლებს ტვირთის ღირებულების მტკიცებას მისი დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული სახის ტვირთის დაცვისა და ინდივიდუალიზაციისათვის შეიძლება განხორციელდეს მისი მარკირება, ანუ ე.წ. განსაზღვრული აღნიშვნების გაკეთება ტვირთზე მისი თავისებურებებიდან და უსაფრთხოებიდან გამომდინარე (მაგ.: „შუშა“, „არ გადააბრუნოთ“).

როგორც წესი, ტვირთის გადასაზიდად ჩაბარების პირობები არის საერთო, რომლებიც უნდა შესრულდეს ყველა შემთხვევაში ტვირთის სპეციფიკის მიუხედავად, და სპეციალური, რომლებიც გამოიყენება სპეციალური თვისებების მქონე ტვირთის გადაზიდვისას. საერთო პირობები ეხება ტვირთის რაოდენობის დასახელებას, მისი წონის, ტარის (შეფუთვის), მარკირების განსაზღვრას და

ფასეულობის განცხადებას. რაც შეეხება სპეციალურ პირობებს, ასეთი პირობები წესდება ისეთი სახის ტვირთების მიმართ, რომელთა გადაზიდვაც მოითხოვს მათი ტრანსპორტირებისას განსაკუთრებული ზომების და პირობების დაცვას. ასე მაგალითად, მრავალი სახის ტვირთის გადასაზიდად აუცილებელია მათი ხარისხის სერთიფიკატის, ხოლო ცხოველების და ფრინველების გადაზიდვისას კი, საკარანტინო (ვეტერინარული) დოკუმენტაციის წარდგენა.

აღსანიშნავია, რომ საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების დადება მჭიდროდაა დაკავშირებული ნასყიდობის სტანდარტული (საბაზისო) პირობების არჩევასთან, რომლებიც განსაზღვრავენ მიწოდების საშუალებასა და ადგილს, გადაზიდვის საზღაურის, სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებებს, რისკის განაწილების თავისებურებებს. ისინი გაერთიანებულია სპეციალურ საერთაშორისო წესებში სავაჭრო ტერმინების განმარტებების შესახებ (ინკოტერმსი). აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში მოქმედებს ინკოტერმსის წესები 2000 წლის რედაქციით.

საქართველოს საზღვაო კოდექსი განამტკიცებს როგორც კონოსამენტის, ისე ჩარტერის ძირითად რეკვიზიტებს. ამასთან, კონოსამენტში სხვა პირობების გვერდით უნდა მიეთითოს – გადაზიდვა რეგულირდება „კონოსამენტის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ“ 1924 წლის საერთაშორისო კონვენციით თუ „ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1978 წლის კონვენციით.

რაც შეეხება ჩარტერის ძირითად რეკვიზიტებს, ესაა მხარეების დასახელება, გემის დასახელება, ტვირთის დასახელება, დატვირთვისა და დანიშნულების ნავსადგურები, ფრახტი, მხარეთა ძირითადი მოვალეობანი და გადაზიდვის პირობები. ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ ჩარტერში შეიტანონ სხვა დამატებითი პირობები.

საჰაერო ჩარტერის რეკვიზიტები მოცემულია საქართველოს საჰაერო კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილში. ესენია: მხარეთა სახელწოდება, საჰაერო ხომალდის ტიპი, დაქირავების მიზანი,

გადასაყვანი მგზავრებისა და გადასაზიდი ტვირთის (ბარგისა და საფოსტო გზავნილების) რაოდენობა, ქირის ოდენობა, მარშრუტის საწყისი პუნქტი და დრო, დანიშნულების ადგილი.

მუხლი 675. გამგზავნის პასუხისმგებლობა

1. გამგზავნი პასუხს აგებს ყველა იმ ხარჯისა და ზიანისათვის, რომლებიც დადგა იმის გამო, რომ არასწორად ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი:

ა. 674-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“ და „კ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული მონაცემები;

ბ. 674-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული მონაცემები;

გ. ყველა სხვა მონაცემი ან გამგზავნის მითითებები ზედნადების შესადგენად ან მასში შესატანად.

2. თუ ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ მონაცემებს გადამზიდველი გამგზავნის მოთხოვნის საფუძველზე ზედნადებში ჩაწერს, მაშინ საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ გადამზიდველი გამგზავნის სახელით მოქმედებდა.

3. თუ ზედნადები არ შეიცავს 674-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ მონაცემებს, მაშინ გამგზავნი პასუხს აგებს ყველა იმ ხარჯისა და ზიანისათვის, რომლებიც ტვირთზე უფლების მქონეს წარმოეშობა ამ მონაცემთა მიუთითებლობის გამო.

ზედნადების მონაცემები სწორად და სრულყოფილად უნდა იქნეს შევსებული. ამასთან, გამგზავნი პასუხს აგებს ყველა იმ ხარჯისა და ზიანისათვის, რომლებიც დადგა იმის გამო, რომ არასწორად ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: გამგზავნის სახელი და მისამართი, ტვირ-

თის გადაცემის დღე და ადგილი, ასევე ტვირთის მიტანის ადგილი, მიმღების სახელი და მისამართი, ტვირთის სახეობის ჩვეულებრივი სახელწოდება და შეფუთვის სახე, საფრთხეშემცველი ტვირთების დროს – მათი საყოველთაოდ აღიარებული აღნიშვნა, გადასაზიდი ტვირთების რაოდენობა, ნიშნები და ნომრები, ტვირთის წონა და სხვაგვარად აღნიშნული რაოდენობა, საბაჟო და სხვა მსგავსი სამსახურების აღნიშვნები, ასევე ისეთი დამატებითი მონაცემები, რომლებსაც ზედნადები უნდა შეიცავდეს საჭიროებისას. ამასთან, თუ ამ მონაცემებს გადამზიდველი გამგზავნის მოთხოვნის საფუძველზე ზედნადებში ჩაწერს, მაშინ საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ გადამზიდველი გამგზავნის სახელით მოქმედებდა.

აღსანიშნავია, რომ, თუ ზედნადები არ შეიცავს აღნიშვნას, რომ გადაზიდვა, მიუხედავად ორმხრივი შეთანხმებისა, მაინც ექვემდებარება ამ თავის ნორმებს, მაშინ გამგზავნი პასუხს აგებს ყველა იმ ხარჯისა და ზიანისათვის, რომლებიც ტვირთზე უფლების მქონეს წარმოეშობა ამ მონაცემთა მიუთითებლობის გამო.

მუხლი 676. გადამზიდველის ვალდებულება ტვირთის მიღებისას

1. გადამზიდველი ვალდებულია ტვირთის მიღებისას შეამოწმოს:

ა. ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მათი ნიშნებისა და ნომრების შესახებ ზედნადებში აღნიშნულ მონაცემთა სისწორე;

ბ. ტვირთისა და მისი შეფუთვის გარეგნული მდგომარეობა.

2. თუ გადამზიდველს არა აქვს სათანადო საშუალება იმისათვის, რომ შეამოწმოს ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული მონაცემები, მაშინ მას ზედნადებში შეაქვს პირობები, რომლებიც უნდა შესრულდეს. ამგვარადვე უნდა შეიტანოს მან ისეთი პირობები, რომლებიც შეეხება ტვირთის გარეგნულ მდგო-

მარეობას და მის შეფუთვას. ეს პირობები გამგზავნისათვის არ არის სავალდებულო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მან ისინი ზედნადებში აშკარად აღიარა.

3. გამგზავნს შეუძლია გადამზიდველს მოსთხოვოს, რომ გადამზიდველმა გადაამოწმოს ტვირთის წონა, ან მისი სხვაგვარად მოცემული რაოდენობა. მას შეუძლია ასევე მოითხოვოს, რომ გადამზიდველმა შეამოწმოს გადასაზიდი ტვირთის შემცველობა. გადამზიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ამ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. გადამოწმების შედეგები უნდა აღინიშნოს ზედნადებში.

გადამზიდველი გადასაზიდად ტვირთის მიღების დროს ვალდებულია შეამოწმოს ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მათი ნიშნებისა და ნომრების შესახებ ზედნადებში აღნიშნული მონაცემების სისწორე, ტვირთისა და მისი შეფუთვის გარეგნული მდგომარეობა.

პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც გადამზიდველს არა აქვს საშუალება იმისა, რომ შეამოწმოს ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მათი ნიშნები და ნომრები (მაგალითად, ნივთების რაოდენობა კონტეინერში). ასეთ დროს მას ზედნადებში შეაქვს პირობები (მაგალითად, პირობა იმის შესახებ, რომ პასუხს არ აგებს კონტეინერში ნივთების რაოდენობისათვის). გადამზიდველმა ზედნადებში უნდა შეიტანოს აგრეთვე ისეთი პირობები, რომლებიც შეეხება ტვირთების გარეგნულ მდგომარეობასა და მის შეფუთვას. აღსანიშნავია, რომ ეს პირობები გამგზავნისათვის არაა სავალდებულო, იმ შემთხვევების გარდა, როცა მან ისინი ზედნადებში აშკარად აღიარა (მაგალითად, ზედნადებში აღინიშნა იმის შესახებ, რომ აღიარებს ამ პირობებს).

გამგზავნს შეუძლია გადამზიდველს მოსთხოვოს, რომ გადამზიდველმა გადაამოწმოს ტვირთის წონა ან მისი სხვაგვარად მოცემული რაოდენობა. (მაგალითად, როცა ტვირთის რაოდენობა კუბომეტრობითაა განსაზღვრული). გამგზავნმა შეიძლება მოითხ-

ოვოს ტვირთის ხელახლა აწონვა, გადასაზიდი ცხოველების გადათვლა და ა.შ. იგი უფლებამოსილია მოითხოვოს გადასაზიდი ტვირთის შემცველობის შემოწმება, მაგალითად, იმის დასამტკიცებლად, ზედნადებში მითითებული ტვირთია გადაცემული გადასაზიდად თუ არა. ამასთან, თუ ასეთი სახის შემოწმება დაკავშირებული იქნება გარკვეულ ხარჯებთან, გადამზიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ასეთი ხარჯების ანაზღაურება. გადამოწმების შედეგები უნდა აისახოს ზედნადებში.

გადამზიდავის მიერ გადასაზიდად მიღებული ტვირთისა და მისი შეფუთვის შემოწმების შედეგების გადაზიდვის ხელშეკრულებაში ფიქსაციის ურთიერთობები მეტად საინტერესოა საზღვაო გადაზიდვის კონსტრუქციებში. შემოწმების შედეგების მიხედვით განასხვავებენ კონოსამენტის შემდეგ სახეებს: ა) სუფთა კონოსამენტი – ეს არის ისეთი კონოსამენტი, რომელიც არ შეიცავს გადამზიდავის შენიშვნებს გადასაზიდი ტვირთის ან მისი შეფუთვის დეფექტების შესახებ; ბ) არასუფთა კონოსამენტი (ანუ კონოსამენტი დათქმებით) – იგი შეიცავს დათქმას იმის შესახებ, რომ მიღებული ტვირთი ან მისი შეფუთვა დაზიანებულია მითითებული სახით. ცალკე სახედ უნდა გამოიყოს კონოსამენტის ისეთი სახე, როგორიცაა გადასატვირთად მიღებული კონოსამენტი – იგი წარმოადგენს მტკიცებულებას იმისა, რომ მოცემული გადამზიდველი სანაოსნო კომპანია ინახავს ტვირთს, რომელიც უნდა გადაიტვირთოს. ასეთი ტიპის კონოსამენტი, ჩვეულებრივ, გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როცა ტვირთი არის ქარხანაში, კონტეინერებში ან, მაგალითად, ექსპორტიორის (გამგზავნის) საწყობში, შემდეგ კი უნდა გადაიტვითროს გემბანზე. სატრანსპორტო კომპანია ახდენს გადასაზიდად მიღებული კონოსამენტის ინდოსირებას, რითიც ადასტურებს კონტეინერების თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ მიღების ფაქტს. ასეთ კონოსამენტს ზოგჯერ „კონტეინერულ კონოსამენტსაც“ უწოდებენ.

მუხლი 677. გადაზიდვის ხელშეკრულების დადების პრეზუმფცია

1. საპირისპიროს დამტკიცებამდე ზედნადები (კონოსამენტი ან გადაზიდვებში მიღებული სხვა ფორმები) არის მტკიცებულება იმისა, რომ დადებულია გადაზიდვის ხელშეკრულება, განსაზღვრულია მისი შინაარსი და ტვირთი გადამზიდველს მიღებული აქვს.

2. თუ ზედნადებში არ არის აღნიშნული გადაზიდვის პირობები, საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებისას ტვირთი და მისი შეფუთვა გარეგნულად კარგ მდგომარეობაში იყო და რომ ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მისი აღნიშვნები და ნომრები ემთხვევა ზედნადებში ჩაწერილ მონაცემებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ზედნადები, კონოსამენტი (საზღვაო გადაზიდვის დროს) ან გადაზიდვაში მიღებული სხვა ფორმები წარმოადგენს თავად გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმას, რომლის სავალდებულო და, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელი მონაცემების ჩამონათვალს თავად კანონი განსაზღვრავს (მხარეებს შეუძლიათ თავიანთი შეხედულებისამებრ ზედნადებში ჩაწერონ სხვა მონაცემებიც), ამიტომ ასეთი დოკუმენტი გარკვეულ მტკიცებულებას წარმოადგენს იმისა, რომ დადებულია გადაზიდვის ხელშეკრულება, განსაზღვრულია მისი შინაარსი და ტვირთი გადამზიდველს მიღებული აქვს, ანუ მოქმედებს ე.წ. გადაზიდვის ხელშეკრულების დადების პრეზუმფცია, თუმცა შესაძლებელია საპირისპიროს დამტკიცება, ანუ დამტკიცება იმისა, რომ, ზედნადების არსებობის მიუხედავად, გადაზიდვის ხელშეკრულება არ დადებულა.

ზედნადები უნდა შეიცავდეს ისეთ მონაცემებს, რომლებიც ეხება ტვირთის სახეობის ჩვეულებრივ სახელწოდებასა და შეფუთვის სახეს, საფრთხეშემცველი ტვირთების დროს, მათ საყოველთაოდ აღიარებულ აღნიშვნას, გადასაზიდი ტვირთების რაოდენობას, ნიშ-

ნებსა და ნომრებს და ა.შ. ამასთან, თუ ზედნადებში არ იქნება აღნიშნული გადაზიდვის პირობები, საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებისას ტვირთი და მისი შეფუთვა გარეგნულად კარგ მდგომარეობაში იყო და რომ ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მისი აღნიშვნები და ნომრები ემთხვევა ზედნადებში ჩაწერილ მონაცემებს.

მუხლი 678. გამგზავნის პასუხისმგებლობა ტვირთის უხარისხო შეფუთვით გამოწვეული ზიანისათვის

გამგზავნი პასუხს აგებს გადამზიდველის წინაშე ტვირთის უხარისხო შეფუთვით გამოწვეული ზიანისათვის, რომელიც მიადგა პირებს, მასალებსა და სხვა ქონებას, ასევე უხარისხო შეფუთვით გამოწვეული ხარჯებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნაკლი აშკარა იყო, ან ტვირთის მიღებისას გადამზიდველმა ამის შესახებ იცოდა და ამასთან დაკავშირებით რაიმე პირობა არ დაუთქვამს.

გამგზავნის ერთ-ერთი მოვალეობაა გადამზიდველისათვის გადასაზიდად მისაცემი ტვირთის შეფუთვა. ამასთან, შეფუთვა უნდა განხორციელდეს სტანდარტების შესაბამის ტარაში, უკიდურეს შემთხვევაში კი ისეთი სახით, რაც უზრუნველყოფს მის უსაფრთხო ტრანსპორტირებას. გამგზავნის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადამზიდველი უფლებამოსილია უარი უთხრას მას ტვირთის გადაზიდვაზე ან დაუთქვას რაიმე პირობა, რომლის შესრულების შემთხვევაშიც განხორციელება გადაზიდვა.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც გადასაზიდი ტვირთი უხარისხოდ იყო შეფუთული და ამით ზიანი მიადგა პირებს, მასალასა და სხვა ქონებას, გამგზავნის პასუხისმგებლობის საკითხი დამოკიდებულია იმაზე, როგორი იყო შეფუთვის ნაკლი – აშკარა თუ ფარუ-

ლი. თუ შეფუთვის ნაკლი ფარული იყო, გამგზავნმა პასუხი უნდა აგოს მიყენებული ზიანისათვის, მაგრამ თუ ნაკლი აშკარა იყო, რომელიც გადამზიდველს შეეძლო თავისუფლად შეემჩნია და უფრო მეტიც, ტვირთისა და მისი შეფუთვის გარეგნული მდგომარეობის შემოწმება მის ვალდებულებას წარმოადგენდა (676-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), ასეთ შემთხვევაში გამგზავნი უხარისხო შეფუთვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისაგან თავისუფლდება. გამგზავნს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება არც იმ შემთხვევაში, როდესაც გადამზიდველმა ტვირთის მიღებისას იცოდა მისი უხარისხო შეფუთვის შესახებ და ამასთან დაკავშირებით რაიმე პირობა არ დაუთქვამს.

მუხლი 679. გამგზავნის მიერ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

1. გამგზავნი ვალდებულია ზედნადებს დაურთოს ყველა ის საბუთი, რომლებიც აუცილებელია ტვირთის მიტანამდე საბაჟო და სხვა მსგავს მოქმნედებათა შესასრულებლად, ან გადასცეს ეს საბუთები გადამზიდველს და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია.

2. გადამზიდველი არ არის ვალდებული შეამოწმოს, არის თუ არა ეს საბუთები და ინფორმაცია სწორი და საკმარისი. გამგზავნი პასუხს აგებს გადამზიდველის წინაშე საბუთებისა და მონაცემების არასრულყოფილებითა და უზუსტობით გამოწვეული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს გადამზიდველის ბრალით მოხდა.

3. გადამზიდველი პასუხს აგებს ზედნადებში აღნიშნული და მასზე დართული ან გადამზიდველისათვის გადაცემული საბუთების დაკარგვის ან მათი არასწორი გამოყენებისათვის; მას არ შეიძლება იმაზე მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროს, ვიდრე ტვირთის დაკარგვის დროს დადგებოდა.

ტვირთის გადაზიდვის უზრუნველსაყოფად და მიმღებამდე მიტანამდე აუცილებელია საბაჟო და სხვა მოქმედებების განხორციელება, რაც გარკვეული საბუთების არსებობას მოითხოვს. სამოქალაქო კოდექსის 679-ე მუხლი ტვირთის გამგზავნს ანიჭებს ვალდებულებას დაურთოს ასეთი საბუთები ზედნადებს ან გადასცეს გადამზიდველს. მასვე ენიჭება გადამზიდველისათვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. მაგალითად, ცხოველთა და ფრინველთა გადასაყვანად აუცილებელია საკარანტინო (ვეტერინარული) დოკუმენტაციის არსებობა; საერთაშორისო გადაზიდვის ურთიერთობებში კი საჭიროა საექსპორტო ლიცენზია.

ნიშანდობლივია, რომ კანონმდებელი არ ანიჭებს გადამზიდველს გამგზავნის მიერ გადაცემული საბუთების და მიწოდებული ინფორმაციის შემოწმების ვალდებულებას, რაც სავსებით მართებულია. საბუთებისა და მონაცემების არასრულყოფილებითა და უზუსტობით გამოწვეულ ზიანზე პასუხისმგებლობა თავად გამგზავნს ეკისრება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს გადამზიდველის ბრალით მოხდა.

თავის მხრივ, გადამზიდველი ვალდებულია არ დაუშვას გამგზავნის მიერ მისთვის გადაცემული საბუთების დაკარგვა, განადგურება, ვალდებულია გამოიყენოს ასეთი საბუთები მხოლოდ დანიშნულებისამებრ. ამ ვალდებულების დარღვევა მისი პასუხისმგებლობის საფუძველია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადამზიდველის პასუხისმგებლობა ხასიათდება გარკვეული თავისებურებით. გადამზიდველი გამგზავნის მიერ მისთვის გადაცემული საბუთების დაკარგვის ან არასწორად გამოყენებისათვის პასუხს აგებს შეზღუდულად. კერძოდ, მას არ შეიძლება იმაზე მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროს, ვიდრე ტვირთის დაკარგვის დროს დადგებოდა.

აღსანიშნავია, რომ საზღვაო გადაზიდვის დროს ტვირთის გამგზავნი ვალდებულია დროულად გადასცეს გადამზიდავს ტვირთთან დაკავშირებული ყველა საბუთი ნავსადგურის, საბაჟოს, სანიტარული და სხვა ადმინისტრაციული წესების მოთხოვნათა შესაბამისად

და პასუხისმგებელია გადამზიდავის წინაშე საბუთების დაგვიანებით გადაცემის, არასწორად ან არასრულად შედგენის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის (საქართველოს საზღვაო კოდექსის 127-ე მუხლი).

მუხლი 680. გამგზავნის უფლებები

1. გამგზავნი უფლებამოსილია განკარგოს ტვირთი, მოითხოვოს გადაზიდვის შეწყვეტა; მას ასევე შეუძლია მოითხოვოს, რომ გადამზიდველმა არ შეცვალოს მიწოდების ადგილი ან ტვირთი, არ მისცეს იგი სხვა პირს, გარდა იმისა, რომელიც ზედნადებშია აღნიშნული.

2. ეს უფლება ქარწყლდება მაშინვე, როცა ზედნადების მეორე პირი გადაეცემა ტვირთის მიმღებს, ან იგი გამოიყენებს თავის უფლებას 681-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. ამ მომენტიდან გადამზიდველმა უნდა შეასრულოს მიმღების მითითებები.

3. მიმღები განკარგვის უფლებას იძენს ზედნადების გაფორმებისთანავე, თუ გამგზავნმა ზედნადებში გააკეთა შესაბამისი აღნიშვნა.

4. თუ მიმღებმა განკარგვის უფლების განხორციელებისას გასცა მითითება ტვირთის მიწოდების შესახებ მესამე პირისათვის, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, არ არის უფლებამოსილი დაასახელოს სხვა მიმღები.

5. განკარგვის უფლების განხორციელება უნდა მოხდეს შემდეგი წესების დაცვით:

ა. გამგზავნმა ან – ამ მუხლის მე-3 ნაწილში დასახელებულ შემთხვევაში – მიმღებმა, თუ მას თავისი განკარგვის უფლების განხორციელება სურს, უნდა წარმოადგინოს ზედნადების პირველი პირი, რომელშიც შეტანილი უნდა იყოს გადამზიდველისათვის მიღებული ახალი მითითებები, და მას უნდა აუნაზღაუროს ყველა ის

ხარჯი და ზიანი, რომლებიც ამ მითითებათა შესრულების შედეგად წარმოიშვა;

ბ. მითითებათა შესრულება შესაძლებელი უნდა იყოს იმ მომენტში, როცა ისინი მიუვა იმ პირს, რომელმაც ეს მითითება უნდა შეასრულოს, და არ შეიძლება, რომ იგი ხელს უშლიდეს გადამზიდველის ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, და არც გამგზავნის ან მიმღების სხვა ტვირთს უნდა აყენებდეს ზიანს.

გ. მითითებებმა არ უნდა გამოიწვიონ ტვირთის დანაწილება.

6. თუ გადამზიდველს ამ მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე არ შეუძლია მიღებული მითითებების შესრულება, ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს იმ პირს, ვინც ეს მითითებები გასცა.

7. გადამზიდველი, რომელიც არ ასრულებს ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით მიცემულ მითითებებს, ან ასრულებს მათ ზედნადების პირველი პირის მოთხოვნის გარეშე, პასუხს აგებს უფლებამოსილი პირის წინაშე აქედან წარმოშობილი ზიანისათვის.

გამგზავნი უფლებამოსილია განკარგოს ტვირთი, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ტვირთის განკარგვის უფლებით აღჭურვილია მიმღები, რის შესახებაც პირდაპირი აღნიშვნაა გაკეთებული ზედნადებში.

გამგზავნის ერთ-ერთ უფლებას წარმოადგენს მოსთხოვოს გადამზიდველს არ შეცვალოს მიწოდების ადგილი ან ტვირთი, არ მისცეს იგი სხვა პირს, გარდა იმისა, რომელიც ზედნადებშია აღნიშნული. მის ასეთ უფლებას შეეფარდება გადამზიდველის შესაბამისი ვალდებულება მის მიერ გადასაზიდად მიღებული ტვირთი გადასცეს ზედნადებში პირდაპირ მითითებულ პირს დათქმულ ადგილას.

გამგზავნის ზემოთ მითითებული უფლებების გაქარწყლებას იწვევს ზედნადების მეორე პირის გადაცემა ტვირთის მიმღებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ტვირთის გადაცემის და მიღების ოპერაციების შესრულება იწვევს გადაზიდვის ხელშეკრულების შეწყვეტას. ზედნადებში მითითებულ მისამართზე მიტანილი ტვირთი უნდა მიიღოს მიმღებმა, გარკვეულ შემთხვევაში კი გაზიდოს დანიშნულების ადგილიდან (რკინიგზის სადგურიდან, ნავსადგურიდან).

ამასთან, ტვირთი ჩაითვლება გადაცემულად მას შემდეგ, როდესაც ზედნადების მეორე პირი გადაეცემა მიმღებს. ამის შემდეგ გადამზიდველმა უნდა შეასრულოს უკვე მიმღების მითითებები.

იურიდიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ზედნადების ისეთი კატეგორიის დახასიათება, რომელშიც გამგზავნმა გააკეთა შესაბამისი აღნიშვნა, რომ მიმღები განკარგვის უფლებას იძენს ზედნადების გაფორმებისთანავე. ასეთ დროს ზედნადები მიმღებს ანიჭებს უფლებამოსილებას გაასხვისოს ჯერ კიდევ ტრანსპორტირების პროცესში არსებული ტვირთი.

ზედნადების (კონოსამენტის), როგორც საქონელგანმკარგავი დოკუმენტის განხილვას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო გადახდის ურთიერთობების მოწესრიგებისას. ასე მაგალითად, კონოსამენტი (საზღვაო გადაზიდვების დროს) შეიძლება განხილული იქნეს სამი სხვადასხვა ასპექტით:

ა) ის წარმოადგენს გადაზიდვის ხელშეკრულების დამადასტურებელ დოკუმენტს, ერთი მხრივ სანაოსნო კომპანიასა და, მეორე მხრივ, გამგზავნს შორის, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს ტვირთის გადატანა დანიშნულების ადგილზე; ბ) კონოსამენტი წარმოადგენს ხელწერილს იმისა, რომ გადამზიდველის მიერ მიღებულია გადასაზიდი ტვირთი და მას შემოწმებული აქვს ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მათი ნიშნებისა და ნომრების შესახებ ზედნადებში აღნიშნულ მონაცემთა სისწორე, ტვირთისა და მისი შეფუთვის გარეგნული მდგომარეობა; გ) გამგზავნის მიერ კონოსამენტის ხელისმოწერის შემდეგ ის იქცევა საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტად.

დანიშნულების პორტში სატრანსპორტო კომპანია ტვირთს

გადასცემს მხოლოდ იმ პირს, ვინც წარმოადგენს ხელმოწერილი კონოსამენტის დედანს.

კონოსამენტის მიმღებისათვის გადაცემა შეიძლება განხორციელდეს საბანკო სისტემის საშუალებით და, როგორც წესი, დიდი ხნით ადრე ტვირთის დანიშნულების ადგილზე გადატანამდე. იმის მტკიცება, რომ ტვირთი მართლაც ტრანსპორტირების პროცესშია, შეიძლება თავად კონოსამენტზე გაკეთებული მითითებით: „დატვირთულია“ ან „უკვე დატვირთულია“. ამასთან, თუ ტვირთის მიმღები უფლებამოსილია განკარგოს ტვირთი, მას შეუძლია ტვირთის როგორც გასხვისება, ისე მისი დატვირთვა გირავნობით, ვთქვათ ბანკიდან საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ანგარიშსწორებისათვის აღებული კრედიტის უზრუნველსაყოფად.

სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს მიმღების მიერ განკარგვის უფლების განხორციელების ურთიერთობებს და მიუთითებს, რომ, თუ მიმღებმა გასცა მითითება ტვირთის მიწოდების შესახებ მესამე პირისათვის, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, არ არის უფლებამოსილი დაასახელოს სხვა მიმღები.

განკარგვაზე უფლებამოსილმა გამგზავნმა ან მიმღებმა თავისი ამ უფლების განსახორციელებლად უნდა წარმოადგინოს ზედნადების პირველი პირი, რომელშიც შეტანილი უნდა იყოს გადამზიდველისათვის მიცემული ახალი მითითებები. ბუნებრივია, რომ ახალი მითითებების შესრულება იწვევს გარკვეულ ხარჯებს, ზოგჯერ კი ზიანსაც. ასეთი ხარჯი და ზიანი უნდა აანაზღაუროს თავად განკარგვის უფლების განმახორციელებელმა სუბიექტმა.

ტრანსპორტირებისას გადაზიდვის ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ორი სახით: ერთი მხრივ, გამგზავნმა შეიძლება შეცვალოს ზედნადებში (კონოსამენტში) მითითებული მიმღები დანიშნულების ადგილის (რკინიგზის სადგური, ნავსადგური) შეცვლის გარეშე; მეორე მხრივ, შეიძლება შეიცვალოს თავად დანიშნულების ადგილი, ანუ განხორციელდეს ე.წ. გადამისამართება. განცხადება გადამისამართების შესახებ შეიძლება გააკეთოს როგორც თავად

გამგზავნმა, ისე მიმღებმა და მესამე პირმა, რომელსაც ტვირთის მიღების უფლებამოსილება სამართლებრივი საფუძვლით აქვს მოპოვებული. აღსანიშნავია, რომ გადამისამართების განხორციელება მოითხოვს გადამზიდველის თანხმობას.

ტვირთის გადატანა გადამისამართების შემდეგ უნდა განხორციელდეს ახალი ზედნადების გაფორმების შემდეგ, რაც უნდა განხორციელდეს გადამისამართების პუნქტში. ასეთ დროს იცვლება ტვირთის მიწოდების ვადაც. პირი, რომლის განცხადების საფუძველზეც მოხდა ტვირთის მიმღების ან დანიშნულების ადგილის შეცვლა, პასუხს აგებს პირველი ადრესატის წინაშე აღნიშნული ცვლილებით მიყენებული ზიანისათვის და ვალდებულია დაარეგულიროს ანგარიშსწორება გამგზავნს, თავდაპირველ ადრესატს და ტვირთის ფაქტიურ მიმღებს შორის.

ნიშანდობლივია, რომ გამგზავნის ან განკარგვაზე უფლებამოსილი მიმღების მხოლოდ ისეთი მითითებები უნდა შესრულდეს, რომლებიც მათი მიღების მომენტში შესრულებადია და ისინი ხელს არ უნდა უშლიდეს გადამზიდველის ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და ზიანს არ უნდა აყენებდეს გამზავნის ან მიმღების სხვა ტვირთს. ამასთან, მითითებებმა არ უნდა გამოიწვიოს ტვირთის დანაწილება.

ისეთ შემთხვევებში, როცა გადამზიდველს ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გამო არ შეუძლია მითითებების შესრულება, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მითითებების გამცემს.

თუ გადამზიდველი არ შეასრულებს ისეთ მითითებებს, რომელთა შესრულებაც მიღების მომენტში შესაძლებელი იყო, ან თუ ასრულებს ზედნადების პირველი პირის მოთხოვნის გარეშე, რამაც უფლებამოსილ პირს ზიანი მიაყენა, მან უნდა აანაზღაუროს ასეთი ზიანი.

ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე ტვირთის მიტანისთანავე მიმღები უფლებამოსილია გადამზიდველს მოსთხოვოს ტვირთის მიღების დადასტურებით ზედნადების მეორე პირის გადაცემა და ამით ტვირთი ჩაითვლება გადაცემულად. თუ აღმოჩნდება ტვირთის დანაკლისი, ან ტვირთი არ არის 688-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მიტანილი, მიმღებს შეუძლია გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები საკუთარი სახელით გამოიყენოს გადამზიდველის წინააღმდეგ.

ტვირთის გადაცემა-მიღების ოპერაციების განხორციელება გულისხმობს გადაზიდვის ხელშეკრულების შესრულებას. ამდენად, ტვირთის მიღების ურთიერთობების რეგლამენტაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. ტვირთის მიღება სათანადო წესით უნდა გაფორმდეს, რაც საჭიროებს დამოწმებას ზედნადებზე (კონოსამენტზე). ამ ვალდებულების შესასრულებლად მიმღებს უნდა ეცნობოს ტვირთის გადატანის შესახებ იმ წესით და იმ ვადაში, რაც დადგენილია შესაბამისი სახის ტრანსპორტისათვის. ასეთი შეტყობინების აუცილებლობა, როგორც წესი, არ დგება საავტომობილო გადაზიდვების დროს, როცა ტვირთის მიწოდება ხდება უშუალოდ მიმღებისათვის (და არა ნავსადგურში ან რკინიგზის სადგურში, როგორც ეს საზღვაო ან სარკინიგზო გადაზიდვების დროს ხდება ხოლმე.) ბუნებრივია, რომ, თუ გადამზიდველი ტვირთის გადატანის შესახებ არ აცნობებს მიმღებს, მას არც ტვირთის შენახვის ხარჯების ანაზღაურების უფლება არ ექნება იმ დროის მანძილზე, როცა ტვირთი გადატანილი იყო დანიშნულების ადგილზე, მიმღებმა კი ამის შესახებ არაფერი იცოდა.

ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანის შემდეგ მიმღები უფლებამოსილია გადამზიდველს მოსთხოვოს ზედნადების მეორე პირი, რომელშიც გაკეთებულია ტვირთის მიღების დამადასტურებელი აღნიშვნა. თუ აღმოჩნდება ტვირთის დანაკლისი ან თუ დარ-

ღვეულია ტვირთის მიტანის ვადა, მიმღებს ენიჭება უფლებამოსილება, რომ გადამზიდველის მიმართ საკუთარი სახელით გამოიყენოს ყველა ის უფლება, რომლებიც გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, მაგალითად, პრეტენზიის წაყენების, სარჩელის წარდგენის უფლებები და სხვა.

მუხლი 682. ხელშეკრულების შესრულების შეჩერება

1. თუ ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე ტვირთის მიღების წინ შეუძლებელია ხელშეკრულების შესრულება ზედნადებში აღნიშნული პირობებით, გადამზიდველმა უნდა მოითხოვოს 680-ე მუხლის მიხედვით უფლებამოსილი პირის განკარგულება ტვირთის შესახებ.

2. თუ გარემოებები იძლევიან ზედნადებში მითითებული პირობებისაგან განსხვავებულად გადაზიდვის შესაძლებლობას და გადამზიდველს არ შეეძლო უფლებამოსილი პირის ტვირთის შესახებ 680-ე მუხლით გათვალისწინებულ მითითებათა მიღება სათანადო ვადის განმავლობაში, მან უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც, უფლებამოსილი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას ისეთი სიტუაცია, როცა ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე, ანუ ე.წ. დანიშნულების ადგილზე ტვირთის მიღების წინ შეუძლებელია ხელშეკრულების შესრულება ზედნადებში აღნიშნული პირობებით. მაგალითად, ტვირთის მიმღებისათვის გადაცემა შეუძლებელია ამ სახის ტვირთზე მოცემულ ადგილზე გამოცხადებული კარანტინის ან დანიშნულების ადგილზე წარმოებული საომარი მოქმედებების გამო. ასეთ დროს გადამზიდველი პრობლემის წინაშეა, არ იცის როგორ მოიქცეს. სწორედ ამიტომ, კანონმდებელი გადამზიდველს

ასეთ დროს ავალდებულებს შეატყობინოს ხელშეკრულების ზედნადებში აღნიშნული პირობებით შესრულების შეუძლებლობის შესახებ ტვირთის განკარგვაზე უფლებამოსილ პირს და დაელოდოს მის განკარგულებას, მითითებებს ტვირთის ბედის განსაზღვრის შესახებ. ანალოგიური შინაარსის ნორმას შეიცავს საქართველოს საზღვაო კოდექსი, რომლის თანახმადაც, თუ გემს არ შეუძლია დანიშნულების ნავსადგურში შესვლა ხელისუფლების მიერ აკრძალვის, სტიქიური მოვლენებისა ან გადამზიდავებისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, გადამზიდავი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ტვირთის გამგზავნს (მუხ. 145).

სამოქალაქო კოდექსის 682-ე მუხლის მეორე ნაწილი არეგულირებს ისეთ ურთიერთობებს, როდესაც გადამზიდველს არ შეეძლო უფლებამოსილი პირის მითითებათა მიღება სათანადო ვადის განმავლობაში. სათანადო ვადის განმარტებას კანონმდებელი არ იძლევა. ამდენად, მითითებათა მიღების ვადა უნდა განისაზღვროს არსებული საკომუნიკაციო პირობებითა და საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით. სათანადოდ უნდა ჩაითვალოს დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც გადამზიდველს, ჩვეულებრივ, შეუძლია დაელოდოს ტვირთის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მითითებებს, ანუ, ე.წ. გონივრული ვადა. თუ გადამზიდველს არ შეეძლო უფლებამოსილი პირის მითითებათა მიღება სათანადო ვადის განმავლობაში და არსებობს გარემოებები, რომლებიც იძლევიან ზედნადებში მითითებული პირობებისაგან განსხვავებულად გადაზიდვის შესაძლებლობას, მან უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც უფლებამოსილი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე საუკეთესოდ იქნება მიჩნეული. საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს ისეთი ზომები, რომლებსაც განახორციელებდა თავად უფლებამოსილი პირი არსებული გარემოებების ცოდნის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ თუ ტვირთის გადატანა ხორციელდება საზღვაო ტრანსპორტით და გადასაზიდად განკუთვნილია მთელი გემი, რომელსაც არ შეუძლია დანიშნულების გავსადგურში შესვ-

ლა, გადამზიდავი გამგზავნისათვის შეტყობინების გაგზავნიდან გონივრულ ვადაში უნდა დაელოდოს მის განკარგულებას, რომლის მიუღებლობის შემთხვევაშიც გემის კაპიტანი იძენს უფლებამოსილებას იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ და მიიღოს ტვირთის გამგზავნისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილება უახლოეს ნავსადგურში გადმოტვირთვის შესახებ ან დააბრუნოს ტვირთი გაგზავნის ნავსადგურში. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილია გემის ნაწილი, კაპიტანი ვალდებულია სხვა ნავსადგურში გადმოტვირთოს ტვირთი მისი გამგზავნის განკარგულების შესაბამისად.

ამასთან, თუ გემის კაპიტანი შეტყობინების გაგზავნიდან სამი დღე-ღამის განმავლობაში ვერ მიიღებს ასეთ განკარგულებას, იგი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ გადმოტვირთოს ტვირთი უახლოეს ნავსადგურში და ამის შესახებ შეატყობინოს გამგზავნს. კანონმდებლის მიერ შეტყობინების მიღების ასეთი მოკლე ვადის დაწესება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში მითითებების დალოდებამ შესაძლოა გამოიწვიოს გემზე არსებული სხვა ტვირთისათვის ზიანის მიყენება. მაგალითად, გემის ერთი ნაწილით ხორციელდება ტექნიკური ინვენტარის გადაზიდვა, მეორე ნაწილით კი საკვები პროდუქტებისა. დანიშნულების ნავსადგურში შესვლა აკრძალულია ხელისუფლების მიერ განსაზღვრული ვადით და გემის კაპიტანმა ამის შესახებ შეატყობინა ორივე გამგზავნს. თუ სამი დღე-ღამის განმავლობაში იგი ვერ მიიღებს მითითებებს, იძენს უფლებამოსილებას გადმოტვირთოს ტვირთი უახლოეს ნავსადგურში, რადგან კვების პროდუქტების გადმოტვირთვის დაყოვნებამ შესაძლოა გამოიწვიოს მათი გაფუჭება. უფრო მეტიც, გემის კაპიტანი უფლებამოსილია ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს მაშინაც, როცა გამგზავნმა სხვაგვარი განკარგულება გასცა (მაგალითად, დაცდა იქამდე, ვიდრე მოიხსნება ხელისუფლების აკრძალვა ნავსადგურში შესვლაზე), მაგრამ მისმა შესრულებამ შეიძლება სხვა ტვირთის მფლობელს ზიანი

მიაყენოს. ნიშანდობლივია, რომ ტვირთის გამგზავნი ვალდებულია აუნაზღაუროს გადამზიდველს განკარგულების მოლოდინში გაწეული ხარჯი, ასევე ტვირთთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და ფრახტი ტვირთის გადაზიდვის ფაქტობრივი მანძილის პროპორციულად (საქართველოს საზღვაო კოდექსის 145-ე მუხლი).

მუხლი 693. ტვირთის გადაცემის ხელისშემშლელი გარემოებები

1. თუ დანიშნულების ადგილზე ტვირთის მისვლის შემდეგ წარმოიშობა ტვირთის გადაცემის ხელშემშლელი გარემოებები, გადამზიდველმა უნდა მოითხოვოს გამგზავნის მითითებები. თუ მიმღები უარს ამბობს ტვირთის მიღებაზე, გამგზავნი უფლებამოსილია თვითონ განკარგოს ტვირთი ზედნადების პირველი პირის წარმოდგენის გარეშეც.

2. მიმღებს შეუძლია ტვირთის გადაცემა მოითხოვოს მაშინაც კი, როცა მან ტვირთის მიღებაზე უარი თქვა, ვიდრე გადამზიდველს გამგზავნისაგან არ მიუღია საწინააღმდეგო მითითებები.

3. თუ წარმოიშვა ტვირთის გადაცემის ხელშემშლელი გარემოება მას შემდეგ, რაც მიმღებმა 680-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით გასცა მითითება მესამე პირისათვის ტვირთის გადაცემის შესახებ, მაშინ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების გამოყენებისას მიმღები იკავებს გამგზავნის ადგილს, მესამე პირი კი — მიმღების ადგილს.

გადამზიდველის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს ტვირთის გადატანა დანიშნულების ადგილზე. ამ ვალდებულების შესრულება გულისხმობს არა მხოლოდ მიწოდების ვადების დაცვას, არამედ გადასაზიდი ტვირთის დაუზიანებლად გადაზიდვას. ამასთან, თუ ტვირთი გადატანილია დანიშნულების ადგილზე (ე.ი. იმ ადგილზე, რომელიც ზედნადებში მითითებულია დანიშნულების

პუნქტად), მაგრამ წარმოიშვა მისი გადაცემის ხელშემშლელი გარემოებები, გადამზიდველმა უნდა მოითხოვოს გამგზავნის მითითებები. თუ ტვირთის გადაცემა არ ხორციელდება იმ მიზეზით, რომ მიმღები უარს ამბობს ტვირთის მიღებაზე, გამგზავნი თავად ხდება უფლებამოსილი განკარგოს ტვირთი ზედნადების პირველი პირის წარმოდგენის გარეშეც. მას შეუძლია გადამზიდველს განუსაზღვროს ახალი მიმღები, რომელსაც უნდა მიეწოდოს ტვირთი.

კანონმდებელი იცავს ტვირთის მიმღების ინტერესებს მაშინაც, როდესაც ის უარს იტყვის ტვირთის მიღებაზე, შემდეგ კი შეიცვლის მოსაზრებას და მოითხოვს ტვირთის მისთვის გადაცემას. ამ მუხლის მეორე ნაწილი მას ანიჭებს ასეთ შემთხვევაში ტვირთის მიღების უფლებამოსილებას, მაგრამ ერთი პირობით, – გადამზიდველს არ უნდა ჰქონდეს მიღებული გამგზავნისაგან საწინააღმდეგო მითითებები. მაგალითად, თუ გამგზავნმა მისცა მითითება გადამზიდველს ტვირთის სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ, ამის შემდეგ მიმღებს ტვირთის მასზე გადაცემის მოთხოვნა აღარ შეუძლია. მითითებათა დალოდების ვადას კანონმდებელი არც ამ შემთხვევაში არ განსაზღვრავს, ანუ მითითება მიღებულ უნდა იქნეს იმ ვადაში, ვიდრე გადამზიდველს, ჩვეულებრივ, შეუძლია დაელოდოს მას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მხოლოდ ერთი, გადამზიდველს არ უნდა ჰქონდეს გამგზავნისაგან საწინააღმდეგო მითითება მიღებული მიმღების მოთხოვნის მომენტში. კანონმდებლის ასეთი რეგლამენტაცია განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გადაზიდვა წარმოადგენს მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას და გამგზავნი თავად განსაზღვრავს სარგებლის მიმღებს – ანუ პირს, რომელსაც უნდა გადაეცეს ტვირთი დანიშნულების ადგილზე. ამასთან, იგი დაინტერესებულია ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულებით და, რომ სცოდნოდა მიმღების მიერ ტვირთის მიღებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ, აღარ გასცემდა ამის საწინააღმდეგო მითითებას.

თუ მიმღები, რომელმაც ტვირთის განკარგვის უფლება შეიძინა

ზედნადების გაფორმებისთანავე (ზედნადებში კი ამის შესახებ გაკეთებულია აღნიშვნა), გასცემს მითითებას ტვირთის მესამე პირისათვის გადაცემის შესახებ და ასეთი მითითების გაცემის შემდეგ წარმოიშვება გადაცემის ხელისშემშლელი გარემოებები, საკითხის სამართლებრივი რეგლამენტაციისას მიმღები დაიკავებს გამგზავნის ადგილს, მესამე პირი კი – მიმღების ადგილს.

მუხლი 684. გამგზავნის მითითებათა საფუძველზე წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურების უფლება

1. გადამზიდველს აქვს იმ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომლებიც მას წარმოეშობა მითითებების მიღების ან მათი შესრულების გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ხარჯები მისი ბრალით წარმოიშვა.

2. 682-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 683-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადამზიდველს შეუძლია ტვირთი სასწრაფოდ გადმოტვირთოს უფლებამოსილი პირის ხარჯზე; გადმოტვირთვის შემდეგ გადაზიდვა დასრულებულად ითვლება. ამის შემდეგ გადამზიდველმა ტვირთი უნდა შეინახოს უფლებამოსილი პირისათვის. მას შეუძლია ტვირთის შენახვა მიანდოს მესამე პირს; ასეთ შემთხვევაში მას პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ მესამე პირის შერჩევისათვის. ზედნადებიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნა და ხარჯი ანაზღაურდება ტვირთის ღირებულებიდან.

3. უფლებამოსილი პირის მითითების დალოდების გარეშე გადამზიდველს შეუძლია გაყიდოს ტვირთი, თუ საქონელი მალფუჭებადია, ან თუ ტვირთის მდგომარეობა ამართლებს ამგვარ მოქმედებას, ანდა როცა შენახვის ხარჯები აღემატება ტვირთის ღირებულებას. მას შეუძლია სხვა შემთხვევებშიც გაყიდოს ტვირთი, თუ განსაზღვრული დროის განმავლობაში იგი არ მიიღებს მითითებებს არც ერთი მხარისაგან.

4. თუ ტვირთი გაიყიდა ამ მუხლის წესების მიხედვით, მაშინ თანხა ტვირთთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით უნდა გადაეცეს უფლებამოსილ პირს. თუ ეს ხარჯები შემოსავალზე მეტია, გადამზიდველს შეუძლია მოითხოვოს სხვაობის ანაზღაურება.

5. გაყიდვის წესი განისაზღვრება იმ ადგილის კანონებითა და ჩვეულებებით, სადაც იმყოფება ტვირთი.

როგორც გადამზიდველის მიერ მითითებების მიღების და მათი შესრულების ურთიერთობის რეგლამენტაციაა სამართლებრივად მნიშვნელოვანი, ასევე მნიშვნელოვანია ამ დროს წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურების საკითხი. კანონმდებელი იცავს გადამზიდველის ინტერესებს, რომელსაც უფლებამოსილი პირის მითითებების მიღების ან მათი შესრულების გამო წარმოეშობა გარკვეული ხარჯები და ანიჭებს მათი ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, მაგრამ მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა ეს ხარჯები მისი ბრალით არ არის გამოწვეული.

თუ ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე ტვირთის მიღების წინ შეუძლებელია ხელშეკრულების შესრულება ზედნადებში აღნიშნული პირობებით ან, თუ დანიშნულების ადგილზე ტვირთის მისვლის შემდეგ წარმოიშობა ტვირთის გადაცემის ხელშემშლელი გარემოებები ან თუ კიდევ მიმღები უარს ამბობს ტვირთის მიღებაზე, – გადამზიდველს შეუძლია სასწრაფოდ გადმოტვირთოს ტვირთი უფლებამოსილი პირის ხარჯზე. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც განხორციელდება გადმოტვირთვა, გადაზიდვა დასრულებულად ითვლება. ამასთან, გადამზიდველს წარმოეშობა ვალდებულება შეინახოს ტვირთი უფლებამოსილი პირისათვის, ანუ მან უნდა განახორციელოს ყველა შესაძლო და მასზე დამოკიდებული ღონისძიება, რათა უზრუნველყოს ტვირთის დაცვა დაზიანებისა და დაკარგვისაგან. იგი უფლებამოსილია ტვირთის შენახვა მიანდოს მესამე პირს. ასეთ გადაწყვეტილებას გადამზიდველი, როგორც წესი,

იღებს ისეთ შემთხვევებში, როცა ტვირთის სათანადოდ შენახვა მას თავად არ შეუძლია. ტვირთის მესამე პირისათვის მიბარების შემთხვევაში გადამზიდველს პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ მესამე პირის შერჩევისათვის. მაგალითად, თუ გადამზიდველმა შემნახველად შეარჩია ისეთი პირი, რომელსაც არა აქვს სათანადო კვალიფიკაცია, სათანადო შესანახი სათავსოები და ა.შ. ზედნადებიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნა და ხარჯი ანაზღაურდება ტვირთის ღირებულებიდან.

პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას ისეთი სიტუაცია, როცა გადამზიდველს გადასაზიდად გადაცემული ჰქონდა მალფუჭებადი საქონელი, რომლის შენახვაც უფლებამოსილი პირის მითითების მიღებამდე, მისი განადგურების ტოლფასია, ან კიდევ ტვირთი დანიშნულების ადგილზე მიტანისას ისეთ მდგომარეობაშია, რომ ამ-ართლებს გაყიდვას (მაგალითად, დაზიანებულია ტვირთის შეფუთვა). შესაძლებელია, რომ ტვირთის შენახვის ხარჯები აღემატებოდეს მის ღირებულებას (მაგალითად, გადმოტვირთული ტვირთის დაზიანებისა და დაკარგვისაგან დასაცავად გადამზიდველმა გადაწყვიტა მისი მიბარება რკინიგზისპირა მიმღებ-გამანაწილებელ საწყობში, მაგრამ გაირკვა, რომ მიბარების საზღაური აღემატებოდა ტვირთის ღირებულებას). ასეთ შემთხვევაში კანონმდებელი ანიჭებს გადამზიდველს უფლებამოსილებას უფლებამოსილი პირის მითითების გარეშე გაყიდოს ტვირთი. მას შეუძლია ასე მოიქცეს მაშინაც, როცა განსაზღვრული დროის განმავლობაში არ მიიღებს მითითებებს არც გამგზავნისაგან და არც მიმღებისაგან.

თუ ტვირთი გადატანილია საზღვაო ტრანსპორტით, გადმოტვირთულია და ჩაბარებულია შესანახად, მაგრამ არ იქნა მოთხოვნილი ნავსადგურში გემის შესვლიდან ორი თვის განმავლობაში და გამგზავნი არ აუნაზღაურებს გადამზიდავს გადაზიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, გადამზიდავი უფლებამოსილია გაყიდოს ეს ტვირთი, და შეატყობინოს ამის შესახებ გამგზავნს. ნიშანდობლივია, რომ მალფუჭებადი მოუკითხარი ტვირთი შეიძლება გაიყ-

იდოს აღნიშნული ვადის გასვლამდე (საქართველოს საზღვაო კოდექსის 152-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ტვირთის კანონით დადგენილი წესით რეალიზაციის შემთხვევაში გადამზიდველი უფლებამოსილია ტვირთთან დაკავშირებული ხარჯები (მაგალითად, სასაქონლო საწყობში მიბარების საზღაური) აანაზღაუროს სყიდვის ფასიდან. ამასთან, თუ აღმოჩნდა, რომ ეს ხარჯები შემოსავალზე მეტია, გადამზიდველს შეუძლია უფლებამოსილ პირს მოსთხოვოს ამ სხვაობის ანაზღაურება.

რაც შეეხება ტვირთის გაყიდვის ფასს, იგი განისაზღვრება იმ ადგილის კანონებითა და ჩვეულებებით, სადაც იმყოფება ტვირთი.

მუხლი 685. გირავნობის უფლება ტვირთზე

გადამზიდველს გადაზიდვის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ხარჯების გამო აქვს ტვირთზე გირავნობის უფლება, ვიდრე იგი უფლებამოსილია განკარგოს ეს ნივთი.

სამოქალაქო კოდექსის 685-ე მუხლი წარმოადგენს კანონისმიერი გირავნობის ერთ-ერთ მაგალითს, როცა საკუთრება გამოიყენება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ ურთიერთობის მონაწილეებს შორის რაიმე შეთანხმება სავალდებულო არ არის.

გადაზიდვის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ხარჯების გამო კანონი გადამზიდველს ანიჭებს ტვირთზე გირავნობის უფლებას, მაგრამ ამ უფლების არსებობა დამოკიდებულია მის უფლებამოსილებაზე განკარგოს ნივთი. ამდენად, ტვირთის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება მას შეუძლია იქამდე, ვიდრე მისი განკარგვის სამართლებრივი საფუძველი აქვს. მაგალითად, დანიშნულების ადგილზე ტვირთის მიტანისას მიმღებმა უარი თქვა მის მიღებაზე. გადამზიდველმა ტვირთი მიაბარა სასაქონლო საწყობში. ამასთან, თუ მიბარების საზღაური მეტად მაღალია ან

განსაზღვრული დროის განმავლობაში იგი არ მიიღებს მითითებებს გამგზავნისაგან, გადამზიდველს წარმოეშობა უფლება უფლებამოსილი პირის მითითებების გარეშე გაყიდოს ტვირთი, ასევე გირავნობის უფლება გადაზიდვის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ხარჯების გამო. ამასთან, გირავნობის უფლების გაუქმებას, ისევე როგორც გაყიდვის უფლებისა, გამოიწვევს გამგზავნის ისეთი მითითება, როგორიცაა ტვირთის მიწოდება მესამე პირისათვის.

II. გადამზიდველის პასუხისმგებლობა

მუხლი 688. ცნება. შინაარსი

1. გადამზიდველი პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე – მიტანის ვადის გადაცილებისათვის.

2. გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის გადაცილება უფლებამოსილი პირის ბრალით ანდა ამავე პირის ისეთი მითითებით მოხდა, რომელზედაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს; აგრეთვე, თუ ტვირთის ნაკლი ისეთი გარემოებებითაა გამოწვეული, რომელთა თავიდან აცილებაც გადამზიდველს არ შეეძლო და არც მათი შედეგები შეიძლებოდა თავიდან აეცილებინა.

3. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მიზნით გადამზიდველს არ შეუძლია მიუთითოს არც გადაზიდვისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების ნაკლზე და არც ამ საშუალების გამქირავებლის ან დამქირავებლის მომსახურე პერსონალის ბრალზე.

4. გადამზიდველი 687-ე მუხლის მე-2-5 ნაწილებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ტვირთის დაკარგვა ან დაზიანება ქვემოთ დასახელე-

ბულ გარემოებებთან დაკავშირებული განსაკუთრებული საფრთხისაგან წარმოიშვა, კერძოდ, როცა:

ა. გამოიყენება ღია, გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალება, თუ მისი გამოყენება პირდაპირ იყო შეთანხმებული და ზედნადებში აღნიშნული;

ბ. ტვირთი არ არის შეფუთული ან უხარისხოდაა შეფუთული, რაც, ტვირთის ხასიათიდან გამომდინარე, დაკარგვის ან დაზიანების საფრთხეს ქმნის;

გ. ტვირთის დათვალიერება, დატვირთვა, დაწყობა ან გადმოტვირთვა ხდება გამგზავნის, მიმღების ან მათთვის მოქმედი მესამე პირის მიერ;

დ. ცალკეული ტვირთების თავისებურებათა გამო მოსალოდნელია მათი მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის ან დაზიანების, კერძოდ, დამტვრევის, დაჟანგვის, კოროზიის, გახმობის, დაღვრის, ნორმალური დანაკარგის ან მწერებისა და მღრღნელების ზემოქმედების საფრთხე;

ე. გადასაზიდი ტვირთი არასაკმარისადაა აღნიშნული ან დანომრილი;

ვ. გადასაყვანია ცხოველები.

გადაზიდვის ურთიერთობების სამართლებრივი რეგლამენტაციისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გადამზიდველის პასუხისმგებლობის მარეგულირებელ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ გადამზიდველის ვალდებულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ხასიათდება გარკვეული სპეციფიკით. უპირველეს ყოვლისა, იგი განეკუთვნება შეზღუდული პასუხისმგებლობის შემთხვევებს, რაც გულისხმობს ზოგადი წესის საფუძველზე ზიანის სრულად ანაზღაურების უფლების შეზღუდვას. ამასთან, შეზღუდვა შეიძლება გავრცელდეს მიუღებელ შემოსავალზე, გარკვეულ შემთხვევებ-

ში კი ფაქტობრივად დამდგარ ქონებრივ დანაკლისზეც. გარდა ამისა, ასეთი პასუხისმგებლობა უმეტესწილად ატარებს ცალმხრივ-ნორმატიულ ხასიათს, რადგან მისი განმსაზღვრელი ნორმების უმეტესობა იმპერატიული სახითაა ფორმულირებული.

სამოქალაქო კოდექსის 686-ე მუხლი ითვალისწინებს გადამზიდველის პასუხისმგებლობას ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის. ტვირთის **დაკარგვა** გულისხმობს მიმღებისათვის მისი გადაცემის შეუძლებლობას კანონით დადგენილ ვადებში (ტვირთი ითვლება დაკარგულად, თუ გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლიდან ოცდაათი დღის ვადაში იგი არ იქნება მიტანილი დანიშნულების ადგილზე, ან თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, – გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან სამოცი დღის შემდეგ). რაც შეეხება ტვირთის **ნაწილობრივ დაკარგვას,** ანუ, ე.წ. **დანაკლისს,** იგი გულისხმობს განსხვავებას გადასაზიდად მიღებული და მიმღებისათვის ჩაბარებული ტვირთის წონაში ან რაოდენობაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, გადამზიდველი პასუხს აგებს ასევე ტვირთის **დაზიანებისათვის**. იგი დაზიანებულად ითვლება, თუ დანიშნულების ადგილზე გადატანილი ტვირთის ხარისხი არ შეესაბამება მის პირველად ხარისხს, რაც მითითებულია სატრანსპორტო დოკუმენტაციაში. ამდენად, გადამზიდველი პასუხისმგებელია მისთვის გადასაზიდად გადაცემული ტვირთის შენარჩუნებისათვის (ანუ პასუხს აგებს მისი დაკარგვის, დანაკლისისა და დაზიანებისათვის) ტვირთის მიღების მომენტიდან მიმღებისათვის დანიშნულების ადგილზე ჩაბარებამდე.

გადამზიდველი პასუხს აგებს **ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებისთვისაც,** ანუ ისეთ შემთხვევებში, როცა ტვირთი არ არის მიტანილი შეთანხმებულ ვადაში, ან, თუ ვადა არ იყო დათქმული, – გადასაზიდად საჭირო ჩვეულებრივ დროში.

გადაზიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან უნდა განვასხვაოთ ტვირთის ტრანსპორტირებისას დამდგარი ზიანის რისკის წინასწარ

განსაზღვრული განაწილების შემთხვევები. ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება საზღვაო გადაზიდვის დროს ე.წ. ავარია. ავარიის ქვეშ საზღვაო სამართალში იგულისხმება ზიანი, რომელიც გამოწვეულია გადაზიდვის პროცესში ამა თუ იმ გარემოების დადგომით. ზიანის გამომწვევი მიზეზების მიხედვით განასხვავებენ საერთო და კერძო ავარიას.

საერთო ავარიის თავისებურება ისაა, რომ ამ დროს ზიანის მიყენება ხდება განზრახი და შეგნებული ქმედებებით გადაზიდვის ყველა მონაწილის ინტერესებში. ასეთ ზიანს განეკუთვნება: ა. ბორტს იქით ტვირთის ან გემის მოწყობილობათა გადაგდებით მიყენებული ზიანი, ასევე საერთო სამაშველო ღონისძიებათა ჩატარებისას გემის ან ტვირთის დაზიანებისგან მიყენებული ზიანი, რომელიც გამოწვეულია ტვირთის გადასაგდებად გაღებული ლიუკებიდან ან ამ მიზნით გაკეთებული ხვრელებიდან ტრიუმში წყლის შეღწევის შედეგად; ბ. გემის მეჩეჩზე დაჯდომისას ტვირთის, საწვავის ან სხვა მარაგის ლიხტერებში გადატვირთვის, მათი გემზე უკან გადმოტვირთვის და ლიხტერების დაქირავების საგანგებო ხერხები და ა.შ. ამასთან, ზიანი რომ ჩაითვალოს საერთო ავარიად, აუცილებელია ის გამოწვეული იყოს საერთო საფრთხეში მყოფი გემის, ფრახტისა და გადასაზიდი ტვირთის გადარჩენის მიზნით განზრახ და შეგნებულად საგანგებო ხარჯების გაღების ან შეწირვის შედეგად (საქართველოს საზღვაო კოდექსის 271-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ არ არსებობს ამ პირობებიდან ერთი მაინც, ავარია ითვლება კერძოდ. მაგალითად, თუ გადაზიდვისას განადგურებული იქნა დაავადებული ცხოველები, ეს იქნება კერძო ავარია, რადგან საფრთხე ემუქრებოდა მხოლოდ ტვირთს და არა მთელს გემს.

საერთო და კერძო ავარიის სამართლებრივი შედეგები სხვადასხვაა. კერძო ავარიის დროს ზიანი უნდა აანაზღაუროს მან, ვინც დაზიანდა (გემის მფლობელმა, გადამზიდავმა ან ტვირთის მფლობელმა), ან მან, ვინც პასუხს აგებს ზიანის მიყენებისათვის. რაც შეეხება საერთო ავარიას, ასეთი ზიანი ნაწილდება გემს,

ფრახტსა და ტვირთს შორის მათი ღირებულების, ამ რეისის დამთავარების ადგილისა და დროის მიხედვით.

ანგარიში, რომელიც დგება საერთო ავარიით გამოწვეული ზიანის განაწილებლად არის **დისპაში**. საერთო ავარიას ადგენს და მის განაწილებას დაინტერესებულ პირთა განცხადების საფუძველზე ანგარიშობს **დისპაშორი**.

როგორც სამოქალაქო კოდექსის 686-ე მუხლის კომენტარის დასაწყისში აღინიშნა, დადგენილია გადამზიდველის პასუხისმგებლობა ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე — მიტანის ვადის გადაცილებისათვის. ამასთან, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს იმ გარემოებებსაც, რომელთა არსებობის დროსაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან ვადის გადაცილებისათვის. გადამზიდველი პასუხს არ აგებს, თუ ტვირთის დაკარგვა ან დაზიანება ან მიტანის ვადის გადაცილება გამოწვეული იყო: უფლებამოსილი პირის (გამგზავნის ან მიმღების) ბრალით; უფლებამოსილი პირის ისეთი მითითებით, რაზედაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს; აგრეთვე, თუ ტვირთის ნაკლი ისეთი გარემოებითაა გამოწვეული, რომელთა თავიდან აცილება გადამზიდველს არ შეეძლო და არც მათი შედეგები შეიძლებოდა თავიდან აეცილებინა.

მაგალითი:

საკვები პროდუქტები გადატანილი იქნა ავტოსატრანსპორტო საშუალებით თბილისიდან ქ. ქუთაისში, მაგრამ მიმღებმა უარი განაცხადა ტვირთის მიღებაზე. გადამზიდველმა დაუყოვნებლივ შეატყობინა ამის შესახებ გამგზავნს, რომელმაც გასცა მითითება მესამე პირისათვის ტვირთის გადაცემის შესახებ და დანიშნულების ადგილად განსაზღვრა ქ. ბათუმი, თუმცა იცოდა, რომ ტვირთი მალფუჭებადი იყო და ხანგრძლივ ტრანსპორტირებას შესაძლოა მოჰყოლოდა მისი დაზიანება. თუ ტვირთი დანიშნულების ადგილზე

გადატანისას აღმოჩნდება დაზიანებული, გადამზიდველი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება.

გადამზიდველი პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდება, თუ ტვირთის დაკარგვა, ან მიტანის ვადის გადაცილება გამოწვეული იყო გადაზიდვისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების ნაკლით ან ამ საშუალების გამქირავებლის ან კიდევ დამქირავებლის მომსახურე პერსონალის ბრალით. ამიტომ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მიზნით, გადამზიდველს არ შეუძლია მიუთითოს ასეთ გარემოებებზე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ გადამზიდველის ერთ-ერთ მოვალეობას წარმოადგენს ტვირთის გადატანისათვის გამოიყენოს გადასაზიდად ვარგისი გამართული სატრანპოსრტო საშუალება. გადასაზიდი საშუალების გამართულობა და ვარგისიანობა უნდა იყოს ტექნიკურ-კომერციული და უნდა უზრუნველყოფდეს ტვირთის ტრანსპორტირებას დაკარგვისა და დაზიანების გარეშე. მაგალითად, საზღვაო გადაზიდვების დროს გადამზიდავი ვალდებულია წინასწარ, რეისის დაწყებამდე, გემი მოიყვანოს სანაოსნო მდგომარეობაში; უზრუნველყოს მისი ტექნიკური მზადყოფნა ზღვაოსნობისათვის; სათანადოდ აღჭურვოს და მოამარაგოს; დააკომპლექტოს ეკიპაჟით, მოაწესრიგოს ტრიუმები და ყველა სხვა სათავსო, რომლითაც ხდება ტვირთის გადაზიდვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტვირთის სათანადოდ მიღება, გადაზიდვა და შენახვა (საქართველოს საზღვაო კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილი.)

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, კანონი ითვალისწინებს სხვა გარემოებებსაც, რომელთა არსებობის დროს გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან (687-ე მუხლის მე-2-5 ნაწილებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას), თუ ტვირთის დაკარგვა ან დაზიანება განსაკუთრებული საფრთხიდან წარმოიშვა, კერძოდ, როცა:

ა. გამოიყენება ღია, გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალება, თუ მისი გამოყენება პირდაპირ იყო შეთანხმებული და ზედნადებ-

ში აღნიშნული (მაგალითად, ღია სარკინიგზო ვაგონით ხდება ქვანახშირის გადატანა ქ. ტყიბულიდან ქ. თბილისში).

ბ. ტვირთი არ არის შეფუთული ან უხარისხოდაა შეფუთული, რაც ტვირთის ხასიათიდან გამომდინარე, დაკარგვის ან დაზიანების საფრთხეს ქმნის.

გ. ტვირთის დათვალიერება, დატვირთვა, დაწყობა ან გადმოტვირთვა ხდება გამგზავნის, მიმღების ან მათთვის მოქმედი მესამე პირის მიერ.

დ. ცალკეული ტვირთების თავისებურებათა გამო მოსალოდნელია მათი მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის ან დაზიანების, კერძოდ, დამტვრევის, დაჟანგვის, კოროზიის, გახმობის, დაღვრის, ნორმალური დანაკარგის ან მწერებისა და მღრღნელების ზემოქმედების საფრთხე. (მაგალითად, თხევადი საწვავისა და საპოხი მასალის სპეციალური ცისტერნებით სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვისას ადგილი აქვს ტვირთის ნორმალურ დანაკარგს — აორთქლებას, რაც განპირობებულია ბუნებრივი პირობებით);

ე. გადასაზიდი ტვირთი არასაკმარისადაა აღნიშნული ან დანომრილი;

ვ. გადასაყვანია ცხოველები.

ჩამოთვლილი გარემოებანი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს წარმოადენს იმდენად, რამდენადაც ასეთ პირობებში განხორციელებული გადაზიდვა ყოველთვის დაკავშირებულია განსაკუთრებულ საფრთხესთან.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სახის ტრანსპორტის საკანონმდებლო აქტები, თავის მხრივ, ითვალისწინებს გადამზიდველის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების პირობების ჩამონათვალს. მაგალითად, საზღვაო გადაზიდვების დროს გადამზიდავი პასუხს აგებს გემზე მიღებული ტვირთის დაკარგვის, დანაკლისისა ან დაზიანებისათვის, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ დაკარგვა, დანაკლისი ან დაზიანება გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, კერძოდ: დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად; ხიფათის შექმ-

ნითა და შემთხვევითობით ზღვებსა და სხვა სანაოსნო წყლებში; ადამიანის სიცოცხლის, გემისა და ტვირთის გადარჩენით ან გადარჩენის მცდელობით და ა.შ. (საქართველოს საზღვაო კოდექსის 156-ე მუხლი). ამასთან, გადამზიდავი პასუხს არ აგებს დანიშნულების ნავსადგურში ჩატანილი ტვირთის დანაკლისისათვის, თუ: გემის სათავსოები, ლიხტერები, კონტეინერები გამართულია, ხოლო ტვირთის გამგზავნის მიერ დადებული პლომბები დაუზიანებელია; ტარა მთელია, წესიერ მდგომარეობაშია და არ არსებობს გზაში მისი გახსნის ნაკვალევი; ტვირთს აცილებს გამგზავნის ან მიმღების წარმომადგენელი და ტვირთის მიმღები ვერ დაამტკიცებს, რომ ტვირთის დანაკლისი გამოწვეულია გადამზიდავის მიზეზით (საქართველოს საზღვაო კოდექსის 158-ე მუხლი).

მუხლი 687. მტკიცების ტვირთი

1. იმის მტკიცება, რომ ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის დარღვევა გამოიწვია 686-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულმა გარემოებებმა, ეკისრება გადამზიდველს.

2. თუ გადამზიდველი დაამტკიცებს, რომ, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დანაკარგი ან დაზიანება შეიძლებოდა წარმოქმნილიყო 686-ე მუხლის მე-4 ნაწილში დასახელებული ერთი ან რამდენიმე საფრთხისაგან, ივარაუდება, რომ ზიანი აქედან წარმოიშვა. უფლებამოსილ პირს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ზიანი არ არის ამ საფრთხისაგან ან მხოლოდ ამ საფრთხისაგან წარმოშობილი.

3. ამ მუხლის მეორე ნაწილში მოცემული პრეზუმფცია არ მოქმედებს 686-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადასაზიდი ტვირთის ექსტრემალურ პირობებში დაკარგვის ან დაღუპვისას.

4. თუ გადაზიდვა ხდება ისეთი სატრანსპორტო საშუალებით,

რომელსაც აქვს სპეციალური აღჭურვილობა ტვირთის დასაცავად სიცხის, სიცივის, ტემპერატურის ცვლილებების ან ქარისაგან, გადამზიდველს შეუძლია 686-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მიუთითოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ მან შეასრულა აუცილებელი მოქმედებანი ამ მოწყობილობათა შერჩევის, ექსპლუატაციისა და გამოყენებისათვის და დაიცვა მისთვის წაყენებული ყველა მოთხოვნა.

5. გადამზიდველს შეუძლია 686-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ" ქვეპუნქტი გამოიყენოს მხოლოდ მაშინ, თუ დაამტკიცებს, რომ მან შეასრულა მასზე დაკისრებული ყველა ღონისძიება და დაიცვა მისთვის მიცემული ყველა მითითება.

გადამზიდველის პასუხისმგებლობის საერთო პირობას წარმოადგენს მისი ბრალი. ის პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებისათვის, თუ არ დაამტკიცებს, რომ აღნიშნული გამოწვეულია უფლებამოსილი პირის (გამგზავნი, მიმღები) ბრალით ანდა ამავე პირის ისეთი მითითებით, რომელზედაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს. აგრეთვე, თუ ტვირთის ნაკლი ისეთი გარემოებითაა გამოწვეული, რომელთა თავიდან აცილებაც გადამზიდველს არ შეეძლო და არც მათი შედეგები შეიძლებოდა თავიდან აეცილებინა. ამგვარად, თავად გადამზიდველმა უნდა დაამტკიცოს მისი ბრალის არარსებობა ერთ-ერთ ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებაზე მითითებით, რათა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. გამონაკლისია საქართველოს საზღვაო კოდექსის 157-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, ტვირთის დაკარგვის, დანაკლისის, დაზიანების ან გაფუჭების გარდა, კაბოტაჟით გადასაზიდი ტვირთისა, გადამზიდავი პასუხს არ აგებს, თუ დაამტკიცებს, რომ ეს მოხდა გემის ნაოსნობის ან მართვის პერიოდში კაპიტნის, გემის ეკიპაჟის სხვა წევრებისა ან ლოცმანის დაუდევ-

რობისა თუ სხვა მოქმედების შედეგად. ის პასუხს აგებს ტვირთის დაკარგვის, დანაკლისის, დაზიანების ან გაფუჭებისათვის, რაც გამოიწვია ჩამოთვლილი პირების მოქმედებამ ან დაუდევრობამ დატვირთვის, განლაგების, გადაზიდვის, გადმოცლის ან ტვირთის ჩაბარების დროს. ამდენად, მას ასეთ დროს დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ დაკარგვა, დანაკლისი ან დაზიანება გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

მაგალითი:

გემი ხორბლით იტვირთებოდა ბათუმის საზღვაო ნავსადგურში. დატვირთვას ხელმძღვანელობდა კაპიტნის უფროსი თანაშემწე. ტრიუმში მოხდა არათანაბარ წილად ხორბლის განთავსება, რამაც გამოიწვია ტრიუმის ტიხრის დაზიანება. აღნიშნულმა განაპირობა გემის გადახრა, რამაც გემის ჩაძირვის საფრთხე შექმნა და გამოიწვია ხორბლის ნაწილის ზღვაში გადაყრა.

თუ გადამზიდველი დაამტკიცებს, რომ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დანაკარგი ან დაზიანება შეიძლებოდა წარმოქმნილიყო სამოქალაქო კოდექსის 686-ე მუხლის მე-4 ნაწილში დასახელებული ერთი ან რამდენიმე საფრთხისაგან, ივარაუდება, რომ ზიანი აქედან წარმოიშვა.

მაგალით:

ქ. ნოვოროსიისკის ნავსადგურიდან ბათუმის ნავსადგურში გადმოტვირთული იქნა 200 ტონა კარაქი, რომელიც უხარისხოდ იყო შეფუთული. ბათუმის ნავსადგურში ტვირთის მიმღებისათვის გადაცემისას აღმოჩნდა, რომ ტვირთი დაზიანებული (ნაწილობრივ გამდნარი) იყო. იმის გათვალისწინებით, რომ ტვირთის ხასიათიდან გამომდინარე, მისი უხარისხო შეფუთვით გადაზიდვა თავიდანვე დაკავშირებული იყო განსაკუთრებულ საფრთხესთან, გადამზიდველი ტვირთის დაზიანებისათვის პასუხს არ აგებს.

აღსანიშნავია, რომ უფლებამოსილ პირს (გამგზავნს, მიმღებს), თავის მხრივ, შეუძლია დაამტკიცოს, რომ ზიანი არ არის 686-ე მუხლის მე-4 ნაწილში დასახელებული ერთი ან რამდენიმე საფრთხისაგან, ან მხოლოდ ამ საფრთხისაგან წარმოშობილი.

ვარაუდი იმისა, რომ ტვირთის დანაკარგი ან დაზიანება (რა თქმა უნდა, თუ გადამზიდველი შეძლებს ამის დამტკიცებას) წარმოქმნილია განსაკუთრებული საფრთხისაგან, არ მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როცა გადასაზიდად გამოყენებულ იქნა ღია, გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალება, თუ მისი გამოყენება პირდაპირ იყო შეთანხმებული და ზედნადებში აღნიშნული, და, თუ ტვირთი დაიკარგა ან დაიღუპა ექსტრემალურ პირობებში. მაგალითად, ტვირთის გადატანა ხორციელდებოდა გადაუხურავი ბორნით, მაგრამ მისი დაკარგვა ან დაზიანება გამოწვეულია ბორანზე გაჩენილი ხანძრით. ასეთ დროს გადამზიდავი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანი გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, კერძოდ, ხანძარში მას ბრალი არ მიუძღვის (საქართველოს საზღვაო კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

კანონმდებელი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს გადამზიდველს იმ შემთხვევებისათვის, როცა გადაზიდვა ხდება ისეთი სატრანსპორტო საშუალებით, რომელსაც აქვს სპეციალური აღჭურვილობა ტვირთის დასაცავად სიცხის, სიცივის, ტემპერატურის ცვლილებების ან ქარისაგან.

ასეთ დროს გადამზიდველს შეუძლია მიუთითოს განსაკუთრებულ საფრთხესთან დაკავშირებულ გარემოებებზე (ღია, გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალების გამოყენება, ტვირთის შეუფუთაობა ან უხარისხო შეფუთვა და სხვა) მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ ის დაამტკიცებს, რომ მან შეასრულა აუცილებელი მოქმედებანი ამ მოწყობილობათა შერჩევის, ექსპლუატაციისა და გამოყენებისათვის და დაიცვა მისთვის წაყენებული ყველა მოთხოვნა. (მაგალითად, გადატანილი კარაქის გალღობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მისი

უხარისხო შეფუთვის შედეგად, როცა გადასაზიდად გამოყენებულ იქნა გემი, რომელზეც სპეციალურად იყო დამონტაჟებული შესაბამისი მაცივრები ტვირთის სიცხისაგან დასაცავად).

თუ გადასაზიდია ტვირთი, რომლის თავისებურებათა გამო მოსალოდნელია მისი მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვა ან დაზიანება, კერძოდ, დამტვრევა, დაჟანგვა, კოროზია, გახმობა, ნორმალური დანაკარგი ან არსებობს მწერებისა და მღრღნელების ზემოქმედების საფრთხე და გადაზიდვისას ადგილი ექნება მის დაკარგვას ან დაზიანებას, გადამზიდველი შეიძლება პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ მან შეასრულა მასზე დაკისრებული ყველა ღონისძიება და დაიცვა მისთვის მიცემული ყველა მითითება.

მუხლი 688. ტვირთის მიტანის ვადის გადაცილება

ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებად ითვლება, როცა ტვირთი არ არის მიტანილი შეთანხმებულ ვადაში, ან თუ ვადა არ იყო დათქმული, გადასაზიდად საჭირო ჩვეულებრივ დროში იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია ნაწილ-ნაწილ დატვირთვისას ამ ნაწილების შესაკრებად აუცილებელი დროის განსაზღვრასთან, თუ დარღვეულია ვადა, რომელიც წინდახედულ გადამზიდველს უნდა დაეცვა ჩვეულებრივ შემთხვევაში.

გადამზიდველი პასუხს აგებს ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებისათვის, ანუ ისეთ შემთხვევებში, როცა ტვირთი არ არის მიტანილი შეთანხმებულ ვადაში (ზედნადებში აღნიშნულ ვადაში, რომელშიც უნდა დასრულდეს გადაზიდვა) ან თუ ვადა არ იყო დათქმული, – გადასაზიდად საჭირო ჩვეულებრივ დროში. ნიშანდობლივია, რომ ასეთ დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია ნაწილ-ნაწილ დატვირთვისას ამ ნაწილების შესაკრებად აუცილებელი დროის განსაზღვრასთან

(ანუ აუცილებელია შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების დატვირთვისათვის საჭირო დროის მონაკვეთის დადგენა, როცა დატვირთვა ხორციელდებოდა ნაწილ-ნაწილ). ამასთან, ვადა უნდა ჩაითვალოს გადაცილებულად, თუ დარღვეულია ვადა, რომელიც წინდახედულ გადამზიდველს უნდა დაეცვა ჩვეულებრივ შემთხვევაში. ის, თუ რა ითვლება ჩვეულებრივ შემთხვევებში საჭირო ნორმალურ ვადად, უნდა დადგინდეს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გადაზიდვის ყველა გარემოების (სატრანსპორტო საშუალების სახე, რეისი და ა.შ.) გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ საზღვაო გადაზიდვების დროს, დროის იმ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს გემის დატვირთვა ან გადმოტვირთვა, ეწოდება **სტალიური დრო** და განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, ასეთი შეთანხმების უქონლობისას კი — დატვირთვისა და გადმოტვირთვის ნავსადგურებში მიღებული ნორმებით.

მუხლი 619. ტვირთის დაკარგვის პრეზუმფცია

1. უფლებამოსილ პირს შეუძლია დამატებით მტკიცებულებათა წარმოდგენის გარეშეც ტვირთი ჩათვალოს დაკარგულად, თუ ტვირთი გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლიდან ოცდაათი დღის ვადაში არ იქნება მიტანილი დანიშნულების ადგილზე ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, — გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან სამოცი დღის შემდეგ.

2. უფლებამოსილ პირს შეუძლია დაკარგული ტვირთის გამო ზიანის ანაზღაურებისას წერილობით მოითხოვოს, რომ მას დაუყოვნებლივ შეატყობინონ, თუ ზიანის ანაზღაურებიდან ერთი წლის განმავლობაში გამოჩნდება დაკარგული ტვირთი. ამ მოთხოვნაზე პასუხი ასევე წერილობით უნდა გაიცეს.

3. უფლებამოსილ პირს შეუძლია ამგვარი შეტყობინების მიღე-

ბიდან ოცდაათი დღის ვადაში მოითხოვოს, რომ ტვირთი ჩაბარდეს მას ზედნადებიდან გამომდინარე უფლებების დაკმაყოფილების შემდეგ და მიღებული ანაზღაურების უკან დაბრუნების პირობით, საჭიროებისას – ზიანის ანაზღაურებისას წარმოშობილი ხარჯების გამოკლებით; მისი მოთხოვნები გადაზიდვის ვადის დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურებაზე 692-ე და 694-ე მუხლების მიხედვით უცვლელი რჩება.

4. თუ ამ მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებული მოთხოვნა წარდგენილი არ იქნება, ან არ არის მითითება მესამე ნაწილში გათვალისწინებული ოცდაათდღიანი ვადის გამო, ანდა ტვირთი ნაპოვნი იქნება გადახდიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, მაშინ გადამზიდველს შეუძლია ტვირთი განკარგოს იმ ადგილას მოქმედი წესების მიხედვით, სადაც ტვირთი იმყოფება.

ტვირთის მიტანის ვადის გადაცილება ზოგჯერ ტვირთის დაკარგულად მიჩნევის საფუძველს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის 689-ე მუხლი განსაზღვრავს ტვირთის დაკარგვის პრეზუმფციას და ვადებს, რომელთა გასვლის შემდეგაც ტვირთი ჩაითვლება დაკარგულად. აღნიშნული პრეზუმფციის დადგენა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან იგი უფლებამოსილ პირს საშუალებას აძლევს მოითხოვოს დაკარგული ტვირთის გამო ზიანის ანაზღაურება (ხომ არ შეიძლება პირი უსასრულოდ ელოდოს გადაზიდვის დასრულებას და ტვირთის მისთვის გადაცემას). თუ ტვირთის მიტანის შეთანხმებული ვადის გასვლიდან ოცდაათი დღის ვადაში, ან თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული – გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან სამოცი დღის შემდეგ არ იქნება მიტანილი დანიშნულების ადგილზე, უფლებამოსილ პირს შეუძლია ტვირთი ჩათვალოს დაკარგულად ისე, რომ მას არ მოეთხოვება ტვირთის დაკარგვის თაობაზე რაიმე დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენა.

მიტანის ვადის გასვლის გამო ტვირთის დაკარგულად მიჩნევის

შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი, მაგრამ ზიანის ანაზღაურებისას მას შეუძლია წერილობით მოითხოვოს, რომ მას დაუყოვნებლივ შეატყობინონ დაკარგული ტვირთის გამოჩენის შესახებ, თუ ტვირთი გამოჩნდება ზიანის ანაზღაურებიდან ერთი წლის განმავლობაში. ამ მოთხოვნაზე პასუხი ასევე წერილობით უნდა გაიცეს. ამდენად, კანონმდებელი პირდაპირ განსაზღვრავს დაკარგული ტვირთის გამო მოთხოვნის და მასზე პასუხის გაცემის ფორმას. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მათ (მოთხოვნას და პასუხს) გარკვეული მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვთ ტვირთის გამოჩენის შემთხვევაში.

თუ ტვირთი გამოჩნდება, ტვირთის გამოჩენის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ოცდაათი დღის ვადაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს ტვირთის მისთვის ჩაბარება, მაგრამ უკან უნდა დააბრუნოს მიღებული ანაზაურება, საჭიროებისას ზიანის ანაზღაურებისას წარმოშობილი ხარჯების გამოკლებით. დაკარგულად მიჩნეული ტვირთის უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარების შემთხვევაში გადაზიდვის ვადის დარღვევის გამო, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება უცვლელი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ დაკარგულად მიჩნეული ტვირთი ჩაბარდა უფლებამოსილ პირს, ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

თუ უფლებამოსილი პირი წერილობით არ მოითხოვს დაკარგულად მიჩნეული ტვირთის გამოჩენის შესახებ შეტყობინებას, ან შეტყობინებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში ტვირთის მისთვის ჩაბარებას, ან თუ ტვირთი ნაპოვნი იქნება ზიანის ანაზღაურებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, მაშინ გადამზიდველი უფლებამოსილია ტვირთი განკარგოს იმ ადგილას მოქმედი წესების მიხედვით, სადაც ტვირთი იმყოფება.

მუხლი 690. დანამატის მიღების მოთხოვნის უფლება

თუ მიმღებს ტვირთი ჩაბარდა იმ დანამატის გადაუხდელად, რომელიც გადამზიდველს უნდა მიეღო დანიშნულების ადგილზე ტვირთის მიტანის შემდეგ, მაშინ გადამზიდველს შეუძლია, რეგრესულ უფლებაზე მითითებით, გამგზავნს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება.

სამოქალაქო კოდექსის 690-ე მუხლი ადგენს გადამზიდველის მოთხოვნის უფლებას დანამატის მიღებაზე. კერძოდ, მხარეებმა ზედნადებში შეიძლება გაითვალისწინონ, რომ გადამზიდველი ტვირთის დანიშნულების ადგილზე გადატანის შემდეგ მიმღებისაგან მიიღებს გარკვეულ დანამატს. ამასთან, თუ ტვირთი მიმღებს ჩაბარდა დანამატის გადაუხდელად, მაშინ გადამზიდველს შეუძლია აღნიშნული დანამატი მოითხოვოს გამგზავნისაგან და მიუთითოს მისი რეგრესული უფლება მიმღებისაგან ზიანის ანაზღაურებაზე. მაგალითად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ გადამზიდველი ვადაზე ადრე მიიტანს ტვირთს დანიშნულების ადგილზე, მიმღები მას გადაუხდის გარკვეულ დანამატს. თუ მიმღები უარს განაცხადებს დანამატის გადახდაზე, გადამზიდველი უფლებასმოსილი იქნება მოითხოვოს იგი გამგზავნისაგან.

მუხლი 691. საფრთხეშემცველი ტვირთის გაგზავნის წესი

1. თუ გამგზავნი გზავნის საფრთხეშემცველ ტვირთს, მაშინ იგი ვალდებულია გადამზიდველს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია და გააფრთხილოს ამ ტვირთის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში კი დააზღვიოს ეს ტვირთი. თუ ეს ვალდებულება არ არის შეტანილი ზედნადებში, მაშინ გამგზავნსა და მიმღებს ევალებათ სხვა საშუალებებით დაამტკიცონ, რომ გადამზიდველმა ზუსტად იცოდა ტვირთის სახეობა და მოსალოდნელი საფრთხე.

2. საფრთხეშემცველი ტვირთი, რომლის საფრთხის შესახებაც

პირველი ნაწილის მიხედვით გადამზიდველმა არაფერი იცოდა, გადამზიდველს შეუძლია ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას გადმოცალოს, მოსპოს ან გააუვნებელყოს იგი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გარეშე; გამგზავნი ასევე აგებს პასუხს ამ ტვირთის გადასაზიდად გადაცემით ან გადაზიდვებით გამოწვეული ზიანისა და ხარჯებისათვის.

თუ სატრანსპორტო საშუალებით უნდა განხორციელდეს საფრთხეშემცველი (ადვილად აალებადი, ფეთქებადი და ა.შ.) ტვირთის გადაზიდვა, გამგზავნს ეკისრება ვალდებულება გადამზიდველს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია და გააფრთხილოს ამ ტვირთის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში კი – დააზღვიოს ეს ტვირთი. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ასეთი სახის ტვირთის ტრანსპორტირება განსაკუთრებულ სიფრთხილეს და სათანადო ზომების მიღებას მოითხოვს გადამზიდველისაგან, რისი განხორციელებაც მას მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა იცის გადასაზიდი ტვირთის სახე და თავისებურებანი. ამასთან, თუ ეს ვალდებულება არ არის შეტანილი ზედნადებში, მაშინ გამგზავნსა და მიმღებს ევალებათ სხვა საშუალებებით (მაგალითად, მოწმეთა ჩვენებით) დაამტკიცონ, რომ გადამზიდველმა ზუსტად იცოდა ტვირთის სახეობა და მოსალოდნელი საფრთხე.

თუ გადამზიდველმა გადასაზიდად მიიღო საფრთხეშემცველი ტვირთი, რომლის საფრთხის შესახებაც მან არაფერი იცოდა, მას შეუძლია ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას გადმოცალოს, მოსპოს ან გააუვნებელყოს იგი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გარეშე, ანუ ტვირთის განადგურებისათვის გადამზიდველი გამგზავნის წინაშე პასუხს არ აგებს. რაც შეეხება საფრთხეშემცველი ტვირთის გადასაზიდად გადაცემის ან გადაზიდვებით გამოწვეულ ზიანსა და ხარჯებს, ისინი უნდა აანაზღაუროს გამგზავნმა.

საქართველოს საზღვაო კოდექსის 136-ე მუხლის მე-2 ნაწი-

ლის თანახმად, ტვირთის გამგზავნი პასუხს აგებს ყველა ზიანისათვის, რომელიც მან მიაყენა გადამზიდავს ან მესამე პირს ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ტვირთის გადაზიდვით. ასეთ შემთხვევაში ფრახტის უკან დაბრუნება არ ხდება, ხოლო თუ ტვირთის გაგზავნისას ფრახტი გადახდილი არ არის, გადამზიდავს უფლება აქვს მთლიანად გადაახდევინოს იგი.

მუხლი 692. ტვირთის ღირებულება ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისას

1. თუ ამ თავის წესების თანახმად გადამზიდველი ვალდებულია ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისათვის აანაზღაუროს ზიანი, მაშინ ზიანის ანაზღაურება გამოითვლება ტვირთის გადაცემის ადგილსა და დროს მოქმედი ტვირთის ფასის მიხედვით.

2. ტვირთის ღირებულება განისაზღვრება საბირჟო ფასით, ხოლო ასეთი ფასის არარსებობისას — საბაზრო ფასით; თუკი არც ასეთი ფასი არსებობს, მაშინ — მსგავსი სახეობისა და ღირებულების ტვირთების ანალოგიურად.

3. გადაზიდვის თანხა, საბაჟო და სხვა მსგავსი ხარჯები უკან უნდა დაბრუნდეს, ოღონდ ტვირთის მთლიანად დაკარგვისას — მთლიანად, ხოლო ნაწილობრივ დაკარგვისას — ნაწილობრივ.

4. თუ გადაცილებულია ტვირთის მიტანის ვადა და უფლებამოსილი პირი დაამტკიცებს, რომ ამის გამო წარმოიშვა ზიანი, გადამზიდველმა უნდა აანაზღაუროს იგი მხოლოდ ამ ტვირთის ღირებულების ოდენობამდე. მეტის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა 694-ე მუხლის თანაზმად არსებობდა განსაკუთრებული ინტერესი ამ გადაზიდვის მიმართ, ან მითითებული იყო ტვირთის ღირებულება.

თუ ტვირთი ნაწილობრივ ან მთლიანად დაიკარგება მისი მიღე-

ბიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, გადამზიდველმა უფლებამოსილ პირს უნდა აუნაზღაუროს ტვირთის ღირებულება, ანუ უნდა აანაზღაუროს ზიანი. ამასთან, ზიანის გამოთვლა უნდა მოხდეს ტვირთის გადაცემის ადგილსა და დროს მოქმედი ტვირთის ფასის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ საზღვაო გადაზიდვების დროს დაკარგული ან დანაკლისი ტვირთის ღირებულება განისაზღვრება დანიშნულების ნავსადგურში გემის შესვლის ან ყოფნის დროს ამ ნავსადგურში მოქმედი ფასებით. თუ ნავსადგურში მოქმედი ფასების დადგენა შეუძლებელია, გაგზავნის ნავსადგურში იმ დროისათვის მოქმედი ფასებით, რომელსაც დაემატება გადაზიდვის ხარჯები (საქართველოს საზღვაო კოდექსის მუხლი 160).

სამოქალაქო კოდექსის 692-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს ტვირთის ღირებულების განსაზღვრის წესს. კერძოდ, იგი უნდა განისაზღვროს საბირჟო ფასით, ხოლო ასეთი ფასის არარსებობისას – საბაზრო ფასით. თუკი არც ასეთი ფასი არსებობს, მაშინ – მსგავსი სახეობისა და ღირებულების ანალოგიურად.

ნიშანდობლივია, რომ გადაზიდვის თანხა (ანუ ტვირთის გადატანისათვის შეთანხმებული საზღაური, ფრახტი), საბაჟო და სხვა მსგავსი ხარჯები უკან უნდა დაბრუნდეს, ოღონდ ტვირთის მთლიანად დაკარგვისას მთლიანად, ხოლო ნაწილობრივ დაკარგვისას – ნაწილობრივ. საქართველოს საზღვაო კოდექსის 159-ე მუხლის თანახმად, ტვირთის დაკარგვით ან დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისას გადამზიდავი აბრუნებს მიღებულ ფრახტს, თუ იგი არ შედის დაკარგული ან ნაკლული ტვირთის ღირებულებაში.

გადამზიდველის პასუხისმგებლობას, როგორც აღნიშნული იყო, იწვევს ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებაც. იმის მტკიცება, რომ ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებამ ზიანი გამოიწვია, უფლებამოსილ პირს ეკისრება. მოცემულ შემთხვევაში გადამზიდველმა ზიანი უნდა აანაზღაუროს მხოლოდ ამ ტვირთის ღირებულების ოდენობამდე. კანონმდებელი ითვალისწინებს მეტის ანაზღაურების მოთხოვნის მხოლოდ ერთ შემთხვევას, კერძოდ, როცა ზედნადებში გაკეთე-

ბულია აღნიშვნა გადაზიდვის მიმართ განსაკუთრებული ინტერესის არსებობის შესახებ, ან მითითებულია ტვირთის ღირებულება.

მუხლი 693. ზიანის ანაზღაურება ტვირთის დაზიანებისას

1. ტვირთის დაზიანებისას გადამზიდველმა უნდა გადაიხადოს ის საზღაური, რომლითაც შემცირდა ტვირთის ღირებულება და რომელიც გამოითვლება 692-ე მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 ნაწილებში დადგენილი ტვირთის ღირებულების მიხედვით.

2. ზიანის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს იმ თანხას, რომელიც:

ა. უნდა გადახდილიყო ტვირთის მთლიანად დაკარგვისას, თუკი მთელი ტვირთი დაზიანების შედეგად მთლიანად გაუფასურდა;

ბ. უნდა გადახდილიყო ტვირთის გაუფასურებული ნაწილის დაკარგვისკას, თუკი დაზიანების შედეგად გაუფასურდა ტვირთის მხოლოდ ერთი ნაწილი.

გადამზიდველმა უნდა აანაზღაუროს მისთვის გადასაზიდად მიცემული ტვირთის დაზიანებით გამოწვეული ზიანი, ანუ ზიანი უნდა ანაზღაურდეს ისეთ შემთხვევაში, როცა დანიშნულების ადგილზე მიტანილი ტვირთის ხარისხი არ შეესაბამება მის პირველად ხარისხს, რაც მითითებულია სატრანსპორტო დოკუმენტაციაში. ამასთან, ტვირთის დაზიანებისას გადამზიდველმა უნდა გადაიხადოს ის საზღაური, რომლითაც შემცირდა ტვირთის ღირებულება. ტვირთის ღირებულების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს მისი მთლიანი ან ნაწილობრივ დაკარგვისას ღირებულების განსაზღვრის წესების გამოყენებით.

კანონმდებელი ადგენს ზიანის ანაზღაურების ზღვრულ ოდენობას იმის მიხედვით, დაზიანების შედეგად ტვირთი მთლიანად გაუფასურდა, თუ მხოლოდ ნაწილი.

თუ დაზიანების შედეგად მთელი ტვირთი გაუფასურდა, მაშინ ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს იმ თანხას, რომელიც უნდა გადახდილიყო ტვირთის მთლიანად დაკარგვის შემთხვევაში, ხოლო თუ დაზიანების შედეგად ტვირთის მხოლოდ ერთი ნაწილი გაუფასურდა, მაშინ იმ თანხას, რომელიც უნდა გადახდილიყო გაუფასურებული ნაწილის დაკარგვისას.

მუხლი 694. განსაკუთრებული დაინტერესების აღნიშვნა ზედნადებში

1. გამგზავნს შეუძლია დათქმული დანამატის გადახდის საფუძველზე ზედნადებში აღნიშნოს თავისი განსაკუთრებული დაინტერესება ამ გადაზიდვით იმ შემთხვევებისათვის, როცა დაიკარგება ან დაზიანდება ტვირთი, ანდა გადაცილებული იქნება მისი ჩაბარების ვადა.

2. თუ უკვე გამოხატულია განსაკუთრებული დაინტერესება მოცემული გადაზიდვით, 692-ე და 693-ე მუხლებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად შეიძლება მოთხოვილ იქნეს დამატებითი ზიანის ანაზღაურება დაინტერესებაში გამოხატული ოდენობით.

ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან მიტანის ვადის გადაცილების შემთხვევისათვის გამგზავნს შეუძლია ზედნადებში აღნიშნოს თავისი განსაკუთრებული დაინტერესება ამ გადაზიდვით. ამდენად, ზედნადები უნდა შეიცავდეს დამატებით მონაცემებს ტვირთის ღირებულების და მიწოდებისადმი განსაკუთრებული ინტერესის შესახებ. თავის მხრივ, გამგზავნს ეკისრება დათქმული დანამატის გადახდის ვალდებულება ტვირთის გადაზიდვის საზღაურის ზემოთ. მაგალითად, ზედნადებში შეიძლება გაკეთდეს აღნიშვნა, რომ ტვირთი გამოცალკევებულად იყოს მოთავსებული, ანდა იმის შესახებ, რომ ტვირთი წარმოადგენს ადვილად მსხვრევად ობიექტებს (თიხის,

შუშის ნაწარმი და სხვა) და მოითხოვს განსაკუთრებულ მოპყრობას და ა.შ.

თუ ზედნადებში გაკეთებულია აღნიშვნა გამგზავნის ამ გადაზიდვით განსაკუთრებული დაინტერესების შესახებ, ასეთ შემთხვევაში ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან მიტანის ვადის გადაცილებისათვის გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად შეიძლება მოთხოვნილ იქნეს დამატებითი ზიანის ანაზღაურება დაინტერესებაში გამოხატული ოდენობით.

მუხლი 695. პროცენტის მოთხოვნა უზრუნველყოფილ ზიანის ანაზღაურებაზე

1. ტვირთზე უფლებამოსილ პირს შეუძლია მისთვის უზრუნველყოფილ ზიანის ანაზღაურებაზე მოითხოვოს წლიური ხუთი პროცენტი. პროცენტების ათვლა იწყება გადამზიდველის მიმართ რეკლამაციის წარდგენის დღიდან, ან, თუ რეკლამაცია არ იყო წარდგენილი, – სარჩელის შეტანის დღიდან.

2. თუ ზიანის ანაზღაურება დადგენილია იმ ფულად ერთეულში, რომელიც არ მოქმედებს ქვეყანაში, და მოთხოვნილია გადახდა, კურსი განისაზღვრება ზიანის ანაზღაურების გადახდის ადგილზე იმ დღეს მოქმედი კურსის შესაბამისად.

გადამზიდველი პასუხისმგებელია ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, მისი მიტანის ვადის გადაცილებისათვის. ამასთან, კანონმდებელი ტვირთზე უფლებამოსილ პირს (გამგზავნს ან მიმღებს) ანიჭებს უფლებამოსილებას ზიანის ანაზღაურების გარდა მოითხოვოს ზიანის ოდენობის წლიური ხუთი პროცენტი. საკანონმდებლო წესით არის განსაზღვრული პროცენტების ათვლის წერტილიც. კერძოდ, მათი ათვლა იწყება გადამზიდველის მიმართ რეკლამაციის წარდგენის დღიდან, ან, თუ რეკლამაცია არ იყო წარდგენილი, – სარჩელის წარდგენის

დღიდან. ამდენად, გარეგნულად შესამჩნევი დანაკარგებისა და დაზიანებისათვის ზიანის ანაზღაურებაზე პროცენტების ათვლა იწყება ტვირთის ჩაბარების დღიდან, ხოლო გარეგნულად შეუმჩნეველი დანაკარგებისა და დაზიანებების შემთხვევაში – ჩაბარებიდან არაუგვიანეს შვიდი დღისა. რაც შეეხება ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურებაზე პროცენტებს, მათი ათვლა იწყება ტვირთის ჩაბარებიდან ოცდაერთი დღის განმავლობაში (ანუ ამ ვადის განმავლობაში რეკლამაციის წარდგენის დღიდან). რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც რეკლამაცია არ იყო წარდგენილი, პროცენტების ათვლა დაიწყება სარჩელის შეტანის დღიდან.

შესაძლებელია ზიანის ანაზღაურება დადგენილ იქნეს იმ ფულად ერთეულში, რომელიც არ მოქმედებს ქვეყანაში. სამოქალაქო კოდექსის 695-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს ასეთი ფულადი ერთეულის კურსის განსაზღვრის წესს. კერძოდ, კურსი უნდა განისაზღვროს ზიანის ანაზღაურების გადახდის ადგილზე იმ დღეს მოქმედი კურსის შესაბამისად.

მაგალითად, თუ ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ უცხოურ ვალუტაში (მაგალითად, აშშ დოლარებში) თანხა გადახდილ უნდა იქნეს გადახდის დღისათვის თბილისის სავალუტო ბირჟაზე დადგენილი ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსის მიხედვით.

მუხლი 696. არასახელშეკრულებო მოთხოვნები გადაზიდვებისას.

1. თუ დანაკარგმა, დაზიანებამ ან ვადის გადაცილებამ, რომლებიც ამ თავით მოწესრიგებული გადაზიდვების დროს წარმოიშვა, შეიძლება მოქმედი წესების მიხედვით არასახელშეკრულებო მოთხოვნები გამოიწვიოს, მაშინ ამის საპასუხოდ გადამზიდველს შეუძლია მიუთითოს ამ თავის იმ წესებზე, რომლებიც მის პასუხისმგე-

ბლობას გამორიცხავენ, ან ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავენ, ანდა ზღუდავენ.

2. თუ გამოყენებული იქნება არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მოთხოვნები დანაკარგის, დაზიანების და ვადის გადაცილებისათვის ერთ-ერთი პირის მიმართ, მაშინ მას შეუძლია დაეყრდნოს ამ თავის იმ წესებს, რომლებიც გამორიცხავენ მის პასუხისმგებლობას, ან განსაზღვრავენ ზიანის ანაზღაურების ოდენობას ანდა, ზღუდავენ მას.

ტვირთის დაკარგვამ, დაზიანებამ ან ვადის გადაცილებამ შეიძლება არასახელშეკრულებო მოთხოვნები გამოიწვოს. მაგალითად, პირუტყვმა, რომელიც გადაზიდვის დროს დაიკარგა, ვინმეს ზიანი მიაყენა; ან კიდევ, სარკინიგზო ტრანსპორტით სპეციალური ცისტერნებით საწვავის გადაზიდვისას ადგილი ჰქონდა საწვავის უნებლიე დაღვრას, რამაც დააბინძურა რკინიგზის მიმდებარე ტერიტორია, ანუ ეკოლოგიურად დაბინძურდა გარემო. რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიის მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აღმოუცენდება უფლება მოითხოვოს ეკოლოგიური დაბინძურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელი გადამზიდველს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიუთითოს იმ წესებზე, რომლებიც მის პასუხისმგებლობას გამორიცხავენ, ან ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავენ, ანდა ზღუდავენ. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ, თუ ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან მიტანის ვადის გადაცილებისას გადამზიდველი კანონით დადგენილი წესით თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, მაშინ ის შეიძლება გათავისუფლდეს არასახელშეკრულებო მოთხოვნების შესრულებისაგანაც.

თუ გამოყენებული იქნება არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მოთხოვნები დანაკარგის, დაზიანებისა და ვადის გადაცილებისათვის ერთ-ერთი პირის მიმართ, მაშინ მას შეუძლია დაეყრდნოს გადაზიდვა-გადაყვანის მარეგულირებელ იმ წესებს, რომლებიც გამორიცხავენ მის პასუხისმგებლობას, ან განსაზღვრავენ

ზიანის ანაზღაურების ოდენობას ანდა, ზღუდავენ მას. ამდენად, გადამზიდველი პასუხს აგებს მგზავრისათვის მიყენებული ზიანისათვის (ადამიანის სიკვდილით, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის მოშლით გამოწვეული ზიანისათვის), ასევე მისი ბარგის დაზიანების ან დაკარგვისათვის. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმ წესების მიხედვით, რომლებიც ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებს არეგულირებენ. გადამზიდველი პასუხს არ აგებს, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ან თვით მგზავრის ან მისი ბარგის მიერ (სამოქალაქო კოდექსის 669-ე მუხლი).

მუხლი 697. პასუხისმგებლობისაგან გადამზიდველის გათავისუფლების დაუშვებლობა

გადამზიდველს არ შეუძლია დაეყრდნოს ამ თავის იმ წესებს, რომლებიც მის პასუხისმგებლობას გამორიცხავენ ან ზღუდავენ, ანდა მტკიცების ტვირთისაგან ათავისუფლებენ მას, თუკი ზიანი გამოწვეულია მისი ბრალით.

სამოქალაქო კოდექსის 697-ე მუხლის თანახმად, გადამზიდველს უფლება არა აქვს დაეყრდნოს გადაზიდვა-გადაყვანის იმ წესებს, რომლებიც გამორიცხავენ მის პასუხისმგებლობას (ანუ ათავისუფლებენ მას პასუხისმგებლობისაგან) ან ზღუდავენ, ანდა მტკიცების ტვირთისაგან ათავისუფლებენ, თუკი ზიანი გამოწვეულია მისი ბრალით. ამდენად, გადამზიდველმა ბრალეულად მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს სრულად.

მუხლი 698. ცნება. შინაარსი

1. თუ მიმღები მიიღებს ტვირთს ისე, რომ მის მდგომარეობას არ ამოწმებს გადამზიდველთან ერთად და არ უყენებს გადამზიდველს ზოგადი ხასიათის პრეტენზიას დანაკარგებისა და დაზიანების შესახებ, მაშინ საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ მიმღებმა ტვირთი ჩაიბარა ზედნადებში მითითებულ მდგომარეობაში; აღნიშნული პრეტენზია უნდა წარედგინოს ტვირთის ჩაბარების დღესვე, თუ საქმე ეხება გარეგნულად შესამჩნევ დაკნაკარგებსა და დაზიანებებს, ხოლო გარეგნულად შეუმჩნეველი დანაკარგებისა და დაზიანების შემთხვევაში – ჩაბარებიდან არა უგვიანეს შვიდი დღისა. თუ საქმე ეხება გარეგნულად შეუმჩნეველ დანაკარგებსა და დაზიანებებს, პრეტენზია (მოთხოვნა) უნდა წარედგინოს წერილობით.

2. თუ მიმღებმა და გადამზიდველმა ერთად შეამოწმეს ტვირთის მდგომარეობა, შემოწმების შედეგების საპირისპირო მტკიცებულება დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ საქმე ეხება გარეგნულად შეუმჩნეველ დანაკარგებს, დაზიანებებს და მიმღები ჩაბარებიდან შვიდის დღის განმავლობაში არ წარადგენს წერილობით მოთხოვნებს.

3. ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მიმღები ტვირთის ჩაბარებიდან ოცდაერთი დღის განმავლობაში გადამზიდველს წარუდგენს წერილობით მოთხოვნებს.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ვადების გამოთვლისას ამ ვადებში არ ჩაითვლება: ტვირთის გამოგზავნის, შემოწმების ან მიმღებისათვის მისი ჩაბარების დღეები.

5. გადამზიდველმა და მიმღებმა ხელი უნდა შეუწყონ ერთმან-

ეთს აუცილებელი შემოწმებების ჩატარებისა და საჭირო ფაქტების დადგენაში.

ტვირთის გადატანასთან დაკავშირებული დავების განხილვა ხასიათდება გარკვეული თავისებურებით, კერძოდ, განსაკუთრებული საპრეტენზიო წესით. პრეტენზია, ანუ ე.წ. რეკლამაცია არის მიმართვა გადამზიდველისადმი გადაზიდვის ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო ჯარიმის გადახდის ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. რეკლამაციის (პრეტენზიის) და სარჩელის წარდგენის ზოგადი წესი მოცემულია სამოქალაქო კოდექსში, ხოლო სპეციალური წესები განმტკიცებულია შესაბამის სატრანსპორტო კანონმდებლობაში. მაგალითად, საზღვაო გადაზიდვების დროს გარემოება, რომელიც შეიძლება გახდეს ქონებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ტვირთის გამგზავნის, გადამზიდავის და მიმღების, ასევე მგზავრთა გადამყვანის მიმართ, უნდა დადასტურდეს წერილობით, დამოუკიდებელი სურვეირის პატაკით ან აქტით, რომლებიც უნდა შედგეს ისეთ გარემოებათა დასამოწმებლად, როგორიცაა შეუსაბამობა ტვირთის ან ბარგის ფაქტობრივ დასახელებას, მასას, ტვირთის ან ბარგის ადგილების რაოდენობას და გადატვირთვის საბუთებში შეტანილ მონაცემებს შორის; ტვირთის ან ბარგის დაზიანება ან გაფუჭება და ა.შ. ნიშანდობლივია, რომ ტვირთის ზღვით გადაზიდვისას გადამზიდავისათვის სარჩელის წარდგენამდე აუცილებელია მის მიმართ წაყენებულ იქნეს პრეტენზია (საქართველოს საზღვაო კოდექსის 364-ე მუხლის პირველი ნაწილი), ანუ მხოლოდ პრეტენზიის უარყოფის (სრულად ან ნაწილობრივ) ან პასუხის მიუღებლობის შემთხვევაშია შესაძლებელი სარჩელის წარდგენა. პრეტენზიის განცხადება ხდება წერილობითი ფორმით, რომელსაც უნდა დაერთოს დამამტკიცებელი საბუთები, ტვირთის დანაკლისის, დაზიანების ან გაფუჭების შესახებ პრეტენზიის წარდგენისას კი — ტვირთის ღირებულების დამადასტურებელი საბუთებიც.

რაც შეეხება საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვა-გადაყვანის

მონაწილე მხარეთა ქონებრივი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ გარემოებებს, მათი დადასტურება უნდა მოხდეს კომერციული აქტით, რომლის შედგენის წესიც განმტკიცებულია საქართველოს საჰაერო კოდექსის 84-ე მუხლში. ამასთან, მგზავრის გადაყვანასთან, ბარგის, ტვირთის ან საფოსტო გზავნილების გადაზიდვასთან დაკავშირებული სარჩელის წარდგენამდე, გადამყვან-გადამზიდველს უნდა წარედგინოს პრეტენზია. კანონმდებელი განსაზღვრავს მხოლოდ ერთ გამონაკლისს, როდესაც შესაძლებელია პირდაპირ სარჩელის წარდგენა, ესაა მგზავრის ჯანმრთელობის მოშლა ან მისი გარდაცვალება.

სამოქალაქო კოდექსის 698-ე მუხლი ადგენს რეკლამაციის (პრეტენზიის) წარდგენის წესსა და ვადებს. თუ მიმღები ტვირთის მიღებისას გადამზიდველთან ერთად არ შეამოწმებს ტვირთის მდგომარეობას და არ წაუყენებს გადამზიდველს ზოგადი ხასიათის პრეტენზიას დანაკარგებისა და დაზიანებების შესახებ, მაშინ საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ მიმღებმა ტვირთი ჩაიბარა ზედნადებში მითითებულ მდგომარებაში; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ მიმღები მიიღებს გადამზიდველთან ერთად შეუმოწმებელ ტვირთს და არ წაუყენებს მას ზოგადი ხასიათის პრტენზიას, საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ გადამზიდველმა ნაკისრი ვალდებულება შეასრულა ჯეროვნად.

ნიშანდობლივია, რომ კანონმდებელი პრეტენზიის წაყენების ვადებს უკავშირებს დანაკარგის და დაზიანების სახეს, კერძოდ, თუ როგორია ისინი – გარეგნულად შესამჩნევი თუ შეუმჩნეველი.

გარეგნულად შესამჩნევი დანაკარგებისა და დაზიანების დროს პრეტენზია წარდგენილ უნდა იქნეს ტვირთის ჩაბარების დღესვე. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ასეთი ნაკლის შემჩნევა სირთულეს არ წარმოადგენს და მიმღებს უპრობლემოდ შეუძლია გარეგნულად ანუ ვიზუალურად შესამჩნევი ნაკლის აღმოჩენა ტვირთის მიღებისას. რაც შეხება პრეტენზიებს გარეგნულად შეუმჩნეველი დანაკარგებისა და დაზიანების შემთხვევაში,

ისინი წარდგენილ უნდა იქნეს ტვირთის ჩაბარებიდან არა უგვიანეს შვიდი დღისა, რადგან ფარული დანაკარგებისა და დაზიანების აღმოჩენა გარკვეულ დროს მოითხოვს.

საგულისხმოა, რომ კანონმდებელი ზუსტად განსაზღვრავს მხოლოდ გარეგნულად შეუმჩნეველი დანაკარგებისა და დაზიანების შესახებ წარდგენილი პრეტენზიის ფორმას. კერძოდ, იგი წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

კანონმდებელი გარეგნულად შესამჩნევი დანაკარგებისა და დაზიანების შესახებ პრეტენზიის ფორმაზე არაფერს ამბობს, ანუ უშვებს ასეთი პრეტენზიის ზეპირი ფორმით წარდგენასაც.

როგორც აღინიშნა, როცა მიმღები ტვირთს იღებს ისე, რომ გადამზიდველთან ერთად არ ამოწმებს ტვირთის მდგომარეობას, ტვირთი მიღებულად ითვლება ზედნადებში მითითებულ მდგომარეობაში, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დასაშვებია საპირისპიროს დამტკიცება, ანუ დამტკიცება იმისა, რომ არსებობდა დანაკარგები და დაზიანება. განსხვავებულად წყდება საკითხი მაშინ, როცა მიმღები და გადამზიდველი ერთად შეამოწმებენ ტვირთის მდგომარეობას. ტვირთის მდგომარეობის ერთად შემოწმების შემთხვევაში შემდგომში შემოწმების შედეგების საპირისპირო მტკიცებულება არ დაიშვება, თუ დანაკარგები და დაზიანებები გარეგნულად შესამჩნევი ხასიათის იყო. რაც შეეხება გარეგნულად შეუმჩნეველ დანაკარგებსა და დაზიანებებს, ტვირთის შემოწმების შედეგების საპირისპირო მტკიცება დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ საქმე ეხება გარეგნულად შეუმჩნეველ დაკარგებსა და დაზიანებებს და მიმღები ჩაბარებიდან შვიდი დღის განმავლობაში არ წარადგენს წერილობით მოთხოვნებს.

ზიანის ანაზაღურების მოთხოვნის გადამზიდველისადმი წაყენების წესს განსაზღვრავს 698-ე მუხლის მე-3 ნაწილი. კერძოდ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მიმღები ტვირთის ჩაბარებიდან ოცდაერთი დღის განმავლობაში გადამზიდველს წარუდგენს წერილობით მოთხოვნებს.

ნიშანდობლივია, რომ რეკლამაციის (პრეტენზიის) და სარჩელის წარდგენის ვადების გამოთვლისას ამ ვადებში არ ჩაითვლება ტვირთის გამოგზავნის, შემოწმების ან მიმღებისათვის მისი ჩაბარების დღეები.

კანონმდებელი გადამზიდველს, ისევე როგორც მიმღებს, აკისრებს ვალდებულებას ხელი შეუწყონ ერთმანეთს აუცილებელი შემოწმებების ჩატარებასა და საჭირო ფაქტების დადგენაში.

აღსანიშნავია, რომ ცალკეული სატრანსპორტო კანონმდებლობა ითვალისწინებს პრეტენზიის წარდგენის სპეციალურ ვადებს. მაგალითად, საჰაერო ტრანსპორტით გადამყვან-გადამზიდველის მიმართ პრეტენზია შეიძლება წარდგენილ იქნეს 6 თვის განმავლობაში. აღნიშნული ვადა გამოითვლება: ა. ტვირთის მთლიანად დაკარგვის გამო წარდგენილ პრეტენზიებზე – ტვირთის ჩატანის ვადის გასვლიდან ათი დღის შემდეგ; ბ. ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან დაგვიანებით გადაზიდვის გამო წარდგენილ პრეტენზიებზე – მისი ჩატანის ან კომერციული აქტის შედგენის დღიდან; გ. ბარგის ან საფოსტო გზავნილების მთლიანად დაკარგვის გამო წარდგენილ პრეტენზიებზე – ჩატანის ვადის გასვლის დღიდან; დ. ბარგის ან საფოსტო გზავნილების ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან დაგვიანებით გადაზიდვის გამო წარდგენილ პრეტენზიებზე – მათი ჩატანის ან კომერციული აქტის შედგენის დღიდან; ე. სხვა დანარჩენ შემთხვევაში – იმ გარემოებათა დადგომის დღიდან, რომლებიც პრეტენზიის წარდგენის საფუძველს იძლევა.

მუხლი ცვე. გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადა

ამ თავში მოწესრიგებული გადაზიდვებიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადა არის ერთი წელი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს ვადა შეადგენს სამ წელს. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება:

ა. ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ჩაბარების ვადის გადაცილებისას – მისი გამოგზავნის დღიდან;

ბ. ტვირთის მთლიანად დაკარგვისას გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის ოცდამეათე დღიდან ან თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, – გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან მესამოცე დღეს;

გ. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში – გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლი გადაზიდვებიდან გამომდინარე უფლებების დაცვის ხანდაზმულობის ვადას განსაზღვრავს ერთი წლით. ამასთან, ეს ვადა სამ წლამდე იზრდება, თუ უფლებები დარღვეული იყო განზრახ (ანუ პირმა ვალდებულება არ შეასრულა ან შეასრულა არაჯეროვნად შეგნებულად, წინასწარგანზრახულად.

მაგალითი:

გადამზიდველმა ტვირთის ტრანსპორტირებისას აირჩია უფრო გრძელი მარშრუტი, რამაც გამოიწვია ტვირთის მიტანის ვადის გადაცილება) ან უხეში გაუფრთხილებლობით (ანუ პირმა აშკარად უგულებელყო მოთხოვნები, რაც მას წაეყენებოდა. მაგალითად, ტვირთის გადამზიდველი გადაზიდვას ახორციელებდა საავტომობილო ტრანსპორტით. მძღოლმა ავტომობილი გააჩერა დასახლებული პუნქტის მოშორებით და დაიძინა. როდესაც გამოეღვიძა, აღმოაჩინა ტვირთის დანაკლისი).

კანონმდებელი ხანდაზმულობის ვადის ათვლას უკავშირებს ისეთ ფაქტებს, როგორიცაა ტვირთის ნაწილობრივი, მთლიანი დაკარგვა, დაზიანება, ჩაბარების ვადის გადაცილება. კერძოდ, თუ ტვირთი გადამზიდველის მიერ მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში დაიკარგა ნაწილობრივ, ე.ი. სახეზეა მისი დანაკლისი (განსხვავება გადასაზიდად მიღებული და მიმღებისათვის ჩაბარებუ-

ლი ტვირთის რაოდენობაში ან წონაში), ან თუ დაზიანდა (დანიშნულების ადგილზე გადატანილი ტვირთის ხარისხი არ შეესაბამება გადასაზიდად მიღებული ტვირთის ხარისხს), ასევე თუ გადაცილებულია ტვირთის მიტანის ვადა, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ტვირთის გამოგზავნის დღიდან, ანუ იმ დღიდან, როცა იგი გადასაზიდად გადაეცა გადამზიდველს.

რაც შეეხება ტვირთის მთლიანად დაკარგვის შემთხვევებს, ანუ მისი მიმღებისათვის გადაცემის შეუძლებლობას სამოქალაქო კოდექსის 689-ე მუხლში მითითებულ ვადებში, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის იცდამეათე დღიდან, ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, – გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან მესამოცე დღეს.

ნიშანდობლივია, რომ გადაზიდვიდან გამომდინარე, სხვა უფლებათა ხანდაზმულობის ვადა აითვლება გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 700. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება

ხანდაზმულობის ვადა ჩერდება წერილობითი რეკლამაციის საფუძველზე იმ დღისათვის, როცა გადამზიდველი უარყოფს რეკლამაციას და თანდართულ საბუთებს უკანვე აბრუნებს. თუ რეკლამაცია ნაწილობრივ იქნება აღიარებული, ხანდაზმულობის ვადა რეკლამაციის სადავო ნაწილისათვის კვლავ გრძელდება. რეკლამაციის მიღების ან მასზე პასუხის, ასევე საბუთების უკან დაბრუნების მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, რომელიც მათ ეყრდნობა. სხვა რეკლამაციები, რომლებიც იმავე საგანს ეხებიან, ვერ შეაჩერებენ ხანდაზმულობის ვადის დენას.

სამოქალაქო კოდექსის მე-700 მუხლი ადგენს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების წესს. კერძოდ, ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას იწვევს გადამზიდველის მიერ წერილობითი რეკლამაცი-

ის უარყოფა, ანუ ვადა ჩერდება გადამზიდველის მიერ მის მიმართ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო ჯარიმის გადახდის ან ზიანის ანაზღაურების შესახებ წაყენებული მოთხოვნის უარყოფის დღეს. ამასთან, ვადის შეჩერებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ პრეტენზიის უარყოფა, არამედ მისი თანდართული საბუთების უკანვე დაბრუნება.

მაგალითი:

გადამზიდველმა საზღვაო ტრანსპორტით (გემით) განახორციელა ჟVჩ-ს ფირმის 500 ტელევიზორის ტრანსპორტირება. დანიშნულების ნავსადგურში ტვირთის მიმღებისათვის გადაცემისას აღმოჩნდა, რომ გემის სათავსოში იყო მხოლოდ 495 ტელევიზორი. მიმღებმა გადამზიდველს რეკლამაცია წარუდგინა ტვირთის მიღების დღესვე. ამასთან, რეკლამაციას მან დაურთო კონოსამენტი და ტელევიზორების ნასყიდობის ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება იმ დღეს, როცა გადამზიდველი უარყოფს რეკლამაციას და მიმღებს დაუბრუნებს კონოსამენტს და ნასყიდობის ხელშეკრულებას.

რაც შეეხება რეკლამაციის ნაწილობრივ აღიარების შემთხვევებს, ხანდაზმულობის ვადა გრძელდება რეკლამაციის სადავო ნაწილისათვის (ე.ი. იმ ნაწილისათვის, რომელიც გადამზიდველმა არ აღიარა).

მაგალითი:

ქ. ბათუმიდან თბილისში სარკინიგზო ტრანსპორტით გადატანილი იქნა 20 ტონა ფორთოხალი. მიმღებმა გადამზიდველს წაუყენა რეკლამაცია როგორც ტვირთის დანაკლისის, ისე მისი მიტანის ვადის გადაცილებისათვის. გადამზიდველმა რეკლამაცია ნაწილობრივ აღიარა, კერძოდ, მიტანის ვადის გადაცილების ნაწილში. ამდენად, ხანდაზმულობის ვადა გაგრძელდება მხოლოდ ტვირთის დანაკლისის შესახებ რეკლამაციის ნაწილზე.

ნიშანდობლივია, რომ რეკლამაციის მიღების ან მასზე პასუხის, ასევე საბუთების უკან დაბრუნების მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, რომელიც მათ ეყრდნობა. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას არ იწვევს იმავე საგანზე წაყენებული სხვა რეკლამაციები.

IV. გადაზიდვები ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების მიერ

მუხლი 701. პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმდევარი გადაზიდვების შემთხვევაში

თუ გადაზიდვა ერთი ხელშეკრულებით ხორციელდება ერთმანეთის მიმდევარი სხვადასხვა გადამზიდველების მიერ, თითოეული მათგანი პასუხს აგებს მთლიანი გადაზიდვის განხორციელებისათვის; მეორე და ყოველი მომდევნო გადამზიდველი ტვირთისა და ზედნადების მიღების გზით ხდება ხელშეკრულების მხარე.

გადაზიდვის ხელშეკრულების კლასიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე. მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებების სახის, ტერიტორიული ნიშნის (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), გადამზიდველების რაოდენობის მიხედვით. პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებს, როდესაც აუცილებელია გარკვეული ტვირთის გადაზიდვა რამოდენიმე გადამზიდველის მიერ. ამასთან, ასეთი სახის გადაზიდვებიც შეიძლება დაიყოს გარკვეულ სახეებად, კერძოდ: ტვირთის გადატანა ერთი სახის ტრანსპორტით, მაგრამ რამოდენიმე გადამზიდველის მიერ (მაგალითად, 10 ტომარა შაქარი თბილისიდან ავტომობილით იქნა გადატანილი ქ. ქუთაისამდე, სადაც იგი გადატვირთული იქნა მეორე გადამზიდველის ავტომობილზე, რომელმაც

იგი უნდა გადაიტანოს ქ. ოზურგეთში) და გადაზიდვა რამოდენიმე სახის სატრანსპორტო საშუალებით (მაგალითად, 100 000 ბოთლი ბორჯომი ქ. ბორჯომიდან ქ. ფოთამდე გადატანილი იქნა რკინიგზით, ხოლო ქ. ფოთის ნავსადგურიდან ქ. ოდესის ნავსადგურამდე კი – გემით). ნიშანდობლივია, რომ თუ გადაზიდვები ხორციელდება ერთი ხელშეკრულების საფუძველზე, ადგილი აქვს გადაზიდვას ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების მიერ. ასეთი ურთიერთობები ხასიათდება გარკვეული სპეციფიკით და რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 701-708-ე მუხლებით.

ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების მიერ ტვირთის გადატანისას გადაზიდვის ხელშეკრულება იდება ტვირთის გამგზავნსა და იმ გადამზიდველს შორის, რომელიც თავდაპირველად მიიღებს ტვირთს გადასაზიდად, მაგრამ გადაზიდვის ურთიერთობაში მონაწილეობენ სხვა გადამზიდველებიც. კანონმდებელი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ მეორე და ყოველი მომდევნო გადამზიდველი ტვირთისა და ზედნადების მიღების გზით ხდება ხელშეკრულების მხარე, ანუ საკანონმდებლო წესით არის განმტკიცებული მისი სტატუსი.

თითოეული გადამზიდველი პასუხს აგებს მთლიანი გადაზიდვის განხორციელებისათვის, ანუ ტვირთის დაუზიანებლად და დანაკლისის გარეშე დათქმულ დროსა და ადგილას მიტანისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადაზიდვები ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების მიერ (კერძოდ კი, შერეული გადაზიდვები, ანუ ტვირთის გადატანა სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით) თანამედროვე პირობებში ფართოდაა გავრცელებული ე.წ. კონტეინერული გადაზიდვის ურთიერთობებში. ასეთ დროს, გაგზავნის ადგილზე ხდება კონტეინერში განთავსებული ტვირთის გადაცემა გადამზიდველისათვის, რომელიც ასეთივე სახით გადასცემს ტვირთს სხვა გადამზიდველებს. მაგალითად, საქონლით დატვირთული კონტეინერი შეიძლება გადატანილი იქნეს ნავსადუგურში ავტომობილით და გაუხსნელად გადაიტვირთოს სატვირთო გემზე, რომელ-

იც გადაიტანს მას დანიშნულების ნავსადგურში, სადაც ასევე გაუხსნელად იქნება იგი გადმოტვირთული და დამაგრებული სხვა სატვირთო ავტომობილზე, რომლითაც მოხდება მისი გადაზიდვა საბოლოო დანიშნულების ადგილზე.

მუხლი 702. სათანადო საბუთების გადაცემის ვალდებულება

1. გადამზიდველი, რომელიც წინა გადამზიდველისაგან იღებს ტვირთს, ვალდებულია გადასცეს ტვირთის მიღების დამადასტურებელი ვადამითითებული და მის მიერ ხელმოწერილი საბუთი. ზედნადების მეორე პირზე მან უნდა მიუთითოს თავისი სახელი და მისამართი. საჭიროების შემთხვევაში ზედნადების მეორე პირში გადამზიდველს შეაქვს 676-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობები და ტვირთის მიღების დადასტურება.

2. ერთმანეთის მიმდევარ გადამზიდველებს შორის ურთიერთობები წესრიგდება 677-ე მუხლით.

სამოქალაქო კოდექსის 702-ე მუხლის პირველი ნაწილი განამტკიცებს ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების მიერ სათანადო საბუთის გადაცემის ვალდებულებას. კერძოდ, ყოველი მომდევნო გადამზიდველი წინა გადამზიდველისაგან ტვირთის მიღებისას გადასცემს მას ტვირთის მიღების დამადასტურებელ ვადამითითებულ და მის მიერ ხელმოწერილ საბუთს. ამასთან, ზედნადების მეორე პირზე (ანუ პირზე, რომელიც თან ერთვის ტვირთს) მან უნდა მიუთითოს თავისი სახელი და მისამართი.

თუ გადამზიდველს არა აქვს საშუალება იმისა, რომ შეამოწმოს ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მათი ნიშნები და ნომრები (მაგ., ნივთების რაოდენობა კონტეინერში), მას ზედნადებში შეაქვს პირობები (მაგ., პირობა იმის შესახებ, რომ პასუხს არ აგებს კონტეინერში ნივთების რაოდენობისათვის). გადამზიდველმა ზედნადებ-

ში უნდა აღნიშნოს ისეთი პირობებიც, რომლებიც შეეხება ტვირთის გარეგნულ მდგომარეობასა და მის შეფუთვას. აღსანიშნავია, რომ ეს პირობები გამგზავნისათვის არაა სავალდებულო, იმ შემთხვევების გარდა, როცა მან ისინი ზედნადებში აშკარად აღიარა.

ნიშანდობლივია, რომ კანონმდებელი ერთმანეთის მიმდევარ გადამზიდველებს შორის ურთიერთობების რეგლამენტაციისას იყენებს სამოქალაქო კოდექსის 677-ე მუხლით განმტკიცებულ გადაზიდვის ხელშეკრულების დადების პრეზუმფციას.

მუხლი 703. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველებისაგან

ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან გადაზიდვის ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, შეგებებული სარჩელის ან შეცილების წარდგენის გარდა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ პირველი, ბოლო ან იმ გადამზიდველის მიმართ, რომლის მიერ გადაზიდვისას დაიკარგა, დაზიანდა ტვირთი ან გადაცილებულ იქნა ტვირთის ჩაბარების ვადა; ერთი და იგივე სარჩელი შეიძლება წარედგინოს რამდენიმე გადამზიდველს.

ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების მიერ განხორციელებული ურთიერთობების სამართლებრივი რეგლამენტაციისას მეტად საინტერესოა ასეთი გადამზიდველებისაგან ზიანის მოთხოვნის წესი, ანუ იმის განსაზღვრა, თუ ვის უნდა წაეყენოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან გადაზიდვის ვადის გადაცილებისას. კანონმდებლის განმარტებით, ასეთი მოთხოვნები, შეებებული სარჩელის ან შეცილების წარდგენის გარდა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ პირველი (ვინც დაიწყო გადაზიდვა, ანუ ვინც თავიადან მიიღო ტვირთი გამგზავნისაგან) ან ბოლო (ვინც დაამთავრა გადაზიდვა, ანუ ვინც გადაიტანა ტვირთი დანიშნულების ადგილზე და გადასცა იგი მიმღებს) გადამზიდველის მიმართ. ამასთან, თუ გადაზიდვაში მონაწილეობს ერთმანეთის

ძიმდევარი რამოდენიმე გადამზიდველი, მაგრამ აშკარაა, რომ ტვირთი დაიკარგა, დაზიანდა ან გადაცილებულ იქნა მისი მიტანის ვადა მხოლოდ ერთი გადამზიდველის მიერ ტვირთის გადატანისას, შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამოყენებულ იქნეს უშუალოდ ამ გადამზიდველის მიმართ. ნიშანდობლივია, რომ კანონმდებელი უშვებს ერთი და იგივე სარჩელის რამოდენიმე გადამზიდველისადმი წაყენებასაც.

მუხლი 704. რეგრესის უფლება ზიანის ანაზღაურებისას

თუ ამ თავის მიხედვით გადამზიდველმა უკვე აანაზღაურა ზიანი, მას აქვს უკუმოთხოვნის უფლება შემდეგ შემთხვევებში:

ა. ტვირთის დაკარგვის ან დაზიანების გამომწვევმა გადამზიდველმა მარტომ უნდა აანაზღაუროს მის მიერ ან რამდენიმე გადამზიდველის მიერ ასანაზღაურებელი ზიანი;

ბ. თუ ტვირთის დაკარგვა ან მისი დაზიანება გამოწვეულია ორი ან რამდენიმე გადამზიდველის მიერ, თითოეულმა უნდა აანაზღაუროს პასუხისმგებლობის წილის შესაბამისი თანხა; თუკი ამის დადგენა შეუძლებელია, მაშინ თითოეული პასუხს აგებს მიღებულ გადაზიდვის საზღაურში მათი წილის პროპორციულად;

გ. როცა შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელ გადამზიდველს უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, „ბ“ ქვეპუნქტში მოცემული პროპორციის მიხედვით უნდა გადაიხადოს ყველა გადამზიდველმა.

თუ გადაზიდვა განხორციელდა ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების მიერ და ტვირთის დაკარგვის ან გადაზიდვის ვადის გადაცილების გამო დამდგარი ზიანი უკვე აანაზღაურა ერთ-ერთმა გადამზიდველმა, კანონმდებელი მას ანიჭებს განსაზღვრულ შემთხვევებში უკუმოთხოვნის უფლებას დანარჩენი გადამზიდველებისადმი, ანუ ე.წ. რეგრესის უფლებას. კერძოდ, უკუმოთხოვნა

დასაშვებია ისეთ შემთხვევაში, როცა ტვირთის დაკარგვის ან დაზიანების გამომწვევმა გადამზიდველმა მარტომ უნდა აანაზღაუროს მის მიერ ან რამდენიმე გადამზიდველის მიერ ასანაზღაურებელი ზიანი.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ტვირთის დაკარგვა ან დაზიანება გამოწვეულია ორი ან რამდენიმე გადამზიდველის მიერ (მაგალითად, გადასაზიდი ტვირთის ერთი ნაწილი დაიკარგა ერთი გადამზიდველის მიერ ტვირთის გადატანისას, მეორე ნაწილი კი – მეორე გადამზიდველის მიერ გადაზიდვისას), თითოეულმა უნდა აანაზღაუროს პასუხისმგებლობის წილის შესაბამისი თანხა (ანუ უნდა აანაზღაუროს მის მიერ განხორციელებული გადაზიდვისას დაკარგული ტვირთის ნაწილის (დანაკლისის) ღირებულება). მაგრამ თუ ამის დადგენა შეუძლებელია (ანუ შეუძლებელია იმის გარკვევა, დანაკლისის რა ნაწილს ჰქონდა ადგილი თითოეული გადამზიდველის მიერ გადაზიდვისას), მაშინ თითოეული პასუხს აგებს გადაზიდვის საზღაურში მათი წილის პროპორციულად.

ამასთან, თუ გადაზიდვაში მონაწილეობს რამდენიმე გადამზიდველი, მაგრამ შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელ მათგანს უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, ზიანი უნდა აანაზღაუროს თითოეულმა მათგანმა, მაგრამ მიღებულ გადაზიდვის საზღაურში მათი წილის პროპორციულად.

მუხლი 705 გადამზიდველის გადახდისუუნარობის შედეგები

თუ ერთ-ერთი გადამზიდველი გადახდისუუნაროა, მის მიერ გადასახდელი, მაგრამ ჯერ კიდევ გადაუხდელი თანხა ნაწილდება დანარჩენ გადამზიდველებს შორის მიღებულ გადაზიდვის საზღაურში მათი წილის პროპორციულად.

თუ ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან გადაზიდვის ვადის გადაცილების გამო დამდგარი ზიანის ანაზღაურებისას აღმოჩნდა,

რომ ერთ-ერთი გადამზიდველი გადახდისუუნაროა, ანუ გადახდის საშუალებების უქონლობის გამო არ შესწევს უნარი შეასრულოს ფულადი ვალდებულებანი (აანაზღაუროს ზიანი), მის მიერ გადასახდელი თანხა ნაწილდება დანარჩენ გადამზიდველებს შორის. როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ასეთ დროს იცავს ტვირთზე უფლებამოსილი პირის ინტერესებს. კოდექსი განსაზღვრავს გადასახდელი თანხის გადამზიდველებზე გადანაწილების წესსაც. კერძოდ, ის ნაწილდება მიღებულ გადაზიდვის საზღაურში თითოეული გადამზიდველის წილის პროპორციულად.

მუხლი 706. შედავება განხორციელებული რეგრესის უფლების გამო

გადამზიდველმა, რომლის მიმართაც 704-ე და 705-ე მუხლების თანახმად განხორციელდა უკუმოთხოვნა, არ შეიძლება საცილო გახადოს, რომ უკუმოთხოვნის განმახორციელებელმა გადამზიდველმა უსაფუძვლოდ გადაიხადა თანხა, თუკი გადაწყვეტილება გადახდის შესახებ მიღებულია სასამართლოს მიერ და თუ ეს გადამზიდველი ამ სასამართლო პროცესის შესახებ სათანადოდ იქნა გაფრთხილებული და შეეძლო კიდეც მიეღო მონაწილეობა ამ პროცესში.

როგორც წინა მუხლების განხილვისას იქნა მითითებული, გადამზიდველს, რომელმაც ზიანი აანაზღაურა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება. გადამზიდველს, რომლის მიმართაც განხორციელდა ასეთი უკუმოთხოვნა, შეუძლია საცილო გახადოს, რომ უსაფუძვლოდ იქნა გადახდილი თანხა. ამასთან, კანონმდებელი განსაზღვრავს გარემოებებს, როდესაც გადამზიდველს განხორციელებული რეგრესის უფლების გამო შედავების უფლება არ აქვს, კერძოდ, მას არ შეუძლია შედავება, თუ გადაწყვეტილება გადახდის შესახებ მიღებულია სასამართლოს მიერ და თუ ეს გადამზიდველი ამ სასამართლო პროცესის შესახებ სათანადოდ იქნა გაფრთხილებული, ანუ იცოდა აღნიშნული

საკითხის სასამართლო წესით განხილვის შესახებ და უფრო მეტიც, თავადაც შეეძლო მონაწილეობა ამ პროცესში.

მუხლი 707. ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების ურთიერთშეთანხმება

გადამზიდველებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ 704-ე და 705-ე მუხლებისაგან განსხვავებულ საკითხებზე.

კანონმდებელი ერთმანეთის მიმდევარ გადამზიდველებს ანიჭებს უფლებამოსილებას შეთანხმდნენ სამოქალაქო კოდექსის 704-ე და 705-ე მუხლებისაგან განსხვავებულ საკითხებზე, რომლებიც ეხება ერთ-ერთი გადამზიდველის, რომელმაც აანაზღაურა ზიანი, სხვა გადამზიდველებისაგან უკუმოთხოვნის შესაძლებლობას და გადახდისუუნარო გადამზიდველის გადასახდელი თანხის დანარჩენ გადამზიდველებზე გადანაწილებას.

მუხლი 708. კანონსაწინააღმდეგო შეთანხმების ბათილობა

1. 707-ე მუხლში მოცემული წესების გარდა ყოველი შეთანხმება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ შეესაბამება ამ თავის წესებს, ბათილია. ასეთი შეთანხმებების ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების სხვა დებულებათა ბათილობას.

2. ბათილია ყოველი შეთანხმება, რომლითაც გადამზიდველი ტვირთის დაზვევიდან წარმოშობილ მოთხოვნებს თმობს, და ყოველი სხვა მსგავსი შეთანხმება, რომლითაც მტკიცების ტვირთი სხვა პირზე იქნება გადატანილი.

კანონმდებელი კრძალავს ისეთ შეთანხმებას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირარ არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის იმ თავის წესწებს, რომელიც გადაზიდვის ურთიერთობებს არგეულირებს.

გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ ისეთი შეთანხმებების მიმართ, რომლებიც ეხება ერთ-ერთი გადამზიდველის (რომელმაც აანაზღაურა ზიანი) სხვა გადამზიდველებისაგან უკუმოთხოვნის შესაძლებლობას და გადახდისუუნარო გადამზიდველის გადასახდელი თანხის დანარჩენ გადამზიდველებზე გადანაწილებას. ნიშანდობლივია, რომ ისეთი შეთანხმების ბათილობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ შეესაბამება ამ თავის წესებს, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების სხვა დებულებათა ბათილობას. ამდენად, ხელშეკრულების ის დებულებები, რომლებიც შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

კანონმდებელი ბათილად მიიჩნევს ნებისმიერ შეთანხმებას, რომლითაც გადამზიდველი თმობს ტვირთის დაზღვევიდან წარმოშობილ მოთხოვნებს და შეთანხმებას, რომლითაც მტკიცების ტვირთი სხვა პირზე იქნება გადატანილი.

გადაზიდვის ურთიერთობებთან დაკავშირებული შეთანხმების ბათილობის განსხვავებულ წესს ადგენს 1956 წლის ჟენევის კონვენცია ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ, რომლის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმადაც, ბათილია ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც გადამზიდველი ხდება სარგებლის მიმღები ტვირთის დაზღვევის ხელშკრულებით, ან ნებისმიერი მსგავსი შეთანხმება, რომლითაც მტკიცების ტვირთი ეკისრება მეორე მხარეს.

თავი მეცამეტე

დავალება

მუხლი 709. ცნება

დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე.

დავალების ხელშეკრულება მიეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა ტიპს, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან. პირს ზოგჯერ ამა თუ იმ მიზეზით არ შეუძლია უშუალოდ განახორციელოს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში მისი უფლებები და მოვალეობები; დავალების ხელშეკრულება კი ის სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ასეთ პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს იურიდიული მომსახურების გაწევა, ხელფასის აღება, პარტნიორის მოძებნა, აქციონერთა კრებაზე მონაწილეობის მიღება, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება და ა.შ.

დავალების ხელშეკრულება ორმხრივი, კონსენსუალური ხელშეკრულებაა. მისი მხარეებია, ერთი მხრივ, მარწმუნებელი, რომელიც დავალების მიმცემია და ამ სახის ურთიერთობაში კრედიტორის როლში გამოდის, ხოლო მეორე მხრივ, რწმუნებული, რომელიც კისრულობს დავალებული მოქმედების განხორციელებას და მონაწილეობს მოვალის მხარეზე. ზოგჯერ სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, რწმუნებულს უწოდებენ აგენტს, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 805-ე მუხლის თანახმად, მზღვეველს შეუძლია გააფორმოს დაზღვევის ხელშეკრულება დაზღვევის აგენტის მეშვეობით, რომელსაც სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული აქვს დაზღვევის ხელშეკრულება. დავალების ხელშეკრულების მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც

ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. მარწმუნებლის მითითებები არ შეიძლება იყოს კანონსაწინააღმდეგო, არამართლზომიერი; მან რწმუნებულს უნდა დაავალოს განხორციელებადი და კონკრეტული საქმეების განხორციელება. რწმუნებულს უფლება აქვს და ზოგჯერ მოვალეც არის უარი განაცხადოს დავალებული არამართლზომიერი მოქმედებების განხორციელებაზე.

ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება. ვინაიდან ზემოაღნიშნულ მუხლში არ არის დაკონკრეტებული რწმუნებულის მიერ შესასრულებელი მოქმედების ხასიათი, ამიტომ ასეთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა იმ მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს. როგორც წესი, რწმუნებული უფლებამოსილია იმოქმედოს სამოქალაქო ბრუნვის ნებისმიერ სფეროში მარწმუნებლის სახელით, მაგრამ, თუ მარწმუნებლის დავალება შესასრულებელია სამეწარმეო ურთიერთობის სფეროში, ამ დროს საქმიანობა რეგულირდება არა სამოქალაქო კოდექსის დავალების ხელშეკრულების შესაბამისი მუხლებით, არამედ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლით და ასეთ ურთიერთობაში იგი გამოდის გენერალური სავაჭრო მინდობილობით.

ზოგჯერ კანონი პირს ავალდებულებს რაიმე მოქმედების პირადად განხორციელებას და ამ დროს დავალების ხელშეკრულების საფუძველზე რწმუნებულის მოქმედება დაუშვებელია. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1112-ე მუხლის პირველ წინადადებაში აღნიშნულია, რომ დაქორწინების მსურველ პირთ პირადად შეაქვთ განცხადება მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში. ამ ნორმის თანახმად, ქორწინების რეგისტრაცია მინდობილობის საფუძველზე არ შეიძლება.

მარწმუნებელი მოვალეა ხელი შეუწყოს და დაეხმაროს რწმუნებულს დავალებული მოქმედების შესრულებაში. თავის მხრივ,

რწმუნებული მოქმედებს რა მარწმუნებლის სახელით და მის ხარჯზე, ეს მხარეთა შორის ურთიერთობის განსაკუთრებულ ხასიათზე მიუთითებს, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთნდობას და საიმედოობას. რწმუნებულმა დავალებული საქმეები უნდა აწარმოოს კარგი მმართველის გულისხმიერებით. დავალების ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე რწმუნებული მის მიერ განხორციელებული მოქმედების შედეგად არ იძენს რაიმე უფლება-მოვალეობებს, ამიტომ მან კარგად უნდა გაიაზროს დავალების მიზანი და დავალებული საქმის ხასიათი, ხოლო მარწმუნებელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ მის მიერ მიცემული დავალებით ზიანი არ მიადგეს რწმუნებულს, წინასწარ უნდა მისცეს მას სახარჯო ფული, აუნაზღაუროს გაწეული ხარჯები;

სამოქალაქო კოდექსის დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლებში (709-722) გათვალისწინებული არ არის სპეციალური მოთხოვნა ხელშეკრულების ფორმის თაობაზე, ამიტომ იგი შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმითაც, მაგრამ დაცული უნდა იქნეს 709-ე მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მარწმუნებელმა უნდა მისცეს რწმუნებულს რაიმე მოქმედების განხორციელების მინდობილობა. მინდობილობის მიცემა აუცილებელია იმისათვის, რომ რწმუნებულსა და მესამე პირს შორის მარწმუნებლის მიერ დავალებული სამართლებრივი ურთიერთობა აღმოცენდეს და მოწესრიგდეს. რწმუნებული მესამე პირთან ურთიერთობას ვერ დაამყარებს მინდობილობის გარეშე, მარტო დავალების ხელშეკრულებით. რწმუნებული მარწმუნებლის სახელით ვერ გამოვა სასამართლოში მინდობილობის გარეშე, მისი სახელით ვერ გააფორმებს სამოქალაქო ხელშეკრულებას და ა.შ. ვინაიდან მინდობილობის შინაარსი და დავალების შინაარსი არ არის ურთიერთგამომრიცხავი დოკუმენტები, ხშირად მათი შინაარსი გაერთიანებულია ერთ დოკუმენტში – მინდობილობაში. სამოქალაქო კოდექსი არც მინდობილობის ფორმის მიმართ ითვალისწინებს რაიმე სპეციალურ წესს, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-

ე მუხლი ეხება წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმებას და მის პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. მოქალაქეთა მიერ გაცემული მინდობილობები უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მუშაობს ან სწავლობს მარწმუნებელი, სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც მოქალაქე სამკურნალოდ იმყოფება, შესაბამისი სამხედრო ნაწილის მიერ, თუ მინდობილობას სამხედრო მოსამსახურე გასცემს. საპატიმროში მყოფი პირის მიერ გაცემულ მინდობილობას დაამოწმებს შესაბამისი საპატიმრო ადგილის ორგანიზაცია. რაც შეეხება ორგანიზაციის სახელით გაცემულ მინდობილობას, მის მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი სანოტარო წესის დაცვით გაფორმებას არ ითვალისწინებს და მეორე ნაწილში მითითებულია, რომ მინდობილობას ორგანიზაციის სახელით გასცემს შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი. როგორც ვხედავთ, საპროცესო კანონი მინდობილობის ნამდვილობისათვის სავალდებულო ფორმად მიიჩნევს სანოტარო წესით დადასტურებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დავალების ხელშეკრულებისთვისაც აუცილებელია სანოტარო ფორმის დაცვა. იგი შეიძლება გაფორმდეს როგორც ზეპირი, ისე მარტივი წერილობითი ფორმითაც, რადგან ფორმის დაუცველობის შედეგებზე სამოქალაქო კოდექსში არაფერია ნათქვამი.

სამოქალაქო კოდექსში არ არის სპეციალური მითითება დავალების ხელშეკრულების ვადის თაობაზეც, რის გამოც იგი შეიძლება დაიდოს როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი ვადით. თუ დავალების ხელშეკრულება გაფორმებულია განსაზღვრული ვადით, მაშინ იგი ძალას კარგავს ამ ვადის გასვლის შემდეგ. დავალების ხელშეკრულების მოქმედების ვადა დამოკიდებულია რწმუნებულისათვის მიცემული დავალების ხასიათზე. იგი შეიძლება გამოხატული იქნეს როგორც დროის გარკვეული პერიოდით

(მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში რწმუნებულს უფლება აქვს შეასრულოს მარწმუნებლის მითითებები), ისე კონკრეტული თარიღით (მაგალითად, რწმუნებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საკასაციო პალატის 2001 წლის 30 აპრილის სასამართლო პროცესზე მარწმუნებლის სახელით).

დავალების ხელშეკრულების ვადა დაკავშირებული უნდა იყოს რწმუნებულისათვის მიცემული მინდობილობის ვადასთან; რადგან დავალების ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ უნდა იყოს მინდობილობის ვადაზე ნაკლები, ამ შემთხვევაში მინდობილობის ნამდვილობის სამართლებრივი საფუძველი აღარ იარსებებს. თუ არც დავალების ხელშეკრულებაში და არც მინდობილობაში არ არის მითითებული კონკრეტული ვადა, რომლის განმავლობაშიც ისინი ძალაში იქნებიან, მაშინ ხელშეკრულება უვადოდ დადებულად უნდა ჩავთვალოთ.

მაგალითი:

თამარ ბუაჩიძემ დავალების ხელშეკრულება მინდობილობის სახით გააფორმა 2000 წლის 5 იანვარს ადვოკატ ნინო ეკალაძესთან, რათა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში მისი სახელით აწარმოოს განქორწინების საქმე. მინდობილობაში კონკრეტული ვადა არ იქნა აღნიშნული. რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა თამარ ბუაჩიძის სარჩელი მოპასუხე ნიკო ბუაძის მიმართ ქორწინების რეგისტრაციის შეწყვეტის თაობაზე. ნინო ეკალაძემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა თამარ ბუაჩიძის სახელით რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და მოითხოვა მისი გაუქმება. სააპელაციო სასამართლომ 2001 წლის 17 მარტს შეამოწმა თამარ ბუაჩიძის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა და იგი უმოძრაოდ დატოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, ვინაიდან ადვოკატ ნინო ეკალაძისათვის მინდობილობის მიცემიდან ერთი წელი გასული იყო და მასში არ იყო მითითებული მოქმედების კონკრეტული ვადა. ამ შემთხვევაში

სააპელაციო სასამართლომ არასწორად ჩათვალა დავალების ხელშეკრულება ვადაგასულად.

მართალია, კანონი დავალების ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტული ვადის მითითებას არ მიიჩნევს საჭიროდ, მაგრამ როგორც დავალების ხელშეკრულებაში, ისე მინდობილობაში მითითებული უნდა იქნეს გაფორმების ზუსტი თარიღი.

მუხლი 710. განაძრჯელი დავალებისათვის

1. მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს განაძრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. განაძრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ განაძრჯელოთი არის მოსალოდნელი.

3. თუ განაძრჯელოს ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ რაიმე ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო განაძრჯელო, ისევე, როგორც ნიხრის არარსებობისას- ჩვეულებრივი განაძრჯელო.

დავალების ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც უსასყიდლო, ისე სასყიდლიანი. თუ რწმუნებულმა მარწმუნებლის სახელით შესრულებული მოქმედებისათვის უნდა მიიღოს გარკვეული საზღაური, ამის თაობაზე მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში სპეციალურად უნდა იქნეს მითითებული, ხოლო, თუ კანონით არის გათვალისწინებული რწმუნებულის მიერ სასყიდლიანი მოქმედების განხორციელება, მაშინ ამის თაობაზე ხელშეკრულებაში სპეციალური მითითება აღარ არის საჭირო. თუ რწმუნებულმა ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებისათვის გარკვეული ფულადი თანხები უნდა დახარჯოს, მაგალითად, სხვადასხვა უწყებებიდან ცნობების მიღებისათვის და ა.შ. ეს თანხები მისთვის მისაცემ განაძრჯელოში

არ შედის, რადგან 709-ე მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ რწმუნებული მოქმედებს მარწმუნებლის ხარჯზე.

ზოგჯერ დავალების ხელშეკრულება შეიძლება პირდაპირ მითითებას გასამრჯელოს თაობაზე არ შეიცავდეს, მაგრამ შესასრულებელი მოქმედების შინაარსი მხოლოდ რწმუნებულის ანაზღაურებად საქმიანობას ითვალისწინებდეს. მაგალითად, თუ ადვოკატმა დავალების ხელშეკრულება გააფორმა პირთან სასამართლოში მისი ინტერესების დასაცავად და ამ ხელშეკრულებაში გასამრჯელოს თაობაზე არ არის მითითებული, იგულისხმება, რომ მხარეები ზეპირი ფორმით არიან შეთანხმებული გაწეული იურიდიული მომსახურებისათვის რწმუნებულისათვის მარწმუნებლის მიერ კონკრეტული თანხის მიცემის თაობაზე. დავალების ხელშეკრულების შინაარსზე გავლენა არ უნდა მოახდინოს იმან, ეს ხელშეკრულება სასყიდლიანია თუ უსასყიდლო, რადგან რწმუნებული ნებისმიერ შემთხვევაში მარწმუნებლის განსაკუთრებულ ნდობას უნდა იმსახურებდეს და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს დავალებული საქმეები.

სამოქალაქო კოდექსში არ არის მითითებული რწმუნებულისათვის მისაცემი გასამრჯელოს განსაზღვრისას რაიმე ტარიფის, პრეისკურანტის ან სხვა იმპერატიული ნორმატივის გამოყენების შესახებ; კანონმდებელი ასეთი გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრას არ ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და მხარეებს მიანდობს მთლიანად მის განსაზღვრას.

მუხლი 711. დავალების გადანდობა მესამე პირისათვის

1. რწმუნებულმა დავალება პირადად უნდა შეასრულოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ნება დართეს გადაენდო იგი მესამე პირისათვის, ანდა იძულებულია ასე მოიქცეს შექმნილი გარემოებების გამო. დაშვებულია დამხმარე პირთა ჩართვა.

2. თუ ნებადართულია დავალების გადანდობა მესამე პირისათვის, მაშინ რწმუნებული პასუხს აგებს მხოლოდ იმ ბრალისა-

თვის, რომელიც მას მიუძღვის გადანდობისას და ამ პირის შერჩევაში.

როგორც წესი, რწმუნებულმა დავალება უნდა შეასრულოს პირადად. ამიტომ ხშირად დავალების ხელშეკრულებაში რწმუნებულის პიროვნება, პროფესია და ა.შ. არსებითი პირობაა, მაგრამ კანონმდებელი უშვებს იმის შესაძლებლობასაც, რომ რწმუნებულმა დავალებული საქმეების შესრულებისათვის დასახმარებლად მიმართოს სხვა პირებს; მაგალითად, გასაყიდი საქონელი შეანახინოს საწყობში; საფინანსო ოპერაციებისათვის მოიწვიოს აუდიტი, გასაყიდი ან შესაძენი შენობის ღირებულების დასადგენად მიმართოს აუდიტს და ა.შ. დახმარების აღმომჩენი პირი არ არის ვალდებული მარწმუნებლის წინაშე, თუ ამის თაობაზე, სპეციალური შეთანხმება არ არის გათვალისწინებული მინდობილობაში ან დავალების ხელშეკრულებაში. მარწმუნებელს უფლება აქვს გადაანდოს მესამე პირს დავალება სრულად ან ნაწილობრივ მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ პირობით, რაც გათვალისწინებულია მხარეთა შეთანხმებით დავალების ხელშეკრულებაში. გადანდობა წარმოადგენს დავალების ხელშეკრულებაში რწმუნებულის შეცვლის განსაკუთრებულ შემთხვევებს, რადგან ამისათვის საჭიროა მარწმუნებლის სპეციალური ნებართვა, ან კიდევ გარკვეულ გარემოებათა გამო რწმუნებული იძულებული უნდა იყოს შეიცვალოს სხვა პირით მარწმუნებლის ინტერესების დასაცავად. როგორც ვალის გადაკისრების შემთხვევაში (სამოქალაქო კოდექსის 203-205-ე მუხლები), ამ დროსაც საჭიროა მარწმუნებლის თანხმობა დავალების მესამე პირისათვის გადანდობისათვის, მას უფლება აქვს შეამოწმოს რწმუნებულის მიერ შერჩეული პირი, მაგრამ ასეთი მესამე პირის შერჩევისათვის მარწმუნებლის წინაშე პასუხს აგებს რწმუნებელი.

რწმუნებელი პასუხს აგებს ასევე დამხმარე პირის შერჩევისთვისაც, ასეთი პირის მიერ მიყენებული ზიანი მარწმუნებელს უნდა აუნაზღაუროს რწმუნებულმა, მაგრამ, თუ დავალების ხელშეკრულებაში მარწმუნებელმა პირდაპირ მიუთითა კონკრეტული დამხ-

მარე, მაგალითად, აუდიტი პავლიაშვილი და საჭიროების შემთხვევაში რწმუნებულმა მხოლოდ აღნიშნულ პირს უნდა მიმართოს, მაშინ მის მიერ არასწორი დახმარებით მიყენებული ზიანისათვის რწმუნებული პასუხს არ აგებს.

მუხლი 712. მარწმუნებლის მითითებიდან გადახვევა

1. რწმუნებული მოვალეა შეასრულოს მარწმუნებლის მითითებები.

2. რწმუნებულს შეუძლია გადაუხვიოს მარწმუნებლის მითითებებს, თუ გარემოებებიდან გამომდინარე, მას შეუძლია ივარაუდოს, რომ მარწმუნებელი საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში მოიწონებდა ასეთ გადახვევას. რწმუნებული მოვალეა მითითებებისაგან გადახვევამდე შეატყობინოს მარწმუნებელს და დაელოდოს მის გადაწყვეტილებას, თუკი დაყოვნებით მარწმუნებელს არ შეექმნება ზიანის მიყენების საფრთხე.

3. თუ რწმუნებულის მიერ მითითებების შესრულებამ შეიძლება მარწმუნებელს მიაყენოს მნიშვნელოვანი ზიანი, მას შეეძლება მითითებების შესრულება მხოლოდ მაშინ, როცა აცნობებს მარწმუნებელს ზიანის თაობაზე, ხოლო ეს უკანასკნელი კი არ შეცვლის თავის მითითებას.

რწმუნებული მოქმედებს ძირითადად საკუთარი შეხედულებისამებრ სამუშაოს შესრულებისას, მაგრამ მისი მოქმედება უნდა განხორციელდეს იმ მინდობილობის ფარგლებში, რომელიც გაცემული იქნა მარწმუნებლის მიერ.

ვინაიდან რწმუნებული დავალებულ საქმეებს ახორციელებს მარწმუნებლის სახელით, იგი მოვალეა შეასრულოს მარწმუნებლის მითითებები. ზოგჯერ მარწმუნებელმაც შეიძლება არ იცოდეს კონკრეტულად რა საშუალებებით შეიძლება შესრულდეს მისი დავალება, მაგრამ ამაში აუცილებლად გარკვეული უნდა იყოს

რწმუნებული. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, რომ მარწმუნებლის მოთხოვნის შინაარსი ნათლად და გარკვევით იყოს გამოხატული, რწმუნებულისათვის ნათელი უნდა იყოს, რას ავალებს მარწმუნებელი. თუ ასეთი მითითებები არ არის გარკვევით ჩამოყალიბებული მარწმუნებლის მიერ, რწმუნებულს უფლება აქვს ამტკიცოს, რომ მან ბუნდოვანი, გაურკვეველი მითითება მიიღო მარწმუნებლისაგან; ხოლო, თუ მარწმუნებლის მითითება არ შეესაბამება კანონს და არამართლზომიერია, მაშინ რწმუნებულს უფლება აქვს და ზოგჯერ მოვალეც არის უარი განაცხადოს მის შესრულებაზე. ზოგჯერ შეიძლება რწმუნებულს ჰქონდეს შესაძლებლობა დავალებული ხელშეკრულება გააფორმოს უკეთესი პირობებით, ვიდრე მარწმუნებლის მითითება შეიცავს ამ ხელშეკრულების პირობებს, შინაარსს, მაგრამ მას არა აქვს უფლება დამოუკიდებლად შეცვალოს დავალების შესრულების საშუალების და წესის შესახებ მითითება. გამონაკლისს ამ წესიდან ითვალისწინებს კოდექსი იმ შემთხვევაში, როცა რწმუნებული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე იძულებულია გადაუხვიოს მარწმუნებლის მითითებებს და წინასწარ არ შეუძლია შეუთანხმდეს ამის თაობაზე ან გარკვეულ (დათქმულ) ვადაში რწმუნებულმა ვერ მიიღო შეკითხვაზე პასუხი.

მაგალითი:

ნიკო მიქავამ 2000 წლის ნოემბერში კუთვნილი 2 ტონა თხილის გაყიდვა დაავალა არჩილ გეგენავას, თვითონ კი უკრაინის რესპუბლიკაში გაემგზავრა ერთი წლით სამუშაოდ; არჩილ გეგენავას თხილის გაყიდვა 2001 წლიდან უნდა დაეწყო, მაგრამ მან შეიტყო, რომ ახალი წლიდან ბაზარზე თხილის ფასი დაეცემოდა, ამიტომ გადაწყვიტა მისი რეალიზაცია მოეხდინა იმავე წელს მაქსიმალურ ფასში; ვინაიდან მარწმუნებლის მისამართი უკრაინაში არ იცოდა, ამის თაობაზე ვერ შეუთანხმდა.

თუ რწმუნებულს აქვს შესაძლებლობა შეეკითხოს მარწმუნებელს დავალებული მოქმედების პირობების შეცვლის შესახებ და არ შეეკითხება, ან პასუხს არ დაელოდება, მაშინ ყველა უარყოფით შედეგზე პასუხს აგებს რწმუნებული. თუ რწმუნებული იძულებულია დაუყოვნებლივ შეცვალოს მითითება, მაშინ იგი მოვალეა პირველსავე შეძლებისთანავე აცნობოს ამის შესახებ მარწმუნებელს.

მაგალითი:

ვანო დევდარიანმა ხარაგაულის რაიონის სოფელ ვარძიაში შეიძინა მიწის ნაკვეთი აგარაკის ასაშენებლად. მან თავის მეგობარს ნიკო მაღრაძეს, რომელიც არის მშენებელი, გაუფორმა დავალების ხელშეკრულება და მიანდო აგარაკის მშენებლობის საქმეების გაძღოლა. ნიკო მაღრაძემ ვანო დევდარიანის სახელით ნარდობის ხელშეკრულება გააფორმა საამშენებლო ფირმასთან. შენობის საძირკველის ამოყვანისას გაირკვა, რომ ვანო დევდარიანის მიწის ნაკვეთი დამეწყრილ ზონაში იმყოფებოდა და ამის გამო აშენებული აგარაკის დანგრევის რეალური საფრთხე არსებობდა. ამის თაობაზე რწმუნებულმა აცნობა მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, მაგრამ მარწმუნებელმა არ შეცვალა თავისი მითითება და ნიკო მაღრაძეს თხოვა გაგრძელებულიყო აგარაკის მშენებლობა.

მუხლი 713. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

1. რწმუნებული მოვალეა მისცეს მარწმუნებელს აუცილებელი ინფორმაცია, ხოლო მისი მოთხოვნით – მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს მას ანგარიში.

2. შეთანხმება, რომლითაც მომავალში შეიზღუდება ან გამოირიცხება რწმუნებულის მოვალეობები ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საჭიროებს წერილობით ფორმას.

დავალების ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რწმუნებული მოვალეა პერიოდულად მიაწოდოს მარწმუნებელს ინფორმაცია მისი მითითებების შესრულების თაობაზე; ვინაიდან 713-ე მუხლის პირველი ნაწილით რწმუნებულს ეკისრება ასეთი მოვალეობა, იგი არ უნდა დაელოდოს ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მარწმუნებლის მოთხოვნას, თავისი ინიციატივით უნდა უზრუნველყოს ასეთი ინფორმაციის მიწოდება. რწმუნებულმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მარწმუნებელს იმ გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს დავალებული საქმეების შესრულებაში. რწმუნებულისათვის ასეთი მოვალეობის დაკისრება მარწმუნებელს აძლევს საშუალებას დავალების ხელშეკრულების მიმდინარეობის შესახებ მუდმივად იყოს საქმის კურსში, აუცილებლობის შემთხვევაში კი დროული რეაგირება მოახდინოს და აღმოფხვრას ის საფრთხე, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მისი დავალების შესრულებაში.

ინფორმაციის შეტყობინების ძირითადი მოვალეობის გარდა რწმუნებულს ეკისრება ასევე დამატებითი მოვალეობა – მარწმუნებლის მოთხოვნისთანავე აცნობოს მას საქმეთა მიმდინარეობის შესახებ; ხოლო დავალების შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.

713-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ იმაზე, რომ რწმუნებული შეიძლება გათავისუფლდეს ინფორმაციის მიწოდების მოვალეობისაგან, ან კიდევ ნაწილობრივ შეიზღუდოს მისი მოვალეობა, მაგრამ ასეთი შეთანხმება წერილობითი ფორმით უნდა იქნეს გაფორმებული.

მუხლი 714. საიდუმლოების შენახვის ვალდებულება

1. რწმუნებული მოვალეა არ გაახმაუროს თავისი საქმიანობის ფარგლებში მისთვის ცნობილი ფაქტები, რომელთა საიდუმლოდ შენახვითაც მარწმუნებელი მართლზომიერადაა დაინტერესებული, თუკი კანონის საფუძველზე არ არსებობს საიდუმლოების გამჟღავნების

მოვალეობა, ან მარწმუნებელი ნებას დართავს რწმუნებულს გაამჟღავნოს იგი.

2. ფაქტების გაუხმაურებლობის მოვალეობა არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობების დამთავრების შემდეგაც.

მარწმუნებელმა ზოგჯერ თავისი პირადი ცხოვრების, კომერციული თუ სხვა სახის საქმიანობასთან დაკავშირებული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია უნდა გაანდოს რწმუნებულს დავალებული საქმეების შესასრულებლად. ამ დროს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ რწმუნებულმა არ უნდა გაახმაუროს ასეთი ინფორმაცია; მაგრამ, თუ დავალების ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში მისთვის ცნობილი გახდა ისეთი ფაქტები, რომლებიც, მართალია, საიდუმლოების შემცველია, მაგრამ კანონით არ არის გათვალისწინებული ასეთი ფაქტების გაუმჟღავნებლობის მოვალეობა, ან კიდევ მარწმუნებელი მათი გამჟღავნების ნებას რთავს, მაშინ რწმუნებული ასეთი მოვალეობისაგან თავისუფალია.

714-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, რწმუნებული მოვალეა არ გაახმაუროს მარწმუნებლის საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია დავალების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც.

მუხლი 715. დავალების შესასრულებლად გადაცემულის უკან დაბრუნების მოვალეობა

1. რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად და არ გამოიყენა ამისათვის, აგრეთვე ისიც, რაც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით.

2. თუ რწმუნებული თავისთვის იყენებს ფულს, რომელიც მას უნდა დაებრუნებინა მარწმუნებლისათვის ან გამოეყენებინა მის სასარგებლოდ, რწმუნებული ვალდებულია დააბრუნოს ფული პროცენტთან ერთად.

დავალების ხელშეკრულების შესრულების შემდეგაც ეკისრება რწმუნებულს მთელი რიგი მოვალეობები. ასეთი მოვალეობების შესახებ მითითებულია 715-ე მუხლში, რომელიც სამი სახის მოვალეობებს განასხვავებს. დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ რწმუნებულის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად, მაგალითად, თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ დავალების ხელშეკრულებით რწმუნებულს დაავალა ამ ნაკვეთის გაყიდვა და გადასცა მას გასაყიდი მიწის ნაკვეთის თაობაზე დოკუმენტები, მინდობილობის ვადის გასვლის შემდეგ რწმუნებული მოვალეა მარწმუნებელს დაუბრუნოს ის დოკუმენტები, რომლებიც მას არ დასჭირდა მიწის ნაკვეთის გასხვისებისათვის. რწმუნებული მოვალეა ასევე დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველა ის ნივთი, რომელიც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით, ასევე ამ ნივთის ნაყოფიც. თუ რწმუნებულმა თავისი სახელით შეიძინა საქმის წარმოების შედეგად გარკვეული უფლებები, ეს უფლებებიც უნდა გადასცეს მარწმუნებელს.

მაგალითი:

თედო კახურაშვილი არის ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც კახური ღვინით ვაჭრობს. მან დავალების ხელშეკრულება გააფორმა ანზორ პოპიაშვილთან, რომელსაც მისთვის კახური ღვინო უნდა ეყიდა და თბილისში ჩამოუტანა. ანზორ პოპიაშვილმა ლილოს ბაზრობაზე შეიძინა ღვინის შესანახი 20 ლიტრიანი ბოთლები თედო კახურაშვილის ხარჯებით. კახეთიდან ღვინის ჩამოტანის შემდეგ ანზორ პოპიაშვილმა თავისთვის დაიტოვა ღვინის შესანახი ჭურჭელი, მაგრამ ინდივიდუალურმა მეწარმემ მოითხოვა მისი უკან დაბრუნება სამოქალაქო კოდექსის 715-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების საფუძველზე.

თუ მარწმუნებელმა დავალებული საქმეების განსახორციელებლად საქმის საჭიროებისათვის რწმუნებულს მისცა გარკვეული

ფულადი თანხა, მაგრამ დავალების ხელშეკრულების პერიოდში რწმუნებულმა დახარჯა ეს ფული და თავისთვის, პირადი საჭიროებისათვის გამოიყენა, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იგი მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს არა მარტო ეს თანხა, არამედ მისი პროცენტებიც.

რწმუნებული მოვალეა ასევე დავალების შესრულების ან ვადამდე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მარწმუნებელს დაუბრუნოს მიცემული მინდობილობა.

მუხლი 716. მარწმუნებლის ქონების არეზუმცია

ქონება, რომელიც რწმუნებულმა დავალებული მოქმედების შესრულებისას შეიძინა მარწმუნებლის ხარჯზე და საკუთარი სახელით, ან მარწმუნებელმა გადასცა მას დავალებული მოქმედების შესასრულებლად, კრედიტორებთან რწმუნებულის ურთიერთობაში ჩაითვლება მარწმუნებლის ქონებად.

ეს მუხლი იცავს მარწმუნებლის ქონებრივ უფლებებს იმ შემთხვევაში, როცა რწმუნებული მისი დავალებითა და სახსრებით შეიძენს ქონებას და ამ ქონების თაობაზე მარწმუნებლის კრედიტორებსა და რწმუნებულს შორის რაიმე ურთიერთობა წარმოიშობა, იგი ყოველთვის მიჩნეულ უნდა იქნეს მარწმუნებლის ქონებად. მარწმუნებლის საკუთრებაში რჩება ის ქონებაც, რომელიც მან დავალებული მოქმედების შესასრულებლად გადასცა რწმუნებულს.

მუხლი 717. ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა

1. მარწმუნებელმა უნდა აუნაზღაუროს რწმუნებულს მინდობილი მოქმედების შესასრულებლად გაწეული აუცილებელი ხარჯები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მოთხოვნა არ არსებობს, თუ ხარჯები გასამრჯელოთი უნდა დაიფაროს.

3. რწმუნებულს შეუძლია მოსთხოვოს მარწმუნებელს ავანსი იმ ხარჯებისათვის, რომლებიც მას უნდა აუნაზღაურდეს.

მართალია, სამოქალაქო კოდექსი არ ავალდებულებს რწმუნებულს შეასრულოს დავალება თავისი ხარჯებით და შემდეგ მოითხოვოს მისი ანაზღაურება, მაგრამ, თუ რწმუნებულმა დავალებული საქმეები განახორციელა საკუთარი ხარჯებით, მაშინ დავალების ხელშეკრულების შესრულების შემდეგ მას უფლება აქვს მოსთხოვოს მარწმუნებელს ამ ხარჯების ანაზღაურება, ხოლო მარწმუნებელი კი მოვალეა აანაზღაუროს ეს ხარჯები, მაგრამ აქ გათვალისწინებული უნდა იქნეს 717-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ მარწმუნებელი მოვალეა აანაზღაუროს მხოლოდ რწმუნებულის მიერ გაწეული აუცილებელი ხარჯები. მართალია, ამ ხარჯების ანაზღაურების ფარგლები კანონით არის დადგენილი, მაგრამ მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ასეთი ხარჯების განსაზღვრულ ოდენობაზე. თუ რწმუნებულმა ისე დახარჯა საკუთარი ფული, რომ დავალებული საქმის შესრულება არ მოითხოვდა ასეთ ხარჯებს, მაშინ მარწმუნებელს შეუძლია უარი განაცხადოს მის ანაზღაურებაზე.

თუ დავალების ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდებიან იმაზე, რომ რწმუნებულის მიერ დავალებული საქმის შესასრულებლად გაღებული ხარჯები საშუალოდ იანგარიშება და დაემატება მის გასამრჯელოს, მაშინ ასეთი ხარჯების ცალკე ანაზღაურების მოთხოვნა რწმუნებულს არ წარმოეშობა.

რწმუნებულს უფლება აქვს ასევე მინდობილი საქმეების დაწყებისას მოთხოვოს მარწმუნებელს ავანსის გაცემა.

მუხლი 718. ბრალის გარეშე დამდგარი ზიანის ანაზღაურება

1. მარწმუნებელი მოვალეა აანაზღაუროს მისი ბრალის გარეშე დამდგარი ზიანიც, რომელიც წარმოეშვა რწმუნებულს დავალებუ-

ლი მოქმედების შესრულებისას, თუ ზიანი დადგა დავალებული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხის შედეგად მარწმუნებლის მითითების გამო.

2. პირველი ნაწილის მიხედვით მოთხოვნა არ არსებობს, თუ დამდგარი ზიანი გასამრჯელოთი უნდა დაიფაროს, ან თუ ზიანი გამოწვეულია რწმუნებულის მოქმედებით, თუ სადავო გახდება გასამრჯელოთი ზიანის დაფარვა, მაშინ მტკიცების მოვალეობა ეკისრება რწმუნებულს.

რწმუნებული მინდობილ საქმიანობას ახორციელებს საკუთარი რისკის ფარგლებში, მაგრამ, თუ დავალების ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში რწმუნებულს მიადგა რაიმე ზიანი და ეს ზიანი გამოწვეული იყო მარწმუნებლის მითითებების შესრულების შედეგად, მარწმუნებელს ეკისრება ასეთი ზიანის ანაზღაურება. სამოქალაქო კოდექსის 718-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ასევე მარწმუნებლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებას იმ შემთხვევაშიც, თუ მას ბრალი არ მიუძღვის რწმუნებულის ზიანის მიყენებაში, მაგრამ რწმუნებულს ეს ზიანი მიადგა დავალებული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხის შედეგად, ხოლო, თუ ეს ზიანი გამოწვეულია რწმუნებულის მოქმედებით, მაშინ მარწმუნებელი თავისუფლდება ასეთი მოვალეობის შესრულებისაგან; მაგრამ, თუ დავალების ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ მარწმუნებლის მიერ მიცემული გასამრჯელოთი უნდა დაიფაროს ასევე რწმუნებულისათვის მიყენებული ზიანიც, მაშინ ასეთი ზიანის მიყენების შემთხვევაში მარწმუნებელი თავისუფლდება მისი ანაზღაურების მოვალეობისაგან. ზოგჯერ, ასეთი შეთანხმების მიუხედავად, რწმუნებულმა შეიძლება მაინც მოსთხოვოს მარწმუნებელს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მაშინ სამოქალაქო კოდექსის 718-ე მუხლის მეორე ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, რწმუნებულმა უნდა ამტკიცოს, რომ იგი მარწმუნებელს

არ შეთანხმებია მიყენებული ზიანი სრული მოცულობით გასამრჯელოთი რომ დაფარულიყო.

მუხლი 719. ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

თუ რწმუნებული უსასყიდლოდ ასრულებს მისთვის დავალებულ მოქმედებებს, იგი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნე, რწმუნებულმა მარწმუნებლის მიერ დავალებული საქმეები უნდა შეასრულოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით იმისდა მიუხედავად, იგი გასამრჯელოს იღებს თუ არა ასეთი მოქმედებისათვის, მაგრამ 719-ე მუხლი გარკვეულ შეღავათს ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ რწმუნებული უსასყიდლოდ მოქმედებს და ასეთი მოქმედებით ზიანი მიაყენა მარწმუნებელს განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე.

მუხლი 720. დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა

1. **დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია.**

2. **თუ ხელშეკრულება რწმუნებულმა მაშინ შეწყვიტა, როდესაც მარწმუნებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად უზრუნველყო თავისი ინტერესები, რწმუნებულმა უნდა აანაზღაუროს ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა რწმუნებულს ამისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა.**

3. **თუ ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის მიერ, მაშინ ის მოვალეა აუნაზღაუროს რწმუნებულს მინდობილი მოქმედების შესრულებისას გაწეული ყველა აუცილებელი ხარჯი, ხოლო, თუ**

ხელშეკრულება სასყიდლიანი იყო, — გადაუხადოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოს კვალობაზე.

რწმუნებულს უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარი თქვას დავალებაზე, ხოლო მარწმუნებელს უფლება აქვს შეწყვიტოს დავალების ხელშეკრულება. ამდენად, დავალების ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს (მომენტში) მხარეთა შეხედულებისამებრ ცალმხრივად. ამიტომ ცალმხრივი უარი დავალებაზე დაიშვება და იგი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა. უფრო მეტიც, კანონი ითვალისწინებს იმ შეთანხმების ბათილობას, რომლითაც არ დაიშვება ცალმხრივი უარი დავალების შეწყვეტაზე.

ეს წესი იმით არის განპირობებული, რომ ჩვეულებისამებრ მარწმუნებელს და რწმუნებულს შორის უნდა არსებობდეს განსაკუთრებული ნდობა და, თუ ეს ნდობა დაიკარგა, ნებისმიერ მომენტში უნდა შეეძლოს ორივე მხარეს უარი თქვას დავალების ხელშეკრულებაზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსით არ არის გათვალისწინებული ისეთი ზემოქმედების სამართლებრივი საშუალება, რომლითაც მარწმუნებელი აიძულებდა რწმუნებულს შეესრულებინა დავალება იმ შემთხვევაშიც, თუ ამ უკანასკნელს არ სურდა მისი შესრულება. რწმუნებულს სრულად უნდა ენდობოდეს მარწმუნებელი, არ შეიძლება მარწმუნებელმა მესამე პირს დაავალოს რაიმეს შესრულება რწმუნებულის ხარჯზე, რადგან დავალების ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე და კანონის მოთხოვნით რწმუნებულმა დავალება უნდა შეასრულოს პირადად. რამდენადაც კანონი უშვებს დავალების ცალმხრივ შეწყვეტას, ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია შეწყვეტის მომენტის ზუსტი დადგენა, რადგან ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები ეხება როგორც მხარეებს, ასევე კვალა იმ მესამე პირს, რომელთანაც სამართლებრივი ურთიერთობა დაამყარა რწმუნებულმა მარწმუნებლის სახელით.

მუხლი 721. მარწმუნებლის გარდაცვალების შედეგები.

1. ხელშეკრულება არ წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების ან ქმედუუნარობის დადგომის გამო, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან სხვა რამ არ გამომდინარეობს მინდობილობის შინაარსიდან.

2. თუ ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების ან მისი ქმედუუნარობის დადგომის გამო, რწმუნებული ვალდებულია გააგრძელოს დავალებული მოქმედების შესრულება, თუ დაყოვნება მარწმუნებელს ან მის მემკვიდრეებს შეუქმნის ზიანის მიყენების საფრთხეს, ვიდრე მემკვიდრე ან მარწმუნებლის კანონიერი წარმომადგენელი არ მიიღებს აუცილებელ ზომებს. ამასთან, სახელშეკრულებო ურთიერთობა ჩაითვლება გაგრძელებულად.

3. თუ ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების ან მისი ქმედუუნარობის დადგომის გამო, მაშინ იგი ჩაითვლება რწმუნებულისათვის გაგრძელებულად, ვიდრე მას არ ეცნობება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების შესახებ.

სამოქალაქო კოდექსი დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალს არ გვთავაზობს. უფრო მეტიც, მარწმუნებლის გარდაცვალება არ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს. მარწმუნებლის სიკვდილი ან მისი ქმედუუნაროდ ცნობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, თუ ამის თაობაზე მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებით, ან კიდევ მინდობილობის შინაარსი პირდაპირ მიუთითებს აღნიშნულზე, მაგრამ, ასეთი შეთანხმების მიუხედავად, 721-ე მუხლის მეორე ნაწილი ავალდებულებს რწმუნებულს გააგრძელოს დავალებული საქმეების შესრულება, თუ იგი აუცილებელია ქმედუუნაროდ ცნობილი მარწმუნებლის ინტერესებისათვის ან კიდევ გარდაცვლილი მარწმუნებლის მემკვიდრეებს რაიმე საფრთხე რომ არ შეექმნათ. ამ დროს დავალების ხელშეკრულება ჩაითვლება გაგრძელებულად იქამდე, სანამ მარწ-

მუნებლის მემკვიდრე ან კანონიერი წარმომადგენელი არ მიიღებს აუცილებელ ზომებს მათი ინტერესების დასაცავად, ხოლო რწმუნებულს კი მთელი ამ პერიოდისათვის აქვს გასამრჯელოს მოთხოვნის უფლება.

მარწმუნებლის გარდაცვალება ან მისი ქმედუნარიანობის დაკარგვა ავტომატურად არ იწვევს დავალების ხელშეკრულების შეწყვეტას, რადგან სანამ რწმუნებულისათვის არ გახდება ცნობილი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები, იქამდე იგი ჩაითვლება რწმუნებულისათვის გაგრძელებულად.

მუხლი 722. რწმუნებულის გარდაცვალების შედეგები

1. ხელშეკრულება წყდება რწმუნებულის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან სხვა რამ არ გამომდინარეობს მინდობილობის შინაარსიდან.

2. რწმუნებულის სიკვდილის შემთხვევაში მისი მემკვიდრეები ვალდებულნი არიან აცნობონ მარწმუნებელს ამის შესახებ და მიიღონ აუცილებელი ზომები მარწმუნებლის ინტერესების დასაცავად.

რწმუნებულის გარდაცვალებაც უპირობოდ არ იწვევს დავალების ხელშეკრულების შეწყვეტას, რადგან შეიძლება მხარეთა შეთანხმებით რწმუნებულის უფლება-მოვალეობები გადაეცეს მის უფლებამონაცვლეს, მემკვიდრეს და ა.შ.

რწმუნებულის გარდაცვალების შემთხვევაში კი მისი მემკვიდრეები მოვალენი არიან შეატყობინონ მარწმუნებელს; ასევე მისი ინტერესების დასაცავად გაატარონ აუცილებელი ღონისძიებები.

მუხლი 723. კომისიის ხელშეკრულება

კომისიის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება კანონი მეწარმეთა შესახებ.

კომისიის ხელშეკრულების მხარეებია: კომიტენტი, რომელიც დავალების მიმცემია და კომისიონერი, რომელიც მოქმედებს კომიტენტის დავალებით. კომისიის ხელშეკრულებას ეხება სამოქალაქო კოდექსის მხოლოდ ერთი 723-ე მუხლი, რომელიც მოცემულია დავალების ხელშეკრულების თავში. ისევე როგორც დავალების ხელშეკრულება, კომისიის ხელშეკრულებაც მიეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა ტიპს, რომელიც დაკავშირებულია კომიტენტის (მარწმუნებლის) დავალებით გარკვეული მოქმედების შესრულებასთან.

კომიტენტსა და კომისიონერს შორის ურთიერთობა წესრიგდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-11 მუხლით. (დაწვრილებით იხილეთ: ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი მეორე გამოცემა, გვ. 131-154)

თავი მეთოთხმეტე

საკუთრების მინდობა

მუხლი 724. ცნება

საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით საკუთრების მიმნდობი გადასცემს ქონებას მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად.

საკუთრების მინდობას, როგორც სამართლის ინსტიტუტს, პირველად ვხვდებით ჩვენს კანონმდებლობაში. საკუთრების მინდობა ანუ „ტრასტი" დამახასიათებელია ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემისათვის. საკუთრების მინდობის ინსტიტუტი შეუცვლელია იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს საჭიროება რეალური მესაკუთრის ნაცვლად სამოქალაქო ურთიერთობებში ფიგურირებდეს ნომინალური (მინდობილი) მესაკუთრე. სწორედ ამ მიზნით იქნა შემუშავებული საკუთრების მინდობის კონსტრუქცია შუა საუკუნეების ინგლისში, სადაც იმ დროისათვის გარკვეულ პირთა წრისათვის მოქმედებდა აკრძალვები მიწაზე საკუთრების უფლების შეძენაზე. აკრძალვების გვერდის ავლის მიზნით ეს პირები მიწაზე საკუთრების უფლებას იძენდნენ სხვა პირების – მინდობილი მესაკუთრის სახელით. საკუთრების მინდობის ინსტიტუტი ამჟამად ფართოდ გამოიყენება საერთო სამართლის ქვეყნებში და მასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრეცედენტული სამართალი.

საკუთრების მინდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, ე.ი. ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი). საკუთრების მინდობის ინსტიტუტის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ საკუთრების უფლება ამ შემთხვევაში თითქოს გახლეჩილი სახითაა წარმოდგენილი, კერძოდ, მესაკუთრის უფლება-

მოსილებათა ერთი ნაწილი, სახელდობრ, ქონების მართვა და განკარგვა ეკუთვნის ერთ პირს – მინდობილ მესაკუთრეს, ხოლო მეორე ნაწილი – ქონების ექსპლუატაციისაგან შემოსავლის, ნაყოფის მიღების უფლება – მეორე პირს – საკუთრების მიმნდობს. საკუთრების მინდობა ყველა შემთხვევაში უნდა ხორციელდებოდეს საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად. ეს ინტერესი კი შეიძლება იყოს არა მხოლოდ სარგებლის მიღება ქონებისაგან, არამედ ქონების გაზრდა, ნივთის შენარჩუნება ჯეროვან მდგომარეობაში და სხვ.

საკუთრების მინდობის ხელშეკრულების მოტივი შეიძლება იყოს მესაკუთრის სურვილი გათავისუფლდეს ქონების მართვის ტვირთისაგან ოღონდ ისე, რომ სარგებელი ნახოს ამ ქონების გამოყენებისაგან. ხელშეკრულების ეს სახეობა წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე კაპიტალის გაერთიანების მიზნითაც. მაგალითად, მცირე აქციონერებს შეუძლიათ გააერთიანონ თავიანთი აქციები (ხმები აქციონერთა კრებაზე) და გადასცენ ისინი ერთ პირს – მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც იმოქმედებს მათი ინტერესების შესაბამისად.

მუხლი 725. მინდობილი მესაკუთრის უფლება-მოვალეობანი

1. მინდობილი მესაკუთრე მოვალეა მართოს მინდობილი საკუთრება თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმნდობის რისკით და ხარჯით.

2. მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით. თუ მინდობილი მესაკუთრე, საკუთრების მიმნდობის ინტერესების საწინააღმდეგოდ, არ იჩენს ისეთ გულისხმიერებას, როგორიც მას საკუთარი საქმეების მიმართ უნდა გამოეჩინა, იგი ვალდებულია აანაზღაუროს ამ მოქმედებით გამოწვეული ზიანი.

საკუთრების მინდობის დროს ქონების მესაკუთრე არ იცვლება, არ ხდება საკუთრების უფლების გადასვლა ერთი სუბიექტიდან მეორეზე, შესაბამისად არ გადადის ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებები (ისინი კვლავაც მესაკუთრეს რჩება), ამ დროს ხელშეკრულების ძალით მინდობილი მესაკუთრე აღიჭურვება უფლებით თავისი სახელით განახორციელოს მესაკუთრის უფლებამოსილებები (ფლობა, სარგებლობა და განკარგვა). ამასთანავე, ქონების მესაკუთრეს (საკუთრების მიმნდობს) საკუთრების მინდობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არა აქვს უფლება თავად განახორციელოს მინდობილი მესაკუთრისათვის გადაცემული ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა.

მინდობილი მესაკუთრე გადაცემულ ქონებას მართავს არა საკუთრების მიმნდობის, არამედ თავისი სახელით. იგი ხელშეკრულების შესაბამისად თავისი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად ახორციელებს იურიდიულ და ფაქტობრივ მოქმედებებს ქონების ეფექტიანად გამოყენების მიზნით. მესამე პირებთან ურთიერთობებში იგი სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებებით. ამდენად, მას შეუძლია დადოს ნებისმიერი გარიგება და შეასრულოს სხვა მოქმედებები, რომლებიც ქონების მართვასთანაა დაკავშირებული. მას არა აქვს უფლება მხოლოდ გაყიდოს ქონება, თუ ეს ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული. მინდობილი საკუთრების მართვისათვის აუცილებელი ხარჯები უნდა აანაზღაუროს საკუთრების მიმნდობმა. ეს ხარჯები ძირითადად დაკავშირებულია ქონების მოვლასთან, დაცვასთან, მის ჯეროვან მდგომარეობაში შენარჩუნებასთან, გარიგებების დადებასთან და სხვა აუცილებელ მოქმედებებთან.

მინდობილი მესაკუთრე, მართალია, დამოუკიდებლად მართავს მინდობილ ქონებას, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა შეზღუდულია საკუთრების მიმნდობის ინტერესებით. კანონი მინდობილი მესაკუთრისაგან მოითხოვს ისეთივე გულისხმიერებას მინდობილი ქონების მართვისას, როგორსაც იგი გამოიჩენდა საკუთარი საქმეების მიმართ. მან ყოველთვის უნდა იხელმძღვანელოს საკუთრების მიმ-

ნდობის ინტერესების შესაბამისად და არ დაუშვას ამ ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებები, ქონების გამოყენება საკუთარი ან მესამე პირების ინტერესებისათვის. მაგალითად, მინდობილ მესაკუთრეს არა აქვს უფლება გამოიყენოს გადაცემული ქონება იმ ვალების გასასტუმრებლად, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მინდობილი ქონების მართვასთან, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს ეს ქონება იმ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ასევე არ გამომდინარეობენ მინდობილი ქონების მართვის საქმიანობისაგან. მინდობილმა მესაკუთრემ, აგრეთვე არ უნდა გააქირავოს მინდობილი ქონება საბაზრო ფასებზე დაბალ ფასში, არ უნდა გაასხვისოს ეს ქონება უსასყიდლო გარიგებების გზით და ა.შ. ყველა მსგავსი მოქმედება, რა თქმა უნდა, საკუთრების მიმნდობის ინტერესების საწინააღმდეგოა. ამიტომ ასეთ შემთხვევებში დადგება მინდობილი მესაკუთრის პასუხისმგებლობა, კერძოდ, იგი ვალდებულია აანაზღაუროს ამ მოქმედებებით გამოწვეული ზიანი.

მუხლი 726. საკუთრების მინდობის ხარჯების ანაზღაურება

1. მინდობილი მესაკუთრე მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის საკუთრების მიმნდობისაგან არ იღებს გასამრჯელოს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება საკუთრების მიმნდობს.

3. ქონების ნაყოფი რჩება საკუთრების მიმნდობს.

საკუთრების მინდობის ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც უსასყიდლო, ისე სასყიდლიანი. ორივე შემთხვევაში მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა აანაზღაუროს საკუთრების მიმნდობმა, ხოლო ქონების გამოყენებისაგან მიღებუ-

ლი შემოსავლები, ნაყოფი რჩება საკუთრების მიმნდობს.

თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ ხელშეკრულება სასყიდლიანი იყოს, მაშინ ხელშეკრულებითვე უნდა განისაზღვროს მინდობილი მესაკუთრისათვის გასამრჯელოს გადახდის ფორმა და წესი. გასამრჯელოს ოდენობა შეიძლება განისაზღვროს გადაცემული ქონების გამოყენებისაგან მიღებული შემოსავლების გარკვეული პროცენტის ფორმით, შეიძლება ასევე შეთანხმდნენ მყარად განსაზღვრულ თანხაზე, რომლის გადახდა მოხდება ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად ან ხელშეკრულების შეწყვეტისას, ანდა ნატურით ანაზღაურებაზე და ა.შ.

მუხლი 727. საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ფორმა საკუთრების მინდობის ხელშეკრულება იდება წერილობით.

საკუთრების მინდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. წერილობითი ფორმის დაუცველობა გამოიწვევს საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ბათილობას (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლი).

რადგანაც საკუთრების მინდობის ხელშეკრულება რეალურ ხელშეკრულებებს მიეკუთვნება, ამიტომ მისი დადებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ მხარეთა შეთანხმების წერილობით გაფორმება, არამედ ქონების გადაცემაც მინდობილი მესაკუთრისათვის.

მუხლი 728. მინდობილი მესაკუთრის პასუხისმგებლობა

მესამე პირებთან ურთიერთობაში პასუხს აგებს მინდობილი მესაკუთრე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის თანახმად, მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებებით. აქედან გამომდინარე,

სავსებით მართებულია, რომ წინამდებარე მუხლი მესამე პირებთან ურთიერთობებში პასუხისმგებელ პირად მიიჩნევს მინდობილ მესაკუთრეს. მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან სამოქალაქო ურთიერთობებში პასუხს აგებს მინდობილი ქონებით ყველა იმ ვალდებულებისათვის, რომლებიც წარმოიშობიან მინდობილი ქონების მართვასთან დაკავშირებით (მხედველობაში გვაქვს როგორც სახელშეკრულებო ისე არასახელშეკრულებო ვალდებულებები).

მუხლი 729. დავალების ხელშეკრულების წესების გამოყენება

საკუთრების მინდობის მიმართ გამოიყენება დავალების ხელშეკრულების შესაბამისი წესები

საკუთრების მინდობის ხელშეკრულება თავისი კონსტრუქციით, მხარეთა შორის უფლება-მოვალეობების განაწილების ხასიათით ძალზედ ახლოს დგას დავალების ხელშეკრულებასთან. ამიტომ არის, რომ სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლად მიიჩნევს დავალების ხელშეკრულების წესების გამოყენებას საკუთრების მინდობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებისას. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ განსხვავება სახელშეკრულებო სამართლის ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებითია. დავალების ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომლის დროს რწმუნებული ასრულებს მისთვის დავალებულ (მინდობილ) ერთ ან რამოდენიმე მოქმედებას მარწმუნებლის სახელით, საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით მინდობილი მესაკუთრე მოქმედებს საკუთარი სახელით და მართავს მინდობილ ქონებას. ამ განსხვავების გათვალისწინება აუცილებელია საკუთრების მინდობის მიმართ დავალების ხელშეკრულების წესების გამოყენებისას. ამასთანავე, ეს წესები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების მინდობის შესახებ სამოქალაქო კოდექსის მეთორმეტე თავი არ შეიცავს ურთიერთობების მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებს.

თავი მეთხუთმეტე

სატრანსპორტო ექსპედიცია

მუხლი 730. ცნება

1. ექსპედიციის ხელშეკრულებით ექსპედიტორი კისრულობს თავისი სახელითა და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი. შემკვეთი მოვალეა გადაიხადოს შეთანხმებული პროვიზია.

2. ექსპედიციის მიმართ შესაბამისად გამოიყენება დავალების წესები, თუ ამ თავიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

ექსპედიცია (ლათ. ეხპედიციო – გაგზავნა) განეკუთვნება სატრანსპორტო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ დამხმარე ხელშეკრულებათა კატეგორიას. ტვირთის გადაზიდვის პროცესში წარმოიშობა ტვირთის გაგზავნასთან ან მიღებასთან დაკავშირებული დამხმარე ოპერაციების მთელი კომპლექსის განხორციელების აუცილებლობა. კერძოდ, საჭიროა ტვირთის შეფუთვა, მარკირება, გადატვირთვა-გადმოტვირთვა, გაგზავნის სადგურამდე (ნავსადგურამდე) ან დანიშნულების სადგურიდან მიმღების საწყობში მიტანა და ა.შ. ეპიზოდური გადაზიდვების დროს ეს ოპერაციები შეიძლება განახორციელოს თავად ტვირთის გამგზავნმა ან მიმღებმა. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ამა თუ იმ პირის სახელზე გაგზავნილი ან მიღებული ტვირთის ოდენობა აღწევს დიდ მასშტაბებს, მითითებული ოპერაციების დამოუკიდებლად განხორციელება ეკონომიკური კუთხით გაუმართლებელია. აღნიშნული ოპერაციები დიდი ეფექტურობით შეიძლება განახორციელონ იმ პირებმა, რომლებიც ფლობენ სათანადო ცოდნას და გამოცდილებას ამ სახის მომსახურების გაწევაში. ისინი გამოდიან შუამავლის როლში გადამზიდველსა და მის კლიენტურას შორის. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს ექსპედიციის გამოყენების სფეროს და მისი

სუბიექტების (ექსპედიტორი და შემკვეთი) ფუნქციებს. საექსპედიციო მომსახურებით გამგზავნი და მიმღები თავისუფლდება ტვირთის გადაზიდვის პროცესის ორგანიზაციისა და მისი თანმხლები ოპერაციებისაგან. შესაბამისად, ექსპედიტორის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს თავისი სახელითა და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი.

სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება არის ორმხრივი და სასყიდლიანი. იგი შეიძლება კონსტრუირებული იქნეს როგორც კონსენსუალური (როცა ექსპედიტორი ორგანიზაციას უკეთებს საექსპედიციო მომსახურების გაწევას), ისე რეალური (როცა ექსპედიტორი მომსახურებას ახორციელებს უკვე გადაცემულ ტვირთზე) სახით. როგორც წესი, ხელშეკრულება რეალური მაშინაა, როცა ექსპედიტორი თავად არის გადამზიდველი.

ექსპედიციის სუბიექტია შემკვეთი – მხარე, რომლის ინტერესების შესაბამისადაც ხდება მომსახურების გაწევა, და ექსპედიტორი – მხარე, რომელიც ახორციელებს მომსახურებას. თავის მხრივ, შემკვეთი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი (უპირველეს ყოვლისა, ტვირთის გამგზავნი და მიმღები, ასევე მისი მესაკუთრე), რომელიც დაინტერესებულია საექსპედიციო მომსახურების მიღებაში.

რაც შეეხება ექსპედიტორს, კანონმდებელი მის მიმართ არანაირ შეზღუდვას არ აკეთებს, ანუ ექსპედიტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. ამასთან, ზოგი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად (მაგ.: რუსეთის ფედერაცია), ექსპედიტორი შეიძლება იყოს მხოლოდ მეწარმე, რომელსაც მიღებული აქვს სპეციალური ლიცენზია სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმიანობის განხორციელებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი, რომელიც შეიცავს ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის სახეებისა და ლიცენზიის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოების ჩამონათვალს, საექსპედიციო მომსახურებას არ მიიჩნევს ლიცენზი-

ით ნებადართულ საქმიანობად, მისი პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს მიერ საჰაერო გადაზიდვა-გადაყვანისათვის ლიცენზიის გაცემას. ამდენად, როცა ექსპედიტორი ტვირთის გადაზიდვას საჰაერო ტრანსპორტით ახორციელებს საკუთარი ძალებით, ანუ თავად არის გადამზიდველი, ბუნებრივია, იგი იქნება მითითებული ლიცენზიის მფლობელი სუბიექტი.

სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურება. ამასთან, ასეთი მომსახურება შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. ის პირობითად შეიძლება დავყოთ ძირითად (გადაზიდვის ორგანიზაცია, მათ შორის, გადაზიდვის ხელშეკრულების დადება) და დამატებით მომსახურებად, რომელიც გულისხმობს ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს. დამატებითი მომსახურების სახით ექსპედიტორმა შეიძლება განახორციელოს ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანისათვის ისეთი აუცილებელი ოპერაციები, როგორიცაა ექსპორტისა და იმპორტისათვის საჭირო დოკუმენტების მიღება, საბაჟო და სხვა ფორმალობების შესრულება, ტვირთის რაოდენობისა და მდგომარეობის შემოწმება, სატრანსპორტო საშუალებაზე მისი დატვირთვა და გადმოტვირთვა, გადასახადების გადახდა, ტვირთის შენახვა, მისი მიღება დანიშნულების პუნქტში და ა.შ.

ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც სრულ, ისე ნაწილობრივ სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურებაზე. სრული მომსახურების დროს ექსპედიტორი კისრულობს გადაზიდვასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის შესრულებას (მაგ.: ტვირთის გამგზავნის საწყობიდან მიმღების საწყობამდე გადატანა – „საწყობიდან საწყობამდე“), ნაწილობრივი მომსახურების დროს კი – ტვირთის გაგზავნასთან და მიღებასთან დაკავშირებული ოპერაციების ნაწილს. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ძირითად მომსახურებას შეიძლება დაემატოს დამატებითი.

ექსპედიციის ხელშეკრულების ფორმაზე კოდექსი არ მიუთითებს, ამიტომ ფორმის საკითხის განსაზღვრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ საერთო წესებით გარიგების ფორმის შესახებ.

სატრანსპორტო ექსპედიციის ვადა განისაზღვრება იმ მოქმედების თავისებურებით, რომელიც ექსპედიტორმა უნდა შეასრულოს. ერთჯერადი საექსპედიციო მომსახურებისას, რომელიც გულისხმობს ამა თუ იმ ოპერაციის განხორციელებას (მაგ.: ტვირთის გაგზავნა ან მიღება), იდება ერთჯერადი ექსპედიციის ხელშეკრულება. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა საჭიროა სატრანსპორტო-საექსპედიციო სახის არაერთჯერადი სახის მომსახურება, იდება გრძელვადიანი ხელშეკრულებები.

სატრანსპორტო ექსპედიცია, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს სასყიდლიან კონსტრუქციას. სამოქალაქო კოდექსის 730-ე მუხლის პირველი ნაწილი პირდაპირ განსაზღვრავს შემკვეთის ისეთ ვალდებულებას, როგორიცაა ექსპედიტორისათვის შეთანხმებული პროვიზიის გადახდა. ამდენად, პროვიზია არის ის ფულადი თანხა, რომელიც გასამრჯელოს სახით უნდა მიიღოს ექსპედიტორმა ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებისათვის. ამასთან, პროვიზიის ოდენობა შეიძლება განისაზღვროს როგორც მხარეთა შეთანხმებით, ისე ნიხრის არსებობისას, მის საფუძველზე. შემკვეთის მიერ ექსპედიტორისათვის გადასახდელი პროვიზია უნდა განვასხვაოთ ამ უკანასკნელის მიერ გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებისაგან, რომლებიც ექსპედიტორმა გასწია მომსახურების პროცესში (მაგ.: გადაზიდვის საზღაური, ტვირთის გადატვირთვა-გადმოტვირთვის, გადასახადების გადახდისა და მიბარების ხარჯები).

სატრანსპორტო ექსპედიცია ემიჯნება ისეთ სახელშეკრულებო კონსტრუქციებს, როგორიცაა დავალება და კომისია, მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაცაა. დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული კისრულობს ვალდებულებას მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება განახორციელოს მარ-

წმუნებლის სახელითა და ხარჯზე, ანუ მისი მოქმედებების შედეგად მესამე პირებთან წარმოშობილი ურთიერთობების მონაწილე ხდება მარწმუნებელი. რაც შეეხება ექსპედიციის ხელშეკრულებას, მის საფუძველზე ექსპედიტორი კისრულობს ვალდებულებას თავისი სახელითა და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი, ანუ ექსპედიტორი მომსახურების გაწევისას მესამე პირებთან წარმოშობილ ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით. ამდენად, ექსპედიციის დროს სახეზეა არაპირდაპირი წარმომადგენლობა. სამართლობრივი ურთიერთობის შედეგი დგება ჯერ ექსპედიტორის მიმართ, ხოლო შემდეგ – წარმოდგენილი პირის (შემკვეთის) მიმართ.

დავალების და ექსპედიციის ხელშეკრულებების მომიჯნავე ხასიათს მოწმობს სამოქალაქო კოდექსის 730-ე მუხლის მეორე ნაწილის მითითებითი ნორმა, რომლის საფუძველზეც, ექსპედიციის მიმართ შესაბამისად გამოიყენება დავალების წესები, თუ ამ თავიდან (ე.ი. ექსპედიციის მარეგულირებელი ნორმებიდან) სხვა რამ არ გამომდინარეობს.

რაც შეეხება სატრანსპორტო ექსპედიციისა და კომისიის ხელშეკრულების მომიჯნავე ხასიათს, უნდა აღინიშნოს, რომ კომისიონერი, ისევე როგორც ექსპედიტორი, სამოქალაქო ბრუნვაში გამოდის საკუთარი სახელით და სხვისი ხარჯით, მაგრამ კომისიონერი უფლებამოსილია დადოს გარიგებები მხოლოდ საქონლისა და უფლებების რეალიზაციის ურთიერთობებში, ექსპედიტორს კი ენიჭება მხოლოდ ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურებისა და შესაბამისი გარიგებების დადების უფლება.

მუხლი 731. კეთილსინდისიერების მოთხოვნა ექსპედიტორისაგან

ექსპედიტორმა კეთილსინდისიერი ექპედიტორის გულისხმიერებით უნდა გაგზავნოს ტვირთი, შეარჩიოს გადაზიდვაში მონაწილე

პირები; ამასთან, მან უნდა დაიცვას გამგზავნის ინტერესები და შეასრულოს მისი მითითებები.

ექსპედიტორი ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებულ მოქმედებებს (ძირითად და დამატებით მომსახურებას) ახორციელებს საკუთარი სახელით და შემკვეთის ხარჯზე. ამასთან, კანონმდებელი მას ანიჭებს ვალდებულებას, რომ ისეთი საპასუხისმგებლო მოქმედებანი, როგორიცაა ტვირთის გაგზავნა, გადაზიდვაში მონაწილე პირთა შერჩევა, განახორციელოს კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერებით. საკითხი იმის შესახებ, თუ რა ჩაითვლება კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერებად, კონკრეტული ფაქტის საკითხია. ბუნებრივია, რომ არც ერთ კანონს არ ძალუძს ყველა შემთხვევის ზუსტი რეგლამენტაცია. ამასთან, იგი იძლევა შეფასების შესაძლებლობას და საკითხი, მოქმედებდა თუ არა ექსპედიტორი კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერებით, უნდა გადაწყდეს მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა გარემოების შეფასების საფუძველზე.

კანონმდებელი ექსპედიტორს აკისრებს ისეთ ვალდებულებას, როგორიცაა გამგზავნის ინტერესების დაცვა და მისი მითითებების შესრულება. ამასთან, შემკვეთის მითითებიდან გადახვევის ურთიერთობები დარეგულირდება დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი 712-ე მუხლის საფუძველზე.

მუხლი 732. შემკვეთის მოვალეობანი

1. შემკვეთმა ექსპედიტორის მოთხოვნით დროულად უნდა მიაწოდოს მას შესაბამისი ცნობები ტვირთის შესახებ, აგრეთვე მისცეს მითითებები, რომლებიც აუცილებელია გადაზიდვის დოკუმენტების გასაფორმებლად, მიაწოდოს აუცილებელი ცნობები საბაჟო და სხვა მოქმედებათა შესასრულებლად და, აუცილებლობის შემთხვევაში, ტვირთის საბაჟო გადასახადის გადასახდელად. გარდა ამისა, შემ-

კვეთმა უნდა გადასცეს აუცილებელი დოკუმენტები აღნიშნული ცნობების უტყუარობის დასადასტურებლად.

2. საფრთხეშემცველი ტვირთის არსებობისას შემკვეთმა უნდა გააფრთხილოს ექსპედიტორი საფრთხის ზუსტი სახეობის შესახებ და, აუცილებლობის შემთხვევაში, მიუთითოს მას უსაფრთხოების ზომებზე.

3. ტვირთი, რომლის საფრთხეშემცველობის შესახებ არ იცოდა ექსპედიტორმა, შეიძლება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას გადმოიტვირთოს, განადგურდეს ან გაუვნებელდეს ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაუკისრებლად.

4. შემკვეთი ვალდებულია, თუ ამას მოითხოვს ტვირთის სახეობა, შეაფუთვინოს იგი გადაზიდვის მოთხოვნების შესაბამისად.

5. თუ ტვირთის იდენტიფიკაციისთვის აუცილებელია განმასხვავებელი ნიშნები, მაშინ ისინი იმგვარად უნდა იქნეს დასმული, რომ ტვირთის მიტანამდე გარკვევით ჩანდეს.

6. შემკვეთი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც ექსპედიტორს მიადგება ამ მუხლის წინა ნაწილებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მიხედვით ექსპედიტორს არ გაუკეთებია შენიშვნა შეფუთვის ან განმასხვავებელი ნიშნის არარსებობის ან ნაკლის თაობაზე, თუმცა ეს ცხადი იყო, ან მას ჰქონდა ცნობები ამის შესახებ ტვირთის მიღებისას.

შემკვეთის, ისევე როგორც ექსპედიტორის ვალდებულებები პირობითად შეიძლება დავყოთ ძირითად და დამატებით ვალდებულებებად. ძირითად ვალდებულებებს განეკუთვნება: ტვირთის გადაცემა საექსპედიციო მომსახურებისათვის (თუ ხელშეკრულება კონსენსუალურია), ტვირთის მიღება ექსპედიტორისაგან, პროვიზიის გადახდა, ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედე-

ბების განხორციელებისას გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. ტვირთის გადაზიდვის უზრუნველსაყოფად და მიმღებამდე მიტანამდე აუცილებელია საბაჟო და სხვა მოქმედებების განხორციელება, რაც გარკვეული საბუთების არსებობას და სათანადო ინფორმაციის ფლობას მოითხოვს. სწორედ ამიტომ, ცალკე უნდა გამოიყოს შემკვეთის ე. წ. საინფორმაციო ვალდებულება. კერძოდ, შემკვეთმა ექსპედიტორის მოთხოვნით დროულად უნდა მიაწოდოს მითითებები, რომლებიც აუცილებელია გადაზიდვის დოკუმენტების (ზედნადები, კონოსამენტი) გასაფორმებლად, მიაწოდოს აუცილებელი ცნობები საბაჟო გადასახადის გადასახდელად. გარდა ამისა, შემკვეთმა უნდა გადასცეს აუცილებელი დოკუმენტები აღნიშნული ცნობების უტყუარობის დასადასტურებლად (მაგ.: პროდუქციის წარმოშობის ქვეყნის სერტიფიკატი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემკვეთმა ექსპედიტორს უნდა გადასცეს დოკუმენტები და მიაწოდოს ინფორმაცია ტვირთის თვისებების, მისი გადაზიდვის პირობების შესახებ, ასევე სხვა ინფორმაცია, რაც აუცილებელია ექსპედიტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. სავარაუდოა, რომ თუ შემკვეთის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არასრული ან არაზუსტია, ექსპედიტორი უფლებამოსილია გამოითხოვოს მისგან დამატებითი მონაცემები, არ გაუწიოს მას მომსახურება აღნიშნული ინფორმაციის მიღებამდე. რაც შეეხება შემკვეთის დამატებით ვალდებულებებს, მათი შინაარსი დამოკიდებულია თითოეული სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების თავისებურებით (მაგ.: გაუკეთოს ორგანიზაცია თავის საწყობებში ცვლიან მუშაობას, უზრუნველყოს სპეციალიზირებული შიდასაწარმოო ტრანსპორტი და ა.შ.).

საფრთხეშემცველი ტვირთის (ადვილად აალებადი, ფეთქებადი და ა.შ.) გადაზიდვა (ტრანსპორტირება) განსაკუთრებულ სიფრთხილეს და სათანადო ზომების მიღებას მოითხოვს, რაც მხოლოდ ისეთ შემთხვევებშია შესაძლებელი, როცა ექსპედიტორმა (გადამზიდველმა) იცის გადასაზიდი ტვირთის სახე და თავისებურებანი.

სწორედ ამიტომ, სამოქალაქო კოდექსის 732-ე მუხლის მე-2 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს შემკვეთის ისეთ ვალდებულებას, როგორიცაა ექსპედიტორის გაფრთხილება საფრთხის ზუსტი სახეობის შესახებ და, აუცილებლობის შემთხვევაში, უსაფრთხოების ზომებზე მითითება. ის, თუ რა ჩაითვლება აუცილებელ შემთხვევად, ფაქტის საკითხია და უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ყველა გარემოების მხედველობაში მიღებით. ამასთან, ტვირთი, რომლის საფრთხეშემცველობის შესახებ არ იცოდა ექსპედიტორმა, შეიძლება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას გადმოიტვირთოს, განადგურდეს ან გაუვნებელდეს, და რაც მთავარია, ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაუკისრებლად.

თუ ტვირთი ისეთი სახისაა, რომ საჭიროა მისი შეფუთვა, შემკვეთი ვალდებულია შეაფუთინოს ტვირთი გადაზიდვის მოთხოვნების შესაბამისად. შეფუთვა უნდა განხორციელდეს სტანდარტების შესაბამის ტარაში, უკიდურეს შემთხვევაში კი ისეთი სახით, რაც უზრუნველყოფს მის უსაფრთხო ტრანსპორტირებას.

ისეთ შემთხვევებში, როცა ერთი და იგივე სატრანსპორტო საშუალებით ხდება რამოდენიმე გამგზავნის (შემკვეთის) ერთი და იგივე სახის ტვირთის გაგზავნა, აუცილებელია მათი იდენტიფიკაცია, რაც ტვირთზე განმასხვავებელი ნიშნების გაკეთებას მოითხოვს. ამასთან, ნიშნები იმგვარად უნდა იქნეს დასმული, რომ ტვირთის მიტანამდე გარკვევით ჩანდეს.

თუ ზემოთ ჩამოთვლილ მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო ექსპედიტორს მიადგება ზიანი, იგი შემკვეთმა უნდა აანაზღაუროს. კანონმდებელი ამ ზოგადი წესიდან ითვალისწინებს გამონაკლისს, კერძოდ, თუ ამ მუხლით გათვალისწინებული წესით ექსპედიტორს არ გაუკეთებია შენიშვნა შეფუთვის ან განმასხვავებელი ნიშნის არარსებობის ან ნაკლის თაობაზე, თუმცა ეს ცხადი იყო, ან მას ჰქონდა ცნობები ამის შესახებ ტვირთის მიღებისას და ამით ექსპედიტორს მიადგება ზიანი, შემკვეთი თავისუფლდება ასეთი ზიანის ანაზღაურებისაგან.

მუხლი 733. ტვირთის ცალობრივი შემოწმება

შემკვეთს შეუძლია განსაკუთრებული გასამრჯელოს გადახდით მოსთხოვოს ექსპედიტორს ტვირთის ცალობრივი შემოწმება მისი მიღებისას.

სამოქალაქო კოდექსის 733-ე მუხლი განამტკიცებს შემკვეთის ისეთ უფლებას, როგორიცაა ექსპედიტორისაგან ტვირთის ცალობრივი შემოწმების მოთხოვნა მისი მიღებისას. შემკვეთს შეუძლია ექსპედიტორს მოსთხოვოს, რომ მან გადაამოწმოს ტვირთის რაოდენობა, ანუ გადათვალოს ტვირთი, ასევე შეამოწმოს მისი თითოეული ნაწილის წონა. ნიშანდობლივია, რომ მითითებული უფლების განხორციელება დაკავშირებულია გარკვეულ ანაზღაურებასთან. კერძოდ, ტვირთის შემოწმებისათვის შემკვეთმა ექსპედიტორს უნდა გადაუხადოს გარკვეული გასამრჯელო, რომლის ოდენობაც მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება.

მუხლი 734. ტვირთის დაზღვევის მოვალეობა

ექსპედიტორს ეკისრება ტვირთის დაზღვევა მხოლოდ მაშინ, როცა ამის თაობაზე მიიღებს შემკვეთისაგან მითითებას. განსაკუთრებული მითითების არარსებობისას ექსპედიტორი მოვალეა დააზღვიოს ტვირთი მხოლოდ ჩვეულებრივი პირობებით.

ტვირთის გადაზიდვა მეტად საპასუხისმგებლო პროცესია, შესაბამისად, ექსპედიტორის ვალდებულებების შინაარსის, მოცულობის სწორად განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს და დამოკიდებულია შემკვეთის მოთხოვნებზე. ექსპედიტორის ძირითადი ვალდებულებებია: ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაცია განსაზღვრული სახის ტრანსპორტით შემკვეთის და ექსპედიტორის მიერ ურთიერშეთანხმებული მარშრუტით; გადაზიდვის ხელშეკრულების დადება საკუთარი სახელით, მაგრამ შემკვეთის ხარჯზე; შეთანხმე-

ბულ ადგილზე ტვირთის გაგზავნის და მისი მიღების უზრუნველყოფა; ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებების განხორციელება. ამასთან, ექსპედიტორმა შეიძლება განახორციელოს არა მხოლოდ სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციები, არამედ გადამზიდველის ვალდებულებებიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპედიტორს შეიძლება დაეკისროს ისეთი დამატებითი ვალდებულებების შესრულება, როგორიცაა: ექსპორტისა და იმპორტისათვის საჭირო დოკუმენტების მიღება (მაგალითად, სერტიფიკატები, სანიტარული მოწმობები და სხვა სახის ნებართვები); საბაჟო და სხვა ფორმალობების განხორციელება (მაგალითად, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გაფორმება); ტვირთის ცალობრივი შემოწმება; ტვირთის თანხლება გადაზიდვის დროს; ტვირთის შენახვა დანიშნულების ადგილზე შემკვეთისათვის (მიმღებისათვის) მის გადაცემამდე და ა.შ.

გადაზიდვის განხორციელებისას ყოველთვის არსებობს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების საფრთხე. სწორედ ამიტომ, სამოქალაქო კოდექსის 734-ე მუხლი განამტკიცებს ტვირთის დაზღვევის მოვალეობას. ექსპედიტორს ტვირთის დაზღვევის ვალდებულება ეკისრება მხოლოდ მაშინ, როცა ამის თაობაზე შემკვეთისაგან მიიღებს მითითებას. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ექსპედიტორი არ მიიღებს შემკვეთისაგან განსაკუთრებულ მითითებებს, იგი მოვალეა დააზღვიოს ტვირთი მხოლოდ ჩვეულებრივი პირობებით. ამდენად, ტვირთის ყველა რისკისაგან დასაცავად ექსპედიტორს სჭირდება შემკვეთის თანხმობა.

საზღვაო გადაზიდვების დროს მიღებულია ტვირთის დაზღვევა ისეთი რისკებისაგან, როგორიცაა დატბორვისაგან დაზიანება ან დანაკლისი; გემის ჩაძირვის საშიშროებისას კაპიტნის გადაწყვეტილებით ტვირთის (მთლიანად ან ნაწილობრივ) ბორტს იქით გადაგდება; ხანძარი, მათ შორის კვამლით ტვირთის დაზიანება; დაზიანება გადატვირთვა-გადმოტვირთვისას.

მუხლი 735. ექსპედიციის დაზღვევის ხელშეკრულება

თუ შემკვეთი აშკარად არ გამოთქვამს უარს წერილობით, ექსპედიტორი მოვალეა შემკვეთის ხარჯზე დააზღვიოს ის ზიანი, რომელიც შეკვეთის შესრულებისას ექსპედიტორის მოქმედებით შემკვეთს შეიძლება მიადგეს. ექსპედიტორმა უნდა აცნობოს შემკვეთს, თუ ვისთან დადო ექსპედიციის დაზღვევის ხელშეკრულება.

სამოქალაქო კოდექსის 735-ე მუხლი წარმოადგენს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ერთ-ერთ სპეციფიურ სახეს. კერძოდ, კანონმდებელი ექსპედიტორს აკისრებს შემკვეთის ხარჯზე იმ ზიანის დაზღვევას, რომელიც შეკვეთის შესრულებისას ექსპედიტორის მოქმედებით შემკვეთს შეიძლება მიადგეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემკვეთი ექსპედიციის დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე უარს გამოთქვამს წერილობით. ამასთან, თუ ასეთი ხელშეკრულება დაიდება და ტვირთის გადაზიდვის პროცესში ექსპედიტორის მოქმედებით დადგება ზიანი, მას არ დაეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა. დაზარალებულს (შემკვეთს) მიყენებული ზიანი უნდა აუნაზღაუროს არა ექსპედიტორმა, არამედ იმ სადაზღვევო კომპანიამ, სადაც დამზღვევმა დააზღვია თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

კანონმდებელი ადგენს ექსპედიტორის ისეთ ვალდებულებას, როგორიცაა შემკვეთისათვის მზღვეველის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ამდენად, ექსპედიტორმა ექსპედიციის დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ უნდა აცნობოს შემკვეთს, თუ ვისთან გააფორმა დაზღვევა.

მუხლი 736. ზიანის დროულად შეტყობინების მოვალეობა

735-ე მუხლის მიხედვით დადებული დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე შემკვეთმა უნდა იზრუნოს ზიანის დროულად შეტყო-

ბინებისათვის. თუ ზიანის შესახებ შეტყობინება ეგზავნება ექსპედიტორს, მაშინ იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს შეტყობინება მზღვეველს ან მზღვეველებს.

ისეთ დროს, როცა ექსპედიციის დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია და ზიანი დადგა, შემკვეთს ეკისრება ვალდებულება იზრუნოს ზიანის დროულად შეტყობინებისათვის. ამდენად, იგი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგების შემდეგ დროულად აცნობოს ამის შესახებ სადაზღვევო კომპანიას. კანონმდებელი შეტყობინების კონკრეტულ ვადებს არ განსაზღვრავს, მაგრამ, როცა შემკვეთი გაიგებს ზიანის დადგომის შესახებ, მან დროულად, გონივრულ ვადაში, ანუ იმ ვადაში, რომელიც საჭიროა არსებული საკომუნიკაციო პირობებით შეტყობინებისათვის, უნდა აცნობოს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ მზღვეველს. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ზიანის შესახებ შეტყობინება ეგზავნება ექსპედიტორს, მზღვეველისათვის (მზღვეველებისათვის) შეტყობინების ვალდებულება მას ეკისრება.

მუხლი 737. ტვირთის მიუღებლობის შედეგები

თუ დანიშნულების ადგილას მიმღები არ ჩაიბარებს ტვირთს, ან სხვა საფუძვლით შეუძლებელია ტვირთის მიღება, მაშინ ექსპედიტორის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება გადაზიდვის ხელშეკრულების წესებით.

პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას ისეთი სიტუაცია, როცა დანიშნულების ადგილზე ტვირთის გადატანის შემდეგ მიმღები არ ჩაიბარებს ტვირთს, ან სხვა საფუძვლით შეუძლებელია ტვირთის მიღება (მაგალითად, ტვირთის მიმღებისათვის გადაცემა შეუძლებელია ამ სახის ტვირთზე მოცემულ ადგილზე გამოცხადებული კარანტინის ან დანიშნულების ადგილზე წარმოებული საომარი მოქმედებების გამო). ასეთი შემთხვევების რეგლამენტაციისას ექსპედიტორის

უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება გადაზიდვის ხელშეკრულების წესებით (სამოქალაქო კოდექსის 682-ე, 683-ე მუხლები).

მუხლი 738. ტვირთის მდგომარეობის შემოწმების შეუძლებლობა მისი მიღებისას

თუ შეუძლებელია ტვირთის მდგომარეობის შემოწმება მხარეების თანდასწრებით, მაშინ, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, ტვირთის მიღება ჩაითვლება იმის დასტურად, რომ ტვირთი მიღებულ იქნა დანაკლისისა და დაზიანების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიმღები ტვირთის ჩამბარებელ პირს მიუთითებს ზიანის ზოგად ხასიათზე. თუ საქმე ეხება აშკარა დანაკლისს ან დაზიანებას, ამის შესახებ უნდა მიეთითოს ტვირთის მიღებითანავე, ხოლო, თუკი საქმე არ ეხება ასეთ დანაკლისს ან დაზიანებას, — ტვირთის მიღების დღიდან არა უგვიანეს სამი დღისა.

ზოგჯერ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ტვირთის შემოწმება მისი მიღებისას მხარეთა თანდასწრებით შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში ტვირთის მიღება ჩაითვლება იმის დასტურად, რომ ტვირთი მიღებულია დანაკლისისა და დაზიანების გარეშე, ანუ ტვირთი არ არის ნაწილობრივ დაკარგული მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში და დანიშნულების ადგილზე გადატანილი ტვირთის ხარისხი შეესაბამება მის პირველად ხარისხს, რაც მითითებულია სატრანსპორტო დოკუმენტაციაში. ამასთან, შესაძლებელია საპირისპიროს დამტკიცება, თუ მიმღები ტვირთის ჩამბარებელ პირს მიუთითებს ზიანის ზოგად ხასიათზე.

ნიშანდობლივია, რომ ზიანის შესახებ მითითების ვადებს კანონმდებელი უკავშირებს დანაკლისისა და დაზიანების სახეს, კერძოდ, თუ როგორია ისინი: აშკარა (გარეგნულად შესამჩნევი), თუ ფარული (გარეგნულად შეუმჩნეველი).

გარეგნულად შესამჩნევი დანაკარგებისა და დაზიანების დროს მიმღებმა ზიანის შესახებ უნდა მიუთითოს ტვირთის მიღებისთანავე.

აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ასეთი ნაკლის შემჩნევა სირთულეს არ წარმოადგენს და მიმღებს უპრობლემოდ შეუძლია ვიზუალურად შესამჩნევი ნაკლის აღმოჩენა ტვირთის მიღებისას.

რაც შეეხება გარეგნულად შეუმჩნეველ დანაკარგებსა და დაზიანებას, მათ შესახებ მითითება უნდა გაკეთდეს ტვირთის მიღების დღიდან არა უგვიანეს სამი დღისა.

მუხლი 739. საკუთარი ძალებით ტვირთის გადაზიდვის უფლება

1. თუ სხვა შეთანხმება არ არსებობს, ექსპედიტორს უფლება აქვს საკუთარი ძალებით გადაზიდოს ტვირთი. ამ უფლების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შემკვეთის უფლებებსა და ინტერესებს.

2. თუ ექსპედიტორი იყენებს ამ უფლებას, მაშინ მას იმავდროულად აქვს ტვირთის გადამზიდველის უფლება-მოვალეობებიც.

სატრანსპორტო ექსპედიცია გარდა დავალების ხელშეკრულებისა, ბუნებრივია, ემიჯნება ტვირთის გადაზიდვის სახელშეკრულებო კონსტრუქციას. მათ შორის მჭიდრო კავშირია, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურება წარმოადგენს გადაზიდვისაგან ნაწარმოებ მომსახურების სახეს. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ექსპედიტორი საკუთარი ძალებით ახორციელებს ტვირთის გადაზიდვას, ანუ თავად ახდენს მის ტრანსპორტირებას. ასეთი ურთიერთობების მიმართ კანონმდებელი ითვალისწინებს მხოლოდ ერთ შეზღუდვას – ექსპედიტორის მიერ გადამზიდველის ფუნქციების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შემკვეთის უფლებებსა და ინტერესებს.

ისეთ დროს, როცა ექსპედიტორი არის თავად გადამზიდველი, შეიძლება წარმოიშვას ორი სახის სიტუაცია. კერძოდ, როცა გად-

ამზიდველი ექსპედიტორად გამოდის მესამე პირთან მიმართებაში (მაგ.: სხვა გადამზიდველის მიმართ) ასეთი ურთიერთობის რეგლამენტაციისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის სატრანსპორტო ექსპედიციის მარეგულირებელი ნორმები; და როცა გადამზიდველი ექსპედიტორად გამოდის საკუთარი გადაზიდვის მიმართ – ასეთ დროს ექსპედიციის და გადაზიდვის კონსტრუქციები თანმთხვევადია, მათ აქვთ ერთნაირი სუბიექტური შემადგენლობა და შესაბამისად, ექსპედიტორს იმავდროულად აქვს ტვირთის გადამზიდველის უფლება-მოვალეობები.

მუხლი 740. ექსპედიტორის პასუხისმგებლობა

ექსპედიტორი ექსპედიციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობებისათვის, ჩვეულებრივ, მაშინ აგებს პასუხს, თუ მას ან მის დამხმარეს მიუძღვის რაიმე ბრალი.

ექსპედიციის ხელშეკრულების მხარეთა (ექსპედიტორის და შემკვეთის) მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება იწვევს მათ პასუხისმგებლობას.

პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, როცა ექსპედიტორი თავის უფლებამოსილებას გადაანდობს მესამე პირს. ასეთ დროს პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება დავალების ხელშეკრულების მარეგულირებელი 711-ე მუხლის საფუძველზე.

სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების საფუძველზე შეკვეთის შესრულებისას დაშვებულია დამხმარე პირთა ჩართვაც. ექსპედიტორი ზოგიერთი ფაქტობრივი მოქმედების შესასრულებლად მიმართავს სხვა პირს, რომელსაც კანონმდებელი უწოდებს „დამხმარეს“. მაგალითად, ექსპედიტორმა ტვირთის ნავსადგურიდან გემზე გადატვირთვა შეიძლება მიანდოს ისეთ სუბიექტს, როგორიცაა მტვირთავი.

ექსპედიციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევისათვის ექსპედიტორი, ჩვეულებრივ, მაშინ აგებს პას-

უხს, თუ მას ან მის დამხმარეს მიუძღვის რაიმე ბრალი, ანუ მან უნდა აანაზღაუროს განზრახ ან გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი. ის ფაქტი, რომ დამხმარისათვის მიმართვა არ საჭიროებს შემკვეთის თანხმობას, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დამხმარის მოქმედებაზე თავად ექსპედიტორია პასუხისმგებელი.

მუხლი 741. მესამე პირის მიერ გამოწვეული ზიანი

თუ ზიანი გამოწვეულია ხელშეკრულებაში მონაწილე მესამე პირის მიერ, მაშინ შემკვეთის მოთხოვნით ექსპედიტორი მოვალეა გადასცეს შემკვეთს თავისი მოთხოვნა მესამე პირის წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ექსპედიტორი სპეციალური შეთანხმების საფუძველზე თვითონ კისრულობს მოთხოვნის გამოყენებას შემკვეთის ხარჯითა და რისკით.

ზიანი შეიძლება გამოიწვიოს ხელშეკრულებაში მონაწილე მესამე პირის მოქმედებამ (მაგ.: გადამზიდველის მოქმედებამ, როცა გადამზიდველი და ექსპედიტორი არ არის ერთი და იგივე პირი). ასეთ შემთხვევებში კანონმდებელი ექსპედიტორს აკისრებს ვალდებულებას შემკვეთის მოთხოვნით გადასცეს მას თავისი მოთხოვნა (მოთხოვნის უფლება, რაც მას მესამე პირის მიმართ აქვს, ამ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება).

სამოქალაქო კოდექსის 741-ე მუხლი ასახელებს ერთ გამონაკლისს, კერძოდ, შემთხვევას, როცა ექსპედიტორი სპეციალური შეთანხმების საფუძველზე თვითონ კისრულობს მოთხოვნის გამოყენებას შემკვეთის ხარჯითა და რისკით (მაგალითად, ზიანის ოდენობის განსაზღვრის მიზნით ექსპედიტორი შემკვეთთან შეთანხმებით იწვევს დამოუკიდებელ აუდიტორს, რათა ამ უკანასკნელმა ზუსტად განსაზღვროს და შეაფასოს მატერიალური ზიანის ოდენობა. ასეთ შემთხვევაში აუდიტორის საზღაურის გადახდა დაეკისრება შემკვეთს; ან კიდევ, ექსპედიტორი მიმართავს საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო პალატას სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარე-

ბის მოთხოვნით. ამ შემთხვევაშიც, ექსპერტიზის ხარჯები დაეკისრება შემკვეთს).

მუხლი 742. ექსპედიტორის ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

1. ექსპედიტორი არ შეიძლება დაეყრდნოს იმ წესებს, რომლებიც გამორიცხავენ ან ზღუდავენ მის პასუხისმგებლობას, ან გადააქვთ მტკიცების ტვირთი, თუ მან ზიანი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიაყენა.

2. იგივე წესი მოქმედებს დამხმარის არასახელშეკრულებო პასუხისმებლობის მიმართაც, თუ ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მას შეერაცხა ბრალი.

სამოქალაქო კოდექსის 742-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს ექსპედიტორის ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესს. ამასთან, კანონმედებელი პირდაპირ არ მიუთითებს: ეს ნორმა ეხება სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო მოთხოვნებს. იგი ზოგადი ხასიათისაა და გამოიყენება როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებისას.

ზოგადი წესის თანახმად, თუ ექსპედიტორმა ზიანი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიაყენა, იგი არ შეიძლება დაეყრდნოს იმ წესებს, რომლებიც გამორიცხავენ ან ზღუდავენ მის პასუხისმგებლობას, ან გადააქვთ მტკიცების ტვირთი.

ექსპედიტორის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრული მოცულობით. მაგალითად, შემკვეთმა ექსპედიტორს დაავალა ფეთქებადი ნივთიერების დიდი პარტიის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელება. ექსპედიტორმა ზედნადების გაფორმებისას გადამზიდველს წინასწარგანზრახულად არ მიაწოდა ცნობები ტვირთის

სახის და მისი საფრთხეშემცველი ხასიათის შესახებ. გადამზიდველმა ტრანსპორტირების პროცესში შეიტყო საფრთხის შესახებ და გადმოცალა ტვირთი სატრანსპორტო საშუალებიდან, მოსპო, გააუვნებელყო იგი. ასეთ შემთხვევაში გადამზიდველი თავისუფლდება ექსპედიტორის წინაშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, ხოლო ექსპედიტორი კი, თავის მხრივ, ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს მისი ტვირთის განადგურებით მიყენებული ზიანი.

ნიშანდობლივია, რომ ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურების წესს ითვალისწინებს კანონმდებელი დამხმარის (მაგალითად, მტვირთავი) არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მიმართაც, თუ ზიანი მისი ბრალეული მოქმედებით, განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობითაა გამოწვეული.

მუხლი 743. პროვიზიის გადახდის წესი

პროვიზია გადახდილ უნდა იქნეს მას შემდეგ, რაც ექსპედიტორი გადასცემს ტვირთს სატრანსპორტო ორგანიზაციას.

როგორც სამოქალაქო კოდექსის 730-ე მუხლის კომენტირებისას აღინიშნა, პროვიზია არის ის ფულადი თანხა, რომელიც გასამრჯელოს სახით უნდა მიიღოს ექსპედიტორმა ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებისათვის. კოდექსის 743-ე მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს პროვიზიის გადახდის წესს, კერძოდ, იგი გადახდილ უნდა იქნეს მას შემდეგ, რაც ექსპედიტორი გადასცემს ტვირთს სატრანსპორტო ორგანიზაციას, ე.ი. იმის მერე, რაც რეალურად დაიწყება გადაზიდვის განხორციელება.

თავი მეთექვსმეტე

შუამავლობა

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 744. ცნება

პირი, რომელიც სხვას ჰპირდება გასამრჯელოს ხელშეკრულების დასადებად გაწეული შუამავლობისათვის, ვალდებულია გადაიხადოს ეს გასამრჯელო მხოლოდ მაშინ, თუ ხელშეკრულება ამ შუამავლობის შედეგად დაიდო. თუ ხელშეკრულება იდება გადადების პირობით, გასამრჯელო შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ ამ პირობის დადგომის შემდეგ. თუ გასამრჯელოს ოდენობა განსაზღვრული არ არის, შეთანხმებულად ითვლება ჩვეულებრივად მოქმედი გასამრჯელო. შემკვეთის საზიანოდ ამ მუხლის პირველი და მე-2 წინადადებისაგან განსხვავებულად დადებული შეთანხმება ბათილია.

შუამავლობა არის ხელშეკრულება, რომლის საგანია საშუამავლო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება. საშუამავლო საქმიანობის ქვეშ იგულისხმება საქმიანობა, რომელიც მიმართულია მესამე პირებთან ხელშეკრულების დადებისაკენ. მომსახურება, რომელიც არ არის დაკავშირებული საშუამავლო საქმიანობასთან, შეიძლება იყოს არა შუამავლობის, არამედ დამოუკიდებელი ხელშეკრულების საგანი.

პირს, რომელიც საშუამავლო საქმიანობას და მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას ახორციელებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ისე როგორც კონტინენტური ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, ეწოდება მაკლერი (რუსეთში – აგენტი, საერთო სამართლის ქვეყნებში – ფაქტორი, ბროკერი).

შემკვეთი არის პირი, ვისი დავალებით ან ვისი ინტერესებისთვისაც საშუამავლო საქმიანობა ხორციელდება.

საშუამავლო საქმიანობა, საკომისიო საქმიანობისაგან განსხვავებით, გამოიხატება მაკლერის მიერ მხოლოდ ფაქტობრივი და არა იურიდიული მოქმედებების შესრულებაში. მაკლერის საშუამავლო საქმიანობას შეადგენს შემკვეთის ინტერესებისათვის კონტრაჰენტების მოძიება, შემკვეთის და კონტრაჰენტების დაკავშირება, სარეალიზაციო საქონლით შემკვეთის ან მისი კონტრაჰენტების დაინტერესება და არა საკუთარი სახელით შემკვეთის კონტრაჰენტებთან ხელშეკრულების დადებაც.

შუამავლობა, როგორც ვაჭრობის ხელშემწყობი საქმიანობა, სამოქალაქო ბრუნვაში თვალსაჩინო როლს ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ასრულებდა. მას აღიარებს რომის სამართალი. ახალი დროის და თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვა წარმოუდგენილია მაკლერების, ისე როგორც სავაჭრო აგენტების, სავაჭრო წარმომადგენლების და კომისიონერების გარეშე. საფრანგეთის სავაჭრო კოდექსის ერთ-ერთი ავტორი მათ „ვაჭრობის ბურჯებს“ უწოდებს. თუმცა იმთავითვე არსებობდა შიში, რომ შუამავლობას არ მოეპოვებინა დაუმსახურებელი გავლენა სამოქალაქო ბრუნვაში და არ ქცეულიყო ერთგვარ პარაზიტიზმად. ამ საფრთხის თავიდან აცილების პირობად გვევლინება იურიდიული რეჟიმი, რომელსაც იზიარებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

შემკვეთი მოვალეა მაკლერს შესრულებული საქმიანობისათვის მისცეს გასამრჯელო, რომელსაც სხვანაირად, სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ტერმინოლოგიით, კურტაჟი ეწოდება.

გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება შუამავლობის ხელშეკრულებით. თუ იგი ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის, შემკვეთმა მაკლერს გასამრჯელო უნდა გადაუხადოს იმ რაოდენობით, რაც ანალოგიური სამსახურისთვის გადახდევინებას ექვემდებარება შესაბამის გარემოებებში.

ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს, რომელიც საერთოა ყველა სახის შუამავლობისათვის, შეადგენს მოთხოვნა, რომლის თანახმად შემკვეთი მოვალეა მაკლერს გასამრჯელო მისცეს იმ საშუამავლო

საქმიანობისათვის, რომელიც მაკლერმა გასწია, ამასთან გასამრჯელო მისცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიდება ხელშეკრულება, რომელსაც მიზნად ისახავდა შუამავლობა. თუ გამიზნული ხელშეკრულება არ დაიდო, ანუ მაკლერის საშუამავლო საქმიანობა წარმატებით არ დასრულდა, მაკლერს არა აქვს უფლება მოითხოვოს გასამრჯელო. იურიდიული თვალსაზრისით ეს მომენტი განასხვავებს მაკლერის მომსახურებას ადვოკატის ან ექიმის მომსახურებისაგან, რომლებიც გასამრჯელოს, ჰონორარს იღებენ არა საქმის მოგების ან პაციენტის განკურნებისათვის, არამედ, შესაბამისად, საქმის წარმართვის ან პაციენტის მკურნალობისათვის. თუ ხელშეკრულება დაიდო შემკვეთის მიერ, მაკლერის ხელშეწყობის გარეშე, მაკლერი ასევე მოკლებულია გასამრჯელოს მოთხოვნის უფლებას.

თუ შუამავლობის შედეგად და მესამე პირს შორის ხელშეკრულება დაიდო გადადების პირობით, მაკლერს უფლება აქვს გასამრჯელო მოითხოვოს ამ პირობის დადგომის შემდეგ. თუ შუამავლობის ხელშეკრულება ითვალისწინებს შემკვეთის მოვალეობას მაკლერს კურტაჟი მისცეს იმ ხელშეკრულების დადებამდე, რომელსაც მიზნად ისახავს შუამავლობა ან იმ პირობის დადგომამდე, რომელსაც ითვალისწინებს შუამავლობით დადებული პირობითი გარიგება, შემკვეთს უფლება აქვს უარი თქვას გასამრჯელოს მიცემაზე ან მოითხოვოს მიცემულის უკან დაბრუნება, ვიდრე მისთვის საინტერესო ხელშეკრულება დაიდებოდეს ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა დადგებოდეს.

მუხლი 745. მაკლერის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება

1. მაკლერის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმ მოსახურებისათვის, რომელიც არ შედის საშუამავლო საქმიანობა-

ში, გასამრჯელო შეიძლება შეთანხმებულ იქნეს იმისგან დამოუკიდებლად, დაიდება თუ არა ხელშეკრულება.

2. მაკლერს 744-ე მუხლის მიხედვით არ შეუძლია დათქვას ავანსი ან მიიღოს იგი.

3. მაკლერს ხარჯები აუნაზღაურდება მხოლოდ მაშინ, თუ ეს შეთანხმებული იყო. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა ხელშეკრულება ვერ დაიდო. ბათილია შეთანხმება, რომლითაც გათვალისწინებულია ანაზღაურება იმ ხარჯებისა, რომლებიც არ არის საჭირო საშუამავლო ხელშეკრულების განხორციელებისათვის.

1. 744-ე მუხლის მიხედვით, შუამავლობის ხელშეკრულების საგანს შეიძლება შეადგენდეს მაკლერის როგორც უშუალო საშუამავლო საქმიანობა, ისე ამ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება. ეს მომსახურება პირდაპირ ან არაპირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული საშუამავლო საქმიანობასთან (მაგალითად, მაკლერი კისრულობს საქონლის რეკლამირების მოვალეობას). შუამავლობის ხელშეკრულებაში უნდა დაკონკრეტდეს შუამავლობით დასადები გარიგებების სახეები, მომსახურების წესი და პირობები. თუ საშუამავლო საქმიანობისათვის გასამრჯელოს გადახდა შემკვეთს ეკისრება მხოლოდ შუამავლობით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების შემდეგ და ყოველგვარი სხვა შეთანხმება ბათილია, სხვა წესი მოქმედებს იმ გასამრჯელოს გადახდის შესახებ, რომელიც განსაზღვრულია მომსახურებისათვის. ასეთი გასამრჯელოს გადახდა შუამავლობის ხელშეკრულებით შემკვეთს შეიძლება დაეკისროს შუამავლობით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადებამდე. თუ ეს პირობა შუამავლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის, მაკლერი მომსახურებისათვის ვერ მოითხოვს გასამრჯელოს შუამავლობით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადებამდე.

2. საშუამავლო საქმიანობისათვის გასაცემი გასამრჯელოს „ავან-

სის“ ქვეშ ივარაუდება ფულადი თანხა, რომელიც შემკვეთის მიერ წინასწარ გაიცემა გასამრჯელოს ნაწილობრივი ან სრული გადახდის მიზნით და არა შუამავლობის ხელშეკრულების დადასტურების ან მისი შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული შინაარსით ავანსი განსხვავდება „ბეს“, როგორც ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალებისაგან. ვინაიდან კანონი კრძალავს გასამრჯელოს გადახდას შუამავლობით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადებამდე, მაკლერი მოკლებულია იურიდიულ შესაძლებლობას ავანსის სახით მოითხოვოს გასამრჯელო ან მისი ნაწილი.

3. საშუამავლო საქმიანობისა და მომსახურების გასამრჯელოს გარდა, შუამავლობის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მაკლერისათვის შემკვეთის მიერ საშუამავლო საქმიანობის და მომსახურების ხარჯების გადახდას. საშუამავლო საქმიანობის და მომსახურების ხარჯების ქვეშ იგულისხმება მაკლერის მიერ შემკვეთის ინტერესებისათვის გარიგების დასადებად და მომსახურების აუცილებელი ხარჯები (ტრანსპორტის, სასტუმროს, სატელეფონო საუბრების და სხვა). ამგვარი ხარჯების გადახდის ვალდებულება შეიძლება შეადგენდეს საშუამავლო ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობას ან სხვა წინასწარი, დამოუკიდებელი შეთანხმების საგანს. თუ ასეთი შეთანხმება არ ყოფილა, მაკლერი ვერ მოითხოვს მათ ანაზღაურებას.

შუამავლობის ხელშეკრულებით ან ცალკე შეთანხმებით შესაძლოა განისაზღვროს შემკვეთის მიერ საშუამავლო საქმიანობის და სხვა მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, როგორც შუამავლობით გათვალისწინებული გარიგების დადების შემდეგ, ისე ამ გარიგების დადებამდე. ასევე შუამავლობის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მაკლერისათვის ხარჯების ანაზღაურებას იმის მიუხედავად, დაიდება თუ არა გარიგება, რომელსაც შუამავლობის ხელშეკრულება ითვალისწინებდა. შუამავლობის ხელშეკრულების განხორციელების ხარჯების ქვეშ იგულისხმება ხარჯები, რომლებიც აუცილებელია მომავალი ხელშეკრულების დასადებად ან

მომსახურებისათვის. თუ შეთანხმებით გათვალისწინებული ხარჯები სცილდება აუცილებელი ხარჯების ფარგლებს, შემკვეთის მიერ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ აუცილებელი ხარჯები და შეთანხმება ნაწილობრივ ბათილია.

მუხლი 746. ექსკლუზიური დავალება

1. თუ შემკვეთმა განსაზღვრული დროის განმავლობაში უარი უნდა თქვას სხვა მაკლერის გამოყენებაზე [ექსკლუზიური დავალება], მაშინ მაკლერი ვალდებულია ამ დროის მანძილზე ხელი შეუწყოს ხელშეკრულების დადებას. თუ შემკვეთი მოქმედებს პირველ წინადადებაში აღნიშნული ვალდებულების საწინააღმდეგოდ, მაშინ მაკლერს შეუძლია – თუ ხელშეკრულება დადებულია სხვა მაკლერის გამოყენებით – მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ერთიანი თანხა ზიანის არსებობის დამტკიცების მიხედვით. ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების თანხის ორ პროცენტს, თუ ხელშეკრულება მიმართული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შუამავლობაზე.

2. შემკვეთი უფლებამოსილია ხელშეკრულება დადოს მესამე პირთან მაკლერის გამოუყენებლადაც. ამავე დროს შეიძლება შეთანხმება, რომ შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი გასამრჯელო მაშინაც, როცა იგი ხელშეკრულებას დებს მაკლერის გამოუყენებლად. გასამრჯელო არ შეიძლება აღემატებოდეს ხელშეკრულების ფასის ორ პროცენტს, თუ ხელშეკრულება მიმართული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შუამავლობაზე.

3. შემკვეთის საზიანოდ დადებული ამ წესებისაგან განსხვავებული შეთანხმება ბათილია.

4. შეთანხმება ექსკლუზიური დავალების შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.

1. სიტყვა „ექსკლუზივი“ (excludo) ლათინური წარმოშობისაა და გამორიცხვას, ამოშლას ნიშნავს. ექსკლუზიური დავალება შეიძლება იყოს შუამავლობის ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა, რომლის თანახმად მაკლერი იძენს უფლებას მოსთხოვოს შემკვეთს, რომ ამ უკანასკნელმა არ დადოს ანალოგიური ხელშეკრულება სხვა მაკლერთან განსაზღვრული დროის განმავლობაში. ექსკლუზიური დავალება წარმოადგენს შემკვეთის თავისუფლების ნებაყოფლობით შეზღუდვას, რომლის დარღვევას კანონი უკავშირებს შემკვეთისათვის არახელსაყრელ სამართლებრივ შედეგებს. კერძოდ, თუ შემკვეთმა დაარღვია შუამავლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ექსკლუზიური დავალების პირობა და შუამავლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარიგება დადო სხვა მაკლერის დახმარებით, მაკლერს, რომელსაც ამ გარიგებაში ხელშეწყობის ექსკლუზიური უფლება ჰქონდა, შემკვეთისაგან შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ზიანს შეიძლება შეადგენდეს როგორც დადებითი ზიანი, ისე მიუღებელი შემოსავლები (იხ. 411-ე მუხლი და კომენტარი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 461-464). შუამავლობის ხელშეკრულებით შეიძლება წინასწარ განისაზღვროს მაკლერის რისკი და მხარეთა შეთანხმებით დაითქვას ერთიანი თანხა, რომლის გადახდა დაეკისრება შემკვეთს, თუ იგი ექსკლუზიური დავალების პირობას დაარღვევს.

თუ ხელშეკრულება ითვალისწინებდა მაკლერის შუამავლობას შემკვეთისათვის მესამე პირებთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაში, შემკვეთის მიერ ექსკლუზიური დავალების პირობის დარღვევის შემთხვევაში, შუამავლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთიანი თანხა მოსალოდნელი ზიანისათვის არ შეიძლება აღემატებოდეს ნასყიდობის ხელშეკრულების ფასის ორ პროცენტს. ერთიანი თანხის ამგვარი შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული არ არის, თუ შუამავლობის ხელშეკრულება ითვალისწინებს მაკლერის ხელშეწყობას სხვა, ნასყიდობისაგან განსხვავე-

ბული ხელშეკრულებების დადებაში. შემკვეთის მიერ ექსკლუზიური დავალების პირობის დარღვევასთან საქმე არ გვექნება, თუ მაკლერმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადებაში ხელშეწყობა ვერ შეძლო შუამავლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

2. ექსკლუზიური დავალების ცნება მოიცავს შემკვეთის თავისუფლების ისეთ შეზღუდვას, როცა შემკვეთი მაკლერის სასარგებლოდ უარს ამბობს ხელშეკრულება დადოს არა მხოლოდ სხვა მაკლერის დახმარებით, არამედ პირადადაც. ამ პირობის დარღვევა წარმოადგენს შემკვეთისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველს. ხელშეკრულებით შესაძლოა წინასწარ განისაზღვროს ერთიანი თანხა, რომლის გადახდა დაეკისრება შემკვეთს. ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს ნასყიდობის ხელშეკრულების ფასის ორ პროცენტს, თუ შუამავლობის ხელშეკრულება მიმართული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად.

3. შუამავლობის ხელშეკრულებით მაკლერს უფლება არა აქვს შემკვეთს მოთხოვოს სხვა შეზღუდვები, გარდა ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებულისა. ამდენად, შუამავლობის ხელშეკრულებით შემკვეთს უნდა ჰქონდეს თავის მხრივ უფლება მაკლერს მოთხოვოს — არ მიიღოს მონაწილეობა სხვა შესაძლო შემკვეთების ანალოგიური ხელშეკრულებების დადებაში, ერთი და იგივე მომხმარებლებისათვის ანალოგიური საქონლის რეკლამირებაში და არ განახორციელოს შუამავლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანალოგიური საქმიანობა განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

4. შუამავლობის ხელშეკრულებისათვის სპეციალური ფორმა კანონით გათვალისწინებული არ არის. იგი შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობით, როგორც მარტივი წერილობითი ფორმით, ისე ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი ხელშეკრულების სახით.

ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისი შემთხვევები გათვალისწინებ-

ულია ექსკლუზიური დავალებისა და შუამავლობის ხელშეკრულების ზოგიერთი სახეებისათვის. ექსკლუზიური დავალება შეიძლება გაფორმდეს, როგორც ცალკე შეთანხმების, ისე შუამავლობის ხელშეკრულების ტექსტში. ორივე დასახელებულ შემთხვევაში კანონის მიხედვით აუცილებელია წერილობითი ფორმა.

მუხლი 747. საშუამავლო ხელშეკრულების მოშლა

1. საშუამავლო ხელშეკრულება შეიძლება ნებისმიერ დროს მოიშალოს რაიმე ვადის დაუცველად, თუკი ხელშეკრულების ვადა არ იყო განსაზღვრული.

2. ექსკლუზიური დავალება შეიძლება მოიშალოს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლით. ექვსი თვის ვადის გასვლის შემდეგ იგი შეიძლება ნებისმიერ დროს მოიშალოს.

3. ხელშეკრულების მოშლის უფლება შეიძლება დაუშვებლად იქნეს მიჩნეული მაშინაც, როცა გასულია ექვს თვეზე მეტი დრო, მაგრამ ამას მოითხოვს შუამავლობით დასადები ხელშეკრულების სახისა და საგნის თავისებურებანი.

1. საშუამავლო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც განსაზღვრული ვადით, ისე ვადის განუსაზღვრელად. თუ ხელშეკრულებაში მისი მოქმედების ვადა განსაზღვრული არ არის, მხარეებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მოითხოვონ ხელშეკრულების შეწყვეტა.

მოცემულ შემთხვევაში კანონი მიუთითებს ხელშეკრულების შეწყვეტის ისეთ თავისებურ სახეზე, როგორიცაა ხელშეკრულების მოშლა, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლისაგან განსხვავებით, არ იწვევს მხარეების მიერ ხელშეკრულებით მიღებული ქონების უკან დაბრუნებას ე.ი. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. ამდენად, შეთანხმების საფუძველზე შემკვეთის მიერ მაკლერისათვის

წინასწარ გადახდილი, საშუამავლო საქმიანობისათვის აუცილებელი ხარჯები შემკვეთს უკან აღარ დაუბრუნდება. თუკი საშუამავლო ხელშეკრულება დადებული იყო განსაზღვრული ვადით, მისი მოშლა განხორციელდება სამოქალაქო კოდექსის 405-407-ე მუხლებით დადგენილი წესებით. (იხ. კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 432-450).

2. მაკლერისა და შემკვეთის შეთანხმება, რომლის თანახმად მაკლერს უფლება აქვს შემკვეთს მოთხოვოს, რომ ამ უკანასკნელმა არ დადოს ანალოგიური ხელშეკრულება სხვა მაკლერთან, შეიძლება შეთანხმების დადებიდან მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ მოიშალოს მნიშვნელოვანი საფუძვლით. მნიშვნელოვანი საფუძვლის ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოთ ის გარემოებები, რომლებსაც კანონი უკავშირებს ორმხრივი ხელშეკრულების დარღვევას რომელიმე მხარის ინიციატივით, დამატებითი ვადის დაწესების ან გაფრთხილების გარეშე; კერძოდ, შეთანხმება შეიძლება მოიშალოს, თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება. „შედეგის მიუღწევადობა შეიძლება გამოწვეული იყოს შესრულების როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური შეუძლებლობით, ვალდებული პირის, როგორც ბრალეული, ისე ბრალის გარეშე მოქმედებით“ (იხ. კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 439). შეთანხმების ცალმხრივი მოშლის საფუძველი შეიძლება იყოს აგრეთვე სხვა განსაკუთრებული საფუძველი, როცა ორმხრივი ინტერესის გათვალისწინებით გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა. თუ ექსკლუზიური დავალების შემცველი შეთანხმებიდან გასულია ექვსი თვის ვადა, შეთანხმება შეიძლება მოიშალოს, რაც არ წარმოადგენს საერთო საშუამავლო ხელშეკრულების მოშლის აუცილებელ საფუძველს ანუ იმის საფუძველს, რომ შემკვეთმა სხვა მაკლერთან არ დადოს საშუამავლო ხელშეკრულება ანალოგიური მიზნით.

3. მოცემული მუხლის მე-3 პუნქტი შეეხება ექსკლუზიური დავალების და არა საერთო შუამავლობის ხელშეკრულების, ცალმხრივი მოშლის შესაძლებლობას. თუ ექსკლუზიური დავა-

ლების შემკვეთის მიერ მოშლის შეუზღუდავ შესაძლებლობას კანონი ზოგადად შეთანხმებიდან ექვსი თვის ვადის გასვლას უკავშირებს, ერთადერთ გამონაკლის გარემოებად მიჩნეულია შუამავლობით დასადები ხელშეკრულების სახისა და საგნის თავისებურება, რაც შემკვეთს უფლებას ართმევს თავისუფლად მოშალოს შეთანხმება.

მუხლი 748. მაკლერისათვის გასამრჯელოს მიცემის დაუშვებლობა

1. დაუშვებელია მაკლერისათვის გასამრჯელოს მიცემა ან ხარჯების ანაზღაურება, თუ მესამე პირთან დადებული ხელშეკრულება ეხება მაკლერის კუთვნილ საგანს; იგივე წესი გამოიყენება, როცა განსაკუთრებული გარემოებების გამო შეიძლება წარმოიშვას საფრთხე, რაც ხელს შეუშლის მაკლერს შემკვეთის ინტერესების განხორციელებაში. ეს შემთხვევებია, როცა:

ა. მაკლერი ის იურიდიული პირი ან საზოგადოებაა, რომელშიც სამართლებრივად ან ეკონომიკურად მონაწილეობს მესამე პირი;

ბ. მაკლერი მესამე პირთან სამსახურებრივ ან შრომით ურთიერთობაშია;

გ. მაკლერი მესამე პირის მეუღლეა.

2. მაკლერს აქვს გასამრჯელოს მიღების ან ხარჯების ანაზღაურების უფლება, როცა იგი შემკვეთს მესამე პირთან ხელშეკრულების დადებამდე შეატყობინებს ამ გარემოებათა შესახებ.

3.მაკლერი კარგავს გასამრჯელოს ან ხარჯების ანაზღაურების უფლებას, თუ იგი ხელშეკრულების შინაარსის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა მესამე პირის სასარგებლოდ.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული წესების საწინააღმდეგოდ შეთანხმება ბათილია.

1. შუამავლობის ხელშეკრულება ემყარება კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპებს, რაც მაკლერს ავალდებულებს ნაკისრი საქმე წარმართოს შემკვეთის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. კანონი ითვალისწინებს განსაკუთრებულ შემთხვევებს, როცა შემკვეთის ქონებრივი ინტერესები უპირისპირდება ან შეიძლება დაუპირისპირდეს მაკლერის ან მესამე პირის ინტერესებს.

თუ შუამავლობით დადებული ხელშეკრულების საგანი ან საგნის ნაწილი წარმოადგენს მაკლერის ქონებას, შუამავლობა კარგავს თავის იურიდიულ შინაარსს და ფაქტობრივად საქმე გვაქვს ნასყიდობის ხელშეკრულებასთან. შესაბამისად, მაკლერს ეკარგება შემკვეთის მიერ ხელშეკრულებით შეპირებული გასამრჯელოს და ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება; ნასყიდობა თავის მხრივ იურიდიულ ძალას ინარჩუნებს.

მაკლერი გასამრჯელოსა და ხარჯების ანაზღაურებაზე უფლებას კარგავს აგრეთვე, თუ შუამავლობით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების შემდეგ გაირკვა, რომ მესამე პირი, ვისთანაც ეს ხელშეკრულება დაიდო, შუამავლობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იყო იმ ორგანიზაციული წარმონაქმნის იურიდიული პარტნიორი, სადაც მაკლერი საქმიანობს; ან მესამე პირის კაპიტალი მოცემულ ორგანიზაციულ წარმონაქმნში სამართავად გადაცემული აქვს სხვა პირს.

შემკვეთს შუამავლობის ხელშეკრულების ბათილობის მოტივით უფლება აქვს უარი უთხრას მაკლერს გასამრჯელოს და ხარჯების გადახდაზე, თუ მესამე პირი, რომელთანაც შუამავლობის მეშვეობით ხელშეკრულება დაიდო, საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირია, ხოლო მაკლერი მისი საჯარო მოხელე ან მუშაკი აღმოჩნდება.

შემკვეთს უფლება აქვს უარი თქვას მაკლერისათვის გასამრჯელოს და ხარჯების გადახდაზე, თუ აღმოჩნდება, რომ მესამე პირი მაკლერის მეუღლეა. სხვაგვარ ნათესაურ ურთიერთობას კანონი ხელშემშლელ გარემოებად არ მიიჩნევს.

2. ინტერესთა კონფლიქტი მაკლერს, შემკვეთსა და მესამე პირს შორის მოიხსნება, თუ მაკლერი შემკვეთს ხელშეკრულების დადებამდე შეატყობინებს შემკვეთის ინტერესების განხორციელებაში სავარაუდო ხელშემშლელი გარემოებების შესახებ; კერძოდ, მესამე პირის სამართლებრივი ან ეკონომიკური მონაწილეობის თაობაზე სამაკლერო ორგანიზაციულ წარმონაქმნში, მაკლერის სამსახურებრივი ან შრომითი ურთიერთობის შესახებ მესამე პირთან ან იმის თაობაზე, რომ მესამე პირი მისი მეუღლეა. აღნიშნულ შეტყობინებაზე შემკვეთის დუმილი შუამავლობის გაწევაზე, მის თანხმობად ჩაითვლება, რაც საბოლოოდ მაკლერს აძლევს გასამრჯელოს მოთხოვნის და ხარჯების ანაზღაურების უფლებას.

3. კანონი მაკლერს არ ართმევს უფლებას, შუამავლობის ხელშეკრულება გააფორმოს როგორც შემკვეთთან, ისე მესამე პირთან ერთი და იგივე გარიგების დადების მიზნით. მაგრამ აღნიშნული ორმაგი დავალების თაობაზე მან წინასწარ უნდა შეატყობინოს როგორც ერთ, ისე მეორე შემკვეთს და შუამავლობა განახორციელოს მიუკერძოებლად. თუ ეს პირობები დაირღვა, შემკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს შუამავლობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და უარი თქვას გასამრჯელოს და ხარჯების გადახდაზე.

4. იურიდიული ძალა არა აქვს მაკლერის და შემკვეთის წინასწარ შეთანხმებას იმის შესახებ, რომ შუამავლობის ხელშეკრულების საფუძველზე შემკვეთი შეიძენს მაკლერის ნივთს ან ყურადღებას არ მიაქცევს ინტერესთა კონფლიქტის განსაკუთრებულ გარემოებებს. ასეთი შეთანხმების მიუხედავად, შემკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს შუამავლობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უარი თქვას გასამრჯელოს გადახდაზე და ხარჯების ანაზღაურებაზე.

მუხლი 749. საბინაო მაკლერი

1. იმ ხელშეკრულებისათვის, რომლითაც პირი კისრულობს შუამავლობას ბინის ქირავნობის ხელშეკრულების დასადებად (საბინაო მაკლერი), გამოიყენება შუამავლობის ზოგადი წესები, თუ ბინის ქირავნობის შუამავლობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

2. ბინის ქირავნობის შუამავლობის ნორმები არ გამოიყენება იმ ხელშეკრულებათა მიმართ, რომელთა საგანია საბინაო შუამავლობა ტურიზმისა და საქმიანი მოგზაურობებისას.

1. შუამავლობად ბინის ქირავნობისას (ბინის ქირავნობის შუამავლობა) ჩაითვლება ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მაკლერი კისრულობს ვალდებულებას ხელი შეუწყოს შემკვეთს ხელშეკრულების დადებაში ბინის დაქირავების ან გაქირავების შესახებ, ხოლო შემკვეთი კისრულობს ვალდებულებას მისცეს მაკლერს გასამრჯელო და აუნაზღაუროს დანახარჯები. მაკლერს, რომელიც ასეთ შუამავლობას ახორციელებს, საბინაო მაკლერი ეწოდება. შემკვეთი შეიძლება იყოს როგორც შესაძლო დამქირავებელი ან გამქირავებელი, ისე სხვა დაინტერესებული ფიზიკური ან იურიდიული პირი.

ბინის ქირავნობის შუამავლობა ხორციელდება შემკვეთსა და საბინაო მაკლერს შორის დადებული როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც მხარეები ავტონომიურად განსაზღვრავენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. თუ შემკვეთსა და საბინაო მაკლერს თავიანთი უფლებები და მოვალეობები ხელშეკრულებით არ განუსაზღვრავთ, გამოიყენება შუამავლობის შესახებ ზოგადი დებულებანი, რომლებიც მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 744-748-ე მუხლებში.

2. თუ ბინის ქირავნობა შეადგენს იმ მომსახურების ელემენტს,

რომელიც ტურისტს (მოგზაურს) უნდა გაუწიოს მოგზაურობის მომწყობმა, ხელშეწყობა ბინის ქირავნობისათვის არ ჩაითვლება ბინის ქირავნობის შუამავლობად და სამართლებრივი ურთიერთობა ტურისტს ან საქმიან მოგზაურსა და მოგზაურობის მომწყობს შორის მოწესრიგდება ტურისტული მომსახურების წესებით (იხ. თავი მეთერთმეტე).

მუხლი 750. გასამრჯელოს მიღების დაუშვებლობა

1. საბინაო მაკლერის მოთხოვნა გასამრჯელოს მიღების ან დანახარჯების ანაზღაურების შესახებ დაუშვებელია, მაშინ, როცა:

ა. ქირავნობის ხელშეკრულებით იმავე ბინაზე გრძელდება უკვე არსებული ქირავნობის ურთიერთობა, ან იგი სხვაგვარად იქნება შეცვლილი;

ბ. იდება ქირავნობის ხელშეკრულება საბინაო ფართზე, რომლის მართვასაც ახორციელებს საბინაო მაკლერი;

2. შემკვეთის საზიანოდ დადებული შეთანხმება ბათილია.

1. იმ ზოგადი პრინციპიდან, რომლის მიხედვით, მაკლერს გასამრჯელო შეუძლია მოითხოვოს შუამავლობით გათვალისწინებული ხელშეკრულების მხოლოდ დადების მომენტიდან, ხოლო დანახარჯების ანაზღაურება – იმისგან დამოუკიდებლად, დაიდება თუ არა შუამავლობით გათვალისწინებული ხელშეკრულება, კანონი ითვალისწინებს გამონაკლისს ბინის ქირავნობის შუამავლობისათვის. თუ ბინა შუამავლობის ხელშეკრულების მოქმედების მომენტისათვის უკვე წარმოადგენს ქირავნობის ურთიერთობის საგანს, საბინაო მაკლერი, იმის მიუხედავად, შეძლო თუ არა მან შემკვეთის დავალების შესრულება, ვერ მოითხოვს გასამრჯელოს მიღებას და დანახარჯების ანაზღაურებას, ვიდრე მოცემული ბინის ძველ დამქირავებელთან ქირავნობის ურთიერთობა არ დასრულებულა.

საბინაო მაკლერი ვერ მოითხოვს შუამავლობისათვის გასამრჯელოს მიღებას ან დანახარჯების ანაზღაურებას, თუ დამქირავე-

ბელი გარდაიცვალა, მაგრამ დამქირავებლის უფლებებმა გადაინაცვლა გარდაცვლილის ოჯახის წევრებზე.

შუამავლობისათვის გასამრჯელოს მიღების ან დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება საბინაო მაკლერს წარმოეშობა არსებული ქირავნობის ხელშეკრულების ან ქირავნობასთან დაკავშირებული უფლებამონაცვლეობის შეწყვეტის მომენტიდან.

კანონი დაუშვებლად მიიჩნევს ერთ სუბიექტში საბინაო მაკლერის და მინდობილი მესაკუთრის ინტერესების შეთავსებას. ინტერესთა შეუთავსებლობის მოტივით საბინაო მაკლერს უფლება არა აქვს მოითხოვოს გასამრჯელოს მიღება ან დანახარჯების ანაზღაურება იმ საბინაო ფართის ქირავნობასთან დაკავშირებული შუამავლობისათვის, რომელიც მას გადაცემული ჰქონდა საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით (724-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში საბინაო მაკლერი, როგორც მინდობილი მესაკუთრე, მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით, ხოლო მინდობილ ბინას მართავს თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმნდობის ხარჯით. ამასთან, მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის საკუთრების მიმნდობისაგან იგი არ იღებს გასამრჯელოს, თუ მინდობის ხელშეკრულებით სხვა რამ გათვალისწინებული არ არის.

2. შემკვეთისა და საბინაო მაკლერის შეთანხმებით არ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს რაიმე ისეთი პირობა, რაც შესაძლებლად მიიჩნევს საბინაო მაკლერის მიერ გასამრჯელოს მიღებას შემკვეთის საზიანოდ. კერძოდ, შეთანხმებას მაკლერისათვის გასამრჯელოს მიცემაზე იმის მიუხედავად, შეწყვეტილია თუ არა საბინაო ფართზე არსებული ქირავნობის ურთიერთობა ან მინიჭებული აქვს თუ არა იგივე სადგომზე საბინაო მაკლერს მინდობილი მესაკუთრის უფლებები.

მუხლი 751. სასესხო მაკლერი

იმ ხელშეკრულების მიმართ, რომლითაც პირი კისრულობს სხვა პირისათვის სესხის ხელშეკრულების დადების შუამავლობას [სასესხო მაკლერი], გამოიყენება შუამავლობის ზოგადი წესები, თუ 752-ე და 753-ე მუხლებიდან სპეციფიკური წესები არ გამომდინარეობს.

სესხებისას შუამავლობად (სასესხო შუამავლობა) ჩაითვლება ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მაკლერი კისრულობს ვალდებულებას ხელი შეუწყოს შემკვეთს სესხის ხელშეკრულების დადებაში, ხოლო შემკვეთი კისრულობს ვალდებულებას მისცეს მაკლერს გასამრჯელო და აუნაზღაუროს დანახარჯები. მაკლერს, რომელიც ასეთ შუამავლობას ახორციელებს, სასესხო მაკლერი ეწოდება. შემკვეთი შეიძლება იყოს როგორც შესაძლო მსესხებელი, ისე გამსესხებელი ან სხვა დაინტერესებული ფიზიკური ან იურიდიული პირი. შუამავლობა სესხებისას წარმოადგენს შუამავლობის ერთ-ერთ სახეობას, რომლის მიმართ კანონი ადგენს ზოგიერთ სპეციფიკურ მოთხოვნას. ეს მოთხოვნები შეეხება სესხების შუამავლობის ფორმას და გასამრჯელოს გადახდის მოვალეობას. სესხების შუამავლობის ხელშეკრულების სხვა ელემენტების მიმართ გამოიყენება შუამავლობის ზოგადი წესები.

მუხლი 752. ხელშეკრულების ფორმა

1. **ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით.**

2. **ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს სასესხო მაკლერის გასამრჯელოს ოდენობა სესხიდან განსაზღვრული პროცენტის მითითებით; გარდა ამისა, ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს: სესხის**

ოდენობა, ვადა, პროცენტი, გადახდის დრო, გადახდის კურსი, პროცენტის ვადის ხანგრძლივობა, დამატებითი ხარჯები, შემკვეთის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხა, სესხის მიმცემის სახელი და მისამართი. ეს წესები არ გამოიყენება, როცა შეკვეთა ეხება მიწის გირავნობით უზრუნველყოფილ სესხს ან მიწის ნაკვეთის შესაძენად გაცემულ სესხს, ასევე სესხს, რომელიც შემკვეთმა უნდა გამოიყენოს თავისი დამოუკიდებელი პროფესიული ან სამეწარმეო, ანდა საუწყებო თუ სამსახურეობრივი საქმიანობისათვის.

3. ხელშეკრულების ტექსტი არ უნდა იყოს დაკავშირებული სესხის გაცემის შუამდგომლობასთან. სასესხო მაკლერმა შემკვეთს უნდა გადასცეს ხელშეკრულების ასლი.

1. სასესხო შუამავლობის ხელშეკრულება სავალდებულოა დაიდოს წერილობითი ფორმით. იგი იურიდიული ძალის მქონედ ჩაითვლება მხოლოდ მხარეთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის შედგენის მომენტიდან.

2. სასესხო შუამავლობის ხელშეკრულების პირობები მოიცავს შუამავლობით დასადები სესხის ხელშეკრულების პირობებს და შემკვეთის მოვალეობათა ჩამონათვალს. პირობათა პირველ ჯგუფს განეკუთვნება: სესხის ოდენობა, ვადა, პროცენტი, გადახდის დრო, გადახდის კურსი, პროცენტის ვადის ხანგრძლივობა, სესხის მიმცემის სახელი და მისამართი. შემკვეთის მოვალეობათა ჩამონათვალს მიეკუთვნება: სასესხო მაკლერის გასამრჯელოს ოდენობა სესხიდან განსაზღვრული პროცენტის მითითებით, დამატებითი ხარჯები, შემკვეთის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხა. სასესხო შუამავლობის ხელშეკრულების აღნიშნული პირობები კანონით გათვალისწინებული არსებითი პირობებია, რომელთა შესახებ მხარეთა შეთანხმება სავალდებულოა შუამავლობის ნამდვილობისათვის. თუ შუამავლობა მიზნად ისახავს სესხის ხელშეკრულების დადებას, რომელიც უზრუნველყოფილია მიწის გირავნობით, ან მიწის ნა-

კვეთის შესაძენად, ასევე სესხს, რომელიც შემკვეთმა უნდა გამოიყენოს თავისი დამოუკიდებელი პროფესიული ან სამეწარმეო, ანდა საუწყებო თუ სამსახურეობრივი საქმიანობისათვის, გამოიყენება სხვა, მოცემული პირობებისაგან განსხვავებული წესები.

3. სასესხო შუამავლობით გათვალისწინებული პირობების ჩამონათვალი ამომწურავია და მხარეების მიერ განვრცობას არ ექვემდებარება. ხელშეკრულების ტექსტი არ შეიძლება შეიცავდეს შუამდგომლობის გაწევას შემკვეთისათვის, როგორც მაკლერის მოვალეობას. შუამდგომლობის ქვეშ აქ იგულისხმება სამეწარმეო ურთიერთობებში მიღებული საქმიანი ჩვეულება, როცა ამ ურთიერთობათა აღიარებული მონაწილეები სარეკომენდაციო წერილებით მიმართავენ მათ კონტრაჰენტებს ამა თუ იმ სამეწარმეო სუბიექტისათვის ხელშეწყობის შესახებ. ასეთი მიმართვა არ წარმოადგენს შუამავლობის ხელშეკრულების საგანს და არ შეიძლება იყოს მაკლერის მხრივ გასამრჯელოს მიღების ან ხარჯების ანაზღაურების საფუძველი. სასესხო შუამავლობის ხელშეკრულება დგება მხარეების მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის სახით, რომლის დედანი ინახება სასესხო მაკლერთან, ხოლო ასლი გადაეცემა შემკვეთს.

შუამდგომლობა განსხვავდება დელკლედერე ხელშეკრულებისაგან, რომლითაც სავაჭრო წარმომადგენელი ან კომისიონერი თავდებად დგებიან საწარმოს ან კომინტენტის წინაშე, რომ მესამე პირი შეასრულებს გარიგების ნაკისრ ვალდებულებას და რისთვისაც საწარმოსაგან იღებენ სპეციალურ გასამრჯელოს ე.წ. სათავდებო პროვიზიას.

მუხლი 753. გასამრჯელოს გადახდის მოვალეობა

1. შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს გასამრჯელო მხოლოდ მაშინ, თუ მან შუამავლობის შედეგად მიიღო სესხი. შემკვეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ დადებული შეთანხმება ბათილია.

2. სასესხო მაკლერს არ შეუძლია მოითხოვოს სხვა გასამრჯელო, გარდა ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულისა, იმ მოქმედებისათვის, რომელიც დაკავშირებულია სესხის აღების შუამავლობასთან.

1. სასესხო შუამავლობა შესრულებულად ჩაითვლება იმ სესხის ხელშეკრულების დადების მომენტიდან, რომლისთვისაც შუამავლობის ხელშეკრულება დაიდო. გამსესხებლის მიერ სესხის შეპირება, რომელიც წერილობით ფორმდება, არ წარმოადგენს მაკლერის მხრივ შუამავლობისათვის გასამრჯელოს ან ხარჯების მოთხოვნის საფუძველს. სესხის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება გამსესხებლის მიერ ფულის ან სხვა გვარეობითი ნივთის მსესხებლისთვის გადაცემის მომენტიდან. ბათილია სასესხო შუამავლობით გათვალისწინებული ისეთი შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს შემკვეთის მოვალეობას მისცეს სასესხო მაკლერს გასამრჯელო სესხის ხელშეკრულების დადებამდე. შემკვეთს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულების დადებამდე ამგვარი გასამრჯელოს გაღებაზე, ან მოითხოვოს მიცემულის უკან დაბრუნება, თუკი ხელშეკრულება არ დაიდო.

2. სასესხო მაკლერს შუამავლობის ხელშეკრულებით უფლება აქვს შემკვეთს მოთხოვოს გასამრჯელო მხოლოდ სესხის აღებისათვის. თუ შემკვეთი სესხის გამცემია, იგი თავისუფალია მაკლერისათვის გასამრჯელოს მიცემის მოვალეობისაგან. სასესხო მაკლერს უფლება არ აქვს მოითხოვოს სხვა გასამრჯელო, რომელიც დაკავშირებულია სესხის აღების შუამავლობასთან.

მუხლი 754. სავაჭრო მაკლერი

სავაჭრო მაკლერის მიმართ გამოიყენება კანონი მეწარმეთა შესახებ.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (მიღებული 1994 წლის 28 ოქტომბერს, შემდგომი ცვლილებებით და დამატებებით) კერძო სამართლის სპეციალური კანონია, რომელიც განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებს და მათი მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს. აღნიშნული კანონის მიხედვით, სავაჭრო მაკლერი განეკუთვნება სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა რიცხვს და მისი იურიდიული რეჟიმი განპირობებულია სამეწარმეო საქმიანობის ბუნებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, სავაჭრო მაკლერი არის პირი, რომელიც საშუამავლო საქმიანობას ეწევა როგორც სამეწარმეო საქმიანობას. შესაბამისად, სამოქალაქო მაკლერისაგან განსხვავებით, სავაჭრო მაკლერი საშუამავლო საქმიანობას ეწევა არაერთჯერადი საქმიანობის სახით, პროფესიულ საწყისებზე. სამოქალაქო მაკლერი შუამავლობას შეიძლება ახორციელებდეს როგორც არაერთჯერად, ისე ერთჯერად საქმეს, ანუ როგორც პროფესიულ, ისე არაპროფესიულ საწყისებზე. სავაჭრო მაკლერს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. სამოქალაქო მაკლერი შუამავლობას შეიძლება ახორციელებდეს როგორც ფიზიკური პირი, მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გამოყენების გარეშე. სავაჭრო მაკლერი უნდა იყოს რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში, მაშინ როცა სამოქალაქო მაკლერის წინაშე კანონი ასეთ მოთხოვნას არ აყენებს. კანონი გამოყოფს სავაჭრო მაკლერის საშუამავლო საქმიანობის ძირითად საგნებს, რომლებსაც შეადგენს შუამავლობა საქონლის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის, დაზღვევის, ტვირთის გადაზიდვის, გემების ქირავნობის ხელშეკრულებათა დასადებად. დასადებ ხელშეკრულებათა ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. სავაჭრო მაკლერს შეუძლია განახორციელოს შუამავლობა სხვა გარიგებათა დასადებად, მაგრამ თუ მისი საშუამავლო საქმიანობის მიზანს აღნიშნული ხელშეკრულებები შეადგენს, სავაჭრო მაკლერი ვალდებულია საშუამავლო საქმიანობა განახორციელოს მეწარმეთა შესახებ კანონით დადგენილი წესით;

თუ სავაჭრო მაკლერი ეწევა სხვა გარიგებების, კერძოდ, უძრავი ნივთების გარიგებათა შუამავლობას, სავაჭრო მაკლერის საქმიანობის სპეციალური წესები არ გამოიყენება. სავაჭრო მაკლერის მიერ გაწეული საშუამავლო საქმიანობის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს თავად სავაჭრო მაკლერის მიერ შედგენილი დასკვნითი აქტი, რომელიც წარედგინება შუამავლობით დადებული ხელშეკრულების მხარეებს, როგორც მაკლერის ერთგვარი ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ.

დასკვნითი აქტი არ წარმოადგენს სავაჭრო მაკლერის საქმიანობის აუცილებელ ელემენტს და იგი შეიძლება წერილობით არც შედგეს, თუკი ამას შუამავლობით დასადები ხელშეკრულების მხარეები მოითხოვენ. სამაგიეროდ, სავაჭრო მაკლერის საქმიანობის აუცილებელი რეკვიზიტია დღიური, სადაც მაკლერი ვალდებულია აღნუსხოს მისი შუამავლობით დადებული ყოველი გარიგება შესაბამისი მონაცემებით. სამოქალაქო მაკლერს არც დასკვნითი აქტის, არც დღიურის შედგენის მოვალეობას კანონი არ აკისრებს.

გაწეული საშუამავლო საქმიანობის საფასურად სამოქალაქო მაკლერი შემკვეთისაგან იღებს გასამრჯელოს და ინაზღაურებს აუცილებელ დანახარჯებს, ხოლო სავაჭრო მაკლერი — ანაზღაურებას, რომლის გადახდა თანაბარი ოდენობით ეკისრება შუამავლობით დადებული ხელშეკრულების მხარეებს, თუ სავაჭრო მაკლერს და კონტრაგენტებს შორის განსხვავებული შეთანხმება არ ყოფილა ან საქმიანი ბრუნვის ადგილობრივ ტრადიციებში დამკვიდრებული არ არის სავაჭრო მაკლერის შრომის ანაზღაურების სხვა ჩვეულება.

ტექ. რედაქტორი *რ. ჭანტურია*
კორექტორი *ი. ნავროზაშვილი*

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 29
საბეჭდი ქაღალდი № 1 60X84, $^{1}/_{16}$
ბეჭდვა ოფსეტური
შეკვეთა № 160

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „სამართალი“,
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 45

სტამბა შპს გაზეთი „საქართველოს მაცნე“
გრ. რობაქიძის ქ. №7ა

67.99(2Г)0
343. (479.22)
ს 323

**AKVLEDIANI/CHANTURIA/JORBENADZE/KHETSURIANI/
NINIDZE/SHENGELIA/ZOIDZE**

Commentary
To The Civil Code of Georgia

Volume 4
Law of Obligations. Special Part
Part I
Art. 477-754

Samartali Publishers
Tbilisi, 2001
(in Georgian)

**AKVLEDIANI/CHANTURIA/JORBENADZE/KHETSURIANI/
NINIDZE/SHENGELIA/ZOIDZE**

Kommentar
zum Zivilgesetzbuch Georgiens

4. Buch
Schuldrecht. Besonderer Teil
Band I
Art. 477-754

Verlag Samartali
Tbilisi, 2001
(in der georgischen Sprache)